საქართველოს განათლების სამინისტროს
სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი

ცეზარ ლომსაძე

# ზოგადი ფსიქოლოგია

თბილისი

1997

მკითხველისათვის შემოთავაზებული წიგნი წარმოადგენს პირველ ცდას „უსულო ფსიქოლოგიის“ დაძლევის მიმართულებით. იგი დაწერილია პედაგოგიური და ჰუმანიტარული სასწავლებლების სტუდენტებისათვის და შედგენილია პედაგოგიური კოლეჯის პროგრამის შესაბამისად. მასში გადმოცემულია სულისა და ფსიქიკის შესახებ შესავალი საკითხები. სულიერი უნარების როლი ადამიანის აქტივობის სხვადასხვა სახეებში, ფსიქიკური პროცესებისა და თვისებების კანონზომიერებანი. პიროვნებათა შორის ურთიერთობებისა და ადამიანთა ჯგუფების ფსიქოლოგიური ასპექტები და სხვა.

წიგნი ძირითადად მოიცავს ზოგადი ფსიქოლოგიის საკითხებს. მასში წარმოდგენილია აგრეთვე სოციალური ფსიქოლოგიისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

წიგნი გამოადგებათ აგრეთვე ფსიქოლოგიითა და სოციოლოგიით დაინტერესებულ მკითხველებს.

**რედაქტორი:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. **შ. ა. ნადირაშვილი**

**რეცენზენტი:** საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფ. **მ. გ. ყოლბაია**

**წიგნი გამოიცა ავტორის ხარჯით**

# თ ა ვ ი I

# ფსიქოლოგიის საგანი

## § 1. სული და ფსიქოლოგია

ადამიანისათვის უშუალოდ და რეალურად არის მოცემული სულიერი მოვლენები. ისინი ისევე ცხადი და ნათელია ჩვენთვის როგორც მატერიალური, ნივთიერი საგნები. ყოველგვარი დაეჭვებისა და განსჯის გარეშე, ჩვენ ვხედავთ და განვიცდით ბუნებაში არსებულ საგნებს; რომლებიც ხილვადია, თვალსაჩინოა, ნივთიერია, სხეულებრივია. ქვა, მცენარე, მიწა, მზე, მთვარე, საჰმელი, ტანსაცმელი, ავეჯი, ტრანსპორტი და სხვა უამრავი რამ პირდაპირ და უშუალოდ გვეძლევა და მათ წინასწარ მეცნიერული აღმოჩენა და მტკიცება არ ჭირდება. ასეთივეა თხევადი და აიროვანი ნივთიერებების განცდაც: წყალი, სპირტი, ნავთი, ორთქლი, ჟანგბადი, ჰაერის ტალღები და სხვა. ასევე უშუალოდ გვეძლევა აგრეთვე მოძრაობები და ბუნების ისეთი მოვლენები, როგორიცაა: ბრუნვები, ფრენა, წვიმა, ჰექაქუხილი და ა. შ.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მოვლენების ამსახველი ცოდნა და ინფორმაცია ჩვენი გარემოზე მიმართულობის შედეგია, ისინი სულიერი უნარების საფუძველზე ჩნდება. **ადამიანს ასევე შეუძლია** ამ უნარების შიგნით, საკუთარ აქტივობაზე მიმართვის და საკუთარი მდგომარეობისადმი ყურადღების საფუძველზე, **განიცადოს სულიერი გამოვლინებანიც**, რომლებიც ისეთივე ცხადი და მისაწვდომია ადამიანისათვის, როგორიც ზემოთ დასახელებული ბუნების მოვლენები. ხედვა, მოსმენა, შეხება, ტკივილი, სიცივე, შიმშილი, აზრი, წარმოდგენა, წუხილი, სიხარული, სიამოვნება, სიყვარული, სიმპატია, განრისხება, შიში და სხვა, მატერიალურ საგნებზე უცხო და მიუწვდომელი არაფრით არ არის. ანდა გავიხსენოთ ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაღლილობა, გაღიზიანებულობა, უძილობა და ა. შ.

ორივე რიგის მოვლენები ერთნაირად ცხადი და ნათელია ყველა ადამიანისათვის, თუმცა ისინი სხვადასხვანაირი წარმოშობისაა. ორივე შემთხვევაში უშუალო მოცემულობა ერთნაირია. მაგრამ მატერიალური საგანი განფენილი და უმოქმედოა, სულიერი მოვლენა კი—მთლიანი, აქტიური და სიცოცხლისუნარიანია. მატერიალური

საგნები ჩვენს გარეთაა. უშუალოდ ჩანს ყველასათვის და ხელშესახებია.

ზემოთგანხილული ორივე სახის მოვლენებს ადამიანი უხსოვარი დროიდან აკვირდებოდა, სწავლობდა, იკვლევდა და აგროვებდა მათ შესახებ ცოდნას. სხეულებრივი, ანუ ბუნებრივი მოვლენების შესახებ შემდგომში ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ასტრონომია და სხვა. ხოლო სულიერი გამოვლინებების შესასწავლად კი გაჩნდა ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა: თეოლოგია, თეოსოფია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ხელოვნების დარგები, პედაგოგიური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა მეცნიერებანი.

თავდაპირველად ადამიანებს უფრო მეტად იზიდავდა და აინტერესებდა სულის გამოვლინებანი და ღმერთისეული მოვლენები. ისინი უძველეს დროშივე მისწვდნენ თავიანთ კავშირს ღმერთთან და თავიანთ თავს ღვთაებრივ მიმართებებში იაზრებდნენ. ამის გამოხატულება იყო სიკვდილის შემდეგ ცხოვრების გაგრძელებაზე მსჯელობა, სიზმრების ახსნა, გამოცხადებები და სხვა. მაგრამ აქ ჯერ არ იყო გამოყოფილი სულის წვდომა და მისი გაგება სულიერი გამოვლინებებისაგან, ანუ ფაქტებისაგან, ხდომილებებისაგან (ფსიქიკისაგან, დღევანდელი გაგებით). ასეთი ცოდნის დაგროვების კვალდაკვალ გაჩნდა თეოსოფია, ანუ ღვთაებრივი სიბრძნე. შემდგომში, ბუნების მოვლენების შესწავლის საფუძველზე, გაჩნდა ფილოსოფია, ანუ ცოდნისმოყვარეობა და სხვა მეცნიერებანი.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ადამიანის ღვთაებრივი არსის წვდომა მხოლოდ შინაგანად შეიძლება, იგი სხვისთვის დასანახად არ გვეძლევა, მისი არც მოსმენა და შეხება არ შეიძლება. როგორც დაბადებით ბრმა ადამიანს არ შეუძლია ფერების დანახვა და წარმოდგენა, ისე წვდომის უნარის არმქონე ადამიანს არ შეუძლია სულის ჰეშმარიტი არსის გაგება. მაგრამ საერთოდ კი, ამ უნარის მიღწევა ყველას შეუძლია. რაც შეეხება სულის გამოვლინებებს, როგორც უკვე ითქვა, ისინი უშუალოდ მისაწვდომია განმცდელი, ანუ მათი მატერებელი ადამიანისათვის; მაგრამ სხვებისათვის პირდაპირ არ ჩანს (სხვისი ტკივილის უშუალო განცდა არ არსებობს). მეცნიერულ დონეზე მათი გაგება და გააზრება შეიძლება შევადაროთ გეომეტრიულ ფუნქციებს, სადაც თვახილულ მოცემულობაში ხდება ფუნქციების მოაზრება.

გამოდის, რომ სულის არსებობა ჰიპოტეტურია, იგი ფაქტიურ მოცემულობას არ წარმოადგენს და მას წვდომა, რწმენა და მტკიცე-

ბა ჭირდება. რასაც თეოსოფია და ფილოსოფია აკეთებს. **სულის ვამოვლინებანი, ანუ ფსიქიკური პროცესები კი—ცდისეულია, განცდადია და უველა ადამიანს გააჩნია. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი სულის უნარებია და არა დამოუკიდებლად არსებული.** მათი უშუალო განცდისეული მოცემულობის შესწავლას ცალკე მეცნიერება—ფსიქოლოგია ემსახურება. ძველიდანვეც და ახლაც ადამიანები უშუალოდ და გულუბრყვილოდ მიუთითებენ ფსიქოლოგიის საგანზე, მართებულად და მისაღებად. ყველასათვის მისაღებია რას უნდა სწავლობდეს იგი, როგორც სულის შესახებ მეცნიერება. მაგრამ ასეთი მეცნიერება თავისთავად არ შექმნილა. მან განვითარების ძალიან დიდი და ძნელი გზა განვლო.

სანამ ერთი საერთო მეცნიერებიდან ანუ ფილოსოფიიდან გამოიყოფოდა ცალკე მეცნიერებანი, მასში პირველი და საპატიო ადგილი ეჭირა სულის შესახებ მოძღვრებას. არისტოტელეს მიერ მოცემულ მეცნიერებათა კლასიფიკაციაში, სულის გამოვლინებათა შემსწავლელმა მეცნიერებამ—ფსიქოლოგიამაც თავისი კუთვნილი ადგილი დაიჭირა. დღესაც იხმარება ის თავდაპირველი განმარტება, რომლის თანახმადაც, **ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულის შესახებ.** მაგრამ ამ ზოგად ფრაზას დაკონკრეტება ჭირდება, იგი ზოგადი და ყოლის მომცველია: სინამდვილეში ფსიქოლოგია არაა ერთადერთი მეცნიერება სულის შესახებ.

აქედან გამომდინარე, ჯერ უნდა გაირკვეს საკითხი ფსიქოლოგიის რაობის შესახებ, გაირკვეს მისი შესწავლის კონკრეტული ასპექტი სულის აქტივობაში და დადგინდეს კვლევა-ძიების ამოცანები. ამისათვის კი, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ ადამიანის შესახებ მეცნიერებანი და ვნახოთ ის ადგილი, რომელიც მიეკუთვნება მათში ფსიქოლოგიას.

ადამიანის შესახებ მეცნიერებანი ორგვარია: ერთი ადამიანის ორგანიზმს, მის სხეულს და ცალკეულ ორგანოებს შეისწავლის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური ასპექტებით; მეორეს სულიერ სფეროსთან და სოციალურ, ანუ საზოგადოებრივ ასპექტებთან აქვს საქმე.

პირველი რიგის მეცნიერებებში შედის ანატომია, ფიზიოლოგია, ზოგადი ბიოლოგია, დემოგრაფია, ცალკეული სისტემებისა და მათი ფუნქციობის შემსწავლელი დარგები (მაგალითად, გულ-სისხლ-ძარღვთა, მომნელებელი, სასუნთქი, გამოყოფის, მხედველობის, სმენის და სხვა). საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე ამ სისტემების ფუნქ-

ცობის დარღვევის შესახებ მეცნიერებანი, რომლებსაც მედიცინის დარგებს უწოდებენ. ყველა ეს მეცნიერებანი, პირველ რიგში და უპირატესად, ადამიანის შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებია და ისინი ჩვენს მატერიალურ, სხეულებრივ, ნივთიერ მხარეებს და მათ გამოვლინებებს შეისწავლიან.

ასეთივე არსებობის უფლება, ადამიანის შესახებ მეცნიერებათა შორის გააჩნიათ, სულიერი მხარის, სულიერი გამოვლინებების შემსწავლელ მეცნიერებებს. ზოგი მათგანი უშუალოდ სულის არსს იკვლევს (მაგალითად, თეოლოგია, ან ფილოსოფია), ზოგი სოციალურ და მორალურ ასპექტებს სწავლობს (მაგალითად, სოციოლოგია და ეთიკა, ან იურიდიული მეცნიერებანი). ზოგი ადამიანის ნაღვაწსა და ნამოქმედარს, მის შედეგებს იკვლევს (მაგალითად, ეკონომიკური მეცნიერებანი, ან ხელოვნების დარგები). ზოგი კი—უშუალოდ სულის გამოვლინებებს და მათ განვითარებას სწავლობს (მაგალითად, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა). ამ მეცნიერებებს ბევრი საერთო აქვთ და ერთი მთლიანი მოძღვრების (ადამიანთმცოდნეობის) დარგებად შეიძლება ჩაითვალონ.

უფრო რომ დავაკონკრეტოთ, **ფსიქოლოგიას საქმე აქვს კონკრეტული ადამიანის სულის აქტივობასთან, ადამიანში სულიერი აქტივობის გამოვლენასთან, მის პროცესებთან.**

თუმცა ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, შედარებით გვიან ჩამოყალიბდა, მაგრამ ფსიქოლოგიური ცოდნა ისეთივე დიდი ხნის წინ გროვდებოდა, როგორც საერთოდ ცოდნა და ფილოსოფია. უძველესი დროიდან ფსიქოლოგიური ცოდნა ხალხური გამოცდილებითა და თაობებზე მათი გადაცემის საშუალებით იქმნებოდა. ეს იყო პრაქტიკული, ზოგჯერ გულუბრყვილო ცოდნა, რომელსაც ადამიანები ერთმანეთის მოქმედებებზე და საკუთარ განცდებზე უშუალო დაკვირვების გზით იძენდნენ.

მეცნიერული ცოდნის წარმოქმნის დროიდან ფსიქოლოგიური ცოდნა ფილოსოფიის წიაღში, როგორც მისი ნაწილი, გროვდებოდა ფსიქოლოგიის საკითხებს ყველა ფილოსოფოსი იხილავდა. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა. პრაქტიკული საჭიროების გავლენით, ფსიქოლოგიურ ცოდნას აგროვებდა აგრეთვე ბუნებისმეტყველება, მედიცინა და პედაგოგიკა.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ასახულია მისი განვითარების გრძელ გზაზე მოპოვებული ცოდნა და დადგენილია ძირითადი მეცნიერული ტერმინოლოგია. ამ ტერმინთა განხილვაშიც კი კარგად ჩანს ფსიქოლოგიის ჩამოყალიბების ისტორია.

თვით სახელწოდების ძირი არისტოტელედან მოდის. მან, როგორც ფილოსოფიის ერთ-ერთ ნაწილს, **ამ ცოდნას პერიფსიქე უწოდა**, რაც ბერძნული სიტყვებისაგან ფსიქე (სული) და პერი (შესახებ) წარმოდგება. შემდეგში ფსიქოლოგიაში და საერთოდ ყველა მეცნიერებაში სულიერი მოვლენების აღსანიშნავად ტერმინი „ფსიქიკა" დამკვიდრდა, ხოლო მის შემსწავლელ მეცნიერებას ფსიქოლოგია ეწოდა., **ფსიქიკა, ანუ სულიერი მოვლენები, სულიერი პროცესების მიმდინარეობასაც აღნიშნავს და ადამიანის სულიერ თვისებებსა და მდგომარეობასაც**. უშუალოდ მიმდინარე სულიერ, ანუ ფსიქიკურ პროცესებს წარმოადგენენ: შეგრძნება და აღქმა (დანახვა, მოსმენა, შეხება და ა. შ.), ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, აზროვნება, ემოციები და ნებისყოფა. ხოლო ადამიანის მოთხოვნილებანი და ინტერესები, მისი უნარები და ნიჭი, ტემპერამენტი და ხასიათი ფსიქიკურ თვისებებს განეკუთვნებიან და ისინი ადამიანის სულიერ მდგომარეობას და მის თავისებურებებს წარმოგვიდგენენ.

თავისი არსებობისა და საქმიანობის პროცესში, ადამიანი განცდების სახით გამოხატავს ფსიქიკურ პროცესებს. რომლებიც მისი შინაგანი, ცსიქიკური თვისებებისა და მდგომარეობის ფონზე ალმოცენდებიან. **განცდის** ცნება ფსიქოლოგიისათვის ერთერთი ამოსავალი და ძირითადი ცნებაა. იგი სულიერი მოვლენების გამოხატვის ფორმაცაა და გარე სინამდვილის ჩვენში მოტანის, ანუ ასახვის ფორმაც. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ ფსიქოლოგიას განცდის შესახებ მეცნიერებასაც უწოდებენ ხოლმე.

ფსიქოლოგია სულიერ პროცესებსა და განცდებს თავისთავად, აბსტრაქტულად, როდი სწავლობს; მისთვის ფსიქიკა სიცოცხლესთანაა უშუალოდ კავშირში. ფსიქოლოგია ეყრდნობა ჩ. დარვინის მოძღვრებას და მთელ შემდეგდროინდელ მონაცემებს სიცოცხლის შესახებ: რომ სიცოცხლეს თავისი სპეციფიკური კანონები გააჩნია: რომ იგი ხასიათდება თვითშენახვით და მიზანშეწონილებით. რომ იგი საჭიროებს ფსიქიკას, რომელიც გაგებული უნდა იქნას როგორც გარემოსთან შეგუების „ორგანო": რომ ფსიქიკის გარეშე სასიცოცხლო პირობებთან შეგუება ვერ მოხდება. ფსიქიკის გარეშე საჭირო აქტიობის შესრულება ადამიანს არ შეუძლია; იგი წარმართავს მთელს სასიცოცხლო პროცესებს მიზანშეწონილი მიმართულებით. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ფსიქოლოგიის ამოსავალ პუნქტად ცოცხალი, მთლიანი ორგანიზმი უნდა მივიჩნიოთ, როგორც სულიერი პროცესების მატარებელი. განცდა და აქტიობა ერთიანობაში

გვეძლევა და ადამიანი, როგორც სუბიექტი წარმოადგენს მოქმედებისა და განცდის უნარის მატარებელს, მათ გამაერთიანებელს.

სწორედ ასეთი ფუძემდებლური დებულებებისა და ტერმინების საფუძველზე შეიძლება არსებობდეს ფსიქოლოგია როგორც მეცნიერება. რომელიც გასული საუკუნის ბოლოს, ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო საფუძვლებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ, ექსპერიმენტულ მეცნიერებად. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო სულიერი მოვლენების შესწავლა და ახსნა.

ამრიგად, **ფსიქოლოგიის შესასწავლი საგანია ის, რაც მოცემულია, როგორც სულის გამოვლენა, რაც ადამიანის მიერ განცდილი სულიერი აქტივობაა, ანუ სუბიექტის მდგომარეობაა.** ამაშია მისი სპეციფიკა და განსხვავება სხვა მეცნიერებებისაგან; ამითაა განპირობებული მისი, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი მეცნიერების არსებობა.

## § 2. ფსიქოლოგიის ამოცანები

ჩვენ მიერ განხილული საკითხებიდან გამომდინარეობს, რომ ფსიქოლოგიის ამოსავალი და უმთავრესი ამოცანა განცდების კვლევაა; მან უნდა აგვიწეროს და აგვიხსნას ზემოთჩამოთვლილი ყველა სულიერი, ანუ ფსიქიკური პროცესი: შეგრძნება და აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, ფანტაზია, ემოციები და ნებისყოფა. მთლიან ფსიქიკურ მოვლენებში უნდა გამოყოს ცალკეული პროცესი და დაადგინოს მისი მიმდინარეობის კანონზომიერებანი, აჩვენოს როგორია მისი მიმდინარეობა, თავისუფალი ხასიათი და უწყვეტობა.

თვით განცდებს შორის უნდა მოინახოს საერთო, დამაკავშირებელი და განმასხვავებელი ნიშნები და თვისებები. თუმცა მთავარი მაინც ყველგან განცდის ორბუნებოვნებაა, რომ იგი ჩემი განცდაა, ჩემი სულიერი მდგომარეობაა, მაგრამ იგი რაღაც სხვა რაიმეს, ჩემს გარეთ არსებულის მოცემულობაა, მისი დადასტურება და დაფიქსირებაა; მისი აღქმაა, მისი წარმოდგენაა, მისი გააზრებაა და ა. შ. ერთი სიტყვით, ჩემს განცდას ყოველთვის აქვს თავისი შინაარსი, მას რაღაც მოაქვს ჩემთვის. მაშასადამე, **სულიერი პროცესები აქტივობა და მიმდინარე აქტია,** მაგრამ არა ცარიელი და უშინაარსო; **მას აქვს შინაარსი,** იგი რაიმეს განცდაა. ამითაა ფსიქიკა სიცოცხლეზე მეტი და მაღალი.

ერთგვარ სიძნელეს ის ქმნის, რომ ადამიანი, პირველ რიგში, ამ გარე შინაარსზეა მიმართული, მას ამჩნევს და გულისხმობს, ხოლო შინაგანზე გვიან გადააქვს ყურადღება. მაგრამ ეს გასაგებია სიცო-

ცხლის პრინციპებიდან. ადამიანს უპირველად ის ჭირდება, რაც სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, რაც მისი არსებობისათვისაა აუცილებელი. ხოლო თვით ეს მექანიზმი, ანუ განცდა, საშუალებაა ამ აუცილებლის მოსაპოვებლად და ამიტომ მისი შემჩნევა მეორე რიგში ხდება.

თავის მხრივ, ფსიქიკური აქტების და ფუნქციების შესწავლის პროცესში დგება უფრო შინაგანი და ღრმა წარმონაქმნების შესწავლის საჭიროებაც. **ცალკეული განცდა დამოკიდებულია ადამიანის თავისებურებებზე, მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე მოცემულ მომენტში.** ამიტომაა, რომ ერთსადაიგივე სულიერ პროცესს, ერთნაირ გარე პირობებში მყოფი სხვადასხვა ადამიანი, სხვადასხვაგვარად განიცდის. უფრო მეტიც, ერთიდაიგივე პიროვნებაც სხვადასხვაგვარად განიცდის, იმის მიხედვით თუ რა მდგომარეობაშია, როგორ გუნებაზეა და ა. შ.

აქედან გამომდინარეობს ფსიქოლოგიის მეორე ამოცანა: **შესწავლილი იქნეს ფსიქიკური განცდების შინაგანი, სუბიექტური საფუძვლები;** ადამიანის ის თავისებურებანი და მდგომარეობანი, რომელთა გამო ერთიდაიგივე განცდა სხვადასხვაგვარ სახეს იღებს. რაკი ყოველი ფსიქიკური განცდის სპეციფიკურობა და მისი კონკრეტული სახე დამოკიდებულია მოცემული ადამიანის ფსიქიკურ თვისებებზე და მდგომარეობაზე, ამიტომ ფსიქოლოგიამ, ფსიქიკურ პროცესებთან ერთად, უნდა შეისწავლოს პიროვნების ფსიქიკური თვისებებიც. კერძოდ, მისი ხასიათი, ტემპერამენტი, ნიჭი და უნარი, მოთხოვნილებანი და ინტერესები.

ფსიქოლოგია გვერდს ვერ აუვლის მთლიან პიროვნულ აქტიურობის, ქცევის შესწავლას, რადგანაც სულის აქტივობა ვლინდება როგორც განცდებში, ასევე მოქმედებებში. სულიერი პროცესები მაშინ და იმისთვის აღმოცენდება, რომ მოქმედება შესრულდეს და სიცოცხლე იქნას შენარჩუნებული. ამიტომაც **ფსიქოლოგიის კიდევ** ერთ ამოცანას წარმოადგენს ქმედების ანუ ქცევის შესწავლა და **ფსიქოლოგიური საფუძვლების მონახვა.**

ადამიანის მიზანშეწონილი და გონიერი მოქმედება ყოველთვის მისი სულის, ანუ გონისა და ნების გამოვლენაა. ადამიანს ჭირდება შემოქმედებითი ძიება და სხვა ადამიანებთან ერთად მოქმედება, მათთან დაუსრულებელი ურთიერთობა. სხვაგვარად შეგნებული, გააზრებული და თავისუფალი მოქმედება არ არსებობს. სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროსაც აუცილებელია წინასწარი განჭვრე-

ტა. შესაძლო და მოსალოდნელი სიტუაციების გათვალისწინება. სხვაგვარად ვერ შეიქმნება საზოგადოება, ვერ იარსებებს სოციალური გარემო, სადაც ამოსავალი კონკრეტული პიროვნებებია. ამიტომაც ფსიქოლოგიამ, ზოგადად მაინც, უნდა შეისწავლოს **პიროვნება**, როგორც სულის კონკრეტული გამოვლინებებისა და სოციალური ურთიერთობის გამაერთიანებელი ადამიანში.

ადამიანისა და მისი სულის გამოვლინებათა შესწავლა ვერ იქნება სრულყოფილი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინების გარეშე. ჩვეულებრივ, საგნებთან ურთიერთობა და მოქმედებათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აღქმით, წარმოდგენებით და აზრებით, მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა წინა პლანზე აყენებს გრძნობებს, გულისთქმას, მოწონება-დაწუნებას, სიმპატიას თუ ანტიპატიას, ნებისყოფას. თავის მხრივ, სხვა ადამიანებთან სოციალური ურთიერთობა დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ფსიქიკურ თვისებებზე და მდგომარეობაზე.

სოციალური ურთიერთობების მატარებელი ადამიანი პიროვნებას წარმოადგენს და უფრო რთულ და მაღალ სულიერ გამოვლინებებს გულისხმობს. ამიტომაც **ფსიქოლოგიის ერთერთ ამოცანას პიროვნების ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა შეადგენს.**

ფსიქოლოგიის საგნისა და ამოცანების ზოგადი განხილვის შემდეგ შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ მისი, როგორც მეცნიერების განმარტება და მივუთითოთ მის ნაწილებსა და ამოცანებზე.

**ფსიქოლოგია არის მეცნიერება კონკრეტული ადამიანის სულის გამოვლინებების, ანუ ფსიქიკის შესახებ, იგი შეისწავლის პიროვნების ფსიქიკურ პროცესებს და ფსიქიკურ თვისებებს.** ფსიქიკა გარემოსთან შეგუების „ორგანოს“ წარმოადგენს და სოციალურ ურთიერთობებთან ერთად პიროვნების არსს ქმნის. ფსიქოლოგიის საგანი მხოლოდ ასე გაგებული ადამიანის სულიერი გამოვლინებანი შეიძლება იყოს: **მან უნდა შეისწავლოს: ადამიანის აქტივობის ფსიქოლოგიური ასპექტები, სულიერი ანუ ფსიქიკური პროცესები, პიროვნების ფსიქიკური თვისებები და ადამიანური ურთიერთობები.**

## § 3. სული და სხეული

ადამიანი სულისა და სხეულის ერთიანობას წარმოადგენს. სულიერი მოვლენები განუყრელ კავშირშია ცოცხალ ორგანიზმთან. ისინი სხვაგვარად ვერ იარსებებენ. კერძოდ, ეს კავშირი ყველაზე აშკარად გამოვლინდება ჩვენი ორგანიზმის უფაქიზეს ნაწილში— ტვინში. **თავის ტვინი და ორგანიზმის სხვა ნაწილები, როგორც ორ-**

**განოები, სულისათვის გამოვლენის იარაღია, ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც გვეძლევა სულიერი აქტივობა.** სხვაგვარად არ შეიძლება არსებობდეს არავითარი განცდა და ქმედება, არავითარი პიროვნული თვისებები და მდგომარეობანი.

უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენისათვის, ეს დამოკიდებულება შეიძლება შევადაროთ მელოდიისა და მუსიკალური ინსტრუმენტების დამოკიდებულებას ერთმანეთთან. მელოდია ვერ გამოვლინდება, ვერ მოაღწევს ჩვენამდე დამაკრავი ინსტრუმენტის (ან მომღერლის) გარეშე; თუმცა იგი არსებობს ინსტრუმენტისაგან დამოუკიდებლად. მის მსგავსად, სული და მისი ძოვლეხები არსებობენ. მაგრამ მათი წვდომა, განცდა და გათავისება ვერ მოხდება ადამიანის ორგანიზმთან დაკავშირების გარეშე.

ადამიანის შესახებ ბევრი მეცნიერება არსებობს. ზოგიერთი მათგანი ჩვენ უკვე ვახსენეთ ზემოთ. ისინი სხვადასხვა მხრივ და სხვადასხვა ასპექტით სწავლობენ ადამიანს: ზოგი მის ფიზიკურ და ბიოლოგიურ მხარეს, ზოგი—სოციალურს და ზოგიც სულიერს, მაგრამ რეალურად ადამიანი მთლიანი, ერთიანი არსებაა და ყველა ასპექტის ერთიანობას გულისხმობს; თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წინა პლანზე წამოწეულია ერთი ან რამდენიმე მათგანი, სულიერი ან სხეულებრივი მხარეებიდან; ხოლო დანარჩენები სხვადასხვა ოდენობით და ძალით მონაწილეობენ. მაგალითისათვის ავიღოთ ფეხით სიარული. სადაც მთავარია ფეხის გადადგმა და სვლის მიმართულება; მაგრამ მასში მეტნაკლებად ჩართულია სხეულის სხვა ნაწილებიც და ფსიქიკაც: ხედვა, წარმოდგენა, აზროვნება და ემოციებიც კი. ასევე, გაკვეთილის დასწავლის პროცესში უფრო მთავარია მეხსიერება და ნებისყოფა, მაგრამ განა აღქმა, ყურადღება და აზროვნება არ მონაწილეობს მასში?

**სულისა და სხეულის ერთიანობის აღიარება მოითხოვს გაირკვეს თუ როგორ არსებობს ეს მთლიანი, რომლის საფუძველზე ჩნდება სულიერი მოვლენები და განცდები;** გაირკვეს კონკრეტულად რა და როგორ გავლენას ახდენენ ერთმანეთზე სული და სხეული. ამ ურთიერთობისა და ურთიერთზე გავლენის განხილვის გარეშე, გაუგებარი იქნებოდა ერთიანი, ჰარმონიული არსების— ადამიანის არსებობაც და მისი ფსიქიკაც.

თუ ადამიანის ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ფაქტებიდან გამოვალთ, იგი, როგორც დასაწყისში ითქვა, ჯერ საკუთარ განცდებს, თავის სულიერ მოვლენებს, ამჩნევს და შერე ჩნდება სხვა შინაარსები. იგი ჯერ შეიგრძნობს ტკივილს, ხედავს, განიცდის შეხებას, წარ-

მოიდგენს, სიამოვნებს რამე, ან არ სიამოვნებს და ა. შ. ბავშვი თავდაპირველად სულაც ვერ ამჩნევს გულისა და სხვა ორგანოს მუშაობასაც კი. იგი არანაირად არ განიცდის თავისი ორგანიზმის ერთერთ ირიბად მოვლენას—ზრდას. ეს და სხვა მსგავსი მოვლენები იმით აიხსნება, რომ ჯერ სული და სულიერი, იდეალური უნდა იყოს და შემდეგ მოხდება ამ სულიერის გამოვლენა ორგანოებსა და ორგანიზმში, რომლებიც მართლაც ინსტრუმენტის სახით წარმოგვიდგება. ისინი შეიძლება ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტით შეიცვალოს, არსი კი ვერ შეიცვლება.

ახლა თანდათან იკიდებს ფეხს ნორმალური გაგება, რომ სული და იდეალურია პირველადი, რომ ჯერ იყო სიტყვა. სული უნდა ვეძიოთ. მას უნდა ვწვდეთ, ფსიქოლოგიამ კი სულიერი მოვლენები უნდა დაგვანახოს და აგვიხსნას. ადამიანისათვის პირველადი სულიერი პროცესები და განცდებია, რომელთა საშუალებით შემდგომ ვეძლევა სხეულებრივი ადამიანის მიერ წამიერად მთელი განვლილი ცხოვრების გაელვება ხომ იმის მაჩვენებელია, რომ სხეული არაა პირველადი და აუცილებელი საყრდენი, რომლის გარეშეც სული ვერ იარსებებდა. ცოდნა, გონება და ნებელობა სულის მიერ იმართება და მასაითვ უსაზღვრო და ამოუწურავია, ამიტომაცაა ისინი სულივით თავისუფალი და შემოქმედების საფუძველი.

სული ადამიანის მთელ ფსიქიკას ცნობიერებისა და ნებისყოფის საშუალებით მართავს, როგორც პირველადი და ყველაფრის საწყისი. როგორც სხეული ყველასათვის მისაწვდომია და თვითხილულია მაღალი უნარების გარეშეც, ასევე ფსიქიკურ პროცესებს, როგორც სელის გამლინებებს, როგორც თავის შინა სამყაროს, ადამიანი უშუალოდ განიცდის. მაგრამ არავითარი ფსიქიკა და აქტივობა არ იარსებებს ადამიანში, თუ სულმა დატოვა სხეული. უფრო მეტიც, ადამიანის სხეულიც დაიშლება როგორც ბუნების ნივთიერებანი და შეუერთდება მინერალებს. ამიტომ ვამბობთ, რომ **ადამიანის სხეულს სული იცავს, სული აცოცხლებს და ამოქმედებს.**

მაგრამ ეს არ ნიშნავს სულისა და სხეულის აბსოლუტურ გათიშულობას და თავისთავადობას. მათ შორის უფსკრული რომ იყოს, მერე ვეღარაფერი შეაერთებდა მათ. ადამიანის არსებობაში იმთავითვე იგულისხმება სულის აქტივობა ისევე, როგორც სიბნელე შეიცავს განათებულობის მომენტს, თორემ იგი ვერასოდეს განათდებოდა. სულისა და სხეულის ერთიანობა იმთავითვეა მოცემული ღვთაების მიერ, როგორც სულიდან მომავალი გამაერთიანებელი ენერგია, რომელიც სხეულში გადადის. მაგრამ სული სხეულს ვერ შეცვლის.

მის მაგიერობას ვერ გაწევს. მას სხეული ჭირდება თავისი გამოვლენისათვის.

ადამიანის ორგანიზმში ჩასახლებული სული აძლევს მას აქტივობას. ამოქმედებს, ანვითარებს და წარმოშობს გაბცდებს; მისი შემოქმედება და გავლენაა მთავარი. თუმცა ამით სხეულის სპეციფიკა არ იკარგება, მათი გაიგივება ისევე არ შეიძლება, როგორც ურთიერთშეცვლა. მაგალითისათვის შეიძლება სუნთქვითი მოძრაობები მოვიტანოთ, რომელიც ყველაზე ახლოსაა სულიერ მოვლენებთან. მათ გაიგივებას და ერთმანეთზე დაყვანას არავითარი გამართლება არა აქვს. ამის დაშვებით იმის აღიარებამდე მივალთ, რომ ყოველგვარ ცოცხალს, მცენარეებსაც კი, სული გააჩნია; ანდა პირიქით, რომ სული არ არსებობს დამოუკიდებელი სახით და იგი მხოლოდ მატერიალურის თვისება, ან მისი უბრალო თანმხლებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ **სულისა და სხეულის ერთიანობა და ურთიერთობა წარმოადგენს კონკრეტული ადამიანის არსებობის საფუძველს. ეს ერთიანობა და ურთიერთობა თვალსაჩინოდ ვლინდება სულისა და სხეულის ერთმანეთზე გავლენის ფაქტში.**

სულის სხეულზე ზეგავლენის მაჩვენებელია ჩვენი შინაგანი მდგომარეობის და განცდების ყოველგვარი გარეგანი გამოხატულება ისევე, როგორც ყოველგვარი მოქმედება. სულის უნარები იძლევა ვთელი ორგანიზმისა და სხეულის ნაწილების ამოქმედების ბიძგსა და საფუძველს. ადამიანების ერთმანეთთან ურთიერთობას მხოლოდდამხოლოდ სულის აქტივობა განაგებს.

ყოველგვარი ზეგავლენის საფუძველია ის, რომ სულს საკუთარი ცხოვრება აქვს და სხეულის აქტივობა კი მხოლოდ ინსტრუმენტის სახეს ატარებს, იგი სულის აქტივობის იარაღია. მისი გამომვლენია. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანის სულის წვდომა ასეთი გამოვლენების გარეშე არ შეიძლება მოხდეს.

ადამიანის განვითარების გზაზე სულის გავლენა მჟღავნდება შემეცნების ანუ ცოდნის მოპოვებისა და ადამიანის მიერ თავისი განზრახვის შესრულების პროცესებში. გონებისა და ნებისყოფის საშუალებით ადამიანი მართავს თავის სხეულს, მის ცალკეულ ორგანოებს და მთლიან აქტივობას.

სულის გავლენა საკუთარ სხეულზე და სხვა ადამიანებზე კარგად ჩანს მეტყველების ფაქტშიც: სიტყვა უდიდეს გავლენას ახდენს საკუთარი თუ სხვისი ორგანიზმის მდგომარეობაზე; გავიხსენოთ თვითშთაგონებისა და ფსიქოთერაპიის როლი ავადმყოფის განკურ-

ნებაში. ან ძნელი საქმის მოგვარებაში და საკუთარი სისუსტეების დაძლევაში.

ფსიქიკური პროცესების და სიტყვის საშუალებით ადამიანი უკავშირდება სხვა ადამიანებს და მთელ საზოგადოებას. სოციუმის, საზოგადოების, ერის, ქვეყნის და სახელმწიფოს ზემოქმედება კონკრეტულ ადამიანზე სულიერი აქტივობით ხდება. ეკონომიკური, თუ იურიდიული კანონები აზრისმიერი, სულიერი საფუძვლების პირველადობაა სხეულებრივ და ბიოლოგიურ ყოფაზე.

სულის აქტივობა აძლევს ადამიანის ყოფას და ქმედებას შემოქმედებით ხასიათს. მის გარეშე ადამიანი ვერ დაძლევდა პასიურობასა და შიშს, ვერ იქნებოდა თავისუფალი, ვერ მოახდენდა უკუგავლენას სხვებზე; ვერ შექმნიდა საკაცობრიო ღირებულებებს მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ამის გარეშე ვერც საკუთარი განცდების და ქმედების ფლობას მოახერხებს კონკრეტული პიროვნება, საკუთარი ქცევის და საკუთარი თავის ფლობა ამ ზოგადი სულიერი ღირებულებების ზემოქმედებით ყალიბდება. „მე“ და არა „მე“ სულის აქტივობით რეალიზდება და სხვაგვარად არც არავითარი აღზრდა და განათლება არ იარსებებდა.

ზემოთ წარმოებული მსჯელობა არ ნიშნავს იმას, რომ სულისა და სხეულის გავლენა ცალმხრივია. ჩვენს მიერ უკვე იყო საუბარი ურთიერთ გავლენაზე, ე. ი. ორმხრივ ზემოქმედებაზე. სადაც წამყვანი და მთავარი სულის გავლენაა; უფრო მეტიც, მის მიერ სხეულებრივს მართვაა. **მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხეულებრივის როლი დაკარგულია ადამიანის მთლიანობაში და იგი არავითარ გავლენას არ ახდენს სულზე.**

უნდა ითქვას, რომ არასრულყოფილ, დაქვემდებარებულ როლში არსებობს სხეულებრივი აქტივობებიც; ისინი მხოლოდ მაშინ იჩენენ თავს, როდესაც სულის აქტივობა შემცირებულია: ძილის დროს ან ჩვევების სახით, იმპულსური მოქმედებების სახით და სხვა. რა თქმა უნდა, ასეთივეა ავადმყოფური გამოვლინებანი, ბოდვები, ჰოლუცინაციები და სხვა.

მაგრამ უმთავრესი მაინც იმის აღნიშვნაა, რომ ისინი არ არსებობენ ცალკე, მტკიცე საზღვრით გამოყოფილად სულიერისაგან. ხშირად ისინი ავსებენ სულიერ აქტივობას და გადადიან კიდევაც მასში, თუ სული ამას საჭიროდ ცნობს. ისინი ისეთივე დამოუკიდებელი შეიძლება ჩანდნენ მთლიანი პიროვნებისაგან, როგორც წინასწათგრძნობა, ალღო, ინტუიცია და ა. შ.

სხეულებრივის ასეთი შედარებით დამოუკიდებელი არსებობა განაპირობებს მის ზემოქმედებას და გავლენას სულზე. სულიერი პროცესების და განცდების მიმდინარეობაზე. პირველ რიგში. აღნიშვნის ღირსია ტვინის და მისი ცალკეული ნაწილების გავლენა: როდესაც ისინი დაზიანებულია ხდება ორგანიზმში სულის სხვადასხვა უნარების შეფერხება ან სრული აღკვეთა. ასევე სულის ფუნქციების მოშლას ან გაუმჯობესებას იწვევს სისხლის შემადგენლობის მდგომარეობა, ან ორგანიზმში სითხეების მოძრაობა. არსებობს პირდაპირი ფიზიკო-ქიმიური გავლენაც: მაგალითად, ღვიძლის ან ნაღვლის წვენის მომშხამელელი ზემოქმედება მათი სისხლში მოხვედრის გამო. ასევე ითქმის ორგანიზმის სხვა სისტემებზეც (სუნთქვის, მონელების, სეკრეციის და სხვა).

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს გარე სამყაროსთან ფიზიკური კავშირის შესახებ. **გარეგანი გამღიზიანებლის და, გარედან მიღებული შთაბეჭდილებების როლი განუსაზღვრელად დიდია მთლიან აქტივობაში.** თუ ეს კავშირი არ არსებობს. ან ძალზე დასუსტებულია. ყოველგვარი აქტივობა ისპობა. კლინიკიდან ცნობილია ფაქტები, როცა ავადმყოფს შეგრძნების ორგანოთა დიდი ნაწილი დაზიანებული ქონდა, მას თითქმის სულ ეძინა და არავითარ აქტივობას არ ავლენდა. როცა გარემოსთან დამაკავშირებელი დარჩენილი კავშირი აღიკვეთება (ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ ცალი თვალი, ან ყური. უნდა მხოლოდ ერთი კიდური). მაშინვე ძილი ვითარდება.

ორივე სახის ურთიერთზეგავლენა იმის მაჩვენებელია. რომ **სულიერი მოვლენები არსებობს მხოლოდ სულისა და სხეულის ერთიანობით,** მთლიან, ცოცხალ არსებაში. სხვაგვარად განცდის არსებობა და გამოვლენა შეუძლებელია.

ცალკე უნდა აღინიშნოს სულიერი ზემოქმედების და ურთიერთგავლენის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობაზე და განკურნების პროცესზე. ყველასათვის ცნობილია ჯანმრთელობის დარღვევის ან ავადმყოფობის გაუარესების ფაქტები სულიერი (პირველ რიგში სიტყვიერი) ზემოქმედების საშუალებით. უფრო არსებითია განკურნების და ჯანმრთელობის აღდგენის შემთხვევები ასეთი ზემოქმედებით: საკმარისია გავიხსენოთ ფსიქოთერაპიის. შთაგონების. მკურნალისადმი რწმენის. ან პირიქით—უნდობლობის. შიშის და სხვა სახის ზემოქმედების შედეგები. მაგალითისათვის გავიხსენოთ ცნობილ ფსიქოთერაპევთა და რიგითი ექიმების მიერ უმძიმესი სენისაგან განკურნების ფაქტები; ან პირიქით. შიშისა და რისხვის უარყოფითი გავლენა. ცნობილია შიშის გამო. არა თუ დაავადების არამედ სიკვ-

დილის შემთხვევებიც; მძიმე უარყოფით შედეგებს იწვევს აგრეთვე უეცარი სიხარულიც; ცნობილია საკუთარი სხეულის ნაწილზე ყურადღების მიმართვის გზით ცვლილებების გამოწვევა (გაწითლება, ტკივილი, ქავილი და ა. შ.). ადვილი შესამჩნევია აგრეთვე ბავშვისადმი არასწორი დამოკიდებულებითა და აღზრდაში დაშვებული შეცდომების გამო, ზედმეტი მორიდებულობა ქცევაში, ან პირიქით სისასტიკე და თავშეუკავებულობა; ბავშვობაში განებივრებული ადამიანები ადვილად ვერ მართაევენ თავის თავს, ყველა წერილმანზე ღიზიანდებიან და კონფლიქტები მოსდით ირგვლივ მყოფ ადამიანებთან.

## § 4. სიცოცხლე და ფსიქიკა

არის თუ არა ფსიქიკა სიცოცხლის განუყრელი და ძირითადი ნიშანი, ან ხომ არ უდრის იგი პირდაპირ სიცოცხლეს?

იმ ფაქტიური ვითარებიდან, რომ მცენარეული და მიკროსამყარო არსებობს, სადაც სულიერზე და ფსიქიკურზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, აშკარა ხდება, რომ ფსიქიკა და სიცოცხლე არაა იგივეობრივი ცნებები. სიცოცხლის უმდაბლეს ფორმებში სული და ფსიქიკა არ არსებობს, თუმცა ფსიქიკა მხოლოდ ადამიანის კუთვნილება არაა; ამ აზრს კარგად გამოხატავს ქართული გამოთქმა „სულიერი არსება".

ფსიქიკური განცდების რეალური მოცემულობა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში აღინიშნებოდა. მანამდე სული სიცოცხლის პრინციპად ითვლებოდა. შემდეგ კი სიცოცხლის ფაქტორი სულ დაიკარგა და მისი ადგილი სულმა დაიჭირა; მაგრამ მაინც ძალიან ბევრს ნიშნავდა სულიერი მოვლენების რეალობის დადასტურება. როგორიცაა ჩვენი გამოცდილება, ცოდნა, აზრი, განცდა. მათ ყოველთვის აზის სუბიეტურობის ნიშანი: წარმოდგენები, აზრები, გრძნობები და ა. შ. ყოველთვის ჩემია, შენია, ან მისია და ბუნების საგნებისაგან განსხვავებით არსაიდან არ მოსულან, ისინი შინაგანია, არსებულია.

**ადამიანში სულიერი აქტივობა სიცოცხლის საწყისია;** რადგან სიცოცხლეს ბიძგი ჭირდება. სული სხეულში უნდა განთავსდეს. სხვაგვარად ადამიანი ვერ იცოცხლებს. ამდენად, თვითაქტივობა, თვითრეგულირება და თვითშენახვა განუყოფელია, ისინი ერთიანის სხვადასხვა ფორმით წარმოჩენაა.

სიცოცხლის დასაწყისად ორგანული ნივთიერებების წარმოქმნა ითვლება, რაც გარემოსთან ორგანიზმის მიერ სპეციფიკური ურთიერთობის დამყარებას გულისხმობს. კერძოდ, ცოცხალი ორგანიზმი

განუწყვეტელ კავშირშია გარემოსთან. იგი ითვისებს მატერიის, ბუნების, ნივთიერების ნაწილებს და გარდაქმნის საკუთარი ორგანიზმისათვის გამოსაყენებელ ნივთიერებად. ამავე დროს, ორგანიზმი უკვე გამოყენებულ, ან უვარგის ნაწილაკებს ისევ ბუნებას უბრუნებს. ასეთი აქტიური, სპეციფიკურად განსხვავებული, ურთიერთობა არაცოცხალ ბუნებაში არ არსებობს. იქ საგნები და მოვლენები პირდაპირ სპობენ ერთმანეთს. არავითარი სხვაობა არაა—რომელი რომელს მიიერთებს ან მიეერთდება. ამიტომ ერთის ზემოქმედება მეორეზე ყოველთვის დამანგრეველია.

სიცოცხლის ძირითადი დაპირისპირება ამ მოვლენისადმი აქტივობის პრინციპია. ცოცხალი ორგანიზმი აქტიურია, იგი თითონ ახდენს ზემოქმედებას საგნებზე და სხვა არსებებზე; იგი მოქმედებს, აქტივობს, იბრძვის. შევადაროთ პატარა მწერის ფუსფუსი ქარის მიერ ერთი ადგილიდან სხვაგან ქვების გადაგორებას. მექანიკური, წინასწარ ყოველად გაუთვალისწინებელი. უმიზნო მოძრაობები არავითარ ასიმილაციას და საკუთარი ორგანიზმისათვის მიერთებას არ გულსხმობს. მწერის მოქმედება კი მიზანშეწონილია. იგი თითონ, საკუთარი ძალისხმევით გადაადგილდება მიწის ზედაპირზე და რაც უფრო მთავარია, იღებს მისაგან იმას, რაც ესაჭიროება სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამრიგად, **უდავოა რომ არსებობს სიცოცხლის ორი სახე: სულის გარეშე და სულის საშუალებით.** სიცოცხლის ეს ორგვარი ბუნება და ორპლანიანობა კარგად ჩანს ადამიანში, სადაც სულიერი ცხოვრება განუყოფელია ორგანიზმისაგან და მისი აქტივობისაგან. ადამიანში სიცოცხლისათვის საჭირო აქტივობა შეიძლება ან პირდაპირ, ბიოლოგიური პროცესების სახით განხორციელდეს, ანდა არაპირდაპირ, ფსიქიკით გაშუალებულად. სულიერი აქტივობის სახით. მეორე შემთხვევაში ფსიქიკური განცდები სასიცოცხლო აქტივობის ხელშემწყობი და განმაპირობებელია. იგი სიცოცხლის არსებობისა და გარემოსთან შეგუების იარაღია.

თუ ზემოთ მოტანილ მწერის მოქმედებას სულიერი განცდების მქონე ორგანიზმს შევადარებთ, უდავოა რომ ორივე თავისი აქტივობით და ასიმილაციური პროცესების განხორციელებით ინარჩუნებენ სიცოცხლეს. მაგრამ სულიერი პროცესების მქონეებში მეტია ის, რომ ახლა „ბრმა" მოქმედებები კი არ სრულდება. არამედ გააზრებული. გონიერი მოქმედება ხორციელდება.

ყველაზე მთავარი ახლა. გარემოსთან ურთიერთობის პლანში ისაა. რომ **იწყება საგნებთან უკონტაქტო ურთიერთობა;** ეს ურთი-

ერთობა აღარ საჭიროებს უშუალო შეხებას და კონტაქტს საგანთან. იგი გაშუალებულია ფსიქიკით. ანუ სულიერი აქტივობით. ახლა საგნებთან უშუალო შეხებას და მათ ასიმილაციას წინ უსწრებს დანახვა. ყნოსვა. წარმოდგენა და ა. შ., რომელთა გარეშე უშუალო კონტაქტი და ასიმილაცია ვერ ხერხდება. ფსიქიკის საშუალებით გაადვილებულია საგნების ათვისება და გამოყენება. რადგან წინასწარ ხდება მონახვა და მოსინჯვა, საჭირო საგნებთან მიახლოვება და საჭირო თვისებების თუ ნაწილების მონახვა.

ამრიგად, ფსიქიკის არსებობა სიცოცხლის უფრო მაღალ საფეხურს ადამიანში აღწევს. ფსიქიკის საშუალებით სული ახდენს მთელი ორგანიზმის, ან ცალკეული ორგანოების ამოქმედებას და საჭირო ზომებს იღებს სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამიერიდან სიცოცხლის თვითშენახვა და ყველა საჭირო აქტივობა სულის გარეშე არ არსებობს. ცალკეულ ადამიანებში მისი საშუალებით ხდება სიცოცხლის გაგრძელება. რაც სულის უკვდავებით მიიღწევა. ადამიანში სული სიცოცხლის მომანიშნებელია, ახლა სიცოცხლე ახალ, უფრო განვითარებულ სახეს იღებს და იგი ღვთიური ელფერის მატარებელი ხდება.

სულის ასეთი არსებობა, ე. ი. მისი უკვდავება და მუდმივობა განაპირობებს მის გადასვლებს სხვადასხვა ორგანიზმში. მუდმივობა ენერგიასაც ახასიათებს. მაგრამ იქ ხდება ერთი სახიდან მეორეში გადასვლა. სული კი უცვლელად გადადის. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებშიც ხდება ენერგიის გარდაქმნა. მაგალითად, საკვები გარდაიქმნება სითბოდ და კუნთურ ძალად, კუნთური ძალაც-სითბოდან მექანიკურ ენერგიად და ა. შ. მაგრამ თავისი არსით და ბუნებით სულიერი და ფსიქიკური ენერგია სულ სხვაგვარი სახის უნდა იყოს: მისი შესწავლა მომავლის საქმეა. იგი თავს იჩენს არა მხოლოდ ინდივიდებში; საზოგადოების, ერის და ხალხის ენერგია გამოვლინდება მათ სულიერ მოღვაწეობასა და ისტორია-კულტურაში.

იქნება ამ მიმართულების გამოვლენაა ადამიანების ახალი უნარები, რომლებიც ასე მომრავლდა ბიოველების, თუ სიტყვის მაგიური ზემოქმედების ფაქტებში. აქაც ენერგიის გადასვლა და გადაცემა ხდება რაღაც სახით. არც სადღეისოდ მომრავლებული და გაძლიერებული ენერგიები უნდა იყოს შემთხვევითი, ბიოლოგიურთან ერთად რომ ჩნდება ატმოსფერულ და კოსმოსურ სივრცეში. ეს ყველაფერი ზომ სულიერ განცდებზეც ახდენს გავლენას და ადამიანის

აქტივობის გამკაცრებასა თუ შერბილებაშიც გამოვლინდება.

საბოლოოდ აღიარებულად უნდა ჩაითვალოს, რომ მიუხედავად სიცოცხლისა და ფსიქიკურის განსხვავებისა, ადამიანში სულის გამოვლინებანი მისი სიცოცხლის **არსი და საფუძველია. სიცოცხლე ადამიანში სულს შეაქვს და მას მოჰყავს; სიცოცხლე ორგანიზმის განსულიერებაა.** მართალია, სულიერი მოვლენები სხვა ცოცხალ ორგანიზმშიც არსებობენ, მაგრამ ადამიანში ეს სიცოცხლის ბოძებაა და მისი ახალი, მაღალი ფორმით გაგრძელებას წარმოადგენს.

## § 6. ფსიქიკა და ასახვა

როგორც უკვე ვნახეთ, სულიერი მოვლენები, ანუ ფსიქიკა ჩართულია ადამიანის სასიცოცხლო პროცესებში და ასულდგმულებს მის ორგანიზმს. ფსიქიკა, როგორც გარემოსთან შეგუების ორგანო, სასიცოცხლო მთლიან აქტივობაში გეეძლეეა განცდებისა და სულიერი აქტივობის სახით. მაგრამ ახლა აუცილებელია გავარკვიოთ ამ მთლიან პროცესში, კერძოდ რა როლს ასრულებს იგი, კონკრეტულად რა ფუნქცია აკისრია და რით უზრუნველყოფს ორგანიზმის შემგუებლობით, სასიცოცხლო აქტივობებს.

ფიზიკურ და ქიმიურ მოძრაობებსა და რეაქციებს რომ თავი დავანებოთ (სადაც არავითარი შეგუება და არც ფსიქიკა არ არსებობს), არც ცალკეული ორგანოების მიერ განხორციელებულ ბიოლოგიურ პროცესებს ჭირდება იგი. როგორც უმდაბლეს ორგანიზმებში საერთოდ, ისე მაღალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებში არ მონაწილეობს ფსიქიკა ჩვეულებრივ. ნორმალურ პირობებში, თუ რაიმე შემაფერხებელი გარემოება და სიძნელე არ გაჩნდა: აქ ფსიქიკა მხოლოდ ზოგადი მარეგულირებელი სახითაა ჩართული, როგორც მთლიანი აქტიობის წარმმართველი და მაორგანიზებელი.

ასეთი განსაკუთრებული მაორგანიზებელი ფუნქცია და როლი გარემოსთან შეგუების და სიცოცხლის შენარჩუნების პროცესში, უზრუნველყოფს ორგანიზმის მიზანშეწონილ მოქმედებებს. ე. ი. ფსიქიკა გამოდის გარკვეული სახით შუამავალი და შუამდებარე სიცოცხლის შესანარჩუნებლად საჭირო ბიოლოგიური პროცესების განხორციელების საქმეში. **მისი საშუალებით ხდება გარე საგნების და მოვლენების შესახებ საჭირო ინფორმაციის და ცოდნის მიღება, რაც საჭიროა აქტივობისა და სიცოცხლის შემდგომი გაგრძელებისათვის.** გარემოს შესახებ ასეთი ინფორმაცია მიიღება უკონტაქტოდ,

საგანთან პირდაპირი მექანიკური კავშირის გარეშე, ანუ ფსიქიკური და იდეალური ასახვის გზით. ჯერ ასეთი ასახვა უნდა მოხდეს და მერე გახდება შესაძლებელი მთლიანი ორგანიზმის აქტივობა და ცალკეული ორგანოების ამოქმედება.

უფრო ნათელი და კონკრეტული რომ იყოს ეს დებულება, აუცილებელია ფსიქიკის ძირითადი ფუნქციის—ასახვის ცნების გარკვევა.

ფსიქიკური ასახვა ასახვის ერთერთი, თანაც უმაღლესი ფორმაა. მისი სწორი გაგებისათვის აუცილებელია ასახვის უფრო დაბალი ფორმების გათვალისწინება.

**ასახვა, უფართოესი გაგებით, გულისხმობს რაიმე ზემოქმედების მიერ დარჩენილ კვალს, მის გამოხატვას.** საგნის ზემოქმედება სხვა საგანზე უკვალოდ არ ქრება, იგი თავის ნიშანს ტოვებს, რომელიც ზემოქმედი საგნის ბუნებას და მის თვისებებს აირეკლავს. ასეთი ასახვა დამახასიათებელია მთელი სამყაროსათვის, ყოველგვარი მატერიალური და ნივთიერი მოვლენისათვის. მაგალითად, ცომზე ან დარბილებულ სანთელზე ხელის მოჭერა კვალს ტოვებს მასზე; ცხელ რკინაზე უროს ცემა აბრტყელებს მას; თოვლზე ადამიანის სიარული ნაფეხურებს აჩენს მასზე და ა. შ. ბუნებაში ასეთი თვალსაჩინო სახით მოცემული კვალი ყველგან გვხვდება. ისინი წარმოდგენილია საგნებზეც და დედამიწის ზედაპირზეც (ქარის, ნალექების, ცხოველის თუ ადამიანის ზემოქმედების გამო).

ასეთი მატერიალური და თვალსაჩინო სახით მოცემული ასახვა საგანთა სხვადასხვაგვარი კავშირების გამოხატულებაა. არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე ასახვის პროცესები მხოლოდ ცალმხრივი ზემოქმედების შედეგია და მხოლოდ ზემომქმედი საგნის აქტივობას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, საგანთა ასეთი კავშირები იქნება ეს სივრცით, დროითი, მექანიკური, ენერგეტიკული, სხივური, თუ სხვა სახის, მიზეზ-შედეგობრივ ახსნას ექვემდებარება.

ასახვის ახალ და უფრო მაღალ ფორმას ადგილი აქვს ორგანულ სამყაროში. **ცოცხალ ორგანიზმებში აღმოცენდება ბიოლოგიური ასახვა,** რომელიც სიცოცხლისათვისაა დამახასიათებელი და უშუალოდ ედება საფუძვლად ფსიქიკურ ასახვას. გარემოსთან ახლებური დამოკიდებულება—ნივთიერებათა გაცვლა და ასიმილაცია-დისიმილაციის პროცესი ასახვის აქტიურ და თვითრეგულირებად ფორმას წარმოადგენს. არაცოცხალ სამყაროში ზემოქმედების ასახვა საგნის დაზიანებას, დამახინჯებას (ფორმის შეცვლას) და მოსპო-

ბა-განადგურებას გამოხატავს; ორგანულ სამყაროში კი მოცემულია ნივთიერების დაშლისა და ათვისების, მისი საკუთარ ორგანიზმთან მიერთების სახით. ამის საფუძველზე ორგანიზმი იზრდება, ძლიერდება და ინარჩუნებს წონასწორობას გარემოსთან, რის გარეშეც სიცოცხლე ვერ იარსებებს: ასახვის შედეგად ხდება არსებული სტრუქტურის შენარჩუნება ამისათვის საჭირო საგნების და თვისებების მოძებნა-ამორჩევის გზით.

ამდენად, ასახვის ეს ფორმაც მატერიალურ და ნივთიერ გამოსახულებას წარმოადგენს. მაგრამ იმდენად მაღალი ფორმით, რომ მას უფრო ფუნქციური, ნერვული პროცესი შეიძლება ეწოდოს. ვიდრე ფიზიკური და ნივთიერი ასახვა. იგი, როგორც ბიოლოგიური ასახვა სპეციფიკური სახით ვლინდება. ესაა გაღიზიანებადობა: **გარეგანი ზემოქმედება იწვევს ორგანიზმის გაღიზიანებას და მასში ბიოლოგიურ, ნერვულ პროცესებს.**

ბიოლოგიური ასახვა უზრუნველყოფს სასიცოცხლო პროცესებს, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში, შედარებით მარტივ და იოლ სასიცოცხლო პირობებში, სადაც შენარჩუნებულია ძირითადი პირობა: უშუალო და უმანძილო კონტაქტი საგნებთან. ბიოლოგიური პროცესები აღმოცენდებიან მხოლოდ საგნებთან ფიზიკური შეხების პირობებში; სოლო როდესაც გარემო პირობები გართულებულია და ასეთი კონტაქტი აღარ არსებობს, სიცოცხლეს კვლავ საფრთხე ემოქრება. ამ დროს აუცილებელია საგნების მოძებნა და მიგნება, რასაც სხვა, უფრო მაღალი უნარი და მექანიზმი ჭირდება. კერძოდ, ჯერ უნდა მოხდეს საგნის დანახვა, ყნოსვა, მოსმენა და ა. შ., მათთან უშუალო ფიზიკური კონტაქტის განხორციელებამდე. სწორედ ასეთ ასახვას წარმოადგენს ფსიქიკური განცდები

პირველი მარტივი გრძნობიერებიდან დაწყებული, ფსიქიკური ასახვა უზრუნველყოფს არა უშუალოდ, კონტაქტურად მოცემული, არამედ, დისტანტური, დაშორებული საგნის ასახვას. საგნის დანახვის და საერთოდ რაიმე სახით განცდის შემდეგ, ცოცხალი არსება უახლოვდება, ან პირიქით შორდება საგნებს, იგი მოძრაობს და მოქმედებს იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია ამ საგნებს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ან მისთვის ზიანის მოტანა.

**ფსიქიკური ასახვა იძლევა სურათს, ხატს, წარმოდგენას, აზრს და ა. შ. იგი არამატერიალური, იდეალური სახისაა.** ფსიქიკური ასახვა საგნის უშუალო, მექანიკური ზემოქმედების გარეშე ხდება. იგი იწყება აღქმისა და შეგრძნების საშუალებით საგნის თვალსაჩინო

ფიზიკური თვისებების განცდით და მოიცავს აზრს და მსჯელობას ამ საგნის შესახებ. ამ საგნით გამოწვეულ სიამოვნება—უსიამოვნებას და ა. შ.

მაგრამ ფსიქიკურ ასახვაში საგანთა ისეთი თვისებებია მოცემული, რომლებიც უშუალოდ ვერ აკმაყოფილებს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს: მასში მოცემული საგნის ფერი, ფორმა, სუნი და ა. შ. ვერც შიმშილს მოკლავს და ვერც წყურვილს. მაგრამ ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან, მათი წინაპირობაა. მისი როლი და მნიშვნელობა იმ საგნების მიგნება და მათზე მითითებაა, რომელთა მოპოვება და ათვისება აუცილებელია სიცოცხლისათვის.

რა თქმა უნდა, ფსიქიკური ასახვა კონკრეტული საგნის დანახვით და მოსმენით, მხოლოდ საგნის აღქმით არ შემოიფარგლება. მასში ყველანაირი ინფორმაციის და ცოდნის მიღება იგულისხმება და ამიტომაც არსებობს ისეთი პროცესები, როგორიცაა მეხსიერება, აზროვნება და სხვა. ამდენად ფსიქიკური ასახვით ხდება ყველაფერი ცნობილი და მისაწვდომი ადამიანისათვის: საგნებიც, მოქმედებებიც, ცოდნაც, მეცნიერებაც და ურთულესი თეორიებიც. სხვა გზა არ არსებობს; ჯერ განცდა და ფსიქიკური ასახვა უნდა განხორციელდეს როგორც აქტი, როგორც სულიერი მოვლენა და შემდეგ უნდა ვეძიოთ მის შინაარსში მოცემული მოვლენები და აზრები.

ამრიგად, **ფსიქიკური, ანუ იდეალური ასახვის გარეშე სულიერი და ფსიქიკური აქტივობა არ შეიძლება წარმოიშვას.** ადამიანის განცდა და მოქმედება ასახვის ფორმით იმართება ტვინის მიერ ორგანიზმის, როგორც იარაღის და ინსტრუმენტის საშუალებით. ასე მიიღწევა ის უმაღლესი ფსიქიკური პროცესები, რომლებიც თვით არეგულირებენ ყველა სხვა აქტივობას, ფსიქიკურსაც და სხეულებრივსაც.

## § 6. ფსიქოლოგიის მეთოდები და დარგები

ფსიქოლოგიის საგნის, მისი შესასწავლი ობიექტების გარკვევისა და ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, უკვე დგება საკითხი მათი კვლევაძიების, მათი არსებობის და მიმდინარეობის კანონზომიერებათა დადგენის შესახებ. ამას ჭირდება ფაქტების დაგროვება, შედარება თუ დახასიათება, მეცნიერული ანალიზი და განზოგადება. შესასწავლი საკითხების დასმა და საჭირო მასალის დაგროვება კი შემდეგ მოითხოვს დამუშავებას, მოწესრიგებას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას. ყოველივე ამას კი გარკვეული მეთოდები და ხერხები

ჭირდება: წინასწარ უნდა იყოს დადგენილი რა გზით და რა საშუალებებით მოხდება მასალის მოპოვება და დამუშავება.

მეცნიერული მუშაობა მოითხოვს თავის ტექნოლოგიას, ხერხს, საშუალებას. საჭიროა შესასწავლი საგნის შესაბამისად მოვლენებზე დაკვირვება, მათი შეკრება, დალაგება, ახსნა, ნაწილის მიკუთვნება მთლიანზე ან პირიქით, მისი გამოყოფა მთელიდან, ფაქტების შეჯერება, შედარება სხვა შედეგებთან; მიღებული დასკვნების მოთავსება და მორგება უკვე არსებულ ცოდნასთან; იმ წესების და კანონების დადგენა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს ესა თუ ის პროცესი და ა. შ.

მეცნიერული მუშაობის და კვლევა-ძიების გზებისა და ხერხების, ანუ ტექნოლოგიის ქონება გულისხმობს კვლევა-ძიების მეთოდების არსებობას. ყველა მეცნიერება თავის შესატყვის ტექნოლოგიას, ანუ მეთოდებსა და მეთოდიკებს იყენებს ფაქტიური მასალის დაგროვებისა და ანალიზისათვის.

**მეთოდი წარმოადგენს გზას, ხერხს, საშუალებას, რომლითაც ხდება მეცნიერული ფაქტებისა და ცოდნის მოპოვება.** მეთოდოლოგიისა და მეთოდების ზოგად საკითხებს შეისწავლის ფილოსოფია. მან უნდა გაარკვიოს თუ როგორ უნდა უზრუნველყოს მეცნიერული შემეცნების მეთოდმა ობიექტური კანონების ასახვა და საგნებისა და მოვლენების შესახებ სწორი ცოდნის მოპოვება. ხოლო თუ რამდენად სწორად მოხდა ეს და რამდენად შეესაბამება ჩვენი ცოდნა სინამდვილეს, ამას ცხოვრებისეული პრაქტიკა გვიჩვენებს. კერძოდ, პრაქტიკულ ცხოვრებაში, ადამიანთა მოქმედებებსა და ურთიერთობებში ელინდება ფსიქოლოგიური ცოდნის სისწორეც.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა სისტემაში ცალკეული დარგი სხვადასხვაგვარ მეთოდებს იყენებს, მაგრამ არსებობს ყველა დარგისათვის საერთო, ანუ ფსიქოლოგიის ძირითადი მეთოდები. ესენია: თვითდაკვირვება, დაკვირვება, ექსპერიმენტი, საუბრის მეთოდი, დოკუმენტების ანალიზი, ტესტირების მეთოდი და სხვა.

**თვითდაკვირვების მეთოდი წარმოადგენს საკუთარ სულიერ აქტივობაზე და განცდებზე დაკვირვებას და მათ აღწერას.** თვითდაკვირვებას სხვაგვარად ინტროსპექციას (შიგნით ხედვას) უწოდებენ და იგი მართლაც ჩვენს შიგნით, საკუთარ სულში ჩახედვას გულისხმობს. შორეულ წარსულში ამ მეთოდის აღმოცენება ადამიანის შრომა თავისი თავის აღმოჩენას წარმოადგენდა და ბუნებრივია სულისა და განცდების შემჩნევა და შესწავლა ადამიანმა ამით დაიწყო; შემ-

დგომში კი ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებისთანავე მის ძირითად მეთოდად იქცა. ეს გასაგებიცაა, რადგან ადამიანს თავისი განცდები ისევე უშუალოდ ეძლევა, როგორც გარე სამყაროს საგნები. მაგრამ მათგან განსხვავებით ეს შინაგანი სულიერი განცდები არაა მოცემული სხვებისათვის ისევე უშუალოდ, როგორც განმცდელ სუბიექტს ეძლევა. ისინი მხოლოდდამხოლოდ თვითდაკვირვებით გვეძლევა; ჩემს ტკივილს და წუხილს, ან ჩემს სიხარულს სხვა უშუალოდ ვერ განიცდის.

თვითდაკვირვების მეთოდი მოითხოვს გარკვეულ მომზადებას, საკუთარ თავში ჩაღრმავებას, შიგნით ხედვის უნარს. საერთოდ ცნობილია, რომ ადამიანი, პირველ რიგში, სხვაზეა მიმართული და უჭირს თავისი თავის შემეცნება. ამიტომ სასურველია ამ მეთოდის გამოყენების დროს შერჩეული იქნას თვითდაკვირვების უნარის მქონე და სათანადოდ შემზადებული ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი განცდების დაკვირვება და მათი აღწერა.

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ფსიქოლოგია ექსპერიმენტულ მეცნიერებად ითვლება, მაგრამ ეს თვითდაკვირვების უარყოფას არ ნიშნავს; ექსპერიმენტული მეთოდიკების დიდი ნაწილი ისევ და ისევ თვითდაკვირვების მონაცემებს ემყარება. ექსპერიმენტული მეთოდები ფსიქოლოგიაში თვითდაკვირვების ბაზაზე აღმოცენდა და არსებობს.

**დაკვირვების მეთოდი გულისხმობს რაიმე მოვლენის მიმდინარეობის პროცესზე დაკვირვებას და მის აღწერას.** ამ მეთოდს მრავალი მეცნიერება იყენებს. მაგალითად, ასტრონომი აკვირდება ციურ მნათობთა მოძრაობას, ფიზიკოსი თვალყურს ადევნებს სხეულის მოძრაობის სიჩქარეს, მედიცინის წარმომადგენელი აკვირდება რომელიმე ორგანოს მუშაობას და ა. შ. ყველა ამ შემთხვევაში ხდება თავისთავად, ჩვენი ჩარევის გარეშე მიმდინარე პროცესების აღწერა.

მსგავსად სხვა მეცნიერისა, ფსიქოლოგიც ახდენს დაკვირვებას ფსიქიკური პროცესების ბუნებრივ მიმდინარეობაზე ისე, რომ თითონ არაფერს ცვლის მასში. იგი აკვირდება, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საგანს, როგორ იხსომებს, ან როგორ აზროვნებს და ა. შ. დაკვირვების მეთოდის გამოყენება განსაკუთრებულ ყურადღებას და გამოცდილებას მოითხოვს. დაკვირვების დაწყებამდე ზუსტად უნდა გვქონდეს შეგნებული და დაგეგმილი კვლევის მიზანი: რა მომენტებს უნდა მივაქციოთ სპეციალური ყურადღება.

დღევანდელ პირობებში დაკვირვება, როგორც მხოლოდ უშუა-

ლოდ დამკვირვებლის მიერ თვალყურის დევნება და აღწუსხვა. ნაკლებ ეფექტური და ნაკლებად სანდოა; ამიტომ უფრო ხშირად იყენებენ **ინსტრუმენტული დაკვირვების** მეთოდს. ინსტრუმენტული დაკვირვება გულისხმობს ადამიანის მოქმედებისა და ფსიქიკის შესწავლას საგანგებო ხელსაწყო- აპარატურის გამოყენებით. ამ ხელსაწყოთა საშუალებით ხდება ადამიანის ცალკეულ პროცესთა და მოძრაობათა რეგისტრაცია და კონტროლი. ინსტრუმენტული დაკვირვების მეთოდებში შედის ქრონომეტრაჟი, ფოტო, კინო და ვიდეო გადაღება; ფიზიოლოგიური ცვლილებების რეგისტრაცია (ელექტროენცეფალოგრამა, ელექტროკარდიოგრამა, სისხლის წნევის გაზომვა) და ა. შ.

დაკვირვების მეთოდი ფართოდ გამოიყენება განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სხვა მეთოდების გამოყენება გაძნელებულია ან სულაც შეუძლებელია, რადგანაც მისი გამოყენება ნაკლებად ეფექტურია, იმის გამო, რომ დამოკიდებული ვართ თვით მოვლენაზე, ველოდებით როდის მოხდება იგი, ჩვენ მისი არც დაჩქარება შეგვიძლია და არც შეცვლა.

ამ ნაკლოვანებებს თავიდან გვაცილებს **ექსპერიმენტის, ანუ ცდის მეთოდი** (ზოგჯერ მას ხელოვნური დაკვირვების მეთოდსაც უწოდებენ). იგი **შესაძლებლობას იძლევა საჭიროების მიხედვით, ხელოვნურად, ჩვენი სურვილით გამოვიწვიოთ საკვლევი მოვლენა და ჩვენი სურვილითვე ვცვალოთ მისი პირობები.** მაგალითად, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ სწავლობს ბავშვი ლექსს, არაა აუცილებელი ველოდოთ როდის დაიწყებს იგი ლექსის დასწავლას,—ჩვენ თვითონ ვაწყებინებთ მას ლექსის შესწავლას და ვახდენთ დაკვირვებას. ექსპერიმენტული კვლევის მეთოდში კვლევის სისტემა მთლიანად იგეგმება და კონტროლდება ექსპერიმენტატორის მიერ.

ექსპერიმენტული მეთოდი ძირითადად **ლაბორატორიულ** პირობებში მიმდინარეობს; სადაც წინასწარ მოწესრიგებული გარემო და სპეციალურად შექმნილი სიტუაცია განაპირობებს მიღებული შედეგების სიზუსტეს.

ცხადია, ექსპერიმენტი დროისა და ძალების დიდ ეკონომიას იძლევა. მაგრამ მას სხვა უპირატესობანიც გააჩნია. კერძოდ, იგი გაცილებით ზუსტი და სანდოა, რადგან ექსპერიმენტში ჩვენ რამდენჯერმე შეგვიძლია გამოვიწვიოთ ერთი და იგივე მოვლენა, გავიმეოროთ ცდა სხვადასხვა პირობებში. ასევე იგი იძლევა კვლევის შედეგების რაოდენობრივი გამოსახვის, სტატისტიკურ-მათემატიკური დამუშავების შესაძლებლობას.

სწორად ამ უპირატესობათა გამო ექსპერიმენტის მეთოდი ძირითადად იქცა ფსიქოლოგიაში. მაგრამ ზოგიერთ დარგში. მაგალითად ბავშვის ფსიქოლოგიაში, მისი გამოყენება შედარებით ძნელია; რადგან ადვილად ვერ ხერხდება ამოცანის პირობების გაგებინება ცდისპირისათვის. კიდევ უფრო აუცილებელია იმის გათვალისწინება. რომ ცდისპირი სულ სხვაგვარად იქცევა მკვლევარის თანდასწრებით, ვიდრე ბუნებრივ პირობებში მოიქცეოდა.

ამ სიძნელიდანაც მოინახა გამოსავალი **ბუნებრივი ექსპერიმენტის სახით**, რომელიც ტარდება ჩვეულებრივ. ცხოვრებისეულ პირობებში. **ხელოვნური ექსპერიმენტისაგან განსხვავებით. ბუნებრივი ექსპერიმენტის დროს ისე ხდება მკვლევარისათვის საჭირო ფსიქიკური მოვლენის გამოწვევა და შესწავლა, რომ ცდის პირმა ამის შესახებ არაფერი იცის.** როდესაც. მაგალითად, გვინდა შევისწავლოთ, როგორ ხატავს პატარა ბავშვი, ჩვენ მის ოთახში. როდესაც იგი იქ არ იმყოფება. ვღებთ ფანქარს და ქაღალდს. რითაც ეუბიძგებთ მას ხატვისაკენ. ხოლო როცა ბავშვი ბუნებრივად. თავისით იწყებს ხატვას, ჩვენ ვაკვირდებით ამ პროცესს მისგან შეუმჩნეველად. ამ მეთოდში შენარჩუნებულია ორივე წინა მეთოდის დადებითი მხარეები: შესასწავლი პროცესის გამოწვევა ხდება ჩვენი სურვილისა და განზრახვის შესატყვისად და ამავე დროს, იგი ბუნებრივად. ჩვენი გავლენის გარეშე მიმდინარეობს.

**საუბარის და ანკეტირების მეთოდი გულისხმობს წინასწარ მომზადებული საკითხების მიხედვით ცდისპირთან საუბრის წარმართვას.** ამ დროს ჩვენ ადამიანის განცდას და მოქმედებას კი არ ვაკვირდებით, არამედ მას ვთხოვთ აზრის გამოთქმას რაიმე ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ. დღეისათვის, განსაკუთრებით სოციალურ ფსიქოლოგიაში, **ფართოდ გამოიყენება ანკეტისა და ინტერვიუს მეთოდები.** ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მეთოდები არსებითად თვითდაკვირვების მონაცემებს ემყარება.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მეთოდები პირდაპირი მეთოდებია, მათი საშუალებით პირდაპირ. უშუალოდ სულიერ პროცესებს ვიკვლევთ. მაგრამ ფსიქოლოგიაში გამოიყენება ისეთი მეთოდებიც. როცა საკვლევ პროცესს კი არ ესწავლობთ. არამედ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის შედეგებს ვაანალიზებთ. **ასეთ მეთოდებს დოკუმენტების ანალიზის და არაპირდაპირ მეთოდებს უწოდებენ.** ასეთია, მაგალითად შრომის, თუ სხვა მოქმედების შედეგების ანალიზი, ბიოგრაფიული და სხვა მასალების შეკრება და ანალიზი. ცნობილია ბავშვობის ცალკეული მხარეების შესახებ მოგონებები რაოდენ ხშირად

გეხვდება სათავგადასავლო და მემუარულ ნაწარმოებებში; ასეთივე მასალებს იძლევა ნახატები, ხელნაწერები, კინო-ფოტო და აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, სამსახურებრივი განკარგულებანი, მიმოწერები და სხვა ასეთი.

როგორც უკვე აღინიშნა, ფსიქოლოგიის კვლევის ამოცანებში შედის არა მხოლოდ ფსიქიკური მოვლენების ზოგადი და საერთო კანონზომიერების დადგენა, არამედ განსხვავებულობათა შესწავლაც: ადამიანები განსხვავებულად განიცდიან ერთსა და იგივე ფსიქიკურ პროცესებს: ზოგი უფრო ადვილად იმახსოვრებს, ზოგი კი ძნელად, ზოგს უფრო დიდხანს ახსოვს ნასწავლი, ზოგს მალე ავიწყდება; ზოგი თავისი თვალით ნანახს უკეთ იხსომებს, ზოგი კი—მოსმენილს და ა. შ. ასეთი ინდივიდუალური სხვაობები თავს იჩენს მოქმედების განსხვავებული წარმატებით შესრულებაში, განსაკუთრებით სხვადასხვა პროფესიული საქმიანობისას. ეს განსხვავებანი იმდენად ძლიერია, რომ მათი კომპენსაცია ვერ ხერხდება ვერც ხანგრძლივი სწავლითა და ვარჯიშით და ვერც ძლიერი მონდომებით.

ამ განსხვავებულობის დადგენის საჭიროების გამო **აღმოცენდა ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკა, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენს ფსიქიკურ უნარ-თავისებურებათა გაზომვა და კონტროლი.** იგი მიმართულია კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების ეფექტური გადაწყვეტისა და ამ პროცესის მართვის გაუმჯობესებისაკენ.

ფსიქოდიაგნოსტიკის ამოცანების განხორციელებისათვის ძირითადს წარმოადგენს **ტესტური მეთოდები,** როგორც ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური განსხვავებულობის შესწავლის საშუალება. ტესტი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს გამოცდას, შემოწმებას. წინასწარ დამუშავებული ტესტებით (ძირითადად სპეციალური კითხვარებით) ხდება დადგენილი ნორმებისადმი პიროვნების თვისებების და უნარების შესატყვისობის შეფასება. ტესტების გამოყენებით წარმოებს როგორც საერთო განვითარებისა და პიროვნული თვისებების, ისე პროფესიული უნარებისა და სასწავლო მიღწევების დიაგნოსტირება.

ტესტების მეთოდის დიდი ღირსებაა პრაქტიკული მოხერხებულობა და სიადვილე: მას არ ესაჭიროება ძვირად ღირებული აპარატურა და მასალები, ან წინასწარ ხანგრძლივი მზადება. არც მიღებული შედეგების დამუშავებას ჭირდება დიდი დრო. თავისთავადაც, ტესტი მოკლევადიანი დავალებაა, ადვილი შესასრულებელი, თანაც ასევე ადვილად გამოავლენს ადამიანის უნარებს და ცოდნა-ჩვევებს. ტესტირების მეთოდის გამოყენება აუცილებელია კოსმონავტების, მფრინავების და ზოგიერთი სხვა სპეციალისტების შერჩევისა და

მზადების პროცესში სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ არ გამოიყენება მასიურად სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

ზემოთ განხილული და სხვა კერძო მეთოდების გამოყენებით განპირობებულია ის დიდი მიღწევები და უდიდესი მონაპოვარი, რაც თანამედროვე ფსიქოლოგიას გააჩნია ბოლო ერთი საუკუნის განმავლობაში, ცხოვრებისეული საჭიროებიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიაში იმდენად დიდი მეცნიერული მონაპოვარი დაგროვდა, რომ მისი ერთ მთლიან მეცნიერებად არსებობა შეუძლებელი გახდა. ცალკეული მიმართულებების შესაბამისად, კვლევის პროცესში შეუძლებული ხდება მთლიან ცოდნაში საჭირო მასალის მიგნება და გამოყენება. ამ ვითარებამ, მსგავსად სხვა მეცნიერებებისა, განაპირობა ფსიქოლოგიის ცალკე ნაწილებად, ანუ დარგებად დაყოფა.

დღეისათვის ფსიქოლოგიური მეცნიერება ათეულობით დარგებს და ქვედარგებს აერთიანებს. ჩვენ მათგან მხოლოდ ზოგიერთს გამოვყოფთ და მოკლედ მიმოვიხილავთ.

ფსიქოლოგიის ერთერთი ყველაზე უძველესი და კარგად განვითარებული დარგია ასაკობრივი ფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი მისი ის ნაწილი, რომელიც ბავშვობის ასაკს შეისწავლის. **ასაკობრივი ფსიქოლოგია შეისწავლის სულისა და ფსიქიკის განვითარება-გამოვლენას ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასაკებში.** საკუთრივ ბავშვის სულიერ, ფსიქიკურ განვითარებას დაბადებიდან ზრდის დასრულებამდე.

ასაკობრივი ფსიქოლოგია გვაძლევს იმ კანონზომიერებებს, რომელთა მიხედვით იცვლება სულიერ გამოვლინებათა სახეები ასაკის ცვლილებასთან ერთად. იგი გვიხასიათებს იმ გზას, რომელსაც გაივლის ბავშვის ფსიქიკური პროცესების განვითარება ნორმალური, ზრდასრული ადამიანის გავლის სიბერემდე.

ასაკობრივი ფსიქოლოგიის კვლევის ამოცანას წარმოადგენს, აგრეთვე, ბავშვის პიროვნების განვითარება და ჩამოყალიბება. მან უნდა აჩვენოს როგორ მიმდინარეობს სხვადასხვა მოქმედების პროცესში ბავშვის პიროვნული განვითარება და სრულყოფილი სახით ჩამოყალიბება.

ასაკობრივი ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირშია ფსიქოლოგიის სხვა დარგებთან. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იგი ამოდის ზოგადი ფსიქოლოგიიდან, ემყარება მის მონაცემებს ფსიქიკური პროცესების და მათი მიმდინარეობის კანონზომიერებების შესახებ და ამ პროცესების ისეთ თავისებურებებს ადგენს, რომლებიც ბავშვობის ასაკისათვისაა დამახასიათებელი.

თავის მხრით, ასაკობრივი და ბავშვის ფსიქოლოგია დახმარებას უწევს როგორც ზოგად, ისე პედაგოგიურ ფსიქოლოგიას. იგი ავსებს და აზუსტებს ზოგადი ფსიქოლოგიის მონაპოვარს, ხელს უწყობს ცალკეული პროცესების ფსიქოლოგიური მექანიზმების გახსნას და ზოგადი კანონზომიერებების დადგენას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიას კი აწვდის მონაცემებს ცალკეული ასაკის ბავშვის ფსიქიკური ძალების და შესაძლებლობების შესახებ, რის გარეშეც შეუძლებელია შესწავლილ იქნეს როგორ შეიძლება აღმზრდელობითი ზემოქმედების გზით ამ განვითარების დაჩქარება და გაუმჯობესება, ან როგორ უნდა მოხდეს სწავლებისა და აღზრდის პროცესების ორგანიზაცია.

**პედაგოგიური ფსიქოლოგია შეისწავლის ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებებს სწავლებისა და აღზრდის პროცესში.** მისი კვლევის საგანი და ამოცანები გულისხმობს აღზრდისა და სწავლის ეფექტური საშუალებების და ხერხების მონახვას. მან უნდა გამოავლინოს საერთოდ აღზრდის და კერძოდ გონებრივი განვითარების მაჩვენებლები, უნდა დაადგინოს ის თავისებურებანი, რომლებიც ბავშვის ცალკეული უნარების განვითარებას და ამ განვითარების მართვას ახასიათებს.

პედაგოგიური ფსიქოლოგია იკვლევს აგრეთვე აღმზრდელისა და მასწავლებლის პიროვნულ თავისებურებებს, მისი საქმიანობის წარმატებით გახორციელების პირობებს და პედაგოგიურ ოსტატობას. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის შესწავლა, რაც პედაგოგიური ფსიქოლოგიის გადაუდებელი ამოცანაა.

**დიფერენციალური ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქოლოგიურ სხვაობებს ადამიანთა შორის.** იგი იკვლევს არა ფსიქიკის საერთო, ყველასათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს, არამედ მხოლოდ იმ თავისებურებებს, რაც ცალკეულ ადამიანებს, ან ადამიანთა ჯგუფს ახასიათებს. მსგავსად ასაკობრივი ფსიქოლოგიისა, დიფერენციალური ფსიქოლოგიაც მოიცავს სხვადასხვა ნაწილებს ადამიანთა განსხვავებული ჯგუფების შესაბამისად. ასე მაგალითად, ცალკე დარგები სწავლობს განსხვავებას ასაკის, სქესის, პროფესიის და სხვა ნიშნების მიხედვით; ახალგაზრდობის და ხანდაზმულობის ფსიქოლოგიას, ან ქალის და მამაკაცის ფსიქოლოგიას, ანდა მასწავლებლის და ექიმის ფსიქოლოგიას და სხვა. დიფერენციალური ფსიქოლოგიის ამოცანებში, სოციალურ ფსიქოლოგიასთან ერთად, შედის აგრეთვე

სხვადასხვა ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებების, ადამიანთა ჯგუფების კვლევა.

შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია გამოყენებითი ფსიქოლოგიის ერთერთი დარგია. **შრომის ფსიქოლოგია შეისწავლის შრომის პროცესში მყოფი ადამიანის ფსიქიკას.** მისი კვლევის საგანია, ისევ ადამიანის ფსიქიკური აქტივობის კანონზომიერებანი, მაგრამ კონკრეტული შრომითი აქტივობის პროცესში და მეორეს მხრივ, შრომა, როგორც მოქმედება, მისი ფსიქოლოგიური კომპონენტები და ფაქტორები. მის უშუალო პრაქტიკულ ამოცანას შეადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდის ფსიქოლოგიური საფუძვლების მონახვა და პროფესიული შრომისათვის საჭირო პიროვნული ნიშან-თვისებებისა და უნარების ჩამოყალიბება. **ხოლო საინჟინრო ფსიქოლოგია შეისწავლის ავტომატიზირებული მართვის სისტემაში მყოფი ადამიანის მოქმედებას, ადამიანსა და მანქანას შორის ფუნქციების განაწილებას და შესაბამისობას.** ამ დარგის წარმოშობა უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენს საუკუნეში მომხდარ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციასთან. მის ძირითად ამოცანად ითვლება ოპტიმალური სისტემების შექმნის მიზნით, შრომის იარაღებისა და საერთოდ ტექნიკის მორგება ადამიანისადმი.

**სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის სხვადასხვა ჯგუფებში მყოფი ადამიანის ქცევის კანონზომიერებებს და თვით ამ ჯგუფების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს.** მისი კვლევის ამოცანებში შედის პიროვნების ფსიქოლოგიის შესწავლა, სოციალური ჯგუფებისა და კოლექტივების ფსიქოლოგიური დახასიათება, ერთობლივ მოქმედებაში მყოფ ადამიანებს შორის ურთიერთობისა და პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების კვლევა.

სოციალური ფსიქოლოგია მჭიდრო კავშირშია მოსაზღვრე მეცნიერებებთან: სოციოლოგიასთან, ფილოსოფიასთან, პედაგოგიკასთან. მისი ცოდნა საჭიროა თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით კი აღსაზრდელზე სოციალურ-პედაგოგიური ზემოქმედების მომავალი პერსპექტივების გათვალისწინებისა და პიროვნული თვისებების ფორმირებისათვის. იგი აძლევს პედაგოგებს ცოდნას იმ მეცნიერული გზების შესახებ, რაც საჭიროა კოლექტივების ჩამოყალიბებისათვის, ადამიანისათვის დამახასიათებელი ურთიერთობის აღზრდისათვის.

**სამედიცინო და პათოფსიქოლოგია შეისწავლის ექიმისა და ავადმყოფის მოქმედებისა და ურთიერთობის ფსიქოლოგიურ ასპექტებს; ფსიქიკის პათოლოგიურ გამოვლინებებს.** ეს დარგი იკვლევს

ცალკეულ სპეციფიკურ საკითხებს; მაგალითად, ფსიქიკური პროცესების დამოკიდებულება ტვინის ნაწილებისადმი, წამლების გავლენა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშემწყობი პირობები და სხვა. სამედიცინო ფსიქოლოგიის დარგები აგრძელებენ ფსიქოლოგიისა და მედიცინის მრავალსაუკუნოვან კავშირს და ურთიერთხელსაყრელ ზეგავლენას.

**ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფსიქოლოგია იკვლევს ადამიანის ფსიქიკის გამოვლენის და განვითარების კანონზომიერებებს ფიზიკური აღზრდის, სპორტული წრთვნისა და შეჯიბრების პირობებში.** იგი ეფუძნება ზოგად, პედაგოგიურ, სოციალურ და სამედიცინო ფსიქოლოგიას, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს თავისი კვლევის საგნის დამოუკიდებლობას.

**შედარებითი ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის განვითარებას ფილოგენეზში.** იგი იკვლევს ცხოველთა ფსიქიკას (ზოოფსიქოლოგია) და ფსიქიკის ისტორიული განვითარების ფორმებს. შედარებით ფსიქოლოგიას, ასაკობრივი ფსიქოლოგიის დარგებთან ერთად, ზოგჯერ აერთიანებენ ერთ დარგად და გენეტიკურ ფსიქოლოგიას უწოდებენ.

ფსიქოლოგიას ამ დარგებთან ერთად, **არსებობს აგრეთვე: იურიდიული, სამხედრო, რეკლამის, ვაჭრობის, ხელოვნების, „სპეციალური" (ანომალურ ბავშვთა შემსწავლელი), საავიაციო, კოსმოსური ფსიქოლოგია და სხვა.**

ფსიქოლოგიის დარგებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ზოგად ფსიქოლოგიას;** რადგან იგი, ერთის მხრივ, ცალკე საკუთარი კვლევის საგანს შეისწავლის და მეორეს მხრივ, მისი კვლევის სფერო გაცილებით ფართოა და მოიცავს ფსიქიკის ყოველგვარ გამოვლენას. ამიტომ ზოგადი ფსიქოლოგია ყველა დარგის საფუძველია და მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიის ცალკე დარგად. ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მისი უკუკავშირიც: იგი მონაცემებს იღებს ცალკეული დარგებისაგან და შემდეგ ერთგვარ აბსტრაქციას ახდენს: გამოარჩევს იმას რაც საერთოა, რაც ზოგადია. **ზოგადი ფსიქოლოგია შეისწავლის ზრდასრული, ნორმალური ადამიანის ფსიქიკას და ადგენს ზოგად პრინციპებს და ამოსავალ ცნებებს.** ამდენად, იგი ერთგვარი შესავალი და საფუძველია კონკრეტული დარგებისათვის.

## § 7. ფსიქოლოგია და ცხოვრება

ფსიქოლოგია, ისევე როგორც სხვა მეცნიერებანი და ცოდნა

საერთოდ, პრაქტიკულმა ინტერესებმა და ცხოვრებამ წარმოშვა ფსიქოლოგიური ცოდნა პრაქტიკული საქმიანობისა და მოღვაწეობის პროცესში იქმნება და მასვე ემსახურება. ასეთი ორმხრივი კავშირი რეალურ ცხოვრებასთან თავიდანვე ახასიათებდა ჩვენს მეცნიერებას და ამიტომაც შეიქმნა მისი პრაქტიკული დარგები, რომლებიც უშუალოდ ადამიანურ ყოფას და მოქმედებას ემსახურებიან. ამავე დროს, ფსიქოლოგია ფუნდამენტალურ მეცნიერებას წარმოადგენს და სამყაროს შემეცნებაში არსებითი როლი განეკუთვნება.

თანამედროვე ფსიქოლოგია წარმოადგენს თეორიულად გამართულ და ექსპერიმენტულ მეთოდების გამოყენებაზე დაფუძნებულ მეცნიერებას. მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს სულიერი წარმონაქმნები: ფსიქიკური პროცესები და პიროვნების თვისებები (ფსიქიკური მდგომარეობანი), რომელთა კანონზომიერებებს ვერ შეისწავლის და დაადგენს ვერცერთი სხვა მეცნიერება.

დღევანდელი ფსიქოლოგია ფართო სამეცნიერო ქსელს მოიცავს: მას ყველა ქვეყანაში აქვს თავისი საკვლევი ინსტიტუტები, ლაბორატორიები, სასწავლო და სხვა დაწესებულებანი. არსებობს მსოფლიო და რეგიონალური ფსიქოლოგიური საზოგადოებანი და ასოციაციები, გამომცემლობანი, ჟურნალები; მზადდება კადრები საკუთრივ ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე დარგებისათვის.

**დღევანდელი ფსიქოლოგია ფართოდ შეიჭრა ცხოვრების ყველა სფეროში და გამოყენებით მეცნიერებად იქცა.** როგორც ითქვა, დიდი ხანია იგი მხოლოდ თეორიულ დანიშნულებას გასცდა და პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა. ფსიქოლოგიას ერთერთი პირველი ადგილი უჭირავს ადამიანის შესახებ მეცნიერებებში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტით. მისი ცოდნა ეხმარება ადამიანებს ყოფა-ცხოვრებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში. ამასთანავე, აღნიშვნის ღირსია ისიც რომ ფსიქოლოგია ამდიდრებს ადამიანის ცოდნას, ხელს უწყობს სწორი მსოფლმხედველობის გამომუშავებას და ეხმარება პროფესიათა დაუფლებაში.

ფსიქოლოგიური ცოდნა ეხმარება პედაგოგებს, ხელოვნების და ლიტერატურის დარგის მუშაკებს, ექიმებს, ინჟინრებს, პოლიტიკურ და ხელმძღვანელ მუშაკებს და სხვებს. შეიძლება ითქვას, რომ **იგი საჭიროა ყველასათვის, ვისაც ადამიანებთან აქვს საქმე.**

განსაკუთრებული როლი ენიჭება ფსიქოლოგიას აღზრდისა და სწავლების საქმეში. ფსიქოლოგიის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია მასწავლებელისა და აღმზრდელ-პედაგოგის მუშაობა; არავითარი სწავლება არ შეიძლება განხორციელდეს ისე, თუ არ ვიცნობთ

ბავშვის სულს, მის ფსიქიკურ შესაძლებლობებს და თვისებებს და ცოდნის ათვისების ფსიქიკურ კანონზომიერებებს. აღზრდის პროცესი ბავშვის ფსიქიკაზე ზემოქმედებას და მისი სასურველი მიმართულებით განვითარებას გულისხმობს: ასეთი ზემოქმედების განხორციელებისათვის უნდა ვიცოდეთ, როგორია ცალკეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებანი და ასაკობრივი შესაძლებლობები.

**ფსიქოლოგიური ცოდნა დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე თვითაღზრდისა და საკუთარი მოქმედებების ფლობისათვის,** თვითცნობიერების ფორმირებისათვის. ფსიქოლოგიის კარგ მცოდნეს ადვილად შეუძლია შეამჩნიოს საკუთარი ნაკლოვანებანი და იზრუნოს მათ აღმოფხვრაზე; ყოველთვის გააზრებულად და შეგნებულად იმოქმედოს, ადვილად დაამყაროს კონტაქტი სხვა ადამიანებთან.

ფსიქოლოგიის ცოდნა საჭიროა ადამიანთა შრომის სწორი ორგანიზაციისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და შრომის პირობების მოწესრიგებისათვის. ყოველგვარი საწარმოო შრომა გულისხმობს ადამიანებსა და მანქანებს, ამიტომ საჭირო ხდება მანქანების კონსტრუირების დროს ადამიანის უნარებთან მათი შესაბამისობის გათვალისწინება. მეორეს მხრივ, საჭიროა მანქანების ეფექტური გამოყენება, მათი მართვის უნარისა და ჩვევების შემუშავება. ორივე ეს ამოცანაა წარმატებით წყდება მეცნიერული ფსიქოლოგიის მონაცემების გათვალისწინებით. დიდია ფსიქოლოგიის მნიშვნელობა ცალკეული პროფესიების შესწავლისა და დაუფლების საქმეში, იგი გვეხმარება პროფესიათა არჩევაში.

ფსიქოლოგიის ცოდნა ჭირდება აგრეთვე, ექიმებს და სამედიცინო დარგის სხვა მუშაკებს. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას და ავადმყოფის განკურნებას მასთან თბილი და ტაქტიანი დამოკიდებულება ჭირდება, რადგან ექიმი მთლიან პიროვნებას კურნავს და არა ამა თუ იმ ავადმყოფობას.

მწერლების და ხელოვნების სხვა მუშაკებისათვის ადამიანის სულიერი სამყაროს შესახებ ცოდნის საჭიროება ოდითგანვე იყო ცნობილი. დღევანდელი ფსიქოლოგია კიდევ უფრო მეტს აკეთებს ამ ჭრილში.

ადამიანთა მოქმედების საზოგადოებრივი ღირებულება განსაზღვრულია საზოგადოების მორალური ნორმებით და კანონმდებლობითი აქტებით. ჯერ კიდევ საჭიროა ამ ნორმების დამკვიდრების გამოვლენა და მათზე აღმზრდელობითი ზემოქმედება. აქაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ფსიქოლოგიას, რადგან მხოლოდ იგი ხდის გასაგებს ადამიანის ქცევის მოტივებს, გვათვალისწინებს დანაშაუ-

ლის სუბიექტურ მხარეებს და ხელს უწყობს სიმართლის გამოძიებას.

დიდი როლი ენიჭება ფსიქოლოგიას სპორტში, რეკლამისა და ვაჭრობის სფეროში, ადამიანთა კოლექტივების ორგანიზაციისა და მართვის საქმეში. ფსიქოლოგიის ცოდნა ეხმარება ადამიანს როგორც საკუთარი, ისე სხვა ადამიანების განცდებისა და ქცევის მოწესრიგებაში.

ფსიქოლოგიის ამოსავალ პრინციპებსა და დებულებებში გათვალისწინებულია რომ ფსიქიკა მოქმედებაში ვლინდება, რომ იგი მოქმედების გარეშე არ არსებობს. ადამიანი გარე სინამდვილესთან მუდმივ ურთიერთობაშია. ახდენს მის ასახვას, მასზე ზემოქმედებას. იგი სინამდვილის საგნების გამოყენებით ასრულებს მოქმედებებს და ოპერაციებს. ადამიანი არ რჩება მკვრეტელობით და პასიურ როლში სინამდვილის მიმართ. იგი ცვლის გარე სინამდვილის საგნებს, აძლევს მათ ისეთ სახეს, რომ გამოსადეგი გახდეს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ამ მთლიანი ასახვისა და მოქმედების პროცესში, ჩართულია როგორც შემეცნების პირველი საფეხური—გრძნობადი მასალის ამსახველი ფსიქიკური პროცესები. ისევე აზროვნება და ემოციურნებელობით სფერო, ადამიანის მთლიანი სულიერი აქტივობა. ადამიანი ცხოვრობს სხვა ადამიანებთან ერთად, ამყარებს მათთან ურთიერთობას და მოქმედებს მათთან ერთად; ამიტომ გარე სინამდვილის ასახვა მის ცნობიერებაში განპირობებულია იმ საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური პირობებით, რომელშიც თითონ იმყოფება, რომელშიც აღიზარდა.

**ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერული ცოდნის ერთერთი დარგი, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა მეცნიერებებთან,** იყენებს მათ მონაცემებს და თავის მხრივ ეხმარება მათ.

ფსიქიკის კავშირი მატერიალურ სამყაროსთან და ადამიანში სულისა და სხეულის ერთიანობა აყენებს საკითხს ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო დარგებთან კავშირის შესახებ. იგი განუყრელადაა დაკავშირებული საბუნებისმეტყველო დარგებთან და განსაკუთრებით კი ზოგად ბიოლოგიასთან და უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიასთან.

თანამედროვე ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა ჩ. დარვინის მოძღვრებას ცოცხალი ორგანიზმების შესახებ. მან დაადგინა, რომ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ შეცვლილ გარემოსთან ცოცხალი ორგანიზმის შეგუებისათვის სხეულებრივი ცვლილებების აუცილებლობას და ახალი ორგანოების წარმოშობას.

დარვინის მიერ ცხოველთა ინსტინქტების ევოლუციის პრინციპებით ახსნა. შემდეგში განვითარებული იქნა ქცევის უფრო მაღალი, შეძენილი ფორმების ახსნისთვისაც. ამით დარვინმა საბოლოოდ დაძლია ფსიქიკური მოვლენების როგორც ქცევის უბრალო თანმხლების გაგება და აჩვენა მათი რეალური ძალა გარემოსთან ურთიერთობისა და შეგუების საქმეში, რომ ფსიქიკა ამ შეგუების იარაღია.

ფსიქოლოგიის კავშირის შესახებ ფილოსოფიასთან და სოციალურ მეცნიერებებთან, უკვე ითქვა და გასაგებიცაა. მაგრამ ასევე მტკიცე კავშირშია იგი ტექნიკურ მეცნიერებებთან. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ტექნიკის ახალ-ახალი მიღწევები შესაბამისად ახალ მოთხოვნებს აყენებენ ადამიანისადმი, მისი საერთო უნარ-თვისებისადმი. ასეთი ცოდნის გარეშე ტექნიკა ვერ განვითარდება.

**ფსიქოლოგია განუყრელადაა დაკავშირებული პედაგოგიურ მეცნიერებასა და პრაქტიკასთან.** პირველი დარგი, რომელიც ფსიქოლოგიურ ცოდნას საჭიროებდა და აგროვებდა კიდეც, პედაგოგიკა იყო. უძველესი დროიდან დაწყებული აღმზრდელ-პედაგოგები, მსგავსად ექიმებისა, პრაქტიკულად იყენებენ ადამიანის ფსიქიკის ცოდნას.

თანამედროვე ფსიქოლოგია აგრძელებს და აღრმავებს ამ კავშირს აღზრდის საქმესთან. იგი პედაგოგიურ მეცნიერებას აწვდის ცოდნას ფსიქიკური აქტივობის და თვისებების შესახებ. ამიტომ პირველი ადგილი პედაგოგიკისათვის საჭირო ცოდნაში, ფსიქოლოგიას მიეკუთვნება. პედაგოგიკა ვერ იარსებებს ფსიქოლოგიური საფუძვლების გარეშე: სასწავლო მასალის სწორად განაწილებისათვის აუცილებელია შემეცნებითი პროცესების კანონზომიერებათა ცოდნა: იმ ფსიქოლოგიური მექანიზმის გათვალისწინება, რომლის საშუალებითაც ხდება ცოდნის ათვისება. ასევე პიროვნების ფორმირებისა და საერთოდ ყოველგვარი აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვისათვის აუცილებელია ფსიქიკური თვისებების ზოგადი კანონზომიერებებისა და ინდივიდუალურ, თუ ასაკობრივ თავისებურებათა გათვალისწინება.

უმჭიდროესი კავშირებით ფილოსოფიასთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან და პედაგოგიკასთან, ფსიქოლოგია გამოავლენს თავის მრავალმხრივობას.

ფსიქოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ სულის გამოვლინებათა შესახებ განვითარების გრძელი ისტორია გამოიარა. მის განვითარებაში მრავალმა დიდმა მეცნიერმა და ფსიქოლოგიურმა სკოლამ შეი-

ტანა თავისი წვლილი. მის განვითარებაზე, საკუთრივ ფსიქოლოგიური მიმდინარეობებთან ერთად, გავლენა მოახდინეს ფილოსოფოსებმა და ბუნებისმეტყველებმა, ადამიანის შესახებ მეცნიერებებმა და განსაკუთრებით თეოლოგიამ.

თანამედროვე ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის შემქმნელად ითვლება დიდი გერმანელი მეცნიერი **ვილჰელმ ვუნდტი**, რომელმაც ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინ შექმნა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია და დაიწყო ექსპერიმენტული კვლევა. ამ ლაბორატორიაში და მის ბაზაზე შექმნილ გერმანულ კვლევით ცენტრებში ალიზარდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთაც თავიანთ ქვეყნებში დააფუძნეს მეცნიერული ფსიქოლოგია და ცნობილი მიმდევრობანი და სკოლები ჩამოაყალიბეს. **მათ შორისაა ჩვენი თანამემამულე, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის შემქმნელი დიმიტრი უზნაძე**, რომლის მოძღვრება ცნობილია მთელს მსოფლიოში განწყობის ფსიქოლოგიის სახელით.

დიდი ქართველი ფსიქოლოგი, პედაგოგი და ეროვნული მოღვაწე, დიმიტრი უზნაძე არის ორგინალური ფსიქოლოგიური თეორიის შემქმნელი. მან უმაღლესი განათლება გერმანიაში მიიღო ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში და სამშობლოში დაბრუნებისთანავე შეუდგა პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. დიდ მეცნიერულ ნიჭთან ერთად, მას ჰქონდა ადამიანთა შემოკრების, ერთიან საქმეში ჩაბმის და მათი მართვის უნარი. იგი იყო სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის ნამდვილი დიდოსტატი. მან პირველმა ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში გახსნა ქალთა და პედაგოგიური სასწავლებლები იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელი; აქვე გახსნა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია და კათედრა. ხოლო 1943 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაარსა ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მის სახელს ატარებს. მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ფსიქოლოგიის თითქმის ყველა დარგს.

მთავარი მაინც მის მიერ მსოფლიოში ცნობილი ორიგინალური **განწყობის თეორიის შექმნაა**. ნახევარ საუკუნეზე მეტია მსოფლიოს ფსიქოლოგიური მიმდინარეობები დიდ ანგარიშს უწევენ დ. უზნაძის მიერ შექმნილ ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას.

დღევანდელი ფსიქოლოგია მრავალსახოვანი და ბევრის მომცველია. იგი ჩაბმულია ადამიანის სამსახურში და თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ საქმიანობაშიც გვეხმარება. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის ახლებური როლი მეცნიერებისა

და რწმენის ერთიანობის საფუძვლების შექმნაში. ფსიქოლოგიის ცოდნა და მისი მონაცემების პრაქტიკულად გამოყენება გვეხმარება კეთილგანწყობილობის, შეწყნარების, სათნოების, გულმოწყალების მიღწევაში. ამის გარეშე კი თანამედროვე, განათლებული და განვითარებული პიროვნება არ შეიძლება არსებობდეს. ადამიანის სიყვარული და ზნეობრივი დამოკიდებულება, ზრუნვა რწმენის აღზრდაზე ფსიქოლოგიის თანამედროვე მონაცემთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

თითოეული პიროვნებისათვის თავის სულიერ აქტივობაში გარკვევა ისევე აუცილებელია, როგორც სულის სიწმინდეზე და რწმენაზე ზრუნვა. ადამიანის სულის ორბუნებოვნება. თითოეულ ადამიანში კეთილისა და ბოროტის ბრძოლა. საკუთარი თავის მორევა და სხვებთან კეთილმოსურნე დამოკიდებულება. ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნას მოითხოვს. თავისუფლებასა და დემოკრატიაზე ლაპარაკი ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გარეშე უაზრობაა; თავისუფლება ხომ გონისა და ნების, აზროვნებისა და ნებისყოფის რეალური პროცესების გარეშე არ მიიღწევა. შინაგანი ბრძოლის გარეშე, სულსა და გონებაში გატარების გარეშე არ მიიღება ჭეშმარიტი თავისუფლება. ამის გარეშე არ იარსებებს არჩევანი ღირებულ და ულირს საქციელს შორის; ვერ შესრულდება ძნელი, არასასურველი, მაგრამ აუცილებელი ქცევა. ამ პროცესების გარეშე ვერ დაძლევს ადამიანი თავის ენებებს და პირად სურვილებს, ვერ მივა სიკეთემდე. სიკეთე ადამიანის შიგნით ბრძოლის შედეგია და საკუთარის მსხვერპლად გაღებით მიიღება. გარეგანი ზეწოლით და ბრძოლით სიკეთე არ დაიბადება. ცნობილია, რომ ადამიანი არ შეიძლება აიძულო ისურვოს რამე; იგი შეიძლება აიძულო და გააკეთებინო რამე, მაგრამ ძალად ამის სურვილს ვერ გაუჩენ. ასევე ითქმის სიკეთის შესახებ. მისი ძალად მოჩვენება არ შეიძლება. მოჩვენებითი სიკეთე არ არსებულია; ნამდვილი სიკეთე ყოველთვის გულრწფელია, თუ იგი ასეთი არაა, მაშინ არ არსებულა.

ადამიანური საქციელის და დამოკიდებულებების ყველა ასპექტის ცოდნა და გააზრებაა საჭირო. ადამიანში გაცხადებული სულის გამოვლინებების ცოდნა ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით. სწორედ ამ მხრივაც დაგვეხმარება ფსიქოლოგიის ცოდნა, ზემოთ ჩამოთვლილ საჭიროებასა და ამოცანებთან ერთად.

# თ ა ვ ი II

# მოქმედების ფსიქოლოგია

## § 1. ფსიქიკა და ქმედება

სიცოცხლის შენახვისა და გარემოსთან წონასწორობის შენარჩუნებისათვის ყოველი ცოცხალი არსება აქტივობის იმ პროცესებს მიმართავს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ამ ერთიან პროცესში ჩართულია ფსიქიკაც. მეორეს მხრივ, ფსიქიკური გამოვლენა ასეთი აქტივობის გარეშე არ არსებობს და ამდენად იგი განუყოფელია ადამიანის ქცევისაგან. უფრო მეტიც, ადამიანის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მხოლოდ მოქმედებისა და ფსიქიკის ერთიანობითაა შესაძლებელი, ამიტომ ვამბობთ, რომ ისინი ცალ-ცალკე არ არსებობენ; თავისი არსის მიხედვით, აქტივობა და ფსიქიკური პროცესები მუდმივ ერთიანობაში იმყოფებიან. **მოქმედება და ქცევა, ანუ ქმედება წარმოადგენს იმ შემაერთებელ რგოლს, სადაც ერთიანდებიან ადამიანის ფსიქიკური პროცესები და ფიზიკური მოძრაობები.**

იმისათვის, რომ იცხოვროს და იმოღვაწეოს ადამიანმა, მას ესაჭიროება მატერიალური დოვლათის შექმნა და მისი მოხმარება. მაგრამ ასეთი პრაქტიკული მოქმედების განხორციელება ყოველთვის არაა შესაძლებელი. მას გარკვეული წინა ოპერაციები და წინასწარი მომზადება თუ მიგნება სჭირდება, რომელთა გამო აღმოცენებული თეორიული აქტივობა ადამიანში ახალი სახის მოთხოვნილებებს ქმნის. ამ მოთხოვნილებათა წარმოშობა და სათანადო მოქმედების უნარი ადამიანთა ერთობლივი, კოლექტიური ყოფითა და საქმიანობითაა განპირობებული. ასეთ საფუძველზე აღმოცენებული შრომითი და შემოქმედებითი პროცესების საშუალებით ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივად მოცემულ საგნებსა და რეალობებს, ქმნის ისეთ პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენება მისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი შრომის პროცესში და მის საფუძველზე მიმდინარე ცალკეულ მოქმედებებში იქმნება ყველა ის საგანი და პროდუქტი, რომლებსაც ცალკეული ადამიანი და მთელი საზოგადოება მოიხმარს. ადამიანების ასეთი ერთობლივი ქმედების შედეგად პრაქტიკული და საწარმოო შრომის საფუძველზე ვითარდება მოქმედების ისეთი სახეები, რომლებიც ბიოლოგიური და სასიცოცხლო მოთხოვნილების საგნების დამზადებას ცილ-

დება. ასეთია, კერძოდ, მეცნიერებისა და ხელოვნების სფერო, რომელთა პროდუქტი და შედეგი გამოიყენება სულიერი, კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, თავიანთი არსებობის მანძილზე, უშუალო სასიცოცხლო აქტივობასთან ერთად ადამიანები ისეთ მოქმედებასაც ასრულებენ, რაც აუცილებელია კულტურული ღირებულებების შექმნისათვის.

საერთოდ ადამიანის ქმნდება და მით უმეტეს, ასეთი რთული ქმედებანი, მოითხოვს გაცნობიერებულ აქტივობას. მათ ცნობიერი ხასიათი უნდა ჰქონდეთ. ამიტომ, გამოვლენილ გარეგან მოძრაობასთან ერთად, მათში ყოველთვის ჩართულია სულიერი გამოვლინებები. ფსიქიკურის ცხოვრებისეული როლი სწორედ ადამიანის მოქმედების მომსახურებაა, იგი ყოველთვის ადამიანის მოქმედებაშია ჩართული და მისი აუცილებელი კომპონენტია.

ფსიქიკის საფუძველზე შესაძლებელი ხდება გარემოსთან შერჩევითი დამოკიდებულება. ასეთი სელექციური დამოკიდებულება სინამდვილესთან განაპირობებს ისეთი მოქმედებების განხორციელებას, რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ბუნებასთან მატერიალური გაცვლა დამახასიათებელია ბიოლოგიური პროცესებისათვის. ფსიქიკური აქტივობისათვის კი ამასთანავე დამახასიათებელია ფუნქციური გაცვლაც. ანუ ასახვა, რითაც ადამიანი არა მხოლოდ მიზანშეწონილ, არამედ მიზანდასახულ მოქმედებასაც ასრულებს. ამიტომაცაა მოქმედების პროცესი რთული ბუნების და არაფრით არ შეიძლება დაყვანილი იქნას მოძრაობაზე, რომელიც ფიზიკურ მოვლენას მიეკუთვნება. თუმცა მოქმედება გარეგნულად მოძრაობის სახით ვლინდება, მაგრამ იგი მხოლოდ გარეგანი მოძრაობებით ვერ აიხსნება. **მხოლოდ ისეთი მოძრაობა იქნება მოქმედება, რომელსაც თავისი მიზანი აქვს და მიმართულია რაიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.**

ეს ფაქტორია მოქმედებისათვის აუცილებელი და ძირითადი. მის გარეშე მოქმედება არ არსებობს. თუ ადამიანის ქცევას განვიხილავთ შინაგანი განცდების და ცნობიერების გარეშე, მაშინ მხოლოდ ცალკეულ მოძრაობებს მივიღებთ, სადაც მოქმედების პროცესის აზრიც და შედეგიც გაუგებარი დარჩება და ამასთანავე ამით მთლიანად დავკარგავთ შემეცნებით აქტივობას, რომელიც ესოდენ სპეციფიკურია ადამიანისათვის.

მოქმედების ფსიქოლოგიურ ასპექტს ამ შინაგანი და შემეცნებითი მომენტების არსებობა ქმნის: შეგრძნებისა და აღქმის, მეხსიერების, აზროვნების და სხვა ფსიქიკური პროცესები მოქმედება-

შია ჩართული და მის წარმატებით შესრულებას ემსახურებიან; ესაა მათი ძირითადი დანიშნულება: როგორც ფსიქიკის რაობის გარკვევისას ვნახეთ, ამ ფუნქციას ფსიქიკური პროცესები გარემო სინამდვილის ასახვის საშუალებით ანხორციელებენ. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ წინასწარ გავითვალისწინოთ მოქმედების შედეგები, შევადგინოთ ამ მოქმედების კონკრეტული გეგმა და შემდეგ გონივრულად ვმართოთ იგი, რათა მივაღწიოთ სასურველ შედეგებს.

ადამიანის მოქმედებისა და ქცევის შესწავლა ფსიქოლოგიის საგანს მხოლოდ ნაწილობრივ განეკუთვნება; აქ იგი მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლება. მთავარია მოქმედების როგორც სულის აქტივობის სპეციფიკა.

**ადამიანის ქცევა, ანუ ქმედება, მოიცავს ცალკეულ კონკრეტულ მოქმედებებს, რომლებიც ერთი მიმართულების მიზანდასახულებითაა გაერთიანებული.** ქმედება რთული და მრავალპლანიან მოქმედებათა პროცესია, რომელიც მიმართულია როგორც ცოცხალ და არაცოცხალ ობიექტებზე, ასევე ადამიანებზე და მათ ჯგუფებზე. ქართულში ხშირად ქცევისა და ქმედების ნაცვლად ტერმინ მოქმედებასაც ხმარობენ და ამდენად ისინი სინონიმების სახითაა მოცემული. მაგრამ „მოქმედება" კონკრეტულ მიზანდასახულ მოძრაობას აღნიშნავს, რომელიც მთლიანი ქმედების ერთ-ერთი ნაწილი შეიძლება იყოს. ამიტომ უმჯობესია გამიჯვნა: მოქმედება ვიხმაროთ როგორც ცალკეული, კონკრეტული ოპერაციის თუ მომენტის აღმნიშვნელი; ქმედება (ქცევა) კი—როგორც ზოგადი, მთლიანი, გარკვეული მიზნის და მოტივის მქონე აქტივობა. ამ გაგებით ქმედება შეიძლება ვიხმაროთ იმ შინაარსის გამოსახატავად, რასაც ამ უკანასკნელში დ. უზნაძე გულისხმობდა.

ქმედება მოიცავს როგორც აქტივობის ფიზიკურ და ფსიქიკურ, ასევე სოციალურ ასპექტებსაც. იგი ვლინდება სულ სხვადასხვაგვარ გარეთ გამოვლენილ მოქმედებებშიც და შედარებით უფრო სულიერი აქტივობის სახითაც; კერძოდ, ადამიანის აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, ნებელობის და სხვა სახეებით. ჩვეულებრივ, ადამიანები ასეთ აქტივობას ვერ ამჩნევენ, როგორც ცალკე აქტს, თუ სპეციალურად არ მიაქციეს ყურადღება მათ, რაც ყველასათვის და ყოველთვის როდია შესაძლებელი.

ქმედებათა იერარქიულ განლაგებებში ყველაზე მაღლა დგას სოციალური ქმედება, რომელიც ითვალისწინებს სხვა ადამიანების არსებობის ფაქტს, საკუთარ და მათ უფლება-მოვალეობას. აქ ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალია საკუთარი ქცევის შესატყვისობა სხვა

ადამიანების მოლოდინებთან და მოთხოვნებთან. სოციალური ქმედება ალმოცენებულია უფრო დაბალი ფორმებიდან. მაგრამ შემდგომ იგი პიროვნებისათვის უმთავრეს ფორმად იქცევა, რომელიც მართავს უფრო დაბალ ფორმებს. სწორედ ამითაა შესაძლებელი პიროვნებებში საერთო ადამიანური სწყურისების პირველადობა. თუმცა თავისი მიზნებით სოციალური აქტივობა საკუთრივ ქმედებასაც შეიძლება წარმოადგენდეს; მაგალითად სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა. ცხადია, რომ სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა განაპირობებს საზოგადოებრივ-ისტორიულ განვითარებას და კაცობრიობის პროგრესს.

ადამიანის ქმედების ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც მისი მიზნები და ამოცანები, აგრეთვე ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება კონკრეტული მოქმედების განხორციელება. ჩვენი ყოველი მოქმედება რაიმე მიზნისა და ამოცანის შესატყვისად მიმდინარეობს, რომელთაგან გამომდინარეობს უშუალოდ ქცევის მოტივი. ადამიანი მოქმედებს იმ მიზნით, რომ მეტი ღირებულება შექმნას და მეტი გამოიმუშაოს: დაეუფლოს რომელიმე მეცნიერებას, მიართვას საჩუქარი თავის მეგობარს, მოაწყოს თავისი სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილი და ა. შ.

ქმედების მოტივი პიროვნების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობს და მოქმედების მიზანში ჩანს. მაგრამ ქმედების მიზანი ყოველთვის ერთი როდია. **ცალკეული ქმედება უმეტესად მრავალმოტივიანია, რაც იერარქიულ სახეს ატარებს:** როდესაც მოსწავლე სწავლობს ალგებრულ წესებს, მისი უშუალო ამოცანაა ამ წესების გაგება და დამახსოვრება; მაგრამ ამავე დროს, იგი შედის მათემატიკის დაუფლების ამოცანაში, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია სკოლის დამთავრებისათვის. ორივე ამოცანა კი უფრო მაღალ მიზანს ემსახურება: სასურველი პროფესიის დაუფლება და ცხოვრებაში გამოსვლა. საერთოდ კი, ქმედება როგორც აქტივობა გულისხმობს, რომ ჩვენი მოქმედებები ზოგადი და შორეული მიზნებით წარიმართება; ჩვენ შორეული, საბოლოო მიზნის შესატყვისად ვსაზავთ უახლოეს მიზნებსა და ამოცანებს.

ქმედების, მიზნისა და მოტივის საკითხის დასმა, თავისთავად მეტყველებს ცნობიერებისა და მოქმედების ერთიანობაზე, მათ განუყოფელობაზე. დ. უზნაძის მიერ დასაბუთებულ იქნა ძირითადი დებულება, რომ ადამიანის ყოველგვარი ფსიქიკური მდგომარეობა წარმოადგენს ცნობიერებისა და მოქმედების ერთიანობას: მოქმედე-

ბანი და მოძრაობანი ქმედებაში შედის სწორედ მიზნისა და მისი განხორციელების განზრახვის არსებობის გამო. ამას ნათელს ხდის ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე მოქმედება სულ სხვადასხვა ქმედებაშია ჩართული, რის მაგალითადაც ჩვევების გახსენება იკმარება.

ქმედების წარმატებით შესრულება ყოველთვის მოითხოვს შესაბამის შრომის იარაღებსა და მათი გამოყენების უნარს. კონკრეტული მოქმედება მხოლოდ ცნობიერებას როდი ემყარება; იგი შეიცავს აგრეთვე ისეთ ცალკეულ მოძრაობებს, რომლებიც ავტომატურად მიმდინარეობენ. მოქმედების საშუალებებში შედის შრომის იარაღები და მათი გამოყენების უნარი. მოქმედების ტექნიკის დაუფლების დონე და შესაფერისი ჩვევების არსებობა ხელს უწყობს ამ მოქმედების იოლად და სწრაფად შესრულებას. ამიტომაც ყოველი მოქმედების წინასწარი დაგეგმვისას, ვითვალისწინებთ საჭირო იარაღებსა და მათი გამოყენების ცოდნა-ჩვევებს დასახული მიზნის მისაღწევად. ცალკეულ პროფესიებში დახელოვნება გულისხმობს დასმული ამოცანების მიხედვით საჭირო ხერხებისა და საშუალებების გამონახვას და მათ გამოყენებას.

ამრიგად, ქმედებისათვის აუცილებელია მასში ფსიქიკურ პროცესთა მონაწილეობა. მისი მიზნისა და ამოცანების გაცნობიერება და კონკრეტულ მოქმედებათა განხორციელების საშუალებების შერჩევა. ფსიქიკურ პროცესთა მონაწილეობის გარეშე მოქმედება უაზრო მოძრაობად იქცევა, იგი დაკარგავს მიზანდასახულ ხასიათს.

## § 2. განწყობა და ქმედება

მოქმედების აღძრა დამოკიდებულია არა მხოლოდ უშუალოდ გარემოს ზემოქმედებაზე და მასთან შეგუების საჭიროებაზე, არამედ, პირველ რიგში, ადამიანის იმ მთლიან მდგომარეობაზე, რომელიც კონკრეტულ მოქმედებას წარმართავს. ასეთ მთლიან პიროვნულ მდგომარეობას წარმოადგენს ადამიანის მოთხოვნილებისა და მისთვის ხელსაყრელი ობიექტური პირობების თანხვედნის შედეგად აღმოცენებული **განწყობა.**

დიდი ქართველი ფსიქოლოგის დ. უზნაძის მიერ შექმნილი საქვეყნოდ ცნობილი განწყობის თეორია იძლევა იმის საშუალებას, რომ სწორად იქნას ახსნილი ქმედების ბუნება და სტრუქტურა. **განწყობა, როგორც მთლიანი ინდივიდის მზაობა მოქმედებისათვის, იქმნება ინდივიდში არსებული მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი პირობების (სიტუაციის) თანხვედნით.** ასეთი გზით აღმოცენებული განწყობა წარმოადგენს მოქმედების განმსაზღვრელს:

ცალ-ცალკე. არც სიტუაციის ზემოქმედებას და არც მოთხოვნილებას არ შეუძლია აქტივობის აღძვრა და მისი მიმართულების განსაზღვრა. კონკრეტული ქმედების აღმძვრელსა და მამოძრავებელს განწყობა წარმოადგენს.

მოთხოვნილება, მოტივი და მიზანი თავისთავად არ იწვევენ ამა თუ იმ მოქმედებას. ადამიანს მხოლოდ განწყობის ჩამოყალიბების შედეგად უჩნდება ამა თუ იმ მოქმედების შესრულების ტენდენცია და ეს მოქმედება არსებული განწყობით ხორციელდება.

განწყობა, გარემოსთან ურთიერთობის პროცესში, პირველადი რეაქციაა. იგი წინ უსწრებს ყოველგვარ აქტივობას და ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს ადამიანის მოქმედებასა და მასზე ზემოქმედების მომხდენ გარე სინამდვილეს შორის. იგი განსაზღვრავს ქცევის მიმართულებას და მნიშვნელობას, მის მიზანშეწონილ და მიზანმიმართულ ხასიათს.

ადამიანის აქტივობა სხვადასხვა დონის შეიძლება იყოს. მაგრამ ყველა დონეზე მას შესაბამისი განწყობა უდევს საფუძვლად: დაწყებული მარტივი რეაქციიდან და პრაქტიკული იმპულსური მოქმედებიდან, თეორიული, შემეცნებითი აქტივობის გავლით, სოციალური ქცევის ურთულეს ფორმებამდე. ამდენად, განწყობის დ. უზნაძისეულ თეორიაში ასახულია ადამიანის რეალური, კონკრეტული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც მიზანშეწონილ აქტივობას განსაზღვრავს. თავისი როლის შესრულების შემდეგ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განწყობა წყვეტს თავის მოქმედებას და ადგილს უთმობს სხვა განწყობას.

ადამიანის მოქმედება საგნობრივ ხასიათს ატარებს; სინამდვილის საგნები და მოვლენები, რა საზისაც არ უნდა იყოს ისინი, განწყობის საფუძველზე კონკრეტულ მოქმედებას განაპირობებენ. სინამდვილის ეს მოვლენები ადამიანის აქტივობასთან მიმართებაში, სამ სახედ შეიძლება დაიყოს და ქცევის სტრუქტურაშიც შესაბამისი დონეები მოგვცეს. **პირველი**, კონკრეტული, თვალსაჩინოდ მოცემული საგნები, რომლებიც შესაბამისი მოთხოვნილების არსებობისას პრაქტიკულ საქმიანობას ედება საფუძვლად; **მეორე**, საგანთა მიმართებანი, ანუ აბსტრაქტულ-თეორიული ობიექტები, რომელთა საჭიროება ახალი მოქმედების ძიების, პრობლემურ და გაურკვეველ სიტუაციაში ყოფნისას ჩნდება და **მესამე**, სოციალური ობიექტები და ღირებულებანი, რომლებიც ადამიანების ერთად ყოფნას და ერთმანეთთან ურთიერთობის ნიადაგზე იქმნება: ისინი არსებობენ როგორც

ზოგად საკაცობრიო ღირებულება და შესაბამისი ქცევის განწყობას ქმნიან.

სინამდვილესთან ამ სამგვარი დამოკიდებულების შესატყვისად, ადამიანის ქმედებაც შესაბამის ფორმებს იღებს.

**პრაქტიკული ქმედება მიმართულია საგნობრივ გარემოზე** და ძირითადად სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება: იგი კონკრეტული მოთხოვნილებისა და შესაბამისი საგნობრივი სიტუაციის არსებობის საფუძველზე აღმოცენებული განწყობით წარიმართება. აქ ვლინდება ის განწყობები და დამოკიდებულებანი, რომელთა ნიადაგზე ადამიანს ჩამოუყალიბდა ჩვევების და გარკვეულ უნართა სისტემა. ქმედების მიმართულების განმსაზღვრელი აქ ის დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულებანია, რომლებიც სინამდვილის საგნებისადმი არჩევით მიმართებაში ვლინდება.

**თეორიული ქმედება მეორადია.** იგი პრაქტიკული ქცევის საჭიროების გამო აღმოცენდება და მას ემსახურება. გარემოსთან პრაქტიკული ურთიერთობა პირველადი და ძირითადია, თეორიული, შემეცნებითი აქტივობა კი გარემოსთან უკეთ შეგუების ამოცანებმა წარმოშვა. ადამიანი უპირველესად სასიცოცხლო მოთხოვნილებათა მატარებელი ინდივიდია და ამ მოთხოვნილებათა სამსახურში უყალიბდება მას თეორიული და შემეცნებითი მოთხოვნილებანი და ქცევები, რომლებიც შემდეგ დამოუკიდებელ სახეს იღებენ და თავისთავადაც შეიძლება უკვე აღმოცენდეს.

**სოციალური ქმედება ითვალისწინებს, არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა ადამიანების მოთხოვნილებებსა და საქციელს.** ამ დროს ადამიანს ჩამოყალიბებული აქვს სოციალური ობიექტების მიმართ ძირითადად ისეთივე დამოკიდებულებანი და განწყობები, როგორც იმ სოციალურ ჯგუფს გააჩნია, რომლის წევრიც ის არის. აქ საზოგადოებრივი გავლენა ინდივიდის ქცევაზე ორგანიზებულია აღზრდის გზით, რის გარეშეც პიროვნების ჩამოყალიბება შეუძლებელია. სოციალური განწყობები ყალიბდება ისეთი სოციალური ობიექტების მიმართ, როგორიცაა ოჯახი, სკოლა, სამსახური, სამშობლო, კაცობრიობა, ერი, კულტურა, ტრადიცია და სხვა. სწორედ მათ საფუძველზე ყოველი კონკრეტული სოციალური ქცევის წინ აღმოცენდება ამ ქცევის განწდობა, როგორც მზაობა ამა თუ იმ მიმართულებით მოქმედებისა.

სოციალური ქცევის განწყობის აღმოცენებისათვის აღარაა საკმარისი აქტუალური მოთხოვნილებანი, იქნება ეს სასიცოცხლო თუ

შემეცნებითი. ახლა ქცევის აღმძვრელად ობიექტური ღირებულების განცდა გამოდის, რომელიც სოციალური ობიექტებისა და საზოგადოებრივი მოვლენების მიხედვით მოქმედებას ედება საფუძვლად. ფსიქოლოგიურად ასეთია ნებისმიერი ქცევა, რომელიც მაღალი, რთული გრძნობებიდან იღებს ბიძგს და ნებისყოფის საშუალებით ხორციელდება.

**ქმედების სპეციფიკურ ფორმას ქმნიან ფუნქციონალური მოთხოვნილებები.** ქმედების ეს სახე ვერ მოთავსდება ზემოთ განხილულ ვერც ერთ ფორმაში, რადგან ისინი სუბსტანციურ მოთხოვნილებათა კლასს მიეკუთვნება და მიმართულია ობიექტურად არსებულ საგნებზე. ფუნქციონალურ მოქმედებათა კლასს კი ისეთი მოქმედებანი მიეკუთვნებიან, რომლებიც მოცემულია როგორც ადამიანის შინაგანი ძალების ამოქმედების და რეალიზაციის მოთხოვნილება. ადამიანს სხვადასხვა ასაკში მომწიფებული აქვს ფსიქოფიზიკური ძალები: თუ ისინი არ იქნა ჩართული სასიცოცხლო მოქმედებაში მაშინ ცალკე დამოუკიდებელი ქმედების საბით იჩენენ თავს. ამას უწოდა დ. უზნაძემ „ფუნქციონალური ტენდენცია", რომლის საფუძველზეც აღმოცენდება ქცევის ისეთი ფორმა, როგორიცაა მაგალითად თამაში.

დ. უზნაძის მიხედვით, ზემოთ აღწერილი პირველი რიგის ქმედებებისათვის გარე საგანზე მიმართულობაა დამაიასიათებელი და ამიტომ მათ **ექსტეროგენური მოქმედება** შეიძლება ეწოდოს. ასეთია, პირველ რიგში, შრომა და აგრეთვე. მოხმარება. თავის მოვლა და თვითმომსახურება. მეორე რიგის ქცევებს; რომლებიც გარე საგანზე კი არაა მიმართული, არამედ შინაგანი ფუნქციონალური ძალების გამოვლენას ემსახურება, დ. უზნაძემ **ინტეროგენური მოქმედებები უწოდა.** მათ მიეკუთვნება: თამაში. გართობა. სპორტი და შემოქმედება.

ქმედების სტრუქტურული ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი შესაძლებელია აღმოცენდეს მხოლოდ შინაგანი და გარეგანი ფაქტორების საფუძველზე შექმნილი განწყობის ნიადაგზე. განწყობაში გათვალისწინებულია, როგორც ადამიანის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, ისე გარემო სინამდვილის თავისებურებანი. სწორედ ამ გზით ვლინდება ქცევაში სუბიექტური და ობიექტური მხარეების ურთიერთობა, რომლის პროცესშიც კონკრეტული ადამიანი საგნების მიმართ სუბიექტს წარმოადგენს, ხოლო სხვა ადამიანების მიმართ ობიექტს; ასევე. პირიქით. საგნები მისთვის მხოლოდ ობიექტებს წარმოადგენენ. ხოლო ადამიანები კი თავისავე მსგავს პიროვნებებს. ორივე შემთხვევაში ქცევა მოცემულია, როგორც რეალუ-

რა კავშირი ადამიანსა და მის ირგვლივ არსებულ სამყაროს შორის. ქნება ის მხოლოდ ფიზიკური თუ სოციალური.

**ქმედებისათვის დამახასიათებელია მიზნის არსებობა** მისი მიმდინარეობის მთელ პროცესში; მასში გაერთიანებული მოქმედებები და მოძრაობები კონტროლს განიცდიან და იმართებიან საბოლოო შედეგების შესაბამისად. უფრო მეტიც. ამ საბოლოო შედეგების ვათვალისწინებით ხდება ცალკეული მოქმედების წინასწარი მოზომვა და დაგეგმვა. მაგალითად, რა ძალით უნდა მოვიქნიოთ ჩაქუჩი ლურსმნის ჩასაკედებლად. ან რა ზომით გადავდგათ ნაბიჯი გუბეზე გადაბიჯებისას. ასეთი მაგალითები თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ტრანსპორტის მართვის, ან ავტომატზე ცალკეული ოპერაციების შესრულების დროს. ამასვე გვიჩვენებს ერთი და იგივე მოქმედებისა და მოძრაობის სხვადასხვა მიზნით შესრულება. სადაც მიზნის შესატყვისად ხდება განსხვავებული სახით კონტროლი და მართვა.

მოძრაობებისა და ცალკეული მოქმედებების მართვა და რეგულაცია შედეგების წინასწარი გათვალისწინებისა და შეფასების გარეშე საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა, რადგანაც ვერ შევარჩევდით და გამოვიყენებდით საჭირო თვისებების მქონე ობიექტებს. ამიტომაც ქმედების განხორციელებისათვის, შესაბამისი განწყობის აღმოცენების შემდეგ ხდება მისი შინაგანი მოდელის წარმოდგენა და გაანალიზება, სადაც მოცემული იქნება შესასრულებელი მოქმედების კონკრეტული ოპერაციული და ტექნოლოგიური პირობები. ასეთი აუცილებელი საფუძვლების გარეშე ვერ განხორციელდება ელემენტარული მოქმედებებიც კი: როგორიცაა, მაგალითად, ჭიქით წყლის დალევა. გამზადებული საჭმლის ჭამა, ცალკეული ასოს დაწერა, ჩაცმასთან დაკავშირებული ცალკეული მოქმედებები და სხვა.

ჩვენი ცნობიერების ასეთ, მომავალ ქცევაზე მიმართულ ასახვას, იმ შედეგების წარმოდგენას, რომლებიც შესასრულებელ მოქმედებას უნდა მოყვეს, საფუძვლად უდევს **ინტარიორიზაციის პროცესი, რომელიც წარმოადგენს გარეგანი, რეალურად მოცემული მოქმედების გადასვლას შინაგან, იდეალურ პროცესში.** რომლის დროსაც ადამიანი ოპერირებს იმ საგანთა ხატებითა და წარმოდგენებით, რომლებიც ამჟამად რეალურად მოცემული არაა. ამით ჩვენი ცნობიერება აწყმოსა და წარსულიდან მომავალში გადადის. ამ მიმართულებით დიდ როლს ასრულებს მეტყველება; სიტყვა გამო-

დის რეალური საგნის შემცვლელად და საგნობრივ მოქმედებას ცვლის იდეალური, ფსიქიკური ოპერაციებით.

## § 3. ჩვევა და ჩვეულება

ქმედების პროცესში ადამიანი იყენებს აქტივობის, როგორც მოტორულ და სენსორულ კომპონენტებს, ისე ცენტრალურ მარეგულირებელ ფუნქციებს. ეს უკანასკნელი, როგორც უკვე ვნახეთ, აქცევს ცალკეულ მოქმედებებსა და მოძრაობებს მიზნის მქონე ერთიან ქმედებად. აღნიშნული კომპონენტები და ფუნქციები ადამიანში მიმდინარეობენ ცნობიერების დონეზეც და მის გარეშეც, არაცნობიერად. ცალკეული მოქმედება და მოძრაობა ხშირად სრულდება სპეციალური ყურადღების მიქცევის გარეშე, შეიძლება ითქვას, მექანიკურად.

ადამიანს თავისი ცხოვრებისა და აქტივობის პროცესში უხდება გადასვლა ცნობიერიდან არაცნობიერ, ავტომატიზირებულ მოქმედებაზე. რაიმე მოქმედების დაუფლებისა და მტკიცედ ათვისების შემდეგ, იგი აღარ მოითხოვს ჩვენი ცნობიერების კონტროლს. ასეთ მოძრაობებს წარმოადგენს ჩვევა, რომელიც კონკრეტული სახის მოქმედების სწავლის შედეგია და ქცევის შემადგენელი ნაწილის სახით გვეძლევა.

**ჩვევა ეწოდება ვარჯიშის შედეგად განმტკიცებულ მოქმედებას, რომელიც ავტომატურად სრულდება.** იგი აღარ მოითხოვს ჩვენი ცნობიერების და ყურადღების ჩარევას. ჩვევების მაგალითებია: სიარული, წერა, სპორტული მოძრაობები, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, გამრავლების ტაბულის ცოდნა, ამოცანების ამოხსნის ხერხების ფლობა, გრამატიკული წესების გამოყენება და სხვა. ყველა ესენი ისეთი მოქმედებებია, რომლებიც შეძენილი და ათვისებული იქნა ადამიანის მიერ და შემდგომ სპეციალური ძალის დატანების გარეშე მიმდინარეობს. ეს მოქმედებები იმდენად ავტომატიზირებულია, რომ არ მოითხოვს ცნობიერების ჩარევას; ჩვენ არ ვფიქრობთ და ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როგორ შევასრულოთ ჩვეული მოქმედებანი, ისინი თითქოს თავისთავად მიმდინარეობენ.

აქ მოტანილ ჩვევის მაგალითებს რომ გადავხედოთ ვნახავთ, **რომ ისინი ორი სახისაა: მოძრაობითი ანუ მოტორული და გონებრივი.** მოტორული ჩვევები ყოველთვის გარეთ გამოვლენილია, ისინი რაიმე მოძრაობის სახით გამოიხატება. მაგალითად, სიარული, ხელების სხვადასხვა მანიპულაციები, ჩაცმა-დახურვა, წერა და ა. შ. მათგან განსხვავებით გონებრივი ჩვევა, ჩვეულებრივ, ცოდნის სა-

ხით ვლინდება და უშუალო მოძრაობებში არ იჩენს თავს. კერძოდ ასეთია: კითხვა, გამრავლების ტაბულის ცოდნა, მათემატიკურ ამოცანათა ხერხების დაუფლება და სხვა. არსებობს ჩვევების სხვაგვარად დაყოფაც. მაგალითად: საყოფაცხოვრებო, ჰიგიენური, კულტურული, პროფესიული და სხვა.

**ჩვევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ყოფა-ცხოვრებაში: ისინი იძლევიან ფსიქიკური ძალებისა და დროის ეკონომიას.** ჩვევის ავტომატურად მიმდინარეობის დროს ჩვენ შეგვიძლია მთელი ყურადღება სხვა რამეზე მივმართოთ. მაგალითად, სანამ ადამიანი მანქანის მართვას დაეუფლებოდეს, იგი ყოველ ცალკეულ მოძრაობას აქცევს ყურადღებას, დაძაბულია და სხვა რაიმეს შემჩნევა აღარ შეუძლია მაგრამ როცა იგი უკვე დაუფლებულია ამ ჩვევას, მაშინ ისე მართავს მანქანას, თითქოს იგი სულ არ მოითხოვდეს ყურადღებას: ამ დროს იგი საუბრობს კიდეც, ან ფიქრობს სხვა რამეზე და მაინც სწრაფად და ადვილად ასრულებს საჭირო მოქმედებებს. ჩვევა ზოგჯერ უფრო ზუსტად და უშეცდომოდ მოქმედებას წარმოადგენს, ვიდრე განსაკუთრებული მონდომებით რაიმეს კეთება. ამავე დროს, იგი სულიერი ძალების დაძაბვის გარეშე, თითონ ჩნდება საჭირო შემთხვევაში, დახვეწილია ზედმეტი მოძრაობებისაგან და იზოლირებულია; იგი ინდიფერენტულია ყველა ქმედების მიმართ, სულ ერთია სად ჩართავ.

მაგრამ ყველა ჩვევა მეტნაკლებად ნაყოფიერია ადამიანისათვის. ჩვევის ეფექტი და ნაყოფიერება იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად დაინტერესებულია ადამიანი მის განხორციელებაში, ან რამდენად დარწმუნებულია თავის თავში და იჩენს თუ არა დადებით დამოკიდებულებას ამ ჩვევისადმი. როგორ კარგადაც არ უნდა იყოს ბავშვი დაუფლებული კითხვის ჩვევას, იგი მაინც ცუდად კითხულობს აღელვებისა და შიშის გამო, ან მაშინ, თუ არ სურს კითხვა და არ იჩენს ინტერესს მისადმი. ჩვევების წარმატებაზე გავლენას ახდენს: აგრეთვე, ადამიანის საერთო მდგომარეობა; ჯანმრთელობა, დაღლილობა, გაღიზიანებულობა და სხვა.

ჩვევა ყალიბდება ახალი მოქმედების დაუფლებისა და განმტკიცების გზით. **ჩვევის გამომუშავებისა და დაუფლების პროცესი ორ მთავარ მომენტს გულისხმობს: ჯერ შესწავლილი უნდა იქნას რაიმე მოქმედება და შემდეგ, უნდა მოხდეს მისი განმტკიცება.** ჩვევის დაუფლება ნიშნავს ცალკეული მოქმედების იმ ხერხებისა და საშუალებების დაუფლებას, რომელიც უკვე არსებობს. ასეთია, მაგალითად, წერა, ფორტეპიანოზე დაკვრის ძირითადი მოძრაობები,

ვების ილეთები და სწვა. ჩვევის სრულყოფაზე მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ათვისებულია მოქმედების შესრულების წესი.

ჩვევის დაუფლების პირველი აუცილებელი პირობაა—ჯერ კარგად უნდა გავეცნოთ ამ მოქმედებას, ვიცოდეთ რას უნდა დაეუფლოთ და რატომ. ამის საფუძველზე ხდება ამოცანის დასახვა და იწყება არჩეული მოქმედების ნებისმიერად შესრულება.

ეს პირველი ეტაპი იმდენად შესამჩნევი და საგრძნობია, რომ ზოგჯერ ამის გამო ცოდნისა და ჩვევის შეძენის პროცესებს ერთმანეთთან აიგივებენ. როცა ჩვეულებრივი ცხოვრების პირობებში სწავლის პროცესი მიმდინარეობს გაუცნობიერებლად და სპეციალური მიზნის დასახვის გარეშე. ჩვევა ისევე შეიძლება. როგორც ცოდნა; ამ შემთხვევაში ორივე მიიღება როგორც გვერდითი მოვლენა. თანაც ჩვევის დაუფლების დასაწყისში ისინი ერთმანეთს ავსებენ და ცვლიან. ერთმანეთში გადადიან. სრულიად აშკარაა ისიც, რომ ორივე ეხმარება რაიმე ქმედების განხორციელებას, აუმჯობესებს მას და დაკავშირებულია წარმატებასთან.

ამიტომ აუცილებელია მივუთითოთ ჩვევისა და ცოდნის განსხვავებაზე, სხვაგვარად ჩვევების სპეციფიკას ვერ დავინახავთ. ცოდნა ვებრალური. სიტყვიერი სახით გვეძლევა იგი. თავის მხრივ, ჩვევის დასაწყისათვის აუცილებელს წარმოადგენს; ცოდნა სხვებს გადაეცემა. ჩვევას კი საკუთრივ შეძენა ჭირდება. სიტყვიერი მოყოლით იგი არ გაჩნდება; ცოდნა სინამდვილის, ფაქტის ასახვა და სუგარე ობიექტზე მიმართვა ჭირდება, ჩვევას კი ვარჯიში ჭირდება და მიმართულია შიგნით, ფსიქოფიზიკურ ძალებზე და არა გარე საგანზე.

ჩვევის მეორე აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოქმედების პრაქტიკულად შესრულება რამდენჯერმე, ე. ი. მისი **განმეორება და ვარჯიში**. მაგრამ ვარჯიში არ უნდა ატარებდეს პასიურ, ფორმალურ ხასიათს, თითოეული განმეორება უნდა ითვალისწინებდეს წინა განმეორებათა შედეგებს და ამჟამად თუ რამდენად სწრაფად და ზუსტად სრულდება ეს მოქმედება. ყოველი ახალი განმეორებისას უნდა დაისვას კონკრეტული ამოცანა წინა მოქმედების დროს დაშვებული შეცდომების გასწორებისათვის.

როდესაც რთული მოქმედების შემუშავება ხდება, საჭიროა იგი დაყოფილ იქნას ცალკეულ ნაწილებად და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე იქნეს განმტკიცებული. შემდეგ კი უნდა მოხდეს ამ ნაწილების გაერთიანება და მოქმედების გამთლიანება. მაგალითად,

ქართული ასო „ჟ"-ს წერის ჩვევის დაუფლებისათვის საჭიროა ჯერ მისი ცალკე ნაწილების (ამ შემთხვევაში გამოიყენება „ა" და „ე", რომლებიც „ჟ"-ზე წინ ისწავლება) წერის ჩვევის განმტკიცება და შემდეგ გამთლიანება.

ჩვევის შემუშავების წარმატებას ხელს უწყობენ მთელი რიგი სხვა ფაქტორებიც. ასეთებია: დასაწყისში ვარჯიშის ნელი ტემპი და შემდგომ თანდათან აჩქარება. განმეორებათა შორის ინტერვალების ხანგრძლივობა, ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა და სხვა. ყველა ამ პირობის დაცვით ხდება ჩვევის დაუფლება. რაც რთული პროცესია და ყოველთვის ადვილად და ერთგვაროვნად არ მიმდინარეობს. ცალკეული ჩვევის დაუფლების პროცესი გვიჩვენებს, რომ ჩვევის დაუფლებაში ზოგჯერ ადგილი აქვს წინსვლასთან ერთად შეჩერებებს და მიღწეული დონის დაქვეითებასაც კი.

**ჩვევის დაუფლების ხარისხის ძირითად საზომს წარმოადგენს მოქმედების შესრულების დროის ხანგრძლივობის და შეცდომების შემცირება.** ჩვევის შემუშავების პროცესში ჩვენ თანდათან უფრო ადვილად და სწრაფად ვასრულებთ მოცემულ მოქმედებას. ამასთანავე, კლებულობს შეცდომები და მოქმედება თანდათან იცხრილება ზედმეტი მოძრაობებისაგან. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ცეკვის სწავლა, რომელიც ვარჯიშის შედეგად თანდათან დახვეწილი ხდება.

ამრიგად, ჩვევის დაუფლების გზას და საშუალებას ვარჯიში წარმოადგენს, რომელიც ძირითადად მიზანდასახულად მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, ნებისყოფის მონაწილეობის გარეშე, გაუცნობიერებლად მიმდინარე ვარჯიშის დროსაც ხდება ჩვევის შემუშავება: ასეთებია ცხოველის ჩვევები და დაბალი ასაკის ბავშვის მიერ შეძენილი ჩვევების დიდი ნაწილი; მაგრამ აქ ჩვენ საქმე უფრო გაწვრთნასთან გვაქვს. ამიტომაც ასეთი ვარჯიში შედარებით დაბალ შედეგებს ბძლევა და ჩვევის დაუფლების ძირითად საშუალებად ვერ ჩაითვლება. ადამიანი ჩვევების უდიდეს ნაწილს, განსაკუთრებით კი რთულ და ძნელ ჩვევებს, მხოლოდ ნებისმიერი, შეგნებული, ვარჯიშის გზით ეუალება.

ყველა ჩვევა, ჩამოყალიბების შემდეგ, აღწევს გარკვეულ დონეს, რომლის შემდეგაც იგი მეტად ვეღარ გაუმჯობესდება (მაგალითად, სიარული, წერა, ცურვა და ა. შ.). ამის შემდეგ ვარჯიში მხოლოდ ჩვევის შენარჩუნებას ემსახურება.

**ჩვევები ურთიერთშია** ერთმანეთთან, ისინი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ასეთი ურთიერთგავლენა განსაკუთრებით შინაარს თავს

ლი ჩვევის შეჩუმავების პროცესში: ზოგი ჩვევა ხელს უწყობს ახალის დაუფლებას; ზოგი კი პირიქით—ხელს უშლის მას. მაგალითად, ერთი სახის მანქანის მართვის დაუფლება აადვილებს ყოველგვარი მანქანის (მათ შორის თვითმფრინავისაც) მართვის ჩვევის დაუფლებას. მაგრამ ხელბურთის თამაშის ჩვევა ხელს უშლის ფეხბურთის დაუფლებას: ერევა მასში და კრიტიკულ მომენტში ახალი ჩვევის ნაცვლად იჩენს თავს.

გასათვალისწინებელია, რომ ვარჯიშის შედეგად ჩვევების განმტკიცება არ ნიშნავს მათ სამუდამოდ ჩამოყალიბებას: **დროთა განმავლობაში ხდება ჩვევათა დარღვევა, მათი დაკარგვა.** თუ რამდენად ხანგრძლივად იარსებებს ესა თუ ის ჩვევა, ეს დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე. კერძოდ: რაც უფრო რთულია ჩვევა, მით უფრო ადვილად იკარგება იგი; ასევე, რაც უფრო ნაკლებად იყო განმტკიცებული ჩვევა, მით უფრო ნაკლებ ხანს ძლებს იგი; ჩვევების შენახვას ხელს უწყობს, კარგად განმტკიცებასთან ერთად, მათი შემდგომი ვარჯიში. მათი გამოყენების სიხშირე: თუ ჩვევა დიდი ხნის მანძილზე არ შესრულდა, იგი ირღვევა და იკარგება. ჩვევა შეიძლება დაირღვეს, აგრეთვე ძლიერი შიშის, ან სხვა ფსიქიკური **ტრამვის გამო.**

ჩვევის შემუშავებისა და მისი გამოყენების პროცესში ვარჯიშის და განმეორების გამო ჩნდება ამ მოქმედების განხორციელების მოთხოვნილება, ადამიანს სურვილი უჩნდება შეასრულოს იგი. ჩვევათა განმეორება მათი შესრულების მოთხოვნილებას ქმნის ადამიანში. ასეთ ჩვევას ჩვეულება ეწოდება. **ჩვეულება ისეთი მოქმედებაა, რომლის დაწყებაც და მიმდინარეობაც ავტომატიზირებულია; მის ბიძგს უშუალო მოთხოვნილება იძლევა.**

გარეგნულად ჩვევა და ჩვეულება არ განსხვავდება ერთმანეთისაგან; უფრო მეტიც, ჩვეულება ჩვევაზეა დაფუძნებული და იგი ჩვევის ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს. განსხვავება მათ შორის დაწყებისა და ამოქმედების საფუძველშია: ჩვეულება, განსხვავებით ჩვევისაგან, მხოლოდ მოქმედების უნარს კი არ წარმოადგენს, არამედ ამ მოქმედების განხორციელებისაკენ მისწრაფებასაც შეიცავს. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ხელპირის დაბანის ჩვევა, შეეძლოს ამ მოქმედების შესრულება, მაგრამ არ ჰქონდეს ამის მოთხოვნილება და მხოლოდ თავისი გადაწყვეტილებით, ან სხვისი მითითებით ასრულებდეს მას. ჩვეულებისათვის კი ძირითად დამახასიათებელს მოქმედებისაკენ სწრაფვა შეადგენს. ჩვეულებას განმეორების ტენდენცია აქვს და რაიმე მოქმედების მონატრებას გულისხმობს.

ამიტომაც მისი შეფერხება მოთხოვნილებას წარმოშობს და ეს მოთხოვნილება ავტომატურად გადადის მოქმედებაში, რომელიც ჩვევის სახით უკვე არსებობს.

**ჩვეულებანი ორი სახის შეიძლება იყოს: დადებითი, ანუ სასარგებლო და უარყოფითი.** დადებითი ჩვეულებანია: ხელპირის დაბანა, დილის ვარჯიში, სისუსფთავის დაცვა, კბილების გახეხვა, წესრიგის დაცვა და სხვა მრავალი. ასეთი ჩვეულებანი დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში, ისინი იძლევიან დროისა და ენერგიის ეკონომიას და დადებითად წარმოაჩენენ პიროვნებას, გამოავლენენ მის აღზრდილობას.

უარყოფითი ჩვეულებანი კი ადამიანისათვის უსარგებლოა, ზედმეტია და თანაც თვით პიროვნების შესახებ უარყოფით აზრს გვიქმნიან, ცუდად ახასიათებენ მას, ავლენენ მისი ნებისყოფის სისუსტესა და დაბალ კულტურას. ასეთია, მაგალითად, უსაქმოდ ხეტიალი, უსუფთაობა, სხვების შეურაცყოფა, ზედმეტი სიტყვების ხშირი ხმარება („მაშასადამე", „რასაკვირველია", „იცით რა") და სხვა.

აღზრდის და თვითაღზრდის მიზანს წარმოადგენს დადებითი ჩვეულების გამრავლება და უარყოფითის უკუგდება, მათგან გადაჩვევა. ეს უკანასკნელი ძნელი საქმეა; ძნელია არსებული უარყოფითი ჩვეულების უკუგდება, რადგან ყოველი ჩვეულების დარღვევა ძლიერ უსიამოვნებას იწვევს. მავნე ზნეჩვეულებების აღმოფხვრისათვის საჭიროა მათი უარყოფითობის შეგნება და ნებისყოფის დაძაბვა, საკმაო ხნის მანძილზე მათი შესრულებისაგან თავის შეკავების დასაწყისიდანვე, რათა სისტემატური განმეორების გზით თარების დასაწყისიდანვე, რათას სისტემატური განმეორების გზით განვამტკიცოთ მათში დადებითი ჩვეულებები და მეორეს მხრივ, თავიდან ავიცილოთ ბავშვის მავნე ჩვეულებათა ჩამოყალიბება.

## § 4. თამაშის ფსიქოლოგიური თავისებურებანი

როგორც უკვე აღინიშნა, ქმედების, ანუ ქცევის ერთერთ ფორმას თამაში წარმოადგენს. თამაში ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა ასაკში გვხვდება. მაგრამ ბავშვისათვის, განსაკუთრებით სკოლამდელ ასაკში, იგი ქმედების ისეთსავე ძირითად ფორმას წარმოადგენს, როგორც მოსწავლისათვის სწავლა და მოზრდილი ადამიანისათვის—შრომა.

თამაში ძირეულად განსხვავდება სწავლისა და შრომისაგან. ყოველგვარი შრომის პროცესი რაიმე შედეგზეა მიმართული, შრო-

მის მიზანია რაიმე პროდუქციის მიღება, რაიმე ღირებულების შექმნა ასევე, სწავლას იმიტომ მივმართავთ, რომ ცოდნა მივიღოთ, ე. ი. გარკვეულ შედეგს მივაღწიოთ. ამ მხრივ სულ სხვაგვარია თამაში; იგი მიზნად არ ისახავს რაიმე შედეგის მიღებას, **თამაშის მიზანი თვით მოქმედების პროცესშია.** ბავშვი იმიტომ კი არ თამაშობს, რომ იგი რაიმე შედეგის მისაღებად ჭირდება. არამედ მას თვით თამაშის პროცესი იზიდავს: მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თამაშში ხდება და არა მის შედეგად მიღებული პროდუქტით. შეიძლება ითქვას, რომ თამაშის მიზანს თვითონ თამაში შეადგენს; ამიტომაცაა, რომ ბავშვი თამაშის პროცესში ღებს კმაყოფილებას და სიამოვნებას, მას სულ არ აინტერესებს რა მოყვება თამაშის პროცესს, როგორც შედეგი.

თამაშის ეს თავისებურება ბუნებრივად ბადებს კითხვას: რა უდევს თამაშს საფუძვლად, რატომ თამაშობს ბავშვი? ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ყოველი მოქმედება წარიმართება რაიმე მოთხოვნილებიდან გამომდინარე ამოცანების მიხედვით. ყოველი აქტივობა მოთხოვნილებებით გამოიწვევა. კონკრეტული შრომის მიზანს შეადგენს რაიმე პროდუქტისა და ნივთის შექმნა, რომელიც საზოგადოების თუ პირად მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. თამაშის დროს კი ასეთი პროდუქტის და ღირებულების შექმნის მიზანი არ არსებობს. შეიძლება ზოგჯერ კაცმა ითამაშოს რაიმე მოგების მიზნით, მაგრამ შინაგანად ეს არ იქნება თამაში; რაკი გაჩნდა მიზანი მის პროცესს გარეთ, ამით თამაში უკვე სხვა ქმედებამ შეცვალა.

შრომისათვის და საერთოდ ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და ბავშვის სხეულებრივი და ფსიქიკური მომწიფება სკოლამდელ ასაკში ძირითადად თამაშის პროცესში ხდება. თამაშია მოქმედების ის წამყვანი ფორმა, რომელშიც მიმდინარეობს დაბალი ასაკის ბავშვის ფსიქიკური პროცესების მომწიფება და შრომითი საქმიანობისათვის მომზადება.

**როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ბავშვს აქვს ცალკეული უნარისა და პროცესის ამოქმედების ტენდენცია, ფუნქციობის, მოქმედების მოთხოვნილება.** ბავშვი ამ ფუნქციობის მოთხოვნილების ნიადაგზე იწყებს აქტივობას თამაშის სახით. რადგანაც, მოზრდილივით, სხვა ქმედებებში არ ხდება ამ მოთხოვნილების რეალიზაცია. თამაშში ხდება სასიცოცხლო ძალების განვითარება და მომწიფება. ასეთი მომწიფების შემდეგ ფუნქციობის ტენდენცია უკვე სწავლასა და შრომაში ვლინდება, აქტივობის მოთხოვნილება ახლა სერიოზული

საქმიანობის პროცესში კმაყოფილდება და თანდათან იშვიათი ხდება მისი დამოუკიდებელი სახით გამოვლენა.

თამაშის ეს ძირითადი თავისებურებანი გასაგებს ხდის მის განვითარებას ასაკის შესაბამისად და ბავშვის ფსიქიკისა და საერთო განვითარებისათვის მის მნიშვნელობას. ასაკის ზრდასთან ერთად ხდება ახალ-ახალი ფუნქციებისა და ძალების გამოვლენა. ბავშვის განვითარების სხვადასხვა ასაკში თამაშის ახალი ფორმა იჩენს თავს. მიუხედავად თამაშის დიდი მრავალფეროვნებისა, ფსიქოლოგიაში არსებობს, გენეტიკური თვალსაზრისით, მისი კლასიფიკაცია ცალკეულ სახეებად.

ყველაზე უფრო გამართლებულია თამაშის კლასიფიკაცია ფსიქიკური თავისებურებებისა და აქტივობის სახესხვაობის შესატყვისად. ამ თვალსაზრისით, **განასხვავებენ თამაშის სამ ძირითად ტიპს: ვარჯიშის, სამბოლურ და წესებიან თამაშს**, რომლებიც თავის შიგნით მოიცავენ თამაშის სხვადასხვა სახეებს. თამაშის პირველი გამოვლინებანი როგორც მოტორულ, ისე სენსორულ სფეროში ვარჯიშის თამაშს წარმოადგენს, რომელსაც შემდეგ ემატება სიმბოლური, ანუ როლების თამაში და ბოლოს, ბავშვი იწყებს წესებიან თამაშს თანატოლებთან ერთად.

ბავშვობის ასაკში თამაშის ცალკეულ სახეთა განვითარება მიყვება საერთო განვითარების გზას. ბავშვი თანდათან უფრო მეტად აქცევს ყურადღებას საგნებისა და მოვლენების შინაგან კანონზომიერებებს. ერთად თამაშის პროცესში, ბავშვები თანდათან ართულებენ თამაშის სიუჟეტსა და შინაარსს; წესებიანი თამაშის დაწყებით კი ისინი განსაზღვრავენ ერთმანეთთან დამოკიდებულებას და კონტროლს უწევენ თავის და სხვის მოქმედებას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ბავშვები თამაშის სახით თანდათანობით იწყებენ ისეთი მოქმედებების შესრულებას, რომლებსაც რაიმე შედეგი უნდა მოყვეს (დიდაქტიკური და კონსტრუქციული თამაში). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ თამაშიდან ხდება თანდათანობითი გადასვლა სწავლასა და შრომაზე, ნელნელა წამოიწევა წინა პლანზე რაიმე მიზნის მიღწევის მოტივი, რაც შესაძლებელს ხდის მოქმედების წამყვან ფორმად იქცეს სწავლა და შრომა.

ამრიგად, ნათელი ხდება, რომ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის საერთო განვითარებისათვის. იგი წარმოადგენს სინამდვილესთან აქტიურ დამოკიდებულებას და მის ასახვას. თამაშში ბავშვი თვალსაჩინო მოქმედებების სახით ასახავს სინამდვილეს: ცხო-

რების სცენებს, მოზრდილთა საქმიანობას, საგანთა თვისებებს და მათ შესატყვის მოქმედებებს.

თამაში საოცრად ბუნებრივია ბავშვისათვის, იგი არც ტანჯვა-ღელვიამოვნებაა. მაგრამ არც რაიმე განსაკუთრებული სიხარულია; ბავშვი თამაშში ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. აქაც და სხვაგანაც ბავშვი სიამოვნებას ეძებს და ტკბება მისით. ბავშვის განვითარება განუყრელია თამაშისაგან: ინტელექტუალური განვითარებისა და შემეცნებითი უნარების ზრდის საფუძველზე. თამაში თანდათან უფრო აზრიანი და მოწესრიგებული ხდება და ამით საფუძველს ქმნის სერიოზული ცხოვრებისათვის მზადების საქმეში. ბავშვებში თამაშის განვითარებას სულიერი ძალების მოძრაობა და გარკვეული დონე ჰირდება; მაგრამ პირიქითაც: თამაში ახალ დონეებს ამწიფებს და ამზადებს შემდგომში სერიოზული საქმიანობის შესასრულებლად. თამაში ბიოლოგიურად არააქტიურ ძალებს ავარჯიშებს და ამით ბავშვის ახალახალ ძალებსა და უნარებს ანვითარებს; შემდეგ ის ძალები თავის მხრივ ესეც ახალი თამაშების ალმოცენებას ედება საფუძვლად და ა. შ. ასე თანდათანობით ხდება ბავშვის ფსიქოფიზიკური ძალების განვითარება და მომწიფება იმ დონემდე, როცა შესაძლებელი გახდება ქმედების შემდგომ უფრო მაღალი ფორმაზე—სწავლაზე გადასვლა.

როგორც უკვე თქვა, თამაშის პროცესში ხდება ცოდნის შეძენაც, როგორც გვერდითი, დამატებითი შედეგი. რაკი თამაშის პროცესს ჰირდება. ბავშვიც ბევრ რამეს სწავლობს, უშუალოდ და პრაქტიკულად იყენებს თამაშისათვის. ამით იგი არა მხოლოდ სწავლის, როგორც დამოუკიდებელი ქმედების უნარებს ამზადებს, არამედ ალმზრდელობითი სწავლების წინამორბედი და თვალსაჩინო ნიმუშიც ხდება.

თამაში ბავშვის მიერ სამყაროს შემეცნების გზაა. ბავშვი თამაშში ასახავს იმ სინამდვილეს, რომელშიც იგი იმყოფება. როგორც დ. უზნაძე ამბობდა: **თამაში ბავშვს ამზადებს ცხოვრებისათვის.** ეს დებულება უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ თამაშის უდიდეს გავლენას ბავშვის ფსიქიკის განვითარებაზე. **სკოლამდელ ასაკში თამაში, როგორც ქცევის წამყვანი ფორმა, ძირითადად განაპირობებს ბავშვის საერთო განვითარებას.** ამიტომაც არსებობს გამოთქმა, რომ როგორიცაა ბავშვი თამაშში, ისეთი იქნება ძირითადად ცხოვრებაში, როცა გაიზრდება.

თამაშის პროცესში ვითარდება ბავშვის სულიერი უნარები: შეგრძნება და აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა

პროცესებზე განსაკუთრებით დიდი როლი აქვს თამაშს ნებისყოფისა და ნებისმიერი ფსიქიკური პროცესების განვითარებისათვის; ბავშვი თამაშს ამოცანისა და მიზნის მიხედვით უფრო ადვილად იხსოვებს და იხსენებს. თამაშის საშუალებით ხდება მეხსიერების და აღქმის წინასწარ განზრახვის შესაბამისად წარმართვა. რაც შემდგომში, სწავლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

დიდ როლს ასრულებს თამაში მეტყველებისა და აზროვნების განვითარებაში. ბავშვისათვის დამახასიათებელი თამაშის სახეები მოითხოვს ანალიზისა და სინთეზის, განყენებისა და განზოგადების ოპერაციების ამოქმედებას და ხელს უწყობს ამ ოპერაციების შემდგომ განვითარებას. მოცემული საგნების საშუალებით სხვა მოვლენების წარმოდგენის პროცესში ბავშვი იწყებს უშუალო მატერიალური საგნების სფეროდან გასვლას და გონებრივი ოპერაციების განხორციელებას შინაგანად. ინტერიორიზაციის საფუძველზე. თამაში ბავშვის წარმოსახვის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.

თამაშის პროცესში მნიშვნელოვნად ვითარდება ნებისყოფა და ნებისმიერი მოქმედების უნარი, განსაკუთრებით წესებიანი თამაშის დროს. ბავშვი იწყებს თავისი მოქმედების ფლობას. იგი ახერხებს თავისი ქმედების კოლექტივის მოთხოვნების მიხედვით წარმართვას. ეუფლება მორალური ქცევის ჩვევებს; ცნობილია, რომ თამაშის პროცესში განმტკიცებული მოქმედებები და ჩვევები დიდ როლს ასრულებენ შემდგომ ბავშვის საერთო განვითარებაში.

თამაში ხელს უწყობს პიროვნულ, ფსიქიკური თვისებების განვითარებასაც. თამაშის დროს ბავშვში ჩნდება ახალახალი მოთხოვნილებები და ინტერესები, ისახება პირველი იდეალები. თამაში ხელს უწყობს ბავშვის ნიჭისა და უნარის გამოვლენას და განვითარებას.

## § 5. სწავლის ფსიქოლოგიური დახასიათება

სწავლის ცნება ზოგჯერ ძალზე ფართო გაგებით იხმარება; მასში იგულისხმება ყოველგვარი ცოდნისა და ჩვევის შეძენის პროცესი. ასეთი გაგებით სწავლაში შედის ცოდნა-ჩვევის დაუფლებაც, პროფესიული დახელოვნებაც და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაც კი. ასე, მაგალითად, ამბობენ: „ამ ბავშვმა ლექსი ისწავლაო“, ან „მან უფროსების წინაშე მოქცევა ისწავლაო“, „ამ კაცმა კარების დახურვა ისწავლაო“, ან „სავაჭროდ თუ ტურისტად ყოფნის დროს ამ კაცმა უცხო ენა ისწავლაო“ და ა. შ.

სასკოლო სწავლა, ანუ სწავლა, როგორც ქმედების დამოუკიდებელი ფორმა გულისხმობს სპეციალურად ორგანიზებულ პირობებში ცოდნის დაუფლების პროცესს. მას, ზოგჯერ საგანმანათლებლო სწავლასაც უწოდებენ.

ფსიქოლოგია სწავლას როგორც პროცესს, როგორც ქმედებას განიხილავს; ფსიქოლოგიისათვის სწავლა ქცევის ისეთი დამოუკიდებელი ფორმაა, რომლის უშუალო მიზანი ცოდნის მიღებაა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ცოდნის შეძენა ქცევის სხვა ფორმებშიც ხდება. მაგრამ ამ ფორმებში ქმედების მიზანს არ წარმოადგენს ცოდნის მიღება. განა თამაშის დროს ბავშვი ცოტა რამეს სწავლობს, ან შრომის პროცესში ადამიანი ცოდნასაც არ იძენს? მაგრამ არც ერთისა და არც მეორისათვის ეს არაა მოქმედების აღმძრელი მიზანი და მოტივი.

სწავლა, ისევე როგორც ქცევის სხვა ფორმები, მთლიანი პიროვნების აქტივობაა. მასში ჩართულია ადამიანის ყველა ფსიქიკური პროცესი და უნარი, მისი ყველა ფსიქოფიზიკური ძალები. იგი ვერ დაიყვანება ცალკეულ ფსიქიკურ პროცესებზე. კერძოდ, არ შეიძლება იგი მხოლოდ მეხსიერების ფუნქციად ჩავთვალოთ. ფსიქოლოგიის შესავალ ნაწილში ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ასეთი მექანიცისტური შეხედულება უარყოფს პიროვნებას და მის ქცევას, როგორც მთლიანობის პროცესს. ქმედებისათვის ამოსავალი პრინციპი მთლიანი პიროვნება უნდა იყოს, რომლის აქტივობაში ჩართულია ცალკეული სულიერი და ფიზიკური უნარები. ამდენად, სრულიად მართებულია გამოთქმა, რომ „მეხსიერება კი არ სწავლობს გაკვეთილს, არამედ მოსწავლე სწავლობს მეხსიერების (და სხვა პროცესების) საშუალებით".

სწავლის პროცესის მთლიანპიროვნული ბუნების აღიარება სულაც არ ნიშნავს ცალკეული ფსიქიკური პროცესების როლის უარყოფას. აღქმა, მეხსიერება, აზროვნება და სხვა პროცესები სწავლის აუცილებელი დასაყრდენია; მათი კანონზომიერებების ცოდნისა და გამოყენების გარეშე სწავლა და დამახსოვრება ეფექტურად ვერ წარიმართება. მათი გათვალისწინება სწავლების ორგანიზაციის ერთერთი მთავარი პირობაა. ამას ჩვენ თვალნათლივ ვნახავთ დასწავლის კანონზომიერებათა განხილვის დროს.

სწავლის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმის თავისებურებანი ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ მის სტრუქტურას და ძირითად მომენტებს. რადგან ქმედების ფორმების განმსაზ-

ღრელი მისი მიზანია: თუ რა მიზანს ემსახურება ქცევა, ესაა მისი სპეციფიკურობისა და რაგვარობის დამდგენი.

**სწავლას აქვს თავისი სპეციფიკური მიზანიც და საგანიც.** ამით განსხვავდება იგი სხვაგვარი აქტივობის პროცესში შეძენილი ცოდნისა და გამოცდილებისაგან, ე. ი. ყოველივე იმისაგან, რასაც სწავლის ცნების ფართო გაგება გულისხმობს. **სწავლის პროცესისათვის აქტივობის მიზანი და ამოცანა ცოდნის დაუფლებაა.** ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით აქტივობს, მისთვის მთავარია ცოდნის მიღება. ასეთი სწავლის დროს სწავლის მიზანი (საგანი) ცნობიერადაა მოცემული, როგორც შემეცნების საგანი; ცოდნისა და გამოცდილების შეძენის სხვა შემთხვევებში კი იგი მხოლოდ რაიმე მიზნით შესრულებული ქცევის თანმხლებია. მაშასადამე, სწავლა, როგორც ქმედების სპეციფიკური და დამოუკიდებელი ფორმა, ცოდნის მიზანზე და საგანზეა მიმართული.

აქვე უნდა აღინიშნოს სწავლის სიახლოვე თამაშთანაც და შრომასთანაც. მაგრამ შრომისაგან განსხვავებით, რომელიც საგნებს გადაამუშავებს და შეცვლილ სახეს აძლევს, სწავლა საკუთარ თავს, საკუთარ ძალებსა და თვისებებს ცვლის; თუ შრომის შედეგები დაკოდებულია მასალაზე, სწავლის შედეგები საკუთარ უნარებზეა დამოკიდებული. ამავე დროს სწავლა, შრომის მსგავსად, პასუხისგებლობას და ნებისყოფას საჭიროებს; ამით იგი ძირეულად განსხვავდება თამაშისაგან, რომლისთვისაც მხოლოდ სურვილია საკმარისი, ე. ი. თამაში თითონ ირჩევს საგნებსა და მოქმედებებს, სწავლას კი გარედან იძლევა ისინი, მას გარედან მართავენ.

დ. უზნაძე წერდა: „სწავლა არასდროს ისეთი პროდუქტის შექმნის მიზნებს არ ისახავს, რათა მისი საშუალებით ქვემდებარე მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს. იგი თვითონ აქტივობას ეხება, თავისთავად და არა იმ პროდუქტებს, რომელთაც ეს აქტივობა ქმნის. **როდესაც სუბიექტი რაიმე გარკვეული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად კი არ მიმართავს ამა თუ იმ აქტივობას, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ მას—ამ აქტივობას—უკეთ დაეუფლოს, მისი უკეთ შესრულება შეძლოს, მაშინ ჩვენ ვამბობთ, სუბიექტი სწავლობსთქო ამ აქტივობას, სწავლა ამ შემთხვევაში დამოუკიდებელი, თავისთავადი ქცევის ფორმად იქცევა და ნამდვილ სწავლასთან ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე“.**

სწავლის ასეთი განმარტების სისწორე უფრო ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწავლას არა მხოლოდ თავისი საგანი

და მიზანი გააჩნია, არამედ თავისი მოტივიც, რომელიც ყოველთვის როდი ემთხვევა მიზანს.

გარეგნულად და ობიექტურად სწავლის აზრი და მოტივი ყოველთვის სწავლის საგნისა და მოტივის ერთიანობად წარმოგვიდგება. მაგრამ შინაგანად, ფსიქოლოგიურად ეს არაა ყოველთვის ასე, რაც უფრო ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ მრავალ მოტივიან მოქმედებებსა და არაპირდაპირი ინტერესის საფუძველზე მიმდინარე სწავლის პროცესებს. გარეგნულად, თავისი მნიშვნელობის მიხედვით, მოსწავლის აქტივობა ერთგვაროვნად ჩანს, როგორც ცოდნის დაუფლება, რაიმე მასალის შესწავლა, მაგრამ ხშირად თავისი მოტივებით ეს ქცევა სწავლას საერთოდ არ წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, გაკვეთილის დასწავლა ნიშნისათვის, ან მშობლის „დასაწყნარებლად". აქედან გასაგებია, რომ **ნამდვილ სწავლასთან მაშინ გვექნება საქმე, როდესაც ადამიანი მოქმედების პროცესს ასრულებს მისი დაუფლების მოტივით.** ასეთი ქცევა არ შეიძლება სხვა მოტივებით მიმდინარე აქტივობის შემადგენელი ნაწილი ან უბრალოდ თანმხლები იყოს, იგი თავისთავადი და დამოუკიდებელი აქტივობაა.

სწავლის მთლიანპიროვნული ბუნების აღიარებით გასაგები ხდება ისიც, რომ იგი არ არის უბრალოდ ცოდნის, როგორც ინფორმაციის ათვისება, რასაც არც თუ იშვიათად გულისხმობენ სწავლების გამარტივებული და გაცალმხრივებული გაგებისას. სწავლა არც მხოლოდ გონების ვარჯიშია და არც მხოლოდ რაიმეს გაზეპირება, იგი გულისხმობს უკვე არსებული ცოდნის გაღრმავებას, გამოცდილების ზრდას, პიროვნების ინტერესებისა და დამოკიდებულებების გაფართოებას და საბოლოო ჯამში გარე სინამდვილესთან არსებული დამოკიდებულების შეცვლას.

სწორედ იმის გამო, რომ სწავლა უზრუნველყოფს პიროვნების უნარებისა და ძალების განვითარებას, **იგი დაკავშირებულია არა მხოლოდ განათლების ამოცანებთან, არამედ აღზრდასთანაც. მხოლოდ ამ გაგებით შეიძლება ლაპარაკი აღმზრდელობით სწავლებაზე;** სხვაგვარად იგი ცარიელ და უშინაარსო სიტყვად რჩება. მის გარეშე სწავლა არ იქნებოდა ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, იგი მოკლებული იქნებოდა მთლიანპიროვნული აქტივობის შესაძლებლობას და გაცალმხრივებულ სახეს მიიღებდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს სწავლისა და სწავლების შედეგებზე, სასწავლო ოპერაციებისა და აქტივობის დასრულების შემდეგ მიღებულ მონაპოვარზე. **სწავლის პროცესმა,** ყოველ კონკრეტულ ერთეულ, თუ გლობალურ შემთხვევაში, **უნდა უზრუნველყოს მიღე-**

**ბული ცოდნის ჩართვა მთლიანი პიროვნების სტრუქტურაში, მოახდინოს ამ პიროვნებაში შესაბამისი ცვლილება.** ნასწავლი მასალა არ უნდა დარჩეს როგორც მხოლოდ ინფორმაცია. ანუ როგორც ვამბობთ ხოლმე მექანიკური და დაზეპირებული ცოდნა. მოსწავლემ უნდა გაიშინაგნოს მიღებული ინფორმაცია, უნდა გაიაზროს იგი, მიუჩინოს თავისი ადგილი თავისი ცოდნისა და შეხედულებების სისტემაში.

ამასთანავე, როგორც მთლიანპიროვნული აქტივობა, სწავლა არ შეიძლება მხოლოდ შემეცნებით აქტივობასთან გავაიგივოთ, იგი არ არსებობს ემოციურ-ნებლობითი პროცესების გარეშე. პიროვნება სწავლის შედეგებს უსადაგებს თავის განწყობებს, ინტერესებს, პოზიციებს, რწმენას და მსოფლმხედველობას. იგი არა მხოლოდ ცოდნას იღებს, არამედ გარკვეულ დამოკიდებულებასა და პოზიციებსაც იმუშავებს და ამყარებს. სწორედ ამაშია ძირითადად ჩადებული სწავლის აღმზრდელობითი ასპექტი, რომ მთავარია მოსწავლეს გამოუმუშაოთ დადებითი დამოკიდებულება შეძენილი ცოდნისა და საერთოდ სწავლის შინაარსისადმი. სხვაგვარად ვერ მივიღებთ ვერც განათლებულ და მით უმეტეს, ვერც აღზრდილ პიროვნებას.

სწავლას აქვს თავისი ნაყოფიერების მაჩვენებლები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ცოდნის მიღების, ე. ი. დამახსოვრებისა და დასწავლის პროცესებთან. სწავლის ნაყოფიერების საბოლოო შეფასებაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სწავლის აღმზრდელობითი მომენტებიც. რის გარეშე მთლიანი პიროვნების აღზრდა-განვითარება შეუძლებელია. ამ მომენტების გარეშე არ შეიძლება მსჯელობა სწავლის, როგორც ადამიანური ქცევის სპეციფიკური და დამოუკიდებელი ფორმის მნიშვნელობაზე.

სწავლა ძირითადად სასკოლო სწავლების საშუალებით მიმდინარეობს. **სწავლება სწავლას ემსახურება,** ის კი ცოდნას გვაძლევს და პიროვნების ფორმირებასა და ინტელექტის განვითარებას განაპირობებს აღზრდის პროცესთან ერთად, რომლის გარეშე ნებისყოფა და ხასიათი ვერ ჩამოყალიბდება. ამიტომაცაა სწავლისა და აღზრდის ერთიანობა აუცილებელი და სწავლებაში მთავარი და გადამწყვეტი მოსწავლის დამოკიდებულება სწავლისა და მასწავლებლისადმი. ამიტომ არ კმარა სწავლების პროცესში მასწავლებლისათვის მხოლოდ საგნის ცოდნა, მას საჭმზრდელო ზემოქმედებაც მოეთხოვება: მას ავტორიტეტიც ჰირდება, ტაქტიანობაც, მომთხოვნელობაც, სიტყვისა და საქმის ერთიანობაც და კიდევ სხვა ბევრი რამეც. ყოველივე ამის გარეშე აღმზრდელობითი სწავლება ვერ განხორციელდება და

ვერც სრულყოფილ პიროვნებას მივიღებთ. ადამიანებმა კარგად იციან, რომ კაცი ის არის, რაც უსწავლია და რა აღზრდაც მიუღია, რომ განვითარებას და მომწიფებას სწავლაც ჰირდება და აღზრდაც.

როგორც ეხედავთ, სწავლა სხვადასხვა საჭირო მოქმედების დაუფლების წინაპირობაცაა და სასიცოცხლო მოთხოვნილებებისათვის აუცილებელი საშუალებაც. იგი გარემოსთან შეგუების საჭიროებამ გააჩინა და მასვე ემსახურება, რადგან ადამიანების ცხოვრებაში აუცილებელია სხვადასხვა მოვლენების ცოდნა, ქმედებების და განსაკუთრებით, შრომის წესების ცოდნა და დაცვა. სწავლა ყველაფერს ჰირდება: შრომასაც, თამაშსაც, ურთიერთობასაც და ა. შ. თავდაპირველად იგი ამ მოქმედებებში შერწყმული იყო. მაგრამ შემდგომ თანდათან გამოეყო მათ, ჯერ როგორც ცხოვრებისეული ქმედებების უშუალო პროცესი. შეუმჩნეველი და გაუცნობიერებელი: მერე კი—როგორც ცალკე, სპეციფიკური და დამოუკიდებელი სახე, რამაც საბოლოოდ სასკოლო სწავლამდე მიგვიყვანა.

## § 6. შრომის პროცესის ფსიქოლოგიური კომპონენტები

**ადამიანის ქმედების ძირითად ფორმას შრომა წარმოადგენს.** შრომის პროცესში ჩართულია როგორც ფსიქიკური, ისე ბიოლოგიური (ფიზიოლოგიური და სოციალური ასპექტები). შრომა თავისთავად, არაა ფსიქოლოგიური ცნება, მაგრამ მას აქვს ფსიქოლოგიური ასპექტი. მისი განხორციელება ყოველად წარმოუდგენელია ფსიქიკის გარეშე. ადამიანის ქმედებას საერთოდ და მით უმეტეს შრომის პროცესს, თავისი მიზანი და ამოცანები განსაზღვრავს, მას საფუძვლად ედება მოთხოვნილებისა და შესატყვისი საგნების არსებობა. მეორის მხრივ, ადამიანის ფსიქიკა და ცნობიერება ქმედების და კერძოდ, შრომის პროცესში აღმოცენდება და ვითარდება.

გარემოსთან ურთიერთობის პროცესში ადამიანი ზემოქმედებას ახდენს მასზე: იგი ასახავს, შეიმეცნებს სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კანონზომიერებებს და შემდგომ ახდენს მათ მიზანდასახულ გარდაქმნას. ამ გზით ადამიანი სახეს უცვლის ბუნებას და საბოლოო ჯამში, თავის თავსაც. გარე სინამდვილესთან ასეთი ურთიერთობის — შრომის შედეგად ხდება გარდაქმნილი, სახეშეცვლილი საგნების მოხმარება და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მაგრამ ეს მომენტი არ ქმარა შრომის, როგორც ქმედების დამოუკიდებელი სახის დახასიათებისათვის. ადამიანის ყოველგვარი აქტივობა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება და ამ აქტი-

ვობის უმეტეს ნაწილს აქვს თავისი საგანი: კონკრეტულ შემთხვევაში როგორ ქმედებას მიმართავს ადამიანი და რა ძალებს აამოქმედებს, ეს დამოკიდებულია მოცემულ მოთხოვნილებასა და სიტუაციაზე.

როგორც უკვე ვნახეთ, ამ ორი ფაქტორის თანხვდენისა და შესაბამისი ძალების ამოქმედების საფუძველზე, ცოცხალი არსება გარკვეულ მდგომარეობას იღებს, მასში ხდება სპეციფიკური ცვლილება. იგი გარკვეული მიმართულებით სამოძრაოდ განეწყობა. სწორედ ამ განწყობის საფუძველზე ხდება შესაძლებელი ქმედების აზრისა და მიზანშეწონილობის გაგება. ამ ქმედების გარკვეულ სახედ მიჩნევა ამის გარეშე, მხოლოდ გარეგნულად მოცემულობის გათვალისწინებით, ქმედების კლასიფიკაცია და შრომის პროცესის, როგორც დამოუკიდებელი ქცევის ფორმად გამოყოფა შეუძლებელია.

დ. უზნაძე შრომის ფსიქოლოგიური ასპექტების დახასიათებას გენეტიკურ-იერარქიული თვალსაზრისით იწყებს. იგი აღნიშნავს, რომ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ცოცხალი არსება (და ადამიანიც, კერძოდ, თავის ძალებს მიმართავს შესაბამის საგანზე და შესაბამის მოქმედებებს განახორციელებს: ჭამს, სვამს, და ა. შ. ამ შემთხვევაში ხდება საგნების მოხმარება და ათვისება, ასიმილაცია. ქმედების ეს ფორმა ამოსავალია შრომისათვის, მისი წარმოშობისა და ალმოცენების წინაპირობას წარმოადგენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არაა ჯერ შრომის პროცესი.

უფრო ვიტიც: შრომის პროცესის არსის გამოხატვად თავისთავად ვერც ისეთი ქმედებანი ჩაითვლება, რომლებიც მოხმარების ქცევის განხორციელებას უძღვის წინ და მას ემსახურება. მაგალითად, საჭმლის მოპოვებისათვის გადაადგილება, გაქცევა; ანდა ნადირობა, ნანადირევის გატყავება და შეწვა თუ მოხარშვა,—ვერ ჩაითვლება შრომად: თუმცა აშკარაა, რომ ისინი უშუალოდ მოხმარების ქმედებათაც ვერ რჩება. როდესაც ადამიანს შია, იგი ჯერ მოიძიებს საჭმელად ვარგის საგანს, შემდეგ დაამუშავებს მას და გარკვეული ფორმით იწყებს მის მოხმარებას. ამ დროს შეიძლება ძალიან რთული მოქმედებების შესრულებაც ხდებოდეს. მაგრამ ისინი შრომად მაინც არ ჩაითვლება. ასე ხდება ჩაცმის და სხვა მოქმედებების დროსაც. როგორც დ. უზნაძე აღნიშნავს, ამ დროს ადამიანს „გარკვეული აქტუალური მოთხოვნილება აქვს და მის დასაკმაყოფილებლად მოძრაობათა საკმაოდ რთულ კომპლექსს მიმართავს, რომელთაც. მართალია. უშუალოდ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ სდევს თან, მაგრამ რომელნიც ერთს მთლიანს, ერთსა და იმავე მოთხოვნილების

ბი: შრომა მთლიანპიროვნული აქტივობაა, მაგრამ მისთვის უფრო აუცილებელი და არსებითია ისეთი ფსიქიკური უნარები, როგორიცაა **ნებისყოფა და აზროვნება.** მათ გარეშე არც მიზნის დასახვა და შესაბამისი განზრახვის აღმოცენება შეიძლება და არც ისეთი მოქმედების წარმართვა, რომლის უშუალო მოთხოვნილება სუბიექტს არ გააჩნია. სწორედ ამის გამო ითვლება შრომა ადამიანისათვის სპეციფიკურ ძირითად ფორმად.

შრომის პროცესში იქმნება მატერიალური და სულიერი ღირებულება, ყველაფერი ის, რაც აუცილებელია კაცობრიობის არსებობისა და განვითარებისათვის. შრომის გარეშე ადამიანის მოდგმა ვერ იარსებებს. ვერ გაბატონდებოდა სხვა ცოცხალ არსებებსა და ბუნებაზე. შრომის მიზანი შეიძლება იყოს ყოველგვარი ნივთი და საგანი, რომლებსაც ცალკეული ინდივიდები და მთლიანი საზოგადოება მოიხმარს და იყენებს: დაწყებული საჭმლიდან და ტანისამოსიდან, დამთავრებული ენერგიის სახეობებითა და ინფორმაციის საშუალებებით. ყველა ამ შემთხვევაში მთავარია საზოგადოებრივი ღირებულება და დანიშნულება და არა პირადი მოხმარება, რაც დამახასიათებელია მოხმარებისა და მომსახურების ქმედებისათვის; ამის გარეშე შრომის დანაწილება და ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობანი შეუძლებელი იქნებოდა.

შრომის პროცესში ხდება ბუნების საგნების ისეთი გარდაქმნა, რომ ზოგი მათგანი შემდგომ თვით გამოიყენება სხვა საგანთა შესაქმნელად. ამ სახის ნაწარმის შექმნა წარმოადგენს იარაღის დამზადებას. სადაც მთავარია ის ნიშან-თვისებები, რომლებიც სხვა საგნებზე და ობიექტებზე ზემოქმედებისათვისაა საჭირო და არა ის ბუნებრივი თვისებები, რომლებსაც ინდივიდის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება შეუძლია. ამით აგრეთვე საფუძველი ეყრება შრომის პროცესისათვის საჭირო ცოდნის და მეცნიერების განვითარებას, რაც დამოუკიდებელი ქმედების სახითაც შეიძლება არსებობდეს. მაგრამ მისთვის განმსაზღვრელი იქნება სამსახური ამოსავალი შრომითი ქმედებისათვის.

განვითარების შემდეგ ეტაპზე ხდება არა მარტო ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, არამედ ისეთი პრობლემებიც აღმოცენდება, რომლებიც წმინდა შემეცნებით ინტერესებს ექვემდებარება და **თეორიულ მეცნიერებათა დარგებს ქმნის.** ამ შემთხვევაში თვალნათლივ ჩანს კავშირი და ურთიერთგადასვლა ქმედების სახეებს შორის: შემეცნებითი ინტერესი დამოუკიდებელ მოთხოვნილებად იქცევა და უშუალოდ უბიძგებს ადამიანს მოქმე-

დებისაკენ. მაგრამ მეორეს მხრივ, აქაც წინა პლანზე გამოდის ობიექტური განსაზღვრულობა, გარკვეული შედეგების ძიება და შემდეგ შესაბამისი შედეგების, აზრების, დასკვნების მიღება. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ „ამ მოსაზრებათა გამო სრულიად მართებულად უნდა ჩაითვალოს, რომ გონებრივი აქტივობა, ჩვეულებრივ, შრომის, სახელდობრ, **გონებრივი შრომის** სახელწოდებით აღინიშნება".

დასასრულ, კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი ადამიანის ქმედების მთლიანობით ბუნებას, რომ ქცევის ფორმათა კლასიფიკაცია არ გულისხმობს მათ აბსოლიტურ გათიშულობას. ეს ერთიანობა მოცემულია შრომისა და მომსახურების მოქმედებათა კავშირითა და ერთიანობით. დღეისათვის აღარავინ ხდის სადაოდ, რომ ტრანსპორტისა და მომსახურების სხვა სფეროში დასაქმება შრომას წარმოადგენს. აქაც ხომ ობიექტურად ღირებული შედეგები მიიღება, თუმცა ისინი დამოუკიდებელი, ნივთიერად გამოხატული პროდუქტის სახეს არ ატარებენ. ასეთ პროფესიებს მიეკუთვნება მასწავლებელთა და მედიკოსის დარგის მუშაკთა საქმიანობა და სხვა სახის მომსახურებითი პროფესიები.

## § 7. შემოქმედება, როგორც ქმედების ფორმა

ადამიანის ქცევის, ანუ ქმედების ჩამოთვლილ სახეთა შორის განსხვავება მოქმედების მიზნითა და მოტივითაა განსაზღვრული; იმის მიხედვით თუ რა მიზანს ისახავს მოცემული აქტივობა, უკვე განვასხვავეთ ქმედების დამოუკიდებელი ფორმები: თამაში, სწავლა, შრომა. ამჯერად უნდა გაირკვეს რა მიზნებს და მოტივებს ექვემდებარება შემოქმედება, ჩაითვლება თუ არა იგი ქმედების დამოუკიდებელ ფორმად.

შემოქმედება საერთოდ და განსაკუთრებით მხატვრული შემოქმედება, ხელოვნება, დაკავშირებულია რაიმე პროდუქტის შექმნასთან. მისი საბოლოო შედეგი ნაწარმის (ნაწარმოების) შექმნაა. მაგრამ შრომისაგან განსხვავებით აქ ქმედების მიზანი და ამამძრავებელი მოტივი არაა ერთი და იგივე: შემოქმედებას ბიძგს ადამიანის შინაგანი მოთხოვნილებანი, კერძოდ ფუნქციონალური ტენდენციის საფუძველზე არსებული აქტუალური მოთხოვნილება აძლევს. ამით იგი განსხვავდება შრომისაგან და თამაშს უფრო უახლოვდება. მაგრამ ამავე დროს, იგი თამაშისაგან სწორედ იმით განსხვავდება, რითაც ნაწილობრივ იგივეობრივია შრომასთან. საქმე ისაა, რომ თამაში არავითარი შედეგის მიღწევას და პროდუქტის შექმნას არ ისახავს მიზნად; შემოქმედება კი, მსგავსად შრომისა, მიმართულია რაიმე

ღირებულების შექმნაზე. ამ თვალსაზრისით თუ შევხედავთ, შემოქმედება შრომის ერთერთ სახედ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, როგორც ამას ავტორთა უმრავლესობა მიიჩნევს. მაგრამ დ. უზნაძე და ქართველი ფსიქოლოგები გარდა ამ აქტივობათა აღმძვრელი მოტივების სხვადასხვაობისა, მიუთითებენ მიზნის შინაარსობრივ სხვაობაზეც. თუ შრომის მიზანს საერთოდ ღირებულებისა და უკვე ცნობილი პროდუქტის შექმნა შეადგენს, შემოქმედება მხოლოდ ახალი, ორიგინალური ნაწარმოების შექმნას გულისხმობს: იგი არსებული და მრავალგზის შექმნილი ნიმუშის მიხედვით კეთებას კი არ გულისხმობს: არამედ ახლებურ მოქმედებას საჭიროებს და სრულიად ახალ პროდუქტს ქმნის.

ამრიგად, **შემოქმედება, როგორც ქმედების დამოუკიდებელი ფორმა, წარმოადგენს სუბიექტის შინაგანი მოთხოვნილების საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნის პროცესს** მისი სიახლე და მსგავსება, ერთის მხრივ, შრომასთან, ხოლო მეორეს მხრივ, თამაშთან მთლიანპიროვნული აქტივობის და ქმედების ფორმათა ერთიანობის მაჩვენებელია და არა რომელიმე მათგანთან იგივეობისა.

შემოქმედების ამ ორგვარი ბუნებით გასაგები ხდება მისი თავისებურებანი და სტრუქტურული წყობა. ყველა ფსიქიკური პროცესების აქტივიზაციის ფონზე. მასში განსაკუთრებით თვალში საცემია წარმოსახვისა (ფანტაზიის) და ემოციების პირველადობა, ისინი მონაწილეობენ შრომის პროცესშიც, მაგრამ შემოქმედებაში მათი მონაწილეობა ისეთი აუცილებელი და არსებითია, როგორც შრომისათვის ნებისყოფა და აზროვნება.

შემოქმედების ასეთივე მნიშვნელოვანი თავისებურებაა მისი აშკარად გამოხატული ემოციურობა. განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, მხატვრული და მეცნიერული შემოქმედება დატვირთულია ემოციურად. ემოციების არსებობის გარეშე ხელოვანი ვერაფერს შექმნის ახალს; ის, რაც ნაწარმოებით უნდა განაცდევინო სხვას, აუცილებელია საკუთარი ემოციური განცდების პრიზმაში გატარდეს და შემდეგ განსახიერდეს ნაწარმოებში. შემოქმედების პროცესში ძლიერ და ზოგჯერ პირდაპირ ბობოქარ ემოციებზე მიგვითითებს გამოჩენილი მწერლების, მხატვრების და სხვათა და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითები.

შესაძლოა ეს უველაფერი ადვილი დასაჯერებელი იყოს მხატვრული შემოქმედებისათვის, მაგრამ საეჭვოდ მოგვეჩვენოს მეცნიერულ მოღვაწეობაში; მით უმეტეს ისეთ „მშრალ" დარგებში, რო-

ეორიცაა მათემატიკა და ტექნიკური მეცნიერებანი. მაგრამ ფაქტები გვიჩვენებს, რომ მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების დასაწყისი და წინამორბედი ეტაპები აღსავსეა ემოციურად შეფერილი ფანტაზიით.

შემოქმედების ერთერთი დამახასიათებელი თავისებურებაა შედარებითი თავისუფლება ზუსტად რეგლამენტირებული მოქმედებებისაგან. თუ შრომა მოითხოვს წინასწარ გექონდეს მხედველობაში შრომის პროდუქტი და მის ზუსტად შექმნას ვესწრაფოდეთ: ხელოვნებასა და შემოქმედებაში საერთოდ. საბოლოო შედეგებით ასეთი დეტერმინაცია არ გვაქვს. შემოქმედება გარე სიტუაციებისაგან და საჭიროებისაგან ნაკლებადაა დამოკიდებული, იგი ობიექტურად მოცემული სინამდვილისადმი შესატყვისობის მიღწევას ნაკლებად ცდილობს და უფრო შემოქმედის შინაგან მდგომარეობებს, განწყობებსა და დამოკიდებულებებს გამოხატავს. როგორც მოსწრებულად შენიშნავს დ. უზნაძე, „იგი არსებული სინამდვილის გამდიდრებაა; ახალი სინამდვილის შემოქმედებაა".

გამომდინარე ზემოთ განხილული თავისებურებებიდან, შემოქმედება უდავოდ მიჩნეული უნდა იქნას სპეციფიკურ ქცევის ფორმად, რომელშიც, შრომისაგან განსხვავებით, მოთხოვნილების დაკმაყოფილებით გამოწვეულ კმაყოფილებას და სიამოვნებას მოქმედების საბოლოო შედეგები კი არ იწვევს. არამედ თვით ამ მოქმედების პროცესი. ფაქტია, რომ შემოქმედის კმაყოფილებას იწვევს ის, თუ რამდენად ადექვატურად გამოხატავს ნაწარმოები ხელოვანის წარმოდგენებსა და განცდებს. მის ჩანაფიქრსა და წარმოსახვებს. მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ შემოქმედება სრულიად თავისუფალია და არავითარ დეტერმინაციას არ ექვემდებარება. გარდა ეპოქალური, სოციალურ-ერონული და წმინდა პიროვნული მონაცემებისა და ცოდნა-გამოცდილებით განპირობებულობისა, შემოქმედების პროცესი თავისი ლოგიკით, შინაგანი კანონზომიერებით წარიმართება. ცნობილია, თუ როგორ „აიძულებდა" ცალკეულ მწერლებს მათი ნაწარმოების გმირები გადაეხვია დასახული გზიდან და ნაწარმოებიც განსხვავებულ სახეს იღებდა.

შემოქმედება უშუალოდაა დაკავშირებული თვალსაჩინოდ, მატერიალურად გამოსახვასა და გადმოცემასთან. იგი აღქმადია. ხელოვანი რეალური ობიექტების სახით ქმნის თავის წარმოდგენებს, განცდებს, აზრებს: აძლევს მათ საგნობრივ სახეს. ქმნის ისეთ მატერიალურ და თვალსაჩინო აღქმად რეალობებს, როგორიცაა ლექსი, რომანი, სურათი, მუსიკა, შენობა, წიგნი და ა. შ. ამით იგი ახდენს

თავისი განცდების გარეთ გატანას. მისი ნაწარმოები ამიერიდან იქცევა საგნად საზოგადოებისათვის და სხვა ადამიანებისათვის. გავლენას ახდენს მათზე. ჩნდება სინამდვილის ახალი საგნები და ობიექტები. ყოველივე ეს მიუთითებს შემოქმედების აქტიურ, პროდუქტულ ბუნებაზე. რომელთა გამო კაცობრიობა მდიდრდება სიახლეებით, ვითარდება კულტურა.

თუ როგორ მიმდინარეობს ამ სიახლის მიღწევა, როგორ იქმნება ახალი ნაწარმოები და როგორ ვლინდება შემოქმედების, როგორც დამოუკიდებელი ქცევის, თავისებურებანი, ამას უფრო დეტალურად გვიჩვენებს მხატვრული შემოქმედების პროცესის პერიოდების განხილვა. კერძოდ, **მასში გამოიყოფა სამი ძირითადი პერიოდი: მოსამზადებელი, შთაგონების, ანუ იდეის გაჩენის და ნაწარმოების საბოლოოდ დამუშავების პერიოდები.**

**მოსამზადებელი პერიოდი** დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს და შედარებით წყნარ, მშვიდ, ჩვეულებრივ-ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოადგენს. ამ პერიოდში ხელოვანი აკვირდება სინამდვილის მოვლენებს, კრებს შთაბეჭდილებებს, იმდიდრებს ცოდნას და იმუშავებს გარკვეულ აზრებსა და შეხედულებებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს **არის მასალების დაგროვებისა და გამოცდილების მიღების პერიოდი.** ასეთი მასალების დაგროვების გარეშე შემოქმედის ფანტაზია ვერ ამუშავდება, მას გარდასაქმნელი მასალა არ ექნება. ამავე დროს, მოსამზადებელ პერიოდში ხელოვანი ხვეწავს თავის ოსტატობას, ეუფლება თავის სფეროში პროფესიულ საქმიანობას.

მაგრამ ეს არ არის უბრალოდ ცოდნის შეძენის ან პასიური ცქერის პროცესი. შემომქმედი აქტიურად იკრება სინამდვილეში, ირჩევს საჭირო მომენტებს, ეძებს ტიპიურსა და ზოგადს ურიცხვ მოვლენებში. იგი მოელენებს სარკისებურად კი არ ასახავს, არამედ თავისი მსოფლმხედველობისა და ოსტატობის პრიზმაში ატარებს, თავისი ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად გარდაქმნის.

მეორე პერიოდი შედარებით ხანმოკლეა, მაგრამ ძალზე ემოციური და დაძაბულია. ამ დროს ხელოვანს უჩნდება ახალი წარმოდგენები, მხატვრული სახეები, აზრობრივი სქემები. **სწორედ ახლა აღმოცენდება ახალი ნაწარმოების იდეა, გაჩნდება ჩანაფიქრი,** წარმოიქმნება სიუჟეტური ქარგა. შემოქმედი ახლებურ მოდელში უყრის თავს ნახულსა და მოსმენილს. ეს სრულიად ახალია, განზოგადებული ტიპიურია, ცალკეულთა შერწყმა და თვალსაჩინოთ წარმოსახვაა. ზოგადის ინდივიდუალურ ფორმაში გულისხმობაა. შემოქმედისათვის ძალიან ხშირად მომავალი ნაწარმოების ჩანაფიქრი

ძალზე ცხოველი და ნათელია, ემოციურად დატვირთულობის გამო შთამბეჭდავი და აქტივობის ბიძგის მიმცემია. სწორედ ამიტომ ბორგავს და ვერ ისვენებს ხელოვანი მანამ, სანამ ეს ჩანაფიქრი საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება.

**მესამე პერიოდი** დამაგვირგვინებელი და დამასრულებელი ეტაპია. **ახლა ხდება ჩანაფიქრის რეალიზაცია და ხორცშესხმა.** ნაწარმოების შინაარსი იღებს გაფორმებულ სახეს და სხვებისათვის ალსაჭმელ საგნად იქცევა. შემოქმედი აფორმებს, ძერწავს თავის იდეურ წარმონაქმნს, ეძებს შესაბამის ფორმებს მისი გამოსახვისათვის. ესაა ძალზე მძიმე და მომქანცველი შრომის პერიოდი: ხელოვანი ქმნის, ასწორებს, შლის, ხელახლა ქმნის და გადააკეთებს; იგი მანამ ვერ მოისვენებს, სანამ შექმნილი ახალი ნაწარმოები სრულად არ გამოხატავს მის ჩანაფიქრს. ესაა დაძაბული, აქტიური და ქანცგამომცლელი შრომის პროცესი/ თუ რაოდენ მძიმეა და საპასუხისმგებლოა ეს პერიოდი, ამაზე მიუთითებს გამოჩენილ მწერალთა და სხვა შემოქმედთა მოღვაწეობის მაგალითები. ცნობილია, კერძოდ, რომ ლ. ტოლსტოიმ თავისი უზარმაზარი რომანი „ომი და მშვიდობა“ მთლიანად სამჯერ ჩაასწორა და გადაწერა, ხოლო ზოგიერთი თავი ათჯერ და მეტჯერაც.

# თავი III

# ყურადღება

## § 1. ცნობიერება და ყურადღება

ფსიქიკური პროცესები სინამდვილეს ასახავენ, ჩვენ მათი საშუალებით განვიცდით ჩვენს მდგომარეობასაც და გარე სინამდვილეში არსებულ საგნებსაც. სინამდვილის მრავალფეროვნება განაპირობებს შესაბამისად განცდათა მრავალფეროვნებასაც. ამიტომაც არსებობს განსხვავებული ფსიქიკური პროცესები და მათი სახეები. საგრამ ყველა მათგანი ერთი მიმართულების სხვადასხვა საფეხურია და ერთ ძირითად ამოცანას ემსახურება.

ადამიანში სულის არსებობისა და აქტივობის შედეგად, მისი ფსიქიკა, ანუ სულის გამოვლინებანი სიცოცხლისა და ფსიქიკის განვითარების უმაღლეს და სრულიად ახალ საფეხურს აღწევს მასში სულის არსებობის გამო. ეს საფეხური იმდენად განსხვავებულია, რომ **მას ცალკე სახელი—ცნობიერება დაარქვეს**, რაც სულის გამოვლინებების და ფსიქიკის სინონიმად იქცა.

ადამიანის ორგანიზმში ჩასახლებული სულის განვითარებისა და თანდათანობით გამოვლენის კვალდაკვალ, ჩნდება ახალახალი უნარები, რაც თავს იჩენს გაცდების გამოვლენა-გამრავალფეროვნებაში და ადამიანური ცხოვრების განახლება-სრულყოფაში.

ცნობიერების შინაარსში უპირველესი ადგილი უჭირავს **შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს**, რომელთა საშუალებით ხდება ინფორმაციისა და ცოდნის მოპოვება. ეს პროცესები ასახავენ როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ სინამდვილეს. ასეთებია: **შეგრძნება და აღქმა, მეხსიერება, აზროვნება და ფანტაზია ანუ წარმოსახვა. მათ შეეკუთვნება ყურადღებაც.**

ცნობიერების შინაარსში შედის აგრეთვე ემოციურ-ნებელობითი განცდები, როგორც გარე სინამდვილისადმი დამოკიდებულების ასახვა. **გრძნობებში და ემოციებში ასახულია ჩვენი დამოკიდებულება** იმ მოვლენებისა და საგნებისადმი, რომლებიც აისახება შემეცნებით პროცესებში. მოწონება. სიყვარული. სიამოვნება. სიძულვილი. შიში. დარდი და სხვა ასეთი ადამიანის მდგომარეობის ასახვაა და არა მის გარეთ არსებული საგნებისა. კიდევ უფრო განსხვავებული ობიექტებისა **ნებელობითი პროცესები.** რომლებიც ცალკე იზოლირებული სახით არ გვეძლევიან: **ნებისყოფა** უშეალოდ მოქ-

მედებაშია ჩართული და იგი თავს იჩენს სინამდვილეზე ზემოქმედებაში, მასთან აქტიურ დამოკიდებულებაში. ნებისყოფის პროცესები ვლინდება მოტივის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებასა და მის შესრულებაში.

ცნობიერების სტრუქტურული შინაარსიდან გამომდინარეობს მისი თავისებურებანი. ცნობიერება როგორც ფსიქიკის უმაღლესი და სპეციფიკურად ადამიანური ცოდნა, ხასიათდება შემდეგი ძირითადი თვისებებით.

**შეგნებულობა და გააზრებულობა** ადამიანი არა მხოლოდ გარკვეულ ან აქტიურობს, არამედ მან იცის კიდევაც ამის შესახებ იგი ცნობიერებს მოქმედების მიზნებსა და მიმდინარეობის პროცესს. მას შეგნებული აქვს ქცევის მოტივები და მოსალოდნელი შედეგები. ცნობიერების დონეზე ფსიქიკური პროცესები წარმოადგენს გააზრებისა და შეგნებული მოქმედების საფუძველს. მათი საშუალებით ხდება შესაძლებელი ობიექტური რეალობის ასახვა. გრძნობადი მონაცემებიდან უაღრესად აბსტრაქტულ მეცნიერულ ცნებებამდე.

**მიზანმიმართულობა** ისეთი თავისებურებაა, რომელშიც ვლინდება შეგნებულობა და მიზანდასახული ასახვის უნარი. ადამიანი წინასწარ ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს და ამის შესაბამისად გეგმავს თავის მოქმედებას. ესაა ფსიქიკის **რეგულაციური ფუნქციის** გამოვლენა მაღალ, ადამიანურ დონეზე.

ცნობიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს მისი **კავშირი მეტყველებასთან**. მეტყველება არის არა მხოლოდ ცნობიერების ალმოცენების საფუძველი, არამედ მისი არსებობის უმთავრესი ფორმაც: გააზრება და გაცნობიერება მეტყველების ბაზაზე ხდება.

ცნობიერება ატარებს **საზოგადოებრივ-ისტორიულ ხასიათს**. ცნობიერება არსებობს ცალკეულ კონკრეტულ ადამიანში. მაგრამ მისი შინაარსი, ის წარმოდგენები და შეხედულებები, რომელიც ინდივიდს გააჩნია, განპირობებულია საზოგადოებრივი წარმოდგენებითა და შეხედულებებით. ცნობიერება და მისი მატარებელი ინდივიდი განუყოფელია საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. ადამიანები არ ცხოვრობენ ერთმანეთისაგან იზოლირებულად, ისინი ქმნიან კოლექტიურ, საზოგადოებრივ ცნობიერებას. ინდივიდუალური ცნობიერება განპირობებულია საზოგადოებრივი ცნობიერებით, საზოგადოების მსოფლმხედველობით, პოლიტიკით, მორალით და ა. შ. სთაზოგადოებრივი ცნობიერება და მისი ფორმები განსაზღვრავენ

კონკრეტული ადამიანის. როგორც საზოგადოების წევრის, ცნობიერებას. საზოგადოება ვითარდება და იცვლება ისტორიულად, რაც შესაბამისად, განაპირობებს ინდივიდუალურ ცნობიერებას.

ცნობიერება ხასიათდება **აქტივობითა და შემოქმედებით**, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სუბიექტის აქტივობას ავლენს და არა სარკისებურად ასახავს სინამდვილეს. ცნობიერების აქტიურ ბუნებას განსაკუთრებული როლი ენიჭება დღევანდელ ეტაპზე, როცა შემოქმედებითი უნარების გააქტიურება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაჩქარების ერთერთ საფუძველს. დღეს ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანის ფაქტორის გააქტიურების, პასიურობისა და სიახლისადმი შიშის დაძლევის ამოცანას. ცნობიერების აქტიური ხასიათი, მისი გავლენა ცხოვრებისა და ბუნების პროცესებზე შესაძლებელს ხდის აზროვნებისა და მოქმედების ახალი სტილის დანერგვას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცნობიერების ალმოცენებით არ გაწყვეტილა კავშირი ადამიანის ფსიქიკასა და უფრო დაბალ ფსიქიკურ ასახვას შორის. **არაცნობიერი ფსიქიკური მოვლენები არსებობენ ადამიანშიც**; მაგრამ დაქვემდებარებულ როლში გამოდიან. ისინი მხოლოდ მაშინ იჩენენ თავს, როდესაც ცნობიერების აქტივობა შემცირებულია, ანდა სულაც აღკვეთილია. მაგალითად, ძილის დროს სიზმრის შინაარსების მიმდინარეობა; არაცნობიერი ფსიქიკური განცდები მონაწილეობენ ცნობიერების დონეზე მიმდინარე პროცესებსა და მოქმედებებშიც: ასეთია ავტომატიზირებული აქტივობის გამოვლინებანი, რომლებიც ჩვენი ცნობიერების ჩარევის გარეშე მიმდინარეობენ; მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვეულებიც.

ფსიქიკურ პროცესებში განსხვავებული ადგილი უკავია **ყურადღებას**, რომელიც უდავოდ ფსიქიკურ აქტს, ფსიქიკურ პროცესს წარმოადგენს. მაგრამ მას, სხვებივით გამოკვეთილი, ასახვის ცალკე სფერო არ გააჩნია. იგი უფრო ზოგადი, საერთო ხელშემწყობი პირობაა კონკრეტული განცდების მიმდინარეობისათვის და აქტივობის წარმართვისათვის. მას საკუთარი შინაარსი არ გააჩნია. მისი შინაარსი ემთხვევა მის საფუძველზე აღმოცენებული ფსიქიკური პროცესების შინაარს.

ადამიანის ცნობიერება ყოველთვის სხვადასხვა შინაარსებითაა დაკავებული. ასეთია საგნების სურათ-წარმოდგენები, აზრები და სხვა. ამასთანავე, ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენზე მრავალი გამღიზიანებელი მოქმედებს, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანს ალვიქვამთ ერთდროულად. ცნობიერებაში ყოველ მო-

ცემულ მომენტში ნათლად განიცდება ერთი მოვლენა, სხვები კი — შედარებით ბუნდოვნად, ან სულ არ განიცდება. მაგალითად, როდესაც ჩვენ ბაღში ვსეირნობთ ამხანაგთან ერთად და ვსაუბრობთ მასთან, ამ დროს ჩვენზე მრავალი გამღიზიანებელი მოქმედებს: მოსეირნეთა სახეები და ხმა, რადიოგადაცემები, ბავშვების ჟრიამული და ა. შ. ამასთანავე, ჩვენ გაგვაჩნია რაიმე საზრუნავი და საფიქრალი, ჩვენში აღმოცენდებიან მოგონებები წარსულიდან. მაგრამ ამხანაგის საუბრის გარდა, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს განვიცდით და ისიც ბუნდოვნად, სხვებს კი სულ არა. რატომ? იმიტომ რომ ჩვენი ცნობიერება წარმართულია ამხანაგის საუბრისაკენ, ჩვენ ამ საუბარს ვაქცევთ ყურადღებას. ადამიანი მხოლოდ იმას განიცდის ნათლად და გამოკვეთილად, რასაც ყურადღებას აქცევს. ე. ი. ჩვენი განცდების სიცხადე იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენადაა მათზე მიმართული ჩვენი ყურადღება.

**ყურადღება წარმოადგენს ცნობიერების, ადამიანის ფსიქიკური აქტივობის წარმართვას ამა თუ იმ მიმართულებით.** ყურადღებაზეა დამოკიდებული თუ რომელი საგანი განიცდება ნათლად და რომელი არა, რადგან ერთ მოვლენაზე ყურადღების მიქცევა, ცნობიერების წარმართვა მასზე, გულისხმობს ამავე დროს სხვებისაგან მის მოწყვეტას. რაც უფრო ნათლად და ცხადად განიცდება ერთი მოვლენა, ან მოვლენების ერთი რიგი, მით უფრო მეტია ყურადღების გაფანტულობა, უყურადღებობა სხვა მოვლენების მიმართ. ვაშასადამე, **ყურადღება ყოფილა ნათელი განცდის პირობა.** ყურადღების საშუალებით ხდება არჩევანი, იგი განსაზღვრავს რომელი მოვლენა განიცდება ნათლად და ცხადად და რომელი—ბუნდოვნად, უბრალო მოცემულობად ან სულ არა. თუ ასეთი არჩევანი არ მოხდა, ვერაფერს ვერ აღვიქვამთ და ვერ განვიცდით; თუ ყველაფერს ვუყურებთ ერთბაშად, ვერაფერს ვერ განვიცდით ნორმალურად.

მაგრამ ყურადღება მარტო უშუალოდ მოქმედ საგნებს როდი ექცევა, იგი წარიმართება მეხსიერებისა და აზროვნების ობიექტებზედაც. როდესაც ვიხსენებთ წარსულიდან რაიმე შემთხვევას, აუცილებელია ყურადღების ამ მიმართულებით კონცენტრაცია და სხვა განცდებისაგან მისი ჩამოშორება. მოგონებიდან ისაა ყველაზე ზუსტი და ნათელი, რისთვისაც მეტად მიგვიქცევია ყურადღება მათი დახსომების დროს. ასევე სრულიად ნათელია ყურადღების საჭიროება აზროვნების პროცესებში; არავითარი უმარტივესი ამოცანის გადაწყვეტა არ შეიძლება მასზე ჩვენი ცნობიერებისა და ძა-

ლების მიმართვის გარეშე. ასევე სჭირდება იგი წარმოსახვისა და ნებელობით პროცესებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ყურადღება ყოველ ნათელი და მკაფიო განცდის პირობაა. მის გარეშე ნაოლოდ ცალკეული, ავტომატიზირებული მოქმედების შესრულება შეიძლება (მაგალითად, ჩვევა).

ყურადღება, როგორც ცნობიერების გარკვეული მიმართულებით წარმართვა, აქტიურ მდგომარეობას წარმოადგენს. იგი ცნობიერად განიცდება როგორც ძიება, როგორც მოლოდინი. ყურადღების დაძაბვა, **მისი აქტიური ბუნება ნათლად ვლინდება სხეულებრივ გარე გამოსახულებებში**, განსაკუთრებით, მიმიკასა და პანტომიმიკაში. ყურადღების ასეთი მჭიდრო კავშირი ადამიანის სხეულებრივ ცვლილებებთან და მათ გარეგამოსახულებებთან, შესაძლებელს ხდის იმის გარკვევას, თუ რას აქცევს ადამიანი ყურადღებას. განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება იგი ზოგიერთ პროფესიებში შრომის დროს, აგრეთვე ბავშვის მოქმედებაში. ყურადღების გარეგან გამოვლენას წარმოადგენს ორგანიზმის ისეთი მოძრაობები, როგორიცაა თავის, მობრუნება და მიცქერება, შორს მზერა, „გაშტერება", სახის მოძრაობები, პირის გაღება და სხვა. ხშირად ყურადღების წარმართვა გამოიხატება გარეგნულად სრულ უძრაობაშიც (მაგალითად საინტერესო საუბრის მოსმენა, ან რაიმე სანახაობის განცდა). ყურადღების წარმართვა გამოვლინდება აგრეთვე, სუნთქვის და გულისცემის შენელებასა და აჩქარებაში და სხვა.

ყურადღების კავშირი გარეგან სხეულებრივ ცვლილებებთან და მოძრაობებთან კარგად გვიჩვენებს სულის უნარების კავშირს სხეულებრივ მოძრაობებთან.

ყურადღებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ყოველგვარი მოქმედებისა და საქმიანობისათვის. იგი განსაკუთრებით აუცილებელია შრომისა და სწავლისათვის. იმისათვის რომ კარგად გავიგოთ და შევისწავლოთ მოცემული მასალა, საჭიროა ყურადღების საშუალებით მისკენ წარვმართოთ ჩვენი ცნობიერება. ასევე, შრომის პროცესი შესაბამის საგნებზე და მოქმედებებზე ყურადღების გამახვილებას მოითხოვს. ამასთანავე, ყურადღება თავის მხრივ, ვითარდება შრომისა და ადამიანური ურთიერთობის პროცესებში, თავისი საკუთარი აქტივობის გამო. ყურადღება, როგორც სულის გამოვლინება, ამ აქტივობის გამო, კი არ ცდება მანქანასავით, არამედ უფრო მტკიცდება.

## § 2. ყურადღების ძირითადი თვისებები

ყოველ მოცემულ მომენტში ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საგნის აღქმა შეგვიძლია. საკითხი იმის შესახებ თუ რამდენი საგნის განცდა ან რამდენი მოქმედების შესრულება შეგვიძლია ერთდროულად, აქტივობის ერთ აქტში, ძველთაგანვე აინტერესებდათ ადამიანებს. ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში წარმატებანი ითხოვს ერთდროულად რაც შეიძლება მეტი შთაბეჭდილებების განცდას.

**შთაბეჭდილებათა ის რაოდენობა, რომლის ნათელი განცდა შესაძლებელია ერთდროულად, წარმოადგენს ყურადღების მოცულობას.** ყურადღების მოცულობა იზომება დროის ისე მცირე მონაკვეთებში, როგორიცაა წამის 1/20. ან 1/25 ნაწილი. რადგან უფრო მეტი ინტერვალის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყურადღების გადატანას ერთი ობიექტიდან მეორეზე და არა ერთდროულ განცდას.

ყურადღების მოცულობის სიდიდე დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორია კავშირი ცალკეულ ობიექტებს შორის. როდესაც ობიექტები ისეა მოცემული, რომ ისინი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფებად დანაწილდეს, მაშინ შესამჩნევად იზრდება ყურადღების მოცულობა. ამიტომ ყურადღების მოცულობის ზუსტად განსაზღვრისათვის გამოიყენება ისეთი მარტივი ობიექტები, რომლებიც ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი. **ნორმალური, ზრდადასრულებული ადამიანის ყურადღების მოცულობა უდრის 4-6 ასეთ ერთეულს.** თუ ეს ერთეულები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ან უბრალოდ დაჯგუფებულია მაინც, მაშინ ყურადღების მოცულობა გაცილებით მეტი შეიძლება იყოს.

იმისათვის, რომ ახალ-ახალი ობიექტის აღქმა მოხდეს, ან განხორციელდეს გადასვლა ერთი მოქმედებიდან მეორეზე. საჭიროა ყურადღების გადატანა ამ ახალი მიმართულებით. **ყურადღების გადატანას ერთი მოვლენიდან მეორეზე ეწოდება ყურადღების გადანაცვლება.** ალბად, ყველა ჩვენთაგანს შეუმჩნევია. თუ რაოდენ ძნელია მოხსენების კითხვის, თხზულების წერის, ან სხვა ამგვარი მოქმედების დაწყება: ეს ფაქტი ყურადღების გადანაცვლებით აიხსნება: სანამ არ მომხდარა ყურადღების გადართვა. შეგუება ახალი საქმისადმი, ამ საქმის შესრულება ძნელდება.

ყურადღების გადანაცვლება ძირითადად შეგნებულად. ჩვენი განზრახვის მიხედვით ხდება: ჩვენ ყურადღებას გადავანაცვლებთ მაშინ, როდესაც ერთი მოქმედება უკვე დავამთავრეთ, ანდა მაშინ, როცა ახალ მოქმედებას უფრო საჭიროდ და საინტერესოდ

ვთვლით, ორივე შემთხვევაში გადანაცვლებას ვახდენთ მიზანშეწონილად, ისე, რომ არც ერთი საქმე არ დაზიანდეს. ყურადღების გადანაცვლება ძალიან ცვალებადი თვისებაა. მისი სისწრაფე და სისრულე დამოკიდებულია იმაზე თუ რა სიძლიერით იყო წარმართული ყურადღება ძველი მიმართულებით და როგორია ახალი საგნებისა და მოკლენების მნიშვნელობა ადამიანისათვის. გადანაცვლებ-ს სისწრაფეს აფერხებს ძველი მიმართულებით ყურადღების ძლიერი კონცენტრაცია, მაგრამ მას ხელს უწყობს ახლისადმი ინტერესი და საჭიროების შეგნება.

**ყურადღების გადანაცვლება წარმოადგენს ორი მოქმედების ერთდროულად შესრულების ერთ-ერთ საფუძველს.** ცნობილია, რომ ძალიან ბევრი პროფესია მოითხოვს სხვადასხვა მოქმედებების ერთდროულად შესრულებას. მაგალითად, როდესაც მძღოლი მანქანას მართავს, მან ერთდროულად საჭეც უნდა მოაბრუნოს, სიჩქარის ბერკეტიც ამოძრაოს და წინაც იცქიროს; შესაძლებელია იგი ამასთან ერთად საუბრობდეს კიდეც მის გვერდით მჯდომთან. სხვადასხვა მოქმედების ერთდროულ შესრულებას მოითხოვს მასწავლებლის, ტელეფონისტის, მფრინავის და სხვა პროფესიებიც. ყველა ასეთ პროფესიებში ხდება ერთი მოქმედებიდან ყურადღების გადატანა მეორეზე, მესამეზე და ა. შ. შემდეგ ისევ პირველზე, ან მეორეზე და ა. შ. სხვა შემთხვევაში ერთი მოქმედება სრულდება ავტომატურად, ჩვევის გზით და ყურადღება მხოლოდ მეორეზეა მთლიანად წარმართული. ორი ან მეტი მოქმედების ერთდროულად შესრულებისას, ზოგჯერ ლაპარაკობენ ყურადღების განაწილებაზე. იგულისხმება ყურადღების წარმართვა ერთდროულად სხვადასხვა მიმართულებით, რაც სხვადასხვა მოქმედების ერთდრული შესრულების საფუძვლად მიაჩნიათ. მაგრამ როგორც სხვადასხვა ავტორების მიერ ჩატარებული ცდებით ირკვევა, ყურადღების გახლეჩა, მისი ერთდროულად ორი, ან რამდენიმე მიმართულებით წარმართვა შეუძლებელია. სხვადასხვა მოქმედებების ერთდროული შესრულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ყურადღების სწრაფი გადანაცვლებით, ან ცალკეული მოქმედების ავტომატურად შესრულებით.

ყურადღების გადანაცვლების სისწრაფე დიდადაა დამოკიდებული ადამიანის პირად თავისებურებებზე; ზოგს ძალიან სწრაფად და ადვილად შეუძლია გადაანაცვლოს ყურადღება ახალი მიმართულებით, ზოგისთვის კი ეს ძალიან ძნელია. ყურადღების პირველი ტიპის ადამიანს შეუძლია სწრაფად გადავიდეს ახალ მოქმედე-

ბაზე, ხოლო საპირისპირო ტიპის ადამიანს კი გარკვეული დრო სჭირდება ახალ საქმესთან შეგუებისათვის. მაგრამ ეს არაა დაუძლეველი. ყურადღების გადანაცვლებაც, მსგავსად სხვა თვისებებისა, განიცდის განვითარებას ვარჯიშისა და გარეგანი ზემოქმედების გზით. შესაძლებელია ამ მიმართულებით ადამიანი ისე გავარჯიშდეს, რომ მან შეძლოს მისთვის აქამდე ძნელ პროფესიაზე მუშაობა.

**ყურადღების სიმტკიცე** წარმოადგენს ყურადღების დროით თვისებას, **იგი გვიჩვენებს რამდენად ხანგრძლივადაა შესაძლებელი ყურადღების შენარჩუნება ერთი მიმართულებით.** შეიძლება ადვილად და კარგად ახერხებდეს ადამიანი ყურადღების გადანაცვლებას ერთი ობიექტიდან მეორეზე, მაგრამ წარმატებითი მოქმედებისათვის ეს არ იქნება საკმარისი: საჭიროა გარკვეული ხანგრძლივობით მოხდეს ყურადღების შენარჩუნება რომელიმე მიმართულებით. ადამიანის ყოველგვარი საქმიანობის დიდი ნაწილი მოითხოვს მტკიცე, ხანგრძლივ ყურადღებას.

ამ თვისების მხრივაც ადგილი აქვს სხვაობას ადამიანებს შორის: ზოგს ადვილად შეუძლია ყურადღება დიდხანს შეაჩეროს ერთი მიმართულებით, ზოგი კი სწრაფად გადაინაცვლებს ერთი მოქმედებიდან მეორეზე, ვერ ახერხებს ყურადღების ხანგრძლივ კონცენტრაციას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ყურადღების სიმტკიცე დამოკიდებულია, აგრეთვე იმ ობიექტებზე, რომლებსაც ყურადღება ექცევა. მტკიცე ყურადღების ერთერთ პირობას ობიექტების ცვლილება, მათი დინამიკურობა შეადგენს. ჩვენ რამდენჯერმე უფრო ხანგრძლივად შეგვიძლია ყურადღების შენარჩუნება მოძრავ ობიექტებზე (მაგალითად, კინოსურათის ცქერა), ვიდრე უძრავზე.

ყურადღების სიმტკიცე მეტად მნიშვნელოვანი თვისებაა. იგი აუცილებელია შრომასა და სწავლაში, განაპირობებს მათ ნაყოფიერებას. განსაკუთრებული აუცილებლობით მოითხოვს ხანგრძლივად ერთი მიმართულებით ყურადღების შენარჩუნებას ისეთი პროფესიები, როგორიცაა ოპერატორის, მძღოლის, სტენოგრაფისტის, წუნმდებლის და სხვა.

არსებობს ყურადღების სხვაგვარი ცვალებადობაც, რაც გამოიხატება მის პერიოდულ გაძლიერებასა და შესუსტებაში. **ამ მოვლენას ყურადღების რხევა ეწოდება.** ყურადღების რხევას ადგილი აქვს ძლიერ მტკიცე ყურადღების დროსაც, იგი ჩვენს სურვილსა და ნებისყოფაზე არაა დამოკიდებული. ყურადღების რხევის დაკვირვება შეიძლება საათის მუშაობის მაგალითზე: როცა საათის მუშაო-

ბის ხმას ვუსმენთ რამდენიმე მეტრის მანძილზე, იგი ხან გვესმის და ხან არა. თითქოს ხმის პერიოდული მატება და კლება ხდებოდეს.

ყურადღების **კონცენტრაციის თვისება ვლინდება მის საფუძველზე მიმდინარე ფსიქიკური პროცესების სიცხადესა, სიზუსტესა და სისწრაფეში.** ყურადღების კონცენტრაცია და მისი სიძლიერე კლინდება ვარეშე. ხელის შემშლელი გამღიზიანებლებისადმი წინამდეგობის გაწევაში. რაც უფრო ძლიერია ყურადღების კონცენტრაცია ერთი მიმართულებით, მით უფრო წარმატებით სრულდება ინდივიდის მიერ შესაბამისი აქტივობა. მაგრამ სამაგიეროდ მას თან ახლავს უარყოფითი ეფექტიც. კერძოდ, ყურადღების ერთი მიმართულებით კონცენტრაცია იწვევს სხვა მიმართულებით **ყურადღების გაფანტულობას.** თუმცა ყურადღების ასეთ გაფანტულობას თავისი დადებითი ღირებულება აქვს. იგი საერთოდ ყურადღების სისუსტეს კი არა, მის სიძლიერეს გამოხატავს: რაც მეტია უყურადღებობა სხვა მიმართულებით, მით უფრო ძლიერდება იგი მოცემული მიმართულებით.

არსებობს უყურადღებობის მეორეგვარი გამოვლენა. ესაა ყურადღების საერთო გაფანტულობა, რაც გამოიხატება ნებისმიერი ყურადღების სისუსტეში. მისთვის დამახასიათებელია სიმტკიცის უქონლობა. ამ დროს ადამიანი ვერაფერზე ვერ აჩერებს ყურადღებას. მისი ყურადღება განუწყვეტლივ გადადის ერთი საგნიდან მეორეზე. ყურადღების გაფანტულობის ასეთი ფორმა ნორმალური ადამიანისათვის დამახასიათებელია ძლიერი დაღლილობის დროს. ეფრო ხშირად კი იგი ახასიათებს დაბალი ასაკის ბავშვებს: ამის გამო ზოგჯერ ბავშვის ყურადღებას მფრინავ (ფლუქტორულ) ყურადღებას უწოდებენ.

## § 3. ყურადღების სახეები და გამომწვევი ფაქტორები

ყურადღება სხვადასხვანაირად ვლინდება იმის მიხედვით, თუ როგორ აღმოცენდება იგი, რა აღძრავს ადამიანს აქტივობისათვის.

ხშირად ყურადღება წარიმართება საგნებსა და ობიექტებზე ჩვენი ცნობიერი ჩარევის გარეშე; იგი უშუალოდ გარე გამღიზიანებლით გამოიწვევა. თითქოს საგანი თავისთავად იზიდავს მას. ქუჩაში სეირნობისას უცხოელის გამოჩენა მაშინვე მიიქცევს ყურადღებას. ლექციის დროს უეცარი ხმაური თავისთავად იზიდავს ჩვენს ყურადღებას და ა. შ.

ყველა ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს **უნებლიე ანუ პასიური ყურადღების გამოვლენას.** იგი ხასიათდება უეცარი გამოწვევით და არ ატარებს წინასწარ მომზადებულ და დაგეგმილ ხასიათს.

უნებლიე ყურადღების გამომწვევად ითვლება მთელი რიგი ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია საგანზე და გამღიზიანებელზე, ასე მაგალითად, **ძლიერი გამღიზიანებლის** ზემოქმედება უფრო ადვილად იზიდავს ყურადღებას. მას ადვილად იწვევს ძლიერი ხმაური, მკვეთრი ფერებით შესრულებული წარწერა, ძლიერი შეხება ორგანიზმზე და სხვა. მაგრამ გამღიზიანებლის სიძლიერე და სიდიდე შეფარდებითია, თავისთავად შეიძლება გამღიზიანებელი არც იყოს ძლიერი; მაგალითად, სრული სიწყნარის დროს ჩურჩული კი ადვილად იზიდავს ყურადღებას. ზოგჯერ კი პირიქით, უფრო პატარა, ან სუსტი გამღიზიანებელი ასევე, მიიზიდავს ჩვენს ყურადღებას. მაგალითად, ქუჩაში ლილიპუტის გამოჩენა.

ყურადღების გამომწვევ ფაქტორებს მიეკუთვნება სიახლეც. **სიახლის შემოჰრა ჩვეულებრივ სიტუაციაში იზიდავს ყურადღებას.** მაგალითად, ახალი, ჩვენთვის უცნობი ადამიანი, ვაცნობ ჯგუფში, ახალი ნივთი მახლობლის ოჯახში, ახალი აზრი და დებულება მეცნიერებაში და ა. შ.

უნებლიე ყურადღების გამომწვევს წარმოადგენს, აგრეთვე, **საგნის მოძრაობა, ან გამოყოფა, გამოცალკევება** სხვებისაგან.

ამ ფაქტორთა არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ არაეითარი როლი არა აქვს უნებლიე ყურადღებას წარმართვისათვის ადამიანის მდგომარეობას. გარეგან გამღიზიანებლებზე დამოკიდებულ ფაქტორებთან ერთად არსებობს ე. წ. **სუბიექტური ფაქტორებიც:** საით წარიმართება ყურადღება ეს დამოკიდებულია პიროვნების განწყობაზე, მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე; სუბიექტურმა ფაქტორებმა შეიძლება უძლიერესი გამღიზიანებლის დაძლევაც კი შეძლონ.

ადამიანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანს წარმოადგენს ყურადღების მეორე, უფრო მაღალი ფორმა — **ნებისმიერი ყურადღება. იგი გულისხმობს ყურადღების წარმართვას რაიმე ობიექტზე ან მოქმედებაზე ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე.** ამ დროს ადამიანი აქტიურად, შეგნებულად წარმართავს თავის ყურადღების ამა თუ იმ მიმართულებით. ნებისმიერი ყურადღება ხასიათდება ორგანიზებულობით და სიმტკიცით. იგი შესაძლებელს ხდის საჭირო შემთხვევაში საინტერესო და მიმზიდველი მოვლენებისადმი ყურადღების ჩამოცილებას და მის წარმართვას აუცილებელი

საჭიროებისაკენ, როდესაც მოსწავლე გაკვეთილს სწავლობს და ამ ღროს საინტერესო გადაცემა მიმდინარეობს ტელევიზიით, იგი სპეციალური ძალისხმევით მაინც ახერხებს ყურადღება შეინარჩუნოს დასასწავლი მასალისადმი.

ნებისმიერი ყურადღება ემყარება ამოცანის და მიზნის არსებობას. მოქმედების შედეგების წინასწარ გათვალისწინებას. მისი ტიპიური გმოვლენა გვაქვს შრომის პროცესში. როგორი საინტერესო და მიმზიდველიც არ უნდა იყოს შრომა, იგი ყოველთვის შეიცავს ცალკეულ ნაკლებ საინტერესო მომენტებს, რომლებიც ოავისთავად არ იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ამიტომ აუცილებელი ხდება ყურადღების ნებისმიერი კონცენტრაცია და წარმართვა საჭირო მიმართულებით და მით უფრო აუცილებელია იგი, რაც ნაკლებად გვიზიდავს შრომა თავისი შინაარსით და შესრულების საშუალებებით.

ნებისმიერად ყურადღების წარმართვაში დიდ დახმარებას გვიწევს არაპირდაპირი ინტერესი; როცა ინტერესს აღძრავს არა თვით მოქმედების პროცესი. არამედ ის შედეგი, რომელიც მას მოჰყვება: შეიძლება სრულიად უინტერესო იყოს რომელიმე საგნის სწავლა. მაგრამ მას მაინც ვსწავლობდეთ, რადგან მის გარეშე ვერ მივაღწევთ მიზანს. როდესაც პირდაპირი ინტერესი არ არსებობს, საჭიროა გამოვნახოთ ისეთი არაპირდაპირი ინტერესი, რაც შესაძლებელს გახდის ყურადღების წარმართვას საჭირო მიმართულებით.

ყურადღების ეს ორი ძირითადი სახე არაა აბსოლუტურად გამიჯნული ერთმანეთისაგან. **ისინი ერთმანეთს ცვლიან და ხშირად ერთადაც გვეძლევიან;** შრომისა და საქმიანობის პროცესში ხშირად ვლმოჩნდება ხოლმე, რომ ის რაც არ იზიდავდა ჩვენს ყურადღებას, რაც არ გვაინტერესებდა, საინტერესოდ იქცევა, ე. ი. ხდება ნებისმიერი ყურადღების უნებლიე ყურადღებაში გადასვლა. ეს კი ძალზე აიოლებს მუშაობის პროცესს, ახლა ყურადღება ინტერესის გამო ადვილად მიიმართება საჭირო ობიექტებზე და ნაკლები ძალისა და ენერგიის ხარჯვას საჭიროებს. ზოგჯერ ხდება პირიქით, უნებლიე ყურადღების გადასვლა ნებისმიერში. მაგალითად, როდესაც რაიმე მოქმედების შესრულებამ დაკარგა ინტერესი, მისი შემდგომი გაგრძელებისათვის აუცილებელია ნებისმიერად, განზრახ მივაქციოთ ყურადღება მას.

# თავი IV

# შეგრძნება და აღქმა

## § 1. საგნისა და თვისების განცდა

გარემო სინამდვილესთან ცოცხალი არსება, უპირველესად, პრაქტიკულ დამოკიდებულებას იჩენს, იგი კონკრეტულ საჭნებს გამოიყენებს და მოიხმარს. მაგრამ ამ გამოყენებამდე ჯერ სიგნების ასახვა უნდა მოხდეს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მოძებნა, მათთან მიახლოვება და შემდეგ მათი ასიმილაცია. საგნების ასეთი განცდის უნარს აღქმა იძლევა. **აღქმა წარმოადგენს ისეთ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც ახახავს ობიექტურად არსებულ კონკრეტულ საგნებს.** ჩვენ ვხედავთ ჩვენ წინ დადგმულ მაგიდას და მასზე წიგნებს, გვესმის თანამოსაუბრის ლაპარაკი, შეხების საშუალებით აღვიქვამთ ჯიბეში კალამს, ან მონეტას და ა. შ.

იმისათვის, რომ აღქმა განხორციელდეს, რომ საგნის განცდა მოხდეს, აუცილებელია ჯერ შეგრძნების განცდა აღმოცენდეს. **შეგრძნებაში ასახულია საგნის ცალკეული თვისება;** შეგრძნება ამ თვისების ჩვენი გრძნობის ორგანოზე ზემოქმედების შედეგად აღმოცენდება. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ **შეგრძნება წარმოადგენს საგნის ცალკეული თვისების ჩვენი გრძნობის ორგანოებზე უშუალო ზემოქმედების შედეგად აღმოცენებული განცდის პროცესს.**

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეალურად, ნორმალურ პირობებში წმინდა სახით შეგრძნება არც არსებობს. საქმე ისაა, რომ ჩვენ ყოველთვის საგანს ვასახავთ და არა უსაგნოდ მოცემულ რაიმე თვისებას. საგანი შეიძლება ასახული იქნას როგორც ერთი რომელიმე თვისებით, ისე თვისებათა კომპლექსით. შეგრძნებები უფრო მეცნიერული ანალიზით მიღებულ მოვლენას წარმოადგენენ, ვიდრე ჩვენ პირდაპირ აღებულ ფაქტიურ განცდას. მაგრამ ცრუდიად უნდაოა, რომ აღქმის დახასიათებისათვის აუცილებელია შეგრძნების ცოდნა. მისი მეცნიერული აბსტრაქციის გზით გამოცალკევების შედეგად.

**შეგრძნება უმარტივესი ფსიქიკური პროცესია.** იგი ცოცხალი ორგანიზმის და გარემო სინამდვილის პირველი შეხვედრაა. სინამდვილის ასახვის დასაწყისია. იგი ედება საფუძვლად ასახვის უფრო მაღალ ფორმებს: აღქმას და წარმოდგენას, რომლებიც შეგრძნებებში მოცემული ინფორმაციის გადამუშავებას ახდენენ.

შეგრძნების საშუალებით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, საგნის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა ფერი, ხმა, გემო, ტემპერატურა, სიმაგრე, ხორკლიანობა და ა. შ. მაგრამ შეგრძნება მარტო ჩვენს გარეთ არსებული საგნების თვისებებს როდი ასახავს. იგი გვაძლევს ცნობებს, აგრეთვე, ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე სხეულებრივი პროცესებისა და მათი ცვლილებების შესახებ.

შეგრძნებების აღმოცენებისა და განვითარებისათვის მთავარი გზა მოცემულია სხეულისა და მისი სასიცოცხლო მოძრაობების გავლით. ესაა კავშირი ცოცხალ ორგანიზმთან, მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებებისათვის სამსახური. ასეთებია შეგრძნების შედარებით დაბალი, საწყისი სახეები, რომლებიც წარმოადგენენ პირველ შეხვედრას გარე სინამდვილესთან. შეგრძნების ეს დაბალი ფორმები უშუალოდ დაკავშირებულია სხეულებრივ მოძრაობებთან, მაგალითად, სუნთქვისა და სხვა სისტემების მუშაობა. სულისა და სხეულის კავშირის დამადასტურებელი ფაქტები სწორედ აქედან იღებს სათავეს. ამ საწყისი შეგრძნებების კავშირი სხეულთან იმდენად ძლიერია, რომ ისინი ბიოლოგიური პროცესების უშუალო გაგრძელებად განიცდებიან ხშირად და არა მათგან გამოყოფილ სულ სხვა სახის მოვლენებად. ასეთებია: სუნთქვა, შიმშილი, წყურვილი, სიმაძღრე, გულისრევა და ა. შ.

სხეულისაგან შედარებით უფრო გამოყოფილად და საერთო განცდად გვეძლევა მოძრაობის შეგრძნებები, დაღლა, დასვენება, სიფხიზლე, ტკივილი, კუნთური ძაძაბულობა, სქესობრივ პროცესებთან დაკავშირებული შეგრძნებები და სხვა უშუალო სასიცოცხლო პროცესებისაგან უფრო მეტად გამოყოფილად და საგნებთან და მათ თვისებებთან დაკავშირებულად განიცდება შეხების, სითბოს, სიცივის, გემოს, ყნოსვის და ვიბრაციის შეგრძნებები. თავისი უფრო ზედაპირული დონითაც და რაოდენობრივი მაჩვენებლებითაც განირჩევა ხედველობა და სმენა; ამიტომაც მათ მაღალ შეგრძნებებს უწოდებენ.

ამ იერარქიაში ქვედა ჩანს შეგრძნების განცდების შიგნიდან მომდინარეობა. როგორც სულიერი უნარების განვითარება და განკრცობა. სულის ამ უნარების განვითარება მიმდინარეობდა გარემოსთან შეგუების საჭიროების კვალდაკვალ, რამაც განაპირობა ახალახალი სახეების წარმოშობა.

**შეგრძნება და ხელქმა, როგორც ფსიქიკის პირველი გამოვლინებანი, წარმოადგენენ სხვა ფსიქიკური პროცესების დასაყრდენს.** ისინი საფუძვლად ედებიან გარემო სინამდვილის შემეცნებას, მათ

შესახებ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებას. მათ საფუძველზე ალმოცენდება ფსიქიკის ისეთი რთული პროცესები, როგორიცაა მეხსიერება, აზროვნება, წარმოსახვა და სხვა. მაგრამ ეს კავშირი არაა ცალმხრივი: თავის მხრივ, შემდეგში, ეს პროცესები გავლენას ახდენენ აღქმაზე. ნორმალური ადამიანის აღქმა ყოველთვის ორგანიზებული და მოწესრიგებულია მეხსიერებისა და აზროვნების გავლენით; განსაკუთრებულ გავლენას აღქმაზე ახდენს მეტყველება. ამ ურთიერთგავლენაში კარგად ჩანს ფსიქიკურ პროცესთა ერთიანობა, მათი ურთიერთკავშირი და ფსიქიკის მთლიანობითი ბუნება.

## § 2. შეგრძნების სახეები ანუ მოდალობები

საგანთა და მათი თვისებების მრავალფეროვნება განაპირობებს შეგრძნებათა განსხვავებული სახეების არსებობას. ყველაზე უფრო გავრცელებულია შეგრძნებათა დაყოფა **სახეებად, ანუ მოდალობებად გრძნობის ორგანოების (რეცეპტორების) მიხედვით. ესენია: მხედველობის, სმენის, გემოს, ყნოსვის, კანის, კინესთეტიკური, წონასწორობის, ორგანული და ვიბრაციული შეგრძნებები.**

**მხედველობის შეგრძნებებს იწვევს სინათლის ზემოქმედება მხედველობის ორგანოზე—თვალზე.** სინათლის ფიზიკურ წყაროს წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ტალღები, რომლებიც აირეკლებიან სხვადასხვა საგნებიდან და იფანტებიან სივრცეში. ჩვენი მხედველობის ორგანო მიმღებლობს მხოლოდ გარკვეული სიგრძის ტალღებს (380-760 მილიმიკრონი).

მხედველობის ორგანო—თვალი მეტად რთული აგებულებისაა. თვალის ბადურაზე მოთავსებულია ორი სახის პატარა ნერვული ნაწილაკები, რომლებსაც მათი ფორმის შესატყვისად **ჩხირებსა და კოლბებს უწოდებენ.** ჩხირები უფრო დიდი რაოდენობისაა და განფანტულია მთელს თვალის ბადურაზე; კოლბები კი ჩხირებზე დახლოებით 20-ჯერ ნაკლებია და ძირითად თვალის ბადურის ცენტრალურ ნაწილშია თავმოყრილი. ჩხირები და კოლბები სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: პირველთა საშუალებით ხორციელდება ჩვეულებრივი სინათლის ანუ განათების (თეთრიდან დაწყებული შავამდე) შეგრძნება, ხოლო კოლბების საშუალებით ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა ფერებს.

მხედველობის შეგრძნებები იყოფა ორ სახედ: **სპექტრალური, ანუ ქრომატული ფერების შეგრძნება და აქრომატული, ნეიტრალური ფერების შეგრძნება** (რუხი ფერის სხვადასხვა ელფერი თეთრი-

დან შავამდე): ნეიტრალური ფერების შეგრძნება აღმოცენდება თვალის ბადურის ყველა ნაწილში, ხოლო ქრომატული ფერებისა კი—მხოლოდ ცენტრალურ ნაწილში, სადაც განლაგებულია კოლბები. ამიტომაა, რომ გვერდითი ანუ არაპირდაპირი მხედველობის პირობებში ჩვენ სპექტრალურ ფერებს ვერ ვამჩნევთ.

ცალკეული ფერების შეგრძნებას იწვევს სხვადასხვა სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების ზემოქმედება რეცეპტორებზე: ასე, მაგალითად, წითელი ფერის შეგრძნებას იწვევს 687 მილიმიკრონი (მილიმეტრის მემილიონედი) სიგრძის სინათლის ტალღა, ყვითლისას — 580, მწვანისას — 527 და ა. შ. არსებობს ოთხი ძირითადი ფერი, ესენია: წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი. მათი შერევით ვიღებთ სხვა დანარჩენ ფერებს.

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ ფერების გარჩევა. ისინი ყველა ფერს ნეიტრალურად ხედავენ. ასეთი ადამიანები ძალიან იშვიათია. შედარებით უფრო ხშირად გვხვდებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ფერების მიმართ ნაწილობრივი სიბრმავე ახასიათებთ: უმეტესად, ვერ არჩევენ წითელსა და მწვანეს, ხოლო სხვა ფერებს ნორმალურად ხედავენ. მხედველობის ეს ნაკლი თავის თავზე აღმოაჩინა ცნობილმა ქიმიკოსმა დალტონმა. შემდეგში ამ მოვლენას **დალტონიზმი** უწოდეს.

**სმენის შეგრძნების გამომწვევი გამღიზიანებელია ჰაერის შეკუმშვისა და გაფართოების შედეგად წარმოშობილი ტალღების** რხევა, რასაც წარმოშობს ხმის გამომცემი საგანი. განსაზღვრული სიხშირის (16-დან 20!000-მდე რხევა სეკუნდში) მქონე ჰაერის ტალღებს უწოდებენ ბგერით ტალღებს. ისინი მისაწვდომია სმენის ორგანოსათვის და ასახავენ გარემოში არსებული მოვლენების ბგერით თვისებებს.

სმენის ორგანოს წარმოადგენს ყურე, რომელიც რთული აგებულებისაა. ჰაერის ტალღების შეკრება ხდება ყურის ნიჟარას ღახმარებით, რის შემდეგაც ისინი გაიელიან სასმენ მილს და მიაღწევენ ე. წ. **დაფის აპკს**. აქედან რხევა სასმენი ძვლებისა და სპეციალური სითხის საშუალებით აღწევს ძირითად მემბრანას, რომელიც სმენის ნერვის საშუალებით აგზავნის გაღიზიანებას ტვინში.

სმენის შეგრძნებები იყოფა ორ ჯგუფად: **ხმაური და ტონები. ხმაური მიიღება უწესრიგო, არაპერიოდული რხევებისაგან, ტონები კი — პერიოდული ბგერითი რხევებისაგან.** არჩევენ ბგერის სხვადასხვა თავისებურებას, რომელთაგან გამოყოფენ სამ ძირითად თვისებას. **ბგერის სიმაღლე** განისაზღვრება ერთ წამში რხევათა რაოდენო-

ბით. რაც მეტია რხევის სიხშირე, მით მაღალია ბგერა და პირიქით— ნაკლები სიხშირის რხევები დაბალ ბგერას იძლევიან. ბგერას ახასიათებს აგრეთვე **ინტენსივობა, ანუ სიძლიერე**, რაც დამოკიდებულია ტალღის ამპლიტუდაზე. რაც მეტია გადახრა, ე. ი. ამპლიტუდა, მით უფრო ძლიერია ბგერის შეგრძნება და პირიქით, რაც ნაკლებია გადახრა, მით სუსტი ბგერის შეგრძნება ჩნდება. **ბგერის ტემბრი** განისაზღვრება რხევის ფორმით; იგი დამოკიდებულია მყღერადი სხეულის აგებულებაზე. მაგალითად, ერთი და იგივე ნოტა სულ სხვადასხვაგვარად ჟღერს იმის მიხედვით, თუ რა ინსტრუმენტი გამოსცემს მას: როიალი თუ ჰიანური.

**გემოს შეგრძნებებს იწვევს რაიმე ნივთიერების ქიმიური ზემოქმედება შესატყვის რეცეფტორებზე.** ასეთ ზემოქმედებას ნივთიერება ახდენს მას შემდეგ, როცა დაშლილი იქნება ნერწყვის გავლენით. გემოს რეცეპტორები განლაგებულია ძირითადად ენის ზედაპირზე და რბილ სასაზე. ამ რეცეპტორებს **გემოს კვირტებს უწოდებენ.**

გემოს შეგრძნებები ოთხ სახედ იყოფა: ტკბილის, მჟავის, მწარისა და მლაშის; სხვა ყოველგვარი გემოს შეგრძნება მათი სხვადასხვა კომპოზიციით მიიღება, სადაც თითოეული მათგანი სხვადასხვა რაოდენობითაა წარმოდგენილი. ამ ოთხი ძირითადი გემოს მიმართ ენის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა მგრძნობიარობას ამჟღავნებს. ჩვენ უფრო კარგად შევიგრძნობთ სიტკბოს ენის წვერზე, მწარეს—ენის ძირში, ხოლო მჟაეს—ენის ნაპირებზე.

**ყნოსვის შეგრძნებები გამოიწვევა ცხვირის ღრუში ნივთიერების ნაწილაკების მოხვედრით,** რომლებიც იქ აღწევენ ჩასუნთქულ ჰაერთან ერთად. სუნის შეგრძნება გამოიწვევა, აგრეთვე, ჰაერის დროს უმცირესი ნაწილაკების პირის ღრუდან. საყლაპავი მილის გავლით, ცხვირის ღრუში გადასვლის შედეგად. ღღეისათვის სუნის შეგრძნებების კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არ არსებობს. ამიტომ ჩვეულებრივ სუნს ალნიშნავენ ხოლმე იმ საგნის სახელით, რომელიც მას იწვევს. მაგალითად, ლაპარაკობენ ხილის, ნივრის, ძმრის, ნავთის და ა. შ. სუნის შესახებ.

**კანის შეგრძნებებში შედის შეხების, ანუ ტაქტილური და ტემპერატურის შეგრძნებები.** მათი რეცეპტორები მოთავსებულია კანის ზედაპირზე და ღიზიანდებიან მექანიკური, ან სითბური ზემოქმედებით. **ტაქტილურ შეგრძნებებს** იწვევს მხოლოდ საგნის უშუალო შეხება ორგანიზმზე (როცა ეს შეხება ძლიერია, აღმოცენდება წნევის განცდა). **ტემპერატურის შეგრძნება** კი გამოიწვევა საგნის

ეშუალო შეხებითაც და მის გარეშეც. მანძილიდან; ამ შემთხვევაში ხდება ტემპერატურის გადაცემა ჰაერის ნაკადის საშუალებით. ტემპერატურის შეგრძნება ასახავს სითბურ გაცვლა-გამოცვლას ორგანიზმსა და გარემოს შორის; როცა ორგანიზმის ტემპერატურა მეტია ვიდრე საგნისა, ხდება სითბოს გადაცემა საგანზე და პირიქით. როცა ორგანიზმს საგანზე ნაკლები ტემპერატურა აქვს, სითბო საგნიდან გადმოდის ორგანიზმში პირველ შემთხვევაში აღმოცენდება სიცივის, ხოლო მეორეში—სითბოს განცდა.

**კინოსთეტიკური, ანუ მოძრაობის შეგრძნებები გვიჩვენებენ ჩვენი ორგანოების (მაგალითად, კიდურების) მდგომარეობას: მათ მოძრაობასა და დაძაბულობას.** მყესებსა და კუნთებში მოთავსებული რეცეპტორების გაღიზიანებით ჩვენ ვიღებთ ცნობას ამ მდგომარეობის შესახებ.

**წონასწორობის შეგრძნებები გამოიწვევა ჩვენი ორგანიზმის საერთო მდებარეობით, თუ როგორ მიმართებაში ვიმყოფებით ჩვენ სივრცის მიმართ** (ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად, თუ დახრილად). ამ შეგრძნებათა რეცეპტორები მოთავსებულია შიგა ყურში; აღსანიშნავია, რომ ამ ორგანოს დაზიანებისას ადამიანი ვეღარ განიცდის თავის პოზას; თუ თვალით არ ხედავს მას, არ შეუძლია მისი შენარჩუნება.

**ორგანული შეგრძნებები ასახავენ ჩვენი სხეულისა და ცალკეული ორგანოების მდგომარეობას; ორგანულ შეგრძნებებში შედის შიშილი, წყურვილი, ტკივილი.** მათი რეცეპტორები შესაბამისად, იმყოფება სისხლძარღვებში, ფილტვებში, საჭმლის მომნელებელ სისტემასა და სხვა ორგანოში. ამ შეგრძნებებს დიდი როლი აქვს ორგანიზმის არსებობის შენარჩუნებისათვის. ისინი ასდენენ შესაგანი ორგანოების მუშაობის რეგულაციას და იძლევიან სიგნალებს ნორმალური მდგომარეობის დარღვევის შესახებ. დამახასიათებელია, რომ სანამ ჩვენ ჯანმრთელ და სრულიად ნორმალურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ორგანულ შეგრძნებებს ყოველთვის არ განვიცდით, მაგრამ საკმარისია მოხდეს რაიმე დარღვევა, რომ ისინი მაშინვე აღმოცენდებიან.

**ვიბრაციის შეგრძნებები წარმოადგენენ გარკვეული სიხშირის, ამპლიტუდისა და პერიოდის მქონე ნაწილაკების მექანიკური რხევების სპეციფიკურ განცდას.** ადამიანები მათ განიცდიან თითქმის ყოველგვარ მომუშავე ტრანსპორტში ყოფნისას ან ზოგიერთი მანქანა-იარაღებით მუშაობისას (მაგალითად, როტაციული ბურღით). დღესათვის ვიბრაციის შეგრძნებების რეცეპტორი არაა ზუსტად

დადგენილი; ითვლება, რომ ასეთი ცალკე სპეციფიკური ორგანო არ არსებობს, იგი შეიძლება სხვადასხვა ორგანოს ფუნქცია იყოს.

## § 3. შეგრძნებათა ძირითადი თვისებები და კანონზომიერებანი

შეგრძნებათა აღმოცენება და შესაბამისი ანალიზატორების მუშაობა გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდებიან. ცალკეული მოდალობის შეგრძნებები და მათი ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია ამ კანონზომიერებებით. ამათგან ძირითადია: შეგრძნების ანუ მგრძნობელობის ზღურბლები, ადაპტაცია, კონტრასტი და სინეზთეზია.

**შეგრძნების ზღურბლის** ცნებაში იგულისხმება შეგრძნების ინტენსივობისა და გამღიზიანებლის სიძლიერის დამოკიდებულების ფსიქოლოგიური დახასიათება. იმის გამო, რომ ყველა ანალიზატორს აქვს თავისი მგრძნობიარობის დონე, შეგრძნებები აღმოცენდებიან და იცვლებიან მხოლოდ გარკვეული ინტენსივობის გამღიზიანებლის ზემოქმედებით: ცეროდ. განასხვავებენ აბსოლუტურ ზღურბლებს და სხვაობის ზღურბლს.

აბსოლუტური მგრძნობიარობა ხასიათდება შეგრძნების ქვედა და ზედა ზღურბლებით. **შეგრძნების ქვედა ზღურბლს წარმოადგენს გამღიზიანებლის ის სიდიდე, ან ინტენსივობა, რომელიც ოდნავ შესამჩნევ შეგრძნებას იწვევს.** ასე მაგალითად, 380 მილიმიკრონზე მოკლე ელექტრომაგნიტურ ტალღებს თვალი არ მიმღებლობს, ხოლო წამში ჰაერის ტალღების 16-20 რხევაზე ნაკლები ვერ იწვევს სმენის შეგრძნებას. ასევე ხდება სხვა მოდალობებშიც.

**გამღიზიანებლის უდიდეს, ძალას, რომლის შემდგომი მატება შეგრძნებას აღარ იწვევს, შეგრძნების ზედა ზღურბლს უწოდებენ.** ასეთია მხედველობისათვის 760 მილიმიკრონი ელექტრომაგნიტური ტალღა, ხოლო სმენისათვის — 20 ათასი რხევა წამში. ქვედა და ზედა ზღურბლები ქმნიან მგრძნობიარობის ზონას ცალკეული სახის გამღიზიანებლის მიმართ: მაგალითად, მხედველობისა და სმენისათვის ეს ზონა შეადგენს 380-760 მილიმიკრონს და 16-20 000 რხევას. ეს ზონები არაა აბსოლუტურად უცვლელი, ისინი იცვლებიან ადამიანის საქმიანობის, ასაკის, ჯანმრთელობის და ა. შ. მიხედვით.

ზედა და ქვედა საზღვრებში არსებული შეგრძნება სხვადასხვა ძალით ვლინდება. იგი იცვლება მოცემული ზონის ფარგლებში გამღიზიანებლის მატების ან კლების მიხედვით. **სხვაობის ზღურბ-**

**ლი წარმოადგენს იმ უმცირეს ინტენსივობას ორ გამღიზიანებელს შორის, რომელიც ოდნავ შესამჩნევ შეგრძნებას იწვევს.**

სხვაობის ზღურბლი წარმოადგენს შეფარდებით სიდიდეს. იგი არსებული შეგრძნების ინტენსივობის გარკვეულ ნაწილს შეადგენს. ასე. მაგალითად. სინათლის შეგრძნებაში სხვაობის ზღურბლი უდრის 1/100; ბგერის შეგრძნებაში კი — 1/10. ხოლო სიმძიმეების აწევისას ოდნავ შესამჩნევ სხვაობას განცდას იძლევა წონაში 1/30-ის მომატება ან მოკლება.

შეგრძნების აბსოლუტური და სხვაობის ზღურბლები იცვლებიან პრაქტიკული საჭიროების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ მგრძნობიარობა და გავაუმჯობესოთ აქტივობის უნარი. ეს განსაკუთრებით საჭიროა ზოგიერთ პროფესიებში, რომლებიც მოითხოვენ ცალკეული შეგრძნებების გამახვილებას, მათი მგრძნობიარობის ამაღლებას. მუსიკისა და ენების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბგერის ზღურბლების დადაბლებას და ბგერების ადვილად გარჩევის უნარს. (სმენის შეგრძნებაში მაღალი მგრძნობიარობა განსაკუთრებით ესაჭიროებათ მფრინავებს, რადისტებს, ექიმებს და სხვა პროფესიის ადამიანებს, ასევე ხდება მხედველობის შეგრძნებებში. სადაც ზოგიერთი პროფესიის მოთხოვნების შესაბამისად საჭიროა მგრძნობიარობის ამაღლება; მაგალითად. მღებავი ცალკეული ფერის 40-მდე ელფერს არჩევს. სხვა ადამიანები კი 2-3 ელფერზე მეტს ვერ ვამჩნევ. ასეთივე ფაქტები გვაქვს კომპენსაციის შემთხვევებშიც. ბრმა ადამიანებთან შეიმჩნევა სმენის, შეხებისა და ყნოსვის შეგრძნებათა მაღალი მგრძნობიარობა. რომელთა საშუალებით ისინი „ცნობენ" ადამიანებს.)

(**გრძნობის ორგანოებზე გამღიზიანებელთა ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად მგრძნობიარობის შეცვლას ადაფტაცია ეწოდება.**) ანალიზატორის მგრძნობიარობის ასეთი შეცვლა შეიძლება მოხდეს ორი მიმართულებით: პირველი, როცა ძლიერი გამღიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედებით დაქვეითდება მგრძნობიარობა. რის გამოც სუსტი გამღიზიანებლები აღარ იწვევენ შეგრძნებას და მეორე. როცა სუსტი გამღიზიანებლების ხანგრძლივი ზემოქმედებით იზრდება მგრძნობიარობა და ახლა უფრო სუსტი გამღიზიანებლებიც იწვევენ შეგრძნებას, ადაფტაციის პირველ ფორმას **ნეგატიურს** უწოდებენ. ხოლო მეორეს—**პოზიტიურს;** (ნეგატიური ადაფტაციის მაგალითს წარმოადგენს ძლიერი განათების ქქერის შემდეგ შედარებით სუსტად განათებულ ოთახში მხედველობის გაუარესება. ან სულაც შეუძლებლობა, რასაც შემდეგ მოყვება პოზიტიური ადაფ-

ტაცია: თანდათან შეგუება სუსტი სინათლისადმი. მაგალითად კინოთეატრში დაგვიანებით შესვლისას, თავდაპირველად სიბნელეში ვერაფერს ვამჩნევთ, სანამ თვალს არ შევაჩვევთ.

(ადაპტაცია შეგრძნების ყველა მოდალობას ერთნაირად არ ახასიათებს. ზოგში იგი ძლიერ იჩენს თავს, ზოგში კი — შედარებით უმნიშვნელოდ. განსაკუთრებით ძლიერი ადაპტაცია ახასიათებს მხედველობის, შეხების, ტემპერატურის და ყნოსვის შეგრძნებებს, უფრო სუსტი — სმენისა და ტკივილის შეგრძნებებს.) შეხების შეგრძნებებში უკვე 3 წამის შემდეგ წნევის შეგრძნება 5-ჯერ მცირდება, ხოლო ზოგჯერ სულაც აღარ ვამჩნევთ შეხების გამომწვევ მსუბუქ გამღიზიანებელს; მაგალითად, ჩვენ ყოველ წამს არ განვიცდით ტანსაცმლის, ან სათვალის შეხებას. ტემპერატურის შეგრძნებებში ადაპტაციის მაჩვენებელია ცივ წყალში ცურვის მაგალითი, რასაც წყალში ჩასვლისას ძლიერ განვიცდით, შემდეგ კი სულაც ვეღარ ვამჩნევთ; ასევე, ძალიან ადვილად ხდება ადაპტაცია ყნოსვის სფეროში.

როგორც აღინიშნა, სმენისა და ტკივილის შეგრძნებებში ადაფტაცია ნაკლებად ხდება. როდესაც ბგერა ხანგრძლივად გვესმის, ამით არ ხდება მისადმი შეჩვევა, იგი მაინც განიცდება. ტკივილის განცდაც არ ქრება ადვილად; მისდამი სრული ადაფტაცია კი საერთოდ არ ხდება, მას შეიძლება ვეღარ ვამჩნევდეთ მხოლოდ უყურადღებობის გამო; ტკივილის მიმართ ასეთი დაბალი ადაფტაცია ბიოლოგიურად გამართლებულია და დადებით როლს ასრულებს.)

(ერთი მოდალობის შიგნით განსხვავებული შეგრძნებები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და იწვევენ ინტენსივობის ცვლილებას. **ერთი შეგრძნება ძლიერებს მეორეს. ამ მოვლენას შეგრძნებათა კონტრასტი ეწოდება.** არჩევენ ერთდროულ და თანმიმდევრულ კონტრასტს.) პირველი გულისხმობს ერთდროულად მოცემული შეგრძნებების ურთიერთ ზეგავლენას, მეორე კი—ერთი შეგრძნების შეცვლას წინა ან მომდევნო შეგრძნების გამღიზიანებლის ზემოქმედებით.(ერთდროული კონტრასტის მაგალითია, როცა რუხი ფერის ლაქა თეთრ ტანსაცმელზე შავად ჩანს, ხოლო შავზე—თეთრად;)თანმიმდევრული კონტრასტია: წითელი და მწვანე ფერის ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრები ერთმანეთის გვერდით უფრო აძლიერებენ ერთმანეთს. ამ მოვლენებში თავს იჩენს ერთდროული კონტრასტი(თანმიმდევრულ კონტრასტთან გვაქვს საქმე შემდეგ მაგალითებში: ციების შემდეგ ნელთბილი ცხელად გვეჩვენება, ხოლო ცხელის შემდეგ—ცივად;) მჟავის ან მწარეს შემდეგ, ტკბილი კიდევ მეტად ტკბილად

გვეჩვენება: თუ 20 წამის განმავლობაში ეუმზერთ ნათელ, ან ფერად ლაქას. ხოლო შემდეგ მზერას გადავიტანთ ნეიტრალურ ფონზე, აშკარად გამოჩნდება ბნელი ან საპირისპირო კვალი.

გარდა ერთი მოდალობის შიგნით არსებული ურთიერთზემოქმედებისა, არსებობს სხვადასხვა მოდალობის ურთიერთგავლენაც. ამ შემთხვევაში ერთი მოდალობის გამღიზიანებელი იწვევს მეორე მოდალობის შეგრძნებას. **ამ მოვლენას სინესთეზიას უწოდებენ,** რაც მეორად შეგრძნებას აღნიშნავს. ყველაზე მეტად გავრცელებული ბგერების მოსმენისას ფერების შეგრძნების აღმოცენება, **რასაც ფოტიზმებს, ანუ „ფერად სმენას" უწოდებენ.** უფრო იშვიათია ფონიზმები, როდესაც ფერის შეგრძნება იწვევს ბგერის შეგრძნებას. ამავე მოვლენას გამოხატავს გამოთქმები: ტკბილი, ან ხავერდოვანი ხმა, თბილი ან რბილი ფერი და სხვა. ყველა ამ შემთხვევაში აშკარად ჩანს ერთი მოდალობის შეგრძნების სპეციფიკის გადატანა მეორეზე. სინესთეზიის მოვლენა არაა ისეთივე ზოგადი და საყოველთაო, როგორც ზემოთ აღწერილი სხვა კანონზომიერებანი: სინესთეზია მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებში აღინიშნება და ისიც ამა თუ იმ მიმართულებით.

## § 4. აღქმის თვისებები

აღქმის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებას ობიექტურად არსებული მთლიანი საგნის ასახვა შეადგენს; იგი გაცილებით უფრო რთული ფსიქიკური პროცესია, ვიდრე შეგრძნება. მას მთელი რიგი თვისებები და კანონზომიერებანი გააჩნია, რითაც იგი განსხვავდება შეგრძნებისაგან. აღქმის ამ თვისებების გაცნობა სრულ ცოდნას მოგვცემს აღქმის პროცესის ბუნების შესახებ.

**აღქმის საგნობრიობა** მისი შინაარსის ობიექტურობიდან გამომდინარეობს. გრძნობად შინაარსში ყოველთვის ობიექტურად არსებული საგანია წარმოდგენილი, აღქმაში გრძნობადი, თვალსაჩინო, საგანი აისახება; უსაგნო აღქმა არ არსებობს.

**აღქმის პროცესი ატარებს მთლიანობით ხასიათს.** აღქმის პროცესში ჩვენ პირველ რიგში მთლიანობები გვეძლევა. ჩვენ მთელ საგნებსა და მოვლენებს აღვიქვამთ და არა ცალკეულ ნაწილებს; ამ ნაწილების ცალკე განცდა, მათი გამოყოფა მთელისაგან შემდეგ ხდება. პირველ რიგში ხდება მაგიდის აღქმა, ხოლო შემდეგ მასზე განლაგებული საგნების გამოყოფა: წიგნის, რვეულის, სამელნის, კალმისტრის და ა. შ. ასევე ჩვენ აღვიქვამთ მთლიან მელოდიას და არა ცალკეულ ბგერებს ან ნოტებს. აღქმის მთლიანობა ერთ-ერთი ძირითადი

თვისებაა. აღქმაში გაერთიანებულია სხვადასხვა მოდალობის შეგრძნებები, მაგრამ განცდის პროცესი ყოველთვის მთლიანია. იგი ცალკეულ შეგრძნებათა ჯამის სახით კი არ განიცდება, არამედ როგორც ერთი მთლიანი. მთლიანი გავლენას ახდენს ცალკეული ელემენტის განცდაზეც. სხვადასხვა მთელში შესული ერთი და იგივე ნაწილი განსხვავებულად განიცდება. მაგალითად, ტოლი წრეები განსხვავებული სიდიდის ჩანს იმის მიხედვით, დიდი წრეების შიგნითაა ისინი ჩასმული, თუ პატარებისა.

**აღქმის აზრიანობა** აღქმის პროცესზე აზროვნებისა და მეტყველების გავლენის მაჩვენებელია ყოველი კონკრეტული აღქმა გარკვეული აზრისა და მნიშვნელობის მატარებელია. საგნის აღქმისას ხდება მისი ცნობა. ადამიანი აღქმაში მოცემული საგნების ინტერპრეტაციას ახდენს თავისი წარსული პრაქტიკული, გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე.

აღქმის აზრიანობის ფაქტს წარმოადგენს შეგრძნების მონაცემთა განცდის შეცვლა იმის მიხედვით, თუ რა საგანი იგულისხმება მათში. მთლიანი საგნის ცნობის შემდეგ ხდება ცალკეული ნაწილებისა და დეტალების შემჩნევა, რაც მანამდე არ განიცდებოდა.

აზროვნების მონაწილეობის გამო, აღქმაში მოცემული საგანი განიცდება, როგორც საგანთა კლასის წარმომადგენელი, როგორც ზოგადის კერძო გამოვლენა. ამით აღქმაში მოცემულია უფრო მეტი, ვიდრე კონკრეტული საგნის გრძნობადი შინაარსი. ამ თვისების საფუძველზე ხდება აღქმის საგნის იგივეობის განცდა, მიუხედავად კონკრეტული გრძნობადი მასალის ცვალებადობისა.

აღქმას ახასიათებს **კონსტანტობა ანუ მუდმივობა**. მიუხედავად გარეგანი, ფიზიკური პირობების ცვალებადობისა, აღქმა გარკვეულ ფარგლებში კონსტანტური (მუდმივი) და უცვლელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ იცვლება განათების ხარისხი, მანძილი საგნამდე, სივრცეში საგნის მდგომარეობა და ა. შ. ჩვენ საგანს მაინც იგივეობრივად განვიცდით. მაგალითად, მზის სინათლეზე და ჩრდილში მყოფი ცარცის ნაჭრები განსხვავებული ოდენობით აირეკლავს სინათლეს. მაგრამ ჩვენ მათ მაინც იგივე საგნად აღვიქვამთ. ასევე, რაც უფრო შორსაა საგანი ჩვენგან, მისი გამოსახულება თვალის ბადურაზე მით უფრო პატარაა, მაგრამ ამ საგნის აღქმა მაინც იგივეობრივი რჩება. მაგალითად, როცა საგანს 10 მეტრიდან ვუცქერით, მისი გამოსახულება 10-ჯერ პატარა იქნება, ვიდრე 1 მეტრი მანძილიდან ცქერისას; მაგრამ ჩვენ საგნის სიდიდის შეცვლას საერთოდ არ ვამჩნევთ.

(აღქმა ატარებს პიროვნებისეულ ხასიათს, საგნებისა და მოვლენების აღქმის თავისებურებანი დამოკიდებულია აღმქმელ პიროვნებაზეც. მის საერთო მდგომარეობაზე. მის ინტერესებსა და მოთხოვნილებებზე და სხვა.) აღქმის სისრულე და სიზუსტე განისაზღვრება იმით, თუ რა ამოცანებს ისახავს პიროვნება თავისი მიზანდასახული მოქმედების პროცესში ადამიანი პირველ რიგში, იმ საგნებს აღიქვამს, რომლებიც ამ მოქმედების განხორციელებას ჰირდება.

(აღქმის სიცხადე და სისრულე დამოკიდებულია, აგრეთვე ადამიანის გამოცდილებაზე) წარსულის გამოცდილება ხელს უწყობს ან ხელს უშლის სწორ აღქმას; პიროვნება ავსებს უშუალო მოცემულობას მეხსიერებისა და ფანტაზიის წარმოდგენებით. (ამით აიხსნება სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანების მიერ ერთი და იგივე საგნის სხვადასხვაგვარად აღქმა.)

## § 6. აღქმის სახეები

იმის მიხედვით თუ შეგრძნების რომელი სახეა წამყვანი, აღქმა შეიძლება იგივე სახეების იყოს როგორც შეგრძნება: (არსებობს მხედველობითი აღქმა, სმენითი აღქმა, შეხებითი აღქმა და ა. შ.)

გარდა ამისა, აღქმის სახეების გამოყოფა შეიძლება საგნის არსებობის ფორმის მიხედვითაც. ამ თვალსაზრისით არჩევენ აღქმის სამ სახეს: სივრცის, დროისა და მოძრაობის აღქმა.)

(სივრცის აღქმა საგნების თვისებებისა და საგანთა შორის დამოკიდებულებების სახით გვეძლევა. ყველა საგანი სივრცესა და დროში არსებობს. სივრცის აღქმაში აისახება საგნის სივრცითი განზომილებანი: სიდიდე, ფორმა, რელიეფურობა, მანძილი, მიმართულება და სხვა. თითოეული მათგანის აღქმა რთული პროცესია და ერთდროულად სხვადასხვა სახის შეგრძნების არსებობას საჭიროებს. მხოლოდ მხედველობა როდია საკმარისი საგნის ფორმის, ან სიდიდის აღქმისათვის; სივრცის აღქმისათვის საჭიროა მას დაემატოს კინესთეტიკურ და შეხების შეგრძნებათა მონაცემებიც. მათი მონაწილეობის გარეშე სრულიად შეუძლებელია სიღრმის, ანუ მოცულობითი აღქმის უნარის ჩამოყალიბება. ცნობილია ასეთი ფაქტი: როდესაც დაბადებიდან ბრმას თვალები აუხილეს, იგი ყველაფერს ბრტყლად, მოცულობის გარეშე ე. ი. მხოლოდ ორ განზომილებაში ხედავდა. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ შეძლო მან ფორმის, სიდიდის და მანძილის აღქმა. მხედველობასთან მოძრაობითი შეგრძნებების დაკავშირების საფუძველზე.

დროს აღქმა წარმოადგენს სინამდვილის მოვლენების მიმდინარეობის, სიჩქარისა და ხანგრძლივობის განცდას. ადამიანის მოქმედება და ყველა სასიცოცხლო პროცესი მიმდინარეობს დროში. დროის აღქმაც სხვადასხვა სახის შეგრძნებების ერთიანობის საფუძველზე ყალიბდება; მაგრამ იგი უფრო მეტად სუბიექტურია და ადვილად არ ჩანს რომელი სახის შეგრძნებებს რა როლი აქვს მის განხორციელებაში. დღეისათვის ფაქტიურად დადგენილია, რომ აქაც დიდ როლს თამაშობს კინესთეტიკური შეგრძნებები, განსაკუთრებით რითმული თანმიმდევრობის აღქმაში. ავადმყოფობის შედეგად კინესთეტიკური შეგრძნებების დარღვევის დროს ხდება დროის აღქმის გაძნელება. დროის აღქმაში ასეთივე დიდი როლი აქვს ორგანულ შეგრძნებებს და სმენის შეგრძნებას.

პიროვნებისეული თავისებურებანი განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს დროის აღმაში. სხვადასხვა ადამიანის მიერ და სხვადასხვა პირობებში ერთი და ივივე ხანგრძლივობის დროის შეფასება დიდად განსხვავებულია. საერთოდ, კი, დრო მით უფრო ჩქარა „გადის", რაც უფრო სასიამოვნო და საინტერესო საქმიანობითაა იგი დაკავებული, ყველაზე ნელა კი იგი მოლოდინის შემთხვევაში „მიიზლაზნება".

სინამდვილის მოვლენების დროითი კავშირები და დამოკიდებულებანი აღიქმება მათი თანმიმდევრობისა და ხანგრძლივობის სახით. მოვლენათა თანმიმდევრობის აღქმა დაკავშირებულია აწმყოს, წარსულისა და მომავლის წარმოდგენებთან: ხანგრძლივობის განცდა კი ემყარება დასაწყისისა და დასასრულის წარმოდგენას. დროის ინტერვალის შედარებით ზუსტი შეფასება შესაძლებელია. თუ იგი წამის 0,75-ზე ნაკლები არ არის.

დროის აღქმაში შედის რითმისა და ტემპის განცდაც. რაშიც აისახება მოვლენათა ცვლილების სიჩქარე და მათი თანაბარი მონაცვლეობა; რითმის განცდას ხელს უწყობს სმენისა და მოძრაობის შეგრძნებები, მაგრამ განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ორგანული შეგრძნებები, რადგანაც ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები გარკვეული ბიოლოგიური რიტმით ხასიათდებიან.

მოძრაობის აღქმა წარმოადგენს საგნების სივრცეში გადაადგილებისა და მათი დროში ცვალებადობის განცდას. ადამიანი ჩვეულებრივ მხოლოდ საშუალო სიჩქარის მოძრაობებს აღიქვამს. ძალიან ნელი მოძრაობის პროცესს ჩვენ უშუალოდ ვერ აღვიქვამთ. მის შესახებ მხოლოდ შედეგების მიხედვით ვმსჯელობთ ასეთია, მაგალითად, საათის მაჩვენებელი ისრის მოძრაობა. ძალიან ჩქარი მოძ-

რაობების შემჩნევაც შეუძლებელია ჩვეულებრივ ხელსაწყოთა გამოყენების ვარეშე. ასეთია სინათლის, ან ვასროლილი ტყვიის მოძრაობა.

ზემოთ ჩამოთვლილი აღქმის სახეები შეიძლება განიცდებოდეს სპეციალური მიზანდასახულობის გარეშე, ჩვეულებრივ პირობებში საკმარისია უბრალოდ საგნებისა და მოვლენების შემჩნევა. მათთვის თვალის „მოვლება", მაგრამ ზოგჯერ საჭირო ხდება ცალკეული მოვლენების რაც შეიძლება ზუსტი და სრული აღქმა. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება აღქმის სპეციალური ფორმა — **დაკვირვება. იგი წარმოადგენს მიზანდასახულ, წინასწარ დაგეგმილ აღქმას.** დაკვირვების წარმოებას სპეციალური მომზადება ჰირდება. დაკვირვების უნარი საჭიროა ყოველგვარ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი იქ, სადაც დამოუკიდებელ და შემოქმედებით მოქმედებასთან გვაქვს საქმე. დაკვირვება აღქმის აქტიურ, ნებისმიერ ფორმას წარმოადგენს. დაკვირვების გზით უფრო მეტს და სწორად აღვიქვამთ. ვიდრე სხვა პირობებში ზოგი ცხოველი ან ფრინველი უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ ადამიანის თვალი საგნებში გაცილებით უფრო მეტს ამჩნევს.

დაკვირვების უნარი, ანუ დაკვირვებულობა ცოდნა-გამოცდილების და სპეციალური ვარჯიშის გზით შეიძინება. მისი აუცილებელი პირობაა ნებისყოფის დაძაბვა და ნებისმიერი ყურადღება.

არჩევენ აღქმის კიდევ ერთ ფორმას — **ილუზიას. ილუზია წარმოადგენს არასწორ, დამახინჯებულ აღქმას;** მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით სინამდვილეში როგორია მოცემული ობიექტები, მაინც არასწორად აღვიქვამთ მათ. დამახინჯებულად გვეჩვენება ისინი. ყველაზე მეტად ცნობილია მხედველობის ილუზიები: როდესაც ადამიანი ერთდროულად აღიქვამს ორ ტოლ სწორ ხაზს: ვერტიკალურს და მეორეს ჰორიზონტალურს, მას ვერტიკალური უფრო გრძელი ეჩვენება; ასევე, უფრო დიდი გვეჩვენება თეთრი ღა ნათელი ფერის სხეული, ვიდრე მისი ტოლი შავი სხეული და ა. შ.

# თავი V

# მეხსიერება

## § 1. მეხსიერების ცნება

ადამიანს არა მხოლოდ უშუალოდ ზემოქმედების მომხდენი საგნების განცდის უნარი აქვს, არამედ მას ისეთი მოვლენის განცდაც შეუძლია, რომელიც უშუალოდ აღარაა მოცემული. მისი შესაძლებლობანი ცილდება აწმყოს უშუალო მოცემულობას. მისთვის წარსულში აღქმული და განცდილი უკვალოდ არ იკარგება. აღქმის გამომწვევი გამღიზიანებლის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ აღქმის ხატიც ქრება; მაგრამ ის, რაც აღქმის გზით იქნა ასახული მთლიანად არ ქრება. შემდეგომში შეიძლება მისი აღდგენა გამღიზიანებლის არარსებობის პირობებშიც. ამის გამო ჩვენ შეგვიძლია განვიცადოთ ისეთი რამ, რაც წარსულში გვინახავს, ამჟამად კი არაა მოცემული. ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ჩვენი წინანდელი შთაბეჭდილებანი, ხელახლა განვიცადოთ ის შინაარსები, რაც წარსულში გაგვიცდია. ამის შესაძლებლობას ჩვენ გვაძლევს სპეციფიკური ფსიქიკური პროცესი—მეხსიერება. **წარსულში განცდილის შენახვასა და აღდგენას ცნობიერებაში მეხსიერება ეწოდება.**

როგორც მოცემული განმარტებიდან ჩანს, მეხსიერება გულისხმობს ისეთი საგნებისა და მოვლენების წარმოდგენების არსებობას ჩვენს ცნობიერებაში, რომლებიც ამჟამად არ ახდენენ ზემოქმედებას ჩვენზე და ამიტომ არ შეიძლება აღქმული იქნას.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ აღქმა შეზღუდულია დროსა და სივრცეში. იგი ამჟამად და აქ მოცემული საგნის განცდაა: მისი გამომწვევი-მიმდინარეობა განუყრელადაა დაკავშირებული აწმყოსთან და თვალხილულ სინამდვილესთან. ამიტომაცაა აღქმის განცდა უფრო ცხოველი და ნათელი. ვიდრე მეხსიერების წარმოდგენები, რომლებიც აღქმის ხატია, მისი სურათია, ანარეკლია და მხოლოდ მისგან და მის შემდეგ ჩნდება. წარმოდგენა არაუშუალოა, იგი პირდაპირ საგნებიდან არ მოდის და ამასთანავე, უფრო სქემატური, ნაკლებად თვალსაჩინო და ბუნდოვანია. მეორეს მხრივ, ამაშია მისი ძირითადი როლი და ღირსება; ამ თავისებურების საფუძველზე გვათავისუფლებს იგი დროისა და სივრცის შეზღუდულობისაგან და წარმოდგენების სახით განგვაცდევინებს იმას, რაც არ შეიძლება რეალურად მოგვეცეს აწმყოსში, რაც მხოლოდ წარსულს განეკუთვნება.

ყველა ჩვენთაგანს შეუძლია წარმოიდგინოს, გაიხსენოს ადრეულ ბავშვობაში ნანახი და მოსმენილი. ჩვენ ადვილად წარმოვიდგენთ ნაცნობ ადამიანებს, რომლებიც რამდენიმე წელია არ გვინახავს; წარმოვიდგენთ ქუჩას და ეზოს, სადაც გვითამაშნია; სკოლას, სადაც ვსწავლობდით და ა. შ. მეხსიერება დიდად აფართოებს ადამიანის ცნობიერებას და მოქმედების შესაძლებლობებს. მისი საშუალებით ჩვენ თავს ვაღწევთ უშუალო სინამდვილეს და წარსულში განცდილის მიხედვით ვმოქმედებთ.

მეხსიერება აღქმის შემდეგ და მის საფუძველზე აღმოცენდა. მაგრამ იგი მხოლოდ აღქმის გზით მიღებული შთაბეჭდილებების შენახვასა და აღდგენას როდი ემსახურება. მეხსიერებაში ჩვენ შემოვინახავთ და საჭირო შემთხვევაში აღვადგენთ აზრებს, დებულებებს, ფანტაზიის წარმოდგენებს, ემოციებს და ყოველგვარი განცდის შინაარსს.

მეხსიერება სინამდვილის ასახვის ფორმაა. მისი საშუალებით ჩვენ ვავროვებთ და ვამდიდრებთ შთაბეჭდილებებს გარე სამყაროს შესახებ. ვიძენთ ცოდნა-ჩვევებს და ვიყენებთ მათ ჩვენი მიზნების შესატყვისად. მეხსიერების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სწავლების პროცესი და ადამიანის ფსიქიკის განვითარება. განსაკუთრებული როლი აკისრია მას პიროვნების ისტორიისათვის, მისი საშუალებით ხდება ადამიანის ფსიქიკური ცხოვრების სტორული ერთიანობის შენარჩუნება.

ამრიგად, მეხსიერება ისეთი ფსიქიკური პროცესია, რომელიც სინამდვილის ასახვას და შემეცნებას ემსახურება. კერძოდ, **იგი გამოიხატება წარსული გამოცდილების აღბეჭდვაში, დაცვა—შენახვასა და აღდგენაში.**

მეხსიერების თანამედროვე მეცნიერულ თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია მისი მექანიზმის გარკვევას: მეხსიერების მექანიზმების პრობლემებს, ფსიქოლოგიასთან ერთად, იკვლევს ნეიროფიზიოლოგია, ბიოქიმია, ბიოფიზიკა.

მეხსიერების ფსიქოლოგიური თეორიებიდან ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა **ასოციაციონიზმმა,** რომელიც ასოციაციის რეალური ფაქტიდან ამოდის: იგი ინდივიდის როლს უარყოფს და მეხსიერებაში წარმოდგენების კავშირს მხოლოდ ასახული შინაარსებით ხსნის. ამ თეორიის მიხედვით, ცნობიერების შინაარსებს შორის კავშირი მყარდება მათი შესატყვისი მოვლენების მეზობლობის გამო: თუ ეს შინაარსები ერთდროულად იყო განცდილი, შემდეგში ერთი მათგანის აღმოცენება იწვევს მეორეს. მაგალითად, კარების გახსენე-

ბა ფანჯრების წარმოდგენას იწვევს, ისე როგორც ხიდისა — წყალს და სკოლისა—მოწაფეს. წარმოდგენათა ასოციაცია ჯაჭვურ ხასიათს ატარებს; ერთი წარმოდგენა იწვევს წარმოდგენათა მთელ რიგს და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის მეხსიერების მექანიზმი საბოლოოდ გახსნილი არ არის, ასოციაციონისტური გაგება უკვე განვლილ და დაძლეულ ეტაპს წარმოადგენს.

გარეგნულად წარმოდგენებს შორის ასოციაცია შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. ერთ შემთხვევაში, შეიძლება ერთმა წარმოდგენამ გამოიწვიოს მეორე გამღიზიანებელთა ერთდროულად განცდის დროს აღმოცენებული ასოციაციის გამო; სხვა შემთხვევაში, ასოციაცია შეიძლება განპირობებული იყოს გამღიზიანებელთა მსგავსებით და ა. შ. მაგრამ ასოციაციის ყოველი ფაქტი განპირობებულია ადამიანისათვის მოცემული შინაარსების მნიშვნელობით. **მხოლოდ ისეთი კავშირები განსაზღვრავს წარმოდგენათა ასოციაციას, რომელსაც პიროვნებისათვის რაიმე მნიშვნელობა და ინტერესი აქვს.** ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს რ. ნათაძის სახელმძღვანელოში მოტანილი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ პიანინოსა და კედელს თითქმის ყოველთვის ერთად აღვიქვამთ, პიანინოს დანახვა, ან მისი წარმოდგენა კედლის ასოციაციას არ იწვევს. ჩვენ გაცილებით ადვილად გვახსენდება ნოტები, ან სხვა ისეთი რამ, რაც უფრო იშვიათად გვინახავს პიანინოსთან ერთად, ვიდრე კედელი, რომელზედაც მიდგმულია იგი.

ამრიგად, მეხსიერების საფუძვლებისა და მექანიზმის ახსნა წარმოდგენათა გარეგან კავშირებში, ან გამღიზიანებელთა ორგანიზაციაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობაში, ადამიანის მთლიან პიროვნული აქტივობის სულიერ საფუძვლებში.

## § 2. მეხსიერების ძირითადი პროცესები

როგორც მეხსიერების ცნების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, მეხსიერებისათვის აუცილებელია შთაბეჭდილებათა მიღება, მათი შენახვა და აღდგენა. ამის შესაბამისად არჩევენ მეხსიერების შემდეგ ძირითად პროცესებს: დამახსოვრება, შენახვა-შენარჩუნება, გონება და დავიწყება.

**დამახსოვრება უშუალოდ გამოცდილების, ან ინფორმაციის მიღების პროცესს წარმოადგენს.** ფაქტიურად ესაა აღქმის, ან სხვა განცდის პროცესი; ზოგჯერ გარეგნულად არაფრით არ ჩანს, რომ

დამახსოვრება ხდება. ჩვეულებრივ სინამდვილის მოვლენების განცდის განმეორების დროს ადგილი აქვს მეხსიერებაში მათ აღბეჭდვას და შემონახვას. რა თქმა უნდა განმეორება არაა ერთადერთი გზა. ზოგჯერ მოვლენებისა და შინაარსების აღბეჭდვა და შთაბეჭდილებათა შენახვა ხდება ერთხელობრივი განცდის დროსაც. ადამიანისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია შეგნებულად, წინასწარი გეგმისა და სპეციალური ხერხების გამოყენებით დამახსოვრება და ასევე სპეციალური განზრახვის საფუძველზე, გახსენება. ესაა აქტიური ნებისმიერი მეხსიერების გამოვლენა, რაც მხოლოდ ადამიანს ახასიათებს.

შთაბეჭდილებათა მიღება და დამახსოვრება შეიძლება მოხდეს ორგვარი ხერხის გამოყენებით: პირველი, **მექანიკური გზით**, როდესაც ხდება ინფორმაციის ზუსტად ისევე დამახსოვრება, როგორც იგი აღქმაში გვეძლევა; ამ დროს ადგილი აქვს დაზეპირებას პირდაპირ განმეორებათა საშუალებით. მეორე, **ლოგიკური**, ანუ გააზრებული დამახსოვრება, წარმოადგენს გაგების, გააზრების საშუალებით შინაარსის აღბეჭდვას. ამ დროს ადგილი აქვს ლოგიკური, აზრიანი მასალის დამახსოვრებას, მთავარი ყურადღება მიმართულია მოვლენათა შორის კავშირებზე და მათ მნიშვნელობაზე. ამ შემთხვევაში აღქმის მსგავსად, მეხსიერებაშიც ხდება აზროვნების მონაწილეობა, რაც ძალზე აადვილებს და ნაყოფიერს ხდის დამახსოვრების პროცესს.

**შენახვის, ანუ დახსომებულის შენარჩუნების პროცესი** გულისხმობს მიღებული შთაბეჭდილებების შენახვას მეხსიერებაში დროის გარკვეულ მონაკვეთში. შენახვის პროცესი დაკავშირებულია მასალის მნიშვნელობასა და საჭიროებასთან, პიროვნების ინტერესებთან, მის მდგომარეობასთან. შენახვის პროცესის შესწავლა და ახსნა ძალზე ძნელია. მაგრამ სამაგიეროდ უფრო ადვილია მისი საპირისპირო პროცესის—**დავიწყების** შესწავლა, რაც გარკვეულად ხელს უწყობს შენახვის პროცესის გაგებასაც.

**აღდგენის, ანუ გახსენების პროცესი წარმოადგენს შენახული მასალის რეპროდუქციას.** უფრო რეალურად და თვალსაჩინოდ სწორედ ეს პროცესი გვეძლევა. აღდგენის პროცესი მიმდინარეობს უნებლიედ, თავისთავად ან ჩვენი სპეციალური განზრახვით. ამ მეორე ფორმას მოგონებას უწოდებენ და ცალკე შეისწავლება, როგორც მეხსიერების სახე. არსებობს აგრეთვე გახსენების უფრო დაბალი, მარტივი ფორმა — **ცნობის მეხსიერება**. იგი გულისხმობს

საგნის გახსენებას, ცნობას მხოლოდ მისი ცელახალი აღქმის შემთხვევაში; თავისუფალი მეხსიერების სახით ცნობა არ არსებობს.

მეხსიერების ჩამოთვლილი პროცესები სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობენ. ისინი მოცემულია როგორც ცნობიერებაში, ისე მოქმედებაში. **მეხსიერება ძირითადად წარმოდგენების სახით ელინდება.** რაიმეს დახსონება და შემდეგში გახსენება. ნიშნავს შესატყვისი წარმოდგენების აღმოცენებას. **წარმოდგენის სახით ჩვენში ხდება წარსულში აღქმული საგნის თვალსაჩინო ხატის აღდგენა.** წარმოდგენები ისეთი საგნებისა და მოვლენების ხატებია, რომლებიც აღმოცენდებიან ამ საგნების არარსებობის პირობებში. შეგრძნებასთან და აღქმასთან შედარებით. წარმოდგენის ხატი მეორადია. იგი აღქმის ასლია. მაგრამ თავის მხრივ. წარმოდგენები ჩართულია მთელს ფსიქიკაში, ისინი მონაწილეობენ აღქმაშიც. აზროვნებაშიც. ფანტაზიაშიც. ემოციებშიც. წარმოდგენები ცოდნის. უნარის და ჩვევების შინაარსს ქმნიან. ამ „უნივერსალური" ბუნების გამო წარმოდგენები ქმნიან გარდამავალ საფეხურს შეგრძნებიდან და აღქმიდან აზროვნებასა და ფანტაზიაზე.

წარსულში აღქმულის წარმოდგენა შეიძლება იყოს ისეთივე სახის, როგორიც შეგრძნება და აღქმაა. ასე მაგალითად, წარმოდგენები შეიძლება იყოს მხედველობითი. სმენითი. ყნოსვითი. შეხებითი. მოძრაობის და სხვა. სმენითი წარმოდგენები ისე ვანიცდება. თითქოს „შინაგანი მოსმენა" ხდება. მხედველობითი წარმოდგენები კი თითქოს „შინაგანად ვხედავთ".

სინამდვილის მოვლენები ერთმანეთისაგან გათიშულად. ცალცალკე არ არსებობენ ასეთსავე კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან მათი ამსახველი წარმოდგენები. დახსომება და გახსენება ყოველთვის სხვადასხვა წარმოდგენების. აზრების. ერძნობების და ა. შ. კავშირებს ეხლისხმობს, რაც კარგად ვლინდება გახსენების პროცესში. ჩვენს მიერ გახსენებული თითოეული წარმოდგენა დაკავშირებულია სხვასთან იმგვარად. რომ მის გახსენებასაც იწვევს. ყველასათვის ნათელია რადენ ძნელია ცალკეული სიტყვების დახსომება და როგორ ადვილია მათი დახსომება. თუ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია.

## § 3. მეხსიერების სახეები და ტიპები

**დახსომება და გახსენება შეიძლება იყოს უნებლიე, ან ნებისმიერი.** მეხსიერების პროცესების ასეთ სახეებად გაყოფას საფუძვლად

უდევს მათი მიმდინარეობის თავისებურება: ჩვენ განზრახვის გარეშე, თავისთავად გვახსომდება (ან გვახსენდება), თუ სპეციალური განზრახვით, ნებისმიერი გადაწყვეტილების საფუძველზე ვიხსომებთ (ან ვიხსენებთ). პირველ შემთხვევაში ადამიანს არ აქვს გაცნობიერებული მეხსიერების საჭიროება და მისი მიმდინარეობა, მას მიზნად არა აქვს დასახული რაიმეს დახსომება, არ გახსენება. მაგრამ სხვა მიზნისა და მოთხოვნილების საფუძველზე მიმდინარე აქტივობაში მაინც აქვს ადგილი მეხსიერების მოქმედებას. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვახსოვს წარსულიდან ისეთი, რომლის სპეციალური დამახსოვრება არ მოგვიხდენია. **ყველა ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მხოლოდ პასიური, ანუ უნებლიე მეხსიერების გამოვლენას.**

ადამიანის მოქმედებათა მეორე რიგს წარმოადგენს ისეთი მოქმედებანი, რომლებიც სპეციალური განზრახვით დახსომებას საჭიროებენ. ამ მოქმედებებში მეხსიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და იგი წინასწარ მოწესრიგებულ, აქტიურ ხასიათს იძენს. სულ სხვაა მეხსიერების გამოვლენა სწავლაში, ან შრომაში და მეორეს მხრივ თამაშსა და გართობაში. **სწავლა და დასწავლა აქტიურ მეხსიერებას ემყარება, რომელიც ნებისყოფის საფუძველზე მიმდინარეობს.**

მეხსიერების სხვადასხვა საწყებად დაყოფას ახდენენ აგრეთვე იმის მიხედვით, თუ რა მასალასთან გვაქვს საქმე, რას ვიხსომებთ, კერძოდ. ამ მიმართულებით არჩევენ: მოტორულ, ხატოვან, ემოციურ და ვერბალურ მეხსიერებას.

**მოტორული, ანუ მოძრაობითი მეხსიერება** წარმოადგენს მოძრაობის ან მოძრაობათა მთელი სისტემის დახსომებას და გახსენებას. ამ შემთხვევებში მეხსიერების შინაარსში შედის კუნთურ-მოძრაობითი წარმოდგენები. ასეთია ფორმის, სიდიდის, სიჩქარის, მოძრაობის თანმიმდევრობის, ხანგრძლივობის, ტემპის, რიტმის და სხვა კუნთურ-მოტორული წარმოდგენები. ამ სახის მეხსიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის, მოცეკვავის და სხვა პროფესიის წარმომადგენლებისათვის.

**ხატოვანი მეხსიერება** გულისხმობს პეიზაჟებისა და საგანთა სენსორული თვისებების წარმოდგენას. იგი უშუალოდაა დაკავშირებული შეგრძნების მოდალობასთან, განსაკუთრებით კი. მხედველობის ან სმენის შეგრძნებებთან. ასეთი სახის მეხსიერება უმეტესად ახასიათებს მხატვრებს, მუსიკოსებს, მწერლებს და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებს.

**ემოციური მეხსიერება** გულისხმობს ადრე განცდილი გრძნობების აღდგენას; როგორიცაა, მაგალითად, სიხარული, სინანული, შიში, უსიამოვნება და სხვა. მაგრამ ეს ფორმები წმინდა სახით არ არსებობს, ემოციური მეხსიერება მჭიდროდაა დაკავშირებული იმ საგნებთან და შინაარსებთან, რომლებმაც იგი გამოიწვიეს. ემოციური მეხსიერება დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათზე და მის ქცევაზე. მის გარეშე არ არსებობს თანაგრძნობა და სხვა ადამიანის მდგომარეობის განცდა.

**ვერბალური (ლოგიკური) მეხსიერება** გულისხმობს სიტყვებისა და მათში გამოხატული აზრების დამახსოვრებას. ამ სახის მეხსიერება ემყარება სხვა ფორმებს: მაგრამ ამავე დროს, იგი წამყვან და მთავარ სახედ გამოდის ადამიანებში, ცოდნის ათვისების პროცესში მას ეკუთვნის ძირითადი, წამყვანი როლი.

**მეხსიერების განსხვავებულ გამოვლინებებს ადგილი აქვს მათი დროითი მახასიათებლების მიხედვითაც.** ადამიანის მოქმედების პროცესში იმის მიხედვით, რა როლი და მნიშვნელობა ენიჭება მეხსიერებას, იგი სხვადასხვა ხანგრძლივობით იჩენს თავს. დახსომებული მასალის შენარჩუნების ხანგრძლივობის შესაბამისად არჩევენ მეხსიერების უშუალო, გაშუალებულ და ოპერატიულ სახეებს.

**უშუალო მეხსიერება** გულისხმობს აღქმის შეწყვეტის შემდეგ შთაბეჭდილების უშუალო გაგრძელებას წარმოდგენის სახით დროის მცირე მონაკვეთში. ჩვენ მეხსიერების ამ ფორმას მიემართავთ მაშინ, როცა საჭიროა ხანმოკლე პერიოდისათვის დახსომება. ასეთია კარნახით წერა, ტელეფონისტისა და ცნობათა ბიუროს მუშაკის საქმიანობა და სხვა. მეხსიერების ამ ფორმას ხანმოკლე მეხსიერებასაც უწოდებენ. მისთვის ფსიქოლოგიურად ძირითადია ფარული პერიოდის არარსებობა: დახსომებასა და გახსენებას შორის სხვა შინაარსებით დაკავებული დროის მონაკვეთი არ არსებობს; დახსომების პროცესის დამთავრებისთანავე პირდაპირ ხდება დახსომებულის აღდგენა.

**გაშუალებული ანუ ხანგრძლივი მეხსიერება** წარმოადგენს დახსომებული მასალის მეტნაკლებად ხანგრძლივი დროის შემდეგ აღდგენას. მეხსიერებაში აღბეჭდილი შინაარსი შეიძლება გახსენებული და აღდგენილი იქნას თვეების, წლების და ათწლეულების შემდეგაც. უშუალო მეხსიერებისაგან განსხვავებით, აქ აღდგენის პროცესი პირდაპირ არ მოსდევს აღქმას. რეპროდუქციის პროცესი ამ სახის მეხსიერებისათვის შეიძლება იყოს პასიური ანუ უნებლიე — **ასოციაციური მეხსიერება** და აქტიური — **ცოდნა და მოგონება.**

ასოციაციური მეხსიერება გვაქვს მაშინ, როცა ჩვენი აზროვნებისა და ნებისყოფის ჩარევის გარეშე, ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს, მეორე—მესამეს და ა. შ. მეხსიერების ეს ფორმა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ადამიანებში, პასიური მეხსიერების გამოვლენა უმეტესად ამ სახით ხდება. რაც შეეხება მოგონებას, დასწავლასთან ერთად, იგი აქტიური მეხსიერების ძირითად ფორმას შეადგენს და მთელი ადამიანური საქმიანობის აუცილებელი პირობაა; ამიტომ მათი გამოვლენის პროცესებისა და მიმდინარეობის კანონზომიერებათა შესახებ ცალკე პარაგრაფში გვექნება მსჯელობა.

**ოპერატიული მეხსიერება** გულისხმობს მეხსიერების ისეთ პროცესებს, რომლებიც უშუალოდ აქტუალურ მოქმედებებსა და ოპერაციებს ემსახურებიან. იგი ახლოს დგას უშუალო მეხსიერებასთან. მასავით ხანმოკლეა. მაგრამ რამდენიმე ეტაპს მოიცავს და უფრო ოპერატიული. „საქმიანი“ ფორმით ვლინდება. მისი მაგალითს წარმოადგენს არითმეტიკული მოქმედების წარმოება. როდესაც ერთი ეტაპის ოპერაციის შედეგს ვიხსომებთ („5-ს ვწერთ და 3-ს ვინახავთ“), სანამ მეორეს შევასრულებდეთ და ა. შ. ასეთი ოპერატიული ერთეულებით მუშაობა უხდება ბევრი თანამედროვე პროფესიის წარმომადგენლებს.

მეხსიერების ზემოთ განხილულ სახეებში შემავალი პროცესები ყველა ადამიანში ერთნაირად არ მიმდინარეობენ. **მათ განცდაში თავს იჩენს ინდივიდუალური სხვაობები: ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან დახსომების სისწრაფით, სიადვილითა და სიმტკიცით.** ასევე, ზოგი ერთი სახით აღქმულს იხსომებს უკეთ, ზოგი სხვაგვარად აღქმულს. ყოველივე ამის გათვალისწინებით **განასხვავებენ მეხსიერების რამდენიმე ტიპს.**

იმის მიხედვით, თუ რა სახის მასალის დახსომება უფრო ადვილად და ზუსტად ეხერხება ადამიანს, არსებობს მეხსიერების ორი ძირითადი ტიპი: **ობიექტურ-ხატოვანი და სიტყვიერ-ლოგიკური მეხსიერების ტიპი.**

პირველი ტიპის წარმომადგენლები ბევრად უფრო ადვილად იხსომებენ საგნებს, სურათებს, ფერებს, ადამიანების სახეებს და ა. შ. მეორე ტიპისა კი—ადვილად იხსომებენ სიტყვებს, ცნებებს, შინაარსებს, ფორმულებს და სხვა აზრიან მასალებს. მეხსიერების ამ ორი უკიდურესი ტიპის წარმომადგენლებად შეიძლება დავასახელოთ ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწეები. ადამიანები ძირითადად შერეულ ტიპს მიეკუთვნებიან. მაგრამ ერთ-ერთი ამ ტიპის ნიშნები უფრო გამოკვეთილად იჩენს მათში თავს.

მეხსიერების სხვადასხვა ტიპებს გამოყოფენ აგრეთვე, იმის მიხედვით, თუ რა სახით აღქმულს იხსომებს ადამიანი უკეთ. ამის შე საბამისად **არსებობს მხედველობითი, სმენითი და მოტორული მეხსიერების ტიპები.** ზოგი უკეთ იხსომებს თავისი თვალით ნახულს: ამ ტიპის მოსწავლეები უკეთ სწავლობენ, როცა თავისი თვალით კითხულობენ გაკვეთილს; ხოლო ზოგი უკეთ იხსომებს სმენით აღქმისას: ასეთი მოსწავლე როდესაც ხმამაღლა კითხულობს, ან სხვები უკითხავენ, უფრო ადვილად სწავლობს. ზოგი კი—ასეთებია მოტორული ტიპის წარმომადგენლები—უკეთ იხსომებს მაშინ, როცა წაკითხვას ან მოსმენას თან ახლავს მათი სხეულის მოძრაობა (მაგალითად, ხელების ქნევა, სიარული და სხვა). ამ ტიპის წარმომადგენელი ადვილად სწავლობს ცეკვას, ინსტრუმენტზე დაკვრას, სპორტულ ვარჯიშებს და სხვა სახის მოძრაობებს.

ისევე, როგორც მეხსიერების სახეები, წმინდა სახით არც ზემოთ ჩამოთვლილი ტიპები გვხვდება ცხოვრებაში. ადამიანების უმეტესობა შერეულ ტიპს მიეკუთვნება, სადაც წამყვანია ერთ-ერთის ტიპის ნიშნები. თუ რომელი ტიპის ნიშნები ჭარბობს ადამიანში, ეს დიდადაა დამოკიდებული არა მხოლოდ თანდაყოლილ უნარზე, არამედ ვარჯიშზე და შრომისა და ცხოვრების პირობებზე.

## § 4. დასწავლის კანონზომიერებანი

ადამიანის ცხოვრებასა და მოქმედებაში დიდი ადგილი აქვს როგორც უნებლიე, ისე აქტიურ მეხსიერებას. ჩვენ ხშირად ყოველგვარი განზრახვის გარეშე გვახსომდება ბევრი რამ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ვიხსომებთ, მიუხედავად იმისა რომ დახსომება არა გვაქვს ამოცანად დასახული. როდესაც დილით სამსახურში, ან სასწავლებელში მიედინართ ჩვენი მიზანია დროზე მივიდეთ, თან ვფიქრობთ სამსახურის ან სხვა საკითხებზე. ამასთან ერთად, ჩვენ შაინც გვამახსოვრდება გზაში ნახული და განცდილი ცალკეული შემთხვევები, ვინმეს მიერ ნათქვამი შინაარსები. ადამიანისათვის ძირითადი მაინც ნებისმიერი დახსომებაა, რაც გულისხმობს ჩვენი წინასწარი განზრახვით, სპეციალური აქტიურობით რაიმეს დახსომებას და შენახვას მეხსიერებაში. **ასეთი დახსომების ტიპიური ფორმაა დასწავლა,** რაც სპეციალურად ორგანიზებულ მოქმედებას წარმოადგენს; მის გარეშე ცოდნისა და მოქმედების ახალი ფორმების ათვისება შეუძლებელია.

**დასწავლა წარმოადგენს ცოდნისა და ახალი შთაბეჭდილებების დაუფლების პროცესს.** მისი საშუალებით ხდება ახლის განმტკიცება

და დაკავშირება ძველ გამოცდილებასთან. დ. უზნაძე აღნიშნავს, რომ სწავლაში ჩართული მეხსიერების სხვა ფორმები პასიური ხასიათისაა; დასწავლა კი დაქვემდებარებულია ჩვენი განზრახვისადმი და შეგნებულად დასახული მიზნისაკენაა წარმართული. მაშასადამე, დასწავლა დახსომების ნებისმიერი, აქტიური სახეა.

დასწავლა და მეხსიერების სხვა ფორმები სწავლის მიზნებს ახორციელებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სწავლა მეხსიერებაზე დაიყვანება. სწავლა და დასწავლა მთლიანი პიროვნების აქტივობაა და მასში მეხსიერებასთან ერთად მონაწილეობენ სხვა ფსიქიკური პროცესებიც. მეხსიერებასთან ერთად დანარჩენი ფსიქიკური პროცესებიც განაპირობებენ დასწავლის ნაყოფიერებას და დახსომების პროდუქტიულობას, რის მაჩვენებელსაც წარმოადგენს დასწავლის სისწრაფე და სიადვილე, სიზუსტე და სიმტკიცე. რაც უფრო ადვილად, ზუსტად და მტკიცედ (ხანგრძლივი დროისათვის) ვიმახსოვრებთ, მით უფრო მაღალი იქნება დასწავლის ნაყოფიერება და პირიქით.

საკუთრივ დასწავლის ძირითადი კანონზომიერებების განხილვამდე ნაჩვენები უნდა იქნას ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ დასწავლის ნაყოფიერებას.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს **ნებისყოფის, ანუ განზრახვის ფაქტორი.** დასწავლის სისწრაფე და ნაყოფიერება დიდადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად შეუძლია ადამიანს ნებისყოფის დაძაბვა და ყურადღების წარმართვა დასასწავლ მასალაზე; აქვს მას დახსომების განზრახვა, თუ უბრალოდ, მექანიკურად იმეორებს. ცნობილია ასეთი ექსპერიმენტული ფაქტი: ერთ ცდისპირს დაავალეს რამდენჯერმე წაეკითხა ტექსტი და დაეხსომებინა. მან ინსტრუქცია კარგად ვერ გაიგო და მხოლოდ უბრალოდ, დახსომების განზრახვის გარეშე კითხულობდა. ამიტომ იყო, რომ მან მხოლოდ 46-ჯერ წაკითხვის შემდეგ შეძლო ტექსტის აღდგენა. მაშინ, როცა დახსომების ამოცანის არსებობისას ამისათვის 5—6-ჯერ წაკითხვაც საკმარისი აღმოჩნდა.

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს განზრახვის როლს დასწავლის პროცესში. ამასთანავე, რაც უფრო მტკიცეა დასწავლის განზრახვა, მით უფრო მაღალია დასწავლის ნაყოფიერება, მისი სისწრაფეც და სიზუსტეც.

**განზრახვის არსებობა თავს იჩენს აგრეთვე, დახსომების ხანგრძლივობაში,** იმის მიხედვით ხანგრძლივი თუ ხანმოკლე დახსომებისაკენ ვართ მიმართული, შესაბამისად გვამახსოვრდება ნასწავლი;

როდესაც მიზნად გვაქვს ვისწავლოთ გაკვეთილი მეორე დღისათვის, იგი უფრო მალე გვაეიწყდება ვიდრე მაშინ, როცა ვსწავლობთ გამოცდისათვის, ან საერთოდ ცხოვრებაში გამოყენების მიზნით.

დასწავლის წარმატება დიდადაა დამოკიდებული დასასწავლი იგი უფრო მალე გვაეიწყდება ვიდრე მაში, როცა ვსწავლობთ გაკვეთილი ვერ გაიგო, იგი მას ბევრჯერ წაკითხვითაც ვერ ისწავლის. ამიტომ სანამ დახსომებისათვის პირდაპირ განმეორებას შევუდგებოდეთ, ჯერ კარგად უნდა გავიგოთ და გავიაზროთ დასასწავლი მასალა. ამ ფაქტორის მნიშვნელობა გასაგები გახდება თუ გავიხსენებთ ლოგიკური მეხსიერების უპირატესობებს.

**ინტერესი** დიდად უწყობს ხელს დახსომების სისწრაფესა და ხარისხს. როდესაც ჩვენ საინტერესო მასალას ვსწავლობთ, ეს ძალიან აადვილებს დახსომებას; რაც გვაინტერესებს, მისი დახსომება ხდება ძალდატანებლად. გარდა პირდაპირი ინტერესისა, არსებობს არაპირდაპირი, ანუ გაშუალებული ინტერესი. როდესაც დასწავლილი მასალა არ გვიზიდავს და ვერ აღძრავს ჩვენს ინტერესს, მისი დასწავლა ხდება სხვა გარეგანი ინტერესებით. ასეთია, მაგალითად, მასწავლებლის სიყვარული, მშობლების ხათრი ან შიში და სხვა.

ინტერესის ფაქტორის მოქმედებას აძლიერებს ვარჯიში და გამოცდილება: თავისი პროფესიის სფეროში დახსომება ადამიანს უადვილდება იმის გამოც, რომ იგი მიჩნეულია ასეთი მასალის დახსომებას, გავარჯიშებულია ამ მიმართულებით.

დასწავლაზე გავლენას ახდენს **ფიზიოლოგიური და ფიზიკური ფაქტორები**, როგორიცაა დაღლილობის, ჯანმრთელობის მდგომარეობა, დღისა და წლის დრო და ა. შ. მაგრამ ფიზიკური ფაქტორებისათვის უფრო მეტად ანგარიშგასაწევია ადამიანთა შორის ინდივიდუალური განსხვავება. სხვადასხვა ადამიანისათვის დღე-ღამის სხვადასხვა დრო აღმოჩნდა უფრო ნაყოფიერი: ზოგისათვის უმჯობესია დილის საათებში სწავლა და დახსომება, ზოგისათვის კი—საღამოს ან ღამით. საერთოდ კი, დილის საათებში დასწავლის სისწრაფის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ხოლო საღამოს საათებში—დასწავლის სიმტკიცის მაჩვენებელი. ეს იმით აიხსნება, რომ დილით გონება და აზროვნება უფრო თავისუფალი და აქტიურია, საღამოს კი, ძილის გამო, აღკვეთილია სხვა, შემაფერხებელი ზემოქმედება და ნასწავლი ადვილად განმტკიცდება.

**დასწავლის პროცესის სწორი ორგანიზაცია** და მისი რაციონალურად წარმართვა **მოითხოვს დახსომების კანონზომიერებებისა და წესების ცოდნას.** სწავლის პროცესში უნდა ხდებოდეს ფსი-

ქოლოგიური მეცნიერების მიერ დადგენილი წესების დაცვა, რა-საც ემყარება დახსომების წარმატება. დასწავლის დროს, ხდება ჩვენ-ზე მოქმედი გამღიზიანებლებიდან მიღებული შთაბეჭდილებების ერთმანეთთან ასოციაცია. მაგრამ რომელი შთაბეჭდილება იქნება დახსომებული და რომელ წარმოდგენასთან მოხდება შემდეგ მისი ასოციაცია, ეს დამოკიდებულია დასწავლის პროცესისათვის დამახა-სიათებელ კანონზომიერებებზე.

**დასწავლა საჭიროებს გამეორებას.** დასწავლისათვის არაა საკ-მარისი ერთხელ აღქმა; როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, წარმოდგენე-ბის ერთდროული, ან დროში თანმიმდევრული განცდა თავისთავად არ კმარა მათი ასოციაციისათვის და მტკიცედ დახსომებისათვის. რთული და დიდი მასალის დახსომებისათვის საჭიროა მოხდეს მისი წაკითხვა, ან მოსმენა რამდენჯერმე; განმეორება წარმოადგენს დას-წავლის ძირითად გზას. ამბობენ — „განმეორება—ცოდნის დედააო". მაგრამ განმეორება არ უნდა დავუპირისპიროთ დასწავლის ფაქტო-რებს და პირველ რიგში, გაგებას და გააზრებას. იგი მექანიკური პროცესი კი არა, გაგებასთან დაკავშირებული უნდა იყოს: ყოველი ახალი განმეორება გაგების გაღრმავება და მასალის ახალახლი გადა-მუშავება უნდა იყოს. იგი ახლი ცოდნის ელემენტებს უნდა მატებ-დეს დასწავლის პროცესს.

დასწავლის კანონზომიერებანი. მისი წესები, განმეორებათა სწორ ორგანიზაციას ეხება და დასწავლის ხერხებს გვასწავლის; გა-ვეცნოთ მოკლედ დასწავლის ძირითად წესებს.

აღმოჩნდა, რომ დასწავლისათვის **ყოველი განმეორება არაა ერთნაირი მნიშვნელობის,** თითოეულ მათგანს სხვადასხვა წელილი შეაქვს მასალის დახსომებაში. განსაკუთრებით მეტი მნიშვნელობი-საა პირველი განმეორებანი, ხოლო განმეორებათა რიცხვის ზრდას-თან ერთად კლებულობს ცალკეულ განმეორებათა ეფექტი.

დასწავლის წარმატებასა და ხანგრძლივობაზე გარკვეულ გავ-ლენას ახდენს **განმეორებათა დროში განაწილება, ანუ განმეორე-ბათა სიხშირე;** რაც უფრო დიდია განმეორებათა შორის ინტერვა-ლი 20 წუთამდე, მით უფრო მაღალია თითოეული განმეორების ეფექტი. განმეორებათა შორის ინტერვალების სიდიდის მნიშვნელო-ბა თავს იჩენს დასწავლისათვის საჭირო განმეორებათა საერთო რა-ოდენობის შემცირებაში. ყველაზე მოსახერხებელ და საუკეთესო ინტერვალად ითვლება 20-30 წუთი.

აღსანიშნავია, რომ ინტერვალების სიდიდე ყოველთვის ერთ-ნაირი არ შეიძლება იყოს. **მათი ეფექტურობა დიდად იზრდება, თუ**

**განმეორებათა რიცხვის მატებასთან ერთად თანდათან იზრდება ინტერვალის ხანგრძლივობა.** ე. ი. პირველი განმეორებები შეიძლება უფრო ხშირი იყოს, ხოლო შემდეგი განმეორებანი შედარებით მეტი ინტერვალით უნდა ხდებოდეს.

**დასწავლას დიდად უწყობს ხელს აქტიური განმეორება;** როდესაც უბრალოდ კი არ ეკითხულობთ, არამედ დროდადრო ეცდილობთ გახსენებას წაკითხვის გარეშე და როცა ამას ვერ ვახერხებთ მხოლოდ მაშინ ვიხედებით წიგნში. საერთოდ დადგენილია, რომ დახსომება ყოველთვის ადვილად და მტკიცედ ხდება პროცესების აქტივობის პროცესში; ამიტომაა, რომ უფრო ადვილად ვისწავლებთ სიარულისას, პანტომიმიკისა და ჟესტ-მიმიკის თანხლებით და სხვა სახის აქტივობაში. ამავე დროს აქტიური განმეორებით ხდება კონტროლი ცალკეული ადგილების მიმართ და შემდგომი განმეორების დროს მეტ ყურადღებას ვუთმობთ იმ ადგილებს, რომლების აღდგენაც გაგვიჭირდა, ან საერთოდ, ვერ შევძელით.

განმეორებათა ეფექტურობის ამაღლებას, ე. ი. დასწავლისათვის მათი რიცხვის შემცირებას, ხელს უწყობს დასასწავლი მასალის მოცულობის შესაბამისი ფორმების გამონახვა. **როცა მასალის მოცულობა მცირეა, უმჯობესია მისი დასწავლა მთლიანად.** თავიდან ბოლომდე კითხვით. მაგრამ როცა მასალის მოცულობა დიდია, ეს წესი შედარებით ნაკლებ შედეგებს იძლევა. ასეთ პირობებში უნდა მივმართოთ ე. წ. **„პროგრესული დასწავლის“** წესს, რაც შემდეგში მდგომარეობს: დასასწავლი მასალა იყოფა ცალკე ნაწილებად (სტროფებად, გვერდებად და სხვა) და ჯერ ხდება პირველი ნაწილის დასწავლა. შემდეგ მეორე ნაწილის, შემდეგ კი ორივე ნაწილისა ერთად. ამის შემდეგ ვუმატებთ მესამე ნაწილს და ვიმეორებთ მეორე და მესამე ნაწილს ერთად და ა. შ. ასეთი დასწავლის დროს არ ირღვევა თანმიმდევრობა და კავშირები ნაწილებს შორის; რასაც ადგილი აქვს ამ ნაწილების ცალ-ცალკე დასწავლის შემთხვევაში. მაგალითად, ბავშვი ცალ-ცალკე სტროფების სწავლის შემდეგ, ერთი სტროფის დამთავრებისას ისევ იგივე სტროფს იწყებს თავიდან, სტროფის ბოლო და პირველი სიტყვების დაკავშირების გამო.

აღმოჩნდა, რომ **არ არსებობს პირდაპირი პროპორციული დამოკიდებულება** მასალის გადიდებასა და მის დასასწავლად საჭირო განმეორებათა რაოდენობას შორის. ეს უკანასკნელი გაცილებით მეტად იზრდება. ასე მაგალითად, თუ 6 უაზრო სიტყვის დახსომებას ერთი განმეორება ყოფნის, 36 ასეთი სიტყვის დახსომებას

55-ჯერ განმეორება ჰირდება (სიტყვათა რაოდენობა კი მხოლოდ 6-ჯერ გაიზარდა). ეს განსხვავება მცირდება აზრიანი სიტყვების შემთხვევაში 7,5-მდე, მაგრამ მასალის პირდაპირ პროპორციული მაინც არ ხდება.

როგორც უკვე ვიცით, აღქმის თვისებაა მისი მთლიანობა: აღქმის პროცესში მასალა სტრუქტურდება, ჯგუფდება, მთლიანდება და ამის გამო იზრდება ყურადღების მოცულობაც. **დასასწავლი მასალის დაჯგუფება და გამთლიანება** ასევე ადვილებს დახსომებასაც. ჩვენ უფრო ადვილად და უფრო მეტი ციფრების დახსომება შეგვიძლია, როცა ისინი ერთიანდებიან და რიცხვს შეადგენენ. ასევე, განუზომლად იზრდება დახსომებული ასოებისა და მარცვლების რაოდენობა, როცა ისინი გაერთიანებულია დიდ მთელში—სიტყვებსა და წინადადებებში. დახსომების დიდ ეკონომიას იძლევა, ამ წესის თანახმად, ცნებები და ფორმულები. მათი საშუალებით ჩვენ გაცილებით მეტ შინაარსს ვიხსომებთ.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასწავლისათვის საჭირო განმეორებათა მოწესრიგებაში **დასწავლის ბუნებრივი ტემპი**. გამოირკვა, რომ ყველა ადამიანს თავისი დამახასიათებელი ბუნებრივი ტემპი გააჩნია, რასაც უნდა შევუსაბამოთ განმეორებათა ტემპები. ამ ტემპის აჩქარება ისეთივე ზიანის მომტანი იქნება მოცემული სუბიექტისათვის, როგორც შენელება. თავისთავად სწრაფი ტემპის დროს ძნელდება დასწავლილი მასალის გარჩევა და აღქმა, ხოლო ძლიერ ნელი ტემპის დროს ძნელდება მთლიანი მასალის გაცნობიერება და გაგება. საერთოდ უმჯობესია თავიდან ნელი ტემპით დავიწყოთ, შემდეგ კი თანდათან გავზარდოთ იგი.

მასალის სწრაფად დახსომება არაა საკმარისი, აუცილებელია, რომ დახსომება იყოს მტკიცე, ხანგრძლივი დროისათვის გვახსოვდეს ნასწავლი. ამიტომ საჭიროა არ შეეწყვიტოთ გამეორება დასასწავლი მასალის პირველი აღდგენისთანავე. გამეორება კვლავ უნდა გაგრძელდეს, უნდა მოხდეს დასწავლილის შემდგომი განმტკიცება. **ჰიპერფიქსაცია „ჭარბი" განმეორების გზით.**

## § 5. მოგონება და დავიწყება

მეხსიერების ერთ-ერთ მთავარ პროცესს წარმოადგენს გახსენება, ადრე განმტკიცებული ფსიქიკური შინაარსების აქტუალიზაცია. ამ დროს ხდება იმის მოგონება, რაც წარსულში უნებლიედ თუ ნებისმიერად ექნა დახსომებული.

წარსულის ყოველგვარი აღდგენა წარმოადგენს მეხსიერების ტიპიურ პროცესს და შეიძლება მიმდინარეობდეს სხვადასხვა ფორმით. იგი შეიძლება ხდებოდეს, როგორც უნებლიედ, ჩვენი განზრახვის გარეშე, ისე ნებისმიერად, ჩვენი განზრახვის შესაბამისად.

წარსულის აღდგენა პიროვნებისაგან მეტნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს. ზოგჯერ ადვილად გვახსენდება რაიმე, ზოგჯერ კი—ძალზე გვიჭირს. ცნობისა და ასოციაციის შემდეგ უფრო მაღალი ფორმა ესაა მოგონება. როგორც მეხსიერების აქტიური, ნებისმიერი ხასიათის გარეშე, ისე ნებისმიერად, ჩვენი განზრახვის შესაბამისად.

**მოგონება დროსა და სივრცეში ლოკალიზებული ჩვენი წარსული განცდების აღდგენას წარმოადგენს.** იგი ისევე მოითხოვს ფსიქიკური უნარებისა და შესაძლებლობების დაძაბვას, როგორც დასწავლის პროცესი. ნებისმიერ მოგონებას შეიძლება უწყობდეს ხელს ასოციაციები. მაგრამ უფრო ხშირად პირიქით, ნებისმიერი მოგონება ასოციაციით გამოწვეული წარმოდგენის უკუგდებას საჭიროებს. მოგონება შერჩევითი ხასიათისაა. მეხსიერებაში ხდება მხოლოდ იმის აღდგენა, რაც მოცემულ ამოცანას შეესატყვისება. მისი ტიპიური გამოვლენაა გაკვეთილზე, ან გამოცდაზე დასმულ კითხვებზე პასუხის მოფიქრება.

ანსხვავებენ მოგონების ორ სახეს იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება იგი—პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაშუალებულად. მაგალითად, ჩვენ პირდაპირ, „ზეპირად" ვიხსენებთ გამრავლების ტაბულას, ალგებრულ და ტრიგონომეტრიულ ფორმულებს, უცხო ენის სიტყვებს და სხვა. აქ ხდება ცოდნის პირდაპირი აღდგენა და მისი პირდაპირი გამოვლენა. მას თან არ ახლავს რაიმე სხვა შინაარსები.

გაშუალებული მოგონება კი ყოველთვის დაკავშირებულია სუბიექტურ წარსულთან, ისეთ ფაქტებთან, რომლებსაც პიროვნებისათვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ მოგონებას თან ახლავს დროის განცდა, იგი დროის რომელიმე მონაკვეთში მიკუთვნებით ხასიათდება.

რამდენად ზუსტია მოგონება? შეგვიძლია თუ არა განცდილის და ნანახის ზუსტად იგივე სახით აღდგენა?

როგორც სხვა პროცესი, მეხსიერებაც პიროვნებისეული პროცესია და ამიტომ იგი პიროვნების მოთხოვნილებების, ინტერესების, ემოციებისა და პიროვნული თავისებურებების გავლენას განიცდის. მეხსიერება ფოტოგრაფიული სიზუსტით როდი ასახავს და შემოინახავს ყოველივეს; მეხსიერების პროცესში ადგილი აქვს მიღებული შთაბეჭდილებების შეცვლას და გადამუშავებას. მოგონება

არ წარმოგვიდგენს უცვლელი სახით იმას, რაც განცდილი იქნა. **დღეისათვის დადგენილია, რომ სავსებით ზუსტი და ობიექტური მოგონება არ არსებობს.**

მოგონების სიზუსტეზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს **დროის ფაქტორი:** მოგონება მით უფრო ნაკლებ ზუსტია, რაც მეტი დროა გასული დახსომებიდან: დროის ხანგრძლივობის ზრდა იწვევს უფრო მეტ შეცდომებსა და დამახინჯებებს. საბოლოოდ კი—სრულ დავიწყებას.

მოგონების სიზუსტეზე გავლენას ახდენს **შთაგონება,** როდესაც ადამიანს რაიმეს ეკითხებიან წარსულიდან. პასუხი დასმული შეკითხვის შესატყვისად „წესრიგდება", ე. ი. ამ შეკითხვის გავლენით იცვლება შთაგონების გავლენა სხვადასხვა ადამიანებში განსხვავებულია. ზოგი მეტად ემორჩილება მას, ზოგი—ნაკლებად. განსაკუთრებით შთაგონებადია დაბალი ასაკის ბავშვები. მით უმეტეს თუ არაპირდაპირაა დასმული შეკითხვა. მაგალითად, როდესაც ბავშვს უჩვენეს სურათი, რომელზედაც გამოხატული იყო ოთახი ავეჯით და კითხეს: რა ფერის ხალათი ეცვა მაგიდის წინ მჯდომ ბიჭს. იგი შემდეგ თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ სურათზე ბიჭი ეხატა. ხოლო რა ფერის ხალათი ეცვა, ეს არ ახსოვს. სინამდვილეში სურათზე ბიჭი არ ეხატა. მისი წარმოდგენა ბავშვის ცნობიერებაში შთამაგონებელი კითხვის გავლენით გაჩნდა.

მოგონების სიზუსტეზე გავლენას ახდენს **ემოციის ფაქტორიც.** როდესაც ადამიანში ძლიერი გრძნობა გაჩნდება, იგი იწვევს თავის შესატყვისად ფანტაზიის წარმართვას და მეხსიერების შეცვლა-შევსებას ამ წარმოსახული შინაარსებით. მაგალითად, ადამიანი ყოველთვის გაზვიადებულად აღწერს განცდილ საშიშროებას. „აესებს" მას.

დახსომებული მასალის შეცვლა ხშირად ხდება შელამაზების, **ლოგიკურად და ესთეტიკურად გაფორმების ტენდენციის გავლენით.** ადამიანი რაიმე ამბის გადმოცემისას ცდილობს ისე შეავსოს და გააფორმოს გადმოსაცემი ამბავი, რომ იგი გამართული და მსმენელთათვის გასაგები იყოს. ამიტომ იგი უმატებს ზოგიერთ დეტალებსა და განმარტებებს, ცვლის სხვა დეტალებს და ა. შ. ასეთი ხდება ესთეტიკური გაფორმება და გამართვა, რათა უფრო მიმზიდველი და ეფექტური გახდეს სხვებისთვის გადმოცემული მასალა. ცხადია, ასეთი შესწორება და შელამაზება სიზუსტეს უკარგავს მოგონებას.

მოგონების სიზუსტეზე მსჯელობა თავისთავად აყენებს საკითხს დავიწყების შესახებ: დავიწყების გამო ალარ ხდება მოგონება.

მაგრამ **დავიწყება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა**, რომელსაც უარყოფით მხარესთან ერთად გარკვეული დადებითი მნიშვნელობაც აქვს. ადამიანის დახსომების უნარი არაა უსასრულო. ყველაფერს ვერ დაიტევს ადამიანის ცნობიერება. ამიტომ საჭირო ხდება მისი განტვირთვა ზოგიერთი რამისაგან, რათა შესაძლებელი იყოს ახალი, უფრო მეტად საჭირო შინაარსების დახსომება. თავისთავად გასაგებია, რომ ყველაფერის დავიწყება ერთნაირად არ ხდება: პირველ რიგში, ადამიანი იავიწყებს იმას, რასაც ნაკლები მნიშვნელობა აქვს მისთვის, რის მიმართაც მას აღარ გააჩნია ინტერესები.

დავიწყების პროცესი სხვადასხვაგვარად იჩენს თავს. უპირველეს ყოვლისა, ხდება პატარა, წვრილმანი დეტალების სრული დავიწყება. ან წარმოდგენების გაბუნდოვნება.—ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ზუსტად და სრულად მოვიგონოთ ის, რაც დახსომებული გვქონდა. დავიწყება ელინდება, აცრეთვე, არაზუსტი, დამახინჯებული მოგონების სახით, იგი თავს იჩენს მოგონების სიძნელეშიც.

დავიწყების დინამიკა არაა ყოველთვის ერთნაირი; იგი ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს დასწავლისთანავე. შემდეგ კი უფრო ნელდება. მაგრამ ზოგჯერ პირიქით—2-3 დღე-ღამის შემდეგ ჩვენ უკეთ შეგვიძლია გახსენება, ვიდრე დასწავლის დამთავრებისთანავე. ეს პირველ რიგში ითქმის დიდი მოცულობის აზრიანი მასალის შესახებ. ამ მოვლენას **რემინისცენციას** უწოდებენ საქმე იმაში, რომ განმეორების შეწყვეტის შემდეგ ცნობიერების მუშაობა არ წყდება, რამდენიმე ხნის განმავლობაში მიმდინარეობს დასწავლილის განმტკიცება. ასეთი გაძლიერებანი ჩვეულებრივ აღინიშნება ისეთი მასალის დახსომებისას, რომელიც აზროვნების დაძაბულ მუშაობას მოითხოვს. რემინისცენციის მსგავს მოვლენას წარმოადგენს, აგრეთვე როცა საღამოს ვკითხულობთ და ვიმეორებთ, მაგრამ კარგად ვერ ვისწავლეთ. შემდეგ აღმოჩნდება, რომ ღილით უფრო კარგად ვიცით იგი.

დავიწყების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დაცული იქნას შესაბამისი მოთხოვნები, დავიწყებას ნაკლებად ექნება ადგილი, თუ მოხდება დასწავლილის განმტკიცება—„ჭარბი განმეორება", თუ შემდეგაც ვიმეორებთ მასალას დროგამოშვებით; თუ დახსომება ხდება ხანგრძლივი ვადის განზრახვით; თუ პირდაპირ არ ხდება „გადახტომა" ერთი მასალიდან მეორეზე.

# თ ა ვ ი VII

# ა ზ რ ო ვ ნ ე ბ ა

## §1. აზროვნების ზოგადი დახასიათება

აზროვნება სპეციფიკური ადამიანური ფსიქიკური პროცესია. ცხოველებში იგი არ არსებობს, მათში მხოლოდ გონიერი ქცევის პირველ გამოვლინებას აქვს ადგილი და არა ნამდვილ, სიტყვიერ, ლოგიკურ აზროვნებას. ეს უკანასკნელი მხოლოდ ადამიანის კუთვნილებაა, იგი ხანგრძლივი ევოლუციის შედეგია ადამიანში სულის გამოვლენისა.

**აზროვნება შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებს ეკუთვნის, მისი მთავარი ფუნქცია სინამდვილის შეშეცნებაა, მასზე ცოდნის მიღებაა.** აზროვნება აღქმასა და მეხსიერებასთან ერთად შემეცნების ფუნქციას ასრულებს. მაგრამ ამ ზოგადი, საერთო ნიშნის არსებობასთან ერთად, მას გააჩნია თავისი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლებითაც იგი განსხვავდება სხვა, შემეცნების უფრო დაბალი პროცესებისაგან.

აზროვნება სინამდვილის სრულად განსხვავებული მხარეების ასახვაა, მისი ასახვისა და შემეცნების სფერო არსებითად განსხვავებულია აღქმის სფეროსაგან. შეგრძნება და აღქმა წარმოადგენს გრძნობის ორგანოებზე უშუალოდ მომქმედი საგნებისა და მათი გარეგანი, თვალსაჩინო თვისებების ასახვას. **აზროვნება კი ასახავს ამ საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ კავშირებსა და მიმართებებს, იგი საგნის არსებითი ნიშნებისა და თვისებების ასახვას იძლევა.** ასახვის შინაარსის მიხედვით, ნათელია ძირითადი განსხვავება აღქმისა და აზროვნების პროცესებს შორის: აღქმა მხოლოდ ცალკეული კონკრეტული საგნების განცდას წარმოადგენს. **აზროვნება კი ამ საგანთა კავშირებს ასახავს.** ესა აზროვნების ერთერთი ძირითადი თვისება.

როგორც უკვე ითქვა, აღქმა ასახავს იმ საგნებსა და მოვლენებს, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ჩვენზე. აღქმაში ყოველთვის მოცემულია საგანთა თვალსაჩინო, „ხელშესახები“ თვისებები, როგორიცაა ფერი, ფორმა, სიდიდე, მდებარეობა სივრცეში და სხვა. აზროვნება კი ცალკეულ საგანთა კავშირებს ასახავს, იმ დამოკიდებულებას შეიმეცნებს, რომელთა აღქმადა თვალსაჩინო

განცდა შეუძლებელია; ამ კავშირების წვდომა. მიხვედრა შეიძლება და არა უშუალოდ დანახვა. მაგალითად, ჩვენ ალვიქვამთ თოვლის დნობას და მზის სხივებს. მაგრამ აღქმაში არაა მოცემული კავშირი ამ ორ მოვლენას შორის: რომ მზის სითბო თოვლის დნობის მიზეზია. ამას მხოლოდ აზროვნების საფუძველზე ვხვდებით. ასევე, მასწავლებლის მაგიდაზე მოცემული ჟურნალის კავშირი მოსწავლეებთან არაფრით არ ჩანს გარეგნულად. მას ჩვენ აზროვნებით „ვხვდებით". ორივე მაგალითში მოცემულ საგნებს კარგად ხედავენ პატარა ბავშვები და ცხოველები. მაგრამ საგანთა კავშირები მათთვის მიუწვდომელია. საგნებს შორის მიზეზ-შედეგისა და სხვა სახის კავშირებს ჩვენ აზროვნების საშუალებით ვხედავთ. აქედან გამომდინარეობს აზროვნების მეორე ძირითადი თვისებაც, რომ **აზროვნებაში ასახული კავშირები და მიმართებები არათვალსაჩინო ხასიათისაა**; ისინი პირდაპირ არ მოქმედებენ ჩვენი გრძნობის ორგანოებზე და უშუალოდ არ გვეძლევიან.

ამ ორ ძირითად თავისებურებასთან დაკავშირებულია აზროვნების მესამე ძირითადი ნიშანი: **აზროვნება სინამდვილის უფრო ღრმა და უფრო სწორი ასახვაა**, იგი მეტ ცოდნას იძლევა სინამდვილის შესახებ. აღქმაში მოცემულია საგანთა თვალსაჩინო, ზედაპირული თვისებები; მაგრამ ისინი ამ საგანთა არსს, მათთვის დამახასიათებელ არსებით და ძირითად ნიშნებს ვერ გამოხატავენ. აზროვნება სწორედ ამ „დაფარულ" ნიშნებს ასახავს, იგი ამ მთავარ თვისებებს აგნებს საგანთა შორის არსებული კავშირებისა და მიმართებების ასახვის საფუძველზე. ზემოთ მოტანილ მაგალითში მზის მიერ თოვლის დნობის გამოწვევის გაგების საფუძველზე ხდება თვით ამ საგნების უფრო ღრმად შემეცნება: ჩვენ ვიძენთ ცოდნას ერთის მხრივ, მზის შესახებ, რომ იგი სითბოსა და ენერგიის წყაროა და მეორეს მხრივ, თოვლის შესახებ, რომ იგი სითბოს გავლენით წყლად იქცევა. ამ გზით ხდება უფრო ღრმა ცოდნის მიღება საგნების შესახებ, რადგან საგანთა თვისებები მხოლოდ მათ კავშირებში და ურთიერთგავლენაში ვლინდება.

აზროვნების მეოთხე განმასხვავებელ ნიშანს აღქმისაგან წარმოადგენს ის, რომ აღქმა სინამდვილის პირდაპირი და უშუალო ასახვაა, მას სინამდვილესთან პირდაპირი კავშირი აქვს; **აზროვნება კი სინამდვილის გაშუალებული ასახვაა**, იგი უშუალოდ სინამდვილეს კი არ უკავშირდება, არამედ აღქმის მონაცემებს ეყრდნობა. აღქმა პირდაპირ ახდენს საგნებისა და მოვლენების ასახვას, იგი სხვა ფსი-

ჭიკური პროცესების მონაცემებს არ საჭიროებს ჩვეულებრივ პირობებში. აზროვნება კი რადგან ასეთ პირდაპირ კავშირს ვერ ამყარებს სინამდვილის მოვლენებთან, საჭიროებს აღქმისა და წარმოდგენების მიერ მოცემულ მასალას. აზროვნება აღქმის მონაცემების გადამუშავებას ახდენს. ამიტომაც ვამბობთ, რომ აზროვნება აღქმით გაშუალებული ფსიქიკური პროცესია, იგი, გენეტიკურადაც და ლოგიკურადაც, აღქმისა და მეხსიერების შემდგომი პროცესია და მათ გარეშე ვერ იარსებებს.

აზროვნების შემდეგი ძირითადი ნიშანი გვიჩვენებს მის განსხვავებას მეხსიერებისაგან. მეხსიერება წარსულში აღქმულისა და განცდილის რეპროდუქციაა. მისი უცვლელი სახით აღდგენაა. ამ დენად იგი არაფერს ახალს არ იძლევა აღქმასთან შედარებით, იგი არაა პროდუქტული. **აზროვნება კი ახალ ცოდნას გვაძლევს, იგი ახალი ამოცანის გადაწყვეტაა;** იგი ახალი ცოდნის მოპოვებაა და არა არსებულის განმეორება და გახსენება.

ამრიგად, **აზროვნება წარმოადგენს ისეთ ფსიქიკურ პროცესს, რომელიც ახახავს კავშირსა და დამოკიდებულებას მოვლენებს შორის და წყვეტს ახალ ამოცანას.** აზროვნება არ იმეორებს ძველს, იგი ახალი ამოცანის გადაწყვეტას წარმოადგენს და იძლევა ცოდნას სინამდვილის ისეთი მოვლენების შესახებ, რომელთა აღქმა შეუძლებელია. ჩვენ ახროვნების საშუალებით შეგვიძლია იმის შემეცნება, რასაც აღქმა და წარმოდგენა ვერასოდეს მიწვდება. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სინათლის გავრცელების სიჩქარე (300 000 კმ წამში), მაგრამ მისი გაზრება კი შეგვიძლია. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს აზროვნების პროცესების უპირატესობას და სიღრმეს.

აზროვნება **საზოგადოებრივ-ისტორიულ ხასიათს** ატარებს. იგი, როგორც ცნობიერების უმთავრესი ელემენტი, დამოკიდებულია კაცობრიობის განვითარების არსებულ დონეზე. შემეცნება ყოველთვის ეფუძნება წინა თაობების მიერ დაგროვებულ ცოდნა-გამოცდილებას, ახდენს მის შემდგომ განვითარებას და გადაცემას მომავალი თაობისადმი. ამ **სოციალური დანიშნულების გარეშე** აზროვნების არსის გაგება შეუძლებელია. გონებრივი განვითარების პროცესში ხდება არსებული ცოდნის ათვისება, რასაც ეფუძნება შემდეგ კონკრეტული პიროვნების აზროვნება, უფრო მთავარი კი ისაა, რომ აზროვნების გარეშე ვერ მოხდება ცოდნის ათვისება. მაშასადამე, აზროვნების პროცესები აუცილებელია არა მხოლოდ სი-

ნამდვილის ასახვისათვის, არამედ არსებული ცოდნის შეთვისებისათვისაც.

აზროვნების არსის სრული გათვალისწინებისათვის საჭიროა ამოვდიოდეთ მოთხოვნილებათა მატარებელი მთლიანი პიროვნებიდან. აზროვნების პროცესებს პიროვნება წარმართავს და იყენებს, როგორც მეხსიერება კი არ იხსომებს, არამედ პიროვნება — მეხსიერების გამოყენებით, ასევე ფიქრობს და ამოცანებს წყვეტს არა აზროვნება, არამედ პიროვნება. იგი აზროვნებას იყენებს, როგორც იარაღს, საშუალებას, თავისი მიზნების მისაღწევად. აზროვნება, როგორც ასახვის უმაღლესი ფორმა მართავს შემეცნების უფრო დაბალ ფორმებს.

გარემოსთან და ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ჩვენ განუწყვეტლად ვაწყდებით ახალ-ახალ ამოცანებს. ახალ-ახალ მოქმედებებს აზროვნების პროცესების საჭიროებას წარმოშობს ამ ახალი ამოცანების დასმა, ჩვენს წინაშე კითხვის დაყენება. აზროვნება იწყება მაშინ, როდესაც ადამიანის წინაშე რაიმე პრობლემა წამოიჭრება, როცა მოქმედება ძველებურად ვეღარ სრულდება. აზროვნება თავისი ბუნებით აქტიური და მიზანდასახული პროცესია. იგი იწყებს საკითხის, ამოცანის დასმით და მთავრდება მისი გადაწყვეტით. სწორედ ეს უმაღლესი უნარი გარემოსთან შეგუებას ემსახურება. როცა ადამიანი თავისი მოქმედების პროცესში დგება უცხო და უცნობი სიტუაციის წინაშე. აზროვნებამ ეს სიტუაცია უნდა გაარკვიოს. რა არის ეს? რატომ შეფერხდა მოქმედება? როგორ უნდა გავაგრძელოთ იგი? ამ პრობლემების გაცნობიერება და გააზრება ხდება ამოცანის სახით, რომელშიც მოცემულია მიზანი და მოთხოვნა, აგრეთვე საჭირო პირობები და საძიებელი (უცნობი) საკითხები. აზროვნება იწყება პრობლემური სიტუაციის ანალიზით და საძიებელი საკითხის დასმით.

## § 2. აზროვნების სახეები

კაცობრიობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ძირითადად ადამიანისათვის აზროვნების ცნებითი, ანუ ვერბალური (სიტყვიერი) ფორმაა დამახასიათებელი. მაგრამ აზროვნება ზუსტად იმ სახით არ გაჩენილა, როგორც იგი დღეს არსებობს.

აზროვნების აღმოცენება და განვითარება უშუალო კავშირშია ადამიანების პრაქტიკულ მოქმედებასთან, იგი თავდაპირველად პირდაპირ თუ არა პირდაპირ ჩართულია პრაქტიკულ მოქმედებაში; შემ-

დგომ კი თანდათან იძენს აბსტრაქტულ ფორმებს და წმინდა თეორიული, ლოგიკური სახით წარმოგვიდგება.

იმის შესაბამისად თუ რა შინაარსის ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება, აზროვნებაში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა სახე: პრაქტიკული, თვალსაჩინო-ხატოვანი და ლოგიკური.

გენეტიკურად აზროვნების პირველი გამოვლენა უშუალოდ პრაქტიკულ მოქმედებაში იჩენს თავს, სადაც იგი ჯერ არაა დამოუკიდებელი გონებრივი ოპერაცია, რომელიც მოქმედების გარეშე იარსებებდა. აზროვნების ამ ფორმას **პრაქტიკულ აზროვნებას** უწოდებენ. აზროვნებისათვის დამახასიათებელი ამოცანის გადაწყვეტა აქ მხოლოდ უშუალოდ მოქმედებაში ხდება, იგი ჯერ არაა გამოყოფილი აღქმაში მოცემული სიტუაციისაგან.

აზროვნების ეს ფორმა კელერმა აღმოაჩინა ადამიანის მსგავსი მაიმუნების გონიერი ქცევის შესწავლის პროცესში. როგორც ცალკე გამოკვეთილი სახე, პრაქტიკული აზროვნება თანამედროვე ადამიანებში აღარ არსებობს. მაგრამ მისი გამოვლენა სხვა სახეებში ჩართული, შერეული ფორმით მრავალგზის შეიძლება დადასტურებულ იქნას. ამ დებულების სისწორე კარგად ჩანს პრიმიტიული ადამიანებისა და პატარა ბავშვების მაგალითებზე. ადრეულ ასაკში ბავშვი მხოლოდ პრაქტიკული მოქმედების პროცესში ახერხებს ყოველი ახალი გონებრივი ოპერაციის დაუფლებას. იგი ამ გზით იწყებს მოცემული ოპერაციების აზროვნების პლანში შესრულებას. ცნობილია, რომ თვლის ოპერაციას ბავშვი ჩხირებზე, ან სხვა საგნებზე ეუფლება და თავიდან ამის გარეშე, „გონებაში“ თვლა არ შეუძლია. ასევე, პირველყოფილი ხალხების წარმომადგენელს არ შეუძლია ზეპირად დათვლა, მაგრამ საგნების დათვლას, მათი პრაქტიკული მანიპულირების პროცესში, იგი ახერხებს.

ამრიგად, ცხოველთა სამყაროში აღმოცენებული პრაქტიკული აზროვნება თანამედროვე ადამიანისათვის მის საწყის ფორმას წარმოადგენს, რომელიც წინ უსწრებს უფრო მაღალი ფორმების აღმოცენებას. პრაქტიკული აზროვნება დღევანდელი განვითარებული ადამიანისათვისაც დიდ როლს ასრულებს. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სპორტსმენებისათვის, მძღოლების, ოპერატორების, დისპეჩერების და სხვა დარგის წარმომადგენლებისათვის.

აზროვნების ახალ-ახალი ფორმების გაჩენა და საერთო წინსვლა უშუალოდ დაკავშირებულია მოქმედებასთან, პრაქტიკასთან და მეტყველების განვითარებასთან. მეტყველება და აზროვნება ვითარდებიან ისე, რომ ისინი ჩართული არიან მოქმედების პროცესში და მას ემსახურებიან.

პრაქტიკული აზროვნების შემდეგ უფრო მაღალი ფორმა იჩენს თავს, **ესაა სიმბოლური, ანუ ხატოვანი აზროვნება.** იგი უმეტესად დამახასიათებელია პრიმიტივებისა და ბავშვებისათვის. თუმცა ეს ფორმა ყველა ადამიანის აზროვნებაში მონაწილეობს. თვალსაჩინო, ხატოვანი აზროვნება ცილდება პრაქტიკული მოქმედების ფარგლებს, იგი უშუალოდ მოქმედების სახით კი არ გვეძლევა, არამედ წინ უსწრებს ამ მოქმედებას და სიტყვებშია გამოხატული. ამოცანის გადაწყვეტა ხდება ხატებისა და წარმოდგენების გამოყენებით: ცნების როლს აქ კონკრეტული, თვალსაჩინო წარმოდგენები ასრულებენ. სიმბოლური აზროვნება ჯერ ისევ ახლოსაა პრაქტიკულ მოქმედებასთან, მაგრამ აღარაა მასზე მთლიანად მიჯაჭვული: უშუალო აღქმაში მოცემულის მაგიერობას ახლა მათი წარმოდგენები ასრულებენ. ასახვის თვალსაზრისით, ეს დიდი წინსვლაა, იგი აფართოებს და ამრავალფეროვნებს სინამდვილის ასახვის ფარგლებს, ასახავს ეს ფორმა სრულიად ახალ საფეხურს წარმოადგენს. ხატოვანი აზროვნება უკვე ადამიანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური აზროვნებაა. მას თითქმის ყველა ძირითადი თვისება გააჩნია, რაც საერთოდ აზროვნების სპეციფიკაში შედის; გამონაკლისი მხოლოდ ცნებებით ოპერირებაა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ აზროვნების ეს ფორმა უკვე მნიშვნელოვნად უახლოვდება ნამდვილ, ლოგიკურ აზროვნებას, გარეგნულად იგი გავს კიდეც ამ უკანასკნელს. ორივეგან აზროვნება სიტყვებში მიმდინარეობს და წინადადების სახით გვეძლევა. მაგრამ ამ სიტყვების შინაარსი განსხვავებულია ერთმანეთისაგან: ლოგიკური აზროვნების დროს სიტყვაში ზოგადი აზრი, ცნებაა მოცემული, ხოლო ხატოვანი აზროვნების დროს სიტყვებში კონკრეტული წარმოდგენები, თვალსაჩინო ხატები იგულისხმება.

ხატოვანი აზროვნების ბუნება კარგად ჩანს ერთ-ერთი პრიმიტიული ტომის წარმომადგენელთა მეტყველების მაგალითზე. ისინი ერთსა და იგივე ცნებას სხვადასხვა სახელით ასახელებენ. იმის მიხედვით თუ რა კონკრეტული საგანი იგულისხმება მასში მოცემულ ვითარებაში; მაგალითად, ისინი თოვლს 41 სხვადასხვა სიტყვით ასახელებენ, მისი გარეგნული შეხედულების მიხედვით; ხოლო წასვლა სხვადასხვა სიტყვით აღინიშნება იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულებით წასვლასთან გვაქვს საქმე (აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით თუ ჩრდილოეთით); ასევე, ჭამის აღსანიშნავად სხვადასხვა სიტყვა იხმარება, იმის მიხედვით, თუ რის ჭამასთან გვაქვს საქმე და ა. შ. ამ მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ

პრიმიტივები სიტყვაში ცალკეულ, კონკრეტულ საგნებს გულისხმობენ. მათი სიტყვების შინაარსს კონკრეტული საგნების წარმოდგენები შეადგენს და არა საგანთა კლასი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავითარ განზოგადებას არა აქვს ადგილი. სიტყვის გამოყენება თავისთავად უკვე განზოგადებაა. როგორი კონკრეტული საგანიც არ უნდა იგულისხმებოდეს მასში, ხორცის ჭამის ერთი სიტყვით აღნიშვნაც განზოგადებაა: ხორცს ჭამა სულ სხვადასხვანაირად შეიძლება და როცა ყველას ამას მაინც ერთი სახელი ქვია, მაშასადამე, განზოგადება ხდება.

ამრიგად, ხატოვანი აზროვნებაც იყენებს სიტყვებს. მაგრამ ხატოვანი აზროვნება წარმოდგენებით აზროვნებაა და არა ცნებებით, ამიტომ იგი ვერ ასახავს საგანთა არსებით ნიშან-თვისებებს და ვერ ახდენს ნამდვილ განზოგადებას. იგი აზროვნების დაბალ ფორმას წარმოადგენს, რომელიც ერთგვარი გარდამავალია პრაქტიკული აზროვნებიდან ცნებითი, ანუ ლოგიკური (თეორიული) აზროვნებისაკენ.

## § 3. ცნებითი აზროვნება

როგორც უკვე აღინიშნა, **აზროვნების ძირითად ფორმას ნორმალური, განვითარებული ადამიანისათვის წარმოადგენს ლოგიკური, ანუ ცნებითი აზროვნება.** იგი გულისხმობს სინამდვილეში არსებული საგნების არსის და მათი ერთმანეთთან მიმართების ასახვას, რაც სიტყვების საშუალებით გადმოიცემა. მისთვის დამახასიათებელია ცნებით ოპერირება, ცნების გადმოცემა სიტყვის საშუალებით და მსჯელობისა—წინადადებით.

**ცნებითი აზროვნება მისი შინაარსის მიხედვით,** ე. ი. იმის მიხედვით თუ რამდენად სწორი და ჭეშმარიტია ჩვენი მსჯელობა, სპეციალური დისციპლინის—**ლოგიკის შესწავლის საგანია.** ლოგიკა, შინაარსთან ერთად სწავლობს აზროვნების წესებსა და კანონებს. ფსიქოლოგია კი შეისწავლის აზროვნების პროცესს, აზრების აღმოცენებასა და მათი მიმდინარეობის კანონზომიერებებს ადამიანში. იგი აზროვნებას შეისწავლის, როგორც პროცესს, როგორც განცდას.

თეორიული, ანუ ლოგიკური აზროვნება, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების და ადამიანის შესახებ ცოდნის მოპოვებას, ფსიქოლოგიურად ყოველთვის წმინდა სახით როდი გვეძლევა. ძალიან ძნელია საზღვრის გავლება სად გვეძლევა იგი, როგორც ძირითადი და დამოუკიდებელი ფორმა და სადაა არსებითად დაკავშირებული ხა-

ტრვან აზროვნებასთან, ადამიანის პროფესიის თავისებურებათა შესატყვისად. წინა პლანზე ზოგჯერ შეიძლება გამოდიოდეს თვალსაჩინო, ხატოვანი აზროვნება. თუ მეცნიერების წარმომადგენლებთან უშუალოდ თეორიული აზროვნებაა წარმოდგენილი, მწერლების და მხატვრებისათვის წინა პლანზე გამოდის ხატოვანი აზროვნება. სილო ინჟინრებისა და მძღოლებისათვის — პრაქტიკული აზროვნება. სამივე ფორმის ერთიანობის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლენაა ოპერატიული აზროვნება. აქ ყველაზე კარგად ჩანს აზროვნების საბეთა ურთიერთკავშირი და ურთიერთგადასვლა.

ლოგიკური აზროვნება სამ ფორმას მოიცავს. ესენია: ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

**ცნება ისეთი სიტყვაა, რომლის განმარტებაც შეგვიძლია.** აქედან გასაგებია, რომ ყოველი სიტყვა ცნება არაა. თუ სიტყვაში წარმოდგენა, კონკრეტული საგნის ხატი იგულისხმება, იგი არაა ცნება. მაგალითად, როდესაც ბავშვი, ან გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანი ამბობს სიტყვას „ადამიანი“ და მასში გულისხმობს დედას, ძმას, ან სხვა კონკრეტულ პიროვნებას, ეს სიტყვა ცნებად არ ჩაითვლება. სიტყვა „ადამიანი“ მაშინაა ცნება, როცა მასში იგულისხმება ის არსებითი და აუცილებელი ნიშნები, რომლებიც ადამიანს ახასიათებს (გონიერება, იარაღის კეთება, მეტყველება, სოციალურობა). როცა ამ სიტყვის მთქმელს შეუძლია მოგვცეს მისი განმარტება, მაშინ ვამბობთ, რომ მას აქვს ცნება ადამიანის შესახებ. მაშასადამე, **ცნება არის აზრი სინამდვილის საგნების შესახებ; მასში ასახულია საგანთა არსებითი ნიშან-თვისებები.**

ცნება განსხვავებულია აღქმისა და წარმოდგენისაგან იმით, რომ იგი სიგნის არსებითი ნიშნების ცოდნას იძლევა. მასში საგნის ისეთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია ასახული, რომლის გარეშეც ეს საგანი აღარ იქნებოდა ეს საგანი. ადამიანის ცნებაში ნაგულისხმევი ნიშნები რომ უკუვაგდოთ, ადამიანი აღარ დაგვრჩება: ადამიანი არ შეიძლება იყოს ისეთი არსება, რომელსაც არ აქვს გონიერება და მეტყველება, არ შეუძლია იარაღის დამზადება და გამოყენება. ადამიანის აღქმაში ან წარმოდგენაში მოცემული ნიშნების შეცვლით კი ადამიანის უარყოფა არ ხდება: მაღალია იგი, თუ დაბალი; ლამაზი, თუ ულამაზო; თეთრკანიანი თუ შავკანიანი—იგი მაინც ადამიანია. ამ თვალსაჩინო თვისებების შეცვლა ადამიანის, როგორც ასეთის, უარყოფას არ იწვევს.

ცნების ამ დახასიათებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი საგნის არათვალსაჩინო, არა გარეგან ნიშნებს ასახავს. იგი ყოველთვის ისეთი

ცოდნის შემცველია, რომელიც თვალსაჩინოდ არ აღიქმება: ცნება არ გულისხმობს ისეთ რამეს, რაც გრძნობადად, დასანახად იქნება ჰოცემული. ამიტომ ვამბობთ, რომ **ცნება არათვალსაჩინო აზრის მატარებელია.** ეს კარგად ჩანს მისი წარმოდგენასთან და აღქმის ხატთან შედარებისას. წარმოდგენა და ხატი იმას გვაძლევს, რაც პირდაპირ ჩანს, რაც აღიქმება; მათში სხვა რამ არ იგულისხმება. სულ სხვაა ცნების გამომხატველი სიტყვა. სიტყვაში სრულიად განსხვავებული რამ იგულისხმება. ვიდრე თითონ სიტყვის მატერიალური მოცემულობა. მაგალითად, სიტყვა „ადამიანი", როცა იგი ცნებას წარმოადგენს ისეთ რამეს გულისხმობს, რაც არაფრით არ გავს ამ ბგერათა კომპლექსს („ადამიანი").

ამრიგად, **ცნება და სიტყვა სინამდვილის აღნიშნული და განზოგადებული ასახვაა** და არა პირდაპირი, ხატობრივი. მაგრამ ასეთი სპეციფიკურობის აღნიშვნა არ ნიშნავს ცნების მოწყვეტას გრძნობადი სინამდვილისაგან, აღქმის მონაცემებისაგან. გარდა იმისა, რომ ცნების მნიშვნელობა აღქმის მონაცემების საფუძველზე ყალიბდება. აქ მეორეგვარი კავშირიც არსებობს. როგორი ღრმა და წმინდაც არ უნდა იყოს აზრი, იგი ყოველთვის საჭიროებს დასაყრდენს თვალსაჩინოდ. აღქმის სახით მოცემულ მასალას. ასეთად უმეტესად სიტყვები გამოდიან. სიტყვა, როგორც ბგერათა კომპლექსი (მოსმენილი) ან ასოთა კომპლექსი (ჩაწერილი), რაიმე მნიშვნელობის მატარებელია. სწორედ მასში იგულისხმება არათვალსაჩინო აზრი და საგნების არსებითი ნიშნები.

ჩვენ მიერ მოცემული ცნების დახასიათება წარმოადგენს ნამდვილი, მეცნიერული ცნების დახასიათებას. ასეთი ცნება მხოლოდ მეცნიერებაში გვხვდება, ყოველდღიურ მეტყველებაში კი ცნებების მეცნიერული გააზრება არ ხდება. ჯერ ერთი, არასპეციალისტი არ იცნობს ამ ცნების განსაზღვრებას და ამიტომ მისთვის იგი ვერ იქნება ნამდვილი ცნება; მეორეც, ჩვენ ძალიან ბევრ სიტყვებს ვიყენებთ ჩვეულებრივი, საყოფაცხოვრებო და სხვა საგნების აღსანიშნავად, რომელთა ცნებებს საერთოდ არც ერთი მეცნიერება არ ადგენს. მაგალითად, არსად არაა განსაზღვრებული: სკამი, მაგიდა, ჭამა, ჩაცმა, ტანსაცმელი და მისი სახეები და ა. შ.

აღნიშნულ და მსგავს შემთხვევებში ჩვენ ვაზროვნებთ ე. წ. **ყოველდღიური ცნებებით.** ალბათ უფრო სწორი იქნებოდა მათთვის წინამეცნიერული ცნებები, ან ცნების ფუნქციური ეკვივალენტი ვუწოდებინა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენ არა თუ ყოველდღიური ცნებების, არამედ ხშირად მეცნიერული ცნებების გამოყენების დროსაც არ ვახდენთ მათი შინაარსის გაცნობიერებას. ყოველი ცნების ხმარებისას ჩვენ არ ვიხსენებთ მის განმარტებას, ამის გარეშეც სწორად ვიყენებთ მას.

აზროვნების პროცესი განიცდება როგორც მსჯელობა. სადაც ერთმანეთთანაა დაკავშირებული ცნებები. მსჯელობაც სინამდვილის ასახვას წარმოადგენს, მაგრამ იგი საგანთა შორის მიმართებას ასახავს და არა ცალკეულ საგნებს. მსჯელობა ფსიქოლოგიურად განიცდება, როგორც სხვადასხვა ცნებების მიმართება ერთმანეთთან. **მსჯელობაში იგულისხმება საგნისა და მოვლენის შესახებ რაიმეს მტკიცება, ან უარყოფა.** იგი ყოველთვის ორ მომენტს გულისხმობს: სუბიექტს, რის შესახებაც უმსჯელობთ და პრედიკატს, რასაც ვამტკიცებთ ან უარვყოფთ ამ სუბიექტის შესახებ. მაგალითად, მსჯელობაში: „ვარდი წითელია", ვარდი იქნება მსჯელობის სუბიექტი, ხოლო „წითელი"—პრედიკატი; ამით ერთ ცნებას მიეწერება მეორე ცნებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

მსჯელობა ყოველთვის წინადადებების სახით გამოითქმის, მაგრამ ყველა წინადადება არაა მსჯელობა. **ფსიქოლოგიურად მსჯელობისათვის აუცილებელია დარწმუნებულობის განცდა,** მის გამომთქმელს უნდა ჰქონდეს ამ მსჯელობის ჭეშმარიტების, ან მცდარობის, დაჯერების, ან უარყოფის თუ დაეჭვების განცდა. ფსიქოლოგიურად, „ზეპირად" ნათქვამი, ე. ი. მექანიკური განმეორება, არაა მსჯელობა. სწორედ ამიტომ არ ითვლება თუთიყუშის მიერ წინადადებების განმეორება მსჯელობად. ასევე, როცა ბავშვს (ან თუნდაც მოზრდილს) არ აქვს არავითარი დარწმუნებულობის განცდა, მისი ნათქვამი მსჯელობად ვერ ჩაითვლება.

ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად, ან გრამატიკულად მსჯელობის სტრუქტურა სხვადასხვაგვარია. ლოგიკურად და გრამატიკულად აუცილებელია მსჯელობაში იყოს ორი წევრი მაინც; ფსიქოლოგიურად კი მსჯელობა შეიძლება ერთი სიტყვითაც გამოითქვას. მაგალითად, „ჰო", „არა", „წვიმს", „მოდის" და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში ხდება მსჯელობის სხვა წევრთა გულისხმობა: როდესაც გვეკითხებიან—გაიხედე ესა და ეს ხომ არ მოდისო და ვპასუხობთ: „მოდის", აქ იგულისხმება შემდეგი: „ის კაცი, რომელზეც მეკითხებით, მოდის"; „ან „ის კაცი, აგერ მოდის" და ა. შ. ფსიქოლოგიურად ზოგჯერ მსჯელობა უსიტყვოდაც კი გამოითქმის, როცა გვეკითხებიან ვიცით

თუ არა რაიმე მოცემულ მოვლენაზე. ჩვენ შეიძლება თავი დავუქნიოთ თანხმობის ნიშნად. ან გავაქნიოთ უარყოფის ნიშნად; ასევე შეიძლება გამოვიყენოთ თვალის ჩაკვრა და მიმიკა.

ძმაბაადამე. მსჯელობისა და აზროვნებისათვის არაა აუცილებელი გამოთქმა და გარე გამოხატვა. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ აზრობრივი პაუზა. ან დუმილი და თავშეკავება. როგორც დაფიქრება. მსჯელობების საფუძველზე მიმდინარეობს დასკვნის პროცესი. **დასკვნა წარმოადგენს მსჯელობათა შეერთებისა და შედარების გზით ახალი მსჯელობის გამოყვანის პროცესს.** დასკვნის მნიშვნელობა დიდია ეკონომიის თვალსაზრისით: იგი იძლევა ახალ ცოდნას უკვე არსებული ცოდნის საფუძველზე; იგი მსჯელობათა შორის ამყარებს მიმართებას და გამოყავს აქედან ახალი მსჯელობა. ამით დასკვნა გვათავისუფლებს უშუალოდ სინამდვილის საგნებს შორის მიმართებების ძიებისაგან. დასკვნის სახით ჩვენ ვიღებთ ისეთ ცოდნას. რომელიც უშუალო გამოცდილების სახით არასდროს არ გვქონია. მაგალითად, როცა მოცემული გვაქვს ორი მსჯელობა: 1. ყველა ადამიანი მოკვდავია და 2. სოკრატე ადამიანია. — აქედან ჩვენ ვაკეთებთ დასკვნას იმის შესახებ. რომ სოკრატე მოკვდავია. თუმცა უშუალოდ მისი მოკვდავობა არ გვინახავს.

არსებობს დასკვნის სამი სახე: ინდუქცია. დედუქცია და ანალოგიით დასკვნა.

**ინდუქციური დასკვნის** დროს ხდება ცალკეული მოცემული მსჯელობებიდან ზოგადი მსჯელობის გამოყოვანა. ადამიანთა სიკვდილის კერძო შემთხვევების შესახებ გამოთქმული მსჯელობების საფუძველზე („პეტრე მოკვდავია", „ივანე მოკვდავია" და ა. შ.) გამოგვყავს ზოგადი დანასკვი: „ყველა ადამიანი მოკვდავია".

**დედუქციურ მსჯელობაში** მოცემული გვაქვს ზოგადი მსჯელობა და აგრეთვე მსჯელობა რაიმე მოვლენის შესახებ. რომელიც ამ ზოგად მსჯელობაში მოცემულ საგანთა კლასს მიეკუთვნება; აქედან კი ვაკეთებთ დასკვნას ამ კერძო მოვლენის შესახებ. მაგალითად. ვიცით რომ ყველა ადამიანი მოკვდავია და რომ სოკრატე ადამიანია. ამის საფუძველზე ვასკვნით: „სოკრატე მოკვდავია".

**ანალოგიით დასკვნის** შემთხვევაში ხდება ერთი კერძო მოვლენიდან მსგავსების საფუძველზე დანასკვის გამოყოვანა მეორე კერძო მოვლენის შესახებ. ასეთი დასკვნა დაფუძნებულია ორი მოვლენის რამდენიმე მსგავსი ნიშნების არსებობაზე. საიდანაც ვასკვნით. რომ მათ მსგავსება ახასიათებთ ახალი. საძიებელი თვისების მიხედვითაც.

მაგალითად, ვინაიდან მარსის ზედაპირი დიდად გავს დედამიწისას; კერძოდ, მათ აქვთ რამდენიმე საერთო ნიშანი, შეიძლება დავასკვნათ, რომ მარსზეც, დედამიწის მსგავსად, არსებობს ცოცხალი ორგანიზმები. ანალოგიური დასკვნის გზით მიღებული ახალი ცოდნა ნაკლებად სარწმუნოა და იგი დამატებით შემოწმებას საჭიროებს.

## § 4. აზროვნების ოპერაციები

აზროვნებისათვის მასალას გრძნობადი შემეცნება, აღქმა და წარმოდგენა იძლევა. აზროვნება ახდენს გრძნობადი შინაარსების გადამუშავებას და ცნების დონემდე ატანას. აღქმისა და წარმოდგენების ასეთ გადამუშავებას ჭირდება შესაბამისი პროცესებისა და ოპერაციების განხორციელება. აზროვნების პროცესში ხდება ისეთი ოპერაციების გამოყენება, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ლოგიკურ აზროვნებას და ცნების შემუშავებას.

გრძნობადი მონაცემების გონებრივი გადამუშავება ხდება აზროვნების შემდეგი ოპერაციების გამოყენებით: ანალიზი, აბსტრაქცია, სინთეზი, განზოგადება, შედარება, კონკრეტიზაცია, კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია.

**ანალიზი წარმოადგენს მთლიან ობიექტში ცალკეული მხარეების, ნაწილების, თვისებების და ა. შ. გამოყოფას.** ანალიზის დროს ჩვენ სინამდვილეში, პრაქტიკულად კი არ ვყოფთ მთელს ნაწილებად, არამედ ამ ინტელექტუალური ოპერაციის გამოყენებით, აღქმული მთლიანის ნაწილების გააზრება ხდება ცალ-ცალკე. ასე, მაგალითად, მთლიანი ადამიანის აღქმიდან გამოვყოფთ ტანს, თავს, თვალებს, ხელებს, ყურებს და ა. შ. და ვმსჯელობთ მათზე ცალ-ცალკე. აქ ვლინდება აზროვნების უპირატესობა, უშუალოდ მოცემულს და შესაძლებელს ხდის მის სხვადასხვა მხარეებზე იზოლირებულად მსჯელობას მაშინ, როცა ისინი რეალურად ცალ-ცალკე არ არსებობენ. აზროვნებითი ანალიზი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ყოველი საგნისა და მოქმედების მიმართ.

როდესაც საგნისა და მოვლენის ანალიზს მოვახდენთ, შემდეგ შესაძლებელია მოვახდინოთ ერთი თვისების **განყენება/ აბსტრაქცია.** აბსტრაქციის დროს ჩვენ ისე ვმსჯელობთ მთლიანი საგნიდან გამოყოფილი ნაწილის, თვისების ან დამოკიდებულების შესახებ, რომ მხედველობაში არ ვიღებთ მთლიან საგანსა და მის დანარჩენ მხარეებს. ჩვენ ცალკეული ადამიანებისაგან ვახდენთ მათი ყურადღების, ან სხვა ფსიქიკური პროცესის აბსტრაქციას და ვმსჯელობთ მასზე

ცალკე: ანდა საგნებიდან გამოვყოფთ მათ ფორმას (მაგალითად, ოთხკუთხედი) და ვმსჯელობთ მასზე ისე, რომ ყოველ წუთს არ ვითვალისწინებთ რა საგნებისა და თვისებებისაგან გამოვაცალკევეთ იგი.

აბსტრაქციის პროცესში დიდ როლს თამაშობს სიტყვა. იგი ხელს უწყობს საგნის თვისების განყენებას, ახდენს მის აღნიშვნას და შესაძლებელს ხდის მასზე მსჯელობას.

ანალიზის საპირისპირო პროცესს წარმოადგენს **სინთეზი, რომელიც ახდენს საგანთა თვისებებისა და ნაწილების გაერთიანებას.** სინთეზის ოპერაცია ანალიზისა და აბსტრაქციის საფუძველზე მიმდინარეობს. მისი განხორციელებისათვის საჭიროა ჯერ გამოყოფა და განყენება, შემდეგ კი ხდება გაანალიზებული. გამოყოფილი ნაწილების გაერთიანება ახალი მთლიანობის სახით. სინთეზის გზით ვიღებთ სრულიად ახალ აზრს. წიგნის კითხვის დროს ხდება ასოების ბეერთება და სიტყვების მიღება; შემდეგ სიტყვები სინთეზირდებიან წინადადებებში. ხოლო ეს უკანასკნელნი ერთიანდებიან და რაიმე დასრულებულ აზრს გვაძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ ანალიზი და სინთეზი საპირისპირო ოპერაციებია, ისინი იზოლირებულად არ არსებობენ, ისინი აზროვნების ერთიანი პროცესის სხვადასხვა მომენტებია.

აზროვნების ყველაზე ძირითად ოპერაციას წარმოადგენს განზოგადება. იგი ემყარება ზემოთ განხილულ ოპერაციებს. **განზოგადება წარმოადგენს სინამდვილეში არსებული საგნებიდან და მოვლენებიდან მათი საერთო ნიშნების გამოყოფას და გაერთიანებას.**

განზოგადება გულისხმობს საგნებიდან ცალკეული თვისებების გამოყოფას და ამ თვისებების მიხედვით საგნების შედარებას. როდესაც აღმოჩნდება, რომ რომელიმე ნიშანი, თუ თვისება საერთოა ყველა მოცემული საგნებისათვის, ხდება მისი განზოგადება. მაგალითად, როდესაც მოხდება რამდენიმე ვარდის შედარება, აღმოჩნდება, რომ ყველა ვარდისათვის საერთო, ზოგადი ნიშანი ყოფილა ეკლის ქონება.

განზოგადების პროცესისათვის აუცილებელია სიტყვა. სიტყვით უნდა იქნეს აღნიშნული, დაჭერილი ის ზოგადი, რაც სხვადასხვა საგნებისათვისაა დამახასიათებელი. რეალურად ზოგადი მხოლოდ კონკრეტულ საგნებში არსებობს და სიტყვით უნდა მოხდეს ამ ცალკეული საგნებიდან გამოყოფილი ზოგადის ფიქსაცია, აღნიშვნა, რასაც შემდგომ ცნების შექმნამდე მივყავართ.

განზოგადება განაპირობებს აზროვნების მაღალ შემეცნებით ღირებულებას; იგი საფუძვლად ედება აზროვნების იმ ძირითად

თვისებებს, რომლებშიც კარგად ჩანს აზროვნების უპირატესობა; მაგრამ განზოგადება ცალკე არ არსებობს. იგი ანალიზის, აბსტრაქციის, სინთეზის და სხვა ოპერაციებთან არის დაკავშირებული. ყველა ეს ოპერაცია ერთად მონაწილეობს აზროვნების პროცესის მიმდინარეობაში.

**შედარების ოპერაცია** მიმდინარეობს ანალიზისა და სინთეზის ერთიანობის საფუძველზე. შემეცნების პროცესში ხდება სხვადასხვა ნაწილებისა და კომპონენტის შედარება; ამის საფუძველზე ხდება ცალკეული ობიექტების ისეთი მნიშვნელოვანი ურთიერთობის დადგენა, როგორიცაა **მსგავსება და განსხვავება.**

**კონკრეტიზაცია** წარმოადგენს განყენებული და ზოგადი ნიშნებიდან სინამდვილის კონკრეტულ მოვლენებზე გადასვლას. იგი აბსტრაქციის პროცესის საპირისპიროა და მასთან ერთად ხელს უწყობს სინამდვილის სწორ ასახვას.

**კლასიფიკაცია** წარმოადგენს საგნებისა და ობიექტების დაყოფას ჯგუფებად მათთვის დამახასიათებელი საერთო, ზოგადი და აუცილებელი ნიშან-თვისებების მიხედვით. ასეთი დაყოფა და შემდგომ დაჯგუფება კლასებად ხდება უფრო ზოგად, გეაროვნულ ცნებებში შეტანით. კლასიფიკაცია შემეცნებას და ახალი ცოდნის მიღებას ემსახურება საგანთა გარკვეული კლასისადმი მიკუთვნებით ვიძენთ ცოდნას მოცემული მოვლენისა და შესაბამისი კლასების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

**სისტემატიზაცია** წარმოადგენს სიგნებისა და მოვლენების მოწესრიგებას, დასისტემებას, შესაბამისი კლასებისათვის დამახასიათებელი კავშირების მიხედვით. იგი განაპირობებს ობიექტური სინამდვილის მოვლენების შემეცნებას რეალურად არსებული სისტემების სახით. მის საფუძველზე ხდება სინამდვილის უფრო ღრმა ასახვა. დაფარული შინაგანი კავშირების მიგნება და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

## § 6. აზროვნება და მეტყველება

სულის გამოვლინებებისათვის დამახასიათებელია კავშირი მეტყველებასთან; ესაა ერთ-ერთი ძირითადი თვისება. რითაც ადამიანის ფსიქიკა განსხვავდება ცხოველთა ფსიქიკისაგან. ეს თვისება უფრო კონკრეტული სახით ვლინდება აზროვნებაში. ცხოველისათვის დამახასიათებელია მხოლოდ თვალსაჩინო-პრაქტიკული სახის აზროვნება; მისი აზროვნება ვერ ცილდება უშუალოდ მოცემულ სიტუაციას. თეორიული და განყენებული აზროვნება მხოლოდ ენისა და

მეტყველების საშუალებით მიმდინარეობს. მხოლოდ სიტყვების გარჩენის შემდეგ ღებულობს აზროვნება ასეთ სახეს. ამიტომაა ლოგიკური აზროვნება ვერბალური (სიტყვიერი) აზროვნება.

ასევე ითქმის მეტყველების შესახებაც. არც ის არსებობს აზროვნების გარეშე. მეტყველება აღმოცენდა ადამიანთა კოლექტიური შრომის პროცესში. როგორც მათი დამაკავშირებელი, მათი ურთიერთგაგების საშუალება; მეტყველების გარეშე ადამიანები ვერ მიაღწევენ ერთმანეთისათვის აზრის გაზიარებას.

მეტყველების მთავარ ფუნქციას სწორედ აზრების ურთიერთგაზიარება შეადგენს, აქედან ცხადია **მეტყველებისა და აზროვნების განუყოფელი კავშირი:** განყენებული, ლოგიკური აზროვნება და მეტყველება ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ.

მეტყველებისა და აზროვნების განუყოფელობაზე. მათ ერთიანობაზე მიუთითებს ორი მთავარი ფაქტი: რომ მეტყველება ადამიანთა აზრების ურთიერთგაზიარების საშუალებაა და რომ მეტყველება წარმოადგენს აზროვნების იარაღს. ადამიანი უპირატესად ენის საშუალებით აზროვნებს. ჩვენ სხვაგვარად, თუ არა ენის გამოყენებით, აზროვნება არ შეგვიძლია. ჩვენი აზრები ყოველთვის სიტყვებსა და წინადადებებში ყალიბდება. ადამიანი ყოველთვის რომელიმე ენის საშუალებით აზროვნებს. იმით, რომელიც მის მშობლიურ ენას წარმოადგენს, ან რომელსაც ძალიან კარგადაა იგი დაუფლებული. როდესაც ჩვენ ვფიქრობთ და ვაზროვნებთ რაიმე საკითხზე, ამას მხოლოდ სიტყვების საშუალებით ვახერხებთ. საკმარისია დავაკვირდეთ ჩვენს აზრებს და ადვილად აღმოვაჩენთ, რომ ისინი სიტყვებშია მოცემული. მიუხედავად იმისა, ჩვენ ხმამაღლა ვამოვთქვამთ მათ, თუ ჩვენთვის უხმოდ ვაზროვნებთ.

მეორე მთავარ მაჩვენებელს ენისა და აზროვნების ერთიანობისა წარმოადგენს ის, რომ მეტყველება აზროვნების გარეშე, გარეშე რაიმე აზრის გამოხატვისა. ალარაა მეტყველება. სიტყვა, თუ რაიმე აზრს არ გამოხატავს იგი, არ წარმოადგენს სიტყვას, იგი მხოლოდ უაზრო ბგერებია, ფიზიკური რიგის მოვლენაა.

მაგრამ როგორი მჭიდრო კავშირიც არ უნდა იყოს აზროვნებასა და მეტყველებას შორის, ეს არ ნიშნავს მათ იგივეობას: მეტყველება და აზროვნება არაა ერთი და იგივე: **აზროვნება მეტყველებაზე არ დაიყვანება.** ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ერთი და იგივე აზრის სხვადასხვა ენაზე გამოთქმის შესაძლებლობა: მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები იცვლება, აზრი იგივე რჩება. ე. ი. აზრი გამოიხატება სიტყვაში, მაგრამ რომელში, ეს არაა სრული აუცი-

ლებლობით განსაზღვრული. ამით ჩანს, რომ აზროვნება ვერ დაიყვანება მეტყველებაზე: ზოგჯერ ადამიანები ამბობენ, რომ სიტყვებს ვერ ნახულობენ აზრის გამოსათქმელად. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს აზრების არსებობას ენის გარეშე. საქმე ისაა, რომ ადამიანს უჭირს ხმამაღლა, სიტყვებში გამოთქვას ის აზრი, რაც თავისთვის შედარებით ბუნდოვნად მაგრამ მაინც გააზრებული აქვს.

აზროვნების პროცესის მიმდინარეობისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება **შინაგან მეტყველებას**, ანუ როგორც ხშირად უწოდებენ, უხმოდ მეტყველებას. იგი ისე მიმდინარეობს, რომ გარეთ არ გამოიხატება, მისი არც დანახვა შეიძლება (წერითი მეტყველებასავით) და არც მოსმენა (ზეპირი მეტყველების მგსავსად). თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არავითარი მოძრაობები არ ახლავს თან.

შინაგანი მეტყველება მოკლებულია სხვისთვის აზრის გადაცემის, რაიმეს გაგებინების ფუნქციას. იგი არავისზე არაა მიმართული. ამ დროს ადამიანი თავისთვის აზროვნებს, ანუ როგორც ამბობენ თავისთვის ფიქრობს. აქედან გამომდინარეობს შინაგანი მეტყველების თავისებურება. რომ იგი არასრული, შემოკლებული მეტყველებაა. შინაგანი მეტყველების დროს ადგილი აქვს წინადადების ცალკეულ წევრთა გამოტოვებას და სიტყვების დაბოლოებების არარსებობას. მაგრამ აზრი მაინც საკმაოდ გასაგებია.

შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი მეტყველება თვით აზროვნების პროცესს წარმოადგენს და არა მის გამოსახვას, როგორც ლაპარაკის ან წერის დროს ხდება. ამიტომ არის რომ შინაგანი მეტყველება ჩვეულებრივ გვხვდება არა მხოლოდ დამოუკიდებელი სახით, არამედ მას ადგილი აქვს წერითი და ზეპირი მეტყველების დროსაც. მისი საშუალებით ხდება აზრების დასრულება და ჩამოყალიბება. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ აზრების ჩამოყალიბება შინაგანი მეტყველების საშუალებით მიმდინარეობს, იგი წარმოადგენს აზროვნების უშუალო სინამდვილეს, მის მატერიალურ გამოხატულებას.

შინაგანი მეტყველებისა და საერთოდ აზროვნებისა და მეტყველების ერთიანობა განსაკუთრებით იჩენს თავს ცნების დაუფლების პროცესში. **ცნებათა ჩამოყალიბება და მათი შინაარსის ცვალებადობა ისტორიული პროცესია;** ცნების შინაარსი და ცნებათა სისტემები იქმნება კაცობრიობის ისტორიული განვითარების საფუძველზე. გარემოსთან ურთიერთობის და შრომის პროცესში ადამიანები აღმოაჩენენ საგანთა ახალახალ თვისებებს, იძენენ უფ-

ო და **უფრო ღრმა ცოდნას. ასეთი გზით დაგროვებული გამოცდი-**

ლების საფუძველზე თანდათანობით ხდება ახალი ცნებების ჩამოყალიბება და უკვე არსებული ცნებების შინაარსის დაზუსტება: ხშირად ხდება ცნების შინაარსის არსებითი ცვლილებაც კი. როგორც ეს მოხდა ატომის (როგორც უმცირესი, დაუშლელი ელემენტის) ცნების თანამედროვე გაგებაში.

**ადამიანის ინდივიდუალური განვითარების პროცესში,** განსხვავებით საზოგადოების განვითარების ზემოთ ნაჩვენები გზისა, **ხდება არა საერთოდ ახალი, არამედ საზოგადოებაში არსებული ცნებების ათვისება.** ბავშვი თანდათანობით ეუფლება უკვე არსებულ, მზა ცნებებს. ივი არ იმეორებს მათი მიღწევის და დაგროვების იმ რთულ და ხანგრძლივ გზას, რაც კაცობრიობამ განვლო.

სიტყვა და ცნება წარმოადგენს ცოდნის გადაცემის ძირითად საშუალებას სწავლა-აღზრდის პროცესში. მაგრამ ცოდნის ათვისება არაა მისი გადატანის მექანიკური პროცესი: ახალი ცნებების ათვისება ბავშვისაგან მოითხოვს გონებრივი უნარების გააქტიურებას, აზროვნების ოპერაციების გამოყენებას. განსაკუთრებულ დაძაბვას მოითხოვს მეცნიერული ცნებების დაუფლება, რაც სასკოლო სწავლების გზით მიმდინარეობს. ხოლო ე. წ. ყოველდღიური ცნებების დაუფლება სპეციალური სწავლების გარეშეც ხდება: ივი მიმდინარეობს პირადი გამოცდილების დაგროვებისა და ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის საფუძველზე.

# თ ა ვ ი VIII

# წარმოსახვა ანუ ფანტაზია

## § 1. წარმოსახვა და მისი ნაკადები

ადამიანი შრომისა და ყოველგვარი საქმიანობის პროცესში ეყრდნობა აღქმის, მეხსიერებისა და აზროვნების მონაცემებს. ჩვენ აღვიქვამთ საჭირო საგნებს, ვიხსენებთ წარსულში აღქმულ მოვლენებს, ავსახავთ მიმართებებს და ემსჯელობთ მათ შესაბამისად. მაგრამ ადამიანის შრომა, სწავლა და განსაკუთრებით შემოქმედება მოითხოვს ისეთი მოვლენებისა და კავშირების წარმოდგენას, რომლებიც არც აწმყოშია მოცემული და არც წარსულში გვინახავს.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დაინტერესებულია რაც შეიძლება ზუსტად ასახოს გარე სინამდვილე და არ დაშორდეს მას, ზოგჯერ მაინც საჭიროა აღუქმელის, განუცდელის წარმოდგენაც. ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს ისეთი რამ, რაც მის განცდაში არ ყოფილა და შეიძლება არც არსებობს საერთოდ. ამის შესაძლებლობას არც აღქმა და მეხსიერება და არც აზროვნება არ იძლევა. ამისათვის ცალკე, სპეციფიკური უნარი — **წარმოსახვის პროცესია აუცილებელი.**

როდესაც ადამიანი რაიმე საგანს აკეთებს, მაგალითად, თლის უბრალო ნივთს, მან ჯერ უნდა წარმოიდგინოს, „დაინახოს" წინასწარ ის, რასაც შემდეგ გააკეთებს. ყოველგვარი შრომის პროცესი წარმოადგენს მიზანდასაიულ მოქმედებას, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასწარ უნდა გვქონდეს არა მხოლოდ გააზრებული, არამედ თვალსაჩინო სახით წარმოდგენილი შრომის პროდუქტი, შრომის საბოლოო შედეგი. მით უმეტეს, რომ ზოგჯერ ისეთ რამეს ვქმნით, რაც საერთოდ არ ყოფილა აქამდე გაკეთებული, ან ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ გვინახავს. მაშასადამე, აუცილებელია ასეთ შემთხვევებში საგნების წინასწარ წარმოდგენა, მათი წინასწარ „დანახვა", სანამ ისინი შეიქმნებოდეს და აღქმა მოხდებოდეს.

კარგად ჩანს ასეთი წარმოდგენის საჭიროება მაღალ კლასებში სწავლის დროს, აქ ძირითადად სწავლება თვალსაჩინოების გარეშე, სიტყვიერ სფეროში მიმდინარეობს და რამდენი ისეთი რამის წარმოდგენა ჰირდება მოსწავლეს, რაც არასდროს არ უნახავს. მაგალითად, მას არ უნახავს ზღვისა და ოკეანის ფსკერი, რომლის შესახებაც მსჯელობს სხვადასხვა საგნებში. ასევე, არ უნახავს წარსული

ისტორიული მოვლენები, მრავალი გეოგრაფიული ადგილები, ელექტრომუხტების და მოლეკულების მოძრაობა და სხვა მრავალი. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ მოვლენების წარმოდგენა, სიტყვიერი აღწერის საფუძველზე. კიდევ უფრო მეტია ასეთი „წარმოსადგენი" საგნები და მოვლენები მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

როგორც უკვე ითქვა, ასეთი წარმოდგენების უნარს წარმოსახვას უწოდებენ. **წარმოსახვა ანუ ფანტაზია ეწოდება ახალი, სუბიექტის მიერ ჯერ არ განცდილი მოვლენების წარმოდგენას.** იგი აღქმისა და მეხსიერების საფუძველზე არსებობს, მათი მონაცემების გამოყენებით ქმნის ახალ წარმოდგენებს.

ფანტაზია ადამიანის სპეციფიკურ უნარს წარმოადგენს. იგი ცხოველებს არ გააჩნიათ. ცხოველები შეზღუდული არიან წარსულითა და აწმყოთი, მათ არ შეუძლიათ მომავლის განცდა.

წარმოსახვის ძირითადი სპეციფიკა ნათლად გვიჩვენებს მის კავშირს არა მხოლოდ აღქმასა და მეხსიერებასთან, არამედ აზროვნებასთანაც. ისიც, აზროვნების მსგავსად, მომავლის წარმოდგენაა, ისიც აღმოცენდება პრობლემურ სიტუაციაში და ახალი ამოცანის გადაწყვეტაში მონაწილეობს. მაგრამ თუ აზროვნებაში წინასწარი ასახვა მოცემულია ცნებებისა და განზოგადების სახით, წარმოსახვა ასეთ წინასწარ ასახვას იძლევა ცოცხალი, ნათელი კონკრეტული წარმოდგენების სახით. რეალურად ჩვენ ეს პროცესები გამიჯნულად და განსხვავებულად ყოველთვის როდი გვეძლევა, რაც ისევ და ისევ ფსიქიკური პროცესების კავშირსა და ერთიანობაზე მიუთითებს.

როგორც უკვე ვიცით, აღქმას საფუძვლად უდევს ჩვენზე მომქმედი საგნების მიერ გამოწვეული შეგრძნების პროცესები. მეხსიერება კი ემყარება წარსულში განხორციელებულ აღქმას. იგი წარსულში აღქმულისა და განცდილის ხელახალი განცდაა. ორივე ამ პროცესის საფუძველზე მიმდინარეობს აზროვნების პროცესები. მაშინ საკითხავია ახალი, უნახავი საგნების წარმოდგენა რაღას ემყარება, რის საფუძველზე აღმოცენდება იგი?

ფანტაზია არა მხოლოდ არ ნახული საგნების წარმოსახვას, არამედ რეალურად არ არსებული საგნების წარმოდგენასაც გულისხმობს: მაგრამ ჩვენ რომ რომელიმე ფანტაზიის წარმოდგენა გავაანალიზოთ, ვნახავთ, რომ მასში არაფერია ისეთი, რომლის ელემენტები ჩვენ არ გვენახოს და არ განგვეცადოს. მასში შემავალი ცალკეული ნაწილები წარსულში არ გვჭონდეს აღქმული. მაგალითისათვის გავაანალიზოთ ზღვის ფსკერის წარმოდგენა: იგი აგებულია ისეთი საგნების შთაბეჭდილებათა საფუძველზე, როგორიცაა წყალი,

ქვიშა და ქვები, თევზები და სხვა წყლის ცხოველები? წყალმცენარეები და უჰაერობა. რომელი მათგანია ჩვენთვის უცხო? ცხადია, არც ერთი! ჩვენ ყველა ისინი უამრავჯერ გვინახია და გაგვიხსენებია.

**3 მაშასადამე, წარმოსახვისათვის მასალას ჩვენი აღქმის მონაცემები, ჩვენს მიერ წარსულში მიღებული შთაბეჭდილებები იძლევა;** ფანტაზია ყოველთვის იყენებს იმ შთაბეჭდილებებს, რაც ჩვენ ოდესმე მიგვიღია. მაგრამ განსხვავებით მეხსიერებისაგან, რომელიც მეტნაკლებად ადეკვატურად აღადგენს წარსულს იმ სახით, როგორც ჩვენ იგი განგვიცდია, წარმოსახვა გულისხმობს აღქმის მონაცემების გადამუშავებას და სრულიად ახალი წარმოდგენის შექმნას. სხვაგვარად წარმოსახვის პროცესის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. აქვე გათვალისწინებული უნდა იქნას ერთი გარემოება. ზოგჯერ ყოველდღიურ მეტყველებაში ერთმანეთში ურევენ ფანტაზიას და ფანტასტიკას. სინამდვილეში ეს სიტყვები სინონიმები არ არიან. ფანტაზია გაცილებით ფართო ცნებაა და იგი მოიცავს როგორც ფანტასტიკური (არარსებული) მოვლენების წარმოდგენას, ისე რეალურად არსებული, ან მომავალში შესაქმნელი საგნების წარმოდგენას.

წარმოსახვის პროცესში ხდება ადამიანის გამოცდილებიდან აღებული მასალის გადამუშავება. აქაც მსგავსად აზროვნებისა, ხდება სხვადასხვა ოპერაციების გამოყენებით სენსორული მასალის გადამუშავება, ახალ კომბინაციებში ჩართვა და ამ გზით ახალი, ჯერ არ ნახული წარმოდგენების შექმნა.

პირველ რიგში, **ფანტაზიის პროცესებში ხდება მთლიანი წარმოდგენის დაშლა, ანალიზი,** თვალსაჩინო მთლიანის გაანალიზება და აბსტრაქცია. მაგალითად, ზღვის ფსკერის შემთხვევაში ჩვენ წარმოვიდგენთ ბალახებსა და პატარა მცენარეებს მიწისა და თავისუფალი ზედაპირის გარეშე. წარმოსახვის პროცესში შემდეგ ადგილი აქვს **თვალსაჩინო აბსტრაქციას:** ადამიანი გამოყოფს მთლიანი საგნიდან მის რომელიმე თვალსაჩინო, არადამოუკიდებელ თვისებას და წარმოიდგენს ცალკე. შემდეგ კი საგნებიდან გამოყოფილ თვისებას და ნაწილს ვაერთიანებთ ერთ მთელში. ვახორციელებთ **სინთეზის ოპერაციას.** ამ გზით მიიღება ახალი წარმოდგენა, რომელიც ემყარება ჩვენი აღქმის მონაცემებს. მაგრამ ახალ კომბინაციაში გვაძლევს მათ. ჩვენს მიერ მოტანილ ზღვის ფსკერის მაგალითში სწორედ ასეთი კაერთიანება ხდება. ჩვენი ფანტაზია ერთ მთლიან წარმოდგენაში გვაძლევს იმას, რაც ჩვენ ცალ-ცალკე, ან სხვა მთელში გვინახავს.

წარმოსახვის ოპერაციები თვალსაჩინო სახისაა და არა აზრობრივი. წარმოსახვის ასეთი ოპერაციების გამოყენებით შეიქმნა უხი-

ლავი. საზღაპრო საგნებისა და მოვლენების სახეები ფოლკლორში (ფერია, ჭაჭი, დევი, მფრინავი ხალიჩა, ალი და სხვა). ასეთივე გზით იქმნება ხელოვნების ახალი ნაწარმოები. ფანტაზიის წარმოდგენების განცდაში ვეყრდნობით იმას, რაც ჩვენ წარსულში აღგვიქვამს და განგვიცდია, რაც ჩვენ ცხოვრებაში, წიგნებში, კინო-თეატრში, მუზეუმებში, მოგზაურობისას და სხვაგან გვინახავს და მოგვისმენია. ამის გარეშე არაფრის წარმოსახვა არ შეიძლება. ამიტომაა, რომ დაბადებიდან ბრმებს ფერადი საგნების წარმოდგენა არ შეუძლიათ, ხოლო დაბადებით ყრუებს არასდროს არ ჰქონიათ ბგერისა და მუსიკალური მელოდიის წარმოდგენა.

## § 2. წარმოსახვის სახეები და ადამიანის მოქმედება

მსგავსად ყურადღებისა და მეხსიერებისა, აღმოცენებს მიზეზებისა და თავისებურებების შესაბამისად განსხვავებენ ფანტაზიის ორ სახეს; **უნებლიე ანუ პასიურ და ნებისმიერ, ანუ აქტიურ ფანტაზიას. უნებლიე წარმოსახვის პროცესში** ადამიანი პასიურ მდგომარეობაში იმყოფება, მას მიზნად არა აქვს დასახული წარმოდგენების შექმნა, მათი აღმოცენება და ახალ-ახალი კომბინაციების შექმნა ხდება ცნობიერების კონტროლის გარეშე; ადამიანი არ იღებს სპეციალურ ღონისძიებებს არც მათი შექმნისათვის და არც მათი აღკვეთისათვის.

**აქტიური ფანტაზია გულისხმობს წარმოდგენების მიზანდასახულად შექმნას.** ადამიანი აქტიურია, მობილიზებულია, იგი ყველა საშუალებას ხმარობს წარმოსახვის პროცესის განსახორციელებლად, იგი თავისი მოქმედებებიდან გამომდინარე ამოცანების შესატყვისად ქმნის ფანტაზიის წარმოდგენებს. ასეთი აქტიური ფანტაზია იწყება ბავშვის შემოქმედებითი, როლებიანი თამაშიდან, იგი გაივლის სწავლისა და შრომის პროცესებს და თავის უმაღლეს დონეს—შემოქმედებით ფანტაზიას აღწევს.

მაგრამ ფანტაზიის ეს სახეები მხოლოდ შემოქმედებითს პროცესებში როდი მონაწილეობენ. ფანტაზია მონაწილეობს ადამიანის ყოველგვარ საქმიანობაში, იგი დაკავშირებულია ადამიანის ყოველგვარ მოქმედებასთან, ფანტაზია მონაწილეობს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობაშიც: იქნება ეს ტანსაცმლის ჩაცმა, თუ მაგიდის გაწყობა, ხვნა-თესვა, თუ ოთახის დალაგება. თუმცა ყველაზე მეტად ფანტაზია საჭიროა მხატვრულ შემოქმედებაში და აქაა

მისი გამოვლენის ძირითადი ასპარეზი. მაგრამ მისი მონაწილეობის გარეშე არც ადამიანის სხვა მოქმედებები მიმდინარეობენ.

ფანტაზია აუცილებელია ყველა პრაქტიკული მოქმედებისათვის, მათ შორის, სწავლისთვისაც. მართალია, აქ არ ხდება შემოქმედებითი ფანტაზიისათვის დამახასიათებელი სრულიად ახალი რაიმეს შექმნა. მაგრამ ეს წარმოდგენები ახალია მოსწავლისათვის. სულ სხვაა ახალი მანქანის. თუ დაზგის გამოგონება. მისი წარმოდგენა კონსტრუქტორის მიერ და ამ მანქანის წარმოდგენა ნახაზისა და ახსნა-განმარტებების გზით, რომელსაც გამომგონებელი იძლევა: მაგრამ სუბიექტისათვის ორივე შემთხვევაში ახალი. ყველ არნახული წარმოდგენის განცდას აქვს ადგილი.

ადვილია იმის გათვალისწინება თუ რამდენად ჭირდებათ ფანტაზია მეცნიერებსა და გამომგონებელ-კონსტრუქტორებს. მაგრამ ყველაზე მეტად მისი საჭიროება მაინც ხელოვნებაში. მხატვრულ შემოქმედებაში ვლინდება. ხელოვნის მიზანს წარმოადგენს ახალი სახეებისა და ხატების შექმნა. მწერალი. მხატვარი. მუსიკოსი. მსახიობი—ყველა ცდილობს ცოცხალი სახით წარმოგვიდგინოს თავისი ჩანაფიქრი.

როგორც უკვე ვნახეთ. რა სახითაც არ უნდა გამოიყენებოდეს ფანტაზია. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მის მოწყვეტას რეალობისაგან. ხელოვნის შემოქმედება ყოველთვის მისი გარემო პირობებით. მოცემული სინამდვილითა და პირადი გამოცდილებითაა განპირობებული. **დიდ შემოქმედებას დიდი ცოდნა და შრომა ჭირდება.** ცნობილი მწერლებისა და ხელოვნების სხვა დარგის მოღვაწეთა მაგალითები გვიჩვენებს. თუ რაოდენ დიდი შრომაა საჭირო მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

მხატვრული შემოქმედების ძირითად მომენტს წარმოადგენს სინამდვილიდან აღებული მასალისა და საკუთარი შთაბეჭდილებების საფუძველზე აღმოცენებული ჩანაფიქრის. იდეის თვალსაჩინო სახით გადმოცემა. ამის გარეშე კი მხატვრული ნაწარმოები არ იქმნება. ხელოვნება გულისხმობს ახალი წარმოდგენების გამოწვევას მსმენელსა თუ მნახველში. ფანტაზია ეხმარება ხელოვანს შესაფერისი მხატვრული სახეების მონახვაში. რომლებიც მისაწვდომი იქნება სხვებისათვის.

ამიტომ ვამბობთ. რომ შემოქმედების პროცესში ფანტაზიას განსაკუთრებული როლი ეკუთვნის. სწავლის პროცესში ძირითადი მაინც მეხსიერება და აზროვნებაა, ხოლო შრომის პროცესში უპირველესი ადგილი ნებისყოფასა და აზროვნებას ეკუთვნის. რაც შე-

ეხება შემოქმედებასა და თამაშს. აქ წარმოსახვაა ძირითადი ფსიქიკური პროცესი. ძირითადი. მაგრამ არა ერთადერთი! რადგან ყველა სახის მოქმედებაში ყველა ფსიქიკური პროცესია საჭირო. შემოქმედება არა საერთოდ ახლის წარმოსახვას გულისხმობს, არამედ იგი გაცილებით მეტს გვაძლევს ჯერ ერთი. რეალურად. მატერიალურად იქმნება ახალი, ორიგინალური პროდუქტი და მეორეც, მას საზოგადოებრივი დანიშნულება და ღირებულება აქვს. ხელოვანი ან სხვა დარგის წარმომადგენელი თავის იდეას, ჩანაფიქრს აძლევს საგნის სახეს. მისაწვდომს და გამოსაყენებელს ხდის სხვებისათვის. ასე მიიღება მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლენი. ასე იქმნება ახალი ლიტერატურული. მუსიკალური და სხვა სახის ნაწარმოებები.

შემოქმედებითი აქტივობის ძნელ და რთულ გზაზე მრავალი მოქმედება და მისი ცალკეული ეტაპი უნდა განხორციელდეს. ყველა ეტაპზე. სადაც კი სიახლის მიგნებაა საჭირო. აქტიურად მონაწილეობს ფანტაზია. მისი მონაწილეობა იმდენად დიდია, რომ ზოგი ავტორი შემოქმედებას პირდაპირ ფანტაზიის გამოვლენად თვლის და არა მოქმედების ცალკე ფორმად.

სწავლა-აღზრდის პროცესში ფანტაზიის მონაწილეობა აუცილებელია არა მხოლოდ მოსწავლის მხრით, არამედ მასწავლებლის მხრითაც. პედაგოგი. მსგავსად გამომგონებლისა და ხელოვანისა. წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს და წარმოიდგენდეს ვის ზრდის. მან უნდა წარმოისახოს რეალური სახით მომავალი მოქალაქის პიროვნება და ამის შესაბამისად მართოს მისი ჩამოყალიბების პროცესი. ახალი ადამიანის აღზრდა ისევე მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას, როგორც ყოველგვარი ახლის შექმნა. ამიტომ აიგივებენ პედაგოგობას ხელოვნებასთან: აღზრდა ხელოვნება უფროა, ვიდრე წინასწარ ზუსტად და შაბლონურად დაგეგმილი საქმიანობა.

ფანტაზიის მონაწილეობა სხვადასხვა მოქმედებაში იწვევს მის ცვლილებას: იგი ვითარდება ადამიანის მოქმედების პროცესში. პრაქტიკისა და საჭიროების გაგლენით ხდება ფანტაზიის უნარის შემდგომი განვითარება და გაფართოება, იგი სულ ახალ-ახალ სფეროებში იწყებს აქტიურ მონაწილეობას. ამიტომ პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ფანტაზიის განვითარების ამოცანებიც ბავშვის აღზრდის პროცესში. წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა საჭიროა ადრეული ბავშვობიდანვე; სკოლამდელი ასაკიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის ფანტაზიის განვითარებას. ამ მოქმედებაში ბავშვების ჩაბმა და სწორი ხელმძღვანელობა ამზადებს

მათ წარმოსახვის უნარს სწავლისა და შრომისათვის. ამზადებს ბავშვს აქტიური ცხოვრებისათვის.

## § 3. სიზმარი და ოცნება

ზემოთ განხილული ადამიანის მოქმედების ფორმების მიხედვით ფანტაზიის გამოვლენა ძირითადად მის ნებისმიერ ფორმებს მიეკუთვნება. ასეთივე. შედარებით უპირატესი ფორმით. ადამიანის მოქმედებებში თავს იჩენს უნებლიე ფანტაზიაც. თუმცა ხშირად პირდაპირი. დამოუკიდებელი სახით იგი არც კი განიცდება: ფანტაზიის უნებლიე მონაწილეობა ხდება სინამდვილის ასახვისა და შემეცნების პროცესებში: აღქმაში. მეხსიერებაში. აზროვნებაში. პასიურ წარმოსახვას ადგილი აქვს ისეთ პირობებშიც. როცა ადამიანი უმოქმედო, საერთოდ პასიურ მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ მდგომარეობაში ჩვენდაუნებურად იწყება ფანტაზიის ამოქმედება. წარმოვისახავთ ჩვენს მომავალს. ძირითადად სასურველ ამბებს. საერთოდ ამ დროს ადამიანზე იტყვიან ხოლმე „ოცნებამ წაიღოო". კიდევ უფრო პასიურ მდგომარეობაშია ადამიანი სიზმრების განცდისას. როცა მისი აქტივობა სრულიად აღკვეთილია ძილის გამო.

**აღქმის პროცესში ფანტაზიის გამოვლენა** უმეტესად თავს იჩენს აღქმის არახელსაყრელი პირობების გამო. როდესაც კარგად ვერ ვხედავთ კინოფილმის ან ტელეგადაცემის კადრს. ჩვენი ფანტაზია ავსებს „ცარიელ" ადგილებს; ასევე ვავსებთ ჩვენი წარმოსახვის ჩარევით ფრაზას. რომელიც ბოლომდე ვერ მოვისმინეთ: ხდება წაკითხულ ნაწარმოებში აღწერილი სიტუაციების. გმირების და მოქმედებების თვალსაჩინოდ წარმოდგენა აღქმის ილუზიების დროსაც. ჩვენი განწყობის და მოლოდინის გავლენით იცვლება აღქმის შინაარსი. ყველა ამ შემთხვევაში ფანტაზიის ჩარევა და გამოვლენა ხდება უნებლიედ. ისე რომ ჩვენ ამას ვერც ვამჩნევთ.

**მეხსიერების პროცესებში ფანტაზიის გამოვლენა** უმეტესად მოგონებაში ხდება. როგორც ვიცით აბსოლუტურად ზუსტი მოგონება არ არსებობს ხშირად ეს ხდება იმის გამო. რომ ადამიანი „იგონებს" იმას. რაც სინამდვილეში არ ყოფილა და რაც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია.

**აზროვნების პროცესებში ფანტაზიის მონაწილეობა** უფრო აუცილებელ ხასიათს ატარებს და უფრო თავისუფლადაც მიმდინარეობს. წარმოსახვის წარმოდგენებში ამ დროს მოცემულია მომავალი. ჯერ არ მომხდარი და ამიტომ იგი უფრო ნათლად და სრულად აუ-

ლენს ფანტაზიის ბუნებას, რის შესახებაც ჩვენ უკვე ვნახეთ აზროვნებისა და წარმოსახვის კავშირი განხილვის დროს.

**თავისუფალი სახით უნებლიე ფანტაზია გამოვლინდება სიზმარსა და ოცნებაში.** სადაც იგი დამხმარე და დაქვემდებარებული კი არაა, არამედ დამოუკიდებელი, თავისთავადი შინაარსების სახით გვეძლევა.

**სიზმარში ადგილი აქვს ფანტაზიის სრულიად თავისუფალ გამოვლენას, მის მოქმედებას მოხსნილი აქვს ყოველგვარი შეზღუდვა და კონტროლი.** თუ ჩვეულებრივ, სიფხიზლის მდგომარეობაში, ადამიანი კონტროლს უწევს თავისი წარმოსახვის მოქმედებას და წარმოსახულ შინაარსებს არ იღებს ნამდვილად, რეალურად არსებულად, სიზმარში წარმოსახვას სწორედ ეს აკლია: მასში ადამიანი სინამდვილედ განიცდის ფანტაზიის წარმოდგენებს.

სიზმირის წარმოდგენებისათვის დარღვეულია სინამდვილის კანონზომიერებანი, რაც უცნაურ, საოცარი შინაარსების წარმოშობას განაპირობებს. აქ შეიძლება ყოველგვარი კავშირი დამყარდეს წარმოდგენას შორის და ისეთი მოვლენები იქნეს განცდილი, რომლებიც სინამდვილეში ყოვლად შეუძლებელია. მაგალითად, სიზმარში ვნახულობთ გარდაცვლილ ადამიანებს, დავფრინავთ ჰაერში უთვითმფრინავოდ, ვხედავთ მოლაპარაკე ცხოველებს, ვახდენთ რაიმე დიდ, საგმირო საქმეებს და ა. შ.

სიზმრის წარმოდგენებშიც ვლინდება ფანტაზიის ძირითადი კანონზომიერება. ჩვენს მიერ წარსულში განცდილი საგნებისა და მოვლენების ახლებური კომბინაციებით წარმოდგენა. ჩვენ ყველას გვინახავს ლაპარაკიც და ცხოველიც და აი, სიზმარში ხდება ამ ორი მოვლენის დაკავშირება; სიზმარს ყოველგვარი კავშირების დამყარება შეუძლია. მას არ აინტერესებს შეესატყვისება თუ არა ეს სინამდვილეში არსებულ კავშირებს. რაც შეეხება წარმოდგენებისათვის საჭირო მასალებს, აქაც იგივე ჩვენი გამოცდილება, ჩვენი წარსული შთაბეჭდილებები, გამოიყენება, რომელიც შემონახულია ცნობიერებაში. ამას კარგად გვიჩვენებს სიზმრის სენსორული შინაარსების ანალიზი. როგორც სიფხიზლეში, აქაც ყველაზე მეტად გვხვდება მხედველობითი წარმოდგენები, მათი რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ზოგჯერ სიზმარი მხოლოდ მხედველობით ფენომენად მიაჩნიათ. აშკარაა, რომ მხედველობასთან ერთად მოცემულია სხვა მოდალობის შეგრძნებებიც. ვის არ მოუსმენია სიზმარში მუსიკა, სიმღერა, ლაპარაკი და სხვადასხვა ხმა.

სიზმრის შინაარსებში შედის აზროვნების მონაცემებიც, ახალი აზრის განცდა. არის სიზმარში ახალი იდეის და საკითხის გადაწყვეტის შემთხვევებიც. მათ შორის მათემატიკური ამოცანების ამოხსნისაც კი. სიზმარში ჩვენ განვიცდით გრძნობებსა და ემოციებსაც. ვის არ გამოყოლია გაღვიძებისას სიზმრისეული სიამოვნების განცდა ან კოშმარული სიზმრებით გამოწვეული უსიამოვნება და შიში.

ყველა ამ შემთხვევაში წარმოდგენების შინაარსები მოცემულია ახლებურ კომბინაციებში, შეცვლილ და ზოგჯერ სრულიად უცნაურ ფორმაში. წარმოსახვის ძირითადი ოპერაციების საშუალებით ხდება რეალური მასალის გადამუშავება ძილის დროს ჩვენდა უნებურად, ჩვენი კონტროლის გარეშე.

ამდენად, **სიზმარში ნახული უცნაურობანი განპირობებულია ფანტაზიის თავისუფალი, უკონტროლო მოქმედებით და ადამიანის წარსული გამოცდილებით.**

სულ სხვა საკითხია, რატომ ნახულობს ადამიანი კონკრეტულად, მაინცდამაინც ასეთი შინაარსის სიზმრებს, რა წარმართავს, რა განაპირობებს ამ შინაარსების გაჩენას? რა კავშირია სიზმრის შინაარსსა და ადამიანის რეალურ ცხოვრებას შორის? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე არ შეიძლება ნათელი გახდეს ფანტაზიის წარმოდგენების მექანიზმი და აღმძვრელი ბიძგი.

სიზმრის შინაარსების ახსნისათვის აუცილებელია ამოვიდეთ მთლიანი პიროვნებიდან, რეალური, კონკრეტული მომქმედი ადამიანიდან. ფანტაზიის თავისუფალი მოქმედება არ ნიშნავს იმას, რომ იგი სულ არაა დამოკიდებული მის განმცდელ პიროვნებაზე. თუ რა წარმოდგენები გაჩნდება და როგორ წარიმართება სიზმრის შინაარსი, ეს დამოკიდებულია ადამიანის მდგომარეობაზე, მის განწყობაზე, მასში არსებულ, ხშირად დაფარულ, მოთხოვნილებებზე; სიზმრის შინაარსში ყოველთვის აისახება ის, თუ რა მიზნები და სურვილები აქვს ადამიანს, რა ახარებს და რა აწუხებს მას, როგორია მისი ჯანმრთელობა და საერთო მდგომარეობა, ვისთან რა დამოკიდებულებაშია, ან როგორ დამოკიდებულებაში უნდა იყოს და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გასაგებია თუ რატომ ნახულობენ ახალგაზრდები და ბავშვები უფრო მეტად ოპტიმისტურ და მხიარულ სიზმრებს, მოხუცები და ხანგრძლივად ავადმყოფები კი პესიმისტურ და უსიამოვნო შინაარსის სიზმრებს; თუ რატომ იცვლება სიზმრის შინაარსების მიმართულება ცალკეული ადამიანის მდგომარეობის ცვლილების შესატყვისად. ამის მაგალითად ხანგრძლივი ავადმყოფო-

ბის და ძლიერი სულიერი ტრამვის დროს აღმოცენებული სიზმრებიც იკმარებდა. მაჯრამ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვიჭირს მოვნახოთ ის მიზეზები და მექანიზმი. რამაც გამოიწვია ამა თუ იმ შინაარსის სიზმრის განცდა. ამის გაკეთება შესაძლებელია ძილისა და სიზმრის შესახებ მეცნიერული ცოდნის დაუფლებით. როცა ვიცით ძილის დროს ცნობიერების თავისებურებანი და მოცემული პიროვნების ინტერესები, სურვილები, მოთხოვნილებანი, ტენდენციები და ზრახვები (იმის ვათვალისწინებით, რომ ისინი ყოველთვის აშკარად არ ჩანს, ზოგი მათგანი განდევნილია, დაფარულია პიროვნების მიერ), ჩვენთვის გასაგები გახდება სიზმრის მოცემული შინაარსი, როგორი უცნაური არ უნდა იყოს იგი.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ძილის დროს მიუხედავად უკიდურესი პასიური მდგომარეობისა, როცა აღარ გვაინტერესებს რა ხდება ჩვენს ირგვლივ, როცა „ზურგს ვაქცევთ სინამდვილეს" (დ. უზნაძე), მაინც არაა გაწყვეტილი მთლიანად კავშირი გარე სინამდვილესთან. გარეგანი გამღიზიანებლები და შინაგანი ფაქტორები (არა რეალიზებული და განდევნილი მოთხოვნილებანი) მაინც აგრძელებენ თავიანთ ზემოქმედებას. ამას ემატება ისიც, რომ ძილის დროს თავის ტვინის ქერქის შეკავება არაა აბსოლუტური. მართალია, შეკავება ძირითადად მოიცავს ნერვულ უჯრედებს, მაგრამ ცალკეული კერები და არეები „ფხიზელ" მდგომარეობას ინარჩუნებენ. სწორედ ამ კერების გაღიზიანებას ახდენს გარეგანი ზემოქმედება, რაც განაპირობებს მათში მიმდინარე აგზნების შესაბამისი შინაარსის განცდების აღმოცენებას.

სიზმრის შინაარსების აღმოცენებისათვის ასეთი ფიზიოლოგიური საფუძვლების არსებობას კარგად ადასტურებს ე. წ. **ხელოვნური, ექსპერიმენტული სიზმრების ფაქტი**. ცნობილია, რომ მძინარე ადამიანზე სუსტი სინათლის ზემოქმედება მასში აღძრავს სიზმრებს, რომელთა შინაარსი დაკავშირებულია ცეცხლის, ძლიერი შუქისა და სხვა ასეთის არსებობასთან. ასევე, შესაბამისი შინაარსის სიზმრების აღმოცენება ხდება მუსიკის, სიმღერის და ლაპარაკის ზემოქმედებისას, ან ცივი თუ თბილი საგნის შეხებისას და სხვა. დამახასიათებელია, რომ თუ ასეთი ზემოქმედებანი ძლიერი იქნა, ან მან ხანგრძლივი და წყვეტილი ხასიათი მიიღო, ადამიანი იღვიძებს და იწყებს მათ ნორმალურ განცდას. ეს ფაქტი გარემოსთან მიზანშეწონილი ურთიერთობის მაჩვენებელია: საჭირო შემთხვევაში თავისუფალი ფანტაზიის მოქმედება აღიკვეთება და რეალობის შესატყვისი განცდა აღმოცენდება.

**ოცნება პასიური წარმოსახვის ძირითადი ფორმაა.** თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არსებობს აქტიური ოცნებაც. ისიც ადამიანის პასიურ მდგომარეობაში ყოფნის დროს აღმოცენდება. მაგრამ არა ისეთ უკიდურეს პასიურ მდგომარეობაში, როგორიც ძილია. ოცნების დროს ჩვენ არ გვძინავს, მაგრამ გარემო სინამდვილისაგან მაინც გამოთიშული ვართ და არაფერს ვაქცევთ ყურადღებას; ასეთ პასიურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, შეუმჩნეველად, თავისდაუნებურად იწყებს ოცნებას.

ოცნების დროსაც ჩვენი ფანტაზია ქმნის წარმოდგენების საბით ისეთ ამბებს, რაც სინამდვილეში არ ყოფილა. მაგრამ იგი შემოქმედებისაგან განსხვავებით მხოლოდ სურვილებს ეფუძნება. ჩვენ მხოლოდ მასზე ვოცნებობთ, რაც გვსურს და გვინდა; მეორეც, ოცნება არ იძლევა რაიმე საზოგადოებრივი ღირებულების პროდუქტს. მიუხედავად ამისა, ოცნება მაინც მონაწილეობს შემოქმედებით მოღვაწეობაში: ხშირად რაიმე დიდი საქმე ოცნებაში ჩაისახება.

ოცნება აწმყოსა და წარსულს ცილდება და მომავალ ამბებს და მომავალ მოქმედებებს წარმოგვიდგენს. იგი ყოველთვის მომავალზეა მიმართული. ოცნებაში ადამიანი უმეტესად მისთვის სანატრელ და სასურველ მომავალს ხედავს. თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი ოცნებაში თვალსაჩინოდ წარმოიდგენს იმას, რაც მას აშინებს, რასაც ელოდება. თუმცა არ უნდა, რომ ეს მოხდეს. ასეთია მახლობელი ადამიანის სიკვდილის მოლოდინი, რაიმე წამოწყებული საქმის ჩაშლის შიში, ვინმესთან დამარცხების მოლოდინი და სხვა. ყველა ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს კოშმარული სიზმრების მსგავს მოელენასთან და ერთიც და მეორეც აიხსნება მოცემული პირობებით და პიროვნების შესაბამისი მდგომარეობით. აქ ბალიან დიდ როლს თამაშობს პიროვნული თავისებურებანი: საერთოდ პესიმისტურად განწყობილი ადამიანისათვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი არასასურველი შინაარსის ოცნება, ვიდრე — ოპტიმისტისათვის.

იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებს ოცნება ადამიანისათვის, რა ფსიქოლოგიური ღირებულება აქვს მას, განასხვავებენ მის პასიურ და აქტიურ სახეებს.

პირველისათვის დამახასიათებელია პასიურობისაკენ, უმოქმედობისაკენ მიმართულობა. იგი არ იძლევა მოქმედების და აქტივობის სტიმულს. ადამიანი ოცნებით აგებს თავის მომავალს, სიამოვნებას და ტკბობას იღებს ოცნებაში და ამით კმაყოფილდება. ასეთი ოცნე-

ბისათვის დამახასიათებელია ნებისყოფის მოდუნება და სასურველი მომავლისათვის ბრძოლის უნარის დაქვეითება: ადამიანი არ ცდილობს ნაოცნებარის განხორციელებას სინამდვილეში. ასეთ ადამიანებს „მეოცნებეებს“ უწოდებენ. ისინი ბრძოლის უნარმოკლებულები არიან და წარმატებასაც ვერ აღწევენ.

**აქტიური ანუ ქმედითი სახის ოცნება მოქმედებისაკენ მიმართვას, სასურველის რეალურად განხორციელებისათვის ბრძოლას ედება საფუძვლად.** ფსიქოლოგები მას მოიხსენიებენ როგორც სასარგებლოს. შრომისათვის ბიძგის მიმცემს, რომელსაც შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც ადამიანის ენერგია.

ოცნების ეს სახე უთუოდ სასარგებლო და დამხმარეა ადამიანისათვის. იგი დაკავშირებულია აზროვნებასთან და მასთან ერთად გვეხმარება ვიხელებოდეთ წინ, მომავალში; ვეგეგმავდეთ და თვალსაჩინოდ წარმოვიდგენდეთ მომავალ საქმიანობას, განვიცდიდეთ მისი შედეგების ღირებულებას. ასეთი ოცნება დამახასიათებელია უმეტესად ახალგაზრდობისათვის და მათი ბრძოლის სტიმულია; რაც უფრო თვალსაჩინოდ და ნათლად განიცდის იგი სასურველ (თუნდაც საშიშ) მომავალს, მით მეტი ენერგიით ცდილობს შემდეგ მის განხორციელებას. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია რომ ოცნება არაა თავისთავად წარმოსახვის მხოლოდ პასიური ფორმა, იგი ერთგვარი გარდამავალია უნებლიე, პასიური ფანტაზიიდან აქტიური ფორმებისაკენ; მისი გამოვლენა ხდება ნებისმიერი მოქმედების პროცესში და მისი მიზნების შესატყვისად.

# თ ა ვ ი IX

## გრძნობები და ემოციები

### § 1. გრძნობების ზოგადი დახასიათება

ყველა აქამდე განხილული ფსიქიკური პროცესი შემეცნებითი პროცესების კლასს მიეკუთვნება: მათი მთავარი ფუნქცია სინამდვილის. ჩვენს გარეთ არსებული საგნებისა და მოვლენების ასახვაა. დაწყებული შეგრძნებიდან ყველა ეს პროცესი გვაწვდის ცოდნას. რაიმე ინფორმაციას ობიექტურად არსებულ მოვლენებზე, მათ თვისებებსა და კანონზომიერებებზე.

ბაგრამ ადამიანი საგნისა და მოვლენის აღქმისა, თუ გახსენების პროცესში, რაიმე საკითხზე მსჯელობისა თუ რაიმე საქმის კეთების დროს, გარკვეულ დამოკიდებულებას იჩენს მათ მიმართ. ჩვენ არა მხოლოდ ვხედავთ რაიმე საგანს, ან ვისმენთ რამეს, არამედ გარკვეულ დამოკიდებულებასაც ვამჟღავნებთ ამ საგნის მიმართ. მაგალითად, როდესაც ალექსამ ჩემს წინ მდებარე საგანს, ვთქვათ წიგნს, მე არა მარტო ვცნობ მას, რომ ეს წიგნია, არამედ მომწონს კიდეც, ან არ მომწონს იგი. ასევე, როცა მე მესმის რაიმე მელოდია, იგი მსიამოვნებს, ან პირიქით: იგი მობეზრების და უსიამოვნების განცდას იწვევს ჩემში. ამას ემატება, უფრო მნიშვნელოვანი, ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი, მათი და თავისი საკუთარი საქციელისადმი. პიროვნება ასეთი დამოკიდებულების გარეშე არ შეიძლება არსებობდეს. ადამიანი „მარტო სული" არაა, იგი განიცდის სხვა ადამიანების გავლენას და თითონაც ახდენს მათზე ზემოქმედებას. საგნებთან და ადამიანებთან ურთიერთობის დროს, გარდა იმისა, რომ ჩვენ მათ ვხედავთ, ვისმენთ, ვიაზრებთ და ა. შ., ჩვენში გარკვეული დამოკიდებულებაც ჩნდება მათ მიმართ. ამიტომ ადამიანს აქვს ამ დამოკიდებულებათა განცდისა და ასახვის უნარიც.

**გრძნობები და ემოციები წარმოადგენს სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების განცდას.** ისინი ასახავენ ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისა და სინამდვილის მოვლენებისადმი. გრძნობები გამოხატავს პიროვნების მდგომარეობას, რაც გამოწვეულია მისი დამოკიდებულებით საგნებისა და მოვლენებისადმი. გრძნობებში მოცემულია რაიმეს, ან ვინმეს მოწონება ან დაწუნება; სიყვარული ან ზიზღი; ისეთი განცდები, როგორიცაა

სიამოვნება და უსიამოვნება, სიხარული და მწუხარება, აღელვება და დამშვიდება და ა. შ. **გრძნობებსა და ემოციებს ადამიანში იწვევს** არა მხოლოდ აღქმა და მეხსიერება, მოგონება და წარმოსახვა, არამედ **აზრებიც და მოქმედებებიც**. ამიტომ გრძნობების ბუნების სრულყოფილი გაგებისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მათი კავშირი და დამოკიდებულება სხვა ფსიქიკურ პროცესებთან, განსაკუთრებით კი შეგრძნებასთან.

ადამიანები, ჩვეულებრივ მეტყველებაში ხშირად არ იყენებენ სწორად შეგრძნებისა და გრძნობების აღმნიშვნელ ტერმინებს, ერთმანეთის მაგივრად ხმარობენ მათ. ზოგჯერ იტყვიან ხოლმე: „მე ვგრძნობ ცემოს“, ან „მე წუხილის შეგრძნება მაქვს“. ცხადია, პირველიც და მეორეც არასწორი გამოთქმაა. ტერმინები: შეგრძნება და გრძნობა აქ არასწორადაა ნახმარი. ისინი ერთმანეთის მაგივრადაა გამოყენებული. მთავარი განსხვავება ამ ორ ფსიქიკურ პროცესს შორის ისაა, რომ შეგრძნება ასახავს ჩვენს გარეთ მყოფი საგნების თვისებებს; გრძნობა კი ასახავს ადამიანის მდგომარეობას, მის დამოკიდებულებას ამ საგნებისადმი; მოწონება საგნისადმი დამოკიდებულების ასახვაა და არა თვით საგნისა გარდა ამისა. შეგრძნებას იწვევს მხოლოდ გამღიზიანებელთა უშუალო ზემოქმედება შეგრძნების ორგანოებზე. გრძნობა კი ისეც შეიძლება გაჩნდეს ამ დროს როგორც რეცეპტორებზე უშუალო ზემოქმედების გარეშე: საგნის აღქმის მსგავსად, რაიმეს გახსენება ან რაიმე აზრი, აღძრავს ჩვენს გრძნობებს. **შეგრძნებასა** და აღქმაში აისახება ჩვენს გარეშე არსებული საგანი და მისი თვისებები. გრძნობა კი ჩვენი საკუთარი მდგომარეობის განცდაა ამასთანავე. შეგრძნება და აღქმა უშუალო და პირველადი ასახვაა. გრძნობები და ემოციები მათ გარეშე ვერ აღმოცენდებიან: მხოლოდ საგნის აღქმის შემდეგ და მის შედეგად ხდება ჩვენში ემოციის გამოწვევა.

გრძნობებისა და ემოციების აღმოცენება დაკავშირებულია, აგრეთვე მეხსიერების და აზროვნების პროცესებთან. ჩვენში გარკვეული ელფერის ემოციებს და გრძნობებს იწვევს მოგონებები წარსულიდან. გარკვეული გრძნობები ახლავს დასწავლის პროცესებს; გრძნობებს აღძრავს აზროვნების პროცესის მიმდინარეობა და ამოცანის გადაწყვეტის პროცესი. გრძნობები და ემოციები დაკავშირებულია წარმოსახვასთანაც; ოცნების განცდა ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

**გრძნობები განსაკუთრებულ მჭიდრო კავშირშია პრაქტიკულ მოქმედებასთან.** ადამიანის ყოველგვარ საქმიანობასთან. გრძნობე-

ბი და ემოციები მონაწილეობენ ადამიანის მოქმედების ყველა სახეში: შრომაში, სწავლაში, თამაშსა და შემოქმედებაში. ისინი მოქმედების აღმძრელი ბიძგის როლს ასრულებენ ხშირად. მაგალითად, ბავშვი სიამოვნებისათვის თამაშობს, ხოლო აფექტით შეპყრობილი ადამიანი აგრესიულ მოქმედებას მიმართავს. რაც შეეხება სწავლასა და შრომას, აქ სასურველი ემოციები მოქმედების პროცესებთან კი არა, არამედ მათ შედეგებთანაა დაკავშირებული. თვით სწავლისა და შრომის მომენტი კი ხშირად დაძაბულობისა და უსიამოვნების გრძნობებთანაა დაკავშირებული. ხოლო შემდეგ მოქმედების დამთავრებასთან ერთად ხდება შვების და დაძაბულობის მოხსნის განცდების აღმოცენება. ცხადია, მათ ორივე შემთხვევაში თან ახლავს სხვადასხვა ელფერის გრძნობები, რომელიც აძლიერებს ან ასუსტებს ამ ძირითად განცდებს.

გრძნობების გამოვლინებანი განსხვავებულად იჩენს თავს შრომისა და სწავლის დროს აღმოცენებული სიძნელეებისადმი პიროვნების დამოკიდებულებაში. ზოგჯერ ამოცანის ან შესატყვისი მოქმედების სიძნელე ადამიანში იწვევს დაბნეულობას, დაურწმუნებლობას, დადარდიანებას და ა. შ. ზოგჯერ კი სრულიად საწინააღმდეგო გრძნობების აღმოცენება ხდება იგივე პირობებში: ადამიანს ეუფლება სიძლიერისა და დარწმუნებულობის განცდა, სიმხნევე და შემართება. ეს სხვაობა დამოკიდებულია მოცემულ ვითარებასთან ერთად, პიროვნების მდგომარეობასა და მის ინდივიდუალურ თვისებებზე.

სიძნელეების გადალახვის შემდეგაც სხვადასხვაგვარი გრძნობები აღმოცენდება იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით დასრულდა მოქმედება. სრული **წარმატება უველა ადამიანისათვის გამახალისებელი და დადებითი ემოციების გამომწვევია.** წარუმატებლობა კი სხვადასხვაგვარ გრძნობებს აღძრავს ადამიანებში: ზოგში იგი იწვევს გრძნობის ტონის საერთო ამაღლებას, რაც ხელს უწყობს მეტ ბრძოლისუნარიანობას და მობილიზაციას; ზოგში კი პირიქით დარდსა და დამცირების გრძნობას იწვევს, რაც აქვეითებს მობილიზების უნარს და აქტივობას საერთოდ.

გრძნობები უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის ორგანიზმისა და მისი ცალკეული ორგანოების მდგომარეობასთან და მათ ცვლილებებთან. არც ერთ სხვა ფსიქიკურ პროცესს არ ახლავს თან ისეთი ძლიერი ცვლილებები ადამიანის მოძრაობებსა და სხეულებრივ გარე გამოხატულებაში როგორც გრძნობებსა და ემოციებს.

ეს ცვლილებები ძალზე აშკარა და ადვილად შესამჩნევია. **მათ გრძნობათა გარეგამოსახულებებს უწოდებენ.**

ემოციური განცდების დროს ხდება სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ცვლილება: მაგალითად, აგზნებულობისა და აღელვების დროს ადვილი აქვს პულსის აჩქარებას, სუნთქვის გახშირებას და აჩქარებას. ზოგჯერ კი საწინააღმდეგო ცვლილებები ხდება: სუნთქვა ნელდება, პულსიც დაბლდება; ასე ხდება, კერძოდ, შიშისა და მოლოდინის ემოციურ განცდებში, რომელსაც ემატება გაფითრებაც. ასევე სირცხვილის გრძნობას თან ახლავს გაწითლება; ხოლო განრისხების დროს ზოგი ადამიანი წითლდება, ზოგი კი ფითრდება და ა. შ.

გრძნობების გარეგამოსახულებას წარმოადგენს მიმიკა. ანუ სახის გამომეტყველების ცვლა და პანტომიმიკა—მთელი სხეულის მოძრაობა. სახის გამომეტყველებისა და პანტომიმიკის საშუალებით ჩვენ ადვილად ვატყობთ ადამიანს სიხარულსა და მწუხარებას, გაკვირვებასა და ზიზღს და სხვა სახის ემოციებს. ეს გარე გამოსახულებანი განსაკუთრებით ნათლადაა წარმოდგენილი მსახიობების თამაშში, რომლებიც ამისათვის რამდენიმე ათეული სახის თვალის გამომხედველობას და ღიმილის თავისებურებას იყენებენ.

გრძნობები და ემოციები შეიძლება გამოიხატოს ხმის ცვლილებებშიც. კერძოდ ინტონაციასა და ხმის ტემბრში. მაგალითად, ერთი და იგივე სიტყვა, იმის მიხედვით თუ როგორი ინტონაციითა და ტემბრითაა იგი წარმოთქმული, სულ სხვადასხვა სახის ემოციებს ეღძრავს მსმენელში. ადამიანის მეტყველების ტემბრი ნათლად გვიჩვენებს გახარებულია თუ ნაწყენია იგი, დამშვიდებულია თუ აღელვებულია და სხვა.

გრძნობებისა და ემოციების ყველაზე თვალსაჩინო გარეგამოსახულებას წარმოადგენს სიცილი და ტირილი. რაც ყველაზე მარტივი და ადვილი მისაწვდომია: ამიტომ პატარა ბავშვები პირველად სწორედ მათ ამჩნევენ და მათ მიხედვით იწყებენ სხვისი გრძნობების გაგებას.

მიუხედავად ასეთი სხეულებრივი სახით გამოვლენისა, გრძნობების და ემოციების აღწერა და გადმოცემა არაა ადვილი. ზოგჯერ ენერც გარე გამოსახულებათა უშუალო გამოყენება შველის ჩვენს მეტყველებას ამ საქმეში. კაცობრიობის განვითარების ეტაპებზე გრძნობების გადმოცემის სხვადასხვა საშუალებები იქნა მონახული. კერძოდ ეს როლი აკისრია ხელოვნების დარგებს, რომლებიც ადამიანის გრძნობებს გამოხატავენ (მუსიკა, ფერწერა, პოეზია, თეატრი და სხვა). ისინი იყენებენ ამისათვის უშუალო პრაქტიკულ

ურთიერთობაში არსებულ გარეგანისახულებებსაც, რომორიცაა მიმიკა და პანტომიმიკა. მაგალითად, ღიმილის სხვადასხვა ფორმები, მზერების აჩერება, თვალის ჩაკვრა, წარბების აწევა, მოღუშულობა და სხვა ასეთი, რომლებიც ზოგჯერ მეტყველებაზე უკეთ გამოხატავენ ადამიანის დამოკიდებულებას რაიმე ფაქტისადმი.

## § 2. გრძნობათა თვისებები

გრძნობები და ემოციები ხასიათდებიან ძირითადი თვისებებით, რომლებიც გამოხატავენ მათ სპეციფიკას და განსხვავებას სხვა ფსიქიკური პროცესებისაგან. ისინი გვიჩვენებენ გრძნობათა ცვალებადობის მიმართულებებს, მათ საპირისპირო და საწინააღმდეგო მხარეებს. ამ წინააღმდეგობრივი მხარეების ერთიანობა კარგად ჩანს ცალკეული თვისებების წყვილეულ კატეგორიებში.

შეიძლება ითქვას, რომ გრძნობები ყველა ფსიქიკურ პროცესზე მეტად სუბიექტურია. ისინი ყველაზე უშუალოდ დამოკიდებულია პიროვნების შინაგან მდგომარეობაზე. მაშასადამე, **გრძნობების ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა სუბიექტურობა.**

როგორც შეგრძნებებთან შედარებისას ვნახეთ, გრძნობები და ემოციები არ განიცდება პიროვნებისაგან გამოყოფილად: თუ აღქმის საგანი ჩვენგან გამოყოფილად განიცდება, თუ ეს განცდა მიმართულია გარეთკენ, გრძნობების განცდა გულისხმობს შიგნით მიმართვას. ეს გასაგებია, რადგან გრძნობა ადამიანის მდგომარეობის განცდაა და არა მის გარეთ არსებული მოვლენებისა. სუბიექტურობა აგრეთვე ნიშნავს სხვაობას ცალკეული ადამიანების მიხედვით. არც ერთი ფსიქიკური პროცესი არ იცვლება ისე ძალიან სხვადასხვა სუბიექტში, როგორც გრძნობები და ემოციები.

ყოველ კონკრეტულ გრძნობას ვოენახება მისი საწინააღმდეგო: როგორც ადამიანის ემოციური დამოკიდებულება რაიმე ფაქტისადმი იქნება შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი. **ამას პოლარობას უწოდებენ.** ამის გამოხატულებაა ისეთი წყვილეული დასახელება როგორიცაა: სიამოვნება—უსიამოვნება, სიყვარული — სიძულვილი, სიხარული—მწუხარება, რისხვა—შიში, მოწონება—დაწუნება და ა. შ.

პოლარობაში კარგად ჩანს გრძნობების არსი, რომ ისინი ასახავენ ადამიანის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი, საგნებისა და ადამიანებისადმი და რომ ეს დამოკიდებულება ორი სახის შეიძლება იყოს: დადებითი და უარყოფითი. სხვაგვარად ზემოთ დასახელებულ წყვილებში მოცემული ცალკეული გრძნობა არ იარსებებს;

უსიამოვნება რომ არ არსებობდეს.. არც სიამოვნების განცდა გვექნება. სიბულვილი რომ არ იყოს. აღარც სიყვარული იქნება და ა. შ.

არის შემთხვევები. როცა ორივე საპირისპირო გრძნობა ერთ განცდაში გვეძლევა. ამას **ამბივალენტობის** თვისებას უწოდებენ, რაც გულისხმობს ადამიანის განცდაში ერთდროულად ორი პოლარული გრძნობის არსებობას. ამ დროს ადამიანი განიცდის სიამოვნებასაც და უსიამოვნებასაც. ასეთი ამბივალენტური, ორგვაროვანი გრძნობების შემცველია რაიმე წინააღმდეგობის გადალახვა, რომელიც დიდ დაძაბვას და ტანჯვასა გულისხმობს და ამასთანავე, მას კმაყოფილება და სიხარულიც ახლავს თან-ასეთია სიყვარული. ამბივალენტური გრძნობის თვალსაჩინო მაგალითია ის შიშნარევი სიამოვნება, რასაც განვიცდით ჭანაობისას, მანქანით სწრაფად ქროლის დროს და ა. შ. ეს თვისება გვიჩვენებს თუ რამდენად რთულია ცხოვრება, რომელიც არ ამოიწურება მხოლოდ ერთი დამოკიდებულებით ცალკეულ სიტუაციაშიც კი.

აღსანიშნავია, რომ ამბივალენტური გრძნობები ხშირად აღმოცენდებიან წარსულის გახსენებისას; როდესაც ჩვენ ვიგონებთ რაიმე სასიამოვნო ამბავს ჩვენი წარსულიდან. მას ყოველთვის თან ახლავს უსიამოვნების, სენტიმენტალობის განცდაც.

**გრძნობის პროცესებისათვის დამახასიათებელია სიძლიერე, ისინი მეტ-ნაკლები ძალისაა.** ემოციური განცდების სიძლიერე დამოკიდებულია იმ მნიშვნელობაზე, რასაც ატარებს მოცემული მოვლენა, ან მოქმედება ადამიანისათვის, მისი ყოფა-ცხოვრებისათვის. გრძნობების სიძლიერის კარგი მაგალითებია. სხვადასხვა მოვლენით გამოწვეული სიხარული: სულ სხვაა ის სიხარული, რასაც იწვევს გაკვეთილზე ფრიადის მიღება და მისაღებ გამოცდებზე იგივე შეფასება. გრძნობების სიძლიერე დამოკიდებულია პიროვნულ თავისებურებებზეც: ზოგი ადამიანი ყველაფერს ძლიერად განიცდის, ყველაფერი გულთან მიაქვს, ზოგი კი—პირიქით.

**გრძნობებს ახასიათებს ხანიერება, ანუ დროში გამძლეობა.** ყველა გრძნობის მიმდინარეობის პროცესი ერთნაირი ხანგრძლივობის არაა: ზოგი ძალიან სწრაფად მიმდინარეობს და მალე ქრება. ზოგი კი დიდხანს არსებობს ადამიანში. მაგალითად, აფექტური განრისხება, მარტივი გრძნობა. ხელოვნების ნაწარმოებით გამოწვეული ემოციები და სხვა უფრო სწრფად ქრება. ხოლო შედარებით ხანგრძლივად მოიცავს პიროვნებას გუნება და ვნება, ძლიერი უარყოფითი და უსიამოვნო გრძნობები. აქაც დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს პიროვნების ფსიქიკურ თვისებებს: ზოგი ყველა გრძნობას მალე „ივიწყებს“, ზოგს კი დიდხანს გაჰყვება იგი. საინტერესოა, რომ ძლიერი და მტკიცე გრძნობები იშვიათად გვხვდება ერთ ადამიანში. როგორც წესი, ვისაც ძალიან ძლიერი გრძნობები გააჩნია, უმეტესად ისინი ხანმოკლეა და მალე ქრებოდეს. ხოლო პირიქით: ვისაც სუსტი ინტენსივობის გრძნობები ახასიათებს. მათი გრძნობები უფრო ხანგრძლივია და დიდხანს რჩება პიროვნებაში.

არსებობს გრძნობათა თვისება, რომელსაც სილრმეს უწოდებენ. **ეს თვისება გვიჩვენებს, თუ რამდენად ღრმაა ესა თუ ის გრძნობა პიროვნებისათვის, რამდენად ცვლის მას.** რა ქვალს ტოვებს მასში. ცხოვრებაში გვხვდება ძლიერი გრძნობაც კი, რომელიც საკმაოდ ზერელედ მიმდინარეობს, არაა ღრმად „ჩანერგილი“ პიროვნებაში. მაგალითად, ხანმოკლე სხეულებრივი ტკივილის თანმხლები უსიამოვნების ძლიერი გრძნობა არ ტოვებს ღრმა ქვალს ადამიანში, იგი ამ ტკივილის გაქრობასთან ერთად ქრება. სრულიად საწინააღმდეგოა სილრმის თვალსაზრისით ისეთი გრძნობები, რომლებიც გამოიწვევია საყვარელი ადამიანის დაკარგვით, რაიმე საქმეში წარუმატებლობით ან მნიშვნელოვანი წარმატებით და ა. შ. ასეთი გრძნობები ზოგჯერ ისე ღრმაა, რომ მთლიანად ცვლიან პიროვნებას და იგი ამის შემდეგ სულ სხვაგვარი ხდება, ვიდრე იყო. მაგალითად, ხდება გულჩათხრობილი და მოწყენილი, ან პირიქით, უფრო გამხიარულებულია.

გრძნობების სილრმე ყველა სხვა თვისებაზე მეტადაა დამოკიდებული ადამიანის პიროვნებისეულ თავისებურებებზე. ერთი და იგივე გრძნობა სხვადასხვა ადამიანში განსხვავებული სილრმით გაწრცდება. ზოგი ადამიანი ადვილად იტანს მისთვის ძლიერი მნიშვნელობის გრძნობებსაც კი, მაშინ, როცა სხვები ღრმად განიცდიან. ასეთ ადამიანებზე ამბობენ, რომ ისინი მგრძნობიარე და ძლიერი განცდების ადამიანები არიან.

გრძნობებისა და ემოციების მიმდინარეობა ხასიათდება დაძაბულობით და მოქმედებისაკენ სწრაფვით, რასაც **დინამიკურობას უწოდებენ.** დინამიკურობა ფაზურ ხასიათში ვლინდება: როცა პერიოდულად დაძაბულობა იხსნება და ადგილს უთმობს შვებას. მაგრამ ემოციური ზემოქმედების ხშირი განმეორება იწვევს ადაფტაციას, ემოციურ შეჩვევას, ხოლო ზოგჯერ შეიძლება სრული ემოციური ინდიფერენტულობაც აღმოცენდეს.

განხილული თვისებები გვიჩვენებენ არა მხოლოდ გრძნობათა შემეცნებით და ასახვით ბუნებას, არამედ მათ დიდ როლს ადამია-

ნის ცხოვრებისა და მოქმედების რეგულაციაში. ემოციური განცდები გარემოსთან აქტიურ ურთიერთობაში აღმოცენდებიან და მასვე ემსახურებიან. გავლენას ახდენენ მოცემული მოქმედების მიმდინარეობაზე, ხელს უწყობენ ან უშლიან მას.

ემოციები მოტივაციურ ფუნქციას ასრულებენ ნებისმიერი მოქმედების მიმდინარეობის დროსაც. მოვალეობის გრძნობა, მეგობრობის და სიყვარულის განცდა გვეხმარება სიძნელეების გადალახვაში და დასახული მიზნების მიღწევაში. ამით კარგად ჩანს, რომ გრძნობები და ემოციები დიდ როლს ასრულებენ ადამიანთა ცხოვრებაში და ისინი ხელსაყრელ გავლენას ახდენენ ადამიანის მოქმედებაზე.

## § 3. მარტივი გრძნობები და ემოციები

ყველაზე მეტად გავრცელებულია გრძნობების კლასიფიკაცია სამ მთავარ სახედ: **მარტივი გრძნობები, რთული ანუ მაღალი გრძნობები და ემოციები.** განსხვავება მათ შორის ძირითადად გამოიხატება იმ მოთხოვნილებების სახეებში, რომელთა დაკმაყოფილებასთანაცაა დაკავშირებული გრძნობები. კერძოდ, დაბალი, ორგანული მოთხოვნილების დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობასთან დაკავშირებული გრძნობები იწოდება ემოციებად. ასეთია მარტივი გრძნობებიც. მაღალ, კულტურულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებულია გრძნობები (ვიწრო მნიშვნელობით), რომლებშიც მაღალი ანუ რთული გრძნობები შედიან.

მართალია, გრძნობებსა და ემოციებს სინონიმებად ვხმარობთ, მაგრამ ისინი სრულიად იგივეობრივი არ არიან. ამიტომ კლასიფიკაციისათვის გრძნობებს იყენებენ როგორც გვაროვნულ ცნებას და მასში შემავალ სახეებს ემოციებს და გრძნობებს (ვიწრო მნიშვნელობით) უწოდებენ. ზოგჯერ ამ უკანასკნელს საგნობრივ გრძნობებსაც უწოდებენ და მასში კიდევ ორ ფორმას გამოყოფენ: მარტივ და რთულ გრძნობებს. ასეთ შემთხვევაში სხვა თვისებებიდან წინა პლანზე წამოწეულია სუბიექტურობა და საკლასიფიკაციო ნიშნად მიღებულია განცდების სუბიექტურობის ხარისხი. ამ მხრივ, ემოცია უფრო თვით სუბიექტის მდგომარეობად და მასში ღრმად ჩაწერგილად განიცდება. ხოლო გრძნობის განცდა შედარებით ზედაპირულია და იგი საგანთან მიკუთვნებულად, მის თვისებად განიცდება.

**მარტივი გრძნობები აღმოცენდებიან ცალკეული საგნებისა და მათი თვისებების აღქმის შედეგად.** საგნების ან მათი თვისების აღ-

ქმის დროს ზოგი მათგანი სასიამოვნო გრძნობებს იწვევს, ზოგი კი პირიქით—უსიამოვნოდ განიცდება. მარტივი გრძნობები დაკავშირებულია უმეტესად ფერებისა და ბგერების შეგრძნებებთან. კერძოდ, განსხვავებული ფერები სხვადასხვანაირ გრძნობებს იწვევს ადამიანებში. მაგალითად, უფრო ხშირად მოზრდილ ადამიანებს მოსწონთ ე. წ. „ცივი“ ფერები (მწვანე, ლურჯი, იისფერი), ხოლო ბავშვებს უფრო მოსწონთ „თბილი“ ფერები (წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი). ასევე მარტივ გრძნობებს იწვევს ცალკეული მუსიკალური ტონები, ან მათი მარტივი კომბინაციები.

მარტივი გრძნობები მოცემულია როგორც ფსიქიკური განცდის თავისებური შეფერილობა, ემოციური ტონი, რომელიც უშუალოდ საგნის და მოქმედების თვისებად განიცდება და არა დამოუკიდებელ ფსიქიკურ აქტად. ჩვენ ისე ვლაპარაკობთ სასიამოვნო საგანზე, მოსაწყენ წიგნზე, აღმაშფოთებელ საქციელზე და სხვა ასეთზე, თითქოს ისინი ამ საგანთა თვისება იყოს და არა ჩვენი დამოკიდებულება.

**ემოცია უშუალოდ მიმდინარე განცდის სახით გვეძლევა.** როგორც თვითონ ტერმინი (ემოცია ლათინური სიტყვაა და ღელვას, შფოთვას ნიშნავს) გვიჩვენებს, იგი რაიმეს განცდაა, მისი პროცესის მიმდინარეობაა. ესაა არა მუსიკის სიყვარული, არამედ მისი განცდა; შიში არა როგორც დამოკიდებულება, არამედ როგორც განცდა, რომლის დროსაც გავრბივართ და ა. შ.

ემოციებს გამოვლენა სხვადასხვაგვარად ხდება, უმეტესად სიძლიერის მიხედვით. არჩევენ ემოციის ორგვარ გამოვლენას: **სთენიკურს და ასთენიკურს.**

სთენიკური გულისხმობს უფრო ქმედით და ძლიერ ემოციებს, რომლებიც აძლიერებს დაძაბულობას და ღელვას, ძალებს მატებს ადამიანს; მას თან ახლავს სხეულებრივი გარე გამოსახულებების გაძლიერებაც. ასეთ ემოციებს წარმოადგენს: აღტაცება, ძლიერი სიხარული, სიყვარული, აღშფოთება, რისხვა და სხვა. ასთენიკური ემოციები კი ხასიათდება პასიურობით და სისუსტით. გარეგნულად ისინი ვლინდებიან სხეულებრივ გამოსახულებათა მოდუნებით და დასუსტებით, უმოძრაობით, და ზოგჯერ გაქცევითაც კი. ასეთია, მაგალითად, განცვიფრება, სინდისის ქენჯნა, დიდი მწუხარება, შიში და სხვა.

ემოციებში გამოყოფენ: აფექტს, გუნებას, ვნებას და სთრესულ მდგომარეობას.

შეიძლება ითქვას, რომ აფექტი ყველაზე ღრმა გრძნობაა. **აფექტი წარმოადგენს ერთბაშად წამოჭრილ ძლიერ ემოციას,** იგი ხან-

მოკლე, მაგრამ ძლიერი განცდაა, რომელსაც თან ახლავს განსაკუთრებით ძლიერი გარე გამოსახულებანი. სთენიკური აფექტის დროს ადგილი აქვს ძლიერ მოძრაობებს, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის აჩქარებას, რაც კარგად. ჩანს განრისხების მაგალითზე. ზოგჯერ აფექტის სხეულებრივი გარე გამოსახულებანი საპირისპიროდ იჩენს თავს: ადგილი აქვს მოძრაობათა შეჩერებას და სუნთქვის შენელებას, როგორც მაგალითად, ძლიერი შიშის დროს.

აფექტი მოიცავს მთელ პიროვნებას. იგი იმდენად ღრმა და ძლიერი ემოციაა. რომ ამ დროს ადამიანის ცნობიერება „გამორთულია" და სხვა შინაარსებს ვეღარ განიცდის. მაგრამ ეს არ ნიშნავს საკუთარი თავისადმი კონტროლის სრულ მოხსნას. ნორმალური აფექტის შემთხვევაშიც არ კარგავს ცნობიერებას, მას კარგად ახსოვს თუ რა ჩაიდინა. ძლიერი ნებისყოფის მქონე ადამიანი ყოველთვის ახერხებს აფექტის დაძლევას და თავისი ქცევის დაუფლებას.

აფექტის დროს თავის შეკავება გაცილებით ძნელია, ვიდრე აფექტისაგან თავის დაცვა. თავის შეკავება მანამ. სანამ აფექტამდე მივიყვანდეთ საქმეს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მიუთითებენ სხვადასხვა საშუალებებს. რომლებიც ადამიანს დაიცავს აფექტურ მდგომარეობაში ჩავარდნისაგან. მაგალითად. სანამ გაჯავრებულ პასუხს გავცემდეთ ვინმეს. უნდა დავითვალოთ ათამდე. ანდა ვიაროთ ნაბიჯების თელით. გამოვიდეთ გარეთ და ა. შ. ასეთი მოქმედებანი ადამიანს. აძლევს ზედმეტ დროს. რაც საკმარისია აფექტის თავიდან ასაცილებლად. ან მისი ძალის შესამცირებლად მაინც. კარგ შედეგს იძლევა საკუთარ განცდებზე ყურადღების გადატანაც, თვითდაკვირვების შემთხვევაში აფექტი თანდათან სუსტდება.

**გუნება წარმოადგენს ზოგად ემოციურ მდგომარეობას.** ადამიანის განცდების ემოციურ შეფერადებას. იგი ხანგრძლივია და ისეთი ზოგადი ემოციური მდგომარეობაა. რომელიც კონკრეტულ ობიექტზე მიმართებას არ გულისხმობს. ყოველდღიურ მეტყველებაში ხშირად ამბობენ: ადამიანი კარგ გუნებაზე ვერაა. ან პირიქით.— კარგ, მხიარულ გუნებაზე იმყოფებაო. იმის მიხედვით. თუ როგორ გუნებაზეა ადამიანი. მას გარკვეულ ფარგლებში ყველაფერი შესაბამისად შეფერადებულად და შეცვლილად ეჩვენება. როცა ადამიანი კარგ გუნბაზეა. მასში ადვილად ხდება დადებითი ემოციების გამოწვევა. მას ისეთი რამეც კი ახარებს. რაც სხვა დროს მისთვის უსიამოვნო იქნებოდა. ასევე. როცა ადამიანი ცუდ გუნებაზეა. მას ყველაფერი აღიზიანებს. გუნებ-განწყობილება დიდ გავლენას ახდენს. თა-

ვის მხრივ მოქმედების მიმდინარეობაზე და მის წარმატებაზე. უმორი, აღტაცება. სიხარული. რწმენა. მორიდებულობა. დარდი. აღშფოთება და სხვა ასეთი. ქმნიან იმ საერთო ემოციურ ფონს. რომელიც ხელს უწყობს. ან ხელს უშლის ფსიქიკური პროცესებისა და მოქმედების მიმდინარეობას.

გუნებას საფუძვლად ედება პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი სიტუაციებით გამოწვეული საერთო გრძნობა. როდესაც ადამიანი რაიმე საქმეში წარმატებას აღწევს. იგი კარგ გუნებაზე დგება. რაც შემდგომ სხვა. ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტების მიმართ ვლინდება გუნება ხშირად იცვლება. აგრეთვე. რაიმე უმნიშვნელო ფაქტების ზეგავლენითაც: მაგალითად. ვინმეს მიერ შენიშვნის მოცემა. გაღიმება. რაიმე მცირე წარმატება ყოველდღიურ საქმიანობაში იწვევს გარკვეულ გუნება-განწყობას. რომელიც მთელი დღისა და უფრო მეტი ხანგრძლივობით არსებობს ადამიანში. ხშირად ეს ფაქტები ისე უმნიშვნელოა. რომ ისინი აღარც კი გვახსოვს. თუმცა მათ მიერ გაწვეული გუნება დიდხანს გვრჩება.

აღსანიშნავია. რომ გუნება დამოკიდებულია ადამიანის ფიზიკურ მდგომარეობაზე. მის საერთო თვითგრძნობაზე. გუნებაზე გავლენას ახდენს. აგრეთვე. ძლიერი დაღლა. უძილობა. კულტურული დასვენება და სხვა. ცნობილია. რომ ზოგიერთი ადამიანის გუნება იცვლება ბუნების მოვლენების: ამინდისა. წლისა და დღის დროს მისედვით. საუსებით შესაძლებელია არასასურველი გუნების შეცვლა. ცუდ განწყობილებას უნდა ვებრძოლოთ იმით. რომ სხვა რამეზე გადავიტანოთ ყურადღება.ვეცადოთ.გ ავაცნობიეროთ ის დადებითი და კარგი. რაც არსებობს ჩვენს ცხოვრებაში: ეს ხელს შეგვიწყობს დადებითი ემოციების გამოწვევაში და ცუდი გუნების გამოწვევი მიზეზების აღკვეთაში.

**ვნება წარმოადგენს ძლიერ და ხანგრძლივ ემოციას. რომელსაც ახასიათებს სწრაფვა ემოციის ობიექტისადმი.** ვნებაც აფექტივით ძლიერი გრძნობაა, მაგრამ მასაგით სწრაფწარმავალი არ არის; ზოგჯერ იგი თვეებისა და წლების განმავლობაში წარმართავს ადამიანს რაიმე მიმართულებით. ვნების ხანგრძლივობას კარგად გვიჩვენებს მისი სხვადასხვა სახე: კერძოდ, სიყვარულის. სპორტის, ხელოვნების,, სიმდიდრის, ნადირობის, კოლექციონერობის და სხვა ვნებანი.

ვნების თავისებურება დამოკიდებულია პიროვნების თვისებებზე და მის უნარზე—რამდენად შეუძლია დაიმორჩილოს თავისი ვნება და ნაკლებად გამოავლინოს იგი. ძლიერი ნებისყოფის ადა-

მიანს არ ახასიათებს ვნებების აყოლა, იგი თავს იკავებს ვნების შესატყვისი მოქმედებისაგან. როცა ეს მოქმედება მიუღებელია.

ვნებას შეუძლია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლის შესრულება ადამიანის საერთო აქტიურობაში. როდესაც ვნება აღმოცენდება, იგი იპყრობს ადამიანს, წარმართავს მის ძალებს, მათ კონცენტრაციას ახდენს და ეხმარება ადამიანს თავისი მიზნების განხორციელებაში. მაგრამ თუ ვნების მიმართულება ეწინააღმდეგება ადამიანის მიზნებს და ნებისმიერი მოქმედების მიმართულებას, მაშინ იგი დაბრკოლებად იქცევა და ადამიანს დამატებით ძალისხმევა ჭირდება მის დასაძლევად. სუსტი ნებისყოფის ადამიანები უფრო ვნებით არიან შეპყრობილი და გონიერი მოქმედების განხორციელება უჭირთ. ხოლო ზოგჯერ სულაც ვერ ახერხებენ მას.

**სთრესი წარმოადგენს სპეციფიკურ ემოციურ მდგომარეობას, რომელსაც დაძაბულობის სიტუაციები იწვევენ.** სთრესული მდგომარეობა თან ახლავს გონებრივ და ფიზიკურ გადატვირთვას, განსაკუთრებით სასწრაფო და პასუხსაგები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სთრესული მდგომარეობა დღეისათვის თავს იჩენს არა მხოლოდ კოსმონავტის, მფრინავის, ოფიცრის და სხვა ასეთი პროფესიების ადამიანებში, არამედ ისეთი ყოველდღიური, ჩვეულებრივი პროფესიის ადამიანებშიც, როგორიცაა დისპეჩერის, მძღოლის, მასწავლებლის, მოსამართლის, დაწესებულების ხელმძღვანელის და სხვათა საქმიანობა.

სთრესული სიტუაციები ადამიანში იწვევენ არა მხოლოდ დაძაბულობის და გადატვირთვის განცდებს, არამედ არასასურველ ცვლილებებსაც გულსისხლძარღვთა, სუნთქვის და სხვა სისტემებში. სთრესულ მდგომარეობაში ჯერ მოძრაობათა უსისტემო გაძლიერება შეიმჩნევა, ხოლო შემდეგ, ამ მდგომარეობის გაძლიერებისას—სრული უმოძრაობა და შეკავება. სთრესულ სიტუაციაში გაძნელებულია ყველა ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობა, განსაკუთრებით ყურადღებისა და ნებისმიერი პროცესებისა.

სთრესული მდგომარეობა დამოკიდებულია პიროვნების თავისებურებებზედაც. მის გამოცდილებაზე და გავარჯიშებაზე, ამიტომ ზოგჯერ ერთი ადამიანის სთრესის გამომწვევი სიტუაცია, მეორისათვის არ ქმნის დაძაბულობას.

## § 4. მაღალი გრძნობები

გრძნობები, როგორც უკვე ითქვა, დაკავშირებულია მოთხოვნილებებთან, მათ დაკმაყოფილება-დაუკმაყოფილებლობასთან. ადამი-

ანისათვის სპეციფიკურია ის, რომ მისი გრძნობები დაკავშირებულია მაღალ, სოციალურ მოთხოვნილებებთან, რასაც ცხოველი მოკლებულია. ადამიანის გრძნობები მრავალფეროვანი და რთულია: მათში ფსიქიკური ასახვის აქტიური ხასიათი ვლინდება, ისინი მონაწილეობენ სინამდვილის შემეცნებაშიც და მის გარდაქმნაშიც. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია, რომ ის გრძნობები, რომელიც საერთოა ადამიანსა და ცხოველს შორის, სრულიად განსხვავებულ სახეს იღებს ადამიანში. მაგრამ ძირითადი და მთავარი მაინც ისაა, რომ ადამიანს მაღალი, რთული, კულტურული და სოციალური მოთხოვნილებების შესატყვისად სრულიად სპეციფიკური გრძნობები გააჩნია, რომლებსაც არაფითარი ანალოგები არ მოენახება ცხოველებში.

**— მაღალი გრძნობები წარმოადგენს დიფერენცირებულ და მყარ განცდებს, რომლებიც აღმოცენებულია სოციალური, კულტურული მოთხოვნილებების საფუძველზე.** მაღალი ანუ რთული გრძნობები მოიცავენ სხვადასხვა მარტივ გრძნობებსა და ემოციებს, რომლებიც დამოუკიდებელი, მარტივი სახით აღარ განიცდებიან. მაგრამ მაღალი გრძნობა მათი ჯამი, უბრალო გაერთიანება კი არ არის, არამედ თვისობრივად ახალი განცდაა.

ადამიანის მოქმედებისა და საქმიანობის მიხედვით არჩევენ მაღალი გრძნობების სამ, შედარებით დამოუკიდებლად არსებულ ფორმას. ესენია: მორალური, ესთეტიკური და ინტელექტუალური გრძნობები.

**— მორალურ გრძნობებში მოცემულია ადამიანის დამოკიდებულება სხვა ადამიანებისადმი და თავისი მოვალეობისადმი.**

მორალური გრძნობები აღმოცენდა და ჩამოყალიბდა ადამიანთა ერთად ცხოვრების პირობებში, ამიტომ იგი წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული ქცევის ნორმებისა და როგორც საკუთარი ისე სხვისი საქციელისა და ვალდებულებების განცდას. ადამიანები მორალური, საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის განხორციელების შედეგად კმაყოფილებისა და სიამოვნების გრძნობებს განიცდიან, ხოლო მიუღებელი ქცევის შემთხვევაში—უსიამოვნო გრძნობები აღმოცენდება. (მორალურ გრძნობებს საფუძვლად უდევს ღირებულების, საზოგადოებრივად გამართლებული, თუ გაუმართლებელი მოქმედების განცდა. ხშირად ადამიანი თავის გრძნობებს უმორჩილებს საზოგადოებრივ ინტერესებს, სწირავს მათ.)

ასეთი მაგალითები აყენებს საკითხს გრძნობებისა და ნებისყოფის ურთიერთკავშირის შესახებ. როგორც უკვე ვნახეთ, გრძნობები,

ქერძოდ, მაღალი გრძნობები, ადამიანის მოქმედების აღმძვრელის, მისი მოტივის როლში გამოდიან. **მორალური გრძნობები ნებისმიერი მოქმედებისათვის ძალზე დიდ როლს ასრულებენ:** ისინი ხელს უწყობენ ქცევის წარმატებით განხორციელებას, თუ მისი შესატყვისი მიმართულებით განიცდებიან. მაგრამ როდესაც ნებისმიერი მოქმედება ეწინააღმდეგება ადამიანის გრძნობებს, მაშინ ეს ემოციური განცდები აძნელებს მოქმედების მიმდინარეობას და სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანებში სრულიად შეუძლებელსაც კი ხდის მას.

როდესაც ნებისმიერი მოქმედება ადამიანის აქტუალურ მოთხოვნილებას დაემთხვევა, ასეთ პირობებში ადამიანში აღმოცენებული ემოციური განცდები სასიამოვნოს და ხალისიანს ხდიან ნებისმიერ მოქმედებას, აადვილებენ მის შესრულებას. ასე ხდება მორალური, ზნეობრივი მოქმედების უმეტეს შემთხვევაშიც. მაგრამ ზოგჯერ ასეთ შემთხვევაშიც მორალური გრძნობების მოთოკვა და შეკავება მაინც აუცილებელი ხდება, რადგან ძლიერი ემოციური განცდები და ზედმეტი აღტყინება მოუთმენლობისა და წინდაუხედაობის მიზეზი ხდება. ასეთ შემთხვევებში საჭიროა მეტი თავშეკავება და ცივი გონების „მოხმობა".

ამრიგად, სრულიად ნათელია მორალური გრძნობების უშუალო კავშირი ნებისყოფასთან, რომელიც განაპირობებს საზოგადოებრივი ღირებულების მქონე ქცევის განხორციელებას. მორალური გრძნობების აღზრდა სწორედ ამ მიმართულებით უნდა ხდებოდეს, იგი ნებისყოფის საფუძველზე უნდა იმართებოდეს. თავის მხრივ მორალური გრძნობები ზნეობრივი აღზრდის, პიროვნებისა და მოქალაქეობის ფორმირების ერთ-ერთი საფუძველია. იგი განუყრელია მორალური შეგნებისაგან და მის განმტკიცებას უწყობს ხელს.

მორალურ გრძნობებში წამყვანი ადგილი ეკუთვნის **პატრიოტულ გრძნობებს.** პატრიოტული გრძნობები განიცდება, როგორც სამშობლოს სიყვარული, სიამაყე საკუთარი ქვეყნის. გამო, თავდადება მისთვის. სამშობლოს სიყვარული გულისხმობს აგრეთვე სხვა ხალხების სიყვარულს და პატივისცემას მათდამი, შემწყნარებლობას სხვებისადმი.

მორალურ გრძნობებში მნიშვნელოვანია **ჰუმანურობა, კოლექტივის პატივისცემა და შრომის სიყვარული.** ეს გრძნობები ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი საფუძველია.

ადამიანები მორალური გრძნობების სახით განიცდიან **პასუხისმგებლობას, ვალდებულებას და პატიოსნებას.** მათი შესაბამისი მო-

ქმედების შეუსრულებლობა განიცდება, როგორც უღირსობის, ბრალეულობის და სინიდისის ქენჯნის გრძნობები.

ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე აღმოცენებული ამხანაგობის გრძნობა ხშირად გადადის **მეგობრობის გრძნობაში**, რომელიც ეფუძნება საერთო შეხედულებებისა და ინტერესების არსებობას. მეგობრობა გულისხმობს მონატრებას, ერთად ყოფნის, აზრების გაზიარების და პატივისცემის სურვილის შესაბამისი გრძნობების განცდას.

(ადამიანთა მორალური გრძნობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლენაა მეგობრობა და **სიყვარული მამაკაცსა და ქალს შორის**. ასეთი გრძნობები აღმოცენდებიან არა მხოლოდ ფიზიოლოგიურ საფუძველზე, არამედ სულიერი ერთობის მოთხოვნილებისა და პატივისცემის ნიადაგზე, შეიძლება ითქვას, რომ სიყვარულის გრძნობა უფრო მაღალ საფეხურზე აყვანილი და უფრო მტკიცე მეგობრობის გრძნობაა.)

(**ესთეტიკური გრძნობები წარმოადგენს სიმშვენიერის, სილამაზის განცდას**. მათი აღმოცენება და მიმდინარეობა ტიპიური სახით გვეძლევა ხელოვნების ნაწარმოებთა აღქმის პროცესში. ესთეტიკური გრძნობა დაკავშირებულია იმ საგნებთან და მოვლენებთან, რომლებსაც ესთეტიკური ღირებულება აქვთ.

ესთეტიკურ გრძნობებს იწვევს არა მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებთა ნახვა, ან მოსმენა (სურათები, ლექსები, პროზა, ქანდაკება, მუსიკა, თეატრი, კინო, რადიო, ტელეხედვა და სხვა), არამედ ბუნების მოვლენებიც: პეიზაჟი, აზვირთებული ზღვა, მზის ჩასვლა და ა. შ. ესთეტიკური გრძნობების წყარო შეიძლება აგრეთვე იყოს ადამიანების მოქმედება, ჩაცმულობა, პრაქტიკული დანიშნულებისათვის დამზადებული საგნები და სხვადასხვაგვარი მორთულობანი.

ამასთანავე, ესთეტიკური გრძნობები მჭიდროდაა დაკავშირებული მორალურ გრძნობებთან, რაც მათი საზოგადოებრივი ღირებულებით განპირობებულობის შედეგია. ზნეობრივად მიუღებელი და ამორალური ნაწარმოები ესთეტიკურ ტკბობას და სიამოვნებას ვერ განგვაცდევინებს.

(**ინტელექტუალური გრძნობები დაკავშირებულია შემეცნების პროცესებთან, რაიმეს გაგებასთან**. ასეთი გრძნობებია: ცნობისმოყვარეობა, გაკვირვება, ინტერესი, დარწმუნება, ეჭვი, წიგნის კითხვით ან ამოცანის გადაწყვეტით მიღებული სიამოვნება და სხვა ასეთი.) ამ სახის გრძნობებიც დაკავშირებულია კულტურულ მოთ-

ხოვნილებებთან და ღირებულების განცდასთან. მათ აღმოცენებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს თეორიული მოთხოვნილებანი და ინტერესები.

(ყველა მაღალი გრძნობა შეფასებით განცდას წარმოადგენს, თუმცა მათი მიმდინარეობის პროცესში არ ხდება ამის გაცნობიერება. ისინი პიროვნულ ხასიათს ატარებენ და დაკავშირებული არიან ნებისყოფასთან და ისეთ პიროვნულ თავისებურებებთან, როგორიცაა: მიდრეკილებანი და ინტერესები, ცოდნა და მსოფლმხედველობა, ზნეობრივი ნორმების დაცვა, შემოქმედებითობა და ინიციატივიანობა და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიროვნების ტემპერამენტული თავისებურებანი, რომლებიც თავის მხრივ, საერთოდ გრძნობებისა და ემოციების საფუძვლად იქცევა)

# თავი IV

# ნებისყოფა

## § 1. ნებისყოფის ზოგადი დახასიათება

**სულის გამოვლინებებიდან ადამიანში ყველაზე უფრო სპეციფიკურ მაღალ უნარს წარმოადგენს ნებისმიერი მოქმედებისა და განცდის უნარი.** ასეთი მაღალი სახის აქტივობა მხოლოდამხოლოდ ნებისყოფის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. იგი გულისხმობს წინასწარ მიზანდასახულ ხასიათს და მიმდინარეობს წინასწარი მიზნის შესაბამისად. ასეთი მოქმედების გადაწყვეტილების მიღებაც და მისი შესრულებაც ნებისყოფის საფუძველზე ხდება და იგი გონის, ანუ ცნობიერების და ნებისყოფის ერთიანობის შედეგია.

ნებისყოფისათვის დამახასიათებელია აქტიური დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ: იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც ჩვენში აისახა აღქმისა და აზროვნების საშუალებით და რომელთა მიმართაც უკვე გვაქვს ჩვენი დამოკიდებულების განცდა გრძნობებისა და ემოციების სახით.

ნებისყოფისათვის იმდენად დამახასიათებელია მოქმედებასა და აქტივობასთან კავშირი, რომ მისი განცდა მოქმედებისაგან დამოუკიდებელი სახით არ არსებობს, იგი იმდენადაა ჩართული ადამიანის აქტივობაში, რომ როგორც ცალკე ფაქტი არც გვეძლევა. მაშინ როცა ყველა სხვა ფსიქიკური პროცესი მოცემულია ადამიანისათვის დამოკიდებული განცდის სახით, მაგალითად, ჩვენ წიგნის კითხვის დროს განვიცდით აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის და ემოციურ პროცესებს, მაგრამ ნებისყოფის პროცესის გამოცალკევებული განცდა არ შეგვიძლია.

როგორც უკვე აღინიშნა, ნებისყოფა ისევე ემსახურება ადამიანის აქტივობის უშუალო აღძრასა და განხორციელებას, როგორც მოთხოვნილებები. მაგრამ იგი წინასწარმოცემულობას და გააზრებას გულისხმობს, იგი მოქმედებისათვის საჭირო გზებისა და საგნების გაცნობიერების საფუძველზე ხდის. შესაძლებელს მიზანდასახულ კონკრეტული ქმედებას. ამდენად, **ნებისყოფა წარმოადგენს შეგნებული და გააზრებული მოქმედების საფუძველს.**

ნებისყოფა სრულიად ახლებური დონეა ადამიანში. იგი ადამიანის ერთერთი ფსიქიკური თვისება და პროცესია. მაგრამ ისეთი მნიშვნელობისა, რომ საფუძვლად ედება ახალი სახის თვისებების გაჩენას. ეს იმითაც გამოიხატება, რომ იგი ორმაგი დანიშნულების მა-

ტარებელია ყურადღების მსგავსად. როგორც ყურადღება წარმოადგენს ფსიქიკურ პროცესს. მაგრამ ამავე დროს. სხვა ფსიქიკური პროცესების საფუძველიცაა. და ყოველგვარი განცდის აუცილებელი პირობა. ასევე ნებისყოფა ფსიქიკური მიდრეკილებაა. ფსიქიკური თვისებაა და გარდამავალია ფსიქიკურ პროცესებსა და თვისებებს შორის. ეს ორმაგობა ქმნის იმ სიძნელეებს ნებისყოფის ცნების გაგებაში. რაც თითქმის ყველა სახელმძღვანელოში იგრძნობა: ზოგი მას ქმედების შესახებ თავში განიხილავს. ზოგი—ფსიქიკურ პროცესებთან ერთად ზოგიც—ფსიქიკურ თვისებებს მიაკუთვნებს.

**ნებისყოფა თავისი ფუნქციითა და არსით პიროვნების საფუძველია. მის გარეშე ადამიანი პიროვნებამდე ვერ ამაღლდებოდა.** ეს სრულიად გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ. რომ სული გონისა და ნებისყოფის საშუალებით მართავს ადამიანს: სულის გამოვლინების შესახებ მხოლოდ ნებისა და ცნობიერების საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ.რადგან ადამიანის აქტივობის დიდი ნაწილი ნებისყოფის საშუალებით აღმოცენდება და იმართება. ამიტომაც იყო. რომ ყველა ფსიქიკური პროცესის განხილვისას. მის ნებისმიერ სახეებზე ვმსჯელობდით. რაკი ადამიანში ნებისყოფა არსებობს. იგი ისევე განაპირობებს ფსიქიკური აქტიურობის დიდ ნაწილს. როგორც მოთხოვნილებანი.

მაშასადამე. ნებისყოფა ადამიანის აქტივობას წარმართავს. მსგავსად მოთხოვნილებებისა. აზრს და მიზანს აძლევს მის მოქმედებას. იგი სინამდვილის მიმართ აქტიურ დამოკიდებულებასაც გულისხმობს და ამ აქტივობის გაცნობიერებულ. მიზანმიმართულ ხასიათსაც.

**ნებისყოფის ახლოი გაგება ორივე არსებით მომენტს მოიცავს: გაცნობიერებასაც და ძალისხმევასაც.** მაგრამ იგი არცერთის იგივეობრივი არაა და ვერცერთ მათგანზე ვერ დაიყვანება. ნებისყოფის აზროვნებაზე და ცნობიერებაზე დაყვანით მისი საჭიროება ქრება. რადგან გამოდის. რომ ადამიანის ყოველგვარი ქმედება ნებისყოფის გარეშეც. ცნობიერების საშუალებით წარიმართება. სინამდვილეში გაცნობიერება ინტელექტუალური პროცესია და თავისი არსით ნებისყოფას არ უტოლდება. პრაქტიკული დაკვირვებაც კი გვიჩვენებს აზროვნებისა და ნებისყოფის განსხვავებას: ბევრი ადამიანი ყველაფერს კარგად აცნობიერებს და მართებულად მსჯელობს. მაგრამ გადაწყვეტილების გამოტანას და მის შესრულებას ვერ ახერხებს. რადგანაც გაცნობიერება და გააზრება აუცილებელი წინაპირობაა და

არა თვით ნებისყოფა. ამასთანავე, ცნობიერებას აქტივობისაკენ მოთხოვნილებაც წარმართავს, რომელიც არც თუ იშვიათად სძლევს ნებისყოფას ისევე. როგორც ამას ნებისყოფა აკვეთებს თავისი არსით.

ამის შემდეგ ისიც გასაგებია, რომ ნებისყოფის არარსებობა, ანუ როგორც ვამბობთ ხოლმე უნებისყოფობა, არ ნიშნავს საერთოდ პასიურობას და არაფრის კეთებას: იგი ხშირად სხვა რამის კეთებაა, რასაც აქტუალური მოთხოვნილება განაპირობებს. ამიტომ არ შეიძლება ნებისყოფისთვის სპეციფიკად მიჩნეული იქნას ძალისხმევა: ძალისხმევა და ძალდატანება იმპულსურ მოქმედებებსაც არანაკლებ ახასიათებს. მას ნებისყოფის გარეშეც იწვევს იმპულსური, აქტუალური მოთხოვნილებანი. ასეთი ძალისხმევის ფაქტები ცხოველებსაც ახასიათებს. მაგალითად, მერცხლის შიერ უზარმაზარი სიერცეების გადაფრენა, ან სასიკვდილო შერკინება ცხოველებს შორის, არც ჯიუტი, ან ძლიერი ვნებით შეპყრობილი ადამიანების მოქმედებებს აკლიათ ძალისხმევა, თუმცა ისინი სწორედ ნებისყოფის საპირისპიროდ იქცევიან.

ამრიგად, **ნებისყოფა ცალკე, დამოუკიდებელი პროცესია,** იგი ვერც აზროვნებაზე და ცნობიერებაზე დაიყვანება და ვერც ძალისხმევასა და ემოციებზე, თუმცა ორივეს საჭიროებს და იყენებს კიდეც.

მაგრამ ნებისყოფა არ ვლინდება ადამიანის მოქმედების გარეშე, მისგან დამოუკიდებელი სახით, როგორც ეს სხვა ფსიქიკურ პროცესებში შეიძლება ხდებოდეს. იგი ყოველთვის უშუალო მოქმედებაშია ჩართული და მასში ვლინდება. ამიტომ მისი სწორი გაგებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნას იმ მოქმედების თავისებურებანი, რომელშიც იგი მონაწილეობს და ვლინდება.

## § 2. ემპულსური და ნებისმიერი აქტივობა

**ადამიანის ყოველგვარი აქტივობა ორი სახის შეიძლება იყოს: იმპულსური და ნებისმიერი.** ასეთია არა მხოლოდ საკუთრივ მოქმედება, არამედ ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობაც. ეს ჩვენ უკვე ვნახეთ, როცა ვლაპარაკობდით პასიურ და აქტიურ ყურადღებაზე, მეხსიერებაზე და ა. შ.

**იმპულსური მოქმედება ყოველთვის მოთხოვნილებებიდან მომდინარეობს,** მას მოცემული აქტუალური მოთხოვნილება აღძრავს. თუ უშუალოდ მოთხოვნილება არსებობს, მის საფუძველზე აღმოცენებული მოქმედება ყოველთვის იმპუსური იქნება. ზოგჯერ შეიძლება ასეთ მოქმედებას, სხვა, დამატებითი შედეგებიც მოყვეს, მაგრამ ეს არაა მთავარი: მთავარია ის, თუ როგორ აღმოცენდება ქმე-

შნულება მოქმედების პროცესშია, რომ რაც შეიძლება სწრაფად და მაქსიმალურად იქნას მოთხოვნილება დაკმაყოფილებული. ასეთი მოქმედების წინ ვითარების გაცნობიერება და მისი ღირებულების განცდა არ ხდება: იმპულსური მოქმედება აღმოცენდება და იცვლება სუბიექტის ამჟამინდელი აქტუალური მოთხოვნილების მიხედვით.

იმპულსური მოქმედების მაგალითებს წარმოადგენს რეფლექსური მოძრაობები: დახველება, დაცემინება, ხელის გაწვდა ჩხვლეტის დროს და სხვა. ასეთივეა გრძნობათა გარე გამოსახულებანი და უშუალო ემოციები, ასეთია ადამიანის და ცხოველის ის აქტივობანი, რომლებიც ემსახურებიან შიმშილის, წყურვილის, თავდაცვის, გამრავლების, საჭირო ტემპერატურის შენარჩუნების, გართობის და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ყველა ამ მოქმედებას საფუძვლად უდევს უშუალოდ მოცემული მოთხოვნილებანი. როდესაც ორგანიზმს, ადამიანი იქნება ეს თუ სხვა ცოცხალი არსება, რაიმე სჭირდება, რაიმე დანაკლისს განიცდის, მასში აღმოცენდება შესატყვისი მოთხოვნილება. იმპულსური ქცევის დროს სწორედ ასეთი უშუალო მოთხოვნილებები უბიძგებს ადამიანს იმ მოქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთ მოქმედებას დაყოვნება არ ახასიათებს: გაჩნდება თუ არა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგანი, მოთხოვნილება მაშინვე გადადის მოქმედებაში. მაგალითად, მშიერი ცხოველი ან პატარა ბავშვი დაინახავს თუ არა საჭმელს, მაშინვე იწყებს ჭამას.

**იმპულსური ქცევა მიმდინარეობს გააზრებისა და წინასწარი მოფიქრების გარეშე.** ამ დროს არ ხდება წინასწარი გათვალისწინება იმ შედეგისა, რაც შეიძლება მოყვეს. იმპულსურ მოქმედებებს საფუძვლად შეიძლება ედოს ბიოლოგიური, სასიცოცხლო მოთხოვნილებანიც და მაღალი კულტურული მოთხოვნილებანიც, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა. ესთეტიკური მოთხოვნილებანი და სხვა. მთავარია, რომ ყველა ეს მოთხოვნილებანი აწმყო მომენტში არსებობს და აქტუალურ მდგომარეობაშია. საინტერესო წიგნი, ან ტელეგადაცემა ჩვენდა უნებურად ისევე გვიზიდავს, როგორც ბიოლოგიური მოთხოვნილებანი. ზოგჯერ ესთეტიკურმა მოთხოვნილებამ დროებით შეიძლება უკან დაახევინოს ისეთ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს როგორიცაა შიმშილი და წყურვილი. მაგრამ ორივე სახის მოთხოვნილება იმპულსური მოქმედებისაკენ გვიბიძგებს, ისინი მხოლოდ თავისი ძალით. მოცემულ მომენტში მეტი სიძლიერით ძლევენ ერთმანეთს.

სულ სხვა ბუნებისაა ნებისმიერი მოქმედება. **განსხვავებით იმპულსური მოქმედებისაგან, იგი წინასწარ დასახული მიზნის მიხედ-**

ვით წარიმართება. წინასწარ ხდება ქცევის გაცნობიერება, თუ რატომ უნდა შესრულდეს ეს ქცევა და რა შედეგები მოყვება მას. ამ დროს მოთხოვნილება პირდაპირ კი არ გადადის მოქმედებაში, არამედ პიროვნების სპექტრში გაივლის: ჯერ ხდება მოქმედების გააზრება, მისი მიზნისა და შედეგების გათვალისწინება. სანამ მშიერი ადამიანი ჭამას დაიწყებდეს, იგი ითვალისწინებს შეიძლება თუ არა ახლა ჭამა, ხომ არაა საზიანო, ან უხერხული.

ნებისმიერ მოქმედებას საფუძვლად უშუალო, მოქმედი მოთხოვნილება კი არ უდევს, არამედ ამ მოთხოვნილების იდეა, მისი ღირებულების განცდა. ნებისყოფა ისეთ მოქმედებაში ვლინდება, რომელიც აწმყოს, ამჟამად მოცემული მოთხოვნილების საფუძველზე კი არ წარმოიშვება, არამედ მისი ამორთვისა და მომავლის გათვალისწინებით დასახული მიზნის შესატყვისად მიმდინარეობს. ნებისმიერი ქმედების მიზანს საჭიროება და აუცილებლობა შეადგენს და არა სურვილი. დიდი რუსთაველი ამბობდა: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა". ნებისმიერი ქცევა მხოლოდდამხოლოდ ნებისყოფით სრულდება, ნებისყოფა აძლევს ბიძგსა და მიმართულებას მას და არა ამჟამად არსებული უშუალო მოთხოვნილება, როგორც ეს ხდება იმპულსური ქმედების პროცესში.

მაშასადამე, ადამიანის მოქმედება სრულდება ან როგორც ამჟამად არსებული უშუალო მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესი, ან როგორც ობიექტური ღირებულების მატარებელი აზრისა და მიზნის განხორციელების პროცესი. ნებისმიერი ქმედებისათვის მოსალოდნელი შედეგების ობიექტური ღირებულებაა განმსაზღვრელი და არა აწმყოში არსებული სუბიექტური ღირებულებები, ანუ მოთხოვნილებანი; იმპულსურ ქმედებაში კი საერთოდ არ ხდება ობიექტური ღირებულების გააზრება და გაცნობიერება. ნებისმიერი ქმედების მიზანიდა მოტივი ყოველთვის ობიექტური ღირებულებებიდან იღებს სათავეს. შრომაც და სწავლაც, როგორც ნებისმიერი ქმედებები, შედეგებისაკენაა მიმართული (რაიმე ნივთის დამზადება, ან ცოდნის შეძენა). ამ დროს არსებული ინტერესები და სურვილები შეიძლება მხოლოდ ხელშემწყობი და დამმხმარე იყოს, ისევე როგორც ის სიამოვნება, რაც შეიძლება ახლდეს თან ამ ქმედებას. ასევე, თავშეკავება ან ახალი მოქმედების დაწყება თავისთავადი მიზანი კი არაა, არამედ რაიმე სხვა მიზნით აქტივობა: თავისთავად რაიმე მოქმედებისაგან თავშეკავება არ ხდება. მით უმეტეს როცა საქმე ეხება მის მაგივრად ახალი და უშუალო მოთხოვნილებების საწინააღმდეგო მოქმედების დაწყებას.

ნებისმიერი მოქმედების არსს ის წარმოადგენს, რომ მასში გათვალისწინებულია არა მხოლოდ პირადი ღირებულებები, არამედ ცხოვრება და საზოგადოება; მისი მიზნების დასახვა ხდება მოვალეობისა და ვალდებულების გათვალისწინებით. სწორედ ასეთი ფუნქციის გამო წარმოადგენს ნებისყოფა პიროვნების სპეციფიკურ და ძირითად თვისებას. თუ ცნობიერებით და აზროვნებით სინამდვილის წვდომა და შემეცნება ხდება, ნებისყოფის საფუძველზე შიგნიდან, პიროვნებიდან მომდინარე აქტივობა ხდება შესაძლებელი. მისთვის მთავარია აქტუალური მოთხოვნილებებისაგან განთავისუფლება და წუთიერი კმაყოფილებიდან ამორთვა. ახლა პიროვნებას თვითონ მიყავს აქტივობა და აღარ ექვემდებარება უშუალოდ არსებულ მოთხოვნილებებს ან გარეგან იძულებას. საკუთარი თავისა და მოქმედების ფლობასთან ერთად, ნებისყოფისათვის დამახასიათებელია აქტივობის მიმართვა მომავალზე. იმის კეთება, რაც მომავალშია საჭირო და არა სადღეისო სურვილებს ემსახურება.

ნებისყოფა გულისხმობს რეალურსა და აუცილებელს, რისთვისაც საჭიროა ძლიერი ძალისხმევაც. მაგრამ ეს ყველაფერი აზრიანი და ღირებულია. მისთვის მიუღებელია სიძნელეებთან შერკინება უაზროდ და უპირობოდ. ნებისყოფა შიშის დაძლევაშია და არა მის არქონებასა და დამალვაში; რაც ისევე არანორმალურია, როგორც ყველაფრის შიში საქმე ისაა, რომ თავს მოერიო და შიში დაძლიო. საერთოდ კი, თუ შესაბამისი გარემო და სიტუაცია არ იქნა გათვალისწინებული, არც ნებისყოფაზე შეიძლება ლაპარაკი და არც სწორობაზე. ვისაც ძლიერი მოთხოვნილება გააჩნია ჰამა-სმისა თუ სექსისადმი და შესაბამის სიტუაციაში ახერხებს თავშეკავებას, იმას ქონია ძლიერი და ნამდვილი ნებისყოფა; ხოლო თუ ეს მოთხოვნილებები სუსტია, ან სულაც არ არსებობს მოცემულ პირობებში, რაღა ნებისყოფაზე და თავშეკავებაზეა საჭირო ლაპარაკი.

ცხოვრებისეული სინამდვილე გვიჩვენებს, რომ როცა ნებისყოფა იმორჩილებს მოთხოვნილებებსა და იმპულსებს, ასეთი ადამიანი გონიერიც არის, ზნეობრივიც, პრინციპულიც, თავდაჭერილიც და მორჩილიც (მორჩილებასაც ხომ ისევე ჭირდება ნებისყოფა როგორც შეუპოვრობას). ყველაფერი ადამიანური, დიდიც და პატარაც, ნებისყოფის საფუძველზე იქმნება. უნებისყოფო კაცი არაფრის შემქმნელია, პირიქით, იგი ადვილად მიდის ცოდვაზეც, ბოროტებაზეც და დანაშაულზეც და თანაც თავს იმართლებს და სხვებს ან გარემოებებს აბრალებს. ასეთი ადამიანი ხშირად სხვებს არად აგდებს და ავიწროვებს კიდეც, ეჩვენება, რომ მას არ „უმართლებს“, რომ სხვე-

ბის ბრალია მისი დანაშაული და მარცხი. მას არა აქვს კარგი ურთიერთობა გარშემო მყოფებთან და საბოლოოდ თავისი ბოლმისა და შურიანობის მსხვერპლი ხდება, თუ ფიზიკურად არა, როგორც პიროვნება მაინც.

**ნებისყოფა ორგანულადაა დაკავშირებული ყველა შემეცნებით ფსიქიკურ პროცესებთან და პირველ რიგში, აზროვნებასთან.** ნებისმიერი მოქმედებისათვის არსებული სიტუაციის გააზრება და გაგებაა აუცილებელი, იგი ობიექტურად არსებული კავშირებისა და დამოკიდებულებების ასახვის გარეშე ვერ განხორციელდება. მაგრამ არც მათი გაიგივება შეიძლება: აზროვნება და ნებისყოფა სულ სხვადასხვა პროცესია. ძალიან ხშირად ადამიანი ძლიერ აქტივობას და შესაშურ მისწრაფებას ავლენს მიზნისაკენ, მაგრამ ეს მიზანი დაბალი ღირებულებისაა: გამოდის, რომ ძლიერი ძალისხმევა სულ ტყუილუბრალოდ იკარგება. აქ აზროვნების დაბალ დონესთან გვაქვს საქმე და არა ნებისყოფის ნაკლოვანებასთან. ხდება პირიქითაც. უფრო ხშირად: ადამიანს უჭირს სწორად და კარგად გააზრებული და აწონდაწონილი მოქმედების გადაწყვეტა და შესრულება.

ჩვენ წინა თავში ვნახეთ ნებისყოფის კავშირი მაღალ გრძნობებთან. ახლა დავამატებთ, რომ ყველანაირი გრძნობები, თავის მხრით, დიდ როლს თამაშობს ნებისმიერი მოქმედების წარმატებაში: მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნებისყოფა უნდა აკონტროლებდეს გრძნობებს. ფლობდეს მათ. ზოგჯერ ნებისყოფა სწორედ ხელისშემშლელი გრძნობების (მაგალითად, შიშის) დაძლევაში გამოვლინდება.

აზროვნებასთან და ემოციებთან განუყრელი კავშირის საფუძველზე განაგებს ნებისყოფა ჩვენს მოქმედებებს. იგი განაგებს როგორც მოქმედების დაწყებას ან შეჩერებას, ისე მის მიმდინარეობას, რითაც ქცევის მარეგულირებელ ფუნქციას ახორციელებს. ნებისყოფა ადამიანის აქტივობის მუდმივი მასტიმულირებელია, ადამიანური აქტივობის სპეციფიკის საფუძველია. თუმცა გარეგნულად, მოძრაობებში ერთნაირად ვლინდება იმპულსური და ნებისმიერი მოქმედება, მაგრამ მათი განსხვავება მოქმედების მიზნებსა და მოტივებში ჩანს. ამიტომ მხოლოდ მათი დადგენის გზით შეიძლება გაეიგოთ როდისაა ეს მოქმედება ნებისმიერი და როდის მხოლოდ იმპულსურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება.

## § 3. ნებისმიერი მოქმედების სტრუქტურა

რადგან ნებისმიერი ქცევა გულისხმობს მოქმედების მიზნის გაცნობიერებას და გადაწყვეტილების მიღებას, რაც შემდეგ საფუ-

ძვლად ედება შესაბამის ქცევას, ამიტომ ლაპარაკობენ ნებისმიერი მოქმედების სტრუქტურაზე, ანუ მის პერიოდებზე.

ნებისყოფის არსს, როგორც უკვე ვნახეთ, ისეთი მოქმედების განხორციელება წარმოადგენს, რომელიც არაა დაკავშირებული უშუალო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან. ნებისმიერი მოქმედების დაწყება და მიმდინარეობა განპირობებულია ამჟამად მომქმედი აქტუალური იმპულსების შეკავებით და პიროვნებისათვის დამახასიათებელი სოციალური ღირებულების შესაბამისი მიზნების არსებობით.

ამიტომ სრულიად გამართლებულია ნებელობითი მოქმედების პერიოდების ძიება დავიწყოთ იმპულსური მოქმედების შეფერხების მომენტიდან. ამის საფუძველზე ნაცვლად ტრადიციულად არსებული სამი ძირითადი პერიოდისა, ამჟამად გამოყოფენ ოთხ პერიოდს ნებისყოფის პროცესის მიმდინარეობაში (შ. ნადირაშვილი), **ესენია; იმპულსური მოქმედების შინაგანი შეფერხება, მოქმედების გაცნობიერება და შეფასება, გადაწყვეტილების მიღება, მიღებული გადაწყვეტილების შესრულება.**

დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიიდან გამომდინარე და ძირეული ობიექტივაციის ცნების საფუძველზე შ. ნადირაშვილმა აჩვენა, რომ **იმპულსური მოქმედების შეჩერება წარმოადგენს ნებისმიერი მოქმედების დასაწყისს, მის პირველ პერიოდს.** ობიექტივაციის, გაცნობიერების შედეგად ხდება მიმდინარე მოქმედების პროცესის შეწყვეტა. მაგრამ ის არაა გარეგანი მიზნებით მოქმედების შეჩერება, როგორც ჩვეულებრივ ხდება. აზროვნების პროცესის აღმოცენების დროს, როცა მოქმედების გაგრძელების შეუძლებლობის გამო ჩნდება კითხვები: რა მოხდა? რატომ შეფერხდა მოქმედება? შეფერხების და შეკავების მიზეზი ჩვენს შიგნით, ნებისყოფაში უნდა ვეძიოთ და არა გარე სიტუაციაში, რადგან იმპულსური მოქმედების შეწყვეტა პიროვნებამ თითონ მოახდინა.

პიროვნება განიცდის ჭოუსვენრობას და უსიამოვნო ემოციებს, როდესაც ადგილი აქვს კონფლიქტს იმპულსურ მოთხოვნილებებსა და ღირებულებით მოთხოვნებს შორის. ამ დროს ადამიანი გაიაზრებს საჭირო მომავალ მოქმედებებს აქტუალურად, მოცემულ სიტუაციასთან მიმართებაში; როდესაც მის წინაშე მდგარი ამოცანის სოციალური და პიროვნული ღირებულება დიდია, ეს აძლიერებს უარყოფით, კონფლიქტურ ემოციებს, რაც უკვე ხელს უშლის იმპულსური მოქმედების გაგრძელებას.

სანამ ნებისმიერი ქცევა დაიწყებოდეს, ჯერ **ხდება შესაძლო მოქმედების ძიება.** ამ დროს ჩვენ ვითვალისწინებთ სხვადასხვა მოთ-

ხოვნილებების არსებობას და მათ მიხედვით წარმოებული მოქმედების შედეგებს. ამის საფუძველზე უნდა მივაგნოთ იმ მოქმედებას, რომელიც მისაღები იქნება. რა თქმა უნდა, ამავე პერიოდში ხდება ცალკეული მოქმედების შესრულების ობიექტური შესაძლებლობების გათვალისწინება. მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი არსებული მოქმედების შეჩერება და ახლის ძიებაა.

ამ შესაძლო და რეალურად მოცემული ვითარების გაცნობიერება განსხვავებულია. ჩვეულებრივი აზროვნების პროცესებისაგან. აქ აზროვნების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ ჭეშმარიტი ასახვისაკენ და ლოგიკური შინაარსისაკენ, არამედ ადამიანის მოთხოვნილებებისა და სოციალური ღირებულებების ურთიერთობის გარკვევისაკენაც. ამ **მეორე ეტაპზე, ადამიანი არკვევს ამა თუ იმ ქცევის შესატყვისობას ღირებულებებისა და იდეალებისადმი.**

ეს პერიოდი მოქმედების შესრულების, ან მისგან თავშეკავების ალტერნატივას გულისხმობს. მაშინაც კი, როცა ეს უშუალოდ არა ჩანს. მაგალითად, როდესაც შინ საქმაოდ გვიან და თანაც დაღლილი დავბრუნდით, ხვალისათვის კი სემინარია მოსამზადებელი, ამ დროს უარის თქმა ამ მოქმედებაზე (სემინარის მომზადებაზე), თავისთავად მეორე მოქმედების—დასვენების თუ გართობის არჩევას ნიშნავს.

ამ პერიოდში ჩვენ უშუალოდ და შესამჩნევად გვეძლევა აზროვნების პროცესები. ამიტომაა, რომ ზოგიერთი ავტორი ამ პერიოდს მხოლოდ აზროვნების გამოვლენად თელის და ნებისყოფისათვის მოსამზადებელ პერიოდად მიიჩნევს.

**ნებელობითი პროცესის ერთ-ერთი ძირითადი პერიოდია გადაწყვეტილების მიღება.** მოქმედებათა შედეგების გააზრება და მათი შედარება არაა საკმარისი ახალი ქცევის განხორციელებისათვის. ნებისმიერ ქცევას გადაწყვეტილება სჭირდება, რომელიც ქცევის მოტივიდან გამომდინარეობს. მოტივი წარმოადგენს მოქმედების აღმძვრელს, მის საფუძველს. იმპულსური მოქმედების მოტივს უშუალო, ამჟამად არსებული მოთხოვნილება შეადგენს. აქ არჩევანი ადვილად ხდება; პირველ რიგში ის მოქმედება სრულდება, რომლის მოთხოვნილება სხვებზე ძლიერია. ნებისმიერი მოქმედების დროს კი ასეთი მოტივი პიროვნების შინაგან ღირებულებათა განცდაში უნდა მოინახოს და ამ მოტივის საფუძველზე მოხდეს ერთერთი შესაძლო და აუცილებელი მოქმედების ამორჩევა.

რა თქმა უნდა, ნებისყოფის ეს მთავარი პროცესი—გადაწყვეტილების გამოტანა, მთლიანი პიროვნების ატივობას წარმოადგენს

და მასში ჩართულია სხვა ფსიქიკური უნარებიც. გადაწყვეტილების გამოტანა უფრო გაადვილებულია, როდესაც კარგადაა გაცნობიერებული მოცემული მოქმედების საჭიროება და სხვებთან შედარებით მისი უპირატესობა; აგრეთვე მოსალოდნელი ძირითადი და გვერდითი, ანუ დამატებითი შედეგები, მოქმედებისათვის საჭირო ტექნოლოგიური შესაძლებლობები და სხვა. გადაწყვეტილების გამოტანაზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე შინაგანი, ემოციური და ტემპერამენტული მონაცემები; ზოგი სულ ჩქარობს, სულ გარბის, მოთმინება არ ყოფნის; ზოგი უფრო მშვიდი და მომთმენია და ა. შ. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობისაა ადამიანის ხასიათისეული თვისებები, რომლებიც პიროვნების ღერძს წარმოადგენს და მთლიანად განსაზღვრავს მის შესაძლებლობებს ღირებულებათა საფუძველზე ქმედების განხორციელების საქმეში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს მონაცემები განსაკუთრებით იჩენს თავს გადაწყვეტილების გამოტანაში.

გადაწყვეტილების გამოტანა ნიშნავს ამა თუ იმ ქცევის მიზნის მიღებას, მის მიხედვით რომელიმე მოქმედებაზე შეჩერებას და სხვა მოქმედებათა უკუგდებას, ეს მეტად ძნელი და რთული აქტია, მასში ვლინდება პიროვნების ნებისყოფის სიძლიერე, თუ რამდენად შეუძლია მას დაძლიოს აქტუალური, უშუალო მოთხოვნილებები და იმოქმედოს მოსალოდნელი შედეგების ღირებულების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობას სხვადასხვა მოქმედებების მიზნების გააზრება და გათვალისწინება შეადგენს. მაგრამ ეს არაა საკმარისი: რომელიმე მოქმედების უკეთესობის მიხვედრა არ განაპირობებს მის მიღებას. რაიმე მოქმედების მიღება მხოლოდ გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში ხდება. შეიძლება კაცმა იცოდეს რომელია გამართლებული მოქმედება და რომელი არა, მაგრამ ვერ მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, აქტუალურ მოთხოვნილებებს დაემორჩილოს და გაუმართლებელი ქცევა აირჩიოს, კერძოდ, ჩვენს მაგალითში, უარი თქვას ხვალისათვის სემინარის მომზადებაზე და ტელევიზორს მიუჯდეს. ასევე ხდება ძალიან ხშირად ჩვეული, მაგრამ მავნე მოქმედებების (პაპიროსის წევა, ალკოჰოლიანი სასმელების სმა და სხვა) შემთხვევაში. აქ ცოდნას და ამ მავნეობის გააზრებას არ მოყვება გადაწყვეტილების მიღება.

• **გადაწყვეტილების შესრულება წარმოადგენს ნებისყოფის აქტის რეალურ განხორციელებას:** პრაქტიკულად განხორციელდება ის, რაც გადაწყვეტილების სახით არსებობდა, რა თქმა უნდა, იმ-

ჰულსური მოქმედებისაგან განსხვავებით, ეს მოქმედება შეიძლება ახლავე არ დაიწყოს, შეიძლება იგი სამომავლოდ გადაიდოს. მაგრამ მიღებული ქცევის შესრულება გულისხმობს გადაწყვეტილების შენარჩუნებას მოქმედების შესრულებამდე.

ამ შემთხვევაში ლაპარაკობენ განზრახვის ცალკე საფეხურზეც კი, რომ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მის შესრულებამდე აქტიური ფორმით ხდება ამ გადაწყვეტილების შენახვა **განზრახვის სახით** მანამ, სანამ იგი სისრულეში არ იქნება მოყვანილი. ცხოვრებაში ამ საფეხურს თუ საფეხურის ნაწილს მართლაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როდესაც საჭიროა იმის დადგენა, წინასწარ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე იქნა რაიმე ქმედება ჩადენილი, თუ მომენტალური იმპულსებით.

გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების პერიოდებში განსაკუთრებით იჩენს თავს ნებისყოფის ინდივიდუალური თავისებურებანი. კერძოდ სიძლიერე და სისუსტე. არიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ გადაწყვეტილების გამოტანა. სწორად და მართებულად მსჯელობენ, ბევრს ფიქრობენ, დიდხანს ყოყმანობენ, ხან ერთს გადაწყვეტენ ხან მეორეს. ზოგჯერ ასეთი მერყეობა გაურკვეველი მდგომარეობა იმდენხანს გასტანს, რომ უკვე აღარცაა საჭირო გადაწყვეტილების მიღება. ასეთი ადამიანები მეტნაკლებად ახლოს დგანან ნებისყოფის სპეციფიკურ დაავადებასთან (აბულია). როდესაც ადამიანს საერთოდ არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოტანა.

კიდევ უფრო აშკარად იჩენს თავს ნებისყოფის სისუსტე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების პერიოდში. სუსტი ნებისყოფის ადამიანი ვერ ახერხებს ბოლომდე შეასრულოს თავისი გადაწყვეტილება. სიძნელისა და დაბრკოლების გაჩენისთანავე ხელს იღებს მასზე. ამ პერიოდში ნებისყოფის სისუსტე ვლინდება მიღებული გადაწყვეტილების რევიზიასა და შეცვლის ფაქტში; ადამიანი ჯერ ნანობს მიღებულ გადაწყვეტილებას. შემდეგ ხელს იღებს მის განხორციელებაზე და ახალ გადაწყვეტილებას იღებს. ან ისევ ძველს უბრუნდება.

ნებისყოფის სისუსტეს ზოგჯერ ფარავს ე. წ. ორბუნებოვანი მოქმედება. როცა მიღებული გადაწყვეტილება უახლოვდება, ან სულაც ემთხვევა იმპულსური მოქმედების მოთხოვნილებებს. ასეთ შემთხვევაში ნებისყოფის საჭიროება მინიმუმამდეა შემცირებული, პიროვნება იმპულსურად მოქმედებს და თუ არსებითი შეფერხება არ გაჩნდა, მისი ნებისყოფის სისუსტე არ გამოვლინდება.

ამრიგად, ნებისყოფა პირველ და მეორე პერიოდში აზროვნებასა და ემოციებთან ერთად მონაწილეობს: გადაწყვეტილების გამოტანისა და მიღებული გადაწყვეტილების შესრულებაში კი უფრო დამოუკიდებელი სახით ვლინდება. ნებისყოფა უფრო აშკარად ჩანს სიძნელეებისა და დაბრკოლებების გადალახვაში. ამიტომაა, რომ გადაწყვეტილების მიღება და მისი შესრულება გამოავლენს ნებისყოფის არსს, მის სპეციფიკას და განაპირობებს მის დამოუკიდებელ, ცალკე პროცესად არსებობას.

აღნიშნულ ვითარებაში მაინც უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის, როგორც ნებისყოფის სპეციფიკურობის მაჩვენებლის, უპირატესობა სხვა პერიოდებთან შედარებით. როგორც მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი პირობების თანხვდენა უკვე მოიცავს და გულისხმობს ატივობას, კეთებას შესაბამისი განწყობის აღმოცენების საფუძველზე, ასევე **ნებისმიერი ქმედების გადაწყვეტილების გამოტანა და შესაბამისი განზრახვის არსებობა მოიცავს შესასრულებელ მოქმედებას.** დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ მთავარი და ძირითადი ნებისყოფისთვის გადაწყვეტილების გამოტანა და შესაბამისი მოტივია. გადაწყვეტილების შესრულება არსებითად მასზეა დამოკიდებული: თუ რამდენად ძლიერი და მტკიცეა მიღებული გადაწყვეტილება, ეს მისი შესრულების პროცესში გამოჩნდება.

ნებისყოფის და მის საფუძველზე მიმდინარე ნებისმიერი მოქმედების სტრუქტურული ანალიზი და მისი პერიოდების ზემოთ მოცემული დახასიათება კიდევ უფრო ნათელს ხდის, რომ ნებისყოფის ბუნების გარკვევისათვის ყველაზე მთავარია ობიექტური ღირებულების იდეა. მის საფუძველზე ნებისყოფა ადამიანს შეასრულებინებს ისეთ მოქმედებას, რომელიც ამჟამად არსებულ იმპულსებს და ატუალურ მოთხოვნილებებს არ შეესაბამება. მაგრამ მომავალში აღმოცენებულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. მოთხოვნილებანი კი არავითარ იმპულსს არ აძლევენ ხვალინდელი დღის მოთხოვნებს, რადგან მათში ეს ხვალინდელი ამჟამად არ განიცდება. აქტუალური მოთხოვნილება მანამ იძლევა იმპულსებს, სანამ არ დაკმაყოფილდება, ან სხვა მოთხოვნილება არ დაძლევს მას.

ნებისმიერი მოქმედება წარიმართება მხოლოდ ადამიანის სულიერი ცხოვრების იმ დონეზე, სადაც მოცემულია ობიექტური ღირებულების გაცნობიერება, სადაც გააზრებულია ამ ღირებულებიდან გამომდინარე მოქმედების მიზნები. ამითაა განპირობებული, რომ ნებისმიერი მოქმედება აწმყოსათვის კი არა, მომავლისათვისაა გან-

კუთვნილი, იგი ისეთ შედეგს გულისხმობს, რაც მომავალში დაგვჭირდება. ეს კარგად ჩანს შრომისა და სწავლის მაგალითებზე. სადაც ღირებულება მიღწეულ ეფექტს აქვს და არა მოქმედების პროცესს. ნებისყოფის საფუძველზე მიმდინარე შრომისა და სწავლის მოქმედებაში. მის მიზანს რაიმეს ღირებულების შექმნა ან ცოდნის მიღება შეადგენს.

ნებისმიერი მოქმედება მიმდინარეობს მიზნის შესაბამისად. ნებისყოფაა ერთადერთი პროცესი, რომელიც განაპირობებს წინასწარ მიზანდასახულ მოქმედებას. ადამიანს მხოლოდ მაშინ შეუძლია ნებისმიერი მოქმედების შესრულება, როდესაც იგი გადაწყვეტს მის შესრულებას. **ასეთი გადაწყვეტილების უშუალო საფუძვლად მოტივი გამოდის**, რომელიც მიზნის უბრალო გააზრებას კი არ წარმოადგენს, არამედ მის უშუალო განცდას, რადგანაც **აზრი და ცოდნა ადამიანს თავისთავად ვერ აღძრავს სამოქმედოდ. თუ რეალურად არ იქნა განცდილი მოქმედების ღირებულება.** რამდენმა იცის ალკოჰოლუ...ი სასმელების მიღების, ან პაპიროსის წევის მავნებლობა, მაგრამ ვერ ახერხებს მათგან თავის შეკავებას.

## § 4. ნებელობითი თვისებები და მათი აღზრდა

ნებისყოფის თავისებურებების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ პიროვნება აქტუალურ მოთხოვნილებებზე და მათგან მომდინარე იმპულსებზე მაღლა დგას და იგი თითონ მართავს საკუთარ აქტივობას ნებისყოფის საფუძველზე ობიექტური ღირებულებების გათვალისწინებით. მაგრამ ცნობიერება თავისთავად, ნებისყოფის გარეშე, პიროვნებას ვერასდროს ვერ მოგვცემს; მხოლოდ ნებისყოფა აქცევს ადამიანს პიროვნებად. ამას კარგად გვიჩვენებს გამოჩენილ პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელთა ისტორიული მაგალითები, რომლებიც დიდ ცოდნა-უნართან ერთად ნებისყოფის ძალითაც გამოირჩეოდნენ.

ნებისყოფა ადამიანის, როგორც პიროვნების, ერთ-ერთი განუყრელი ატრიბუტია. იგი პიროვნების აქტივობაში იჩენს მხოლოდ თავს, იქნება ეს საკუთრივ ნებისმიერი მოქმედება, თუ სხვადასხვა ფსიქიკური პროცესების აქტიური ფორმები. ამიტომ არის რომ ნებისყოფის თვისებებზე კი არ ვლაპარაკობთ ჩვეულებრივ, არამედ მისი მატარებელი პიროვნების ნებელობით თვისებებზე. მართლაც და ისინი განიცდებიან და გვეძლევიან არა როგორც ნებისყოფის თვისება, როგორც ეს იყო ყველა სხვა ფსიქიკურ პროცესში, არამედ როგორც უშუალოდ პიროვნების თვისებები, რითაც მან თავისი ვალი

უნდა მოიხადოს და საზოგადოებრივი ყოფიდან გამომდინარე ღირებულებების შესაბამისად იმოქმედოს.

**ნებისმიერი მოქმედება გამოავლენს პიროვნების ისეთ ნებელობით თვისებებს, როგორიცაა ზნეობრივობა, პრინციპულობა, დამოუკიდებლობა, გამბედავობა, სიმტკიცე, თავშეკავება და სხვა.** ყველასათვის ადვილად შესამჩნევი სხვაობა ადამიანების ნებისმიერი მოქმედების უნარში ძირითადად ამ თვისებებზეა დამოკიდებული. ზოგი ადამიანი უფრო გამბედავია, ზოგი კი ნაკლებად ფლობს ამ თვისებას: ზოგი უფრო პრინციპული და თავისი გადაწყვეტილების ერთგულია, ზოგი უფრო ადვილად ექცევა სხვების გავლენაში: ზოგი უფრო თავშეკავებულია და ადვილად ფლობს თავის თავს, ზოგი კი ამას ძნელად ახერხებს და ა. შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ეს თავისებურებანი უფრო მყარად და უცვლელად იჩენენ თავს, ამით ისინი პიროვნულ, ფსიქიკურ თვისებებს, კერძოდ, ხასიათის თვისებებს ქმნიან.

ზნეობრივობა როგორც პიროვნების ნებელობითი თვისება თავს იჩენს მაღალ, ეთიკურ და სოციალურ ფაქტორებში და მათგან გამომდინარე მიზნების დასახვაში. მაღალი იდეალების ერთგული ადამიანი ობიექტური ღირებულებების იდეის შესაბამისად მოქმედებს, იგი ხალხისა და ქვეყნის კეთილდღეობისათვის იღწვის. ცხადია, ასეთ იდეურობას მოკლებული ადამიანი უმეტესად პირადი, უშუალო მოთხოვნილებების შესაბამისად მოქმედებს და ამით თავის უიდეობას და უნებისყოფობას ავლენს.

**პრინციპულობა** ელინდება მთელი აქტივობის შესაძლებლობათა წინასწარდასახული მიზნის მიხედვით წარმოართვაში, მიღებული გადაწყვეტილების უთუოდ შესრულებაში. პრინციპული ადამიანი ფლობს თავის უშუალო მოთხოვნილებებს და იმპულსებს, უქვემდებარებს მათ მიღებულ გადაწყვეტილებას. პიროვნების საერთო მიზანებში მთავარია ძირითადი, პრინციპული მიზანი, რომელიც მოქმედების ღერძს წარმოადგენს და მთელი ცხოვრების აზრსა და მიმართულებას განსაზღვრავს. **ზოგჯერ გარეგნულად პრინციპული ხასიათის შთაბეჭდილებას ახდენს ჯიუტი ადამიანიც.** სიჯიუტე გამოიხატება თავისი ნათქვამის დაცვაში და მის მიხედვით მოქმედებაში მაშინაც კი, როცა აშკარად ჩანს მისი გაუმართლებლობა და მცდარობა. პრინციპულობა კი გულისხმობს შეცდომის აღიარებას და მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას, თუ კი იგი არ აღმოჩნდა ისეთი ღირებულების მატარებელი, როგორიც გვეგონა.

**პრინციპულობა** დაკავშირებულია სამართლიანობასა და ობიექტურობასთან. ასეთი ადამიანი უსამართლოდ არავის ექცევა და იბრძვის სამართლიანობისა და ობიექტურობისათვის.

**დამოუკიდებლობა** ვლინდება იმაში, თუ რამდენად ახერხებს ადამიანი თვითონ, სხვების ზეგავლენის გარეშე, მიიღოს გადაწყვეტილება და შეასრულოს იგი ეს თვისება ემყარება პრინციპულობას. იგი მოითხოვს ცოდნას და რწმენას. საკუთარი შეხედულებების და პრინციპების ქონებას დამოუკიდებლობა არ ნიშნავს სიჯიუტეს და საჭირო შემთხვევაში სხვების აზრების გაუთვალისწინებლობას: მაგრამ იგი არც სხვისი გავლენის ქვეშ მოქცევას, ანუ გაუმართლებელ კონფორმიზმს გულისხმობს.

**გამბედაობა, ანუ სიმამაცე** უშუალოდ განაპირობებს მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე მოქმედების განხორციელებას. იგი გულისხმობს მოქმედების მიმდინარეობის დროს წამოჭრილი სიძნელეების და საშიშროების გადალახვას. მამაც და შეუპოვარ ადამიანს არ აშინებს დროებითი დამარცხება. იგი საბოლოო გამარჯვებამდე იბრძვის. სუსტი ნებისყოფის, გაუბედავი ადამიანი ადვილად ემორჩილება ხელის შემშლელ იმპულსებს და ხელს იღებს საჭირო გადაწყვეტილების განხორციელებაზე, მას პატარა სიძნელეებიც კი აშინებს. გაუბედავობა და ნებისყოფის სისუსტე ადვილად გადადის სრულ სიმხდალეში.

**სიმტკიცე** წარმოადგენს ეთერთ ძირითად ნებელობით თვისებას. იგი გამოვლინდება ხანგრძლივად და ძლიერი ინტენსივობით წარმართულ ნებისყოფაში. ადამიანი ხანგრძლივი დროის მანძილზე დაჟინებით იღწვის მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის, არავითარი სიძნელეების წინაშე არ იხევს უკან. ხანგრძლივად ინარჩუნებს თავის გაბედულებას და მტკიცე ენერგიას. საჭირო ვითხვევაში პრინციპული და მტკიცე ნებისყოფის ადამიანს კორექტიები შეაქვს თავის გადაწყვეტილებაში და ახალ გზებსა და საშუალებებს მიმართავს მისი უთუო განხორციელებისათვის.

**თავშეკავება** გულისხმობს საკუთარი თავის ფლობის უნარს. იგი ვლინდება საკუთარი ძალების წარმართვაში ნებისმიერი მოქმედებისაკენ და ყოველგვარი ხელისშემშლელი იმპულსების და მოთხოვნილებების აღკვეთაში, თავშეკავებული ადამიანი არ ემორჩილება არც გარეგან ზეგავლენას და არც შინაგან ხელისშემშლელ ფაქტორებს: შიშს, სიზარმაცეს, უგუნებობას, აფექტს და სხვა ასეთს. თუ ადამიანს თავშეკავების უნარი სუსტად აქვს განვითარებული, იგი ადვილად იწყებს სხვების გაკიცხვას სწორედ იმაში, რაც მას უფ-

რო მეტად ახასიათებს. ასეთი ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი მოქმედების სწორ შეფასებას. იგი მოკლებულია თვითკრიტიკის უნარს.

ცალკე აღვნიშნოთ ნებისყოფის ისეთი ინდივიდუალური თვისებები, რომლებიც მის უარყოფით მხარეებს გამოხატავენ. ისინი ძირითადად თანშობილ მონაცემებს ემყარებიან. მაგრამ შემდეგ აღზრდის პროცესში ხდება მათი განმტკიცება და თუ დროულად არ იქნება გატარებული სათანადო ზომები; შემდგომში კი მათი დაძლევა თანდათან უფრო ძნელი და შეუძლებელიც კი ხდება. ვნახოთ ზოგიერთი მათგანი.

**სიჯიუტე** მეტნაკლებად შეიძლება ყველას გააჩნდეს. მაგრამ ზოგიერთ პიროვნებაში იგი ძლიერად და მახინჯი ჩვევის სახით ვლინდება. სიჯიუტეს არაფერი აქვს საერთო ნებისყოფის სიმტკიცესა და პრინციპულობასთან. იგი უფრო მათი საპირისპიროა და მხოლოდ საკუთარი აქვიატებული და ახირებული აზრების გატანას ემსახურება. არ ემყარება სიტუაციის სწორ ანალიზსა და რეალობას. ასეთი ადამიანი ყველაფერში ცდილობს თავისი გაიტანოს; მისი მოქმედება უაზრო და გაუმართლებელია. იგი ბრმა მოთხოვნილებებიდან იღებს სათავეს და ემოციებისა და იმპულსების საშუალებით ხორციელდება.

**მატყუარობა** გულისხმობს სიტყვითა და საქმით სხვების შეცდომაში შეყვანას. ასეთი ადამიანი ცდილობს დაფაროს სინამდვილე, შეცვალოს და გადააკეთოს მოვლენები და ისინი სხვებისათვის მოსაწონად და მიღებად წარმოადგინოს მატყუარა ადამიანი ნიღბავს თავისი საქციელის ნამდვილ ბუნებას და ცდილობს ამ გზით მიიღოს რაიმე სარგებელი ან მორალური სიკეთე. ასეთი ადამიანისათვის საჭიროა დახმარება, პატიება და ხელშეწყობა. განსაკუთრებით ახალგაზრდობის პერიოდში. მას უნდა ვეურჩიოთ, რომ აუცილებელია აღიარება და პატიოსნებისაკენ შემობრუნება. უნდა შევაგნებინოთ, რომ ტყუილის თქმა და პირის გატეხვა დაუსჯელი არ დარჩება. ამის დამადასტურებელია სახარებაში მოთხრობილი იგავი შვილებზე: მამის თხოვნის შესრულებაზე ერთმა შვილმა უარი თქვა, მაგრამ შემდგომ მიხვდა თავის შეცდომას და შეასრულა დაგვიანებით მამის სურვილი; ხოლო მეორემ თანხმობა განაცხადა, მაგრამ არ შეასრულა სიტყვა. ტყუილისათვის დაისაჯა მეორე, პირველს კი ეპატია. შეცდომის გამოსწორება და მონანიება საერთოდ იხსნის მატყუარა ადამიანს.

**სიზარმაცე** ძალზე დიდაა დამოკიდებული თაშობილ თვისებებზე. იგი ემყარება ისეთ მონაცემებს, როგორიცაა სიზანტე, მოშვებულობა, აქტივობისა და ძალისხმევის დაბალი უნარი და სხვა. სიზარმაცეს არ შველის მაღალი ინტელექტი და განათლებულობა. ზოგჯერ უფრო პირიქით ხდება, რაც უფრო გონიერია ზარმაცი ადა-

მიანი მით უფრო უქნარა და უგერგილოა. თანდათან უძლური ხდება და ეთიშება ადამიანებს, უფროდაუფრო იხრება მატყუარობისაკენ.

ჩვენ ცალკე არ გამოგვიყვია ნებისყოფის სიძლიერე, თუმცა ვლაპარაკობდით ძლიერი და სუსტი ნებისყოფის გამოვლენაზე. ნებისყოფის ძალა და ინტენსივობა ისეთი ზოგადი, ძირითადი თვისებაა, რომელიც თავს იჩენს ყველა ზემოთ განხილული თვისების არსებობისას; ძლერი და სუსტი ნებისყოფა ამ თვისებების საფუძველს წარმოადგენს და მათშივე ვლინდება, ისევე როგორც ნებელობის პერიოდებში.

**სრულფასოვანი მოქალაქისათვის დამახასიათებელი ნებისყოფა და ნებელობითი თვისებები უალიბდება აღზრდის პროცესში.** ამ თვისებების აღზრდა ხდება ბავშვის განვითარების მთელ გზაზე და შემდეგაც მოზრდილობის ასაკში, რადგანაც შესაძლებელია მათი არა მხოლოდ აღზრდა, არამედ თვითაღზრდაც.

ნებისყოფისა და ნებელობითი თვისებების აღზრდა დამოკიდებულია როგორც ალსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ისე სოციალურ გარემოზე და ბავშვის განვითარებაზე ზემოქმედების მომხდენ ფაქტორებზე. არ შეიძლება ანგარიშში არ გაეწიოს სხვადასხვა ასაკში არსებულ სიძნელეებს, რომელთაგან **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი ნეგატივიზმი, ანუ სიჯიუტე,** რომელიც აუცილებლად დაძლეული უნდა იქნას ამ ასაკში, შეგნების დონეზე, რათა საბოლოოდ არ შემორჩეს ეს თვისება ადამიანს.

ასევე, ინდივიდუალური თავისებურებებიდან უნდა გამოვყოთ მთავარი—**აგზნების სიძლიერე და შეკავების სისუსტე,** რის გამოც ბავშვს არ შეუძლია თავდაჭერა და თავშეკავება. ეს კი განაპირობებს იმას, რომ ბავშვი ვერ ახერხებს იმპულსების და აქტუალური მოთხოვნილებების შეჩერებას და შეკავებას. ეს სიძნელე ზოგიერთში განსაკუთრებით იჩენს თავს, კერძოდ, იმაში, ვისაც სუსტი შეკავების უნარი აქვს. ასეთ ალსაზრდელებთან განსაკუთრებული ღონისძიების გატარებაა საჭირო, რათა ეს სუსისუსტე არ შემორჩეთ მათ მოზრდილობაშიც.

მოთხოვნილებათა იმპულსების შეკავებას და საჭირო ნებისმიერი მოქმედების უნარის გამომუშავებას ნელი და თანდათანობითი მუშაობა ჭირდება. ბავშვს უნდა გავუცნობიეროთ მიღწევები, **ყურადღება უნდა გავამახვილოთ დადებით მომენტებზე, რაც მას წაახალისებს და ძალებს შემატებს მორიგი წარმატებებისათვის.** ამით ბავშვებში აღვძრავთ სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობებს და

ხელს შეუწყობთ დადებითი ნებელობითი თვისებების ჩამოყალიბებას. შენიშვნები. საყვედურები და ჩხუბი. ჩვეულებრივ არაეითარ დადებით შედეგებს არ იძლევა ამ მიმართულებით; პირიქით. უფრო აძლიერებს უარყოფით დამოკიდებულებას ბავშვის მხრიდან.

იმპულსური მოქმედებების შეზღუდვის ხარჯზე ნებისმიერი მოქმედებების ზრდასთან ერთად. ბავშვები უნდა მივაჩვიოთ თავისი ფსიქიკური პროცესების წარმართვას საჭირო მოქმედებებზე: განსაკუთრებით ეს ეხება ყურადღებას. რადგან ნებისმიერი ყურადღება შემდეგ თითონ იქცევა სხვა აქტიური ფსიქიკური პროცესების საფუძვლად.

ამ მიმართულებით **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.** ბავშვებს არ უნდა მივცეთ საშუალება შეწყვიტონ დაწყებული საქმე და დაუმთავრებლად მიატოვონ იგი. ასეთი ზემოქმედება წარმოადგენს სიზარმაცის. როგორც უარყოფითი თვისების დაძლევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას.

ნებელობითი თვისებების დადებითი მიმართულებით წარმართვას **ძალიან ადვილებს ე. წ. გარდამავალი, ანუ ორბუნებოვანი** ქცევა; როცა ერთი და იგივე მოქმედება რაიმე ღირებულებიდან გამომდინარე მიზანს ემსახურება და ამავე დროს იმპულსურ და აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ახდენს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ მოქმედებასთან. რომელიც საჭირო და სასარგებლოცაა და სასიამოვნოც. ასეთ ორბუნებოვან მოქმედებაში ჩაბმის შემდეგ ბავშვი თანდათან და ადვილად გადადის აუცილებელ. მაგრამ უკვე არასასიამოვნო მოქმედებებზე.

ნებისყოფის აღზრდას და დადებითი ნებელობითი თვისებების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს რეჟიმი და მომთხოვნელობა. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო რეჟიმს და ცალკეულ საგნებში ცოდნის მიცემასთან ერთად. აღმზრდელობითი ამოცანების განხორციელებას. ხელოვნების დარგების და განსაკუთრებით კინოსა და ტელევიზიის გამოყენება. ბევრ ცოცხალ მაგალითს აწვდის მოზარდს დადებითი ნებელობითი თვისებების და მოქმედების ღირებულების გასააზრებლად და გასამტკიცებლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ნებელობითი თვისებების აღზრდისა და ფორმირების საქმეში **თანატოლთა და გარეშე, არაოფიციალურ პირთა გავლენა.** სამწუხაროდ. ხშირად ეს გავლენა უარყოფითი ხასიათისაა და არასასურველი თვისებების ჩანერგვას უწყობს ხელს. რის გამოც. ნებისყოფის განვითარება. ასეთ შემთხ-

ვეებაში, წინ კი არ მიდის, არამედ დაბრკოლებას განიცდის და ფერხდება.

ნებელობითი თვისებების დადებითი მიმართულებით წარმართვაში ყველაფერზე მეტი მნიშვნელობა აქვს საკუთარ აქტივობას. საკუთარი ნებისყოფის აღზრდას. **ნებისყოფის თვითაღზრდა წარმოადგენს სიერთოდ აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას,** მაგრამ მას ხელმძღვანელობა და დახმარება ჭირდება. როგორც რჩევითა და საუბრებით, ისე პრაქტიკული ჩარევით ნებისყოფის თვითაღზრდისათვის ადამიანს მუდმივ დევიზად უნდა ქონდეს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი შ. რუსთაველის სტროფი: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

ნებისყოფის თვითაღზრდა დაკავშირებულია ცოდნასთან და სწავლის პროცესთან. სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვის ვანვითარება სწავლისა და ნებისყოფის აღზრდის ერთიანობას ემყარება. ნებისყოფის თვითაღზრდა უნდა დავიწყოთ თეორიული გაცნობიერებით და მიზნის დასახვით: რა გვინდა, რა არის, როგორი გვინდა. უპირველეს ყოვლისა კი. საჭიროა რეჟიმის დაცვისა და საქმიანობის წინა-წარ დაგეგმვის უნარის გამომუშავება. მომაელის დაგეგმვა და სრუნვა ამ გეგმის განსახორციელებლად, ნებისყოფის თვითაღზრდის საშუალებაცაა და თავითავადაც სრულიად აუცილებელი ნორმალური ცხოვრებისა და საქმეში წარმატებისათვის.

ნებისყოფის თვითაღზრდა მოითხოვს, აგრეთვე, მომავლის რწმენას, სიკეთის სიყვარულს, თავის არიდებას შეცდომებისა და დანაშაულობებისაგან. რისთვისაც არ უნდა კეთდებოდეს ეს კარგია დადებითი მაგალითების გაცნობა და გათვალისწინება, სამაგალითო, ეტალონური ქმედების მიბაძვა. ყოფა-ცხოვრებასა და ყოველგვარ საქმიანობაში აუცილებელია ზომიერება. რეალური და შესაძლებელი ამოცანების დასახვა, რომ პირდაპირ არ დავეჯახოთ გადაულახავ წინააღმდეგობას, როგორმე შემოუაროთ მას. უნდა გვახსოვდეს. რომ გადაულახავ წინააღმდეგობასთან შეჯახების შედეგად ნებისყოფა ტყდება და მისი აღზრდაც და თვითაღზრდაც უფრო ძნელი ხდება.

როცა სწორი გზით მიდივართ და ვითვალისწინებთ ზემოთ ნათქვამს, ნებისყოფა თავის კუთვნილ სიმაღლეზეა და განიმტკიცებს თავის წამყვან როლს სულიერი უნარების მართვაში. ნებისყოფის თვითაღზრდა და პიროვნების დადებითი თვისებების ჩამოყალიბება არსებითად ცელის მთელ ფსიქიკას და ადამიანის სულიერ განწმენდას უწყობს ხელს.

# თ ა ვ ი X

## პიროვნება

### § 1. პიროვნების ცნება ფსიქოლოგიაში

ყველა ზემოთ შესწავლილი ფსიქიკური პროცესი და ქმედების სახეები რეალურად და ფაქტობრივად პიროვნებაში არსებობს. ისინი პიროვნების განცდებს და აქტივობას წარმოადგენენ. პიროვნებისათვის დამახასიათებელია. ფსიქიკით გაშუალებულ სასიცოცხლო უნარებთან ერთად. სხვა ადამიანებთან კავშირი და ურთიერთობა; **სულის გამოვლინებები ისევე გვეძლევა ურთიერთობებში როგორც განცდებსა და ქმედებებში.** ადამიანის სხეულის. სიცოცხლის და ფსიქიკის მართვა უმაღლეს საფეხურზე ადის ცნობიერებისა და ნებისყოფის მქონე ადამიანში. ანუ პიროვნებაში. რომლისთვისაც უმთავრესია სოციალური ასპექტები.

პიროვნების ცნების გარკვევაც აქედან უნდა დავიწყოთ. როგორც ბიოლოგიურისა და სოციალურის გამაერთიანებელი ფსიქიკის მქონე ადამიანით. პიროვნებაში გარე სამყაროსთან ურთიერთობა განპირობებულია უშუალო ზემოქმედებითაც და სხვა ადამიანების მიერ გაშუალებული გზითაც. პიროვნება როგორც ადამიანთა ჯგუფის და საზოგადოების წევრი. განიცდის ამ ჯგუფის საერთო. ანუ საზოგადოებრივი ცნობიერების. აზრების. შეხედულებების. სურვილების. ინტერესების. მოთხოვნების და მდგომარეობის გავლენას. რაც მოცემულია უშუალო აღქმის. ან ცოდნის სახით. ამის შესახებ დ. უზნაძე მიუთითებს. რომ „არ არსებობს არაფერი უფრო დამახასიათებელი ადამიანისათვის. ვიდრე ის ფაქტი. რომ სინამდვილე მასზე. სოციალურ არსებაზე. ორმაგად ახდენს გავლენას— პირდაპირ. უშუალოდ გაღიზიანებისა და არაპირდაპირ. სიტყვიერი სიმბოლოს საშუალებით“.

ადამიანური აქტივობის თავისებურებანი. რომელთა გამოვლენა ხდება ადამიანთა ერთობის არსებობის ფაქტში. გასაგებს ხდის პიროვნების ორმაგ ბუნებას. ადამიანში. როგორც პიროვნებაში. მოცემულია ორი მხარე: ერთია ბიოლოგიური. თუმცა ყველა სხვა ცოცხალ არსებაზე უფრო მაღალორგანიზებული და განვითარებული. მაგრამ მაინც მისი ერთერთი სახეობა. მეორე კი — ადამიანის სოციალური, საზოგადოებრივი მხარე, რაც პირველთან განუყრელ ერთიანობაში ქმნის სრულიად ახალ ფენომენს—პიროვნებას.

ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ჩვენ საქმე გვაქვს ღვთაებრივი სულის მატარებელ ბიოსოციალურ კონკრეტულ ინდივიდთან. როგორც ადამიანის სახეობის წარმომადგენელთან. ასეთი ინდივიდი ადამიანობის წარმომადგენელია, იგი არსებობს როგორც ცოცხალი არსების ერთერთი სახეობა; **ინდივიდის ცნება უდრის სიცოცხლის მატარებელ ერთეულს** და ამდენად იგი შეიძლება იყოს მოზრდილი ნორმალური ადამიანიც. პატარა ბავშვიც. ფსიქიკურად არაღრთიერთობებს და საზოგადოების აქტიურ წევრობას. **პიროვნება** კი მხოლოდ ბიოლოგიურ მონაცემებს როდი გულისხმობს, იგი სოციალური, საზოგადოებრივი კატეგორიაა და მოიცავს სოციალურ ურთიერთობებს და საზოგადოების აქტიურ წევრობას **პიროვნება შეიძლება იყოს ნორმალური მოზრდილი ადამიანი, რომელიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში მონაწილეობს.**

პიროვნება, როგორც ბიოსოციალური არსება, მრავალწახნაგოვანი და მრავალგანზომილებიანი ფენომენია. მის არსს მხოლოდ ერთი რომელიმე მეცნიერება ვერ ამოწურავს; ამიტომ ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფსიქოლოგია არაა ერთადერთი მეცნიერება პიროვნების შესახებ. ადამიანის კავშირი საზოგადოებასთან სწორედ „პიროვნულობით" და არა საზოგადოდ ადამიანის ბუნებითაა განპირობებული. **ადამიანი პიროვნებად იქცევა სხვა ადამიანებთა ერთად ყოფნისა და ქმედების გამო.** რაც განპირობებულია ამ ერთობაში, მთელ საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, ეთიკური, ურიდიული და სხვა პირობებით.

ამდენად, პიროვნების სრული ანალიზი და შესწავლა მეცნიერებათა მთელი კომპლექსის საქმეა და მას მხოლოდ ფსიქოლოგია ვერ ამოწურავს. პიროვნება მხოლოდ მრავალგანზომილებიანი შკალით შეიძლება დახასიათდეს, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც ბიოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორებით განპირობებული ნიშანთვისებები. ამიტომაც პიროვნების შესწავლა წარმოადგენს სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებათა კვლევის საგანს.

სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რომ ჩვენს მიერ გადმოცემული იქნება პიროვნების შესახებ არსებული ცოდნა. მაგრამ პიროვნების ზოგადი ასპექტების გათვალისწინებით, რომელთა შორის წამყვანი როლი ისევ ფსიქოლოგიას, კერძოდ, ზოგად და სოციალურ ფსიქოლოგიას განეკუთვნება.

ფსიქოლოგიაში პიროვნება გაგებული უნდა იქნას იმის გათვალისწინებით, რომ ერთი მთლიანის ორი სხვადასხვა მომენტი გვეძ-

ლევა როგორც გარეგანის და შინაგანის ერთიანობა, როგორც მათი ურთიერთქმედება ერთ მთლიან სისტემაში. ეს ერთიანობა ეფუძნება ადამიანში სულის არსებობას, რაც ქმნის პიროვნებაში ერთიან ბიოსოციალურ ბირთვს, რაც შემდგომ მის ისეთ ცალკეულ ასპექტებში გაპოვლინდება, რომელთა საფუძველზეც პიროვნება მთლიანი აქტიურობის განხორციელებას ახდენს.

ადამიანის პიროვნებად ქცევისათვის უმთავრესი ისაა, რომ ხდება მაში სულის მიერ მოცემული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა, ამიტომაც აღზრდა და გარეგანი გავლენა ერთმნიშვნელოვანი როდია, იგი სხვადასხვაგვარ ეფექტს იძლევა სხვადასხვა ინდივიდში. ერთი და იგივე ცხოვრებისეული გარემოებანი სულ სხვადასხვაგვარ პოზიციებსა და განწყობებს გამოიწვევს და განამტკიცებს ადამიანებში, რასაც ასეთივე განსხვავებული აქტივობანი და განცდები მოყვება. გავიხსენოთ თუნდაც დიდი სიძნელეებს პირობებში აღმოცენებული ძლიერი აღტკინება ზოგ ადამიანში, ან პირიქით, სრული დეპრესია სხვაში.

ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, გასაგები ხდება, რომ **არ არსებობს სრულიად ერთნაირი ორი პიროვნება; ყველა პიროვნება განუმეორებელია.** აბსოლუტურად ერთგვაროვანი ტყუპების არსებობაც კი შეუძლებელია. ერთი და იგივე პიროვნებაც კი სხვადასხვა გარემოებაში განსხვავებული სახით წარმოგვიდგება, სხვადასხვაგვარ განცდებსა და ქმედებას იძლევა. მაგრამ მაინც არის მასში რაღაც საერთო. უცვლელი ხელწერა, სრულიად განსხვავებულ გამოვლინებაშიც კი რაღაც ერთნაირი შინაგანი ასპექტი გამოსჭვივის. სწორედ ესაა ის, რაც პიროვნების თავისებურებას, მის შედარებით უცვლელ ნიშან-თვისებას წარმოადგენს, რის გამოც არ შეიძლება სრულიად იდენტური ორი პიროვნება არსებობდეს.

პიროვნების სხვადასხვა ასპექტების ერთიანობა კონკრეტულად ცალკეული პიროვნების, ანუ ინდივიდუალობის სახით არსებობს. ეს ვლინდება ყველაფერში: განცდაშიც, მოქმედებაშიც, ურთიერთობაშიც; ყველაზე მარტივი ფსიქიკური პროცესებიც კი ავლენენ პიროვნების სულსა და მის თვისებებს. მაგალითად, ადამიანის თვალებში, მის მზერაში, მოცემულია მისი თვისებები და დამოკიდებულობა. ბიბლიის შემდგენლებს კარგად აქვთ ეს გათვალისწინებული, როცა აღნიშნავენ, რომ სხეულის სანთელი თვალია; თუ შენი თვალი სუფთაა, შენი სხეულიც ნათელი იქნება, თუ შენი თვალი ბოროტია, სხეულიც ბნელი იქნება. თვალის გამოხედვის ძალა და მისი აღქმა ცხოვრებაშიც გვაქვს; ცნობილი ფაქტია, რომ ძაღლი „კითხულობს“

ადამიანის თვალებში შიშს, ან გაბრაზებას. ანდა გავიხსენოთ ე. წ. „ავი თვალის“ ანუ გათვალვის უნარის მქონე ადამიანებზე მოსმენილი და წაკითხული. ასევე შეიძლება ითქვას სმენისა და სხვა სახის შეგრძნებების შესახებ.

ვასაგებია, რომ მაღალ ფსიქიკურ პროცესებში კიდევ უფრო აშკარად ვლინდება პიროვნების თავისებურებანი, რადგანაც ისინი სულის უშუალო გამოვლენას წარმოადგენენ და მათი საშუალებით მთელი ადამიანი იმართება.

პიროვნების თავისებურებათა გამოვლენასა და სხვაზე ზემოქმედების ფაქტებში ყველაზე **მთავარია სიკეთის კეთება და მისი დანახვის უნარი**. ადამიანი ხომ სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში ატარებს თავის შინაგან მუხტს. სიკეთის კეთების თანაზიარია საკუთარის დათმენა და დათმობა სხვების გულისათვის. სხვებისათვის მიტევებისა და პატიების უნარი. ბიბლიის თანახმად, **თუ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცდომებს, თქვენც მოგეტევებათ ზეციერი მამისაგან.** ხოლო თუ არ მიუტევებთ სხვას, არც თქვენ მოგეტევებათ. სწორედ ამ შეგონებით უნდა იქნას დაძლეული პიროვნებაში ეგოიზმი და სხვებისადმი ბოროტი დამოკიდებულება.

აღნიშნულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ლაპარაკობენ **ინდივიდუალობაზე**, რომ ყველა პიროვნება დაშოუკიდებელი ინდივიდია, განუმეორებელია, თავისთავადია. ინდივიდუალობის ცნებაში იგულისხმება არა მხოლოდ ფსიქოლოგიური თავისებურებანი, არამედ მორფოლოგიურ-ფიზიოლოგიურიც. ამდენად, ინდივიდუალობის ცნება უფრო გასაგებს ხდის ბიოსოციალური ერთიანი სისტემის — პიროვნების რაობას. ამრიგად, ინდივიდი ბიოლოგიური ცნებაა, პიროვნება—სოციალური, ინდივიდუალობა კი მისი კონკრეტული ვაშოხატულებაა.

პიროვნების ცნების სრულყოფილი ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნას სინამდვილისადმი დამოკიდებულების ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციებიდან გაშომდინარე ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტი. ესაა პიროვნებისათვის დამახასიათებელი სრულიად ახლებური, მესამე დონის **დამოკიდებულება**. რაც ჩადებულია დ. უზნაძის განწყობის თეორიაში. ეს დებულება სოციალური განწყობის მიმართულებით შემდგომში დაშუშაებული იქნა შ. ნადირაშვილის მიერ დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის პოზიციებიდან.

სინამდვილე, რომელშიც ადამიანი იმყოფება და აქტიურობს, მხოლოდ ფიზიკური საგნებისაგან როდი შედგება, მასში ჩართულია

სხვა ადამიანებიც: რომლებიც პიროვნებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ. გასათვალისწინებელია, ისიც, რომ სოციალურ გარემოში, ადამიანებთან და მათ ურთიერთობებთან ერთად, იგულისხმება მათ მიერ შექმნილი კულტურის ღირებულებები და საერთოდ ადამიანური მოღვაწეობის შედეგები.

ამით გასაგები ხდება, თუ როგორ იძენს განსხვავებულ სახეს ადამიანის ქმედება და განცდა სოციალურ სიტუაციაში. თვით ჩვეულებრივ, საგნობრივ სინამდვილესთან ადამიანის ურთიერთობა სრულიად სხვაგვარი ხდება სწორედ მის გამო, რომ ამ სიტუაციაში სხვა ადამიანებიც შემოდიან. მთავარი სპეციფიკა ამ სიტუაციაში ისაა, რომ გათვალისწინებული უნდა იქნას მკაცრი აუცილებლობით არა მხოლოდ სხვაზე ზემოქმედება, არამედ უკუზემოქმედებაც. ეს ის სპეციფიკაა, რაც ადამიანს აქცევს პიროვნებად. აქ მთავარია ის, რომ ადამიანი ურთიერთობაშია თავისნაირ სხვა ადამიანებთან, რომლებიც თანაგრძნობა-სიმპატიით თუ თანამშრომლობით ან აღშფოთებით და ბრძოლით პასუხობენ მის აქტივობას. აქედან მომდინარეობს თანაარსებობისა და თანააქტივობის შედეგები, რაც ყოველგვარ ადამიანურ ქმედებას ახასიათებს.

თანაარსებობისა და თანააქტივობისათვის დამახასიათებელია, რომ ზეგავლენა ხდება შეუმჩნეველად, ადამიანის მიერ გაუცნობიერებლად. პიროვნება კი უფრო მეტს გულისხმობს: მისთვის არსებითია მიმდინარე აქტივობის შეჩერება სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით და არასასურველი, ზოგჯერ პირადი ინტერესების სრულიად საწინააღმდეგო ქმედების განხორციელება. ეს გამომდინარეობს პიროვნების ცნების არსიდან, იმოქმედოს საზოგადოებრივი ღირებულების გათვალისწინებით, ანუ დაძლიოს პირადი სურვილები და მოთხოვნილებები და თავისი აქტივობა წარმართოს საჭიროების შესატყვისად.

როგორც ნებისყოფის შესახებ მსჯელობისას ვნახეთ, ადამიანს ახასხვავებით ყველა სხვა არსებისაგან, იმის უნარი შესწევს, რომ წინასწარ მოფიქრებული და გააზრებული ქმედება განახორციელოს, სადაც უპირველესად სწორედ სოციალური ქცევა იგულისხმება. პიროვნება ამის გარეშე არ არსებობს.

ფსიქიკური პროცესებიდან სწორედ ნებისყოფა ქმნის პიროვნების ბირთვს. მისი აღმოცენების შემდეგ ქცევისა და განცდის უმეტესი ნაწილი მისი კონტროლის საფუძველზე მიმდინარეობს. არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ნებისყოფა მხოლოდ პიროვნების სოციალურ ქმედებებში როდი ვლინდება. ნებისყოფისათვის

სპეციფიკური ფუნქცია პიროვნებაში გამოვლინდება. სხვაგვარად ფსიქოლოგია აღარ იქნებოდა ერთერთი აუცილებელი მეცნიერება პიროვნების შესახებ და აღარც სოციალურის პრიორიტეტი გვექნებოდა პიროვნებაში, როგორც ერთ მთლიან ბიოსოციალურ არსებაში.

პიროვნებაში სოციალური ასპექტის უმთავრესობა განსაზღვრავს მის ადგილს ცალკეულ ჯგუფებში და საერთოდ მთელს საზოგადოებაში. ეს ასპექტი ედება საფუძვლად არა მხოლოდ ეთიკურ-ზნეობრივ ვალდებულებებს, არამედ ადამიანის მიერ სხვების გათვალისწინებით განხორციელებულ ყოველგვარ აქტივობას — ქმედებასაც და განცდასაც. რადგან პიროვნება არა მხოლოდ სოციალურად მოქმედებს, არამედ სოციალური განცდების მატარებელიცაა.

**პიროვნება წარმოადგენს ისეთ ადამიანს, ვისაც უჭირავს გარკვეული ადგილი საზოგადოებაში და აქვს თავისი უფლება—მოვალეობები და ურთიერთობანი.**

პიროვნების ასეთი განსაზღვრება მოიცავს მის განუყრელ კავშირს როგორც ცნობიერებასთან, ისე სოციალურ აქტივობასთან. ცნობიერება პიროვნების დონეს გულისხმობს ფსიქიკის განვითარებაში. ხოლო სოციალური აქტივობა არის ის, რაშიც ყალიბდება და ვლინდება პიროვნება: რაც უფრო აქტიურია პიროვნება, მით უკეთ წარმოჩნდება მისი ინდივიდუალურ-პიროვნებისეული თვისებები, რომლებიც ქმნიან პიროვნების ინდივიდუალობას და მის განუმეორებლობას, პიროვნება, თავისი არსით სოციალური არსებაა, რომელიც ამავე დროს აუცილებლობით ატარებს ორგანიზმის ბიოლოგიური წყობის ანარეკლს.

## § 2. პიროვნების სტრუქტურა

კონკრეტული ინდივიდუალური პიროვნება მიიღება იმ განსხვავებულ თავისებურებათა ერთობლიობით, რომელშიც სხვადასხვა დონით და ოდენობით არის წარმოდგენილი ბიოლოგიურისა და სოციალურის თანაფარდობა. ამ თავისებურებათა სტრუქტურული წყობა ბიოლოგიურისა და სოციალურის თანაშეფარდებამ უნდა აგვიხსნას ყველა კონკრეტულ შემთხვევაში და მანვე უნდა გადაწყვიტოს საკითხი ერთერთი მათგანის გადამწყვეტი როლის შესახებ.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ადამიანი ცოცხალი არსების ერთერთი სახეობაა და მისთვისაც დამახასიათებელია ყველა ის ატრიბუტი, რაც სიცოცხლეს ახასიათებს. ადამიანიც ბიოლოგიური უნარების მატარებელია. პიროვნების ეს ბიოლოგიური საფუძველი

სრულად აცილებული პირობაა, მაგრამ არა საკმარისი: თავისთავად მას არ შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ისეთი პიროვნული და ინდივიდუალური თავისებურებანი, როგორიცაა ხასიათი, ინტერესები, მსოფლმხედველობა და სხვა.

პიროვნებაში ბიოლოგიურისა და სულიერის თანაფარდობის გარკვევის გარეშე, მისი სოციალური სტრუქტურის ანალიზი შეუძლებელია. ამას ემატება აღნიშნული საკითხის გარკვევის პრაქტიკული საჭიროებაც, რასაც მოითხოვს ცხოვრება და სხვადასხვა მეცნიერება.

პიროვნების სტრუქტურის განხილვა ერთხელ კიდევ დადასტურება იქნება სამივე ასპექტის ერთად არსებობისა, რომელიც მოიცავს სხეულს, ფსიქიკას და სულის უმაღლეს უნარებს, აზროვნებისა და ნებისყოფის სახით. პირველი ორის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ წინა თავებში, ახლა კი ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება მესამეზე, რომელიც არსებითია პიროვნებისათვის.

ამით ჩვენ, ფსიქიკის შესწავლის შემდეგ, გადავდივართ სულის უფრო მაღალ, პიროვნულ უმაღლეს სულიერ გამოვლინებებზე, რომლებიც ცალკე მყოფ ადამიანში არ შეიძლება იყოს; ისინი მხოლოდ სხვებთან კავშირში მყოფ პიროვნებაში არსებობს, მათი ღმერთისეული ხასიათი სხვა პიროვნებებთან მიმართებასა და დამოკიდებულებაში აირეკლება.

მთლიან პიროვნებაში ბიოლოგიური და სოციალური ქვესტრუქტურების გამოყოფა გვიჩვენებს თითოეული მათგანის კონკრეტულ როლს და ურთიერთმიმართებას. ბიოლოგიური სტრუქტურები განაპირობებენ ფსიქიური პროცესებისა და ელემენტების შინაგანი კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების ბიოლოგიურ ორგანიზაციას და ამის გამო საფუძვლად ედება პიროვნების ისეთი ფსიქიკური ნიშან-თვისებების გამოვლენას, როგორიცაა რეაქციის მანერა და რიტმი, იმპულსურობა და შეკავებულობა, ცალკეული ფსიქიკური პროცესების (აზროვნების, მეხსიერების, გრძნობების და ა. შ.) ფიზიოლოგიური საფუძვლები და სხვა.

სოციალური სტრუქტურებისათვის კი დამახასიათებელია პიროვნული, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით უფრო მაღალი თვისებების განპირობებულობა; ასეთია ყველაფერი, რაც შედის ადამიანის როგორც პიროვნების სტრუქტურაში და პიროვნების ცნების განსაზღვრებაში იგულისხმება.

**სოციალური სტრუქტურები განსაზღვრავენ პიროვნების დამოკიდებულებებს მთელი სინამდვილისადმი, როგორც სოციალური,**

**ბის საგნობრივი სინამდვილისადმი.** ეს სტრუქტურები მოიცავენ ცოდნას, ინტერესებს, პოზიციებს, შეხედულებებს, რწმენას, იდეალებს, ნებლობით და ხასიათისეულ ნიშანთვისებებს და ა. შ.

ამ ორი ძირითადი ქვესტრუქტურის ერთიანობითაა განპირობებული პიროვნების ძირითადი თვისებები, რომელთა რიცხვი ძალზე დიდია. დღეისათვის მათ რაოდენობას ზოგჯერ ათასობით ასახელებენ. მაგრამ ამ დიდ მრავალფეროვნებაში ჩვეულებრივ გამოყოფენ ხოლმე მთავარ, საკვანძო, თუ საყრდენ თვისებებს, რომლებიც შედარებით უფრო მყარი და უცვლელია და ყველა თანაბარ პირობებში ერთნაირად იჩენენ თავს. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, პიროვნების სტრუქტურის განხილვის დროს ყურადღება მიბრუნდება დინამიკურ და ფუნქციურ მხარეებზე. ამ მიმართულებით შედარებით უკეთაა გათვალისწინებული სადღეისო მოთხოვნები ცნობილი რუსი ფსიქოლოგის კ. პლატონოვის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურაში. მის მიერ მოცემული კლასიფიკაციის დ. უზნაძისეული განწყობის ზოგად ფსიქოლოგიური თეორიის თვალთახედვით შესაბამისობაში მოყვანის გზით, შესაძლებელია შედარებით სრულყოფილი სახით იქნას წარმოდგენილი პიროვნების სტრუქტურის მოდელი.

პიროვნების სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილი სქემის შესატყვისად ოთხ ძირითად იერარქიულ ქვესისტემას მოიცავს, იძლევა მთლიანი პიროვნების ამომწურავი ფსიქოლოგიური დახასიათების საშუალებას. ამასთანავე მასზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება პიროვნების ტიპის დადგენა და შესწავლა, რაც ცალკე განხილება შემდეგ თავში.

**ბიოფსიქოლოგიური თვისებები** პიროვნებაში წარმოდგენილია ტემპერამენტის და მასთან დაკავშირებული სქესობრივი, ასაკობრივი, პათოლოგიური და ორგანული ცვლილების გამომხატველი თავისებურებების სახით. აქ ვლინდება პიროვნების ისეთი თვისებები, რომლებიც უმეტესად დამოკიდებულია ნერვული სისტემის და ტვინის ფიზიოლოგიურ თავისებურებებზე: აქტივობის ეს ასპექტი ბიოლოგიურ ფაქტორებზეა დამოკიდებული და აქ სოციალური გავლენა ძალზე უმნიშვნელოა.

**უნარი და შესაძლებლობა** შედარებით უფრო დაშორებულია წმინდა ბიოლოგიურ განპირობებულობისაგან, თუმცა ჯერ ძალიან დიდი კავშირი აქვს მასთან. ამ ქვესისტემის პიროვნული აქტივობა მოიცავს უნარებს, ჩვევებს, ცოდნას და ჩვეულებებს (სტერეოტიპებს). აქ სოციალური ასპექტი იმაში ჩანს, რომ მათი ფორმირებისათვის ძირითად გზად წარმოდგენილია სწავლა. ეს თვისებები მხო-

ლოდ ინდივიდუალური სწავლის საშუალებით შეიძლება ჩამოყალიბდეს. ეს კვესისტემა როგორღაც გარდამავალია ინდივიდუალური ცნობიერებიდან და კულტურიდან საერთოზე, საზოგადოებრივზე.

**ფსიქიკური განცდის პირობაში** ის თაეისთავადი, ბუნებრივი თვისებები იგულისხმება, რომლებიც ფსიქიკური აქტივობის და ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების დინამიკას განსაზღვრავს. მასზეა დამოკიდებული ამ პროცესთა აღმოცენების სისწრაფე, მათი ძალა და სიმტკიცე; აგრეთვე რიტმი, ტემპი, მიმდინარეობა და სხვა მახასიათებლები. ამ სისტემაში შემავალ ელემენტს წარმოადგენს ყოველი ფსიქიკური პროცესი შეგრძნებიდან ნებისყოფამდე, რამდენადაც ამ პროცესების განცდა კონკრეტულ პიროვნებაში დამოკიდებულია მის საერთო.ბუ კერძო თვისებურებაზე. განსაკუთრებით აქ იჩენს თავს ტემპერამენტულ ემოციური თავისებურებანი, რაც მკაფიოდ აირეკლება მათ გარე გამოსახულებებში. მაგალითად, მიმიკაში, პანტომიმიკაში, ჟესტებსა და სხვადასხვაგვარ უნებლიე მოძრაობებში.

**მიმართულობა და სინამდვილისადმი დამოკიდებულება** ფაქტობრივად უპირატესი სახით გვეძლევა; მასში პიროვნებისეული, მაღალი თვისებების ძალზე ფართო სპექტრია წარმოდგენილი. კერძოდ, დაწყებული რწმენითა და მსოფლმხედველობით, დამთავრებული ისეთი კონკრეტული თვისებებით, როგორიცაა ინტერესები, მიდრეკილებანი, გულღიობა, თავმდაბლობა, სიმამაცე და ა. შ. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ბიოლოგიური აქ შედარებით უმნიშვნელოა და პრიორიტეტი მთლიანად სოციალურს ეკუთვნის, ეს კარგად ჩანს ამ თვისებათა ფორმირების ძირითად საშუალებებში. მთავარ სახედ აქ აღზრდა გვეელინება, პიროვნული ნიშან-თვისებები სოციალურ ფილტრში გაელილ ფენომენს წარმოადგენენ. მათში წარმოდგენილია ორი ძირითადი მიმართულება, რომელთა ფორმირებაც პირდაპირ უკავშირდება სოციალური ღირებულების მქონე ქმედებებს. ესენია: ბასიათი და სინამდვილისადმი დამოკიდებულება. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანისათვის სპეციფიკურ განცდასთან—ნებისყოფასთან და მის საფუძველზე არსებულ ქმედების ფორმებთან. ამიტომაც პიროვნების ძირითად თვისებებში ეს ასპექტები წამყვან ფორმად ითვლება. ამ ბოლო კვესისტემის ანალიზით გამოიკვეთება პიროვნების სტრუქტურაში სოციალურის წამყვანი როლი. პიროვნება მთელ თავის ქცევას მართავს სოციალური სისტემებით. სხვაგვარად ადამიანი პიროვნება ვერც იქნებოდა, რადგან მთლიანპიროვნული ინტეგრაცია ვერ მოხდებოდა მასში.

ასეთი ინტეგრაცია სულის საშუალებით ხდება. მის გარეშე „მე“ იგივეობრივი ვერ იქნებოდა, მასში უცელელი რაცაა, ეს სულია. ადამიანი როგორც „მე“ უნდა ამაღლდეს გრძნობებსა და ფსიქიკაზე, რადგან თავისთავად ცნობიერება არაა სული, იგი მოწმეა, აღმნუსხველია ყველაფრისა და არა შემომქმედი. მას ჩვენ ემპირიულად და ფაქტიურადაც განვიცდით როგორც მოწმეს. ასეთი პიროვნება შემაერთებელია, როგორც „მე“, სულისა და სხეულისა: ყველა ბიოლოგიური და ფსიქიკური ძალები მას ემსახურება, რის საფუძველზეც იგი თავად სულის მსახურია. გამოდის, რომ ფსიქიკის მატარებელი ადამიანი საყრდენია, ღეროა, ღერძია: მას ფესვებიც (სხეული) აქვს და ყვავილებსაც ისხამს (სულის წვდომა). ასეთი ადამიანი განსულიერებულია სხეულში და ამაღლებულია გონისა და ნებისყოფის საშუალებით პიროვნებამდე.

როგორც შესავალ ნაწილში ვნახეთ, ადამიანის სხეული აიგება და არსებობს ფიზიკურ სამყაროში, ხოლო სულიერი სხეული აიგება სულიერ სამყაროში და მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნის. როგორც სხეული ახდენს ასიმილაციას და ითვისებს ნივთიერებებს, ასევე სული პიროვნების სახით, ყველაფერს იღებს და ისაკუთრებს. სულიერსაც აქვს თავისი გარსი, სხეულის კანის მსგავსად, რითაც გამოყოფილია სხვებისაგან: ამიტომაც ისინი ერთმანეთში არ ილესებიან და დამოუკიდებელი არსებობა გააჩნიათ. მაგრამ სულები ცალკე, ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ, ისინი პიროვნებების სახით, ქმნიან ჯგუფებს და საზოგადოებას, ისტორიას. საბარებაში წერია, რომ ჩვენი სულის სტრუქტურები ჩვენი ისტორიიდან მოდის და როგორც მისი სიმბოლო ჩვენი ბედის მატარებელია.

ამრიგად, **პიროვნება სამ ასპექტს (სხეული, ფსიქიკა, სული) მოიცავს და თავის მხრივ როგორც მთლიანი, დამოუკიდებლად არსებობს**. მაგრამ პიროვნება უბრალოდ არსებობს კი არა, იგი ამავე დროს, ისტორიის და ბიოგრაფიის მქონეა. პიროვნება როგორც სულის ნაყოფი, მარტო ვერ იარსებებს. სულის ტარება ადამიანს მარტოს არ შეუძლია. როგორც ნ. დუმბაძე ამბობდა, სული მძიმეა და მისი ტარება ერთ ადამიანს არ შეუძლია, ამიტომ ერთმანეთს უნდა მოვეხმაროთ და ხელი შევუწყოთ: მე—შენ, შენ—სხვას, სხვამ—კიდევ სხვას და ა. შ. სხვაგვარად არ შეიძლება ნორმალურად და თავისუფლად იგრძნო თავი სამყაროში, როგორც შენს სახლში: სხვაგვარად არ არსებობს ადამიანური ურთიერთობები, სიმპატია-ანტიპატია, სიყვარული, სიკეთე.

როგორც უკვე ვიცით, ყოველგვარი მატერიალურისაგან განსხვავებით, სულის არსი განვითარება და სრულყოფაა, რაც მასავით უსასრულოა, მუდმივია, ნამდვილია, უსაზღვროა. მატერიალური სხეული, მცენარე და ცხოველიც კი, გარკვეულ ფარგლებში ვითარდება და მერე უკუსვლას განიცდის, იღუპება. სულის გამომვლენელი აზრი და ნება მასავით უსაზღვროა: ცოდნამ არ იცის საზღვარი, იქი არ იფარგლება სივრცით და დროთი. ამიტომაა, რომ ადამიანის სხეული, მისი ორგანოები ბერდება და არა სულის უნარები.

აღნიშნული გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს სულის მუდმივობაზე. სიცოცხლის ფარგლებში ამ მუდმივობის გამოვლენაა ადამიანის გულისა და ტვინის უწყვეტი მუშაობა. თუმცა ჩვენ ხშირად არ ვაცნობიერებთ, რომ ტვინიც გულივით შეუჩერებლად მუშაობს სიცოცხლის დასასრულამდე. მისი მუშაობა გახელილ თვალს გავს, რომელიც სულ რაღაცას ხედავს და ამის გამო არც ცვდება და არც ავადდება ნორმალურ პირობებში. ასეა ყველა სულიერი უნარი, ისინი მოქმედებაში კი არ სუსტდებიან და ცვდებიან, მატერიალური სხეულებივით, არამედ უფრო ძლიერდებიან. ასეთია, პირველ რიგში, სწორედ, გონება, ნებისყოფა, ზნეობა და სიკეთე.

ამგვარი გაგების გარეშე პიროვნების ცნება ვერ მიიღება. **პიროვნება აქტივობისა და ურთიერთობის გარეშე ვერ გაჩნდება,** მარტო მყოფი ადამიანი პიროვნება არ არის, ისევე როგორც სულისა ...ია მისი აქტივობის გარეშე. მაგრამ პიროვნება მუდამ ერთგვაროვანი არაა, რადგან მისი სული მუდმივ განვითარებასა და ატივობას იძლევა. მისი სულიერი უნარები განსაზღვრული თანმიმდევრობით ვლინდებიან გარკვეულ მომენტებსა და პერიოდებში. ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვი შესაფერის ასაკამდე ვერ მიიღებს გარკვეულ ცოდნას და ჩვეულს და ასევე პირიქით, ამ პერიოდის გავლის შემდეგ იგი ვეღარასოდეს მიიღებს მას.

ასეთივე კანონზომიერება ახასიათებს პიროვნებას ყველაფერში მთელი ცხოვრების მანძილზე. ჭკვიანი და ზნეობრივი ადამიანები წინასწარ ითვალისწინებენ ყოველივეს, ცდილობენ მიაგნონ თავისი საქმიანობის ოპტიმალურ პერიოდებს, როცა მაქსიმუმის გაკეთება შეუძლიათ. ამის გარეშე ვერც ბიზნესი იარსებებს და ვერც შემოქმედება. ასე კეთდება ყველა დიდი საქმე და ამ პერიოდში აღწევს პიროვნებაც თავისი უნარების გამოვლენის უმაღლეს დონეს. ამავე პერიოდში ხდება უმეტესად პიროვნების, როგორც შემომქმედის (ხშირად ფიზიკურადაც) წასვლა სარბიელიდან, თუმცა უკუდავების დამკვიდრებაც ხდება. ამ ფაქტს კარგად ესადაგება მ. მა-

მარდაშვილის ხატოვანი ნათქვამი: როცა მწვერვალზე ხარ—წადი და დარჩები.

პიროვნებაში სულის არსებობის დასტურია სიკეთის უნარი, სიკეთისაკენ სწრაფვა. სიკეთის სიყვარული და მისი ძიება არის ადამიანში მისი არსებობის დადასტურება. ადამიანი სიკეთეს ეძებს ღმერთის მიერ მისთვის ბოძებული ამ უნარის გამო: თუ მართლა სერიოზულად ეძებ, ეს შენში სიკეთის არსებობის მაჩვენებელი: უკვე; რადგან სიკეთესთან უნდა მიხვიდე და არა ის მოგივიდეს. ასეთი მაღალი მისია მხოლოდ პიროვნების დონეზე მყოფ ადამიანს აქვს, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას ურთიერთობებზეც. ამისათვის კი, პირველ რიგში, მას აქტივობის საფუძველი და საშუალებები ესაჭიროება.

## § 3. პიროვნების აქტივობის საფუძვლები

ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ყველა სხვა ცოცხალი არსების მსგავსად, აუცილებელია ხელსაყრელი გარემო პირობები. ცოცხალი არსება გარემოსთან გაწონასწორებულ მდგომარეობაში იმყოფება მანამ, სანამ მისთვის შესატყვისი რეაქციების განხორციელებაა შესაძლებელი. თუ ეს ურთიერთობა, როგორც სასიცოცხლო მდგომარეობის შენარჩუნების პირობა, დაირღვა, ეს თავს **იჩენს როგორც დანაკლისი და უკმარისობა. ამ დანაკლისის განცდას მოთხოვნილება წარმოადგენს.**

პიროვნებაც, როგორც ცოცხალი არსების ერთერთი ფორმა, ამ ზოგად კანონზომიერებაშია ჩართული: ისიც ხელსაყრელი პირობების არ არსებობის შემთხვევაში იწყებს საჭირო აქტივობას, მისი აქტიობის საფუძველიც მოთხოვნილებებია. მაგრამ პიროვნებას აქვს არა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი საგნების და მოვლენების მოთხოვნილება, არამედ მას მაღალი, კულტურული, წმინდა პიროვნებისეული, ანუ სოციალური მოთხოვნილებებიც გააჩნია, რომლებიც დაფუძნებულია ღირებულებების განცდაზე და საზოგადოების სპეციფიკურ სტრუქტურაზე.

პიროვნების აქტივობის საფუძვლები, მისი მრავალმხრივი მოთხოვნილებების და მათგან გამომდინარე მოტივების, მიზნების, ამოცანების სახით გვეძლევა. პიროვნების სპეციფიკური აქტივობის წყაროს მაღალი ადამიანური მოთხოვნილებები წარმოადგენს, რომლებიც მისი სხვებთან ერთად მოღვაწეობის პროცესში ყალიბდება და ამდენად, სოციალურ-კულტურული განვითარების პროდუქტია.

აქედან გასაგებია პიროვნების მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების პროცესის არსებითი სხვაობა ცხოველთა სამყაროსაგან.

როგორც უკვე ვნახეთ, პიროვნების ყოველგვარი მოქმედება და აქტივობა მიმდინარეობს მოთხოვნილების ან ნებისყოფის საფუძველზე. გენეზისის მიხედვით, პირველადი მოთხოვნილებებია და ისინი უზრუნველყოფენ სასიცოცხლო ატივობებს ყველა დონეზე. ადამიანში დაბადებიდანვე მოთხოვნილებები მთლიანად განაპირობებენ ყოველგვარ აქტივობას, ნებისყოფის აღმოცენების შემდეგ კი მასთან ერთად და მისი დახმარებით. თუ ადამიანების რეალურ ყოფას დავაკვირდებით, ვნახავთ რომ მოთხოვნილებებს აქტივობაში მოყავს არა მხოლოდ პიროვნება, არამედ მთელი საზოგადოებაც: რასაც აკეთებს ადამიანი ყველაფერი მისი ან სხვების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ითვალისწინებს.

მოთხოვნილებები ძირითადად თანშობილი მიდრეკილებებიდან მოდის, მაგრამ შემდეგ ბევრი მათგანი ინდივიდუალურადაც შეიძინება. მათი სახით ჩნდება აქტიეობის ტენდენცია რაიმე მიმართულებით, რომელის დაუკმაყოფილებლობა იწვევს უსიამოვნებას, დაძაბულობას და ტანჯვას. ამ ტენდენციის შეუსრულებლობა იწვევს ცალკეული ორგანოების ფუნქციობის დაკარგვასაც კი. თუ რომელიმე ორგანო (მაგალითად, ფეხი) დიდხანს უმოქმედოდაა, იგი კარგავს მოქმედების მოთხოვნილებას და გადაგვარდება. ამ ორგანოებისათვის ხომ იმთავითვე მოცემულია აქტივობის მოთხოვნილება და ამ ატივობაში ისინი კი არ ცვდებიან მატერიალური საგნებივით, არამედ უფრო ვითარდებიან და სრულყოფილი ხდებიან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მოთხოვნილება ყოველთვის აწმყოს მდგომარეობაა, იგი ახლანდელი დანაკლისის განცდაა და მისი შევსებისათვის აქტივობას გულისხმობს. ამიტომაცაა იგი პირველადი განცდის თვალსაზრისითაც. მთავარია, აღინიშნოს ისიც, რომ პრინციპულად იგი დასაწყისში ღიაა და ყველა სახისაკენ შეიძლება წარიმართოს, ყველანაირი მოთხოვნილება შეიძლება განვითარდეს შემდგომ ამ საერთო აქტივობის ტენდენციიდან, რომელთა გამოვლენა და განვითარება ხდება დაბადებიდან სიცოცხლის დასასრულამდე. დ. უზნაძის განწყობის თეორიის შესაბამისად, აქტივობის მოთხოვნილება თავიდანვე მოცემული და ძირითადია, თავდაცვის ანუ სიცოცხლის შენარჩუნების მოთხოვნილებასთან ერთად.

თუ აღნიშნულ გარემოებებთან ერთად გავითვალისწინებთ მოთხოვნილებების მიმართებას განწყობასა და მოქმედებასთან, **პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე მოთხოვნილებანი**

**შეიძლება დავყოთ ოთხ ძირითად სახედ:** ბიოლოგიური, ანუ სასიცოცხლო, ფუნქციური, შემეცნებითი და სოციალური მოთხოვნილებანი.

**ბიოლოგიური ანუ სასიცოცხლო მოთხოვნილებანი** დაკავშირებულია ისეთ აქტივობასთან, რომლებიც მიმართულია სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, ეს მოთხოვნილებები ისეთი აქტიობის სიგნალია, რომელთა განხორციელების გარეშე გარემოსთან სასიცოცხლოდ აუცილებელი წონასწორობა ვერ იქნება შენარჩუნებული: სწორედ ისინი სიგნალს იძლევიან აუცილებელი დანაკლისის შესახებ. ამ მოთხოვნილებებს მიეკუთვნება: შიმშილის, წყურვილის, სუნთქვის, ძილის, ტემპერატურის, გამრავლების და სხვა ისეთი მოთხოვნილებები, რომელთა დაუკმაყოფილებლობა ზიანს აყენებს ცოცხალი ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებს, იწვევს მთელი ორგანიზმის დაზიანებას და საბოლოოდ სიცოცხლის შეწყვეტას. ამ მოთხოვნილებებს ზოგჯერ თვითშენახვის, სიცოცხლის შენარჩუნების მოთხოვნილების სახელით მოიხსენიებენ. რაკი ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია საგნობრივი სინამდვილე, ე. ი. კონკრეტული სახით მოცემული რეალური საგნის მოხმარება, ამიტომ მათ საგნობრივ მოთხოვნილებებსაც უწოდებენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საგნის მოთხოვნილება სხვაგანაც არსებობს.

სასიცოცხლო მოთხოვნილებანი თავისი არსით საერთოა ყველა არსებისათვის. მაგრამ პიროვნებაში მათი რაოდენობაც და გამოკლენის ფორმებიც გადიდებულია და რაც კიდევ უფრო მთავარია, შეცვლილი, გართულებული და გალამაზებულია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიმდინარეობის პროცესი. მაგალითად, შიმშილის მოთხოვნების დიფერენცირებული და საოცრად დახვეწილი ფორმაც იკმარებდა: ადამიანს მოცემულ კონკრეტულ პირობებში საშმლის ამათუ იმ სახეზე აქვს მოთხოვნილება; ამასთანავე საოცრად შეცვლილი და გაკულტურებულია ჭამის პროცესი, რაც განსაკუთრებით ერთად პურობისა და ოფიციალური სადილების შემთხვევაში ჩანს გამოკვეთილად.

ადამიანისათვის დამახასიათებელია ისეთი მოთხოვნილებებიც, რომლებიც არაა მიმართული საგნების მოპოვებაზე. **მათ ფუნქციურ მოთხოვნილებებს უწოდებენ.** ადამიანს უჩნდება მოძრაობის და მოქმედების ტენდენცია მაშინაც კი როცა საგნობრივი მოთხოვნილება არ არსებობს, რადგან ცოცხალი არსებისათვის უმოქმედოდ ყოფნა არაა ბუნებრივი მდგომარეობა. ამ ტენდენციისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ იგი აუცილებლობით არ საჭიროებს ცალკე ქმედებას: სხვა მოთხოვნილებით მიმდინარე მოქმედების პროცესშიც ხდება

ფუნქციური მოთხოვნლების დაკმაყოფილება.. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი ადამიანის ქმედების დამოუკიდელი ფორმებიდან პირდაპირ და უშუალოდ მხოლოდ თამაშში ვლინდება. ბავშვი თამაშს მიმართავს სწორედ იმის გამო, რომ ეს ძლიერი ტენდენცია ვერ კმაყოფილდება სერიოზულ საქმიანობაში, ბავშვის ძალების საამისოდ მოუმწიფებლობის გამო. ყველა ადამიანსა და ბავშვებთან ერთად, მოთხოვნილების ეს სახე დამახასიათებელია ცხოველებისათვისაც.

აღნიშნული ორი სახის მოთხოვნილება დიდი ხანია ცნობილია, როგორც ბუნებრივი და თანდაყოლილი, მაგრამ მათი დიფერენციაცია და განვითარება სოციალურ გარემოში მიმდინარეობს. შემდეგი ორი სახეც—ახალ შთაბეჭდილებათა მიღებისა და სოციალური კონტაქტის მოთხოვნილებანიც—თანდაყოლილ მექანიზმს ეფუძნებიან, მაგრამ მათი არსებობისათვის პრინციპულად აუცილებელია სოციალური ზემოქმედება: მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ორი სახე მხოლოდ ადამიანს გააჩნია.

**შემეცნებითი მოთხოვნილება წარმოადგენს ახალი შთაბეჭდილების მიღების, რაიმეს გაგების მოთხოვნილებას.** მისი გამოვლენა ხდება უშუალოდაც, ცნობისმოყვარეობის. ინტერესის, ცოდნისადმი მისწრაფების, ან სხვა სახით და არაპირდაპირი ფორმებითაც. ზოგადად კი, იგი თეორიული მოთხოვნილების სახით გვეძლევა მოზრდილ, ჩამოყალიბებულ ადამიანში. მისი კონკრეტული გამოვლენის ფორმად ინტერესი შეიძლება დავასახელოთ, რის შესახებაც ცალკე გვექნება მსჯელობა.

პიროვნებისათვის ყველაზე სპეციფიკურს **სოციალური მოთხოვნილებანი წარმოადგენს. სოციალური მოთხოვნილება წარმოადგენს სხვა ადამიანებთან კონტაქტის და ურთიერთობის მოთხოვნილებას.** მათში ვლინდება ადამიანის აქტიური დამოკიდებულება სხვა ადამიანებთან და ადამიანურ კულტურასთან. ეს მოთხოვნილებანი თავისი ბუნებით შეიძლება მატერიალურიც იყოს და სულიერიც. პირველი დაკავშირებულია მატერიალურ ყოფასთან, მის საერთო სარგებლობის თუ პირადი დანიშნულებით გამოყენებასთან (ტრანსპორტი, საოჯახო ნივთები, ტანსაცმელი და სხვა), მეორე კი—საზოგადოებრივად ღირებული კულტურის ათვისებასთან. ასეთია მუსიკის მოსმენის, წიგნის წაკითხვის, კინოთეატრის თუ ტელეგადაცემების ნახვის მოთხოვნილებანი და სხვა. ამ მოთხოვნილებათა შორის **განსაკუთრებული მნიშვნელობისაა,** თავისი გენეტიკური და საფუძველმდებლური როლით, **ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნი-**

ლება; ყველა სხვამ გამოვლინებანი მასზეა დაფუძნებული. კერძოდ, ამ სახის მოთხოვნილებანი ედება საფუძვლად მორალურ, ზნეობრივ ქმედებას. მათი გამოვლენის ასპარეზად ითვლება პიროვნების ზნეობრივად გამართლებული აქტივობა. ამიტომაც პიროვნებისათვის სოციოგენური წარმოშობის მოთხოვნილობებიდან წინა პლანზე დგას სოციალური პრესტიჟულობა, რომ ადამიანი სხვებისათვის იდეალური პიროვნება და მოქალაქე იყოს. ესაა სოციოგენური მოთხოვნილებების თავი და თავი და მათი რეალიზაციისაკენ სწრაფვის საფუძველი. ამის გარეშე არ შეიძლება იყოს პიროვნება.

ამრიგად, ადამიანის ყოველგვარ აქტივობას საფუძვლად უდევს ცალკეული სახისა და კონკრეტული მიმართულების მქონე მოთხოვნილებანი, მაგრამ თავისთავად ეს უშუალოდ ვერ გადავა ქცევაში. აქტივობის აღძვრისათვის საჭიროა ობიექტური პირობებიც: კერძოდ, საჭიროა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები და სიტუაცია. ამ ორი, სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების, თანხვედნის შედეგად აღმოცენდება განწყობა, რაც უშუალოდ წარმართავს აქტივობას. **პიროვნების აქტივობის საფუძვლებში სხვა სტიმულთა შორის უპირველესი და უმთავრესი არის განწყობა.** განწყობაა უშუალო საფუძველი ყოველგვარი აქტივობისა, იმის მიუხედავად უშუალოდ არსებული მოთხოვნილებებით აღიძვრება იგი, თუ მათგან გამომდინარე სხვა საფუძვლებით. ყველგან მთავარია სუბიექტის, ინდივიდის წინასწარი მომართვა—განწყობა მიზანშეწონილი რეაქციის განსახორციელებლად.

გასათვალისწინებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პიროვნებაში წარმოდგენილია სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებები და განწყობები: შემდგომ კი ხდება კონკრეტიზაცია და რეალური ქცევის მიზნებისა და ამოცანების დასახვა. აქ თავს იყრის მოთხოვნილებათა, სურვილთა, მისწრაფებათა თუ მიდრეკილებათა მთლიანი სპექტრი, რაც ქმნის ურთიერთშემცველ განწყობათა ერთიანობას და მოცემული ქცევის მოტივს წარმოშობს. ამის შემდეგ ჩვენ უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ქმედების კონკრეტულ, რეალურად გამოვლენილ საფუძველზე—მოტივზე, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს პიროვნების მიმართულებას.

ამჟამად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ პიროვნების მრავალპლანიან აქტივობას საფუძვლად უდევს ბიოლოგიური და სოციალური ასპექტებიდან გამომდინარე მოთხოვნილებები და მოტივები: რომ პიროვნებად გახდომისა და ყოფნის შესაძლებლობა ადამიანის ის ფსიქოლოგიური უნარია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს სოცია-

ლურად და საზოგადოებრივად ღირებული ქმედება განვახორციელოთ. შემდეგ კი პიროვნებად ყოფნის (გახდომის) მოთხოვნილება და პრესტიჟულობისაკენ სწრაფვა ერთერთ უმთავრეს მოტივად იქცევა და ყველა სხვა აქტივობაზე დომინირებს.

## § 4. პიროვნების თვითცნობიერება, ფსიქიკური ავტოპორტრეტი

როგორც უკვე ვნახეთ, პიროვნების სპეციფიკის განმსაზღვრელი სოციალური მხარეა: პიროვნება საზოგადოებაში ყალიბდება და არსებობს, მისი ფორმირების სხვა გზა არ არსებობს. პიროვნება, როგორც ბიოსოციალური არსება, აღზრდისა და სწავლის პროცესში ყალიბდება, მაგრამ იგი შინაგანი განვითარების ტენდენციებით იკვებება და **აღზრდის შედეგად იძენს ამ შინაგანის მართვის შეგნებულ უნარს, ანუ თვითცნობიერებას.**

რაკი პიროვნება ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ერთიანობას ეფუძნება, მისი თვითცნობიერების და საერთოდ ყოველგვარი პიროვნულის განვითარება არ შეიძლება ცალმხრივად აიხსნას: არც მხოლოდ ბიოლოგიურით, მით უმეტეს სპონტანური განვითარებით და არც მხოლოდ სოციოგენური ფაქტორებით, ანუ მხოლოდ გარემოს პირდაპირი გავლენით.

**პიროვნული თვისებები და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, რაშიც მისი თვითცნობიერება რეალიზდება, წარმოადგენს შინაგანი წინააღმდეგობის ნაყოფს.** ეს შინაგანი წინააღმდეგობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავს იჩენს აქტივობის აღმძღვრელი საფუძვლების და მათი დამაკმაყოფილებელი პირობების დაპირისპირებაში. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მათი გაჩენისთანავე არ ხდება. ეს რომ ასე იყოს, მისი რეალურად არსებობა არც იქნებოდა საჭირო: მოთხოვნილება ხომ რაიმეს ნაკლებობის სიგნალია და თუ ეს დარღვევა იმწამსვე აღდგებოდა, მისი განცდის საჭიროებაც არ იარსებებდა. სწორედ იმის გამო, რომ მზა სახით არ არსებობს მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი საგნები და სიტუაცია, იწყება პიროვნების აქტივობა საჭირო პირობების შესაქმნელად და მოსაპოვებლად.

აღნიშნულ ვითარებას თავისი ახსნა აქვს. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მყისთანავე ვერ იწყება, ან იმის გამო, რომ არაა საკმარისი მატერიალური უზრუნველყოფა, მზამზარეულად არაა მოცემული საჭირო საგნები, ან იმის გამო, რომ პიროვნება არაა მზად საჭირო ქმედებისათვის, ცოდნა-ჩვევების არასაკმარისობის

გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ პიროვნებ არ თვლის ამ მოქმედებას გამართლებულად გარკვეულ სიტუაციაში. სწორედ ეს მესამე კომპონენტია წინა პლანზე წამოწეული პიროვნებაში და ამაში ვლინდება სოციალური მოთხოვნილებების ძალაც და წამმართველი როლიც.

**მაშასადამე, ქმედების განხორციელება შესაძლებელი ხდება საჭირო მატერიალური რესურსების მოპოვების, ცოდნა-ჩვევების დაუფლების და თვითცნობიერების არსებობის საფუძველზე.** აღნიშნულ შემთხვევაში ხდება მოცემული წინააღმდეგობის დაძლევა და გადასვლა პიროვნების განვითარების ახალ საფეხურზე. ეს კი თავის მხრივ სრულიად ახალ მოთხოვნილებათა გაჩენას განაპირობებს. გამოდის, რომ მოთხოვნილების ახალი ფორმა ძველის ნიადაგზე ეფუძნება და თავის მხრივ, არსებულ შინაგან წინააღმდეგობას ედება საფუძვლად.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, პიროვნების ყოველგვარ აქტივობაში არსებითია სოციალური ასპექტები, რის გამოც იგი უბრალოდ მიზანშეწონილი ქცევის განხორციელებას კი არ ესწრაფვის მხოლოდ, არამედ ხშირად ეს ქცევა კონფლიქტში მოდის მის საკუთარ შეხედულებებთან, საკუთარ პოზიციებთან და ფიქსირებულ განწყობებთან.

რადგან ადამიანი სხვებთან ერთად ცხოვრობს და აქტივობს და იგი ჩართულია სოციალურ ურთიერთობათა სისტემაში. ამიტომ მასზე გავლენას ახდენს ამ სისტემაში შემავალი ჯგუფები და ყველანაირი პიროვნებათაშორისი ურთიერთობანი. ცალკეული ადამიანები გარკვეულ როლებს ასრულებენ ჯგუფებში; რის გამოც ისინი შესაბამის მოლოდინებსა და ორიენტაციებს ატარებენ. ამის გამო ჩნდება მთლიან საზოგადოებაში მორალურ-ეთიკური მოთხოვნები, რისი საშუალებითაც საზოგადოება გარკვეული სახის მოქმედებებს აკისრებს პიროვნებას. მთავარი ისაა, რომ პიროვნება განიცდის, მან იცის, რომ მისგან გარკვეული როლების შესატყვის ქცევას ელიან და ამის საფუძველზე **ადამიანს უმუშავდება გარკვეული სოციალური მოლოდინები,** რის გამოც სხვასაც და თავის თავსაც უყენებს სოციალურ მოთხოვნებს.

ამიტომაც პიროვნების მიერ განხორციელებული სოციალური ქცევა რთულ სახეს იღებს და უშუალოდ განცდილ მოთხოვნილებებთან ერთად, სოციალურად ღირებულ მომენტებზე ორიენტირებასაც გულისხმობს. ეს კი ისევ და ისევ ცნობიერებისა და ნებელობის ერთიანობაზე მიგვანიშნებს.

პიროვნება ახდენს არა მხოლოდ გარე სინამდვილისა და სოციალური გარემოცვის ობიექტივაციასა და გაცნობიერებას, არამედ **თავისი საკუთარი მე-სა და სხვებთან დამოკიდებულების გაცნობიერებასაც. ესაა თვითცნობიერების ძირითადი არსი.** იმის გამო, რომ სოციალური გარემო გარკვეულ მოთხოვნებს უყენებს, ადამიანი იძულებულია ქმედების დაწყების წინ გაარკვიოს ამ მოთხოვნების შინაარსი და ხასიათი, რაც თეორიული, შემეცნებითი მოტივების აღმოცენების საფუძველზე მიმდინარეობს.

თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე, ამ სოციალურ ფონზე ადამიანს უყალიბდება შედარებით მყარი დამოკიდებულებანი და შეხედულებები გარე სინამდვილის, სხვა ადამიანებსა და თავისი თავის შესახებ. იგი განიცდის თავის წარმატება-წარუმატებლობას და შესაბამის ცვლილებებს ახდენს თავის შეხედულებებში და სოციალურ ღირებულებათა განცდაში; ამის საფუძველზე შემდგომში იგი იმუშავებს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას, რის გამოც თანდათან კარგავს ფასს ისეთი ღირებულებები, რომელთა მიღწევის ცდები მარცხით მთავრდება. ადამიანი ამას ამართლებს კიდეც; ეს საქმე მაინც აღარ ღირდაო, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მსგავს შემთხვევებში ისეთ პიროვნებისეულ თვისებებს განეკუთვნება, როგორიცაა ნებისყოფის სიმტკიცე, პასუხისმგებლობის გრძნობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი და სხვა.

ღირებულებათა წვდომისათვის დამახასიათებელია, რომ ადამიანი ჯერ სხვის შეფასებას ახდენსდა შემდეგ საკუთარი პიროვნების. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ **ადამიანები საკუთარი თავის შეფასებას ორი თვალსაზრისით ახდენენ:** იმ ჯგუფის მიხედვით, რომელშიც რეალურად არიან ჩართული, ან იმ სანიმუშო ჯგუფის, თუ ცალკეული პიროვნებების მიხედვით, რომლებიც მათთვის მისაღებია.

მიუხედავად ასეთი ეტალონებისა, პიროვნებისათვის მაინც ძნელია საკუთარი თავის ობიექტური შეფასება, იგი ყოველთვის მეტნაკლებად იჩენს მიკერძოებას; ფაქტია, რომ ადამიანის შეხედულებები თავის თავზე მთლიანად არ ემთხვევა მასზე სხვა ადამიანის შეხედულებებს. მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს საკუთარი მე-ს განცდა ადამიანის მიერ ამის გარეშე ვერც პიროვნება იარსებებს და ვერც მისი ღირებულებათა სისტემა. ასეთი სოციალური განწყობების გარეშე პიროვნება დაკარგავდა თავის არსს—სოციალურობას.

პიროვნება ჩართულია საზოგადოებაში თავისი შინაგანი მიზნებით და მოტივებით, რომლებიც სოციალური თვალსაზრისით შე-

იძლება შეფასებული იქნას დადებითად ან უარყოფითად, ცალკეულ შემთხვევებში პიროვნების აქტიურობის რეალიზება ხდება იმ სოციალური როლების შესრულებით, რომელიც მას აკისრია. იმის შესატყვისად თუ რა მიზნებს ისახავს და როგორ ახრულებს მათ პიროვნება, ხდება მისი მდგომარეობისა და პრესტიჟის მოპოვება საზოგადოებაში, რაც ნათლად გამოიკვეთება მოცემული პიროვნების შესახებ არსებულ საზოგადოებრივ აზრში.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ პირობებში ხდება პიროვნების მიერ საკუთარი თავის შესახებ შეხედულებათა შემუშავებაც. ესაა მის მიერ თავისი მე-ს განცდა და შეფასება, თავისი მიზნებისა და მათი მიღწევის პროცესში წარმატება-წარუმატებლობის განცდა. პიროვნების შეხედულებას თავის თავზე, რომელიც მოიცავს შესატყვის წარმოდგენებსა და ცოდნას, ფსიქიკური ავტოპორტრეტი ეწოდება. საქართველოში ეს ტერმინი ათეული წლის წინ იქნა დამკვიდრებული შ. ნადირაშვილის მიერ.

ერთხელ კიდევ საგანგებოდ უნდა მივუთითოთ, რომ ის, რაც ფსიქიკურ ავტოპორტრეტშია წარმოდგენილი, მთლიანად როდი შეესაბამება ობიექტურ რეალობას. ობიექტურად იგი არაა ადამიანის რეალური მე, იგი ერთგვარად განზოგადებული და ნაწილობრივ მიკერძოებული სურათია მე-სი. ადამიანები არასოდეს არ არიან ზუსტად ისეთი, როგორადაც მათ მიაჩნიათ საკუთარი თავი.

ფსიქიკურ ავტოპორტრეტში აისახება პიროვნების აქტივობის საფუძვლად მდებარე მოთხოვნილებანი, მიდრეკილებანი, მისწრაფებანი, განწყობები და მათგან გამომდინარე უშუალო მოტივები და მიზნები. პრაქტიკულ ცხოვრებაში ხშირად ხდება იმედების გაცრუება, ვეღარ ხერხდება დასახული მიზნების მიღწევა, რის გამოც პიროვნება იძულებულია შეცვალოს ისინი, მაგრამ ასეთი შეცვლა და ახალი გეგმების აგება გამომდინარეობს არა მხოლოდ შეცვლილ გარემოებებიდან, არამედ თვით პიროვნებიდანაც. პიროვნება თვითონ იწყება შესაბამის აქტივობას და ახალი გზების ძიებას. ხდება ობიექტური სინამდვილის, ქმედების ცალკეული აქტების შეფასება და გათვალისწინება, რადგან ფსიქიკურ ავტოპორტრეტში აუცილებლობითაა გათვალისწინებული სხვა ადამიანების დამოკიდებულებანიც მე-ს მიმართ.

პიროვნების ფსიქიკური ავტოპორტრეტის ჩამოყალიბებაში მე-ს შესახებ წარმოდგენებთან ერთად დიდმნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ადგილი უჭირავს პიროვნებას საზოგადოებაში, როგორ უყურებენ მას სხვები, საბოლოოდ კი, პიროვნება თავისი

ფსიქიკური ავტოპორტრეტიდან გამომდინარე მოქმედებს, აფასებს თავის და სხვის რეაქციებს, იღებს გადაწყვეტილებას რა მოიმოქმედოს და როგორ. როგორც ცნობილი ფსიქოლოგი ტ. შიბუტანი აღნიშნავს, ადამიანი რას აკეთებს ან არ აკეთებს, ეს მნიშვნელოვნადაა განპირობებული იმით, თუ რა შეხედულება აქვს მას საკუთარ თაზე. ამდენად, ფსიქიკური ავტოპორტრეტი პიროვნების აქტიური პოზიციის გამოხატულება უფროა, ვიდრე ობიექტურ გარემოებათა ასახვა.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი თავს იჩენს როგორც საკუთარი, ისე სხვა ადამიანების საქციელისა და აზრების განცდა-შეფასებაში. ამით აიხსნება ისიც, რომ ადამიანი ხშირად არ ასრულებს რაიმე მოქმედებას, ან ახდენს მისი მიმდინარეობის შეჩერებას არა ფიზიკური და ობიექტური შეუძლებლობის გამო, არამედ საკუთარ თავთან წინააღმდეგობის გამო: მას ამის საშუალებას თავისი შინაგანი ბუნება და სინდისი არ აძლევს. ქმედების ნორმალურ პირობებში მიმდინარეობის შემთხვევაში პიროვნება თავისი ფსიქიკური ავტოპორტრეტის შესატყვისად მოქმედებს, თუ იძულებას არა აქვს ადგილი. იძულება კი მხოლოდ გარეგან ძალადობას როდი გულისხმობს; იძულება აგრეთვე ხათრის, სიმპატიის ან სხვა ასეთი ზეგავლენით გადაწყვეტილების მიღებაა ისევე, როგორც ხვეწნა-მუდარა და „დანამუსება". პიროვნების ფსიქიკური ავტოპორტრეტი თავისი ნამდვილი ბუნებით გამოვლინდება ავტონომიურ და თავისუფალ ქცევაში.

უფრო გამოკვეთილად ფსიქიკური ავტოპარტრეტის თავისებურებანი ვლინდება იმ შემთხვევებში, როცა აშკარაა შეუსაბამობა განხორციელებულ საქციელსა და ბუნებრივად არსებულ ავტოპორტრეტს შორის: როდესაც ადამიანი სხვადასხვა გარეგანი თუ შინაგანი იძულების გამო, ისეთ საქციელს ჩადის ან ისეთ რამეს ამბობს, რაც მის შინაგან ბუნებას, მის საკუთარ მე-ს არ შეესაბამება, მას აშკარად გამოხატული სინანულის ამ სინდისის ქეჯნის განცდა ეუფლება; ასეთივე რიგის განცდებია სირცხვილის, დანაშაულის და სხვადასხვაგვარი უხერხულობის განცდები. ასეთ შემთხვევაში პიროვნება დისკონფორტულ მდგომარეობაშია, ეწინააღმდეგება თავის თავს და ზოგჯერ გაორების განცდის. საკუთარი ფსიქიკური ავტოპორტრეტის საწინააღმდეგო ქმედების და მისი შედეგების შეფასებისას პიროვნება შფოთავს, წუხს და წარმატებით ვეღარ ასრულებ მოქმედებას. ამითაც აშკარაა, რომ შინაგანად ეს ქმედება მისთვის მისაღები არაა და მხოლოდ რაიმე სხვა ფაქტორების გამო შეიწყნარა იგი. ასეთი განცდები მით უფრო მეტი და ძლიერია, რაც

უფრო ზნეობრივია პიროვნება და რაც უფრო ხშირად ჰპრდება მას კომპრომისზე წასელა.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი ასევე აშკარად იჩენს თავს სხვისი საქციელის შეფასებასა და საერთოდ სხვა პიროვნებაზე მსჯელობაში. როგორც ცნობილია, **სხვა ადამიანებზე მსჯელობა წარმოაჩენს თვით მოცემულ პიროვნებასაც სწორედ იმის გამო, რომ იგი თავისი შეხედულებიდან გამომდინარე იძლევა შეფასებას.** ავი და კარგი, დადებითი და უარყოფითი შეიძლება უწოდო კაცს შენი ეტალონით, შეფასების შერეული კრიტერიუმით. როდესაც ადამიანი აცხადებს, რომ ყველა აგრესიულია მის მიმართ და ყველა მას ეჩხუბება, ეს ბევრის მთქმელია თვით მისი აგრესიულობის დასადასტურებლად: ან როდესაც ადამიანი კოლეგასა და მახლობელ ადამანს საყვედურობს უმადურობას, ესეც მისი ავტოპორტრეტის გარეგანი გამოვლენაა. ასეთ შემთხვევაში ავტოპორტრეტის არაცნობიერი კომპონენტები თამაშობენ დიდ როლს. ახლა მხოლოდ იმ ფაქტის დადასტურება გვინდა, რომ ადამიანი სხვებზე მსჯელობისას გამოავლენს თავის შინაგან მე-ს და საკუთარ თვისებებს. ეს უფრო თვალში საცემია უარყოფითი შეხედულებების გამოთქმის შემთხვევაში, ხოლო როცა ადამიანი სხვებს უფრო ადვილად აქებს, ეს იმდენად არ „ყვირის" და უფრო ბუნებრივად და მისაღებად განიცდება. ამით ისიც ნათლად ჩანს, რომ ადამიანი ადვილად ვერ ახერხებს სხვისი, ობიექტური თვალით ხედვას: იგი ყველას თავისი თავის მიხედვით ხედავს და აფასებს. ამიტომ საჭიროა საკუთარ თავზე გვერდიდან სხვისი თვალით შეხედვა და შეფასება.

ფსიქიკური ავტოპორტრეტის გამოვლენის მექანიზმი კიდევ უფრო ნათელი გახდება მისი ბუნებისა და თავისებურების ჩამოყალიბების გზების გარკვევის შემდეგ.

ფსიქიკური ავტოპორტრეტი, რომელიც საკუთარი მე-ს და გარემოს ობიექტივაციას და შემეცნებაში მათ დაპირისპირებას ეფუძნება, გულისხმობს ორგანიზმის როგორც ცალკე ერთეულის გარკვეულობასაც და სოციალურ ურთიერთობებში პიროვნულ გარკვეულობასაც. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ადამიანის წარმოდგენები საკუთარ თავზე და ისიც, თუ როგორ აფასებენ მას სხვა ადამიანები. ასევე, თავისი გარეგნობის შესახებ წარმოდგენებს ემატება საკუთარი პიროვნების უცვლელობისა და იდენტიფიკაციის განცდაც, გარკვეული სულიერი მთლიანობის თვითგანცდა და თვითცნობიერება, რის გამოც ფსიქიკური ავტოპორტრეტი წარმოგვიდგება პიროვნული ღირებულებების განცდის სახით. **თუმცა ეს ყოველთვის როდია გაცნობიერებული.** ისევე როგორც ადამიანის გან-

ცდების დაჭერა ძნელია თვითდაკვირვების პროცესებით, ფსიქიკური ავტოპორტრეტის შესახებაც, პიროვნება ვერ გადმოგვცემს სრულყოფილ ანგარიშს: ბევრ რამეს ის ვერც ამჩნევს, ან გარკვეულ მიკერძოებას იჩენს საკუთარი ღირსებისადმი და ალამაზებს კიდეც ფაქტიურ ვითარებას ამისგამო.

**ფსიქიკური ავტოპორტრეტი სოციალური ურთიერთობის პროფესში ყალიბდება.** როგორ აფასებს თავის თავს ადამიანი, ეს მნიშვნელოვან წილად იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ ექცევიან მას სხვები. გავიხსენოთ განსაკუთრებულობისა და გამორჩეულობის განცდა მლიქვნელთა გავლენით, ან არასრულფასოვნებების განცდა სისტემატური უარყოფითი დამოკიდებულებისა და გაუთავებელი შენიშვნების გამო. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ გარეგანი ზეგავლენა სარკისებურად როდი აისახება, პიროვნება თვითონ ახდენს ზემოქმედების სელექციას და განმტკიცებას.

სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ჩნდება საკუთარი ღირსების გამოფენისა და **პრესტიჟულობის მოთხოვნილება.** მოთხოვნილების შესწავლის დროს ჩვენ ვნახეთ, რომ საკუთარი თავის გამოყოფა-განმტკიცებისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებებს მიეკუთვნება პრესტიჟულობაც. ეს სრულიად ნორმალურია, ესაა აღიარების, თვითდამკვიდრების და გამორჩეულობის სურვილი. უამისობა ძნელი ასატანია; თუ არავინ გამჩნევს, პასუხს არ გაძლევს, არაფრად გაგდებს, ეს უდიდესი ტკივილია, ძნელიც არის და ცუდიც.

მაგრამ საქმე ისაა, რომ შეიძლება არასწორ გზას მიმართოს ადამიანმა პრესტიჟულობის მიაღწევდა: თავისთავად მასზე ზრუნვა—შენი თავის სხვებზე წინ დაყენება, მათი არ დანახვა, მლიქვნელების შენს ირგვლივ შემოკრება, ტრაბახი და სხვა ასეთი მიუღებელია ზნეობრივად. მხოლოდ შენი სიკეთით, საქმიანობით და ნიჭიერებით უნდა მოიპოვო პრესტიჟი. არც გარეგნობაზე და ჩაცმაზე ზრუნვა, ან სიმდიდრე და სამსახურებრივი მდგომარეობა მოიტანს ნამდვილ პრესტიჟს. რა გაქვს და ვინ გყავს კი არა; მთავარია—რა შეგიძლია, რას აკეთებ, რა უნარებისა და თვისებების პატრონი ხარ.

პრესტიჟულობასთან დაკავშირებული მისი განცდა და შეფასება, რაც ყველაზე მეტად **პრეტენზიულობის მაჩვენებლით** გამოიხატება. რა თქმა უნდა, არც გადამეტებული პრეტენზიებია სწორი და მისაღები, მაგრამ არც სულ უპრეტენზიობა და საკუთარის შეუფასებლობა ვარგა. ოპტიმალურია ისეთი ავტოპორტრეტის არსებობა, რომ ობიექტური შეფასებაც გქონდეს და მისი შესაბამისი

პრეტენზიაც გაგვაჩნდეს. პრეტიჟის მოთხოვნილებას და პრეტენზიულობას კარგად აღზრდილი ადამიანი აშკარად არც ავლენს და ამაშიც ზომიერებას იცავს.

კულტურული და განათლებული პიროვნებისათვის თვითშეფასება და პრეტენზიულობა დაკავშირებულია სხვა ადამიანების მიერ შეფასებასთან. ადამიანის თვითშეფასებაზე გადამწყვეტ გავლენასნას ახდენს ის, თუ რას ფიქრობენ, მისი აზრით სხვები მასზე, მაგრამ სიძნელე სწორედ ამ აზრის მისაწვდომობაშია, რამდენად გამოვიცანით ობიექტურად სხვისი აზრი. ერთი მაინც უდავოა; ფსიქიკური ავტოპორტრეტი პიროვნების თვითგაცდის და სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთქმედების ნაყოფია. ამ დასკვნის სისწორე გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ პიროვნების ბიოსოციალურ მთლიანობაში სოციალურის განმსაზღვრელ როლს.

იმის აღნიშვნა, რომ ფსიქიკურ ავტოპორტრეტს ყოველთვის ვერ აცნობიერებს ადამიანი და ბევრი რამ მისთვის შეუმჩნეველი რჩება, არ ნიშნავს მისი გამოვლენის განსხვავებულობას ცნობიერების დონეების მიხედვით. ასევე ფაქტია, რომ ზოგჯერ ადამიანებმა იციან თავისი უარყოფითი თვისებები და მხარეები, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. იგივე შედეგს ვიღებთ, ასეთი ცოდნის შემთხვევაში ადამიანი ამაყობს დადებითად შეფასებული ნიშან-თვისებებით და უარყოფით დამოკიდებულებას ჭამოხატავს საპირისპიროთა მიმართ. ასეთი განცდის საფუძველზე გონიერი და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი ცდილობს თავისი ავტოპორტრეტის შესწორებას და იდეალურთან მიახლოვებას. როდესაც ადამიანი კარგად ერკვევა თავის მე-ში და ფსიქიკურ თვისებებში, მისი ფსიქიკური ავტოპორტრეტი შეიძლება იყოს საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების და მის შესახებ ცოდნის ერთობლიობის გამომხატველი. მაგრამ მხატვრის მიერ შექმნილი ავტოპორტრეტის მსგავსად, აქაც მაინც გარკვეული კუთხითა და აქცენტით იქნება დანახული და წარმოდგენილი საკუთარი პიროვნება, რომელიც მოიცავს შესაბამის წარმოდგენებს, აზრებს, დამოკიდებულებებს და განწყობებს.

ფსიქიკურ ავტოპორტრეტს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის სტილის ჩამოყალიბება-შერჩევაში. ამ .აქტში ჩანს, რომ პიროვნების ფსიქიური აქტივობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა აზრისაა იგი თავისი მე-ს შესახებ და როგორი დამოკიდებულება აქვს სხვებისა და საკუთარი თავისადმი. ამიტომ ფსიქიკური ავტოპორტრეტის შესწავლის საჭიროება სრულიად ნათელია.

# თ ა ვ ი XI

# პიროვნების ფსიქიკური თვისებები და მდგომარეობანი

## § 1. ფსიქიკური თვისებებისა და მდგომარეობის ცნება

როგორც უკვე აღნიშნული იყო, პიროვნება მთლიანი, ერთიანი სტრუქტურის მქონე სისტემაა, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა ქვესისტემებს, ანუ ქვესტრუქტურებს მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, ესენია: ფსიქიკური პროცესები, ფსიქიკური თვისებები და ფსიქიკური მდგომარეობანი. ჩვენ უკვე ვნახეთ ფსიქიკური პროცესების სპეციფიკა და მათი გამოვლენა ქმედებასა და ურთიერთობაში. ნაწილობრივ გვქონდა მსჯელობა ფსიქიკური თავისებურებების შესახებაც, რამდენადაც ისინი განუყოფლადაა დაკავშირებული ფსიქიკურ პროცესებთან. ასეთი შემზადების შემდეგ, აუცილებელია გავარკვიოთ ფსიქიკური თვისებებისა და მდგომარეობის ცნება.

ყველაფერი ის, რაც პიროვნების შესახებ ითქვა წინა თავებში, ერთგვარად განზოგადებულ, აბსტრაქტულ ცოდნას წარმოადგენს. რეალურად კი ეს მოვლენები გვეძლევა კონკრეტულ, ცალკეულ პიროვნებაში. ისინი კონკრეტული პიროვნების გამოვლინებანია, რაც გარდა საერთოსა და ზოგადის, განსხვავებულსა და სპეციფიკურსაც მოიცავს. ასეთი სპეციფიკურისა და განსხვავებულის გარეშე ვერ მივიღებდით ცალკეულ, დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ პიროვნებებს. სწორედ ასეთი განსხვავებულობანი ქმნიან განუმეორებელ პიროვნებას. როგორც უკვე ვიცით, თითოეულ პიროვნებას საკუთარი „მე“, საკუთარი შინაგანი არსი აქვს, რაშიც კონკრეტდება სიკეთისა და ბოროტების ზოგადი ბუნება და გვეძლევა ემპირიულად ინდივიდუალობის, ანუ ცალკეული პიროვნების სახით.

**ცალკეულ პიროვნებებში არსებული ინდივიდუალობა ეფუძნება გარკვეულ ფსიქიკურ ფენომენთა არსებობას, რომლებიც ვერ დაიყვანება ფსიქიკურ პროცესებზე.** პიროვნების სტრუქტურაში შედის სხვადასხვაგვარი თვისებების ძალზე დიდი რიცხვი, რომლებიც ქვესტრუქტურების სახით ერთიანდებიან და ქმნიან ინდივიდუალურ პიროვნებას ანუ იმას, რითაც ერთი პიროვნება განსხვავდება მეორისაგან. ამის მაგალითები ჩვენ გვქონდა როცა ადამიანების ამა თუ იმ ტიპებზე ვმსჯელობდით.

ასეთი ფაქტების საფუძველი და ამხსნელი ფსიქიკური პროცესები ვერ იქნება, რადგან ისინი მიმდინარე, ცვალებადი და წარმავალია და მათთვის დამახასიათებელია პროცესუალობა, განუწყვეტლობა, პლასტიკურობა და ცოცხალი ხასიათი; მათი მიმდინარეობა არ ჯამდება და მყარი შედეგის სახით არ წარმოგვიდგება. ამდენად, ისინი არ შეიძლება იქცეს სტატიკურ, უცვლელ და დისპოზიციურ წარმონაქმნად და სხვადასხვა პირობებში და ვითარებაში ერთი და იგივე სახით წარმოგვიდგეს. ასეთი უცვლელისა და იგივეობრივის გარეშე პიროვნება არ იარსებებს; პიროვნება რაღაც მუდმივს, ინდივიდუალურს, შედარებით მყარ თავისებურებებს უნდა ემყარებოდეს, მას თავისი შინაგანი კრედო, თუ ბირთვი უნდა ჰქონდეს.

**ასეთ შედარებით მყარ და უცვლელ, ანუ დისპოზიციურ თავისებურებებს ეწოდება პიროვნების ფსიქიკური თვისებები.** ეს თვისებები ცალკეული პიროვნების კუთვნილებას წარმოადგენს და ყოველთვის გვეძლევა როგორც კონკრეტული რეალობა, რაც ვლინდება ფსიქიკური პროცესების განცდაშიც, ადამიანის ქმედებაშიც და პიროვნებათაშორის ურთიერთობებშიც.

ეს თვისებები არა მხოლოდ განცდათა მიმდინარეობას ედებიან საფუძვლად, არამედ მათსავე პროცესში ყალიბდებიან, ისინი ფსიქიკური პროცესების უწყვეტი მიმდინარეობის შედეგი და პროდუქტია. ცალკეული უწყვეტი ფსიქიკური პროცესის შედეგად ყალიბდება კონკრეტული ფსიქიკური თვისება: ყურადღების თვისებებს აყალიბებს ამ პროცესის მიმდინარეობა, ხოლო გონებრივი ოპერაციები აზროვნების პროცესის მიმდინარეობის (ანალიზი, სინთეზი, განზოგადება და სხვა) შედეგია. ისინი დაკავშირებულია პიროვნების ქმედებასა და აქტიურობასთან და ამიტომაც პიროვნებისადმი მიკუთვნებული და მისი საკუთარი თვისების სახით განიცდებიან.

რა თქმა უნდა, პიროვნების ფსიქიკური თვისებებიც არაა აბსოლუტურად უცვლელი, ისინი იცვლებიან და ვითარდებიან, მაგრამ ყოველ მოცემულ მომენტში არსებობენ, როგორც რეალური ფაქტები და ინარჩუნებენ იგივეობრივს ცალკეული ფსიქიკური პროცესის მიმდინარეობაში. ამის გარეშე არ გვექნებოდა განსხვავებული განცდები ადამიანებში და დაიკარგებოდა ის პიროვნული დამღა, რომელსაც ცალკეული ადამიანების განცდა და ქმედება ატარებს.

მიუხედავად იმ დიდი მრავალფეროვნებისა და მრავალრიცხოვნებისა, რასაც პიროვნების ფსიქიკური თვისებები ქმნიან, მაინც მოსახერხებელია მათი დაჯგუფება და კლასიფიკაცია სახეებად, ანუ ქვესისტემებად. არსებული სხვადასხვაგვარი კლასიფიკაციებიდან

ჩვენ ერთ მათგანს წარმოვადგენთ, რომლის მიხედვითაც ოთხი ძირითადი ასპექტი, ანუ ქვესისტემა მიიღება პიროვნებაში. კერძოდ, **ესენია: პიროვნების მიმართულობანი, ტემპერამენტი, ნიჭიერება, ხასიათი.**

ამ ასპექტების შემოტანით ნაწილობრივ მაინც შესაძლებელი ხდება იმ უამრავი თვისებების მოწესრიგება, რომელთა სრული ჩამოთვლაც კი ალბად შეუძლებელია ყველა ხალხების საქციელსა და მეტყველებაში ეს თვისებები გადმოცემულია შესაბამისი მნიშვნელობების გამოსახატავად ასე მაგალითად, პიროვნების მიმართულებისა და მსოფლმხედველობის გამოსახატავად უფრო მეტად ეახდენთ მორალურ თავისებურებებზე აქცენტირებას. პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების გამომხატველია სიტყვები: კეთილი, გულღია, გულისხმიერი, გულჩათხრობილი, ეშმაკი, ბოროტი და სხვა. ადამიანის საქციელის დინამიკის შეფასებისათვის იყენებენ სიტყვებს: ცოცხალი, მკვირცხლი, ზანტი, იმპულსური და სხვა.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ოთხი ქვესისტემა, ანუ პიროვნების ფსიქიკური თვისებების ოთხი ძირითად სახე, მეტნაკლებად მოიცავს ყველა ცალკეულ თვისებას პიროვნებაში; თითოეული მათგანის განხილვისას უფრო ნათელი გახდება, თუ კონკრეტულად როგორ არსებობს და ვლინდება ეს აუცილებელი ფსიქიკური წარმონაქმნი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანთა განცდები განსხვავებულია არა მხოლოდ ინტერინდივიდუალურად, რასაც გამოხატავს ფსიქიკური თვისებები, არამედ ინტრაინდივიდუალურადაც, ე. ი. თვით მოცემული კონკრეტული პიროვნების შიგნით. ერთ პიროვნებაში ამ განსხვავებულ განცდებს სხვადასხვა პირობებში განაპირობებს ამ პიროვნების განსხვავებული ფსიქიკური მდგომარეობანი. ადამიანი სხვადასხვაგვარ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ არაფრით არ შეიძლება იგი ყოველთვის ერთგვარად იყოს მიმართული და განწყობილი; ამიტომ განსხვავებულია მისი სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობა, ენერგია, გუნება, ინტერესები, დამოკიდებულებანი სხვებისადმი და ა. შ. ფაქტია, რომ ადამიანი თავისი ფსიქიკური მდგომარეობის შესატყვისად, მეტნაკლები წარმატებით მოქმედებს; იპროვნების მდგომარეობანი აისახება აგრეთვე სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში და დამოკიდებულებებში.

პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა წარმოადგენს ადამიანში იმ დროებით ცვლილებებს, რომლებიც გამოწვეულია კონკრეტული სიტუაციებით და მიზეზებით. ამ მიზეზების და მათი ძალის შესატყვისად შეიძლება დადგინდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა ადამიანის ქმედების წარმატებაზე. ამიტომაც ასეთი ცოდნა აუცილებელია გამოყენებითი ფსიქოლოგიის ყველა დარგში, ხოლო მათი გაცნობა ელემენტარული სახით მაინც, საჭიროა ზოგადი ფსიქოლოგიის კურსშიც.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ პიროვნების ფსიქიკური თვისებები უფრო სტატიკური და უცვლელია, ვიდრე ფსიქიკური პროცესები, მათთვის ძირითადი მახასიათებელია შედარებითი მუდმივობა და განმეორებადობა. ფსიქიკური მდგომარეობა კი ცვალებადია, თუმცა ფსიქიკური პროცესებისაგან განსხვავებით იგი უფრო სტატიკური ბუნებისაა.

ბოლო ხანებში პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობის ცალკე გამოყოფას და სპეციალურად კვლევას ბიძგი მისცა ექსტრემალურ პირობებში მყოფი ადამიანების განცდებისა და ქმედების ცოდნის საჭიროებამ. ასეთი განსაკუთრებული და ექსტრემალური პირობები იქმნება ყოფა-ცხოვრებაში, საგანგებო სიტუაციებში, საბრძოლო ვითარებებში, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მიღებისას და სხვა. მის შესწავლას მოითხოვს პანიკის, მასობრივი ფსიქოზის და სხვა სოციოლოგიური, თუ სამედიცინო ფაქტების არსებობაც.

ასეთი დიდი მნიშვნელობისა და საჭიროების გამო, იზრდება ფსიქიკურ ანუ ფუნქციურ მდგომარეობათა შესწავლისა და გამოყენებისადმი ინტერესი როგორც საერთოდ ფსიქოლოგიაში, ისე განსაკუთრებით მის გამოყენებით დარგებში.

## § 2. პიროვნების მიმართულება

პიროვნების აქტივობის საფუძვლებზე მსჯელობისას ვნახეთ, რომ ყოველგვარი აქტივობა ბიძგს იღებს მოთხოვნილებებიდან და განწყობის საფუძველზე წარიმართება. პიროვნების სპეციფიკა ამ ამ მიმართულობის წინასწარ გააზრებასა და გაცნობიერებაში ვლინდება. ამიტომ დგება საკითხი: საით მიისწრაფის კონკრეტული პიროვნება, რა სურს მას, რა მიზნები და მოტივები ამოძრავებს;

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა პიროვნების ფსიქიკურ თვისებებს მივმართოთ და ვნახოთ რა არის მათში ისეთი, რომელიც გასაგებს გახდის კონკრეტული აქტივობის საერთო ფონს,

და მისადმი მზაობას. ასეთია ყველა ის თვისება, რომლებიც პიროვნების მიმართულობას ქმნის. პიროვნების მიმართულობა წარმოადგენს იმ აქტივობის აღმძვრელ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებათა და ქმედებათა არჩევითობას. მიმართულობა ისეთ მომენტებს მოიცავს, რომლებიც გასაგებს ხდის თუ რატომ იქცევა ერთი პიროვნება ასე, ხოლო მეორე — სხვანაირად. პიროვნების მიმართულობა მხოლოდ მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს როდი მოიცავს. იგი, როგორც ცალკე ქვესისტემა, მოიცავს მოთხოვნილებებსა და განწყობებს, ლტოლვებს, სურვილებს, ინტერესებს, მიდრეკილებებს, იდეალებს, რწმენას და მსოფლმხედველობას. რეალურ მოღვაწეობაში უმეტესად ეს მოტივების, მიზნებისა და ამოცანების სახით წარმოგვიდგება, როგორც პიროვნების ქმედების კონკრეტულ მიმართულობის განმსაზღვრელი.

აღნიშნულთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნას პიროვნების მიმართულობის განმსაზღვრელი კომპონენტების ინტენსივობა. სიმტკიცე, ქმედითობა, სიფართოვე და ყოველივე ის, რაც გვიჩვენებს მათ ღირებულებას, სიძლიერეს, ხანგრძლივობას და დასახული მიზნების რეალიზაციისათვის ქმედითობას.

**მოთხოვნილება**, რომელიც ყოველგვარი აქტივობის საფუძველია, თავისთავად პიროვნების ფსიქიკურ თვისებად ვერ ჩაითვლება; მაგრამ მოთხოვნილების ოთხივე სახე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეცვლილი ფორმით ისე, რომ პიროვნების თვისებად იქცეს და მისი მიმართულობის განმსაზღვრელი კომპონენტი გახდეს. ყველაფერი ის, რაც განსაზღვრავს აქტიეობის მიმართულობას, განიხილება როგორც მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ცალკეული ფსიქიკური თვისება.

მოთხოვნილებების საფუძველზე არსებული თვისებების შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და მათი დახასიათება პიროვნული მიმართულობების თვალსაზრისით, სხვადასხვა ავტორების მიხედვით, მოცემული აქვს შ. ჩხარტიშვილს. მის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციით, არჩევენ თანშობილ და სოციალურ მოთხოვნილებებს. ჩვენ მათ დახასიათებას უკვე ვიცნობთ, ამიტომ ახლა მხოლოდ მოთხოვნილებების იმ სახეებს შევეხებით, რომლებიც პიროვნების მიმართულებობასთანაა დაკავშირებული.

შ. ჩხარტიშვილის მიერ მოცემულ კლასიფიკაციაში გენეზისის პრინციპია ამოსავალი, რის მიხედვითაც არჩევენ ბიოგენურ, ფსი-

ქოგენურ და სოციოგენურ მოთხოვნილებებს პიროვნებაში; ასეთი დაყოფა საკმარი სიზუსტით შეესაბამება მის სამ ასპექტს.

**ბიოგენური მოთხოვნილებანი, რომლებიც პიროვნების მიმართულობას ქმნიან,** ემსახურებიან სიცოცხლის შენარჩუნებას და მოცემულია, როგორც თვითშენახვის, კვების, თავდაცვის, აქტივობის, დასვენების, ძილის, სქესობრივი, გამრავლების, ნებივრობის, გართობის და ა. შ. უნარები.

**ფსიქოგენური მოთხოვნილებანი** საფუძვლად ედებიან პიროვნების მიმართულობაში ფსიქიკური წარმოშობის თვისებებს. ასეთებია: ინტერესის, ცნობისმოყვარეობის, ცოდნის შეძენის, თეორიული ძიების, ესთეტიკური ტკბობისა და შემოქმედების, თავისუფლების, წესრიგის, თამაშის, სანახაობის, პროფესიული და სხვა.

**სოციოგენური მოთხოვნილებანი** დაკავშირებულია საკუთარი თავისა და სხვებისადმი მიმართებასთან და გვეძლევიან როგორც სასხვისო, სათაისო, ან სასხვისო-სათავისო. **სასხვისო მიმართულობას** ეკუთვნის: ქველმოქმედების, თანაგრძნობის, მფარველობის სამართლიანობის; **სათვისოა:** თვითგამოყოფის, პრესტიჟულობის, ღირსების, შეჯიბრის, ძალაუფლების, სიაშის. მათვე მიეკუთვნება ისეთი გამოვლინებანი, როგორიცაა მოშურნეობა, სიხარბე, შურისძიება, სხვების დაცინვა და მათთვის ზიანის მიყენება. **სასხვისო-სათავისო** გარდამავალია ამ ორ თავისებურებათა შორის. ასეთებია: თანარსებობის, თანამშრომლობის, აზრების გაზიარების, ოჯახზე ზრუნვის მეგობრობის, სიყვარულის, სხვებისადმი ხელმძღვანელობის, სხვებისადმი დაქვემდებარების, ნადიმობის და ა. შ. მიდრეკილებანი.

როცა პიროვნების მიმართულობის განმსაზღვრელ თვისებებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვისება უშუალოდ არ ჩანს. მაგრამ თუ საიდან მოდის, ფსიქოლოგიის ცოდნა ადვილად გვაპოვნინებს. მაგალითად, როგორადაც არ უნდა უკავშირდებოდეს შური და ბოღმა ვინმეს საქციელს და მის ცუდკაცობას, ისინი ყოველთვის საკუთარი თავიდან მოდის. როცა თავის შესაძლებლობებს არ ითვალისწინებს ადამიანი და დიდი პრეტენზიებით გამოდის, თუ ვერ აღწევს სასურველს, აქტანტი სხვაზე გადააქვს, სხვას აბრალებს და ედავება. ცდილობს მის ხარჯზე მიაღწიოს თავისას, ან ჯავრი მაინც იყაროს მასზე ლანძღვითა და გაკიცხვით.

**პიროვნების მიმართულობისათვის დიდმნიშვნელოვანია განწყობა, კერძოდ, ფიქსირებული განწყობა, ის მზაობა, ე. ი. განწყობა, რომელიც უკვე განმტკიცებულია განმეორებათა, ან ძლიერი შთაბე-**

**ღილების გზით.** განწყობის ეს დისპოზიციური ფორმა, რომელსაც ზოგჯერ რიგიდობას უწოდებენ განსაზღვრავს პიროვნების მიმართულობას, როგორც დამოკიდებულებას და პოზიციას სოციალური მოვლენების მიმართ. ფიქსირებული განწყობა ახალ სიტუაციაში მოქმედებს იგივენაირად, როგორც ძველ პირობებს შეესატყვისებოდა. ჩვენ მისი მაგალითები ვნახეთ, როცა ილუზიას, როგორც აღქმის ერთერთ სახეს ვიხილავდით.

სწორედ ამის გამო შეიძლება ჩაითვალოს ფიქსირებული განწყობა პიროვნების თვისებად, რომელიც ცალკეული ქმედებისათვის აღმოჩნდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი.

**ლტოლვა** გაუცნობიერებელ ფენომენს წარმოადგენს. იგი უმეტესად გვეძლევა, როგორც გამოუდიფერენცირებელი და გაუცნობიერებელი მოთხოვნილება, მასში არაა გაცნობიერებული შინაარსის სახით მოცემული პიროვნების ქმედების მოტივები, თუმცა ზოგჯერ გარეგნულად შეიძლება ასე ჩანდეს. ლტოლვები გარდამავალი ბუნებისაა, მათში ჩადებული მოთხოვნილებანი, შემდგომში, კონკრეტული სახის სურვილებსა და განზრახვებში გადადის, ან საერთოდ ქრება.

ლტოლვების ღრმა მეცნიერულ შესწავლას საფუძველი დაუდო ზ. ფროიდმა, რომელმაც იკვლია ისინი ოთხი ასპექტით: როგორც ადამიანური ენერგიის წყარო, როგორც მოქმედების მიზანი, ობიექტი და ძალა. განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ იმ მომენტს რომ ლტოლვა მართლაც ავლენს და აძლიერებს ენერგიას ყველა მიმართულებით.

**სურვილი,** როგორც პიროვნების მიმართულობის გამომხატველი თვისება, გაცნობიერებულ დამოკიდებულებას გამოხატავს მოთხოვნილების საგნისადმი, თუმცა იგი ცნობიერების შედარებით დაბალ აქტივობას ეფუძნება. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ ხშირად მის შესახებ მაშინ ვიგებთ, როცა იგი უკვე გავლილია: თურმე ეს სურვილი გვქონდა და იმიტომ მოვიქეცით ასე. სურვილი რამდენადმე ნეიტრალურია და ქმედების აღმძვრელ ძლიერ ბიძგს არ წარმოადგენს. მისი განცდადი ბუნება რამდენადმე წააგავს ოცნებას (ცერძოდ პასიური ოცნების გამოვლინებებს). სურვილის ნიადაგზე აღმოცენებული ქმედების მოტივები ყოველთვის სუსტია და ისეთ საქმეზე ან ობიექტზეა მიმართული, რომლის მიღწევის აუცილებლობაში დარწმუნებულობა და იმედი პიროვნებაში არც თუ დიდია. ამის მიუხედავად, **სურვილისათვის მთავარი მაინც რაიმეს დაუფლების**

ან გაკეთების განცდაა. იგი მონაწილეობს მომავალი მოქმედების მიზნების ფორმირებაში, რამდენადაც გაცნობიერებულ მოთხოვნილებებს მოიცავს.

**ინტერესი შემეცნებითი მოთხოვნილებების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა.** იგი პიროვნებას უშუალოდ მიმართავს რაიმე ობიექტისაკენ ან ქმედებისაკენ. ამავე დროს, იგი შერჩევით ფუნქციას ასრულებს, ინტერესის საფუძველზე ხდება მრავალ შესაძლო მოქმედებიდან სელექცია. ინტერესი განაპირობებს ემოციური მიმზიდველობის მქონე ობიექტისადმი პიროვნების არჩევით დამოკიდებულებას. შედარებით დამოუკიდებელი და მაღალი ფორმით მის გამოვლენას წარმოადგენს სწრაფვა ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაუფლებისაკენ, ან გარკვეული პიროვნებისადმი თუ ჯგუფისადმი ღრმახლოებისაკენ. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ინტერესი უმეტესად თავს იჩენს როგორც შემეცნების, გაგებისა და გაცნობისაკენ მიმართული მისწრაფება. იგი არა მხოლოდ იმ საგანს გულისხმობს, რომელიც გვაინტერესებს, არამედ იმის ცოდნასაც თუ რატომ გვაინტერესებს იგი; ინტერესი გაკვირვებისა და კითხვის არსებობასთანაა დაკავშირებული. ამიტომაა, რომ იგი ყურადღების, აზროვნებისა და მეხსიერების წარმართვაში გამოიხატება და სპეციფიკურ ინტელექტუალურ ემოციებთანაა კავშირში. თუმცა ჩვენს განცდაში უფრო ახლოსაა საგანთან, მისგან მომდინარედ განიცდება და არა ჩვენს მდგომარეობად, მაგალითად, ვამბობთ „საინტერესო წიგნი", „საინტერესო ამბავი", „საინტერესო საქმე" და სხვა. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ შიშილი არ ნიშნავს პირდაპირ პურით დაინტერესებას, „პურმა მომაშივაო" არავინ იტყვის; შეიძლება ის, რისი მოთხოვნილებაც გვაქვს ინტერესის საგანიც იყოს, ან ინტერესი არსებობდეს პირდაპირ, მოთხოვნილების გარეშეც. მაგალითად, შეიძლება ადამიანს არ ჭირდეს ღვინის მოთხოვნილება, მაგრამ აინტერესებდეს როგორია იგი

ადამიანის ინტერესები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი შეიძლება სხვადასხვა შინაარსის იყოს: ზოგ ადამიანს პრაქტიკული ცხოვრების, ან სულაც დროს ტარების ინტერესი აქვს, ზოგს კი—უფრო საზოგადოებრივი, ან თეორიული საქმიანობის; შეიძლება ერთი ადამიანი მეცნიერებაზე იყოს მიმართული, მეორე—ხელოვნებაზე, მესამე—სპორტისაკენ, მეოთხე გამდიდრებისაკენ და ა. შ. შეიძლება ვილაპარაკოთ მატერიალურ, სულიერ, საზოგადოებრივ, მეცნიერულ, ესთეტიკურ და სხვა მიმართულების ინტერესებზე.

პიროვნების ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანია ინტერესის პირდაპირი ანუ უშუალო და არაპირდაპირი სახეების არსებობა. შეიძლება ადამიანი რაიმე მოვლენით იყოს უშუალოდ დაინტერესებული და მისკენ წარიმართოს. ვთქვათ, რაიმე საინტერესო საკითხის შესახებ ლექციის მოსმენა, ან სტატიის წაკითხვა. მაგრამ შეიძლება ადამიანმა იგივე ქმედება შეასრულოს არაპირდაპირი ინტერესით: მას თვითონ ლექციისა თუ სტატიის შინაარსი არ აინტერესებს, მაგრამ ვინმესათვის პატივისცემისათვის აკეთებდეს მას. მაშასადამე, პირდაპირი ინტერესი მიმართულია მოქმედების პროცესზე, ხოლო არაპირდაპირი ინტერესი—ქმედების შედეგებზე; ლაპარაკობენ აგრეთვე ფართო და ვიწრო ინტერესებზე, მათ სიღრმეზე, ან ზედაპირულობაზე, ხანგრძლივობაზე (ზოგჯერ ადამიანს შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე ქონდეს გარკვეული ინტერესი).

**მიდრეკილება და მისწრაფება** ახლოსაა ინტერესთან. მეორეს მხრივ, მიდრეკილება ასევე ახლოსაა ნიჭიერებასთან: მაგრამ მისი მიკუთვნება არც ერთზე არ იქნება სწორი. მიდრეკილება რაიმე მოქმედებისაკენ მომართვა კი არაა მხოლოდ, არამედ იგი მოქმედებისადმი ტენდენციის მატარებელიცაა: მაგალითად სპორტისადმი, ან ხელოვნებისადმი ინტერესი შეიძლება ბევრს ქონდეს, მაგრამ ყველა მათგანს არ ქონდეს სპორტული მოქმედებისადმი ტენდენცია და სწრაფვა. ამდენად, მიდრეკილება უფრო მოქმედებისაკენ სწრაფვას გულისხმობს. იგი წარმოადგენს გარკვეული ქმედებისაკენ პიროვნების მუდმივ მისწრაფებას, რაც კარგად ჩანს პროფესიულ მიდრეკილებებში.

იდეალი გულისხმობს ქმედების გარკვეული ეტალონის ქონებას და მისკენ სწრაფვას. იგი თვალსაჩინო და კონკრეტულია, თანაც ემოციური ტონის მატარებელია, იგი პიროვნებისათვის მისაღები და მიმზიდველი მაგალითი და ეტალონია, ადამიანი ბაძავს მას. ამიტომაც იდეალი ხშირად მოცემულია, როგორც რომელიმე კონკრეტული, ცხოვრებისეული პიროვნების ქცევა, ან იგი აღებულია მხატვრული ნაწარმოებიდან.

**მსოფლმხედველობა წარმოადგენს პიროვნების შეხედულებათა სისტემას სამყაროსა და ადამიანების შესახებ.** მასში ასახულია პიროვნების შემეცნებითი დამოკიდებულება სინამდვილისადმი და აქედან გამომდინარე პოზიციები, რწმენა, ქმედების პრინციპები და და ღირებულებითი განცდები.

მსოფლმხედველობა ცნობიერების ცენტრია პიროვნებაში, გა-

მოხატავს მის დონეს და შემეცნებითი დამოკიდებულებების სისტემას.

როგორც პიროვნების მიმართულობის განმსაზღვრელი თვისება, მსოფლმხედველობა ვლინდება ქმედების მიმართულებაში, ქცევის ნორმების დაცვაში, ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომაც პიროვნების ფსიქიკური ავტოპორტრეტისათვის საყრდენი, პირველ რიგში, მსოფლმხედველობა შეიძლება იყოს, იგი წარმოადგენს პიროვნების სოციალური საქციელის რეგულატორს. მაგრამ იგი არა მხოლოდ პიროვნების ქცევისა და ჩვეულებების, თუ მიდრეკილებების მიმართულობის განმსაზღვრელია, არამედ მის საფუძველზე ყალიბდება პიროვნების რწმენაც, როგორც შემეცნებითი, ემოციური და ნებლობითი კომპონენტების ერთობა.

პიროვნების მსოფლმხედველობის კრიტერიუმს წარმოადგენს მისი შინაარსის მთლიანობა, სისტემურობა, ლოგიკური თანმიმდევრულობა, ქმედითობა და სხვა თავისებურებანი, რომლებიც ყალიბდება, აღზრდის პროცესში, ცხოვრებისეული სიძნელეებისა და კონფლიქტების დაძლევის პირობებში.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ როგორი დიდიც არ უნდა იყოს მსოფლხედველობის ან სხვა თვისების როლი, არ შეიძლება მხოლოდ მასზე იქნას დაყვანილი პიროვნების მიმართულობა. პიროვნების მიმართულობა განპირობებულია მოთხოვნილებებითა და ნებისყოფით, ე. ი. ზემოთ განხილული პიროვნების ყველა ფსიქიკური თვისებით.

## § 3. ნიჭი და უნარი

პიროვნების ყოველგვარი ქმედება და აქტივობა, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს, მოითხოვს გარკვეულ უნარებსა და შესაძლებლობებს. ამ მიმართებით ძალიან დიდ სხვაობას აქვს ადგილი ადამიანებში. ერთი ადამიანი შედარებით ადვილად და წარმატებით ასრულებს რომელიმე სახის მოქმედებას, მეორეს კი იგი უჭირს; სამაგიეროდ, იგი სხვა მოქმედებას უკეთ ასრულებს. ასეთი განსხვავება განპირობებულია პიროვნების ისეთი ფსიქიკური თვისებებით, რომლებიც **ნიჭისა და უნარის** სახელითაა ცნობილი. ადამიანის ნიჭიერება და უნარები განაპირობებს ამა თუ იმ მოქმედების წარმატებით შესრულებას.

როგორც წინა პარაგრაფში განხილული პიროვნული თვისებები გვითვალისწინებს პიროვნების მიმართულობას, ასევე ნიჭი და უნარი განსაზღვრავს პიროვნების ქმედების წარმატებას; შეიძლება

პირდაპირ ითქვას, რომ ნიჭიერება მოქმედების შესრულების პირობას წარმოადგენს. როგორც ცნობილი ფსიქოლოგი ს. რუბინშტეინი ამბობდა, ადამიანში გარკვეული ნიჭიერების არსებობა მისი შესაბამისი ქმედებისათვის ვარგისიანობის მაჩვენებელია.

**ნიჭი და უნარი პიროვნების ისეთი ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებაა, რომელიც განსაზღვრავს მოქმედების წარმატებით შესრულებას.** ადამიანს სხვა მსგავსი თვისებებიც აქვს, მაგრამ ისინი უნარებად არ ითვლება იმის გამო, რომ ქმედების წარმატება შინაგანად და არსებითად მათზე არაა დამოკიდებული. ისინი მხოლოდ მეორადი სახით ახდენენ გავლენას. ასეთებია, მაგალითად, კონფლიქტურობა, ზედმეტი თვით დაჯერება, კონფორმულობა და სხვა.

სპეციალურად უნდა აღინიშნოს ნიჭისა და უნარის დამოკიდებულებაზე ცოდნა-ჩვევებისადმი. მათი გაიგივება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება: ნიჭიერება თვით გამოდის როგორც შესაძლებლობა ცოდნა-ჩვევების დასაუფლებლად. მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც შედეგი, არასოდეს არ შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ პიროვნების ნიჭითა და უნარით. ადამიანებმა შეიძლება ზუსტად ერთნაირ მაღალ შედეგებს მიაღწიონ, მაგრამ ეს მათ იგივეობრივ ნიჭიერებას სულაც არ გამოხატავს: ერთისათვის ეს მართლაც ნიჭის გამოხატულება შეიძლება იყოს, მეორისათვის — უდიდესი ძალისხმევისა.

უნარი ყოველთვის წარმატებულად შესრულებული მოქმედების სახით ვლინდება ამა თუ იმ სპეციალობით; მუსიკალური სმენა და რიტმის გრძნობა, ცეკვისა თუ სპორტის უნარი, მათემატიკური ნიჭი და ა. შ. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამა თუ იმ დარგში მოღვაწეობა ემყარება სხვადასხვა უნარების ერთიანობას, ცალკე ერთი უნარი ვერავითარ წარმატებას ვერ მოგვცემს. კარგი მუსიკოსისათვის არ კმარა მხოლოდ მუსიკალური სმენა, მას ჭირდება აგრეთვე, თვალსაჩინო წარმოდგენებისა და მეხსიერების მაღალი დონე და სხვა თვისებები.

**პიროვნების ნიჭიერების განვითარება და გამოვლენა სწავლა-ვარჯიშისა და პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში მიმდინარეობს;** ცალკეული პროფესიების შესაბამისი უნარები შრომისა და სწავლის პროცესში იჩენს თავს და აქ ყალიბდება. მაგრამ მთავარი მაინც თანდაყოლილი მონაცემები და ტენდენციებია. ადამიანები სხვადასხვა ნიჭიერების მონაცემებით იბადებიან და ამიტომ ერთნაირი სიძლიერით არ შეიძლება მათი განვითარება რომელიმე მიმართულებით. შესაბამისი ნიჭის გარეშე არ შეიძლება დიდი წარმატების მიღ-

წევა რომელიმე სფეროში, როგორი მონდომებითა და სისტემატურობითაც არ უნდა ეცდილობდეთ ამას. მაგრამ თანდაყოლილი ნიჭიც თავისთავად არ გულისხმობს შესაბამისი უნარების განვითარებას. ვინ იცის რამდენი თანდაყოლილი ნასახი დაკარგულა ამაოდ, ყოველგვარი გამოვლენის გარეშე, იმის გამო, რომ არ მომხდარა შესაბამის სფეროში ვარჯიში და მუშაობა.

ნიჭისა და უნარის განვითარება და გამოვლენა გულისხმობს შესაბამისი ჩვევების დაუფლებას და მათ შემოქმედებით გამოყენებას; ცოდნისა და ჩვევის შეძენა, თავის მხრივ ხელს უწყობს სხვადასხვა უნარების განვითარებას.

ადამიანთა ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი და სხვისი უნარების სწორ გამოცნობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკოლაში სწავლების პროცესის ორგანიზაციისათვის მოსწავლეთა უნარების სწორ შეფასებას. ჩვეულებრივ მოსწავლეთა უნარის შესახებ მსჯელობენ ათვისების სიადვილისა და საერთო წარმატების მიხედვით. მაგრამ სწავლასა და შრომაში ეს უშუალოდ როდი ჩანს. საჭიროა ანალიზი და ძიება: ადამიანი არ შეიძლება არსებობდეს რაიმე მიმართულებით ნიჭისა და უნარის გარეშე: საქმე ისაა, მონახული იქნას იგი და სათანადო მიმართულება მიეცეს. ამისათვის კი საჭიროა აღმზრდელი და მასწავლებელი იცნობდეს ცალკეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და უნარებს.

რეალურად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნიჭი და უნარი ვლინდება კომპლექსურად: რაიმე ქმედების წარმატებით შესრულებას ჭირდება რამდენიმე სახის უნარი. ზოგჯერ ამის მიხედვით განსხვავებენ კიდეც ნიჭისაგან უნარებს და აღნიშნავენ, რომ **ნიჭი ესაა ერთი მიმართულების უნართა ერთობლივობა.** მიზანშეწონილია კლასიფიკაცია მოხდეს ნიჭიერების მთლიანპიროვნული გამოვლენის შესაბამისად. ამის მიხედვით მივიღებთ ორგვარ ფორმას: ზოგადი და სპეციალური ნიჭიერება, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ კიდევ 2 ჯგუფს მოიცავს: მარტივსა და რთულს.

**ზოგადი მარტივი უნარები** გააჩნია ყველა ადამიანს, თუმცა სხვადასხვა ხარისხით და დონით. ასეთია ფსიქიკურ პროცესთა: აღქმის, დახსომების, გააზრების და ა. შ. **ზოგადი რთული უნარები** ჩართულია შრომაში, სწავლაში, თამაშში და ურთიერთობებში. ისინიც მეტნაკლებად ყველა პიროვნებას გააჩნია და გამოვლენას პოულობს სპეციალურ უნარებთან ერთად.

**სპეციალური მარტივი უნარები** ყველა ადამიანს ერთნაირად აღარ აქვს. ასეთი ნიჭი ზოგს ერთი მიმართებით გააჩნია, ზოგს — სხვა, ზოგს—სულ არა. ასეთია: მუსიკალური სმენა, კრიტიკული აზროვნება, ლოგიკური მეხსიერება და ა. შ. **სპეციალური რთული უნარებიც** ყველა ადამიანს ერთნაირად არ გააჩნია. ესენია: მათემატიკის ნიჭი, მხატვრული, ტექნიკური, სპორტული და ა. შ. ნიჭიერება, ეს უნარები უმეტესად პროფესიული წარმატების სახით არსებობს.

ნიჭისა და უნარის რომელიმე მიმართულებით მაღალ განვითარებას **დაჯილდოებულობას** უწოდებენ. ასეთი დაჯილდოებულობა ანუ ნიჭიერება ზოგჯერ ვლინდება უფრო ადრე, ვიდრე საქმაო ცოდნა-ჩვევებს დააგროვებდეს ადამიანი, იგითანაშობილი უნარების სპონტანურ გამოვლენას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ზოგჯერ ყოველგვარი ვარჯიშისა და სპეციალური აღზრდის გარეშე იჩენს ხოლმე იგი თავს. მაგალითად, მოცარტი 3—4 წლის იყო, როდესაც მუსიკის დიდი ნიჭი გამოავლინა, ასეთი ფაქტები აშკარად მიუთითებს ნიჭის თანდაყოლილ და მემკვიდრულ განპირობებულობაზე.

რომელიმე მიმართულებით სპეციალური ნიჭის განვითარების **უმაღლეს დონეს წარმოადგენს ტალანტი**. იგი ნიჭისა და უნარის ისეთი მაღალი განვითარების შედეგია, როდესაც შესაძლებელი ხდება შემოქმედებითი მოღვაწეობის მაღალი დონე და ორიგინალური, სრულიად ახალი პროდუქტის შექმნა. ხშირად გვსმენია გამოჩენილ მეცნიერებზე, რომ მათ ამა თუ იმ მეცნიერების ტალანტი აქვთ; ხელოვნებაში გამოჩენილ მოღვაწეებზე იტყვიან ხოლმე, მუსიკის ტალანტიაო, მსახიობობის, თუ მხატვრობის ტალანტი გააჩნიაო და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ყველა საქმეს თავის ტალანტები ყავს. მაგრამ როგორი საუკეთესო შედეგებიც არ უნდა ჭონდეს ადამიანს ცალკეული სპეციალობით, იგი არ შეიძლება იზოლირებული იყოს საერთო დონისაგან.

**ზოგადი ნიჭიერება, ანუ ზოგადი გონიერება წარმოადგენს საერთო ინტელექტუალურ დაჯილდოებულობას, რაც შეგუების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში ვლინდება.** იგი ცალკეული მიმართულებით კი არ იჩენს თავს, არამედ საზოგადოდ ქმედებისა და საქმიანობის ყველა სფეროში ვლინდება და ცხოვრებისეული სიტუაციისადმი წარმატებით შეგუებას განაპირობებს.

ზოგადი ნიჭიერების განსხვავებულობას სპეციალური ნიჭისა და უნარისაგან კარგად გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ შეიძლება ადა-

მიანი მაღალი ნიჭისა და ტალანტის მქონე იყოს ერთი მიმართულებით, მაგრამ ზოგადი ნიჭიერებით საშუალო ადამიანზე დაბლაც კი იდგეს. ამას ადასტურებს გამოჩენილი მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა უუნარობა და მოუხერხებლობა პრაქტიკულ ცხოვრებაში. ასევე, პირიქითაც, ადამიანი შეიძლება ზოგადი ნიჭიერებით იყოს დაჯილდოვებული, ადვილად იგებდეს და ითვისებდეს ყველაფერს, მაგრამ არავითარი სპეციალური ნიჭი არ გააჩნდეს და ვერც ერთ დარგში რაიმე განსაკუთრებულის გაკეთება ვერ შეძლოს.

შედარებით იშვიათად გვხვდება ზოგადი ნიჭიერებისა და ტალანტის მაღალგანვითარებულობის ერთდროული არსებობა. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს პიროვნების ადვილად შეგუებას გარემოსთან და ამასთანავე, ახალი, ორიგინალური ღირებულებების მქონე პროდუქტის შექმნას. ასეთ ადამიანებს **გენიოსებს** უწოდებენ. ზოგჯერ გენიოსად მიიჩნევენ ორი ან მეტი მიმართულების ტალანტის ერთად არსებობასაც.

გენიოსი საერთოდ განვითარების მაღალ საფეხურზე იმყოფება იგი მაღალ უნარს იჩენს ყველაფერში, რაც მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. უფრო იშვიათად გვხვდება ე. წ. უნივერსალური გენიოსები. რომლებიც ახალ ეტაპს ქმნიან არა მხოლოდ ერთ დარგში, არამედ სხვადასხვა მიმართულებით. ასეთები იყვნენ: არისტოტელე. ლეონარდო და ვინჩი, ლომონოსოვი და სხვები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგადი ნიჭიერება არაა ყოვლის მომცველი. იგი ყველა სფეროს მაინც ვერ წვდება. არავითარი მაღალი ნიჭისა და უნარის ადამიანი არ შეიძლება ისეთი სრულყოფილი იყოს, რომ აბსოლუტურად ყოველი მიმართულებით იჩენდეს მაღალ გონიერებას. ამიტომაც ვუსვამთ ხაზს რომ ზოგადი ნიჭიერება გულისხმობს ფსიქიკის მთელი სფეროს წარმატებით ამოქმედებას, იგი თავს იჩენს ყოველნაირი პირობებისადმი შეგუებაში. უფრო ხშირად ადამიანები მაღალ ზოგად ნიჭიერებას ავლენენ ცალკეული მიმართულებებით. ასე, მაგალითად, ზოგი უფრო მაღალ ზოგად გონიერებას იჩენს თეორიულ, მეცნიერულ სფეროში, ზოგი კი პრაქტიკულ საქმიანობაში და ა. შ.

გარდა აშკარა ფორმით გამოელენისა, ნიჭი და უნარი თავს იჩენს რომელიმე მიმართულებით ცოდნა-ჩვევების სწრაფ და იოლ ათვისებაში. ცხოვრება და მოღვაწეობა გვიდასტურებს საბოლოოდ რამდენად შესატყვისად მოხდა ნიჭიერების ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ეს ითქმის ზოგადი ნიჭიერების შესახებ. რაც უმეტესად ვლინდება გაგების უნარსა და აზროში, თუ რამდენად შეუძლია

ადამიანს სიახლის შემჩნევა, ახალი ამოცანების გაგება და გადაწყვეტა. დამახასიათებელია, რომ ზოგადი ნიჭიერება ძირითადად ასაკის ზრდასთან ერთად ვითარდება, აქ რაიმე განსაკუთრებული სახით სპონტანური გამოვლენა არ ხდება.

## § 4. ტემპერამენტი

პიროვნების თავისებურებანი, მისი ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობის ნაირობა სხვა თვისებებთან ერთად დამოკიდებულია მის ტემპერამენტზე. **ტემპერამენტი განსაზღვრავს პიროვნების სულიერი ცხოვრების და განსაკუთრებით მისი ემოციების თავისებურებებს.**

ტემპერამენტი ვლინდება ადამიანის კონკრეტულ მოქმედებაში, მოქმედების შესრულებისათვის საჭირო მოძრაობებსა და მოქნილობაში, ძალისხმევასა და ენერგიულობაში. ალბად, ყველას შეუმჩნევია, რომ ზოგი ადამიანი უფრო მკვირცხლი და დაუდგრომელია, ყველაფერს სწრაფად და ცოცხლად აკეთებს, ვერ ჩერდება დიდხანს მშვიდ და უძრავ მდგომარეობაში; ზოგი ადამიანი კი პირიქით: დინჯად და ნელა მოქმედებს, არ იძლევა სწრაფ რეაქციებს; არ ჩქარობს, ყველაფერს ნელა აკეთებს და უმეტესად მშვიდ მდგომარეობაში ყოფნას არჩევს.

ტემპერამენტი თავისი კაშირით მომედების მანერასა და მოძრაობებთან, აშკარად გამოაელენს სულისა და სხეულის ერთიანობას. იგი ადამიანში სულისა და სხეულის თანაარსებობისა და ურთიერთზეგაელენის ერთერთი მაჩვენებელია. ტემპერამენტით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ ორგანული ცვლილებები კი არ იწვევენ სულის მდგომარეობებს, არამედ ისინი თითონ წარმოადგენენ სულის მდგომარეობის შედეგს. მეორეს მხრივ, ტემპერამენტის მყარი კავშირი, ორგანული სისტემების მოქმედებასთან და მათ თავისებურებებთან ნათლად გვიჩვენებს მის თანშობილ ხასიათს, რომ იგი თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე არ იცვლება და არც ჩვენს ნებასურვილზეა დამოკიდებული. იგი იმდენად თავისთავადია, რომ მის აღზრდაზე და გაუმჯობესებაზე არც ლაპარაკობენ.

ტემპერამენტის თანშობილი ხასიათი წარმოდგენილია ყველა იმ სხეულებრივი გარეგამოსახულების სახით, რომლებიც გრძნობების შესწავლის დროს ვნახეთ. მათ შეიძლება დავამატოთ: კუთური დაძაბულობის შინაგანი განცდები, სისხლის სისუფთავე და მოძრაობის სიჩქარე, სუნთქვისა და სხვა სისტემების გარეთ გამუვლენელი ცვლილებები და სხვა.

მაგრამ ამ კავშირის გამო, ტემპერამენტის დაყვანა სხეულებრივზე და ორგანულ ცვლილებებზე ყოვლად გაუმართლებელია. ამის საბუთად გამოდგება გრძნობებისა და ემოციების შეუსაბამო განცდებიც: კერძოდ, ასეთია ზოგიერთ ადამიანში სიამოვნებისა და კმაყოფილების გამოწვევა საწყენ და საწუხარო ამბებთან დაკავშირებით, ზოგჯერ მათ საკუთარი წარმატებაც კი არ გვრის სიხარულს. ეს ერთხელ კიდევ აჩვენებს პიროვნების მოთხოვნილებების და მიმართულობის კავშირს ტემპერამენტთან. ამ ფაქტის ერთერთი ახსნა შეიძლება ისიც იყოს, რომ ცხოვრებაში უსიამოვნო გრძნობები მეტია.

სხვადასხვა პიროვნების ტემპერამენტის დიდი სხვაობის მიუხედავად, მათ ბევრი საერთო თავისებურება გააჩნიათ, რის საფუძველზეც ხდება ტემპერამენტის ტიპების დადგენა.

როგორც უკვე ითქვა, ტემპერამენტი მარტო მოქმედების დინამიკას, მისი შესრულების თავისებურებებს როდი განსაზღვრავს, იგი საფუძვლად ედება პიროვნების ემოციური განცდების თავისებურებებსაც. ადამიანები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გრძნობებისა და ემოციების თვისებებით, რომელთა ძირითადი სხვაობა მათ მიმართულებაში გამოიხატება: ზოგი ადამიანი უფრო მიდრეკილია დადებითი ემოციებისაკენ, ყველაფერში კარგს და სასიამოვნოს ეძებს და ამჩნევს; ზოგი კი—უფრო მეტად სევდისა და უსიამოვნების აღმძვრელ საგნებსა და მოვლენებს აქცევს ყურადღებას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველას არ შეუძლია სიხარულის ან მწუხარების განცდა. ცხადია, დადებითი გრძნობებისაკენ მიდრეკილი ადამიანიც განიცდის სიხარულს და სხვა დადებით განცდებს, მაგრამ იგი დიდხანს არ რჩება ამ უარყოფით განცდებში და მალე გადაინაცვლებს ხოლმე. ასევე უარყოფითი გრძნობებისაკენ მიდრეკილი ადამიანიც განიცდის სიხარულს და სხვა დადებით გრძნობებს. მაგრამ მალე ანებებს თავს ასეთი გრძნობების გამომწვევ მომენტებს და უარყოფითი ემოციებისაკენ წარიმართება; ასეთი ადამიანი თავისი წარსულიდან ყოველთვის ტანჯვასა და პირად მწუხარებასთან დაკავშირებულ მომენტებს აქცევს ყურადღებას, ხოლო მომავალს ეპყრის თვალით უყურებს და მისაგან უმეტესად უარყოფითს მოელის.

ცხოვრებაში ფსიქიკური აქტივობის დინამიკისა და ემოციური განცდების მიმართულების შესაბამისად, ადამიანთა სხვადასხვა ტიპი არსებობს. ეს სხვადასხვაობა აშკარად შეიმჩნევა გარეგან გამოვლინებებში, ტემპერამენტი სხვა ფსიქიკურ თვისებებთან შედარებით უფრო ადვილად შესამჩნევი და გამოსაცნობია. იგი პიროვნების ყოველგვარ აქტივობაში ვლინდება და არაა დაფარული სხვა ადამიანისათვის.

ტემპერამენტის ძირითადი ტიპები ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე იყო ცნობილი. მედიცინის მამამთავარმა **ჰიპოკრატემ** მოგვცა ტემპერამენტის ოთხ ტიპად დაყოფა, რაც დღესაც აღიარებულია. **ეს ტიპებია: სანგვინიკური, ფლეგმატიკური, ქოლერიკული და მელანქოლიკური.**

**სანგვინიკური ტემპერამენტის ტიპს მიეკუთვნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სწრაფი რეაქციები და დადებითი ემოციები ახასიათებს.** ამ ტიპის ადამიანი მკვირცხლი და მოძრავია, ცოცხლად და სწრაფად მოქმედებს, ყოველგვარი გრძნობა და ემოცია მას სწრაფად უჩნდება და სწრაფადვე ქრება. სანგვინიკოსის ემოციები დიდ სიძლიერეს აღწევს, მაგრამ ძალიან მალე ქრება. ისინი ძალზე აშკარად ვლინდება გარე გამოსახულებებში: მოძრაობებში, ჟესტებსა და მიმიკაში, მეტყველების რიტმსა და ტემპში და ა. შ.

მიმართულების მიხედვით სანგვინიკური ტემპერამენტის ადამიანი უფრო დადებითი და სასიამოვნო გრძნობებისაკენაა მიმართული, იგი სხვა ადამიანებთან დამოკიდებულებაში გულღია და ხალისიანია, ადვილად ენდობა დამიანებს. სანგვინიკოსი ადვილად ეგუება ცხოვრების და საქმიანობის შეცვლას, ადვილად შედის კონტაქტში ადამიანებთან, ადვილად გადაინაცვლებს ახალ ადამიანებზე და ახალ ვითარებებზე. მისთვის სასურველი და ნაყოფიერია ცვალებადი, ცოცხალი საქმიანობა.

**ფლეგმატიკური ტიპის ტემპერამენტისათვის დამახასიათებელია სიმშვიდე და წონასწორობა.** ამ ტიპის წარმომადგენელი ნაკლებ მოძრავი და დინამიკურია, ყოველთვის ნელა და დუნედ მოქმედებს; მასში ყოველგვარი გრძნობა და ემოცია ნელა აღმოცენდება და არ აღწევს ძლიერ ინტენსივობას. მიმართულების მიხედვით, მისთვისაც უფრო მეტად დამახასიათებელია დადებითი გრძნობები და ემოციები, თუმცა ისინი სუსტია და გარე გამოსახულებებში ნაკლე-

ბად ჩანს. ფლეგმატიკური ტემპერამენტის წარმომადგენლებს გრძნობების სისუსტის მიუხედავად, დიდი სიმტკიცე გააჩნიათ: თუკი აღმოცენდა რაიმე გრძნობა, იგი დიდხანს რჩება პიროვნებაში და ადვილად არ ქრება. ასეთი ადამიანები მშვიდ და აუჩქარებელ ცხოვრებას ეწევიან.

ყოფაცხოვრებაში ფლეგმატიკოსი ზომიერი, გაწონასწორებული პიროვნებაა. მას ბოლომდე მიყავს დაწყებული საქმე, აკურატული და წესრიგის მოყვარულია; არ უყვარს ცვლილებები და შედარებით მეტი დრო ჭირდება ახალი მიმართულებით გადართვაზე. იგი ხშირად ინერტულობას და მოუქნელობას იჩენს, მიდრეკილია სტერეოტიპებისაკენ. ადამიანებთან ურთიერთობაში ფლეგმატიკოსი ადვილად არ გამოდის მოთმინებიდან, გაურბის დავასა და ჩხუბს. მაგრამ ზოგჯერ ისეთი უარყოფითი თვისებებიც უვითარდება, როგორიცაა გულგრილობა, პასიურობა და სიზარმაცე. ასევე შეიძლება ტრაბახა და „კეთილი" მატყუარაც გახდეს.

**ქოლერიკული ტემპერამენტის ტიპისათვის დამახასიათებელია უარყოფითი მიმართულების ემოციები და რეაქციის სიძლიერე.** გრძნობები და ემოციები მასში სწრაფად და ადვილად არ აღმოცენდება, მაგრამ რაკი გაჩნდება ესა თუ ის ემოცია, იგი დიდი სიძლიერით და ხანგრძლივობით ხასიათდება. ქოლერიკოსის გრძნობები თავისი სიძლიერის გამო შედარებით ადვილად ელინდება გარეგან მოძრაობებში, ამასთანავე მისი ემოციები და გრძნობები უფრო უარყოფითი ხასიათისაა; ამ ტიპის წარმომადგენელი უმეტესად არასასიამოვნო განცდებისაკენაა მიმართული. მაგრამ მას სასოწარკვეთილება და უმწეობა არ ახასიათებს, მასში წყრომისა და რისხვის რეაქციები უფრო ჭარბობს.

ყოფა-ცხოვრებაში ამ ტიპის ადამიანები სიამაყითა და მბრძანებლობის მოყვარულობით ხასიათდებიან, ისინი ხშირად გაჯავრებული და გულმოსულები არიან. გაუწონასწორებლობით, მაგრამ იძულებითი თავშეკავებულობით ხასიათდებიან; მათი მდგომარეობიდან გამოყვანა ადვილად არ ხდება, მაგრამ თუ ეს მოხდა, მერე ძნელია ძველი ურთიერთობის აღდგენა. მათში ფსიქიკური განცდებიც დიდი სისწრაფით მიმდინარეობს; იგი გამოირჩევა დაჟინებული და ინიციატივიანი ქმედებით, თუმცა ენერგიის დიდი ინტენსივობით ხარჯვის გამო, მალე იფიტება და განწყობილება უფუჭდება. ქოლერიკოსი ურთიერთობაში ფიცხი, თავშეუკავებელი და

ზოგჯერ პირდაპირ ფეთქებადია. იგი საქმის მოყვარული და ენერგიულია, მაგრამ ხშირად თვითონ ქმნის ადამიანებთან დაძაბულ ურთიერთობებს და კონფლიქტურ სიტუაციას.

**მელანქოლიკური ტემპერამენტის ტიპი ხასიათდება სუსტი მოძრაობებით და სუსტი გრძნობებით.** იგი არ განიცდის მრავალფეროვან ემოციებს და გრძნობებს, მაგრამ რასაც განიცდის, მთლიანად მოცულია დიდი მგრძნობიარობით. მიმართულების მიხედვით ამ ტიპის წარმომადგენელი აშკარად უარყოფითი განცდებისაკენაა მიდრეკილი; თანაც მას უფრო ასთენიკური ემოციები ახასიათებს, იგი უმწეობასა და სასოწარკვეთილებას განიცდის, ადვილად კარგავს მომავლის იმედს და არ იბრძვის დასახული მიზნის განხორციელებისათვის. ასეთი ტიპის ადამიანი უმეტესად პესიმისტურ განწყობილებაზეა, მასში ყველაფერი ნაღველსა და დარდს იწვევს. იგი არაა თავის თავში დარწმუნებული, ადვილად იბნევა და დაწყებული საქმეც ხშირად ვერ მიყავს ბოლომდე. ნელი და სუსტი ტიპია, ლაპარაკობს ნელა, მოქმედებს ზანტად, ადვილად იღლება. მელანქოლიკოსი თავის თავში ჩაკეტილია, გაურბის უცხო ადამიანებსა და სიტუაციებს, ადვილად არავისი არაფერი მოწონს, ბუზღუნებს და წუწუნებს. მაგრამ ხშირად ავლენს ისეთ თვისებებს როგორიცაა ტაქტიანობა, გულისხმიერება, თანაგრძნობა.

ადამიანი არ შეიძლება ზუსტად მიეკუთვნოს ერთ რომელიმე ტიპს. პიროვნების ტემპერამენტი შედარებით მრავალფეროვანია, იგი სხვადასხვა ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს მოიცავს: **მაგრამ ერთ-ერთი მათგანი უფრო მეტადაა წარმოდგენილი.** ასე, მაგალითად, შეიძლება ადამიანს ჭონდეს სანგვინიკოსისა და ფლეგმატიკოსისათვის დამახასიათებელი თვისებებიც, მაგრამ ქოლერიკოსის ნიშან-თვისებები ჭარბობდეს ორივეს. ამდენად, ლაპარაკი ტემპერამენტის ტიპზე გულისხმობს იმას, თუ ტემპერამენტის ნარევ ტიპებში რომელი მათგანის ნიშან-თვისებები ჭარბობს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სხვაობები, რომელიც სხვადასხვა ტემპერამენტის ტიპის წარმომადგენელთა აქტივობაში იჩენს თავს, განპირობებულია თანშობილი საფუძვლებით, ძირითადად ნერვული სისტემის თვისებებითა და უმაღლესი ნერვული მოქმედების სხვადასხვაობით.

ტემპერამენტის დაყოფას ტიპებად, პირველად ჰიპოკრატეს მიერ 25 საუკუნის წინ, საფუძვლად დაედო ფიზიოლოგიური ახსნა. მან შეისწავლა სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების (მათ შორის საქართველოს შავიზღვიპირეთიც) ტემპერამენტის თავისებურება-

ნი და ოთხ ტიპად დაყოფის საფუძვლად ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ჰუმორალური პროცესები მიიჩნია. კერძოდ მან მთავარი როლი მიანიჭა ორგანიზმში არსებული სითხეების (წვენების) შეფარდებას. ასე, მაგალითად, თუ ადამიანის ორგანიზმში ჭარბობს სისხლის შემადგენლობის სითხე, ვიღებთ სანგვინიკურ ტიპს, თუ ნაღვლის წვენი ჭარბობს—ქოლერიკულს, შავი ნაღვლის წვენის ჭარბობის შემთხვევაში—მელანქოლიკურს, ხოლო თუ ლორწო ანუ ფლეგმა უფრო მეტია—ფლეგმატიკურს. ამ სითხეთა სახელწოდებიდან მომდინარეობს დასახელებაც. სინამდვილეში ეს ფაქტორი მართლაც დიდ როლს თამაშობს. დღეისათვის მიღებულია, რომ მთავარი და გადამწყვეტი ტემპერამენტის სხვადასხვაობისათვის ნერვული სისტემის თავისებურებანი და ჰუმორალური საფუძვლებია.

ადამიანის ცხოვრების მანძილზე ტემპერამენტის შეცვლა და გარდაქმნა თითქმის არ ხდება. მათზე, როგორც მთლიანი პიროვნების ერთერთ ქვესისტემაზე მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს სოციალური ჯგუფის ზნე-ჩვეულებანი, ინტერესები, მოთხოვნილებები და სხვა გარემოებანი, რომელთა გავლენით დიდი ჯაფის ფასად, შესაძლებელია ტემპერამენტის მხოლოდ ცალკეული, მაგრამ არამთავარი თვისების ცვლილება და გაუმჯობესება. ტემპერამენტი მცირედ იცვლება აგრეთვე ასაკისა და საერთო ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გავლენით.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თითოეული ტემპერამენტის ტიპს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; არ შეიძლება იმის თქმა, რომ რომელიმე მათგანი კარგია, ხოლო სხვას არ გააჩნია რაიმე ღირებული და მისაღები თვისება. მთლიანპიროვნული მიდგომა გვითვალისწინებს, რომ პიროვნებას განსაზღვრავს სხვადასხვა თავისებურებანი და არა მხოლოდ ტემპერამენტი. ამდენად, პიროვნება ახდენს ტემპერამენტის ამა თუ იმ ტიპის ნაკლოვანებათა კომპენსაციას. ტემპერამენტის სხვაობის მიუხედავად, ადამიანებმა შეიძლება ერთნაირი წარმატებით შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება. ცნობილია, რომ გამოჩენილი ადამიანები სხვადასხვა ტემპერამენტის ტიპებს მიეკუთვნებოდნენ, მაგრამ ერთნაირი წარმატებით ემსახურებოდნენ თავის საქმესა და ხალხს. არ შეიძლება იმის ძიება, თუ რომელი ტიპის ტემპერამენტია უკეთესი, თითოეულ მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. სანგვინიკოსისათ-

ვის დამახასიათებელია სიმკვირცხლე, სიხალისე, გულწრფელობა და თანამშრომლობის სიადვილე. მაგრამ მასვე ახასიათებს ადვილი ცვალებადობა და ზედაპირულობა; ანდა, ფლეგმატიკოსს ახასიათებს ზომიერება, თავშეკავებულობა, მოთმინება, მაგრამ მისივე თვისებებია: სიზანტე, ზოგჯერ გულგრილობა, უნებისყოფობა და სხვა.

## § 6. ხასიათი

პიროვნების სტრუქტურული მთლიანობის აღიარება ნიშნავს, რომ მისი ყოველი ქმედება განხილული იქნას სხვებთან მიმართებაში, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესებისა და ღირებულების გათვალისწინებით. პიროვნების ასეთ თვისებას წარმოადგენს ხასიათი: **იგი ვლინდება სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში.**

ჩვენ არაერთგზის ვნახეთ, რომ პიროვნება და მისი ქვესტრუქტურები მთლიანობის პრინციპით უნდა იქნას გაგებული. პიროვნება ორგანული მთლიანია და არა ცალკეულ თავისებურებათა და ნიშან-თვისებათა ჯამი. ცალკეული თვისების შეცვლა იწვევს იმას, რომ იცვლება სხვა თვისებებთან კავშირების ფორმა; მაშასადამე სხვაგვარი ხდება მთლიანი სტრუქტურა.

ხასიათი ყველა სხვა თვისებებზე უკეთ გამოაქვს თითოეული პიროვნების განსხვავებულობას; ყველა ადამიანს თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული ხასიათი აქვს. **ფსიქოლოგია ხასიათს განიხილავს, როგორც ისეთ პიროვნულ თვისებას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის დამოკიდებულებას სხვა ადამიანებისადმი და მთელი სინამდვილისადმი.**

ხასიათი პიროვნების სარკეა, მისი სოციალური ფიზიონომიის გამოსახულებაა. ხასიათისეული თვისებები იმდენად მყარი და უცვლელია პიროვნებაში, იმდენად დიდ გავლენას ახდენს მის ქმედებაზე, რომ წინასწარი გათვლაც კი შეიძლება. იგი გამოაქვს კარგ და ცუდ მხარეებს (ანუ დამოკიდებულებებს სხვა ადამიანებთან), პიროვნების კეთილშობილებას ან სიმდაბლეს, მაღალ ადამიანურობას ან გამყიდველობას და ა. შ. ყველას ესმის რას ნიშნავს, როცა ადამიანზე ამბობენ უხასიათო პიროვნებააო, ე. ი. მას არ გააჩნია მყარი შინაგანი ხასიათისეული ნებლობითი ღერძი, თუ საყრდენი. ამას ემატება ისიც, რომ პიროვნება ყოველთვის სპეციფიკურობის მატარებელია, იგი ყველგან ტოვებს თავის ხელწერას. სუსტი ხასიათის და ნებისყოფის მქონე პიროვნება თავისთავადობას მოკლებული და მხოლოდ გარე სიტუაციების მიხედვით მომქმედია. მისი აქტი-

ვობა უმეტესად გარედან იმართება და არა შინაგანად „მე"-ს საფუძველზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როდესაც ვიცით როგორი ხასიათისაა ესა თუ ის პიროვნება, წინასწარ შეგვიძლია განვსჯერიტოთ როგორ მოიქცევა იგი ამა თუ იმ პირობებში.

ხასიათი იმ მთავარს და მთლიანს გვითვალისწინებს ადამიანში, რომელიც მის არცერთ სხვა ფსიქიკურ თვისებაში არ გვეძლევა: უფრო მეტიც, ამ სხვა თვისებების გაშლა და გამოვლენა ხასიათის ფონზე და მის შესატყვისად ხდება. ამიტომ ვამბობთ, რომ პიროვნების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შესწავლისათვის გადამწყვეტია ხასიათის ფსიქოლოგია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხასიათი პიროვნების სხვა ფსიქიკური თვისებებისაგან მოწყვეტილად არსებობს. პირიქით, ხასიათი თვითონაც განიცდის სხვა თვისებების გავლენას, იგი მათთან ერთიანობაში ყალიბდება. ყველას შეუმჩნევია, რომ დადებითი მოქმედებების დაუფლებისა და აღზრდისათვის ზოგს მეტი ზეგავლენა და აღმზრდელობითი ღონისძიებები სჭირდება, ზოგს კი—უფრო ნაკლები. ასეთი და სხვა მსგავსი მონაცემები ნიჭიერებასა და ტემპერამენტთან ერთად საფუძვლად ედება ხასიათისეული თვისებების ჩამოყალიბებას. მაგრამ მისთვის მთავარი მაინც გარემოსა და აღზრდის ფაქტორებია. ხასიათის გამომუშავება და გამოვლენა აღზრდა-განვითარებისა და ქმედების პროცესში ხდება. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული ნებისყოფასთან: იგი უპირველესად პიროვნების ნებისმიერ მოქმედებაში იჩენს თავს. როგორც ტემპერამენტი ადამიანის გრძნობებისა და ემოციების განმსაზღვრელია, ასევე ხასიათი პიროვნების დამოკიდებულებებს და ქმედების მიმართულებას განსაზღვრავს. თუ ვიცით რომელიმე პიროვნების ხასიათის თავისებურებანი მაშინ შეგვიძლია წინასწარ გავითვალისწინოთ, თუ როდის როგორ მოიქცევა იგი.

ხასიათი არაა უცვლელი, იგი ყველა თვისებაზე მეტად განიცდის ცვალებადობას ურთიერთობის პროცესში. ხასიათი ძირითადად აღზრდისა და თვითაღზრდის გავლენით ყალიბდება; ჰპირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იგი აღზრდის პროდუქტია.

ხასიათი პიროვნებისათვის მუდმივსა და უცვლელს წარმოადგენს გონებისა და ნებისყოფის საფუძველზე ყველა სულიერ ძალთა თავმოყრით. ამით იგი ადამიანის არსს გამოხატავს. ამიტომაც ამბობენ ხოლმე, რომ ხასიათი ეს თვით ადამიანია. როდესაც გონებისა და ნებისყოფის შეთანხმებულობა გვაქვს, როცა პიროვნება ითვალის-

წინებს და ეყრდნობა წინასწარ მოფიქრებულ აზრებს, საქმე გვაქვს კეთილგონიერებასთან, სიმშვიდესთან, ლოიალობასთან და საერთო წარმატებასთან: ხოლო როდესაც ემოციებია ჭარბად ჩართული, მივიღებთ გრძნობებს აყოლილ ადამიანს, რომელიც კეთილი, თანამგრძნობი და გულღია შეიძლება იყოს, მაგრამ თუ გონიერებასთან შედარებით, წინა პლანზე გრძნობები და ემოციები გამოდის, ადამიანი მგზნებარე და გულადია, მაგრამ წინდაუხედავი.

ხასიათისათვის დამახასიათებელია შემართება, მომავალზე მიმართვა და პიროვნების შემზადება აქტივობისათვის მხოლოდ აწმყოზე მიჯაჭვულობა და წარსულისაკენ მზერა საკუთარი ქმედების გასამართლებლად, ხასიათის სისუსტის მაჩვენებელია. მომავლის გათვალისწინებისა და დაგეგმვის გარეშე, ხასიათი ვერ უზრუნველყოფს პიროვნების აქტივობაში წამყვან როლს. ასეთი მობილიზებულობის საფუძვლად ყოფნის გამოა, რომ დასახული მიზნის მიღწევის გზაზე, ადამიანი რაც უფრო უახლოვდება მიზანს, მით უფრო კლებულობს სიხარული და აღტყინება და ხასიათი სხვა მოქმედებისათვის მზადებაზე გადადის.

ხასიათი გადამწყვეტ როლს თამაშობს იმის განსაზღვრაში, თუ რას აძლევს ადამიანი სხვას მატერიალურად, თუ სულიერად და რას იტოვებს თავისთვის. თუ გავიხსენებთ სოციოგენურ მოთხოვნილებებში მიზნის ემოციური ფორმით არსებობას, ხასიათი ქმედების დამრეგულიერბელად გამოდის ღირებულებების გათვალისწინებით. როცა პიროვნებაში ღირებულების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები სრულდება, იგი ავლენს სიკეთეს, თანამშრომლობას და ზრუნავს ურთიერთობების აშენებაზე. ხოლო, როცა პირიქით, ადამიანში ჭარბობს სათაისო უარყოფითი მოთხოვნილებანი, იგი ყველაფერს მხოლოდ პირადი კმაყოფილებისათვის იყენებს. ასეთი პიროვნება ამძიმებს ვითარებას, მას უხარია სხვისი ტანჯვა, დასცინის და აბუჩად იგდებს მას; იგი კი არ აშენებს ადამიანურ ურთიერთობებს, არამედ ანგრევს და ანადგურებს მას.

როგორც აღინიშნა, ხასიათი სულ სხვადასხვაგვარად იჩენს თავს. ამიტომ ხასიათის სახეებად დაყოფა, რის მიხედვითაც შემდეგ მისი ტიპების დადგენა უნდა მოხდეს, შედარებით ძნელია, თანაც იგი სულ სხვა დასხვა პრინციპით ხდება. დღეისათვის ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია ხასიათის ტიპების გამოყოფა სამი თვალსაზრისით: მოქმედების მოტივის, ხასიათის სიმტკიცის და ხასიათის სტრუქტურის მიხედვით.

მოტივების თვალსაზრისით სხვაობა გვიჩვენებს თუ რა ბუნების ქმედებაა ადამიანისათვის დამახასიათებელი, რა მიზნებითა და მოთხოვნილებებით ხელმძღვანელობს უმეტესად იგი. **მოცემული თვალსაზრისით განასხვავებენ: ეგოისტური, ალტრუისტური და საზოგადოებრივი ხასიათის ტიპებს.**

**ეგოისტური ხასიათის ადამიანების ქმედებები ძირითადად სუბიექტური,** თავისი პირადი ინტერესების მიხედვით წარიმართება. ასეთი ადამიანი ყველაფერს თავისი თავით ზომავს, ყველგან პირად სარგებლობას და სიამოვნებას ეძებს; იგი სხვების ინტერესებს ნაკლებად ითვალისწინებს და ყველა ადამიანთან ურთიერთობის ფორმებს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ირჩევს.

**ალტრუისტული** ხასიათის პიროვნებისათვის უპირველეს მიზნად მახლობელ ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა ითვლება. იგი თანაუგრძნობს და ეხმარება თავის ირგვლივ მყოფ ადამიანებს, ოჯახის წევრებს, მახლობლებსა და ნათესავებს. ხშირად პირად ინტერესებზე ხელს იღებს მათი გულისათვის, თმობს თავის პირადულს და შეიძლება თავიც გაწიროს ამ ადამიანებისათვის.

**საზოგადოებრივი** ხასიათის ტიპს მიეკუთვნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ყველაზე მაღლა საზოგადოებრივ ინტერესებს აყენებენ; ასეთი ადამიანი თმობს საკუთარ და მახლობელ ადამიანთა ინტერესებს თავისი ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისათვის. ასეთი იყო ხევისბერი გოჩა, მეფე დიმიტრი თავდადებული და სხვა. ასეთი ადამიანების მთელი პლეადაა ჩვენს სამშობლოში, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი ხალხისა და საქართველოს ინტერესებს.

**ხასიათის სიმტკიცის თვალსაზრისით გამოყოფენ ორ ტიპს; მტკიცე და სუსტი ხასიათის ადამიანებს.** მტკიცე ხასიათის ადამიანი აქტიურად იბრძვის დასახული მიზნის მისაღწევად, ძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას, იგი ძლიერი ნებისყოფის მქონე პიროვნებაა. სუსტი ხასიათის მქონე ადამიანი კი ადვილად იხევს უკან ყოველგვარი დაბრკოლების წინაშე და ადვილად ემორჩილება უნებლიე იმპულსების გავლენას.

**ხასიათის სტრუქტურის მიხედვითაც ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: ჰარმონიული და დისჰარმონიული ხასიათი.** ჰარმონიულ ხასიათთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ხასიათის ცალკეული შემადგენელი ნაწილები, მოთხოვნილებები და ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან; ისინი ერთმანეთს ხელს უწყობენ და ერთმანეთთან ჰარმონიულ მთლიანობაში არიან. დისჰარმონიულ ხასიათში კი

პიროვნების ინტერესები და მოტივები კონფლიქტში არიან ერთმანეთთან, რის გამოც პიროვნება რყევას და გაორმაგებას განიცდის. ძირითადად ასეთი კონფლიქტი გამოწვეულია უნებლიე იმპულსებისა და ნებისმიერად მიღებულ გადაწყვეტილებების დაპირისპირებით, რაც ასუსტებს ნებისყოფის ძალას და ხელს უშლის განზრახული მოქმედების წარმატებით განხორციელებას.

ხასიათის ძირითადი თვისებების მის ტიპებთან შერწყმა განაპირობებს პიროვნების ძირითად ფსიქიკურ თავისებურებებს. ამდენად აუცილებელია ხასიათის თვისებების და პიროვნების ფსიქიკური წყობის გარკვევა: თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენს პიროვნება სხვა ადამიანებისადმი, თავისი თავისა და საერთოდ სინამდვილისადმი, საქმისადმი, შრომისადმი და ა. შ. ამ დამოკიდებულებათაა შესატყვისად არსებობს ხასიათის განსხვავებული თვისებები, რომლებიც ადამიანის ქმედების და ურთიერთობის პროცესში ყალიბდება და ვლინდება.

**ჰუმანიზმი** წარმოადგენს ხასიათის ისეთ თვისებას, რომელიც ვლინდება სოციალური ჯგუფისა და ცალკეული ადამიანებისადმი პატივისცემაში, საერთო ინტერესებისათვის აქტიურ ბრძოლაში. იგი დამახასიათებელია სოციალურად ჩამოყალიბებული ადამიანებისათვის, რომელთაც ყოველთვის შეუძლიათ სხვა ადამიანების გაგება, მათდამი თბილი მოპყრობა და დახმარება. ასეთი თვისებების მატარებელია საზოგადოებრივი და ალტრუისტული ხასიათის ტიპის წარმომადგენლები. ჰუმანიზმის საწინააღმდეგოს წარმოადგენს ისეთი თვისების მატარებელი ადამიანი, რომელსაც უმეტესად სხვებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ახასიათებს:—ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი, რომელთა დაძლევა დიდი ჯაფითა და საკუთარი მონდომებითაც ვერ ხერხდება.

**სამართლიანობა და თავმდაბლობა** გამოიხატება სხვებისა და საკუთარი საქციელისადმი დამოკიდებულებაში და მათ შეფასებაში. ასეთი თვისებების მქონე ადამიანი არ ცდილობს წინა პლანზე წამოწიოს თავისი დამსახურებანი, იგი სხვებზე მაღლა არ აყენებს თავის თავს, არ ყოყლოჩობს და არ ტრაბახობს. აქ აშკარად ვლინდება გონიერების კავშირი თავმდებლობასთან. ჭკვიანი კაცი ამპარტავანი და მედიდური ვერ იქნება: იგი გრძნობს უპირატესობას, მაგრამ გონება არ რთავს ნებას ამის გამოსახატავად: თავმდაბლობა მეტად ღირებული თვისებაა, იგი სხვებისა და თავისი შესაძლებლობის სამართლიან შეფასებას გულისხმობს, რაც ყოველგვარ საქციელში

ელინდება; ზოგჯერ ისეთშიც კი, როგორიცაა ჩაცმა, ადამიანებისადმი მიმართვა, ლაპარაკის ტონი და სხვა.

**კრიტიკული დამოკიდებულება და მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი** გულისხმობს საკუთარი ძალების სწორ შეფასებას; საკუთარი მოქმედების კონტროლისა და კრიტიკის უნარს. ასეთი ადამიანი ყოველთვის მომავლისკენაა მიმართული, იგი ფიქრობს იმაზე, რისთვისაც ჯერ არ მიუღწევია და არ ეძლევა განცხრომას უკვე მიღწეულით; ამ თვისების მქონე ადამიანს ყოველი წარმატება სტიმულს მატებს და შემდგომი წარმატებებისაკენ წარმართავს. მაგრამ თავმდაბლობა და საკუთარი თავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება არ უნდა გამორიცხავდეს საკუთარი ღირსების და ძალების სწორი შეფასების უნარს, საკუთარ ძალებში დარწმუნებულობას. საკუთარ ძალებს და შესაძლებლობებში დარწმუნება შრომისა და ბრძოლის უნარს მატებს ადამიანს; ადამიანი რაც უფრო მეტად გახიცდის საკუთარი მოქმედების საჭიროებას და ღირებულებას, მით უფრო მეტს აღწევს, იგი არ თვლის თავის თავს ზედმეტად და ნაკლებ ღირებულების მქონედ.

**შემოქმედებითობა და ინიციატივიანობა** პიროვნების მეტად ღირებულ თვისებას წარმოადგენს; იგი განსაკუთრებით ვლინდება შრომა-საქმიანობისადმი დამოკიდებულებაში. როცა პიროვნება არ ჯერდება მოცემული დავალების კეთილსინდისიერ შესრულებას, იგი ყოველთვის ახალს ეძებს, შემოქმედებითად უდგება თავის საქმიანობას.

**დამოუკიდებლობა და პრინციპულობა** გულისხმობს პიროვნების ქმედების საკუთარი რწმენისა და შეხედულებების მიხედვით წარმართვას. ასეთი ადამიანები ადვილად არ აყვებიან სხვებს, არ მოქმედებენ ბრმად და კონფორმისტულად. მაგრამ დამოუკიდებლობა და პრინციპულობა არ ნიშნავს სხვისი აზრებისა და რჩევის ხელაღებით უარყოფას, ნეგატივიზმს და წინააღმდეგობას დადებითი, მაგრამ სხვისგან მომდინარე შეხედულებისადმი. პრინციპული ადამიანი ყოველთვის სამართლიანია საკუთარი თავისა და სხვებისადმი, იგი ობიექტურად აფასებს საკუთარ და სხვის მოქმედებას.

ხასიათის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა **მიზანმიმართულობა და სიმტკიცე**. მიზანმიმართულობა წარმოადგენს პიროვნების მიერ თავისი მოქმედების დასახული მიზნების შესატყვისად წარმართავს და მთელი ძალების მობილიზაციას მის შესასრულებლად. ასეთი ადამიანი თავისი ძირითადი პრინციპებისა და მიზნების თვალით უყურებს და ზომავს. იგი ახერხებს მიზნის განხორციელებისათვის

ბრძოლაში ყოველგვარი წინააღმდეგობის გადალახვას და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. მტკიცე ხასიათის ადამიანი არ უშინდება სიძნელეებს, არ იღებს ხელს თავისი მიზნის შესრულებაზე, იგი არ ეცემა სულიერად წარუმატებლობის შემთხვევაში; ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებს დაწყებული საქმის წარმატებით დამთავრებისათვის.

**გამძლეობა და დისციპლინირებულობა** გულისხმობს ამტანობას და მოთმინებას, საკუთარი თავისა და მოქმედებების ფლობას. ამ თვისების მატარებელი ადამიანი ყოველთვის ახერხებს არჩეული მოქმედების გაგრძელებას, არ იბნევა ძნელ პირობებში და ადვილად გადაიტანს ხელისშემშლელ მომენტებს (ავადმყოფობა, მოსაწყენი საქმე, ლოდინი, დაღლილობა, სოციალური დისკომფორტი და ა. შ.). დისციპლინირებული ადამიანი არ ჰირვეულობს, არ უშლის ხელს სხვების მოქმედებას, ასრულებს საერთო მოთხოვნებს. იგი ყოველთვის მაღალ შეგნებას იჩენს, გრძნობს პასუხისმგებლობას და მოვალეობას სხვა ადამიანთა წინაშე.

თუ გავითვალისწინებთ ხასიათის ტიპებსა და თავისებურებებს და მათ მიმართებას სხვა ფსიქიკურ თვისებებთან, შესაძლებელი იქნება იმ სიძნელეთა დაძლევა, რაც ხასიათის ცნების გაგებას ახლავს. მთავარი კი იმის ხაზგასმაა, რომ ხასიათი საფუძვლად ედება პიროვნებაში მთლიანი განმსაზღვრელი და იგივეობრივი ღერძის არსებობას. იგი პიროვნების ზოგად და მთავარ ხაზებს იძლევა, რომელთა ფონზე პიროვნების სხვა თვისებები იშლებიან და მის შეფერილობას ატარებენ.

ამრიგად, **ხასიათის საფუძველზე მიიღწევა პიროვნებისათვის მთავარი — თავისთავადობა და განუმეორებლობა**, რაც ისევე აუცილებელია პიროვნებისათვის, როგორც სიკეთე და ჭეშმარიტება. მათ გამო არსებობს ადამიანებს შორის სულის მიხედვით დიდი და არსებითი განსხვავება, მაშინ როცა ფიზიკურად და ფსიქიკურად ისინი ძალიან გვანან ერთმანეთს. ხასიათის საფუძველზე იძენს პიროვნება ინდივიდუალურ ბიოგრაფიას და ამიტომ არაა მშობელი და შვილი ერთნაირი სულის მიხედვით; სულის ჩასახლების შემდეგ ყველა ადამიანს საკუთარი გზა და ბიოგრაფია გააჩნია.

როგორც ღვთის მიერ გაჩენილ არსებაში, ყველა ადამიანში ჩადებულია სიკეთე, სიხარული, ცოდნა, სიყვარული და სხვა სასურველი თვისებები, რომლებიც პიროვნების არსში იგულისხმება. ადამიანის მიერ ბოროტისა და უკეთურის გამოვლინება სიკეთიდან და და-

დებითი ბუნებიდან გადახრას წარმოადგენს, ან მისი შემცირებაა. ბოროტება შემცირებული სიკეთეა, მწუხარება—შემცირებული სიხარული; ისევე, როგორც სიცივე შემცირებული სითბოა. ამიტომაც მივყავართ სულის განწმენდას სიკეთისა და სიყვარულისაკენ. სწორედ ამის გამო, აზროვნებისა და ნებისყოფის მქონე ადამიანი შეგნებული და თავისუფალია, თავისი აზრით მოქმედებს და არა იმპულსებით, ან ვინმეს იძულებით. ამავე დროს, როგორც უკვე ვიცით, იგი დაკავშირებულია სხვა პიროვნებებთან და მთელ საზოგადოებასთან. პიროვნება სხვებთან ერთად და სხვებისაგან მოდის, რაც მის სოციალურობას და ისტორიულობას განაპირობებს, იგი საკუთარი ბიოგრაფიის მქონე ადამიანების ისტორიის ნაწილია.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი სიღრმისეული ბუნებისა, ხასიათი ძირითადად გარემოსა და აღზრდის გავლენით ყალიბდება, იგი უფრო ინდივიდუალური განვითარების გზით შეძენილია, ვიდრე თანდაყოლილი უნარების რეალიზება. რა თქმა უნდა, ამით თანდაყოლილი თავისებურების სრული უარყოფა არ ხდება, მათაც დიდი წვლილი მიუძღვით ხასიათის ფორმირებაში: მათ როლს კარგად გვიჩვენებს სრულიად ერთნაირ პირობებში აღზრდილი ადამიანების ხასიათებში არსებითი სხვაობა: ისინი სხვადასხვაგვარად განიცდიან სინამდვილეს და ადამიანებს, სიყვარულს, სიკეთეს, სიმართლეს, შურს, ბოროტებას და ა. შ. ერთი უფრო კეთილია, მეორე—უფრო შურიანი და ბოროტი, ერთი უფრო სამართლიანი და სხვების გამგებია, სხვა — უფრო ეგოისტი და გულჩათხრობილი. ზოგი უფრო მორიდებულია, ზოგი—უფრო თავხედი და უზრდელი და ა. შ. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს სულის მთლიანობით და მუდმივობით განსაზღვრულ ძირეულ თავისებურებას, რაც აგრეთვე თავს იჩენს აღზრდის სიძნელეში სხვადასხვა ადამიანში: ზოგს გაცილებით მეტი ენერგია მიაქვს აღმზრდელისაგან, ვიდრე სხვებს.

ხასიათის ასეთი განმსაზღვრელი, მთლიანობითი გაგებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხასიათის სიმტკიცე და სხვა თავისებურებანი ადვილად არ ჩანს, ძნელია მოინახოს ის შინაგანი საფუძველი, რაც ერთნაირ შედეგში სხვადასხვანაირად მოვიდა: ერთ შემთხვევაში შეიძლება ენერგიის დიდძალ ხარჯვას და ძალისხმევას ჭონდეს ადგილი, მეორეში კი—თავისთავად გაიოლებულია ამ შედეგის მიღწევა. მაგალითად თანაბარ სიტუაციაში, ორი ზნეობრივი და თავშეკავებული ახალგაზრდიდან. ერთს შეიძლება ძლიერი აგზნება და დიდი ლტოლვა ჭონდეს სექსისადმი, ხოლო მეო-

რეს სუსტი სჭესობრივი იმპულსები გააჩნდეს. რა თქმა უნდა, მეორე შემთხვევაში თავშეკავება და ხასიათის სიმტკიცე ნაკლებადაა საჭირო, პირველისათვის კი მთელი სიმძიმე ხასიათის ამ თვისებებითაა განპირობებული.

## § 11. პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობანი

პიროვნების აქტივობის ყოველგვარ გამოვლენაზე, იქნება ეს მოქმედება, განცდა, თუ ურთიერთობა, გავლენას ახდენს მისი ფსიქიკური მდგომარეობა. ასეთი გავლენა განსაკუთრებით შესამჩნევია პრაქტიკულ ქმედებებში, შრომით საქმიანობაში. ფსიქოლოგიაში ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობათა განსხვავებული სახეები გაანიხილება ან როგორც ხელშემწყობი, ან როგორც ხელშემშლელი ფაქტორი.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პიროვნების ფსიქიკური თვისებები განაპირობებენ განსხვავებას ადამიანებს შორის, ხოლო ფსიქიკური მდგომარეობანი ერთი პიროვნების შიგნით სხვაობას. ფსიქიკური მდგომარეობა გვეძლევა როგორც ინტრაინდივიდუალური თვისება. **პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობა წარმოადგენს მის ფსიქიკაში გარეგანი ან შინაგანი მიზეზებით გამოწვეულ დროებით ცვლილებებს.** ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, პიროვნების განცდები და ქმედებანი მიმდინარეობს ფსიქიკური მდგომარეობის ფონზე; გარეგანი თუ შინაგანი ფაქტორების ზემოქმედების საფუძველზე აღმოცენებული ფსიქიკური მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანის მზადყოფნასა და შრომისუნარიანობას, მისი ქმედების მიმდინარეობასა და ეფექტურობას

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ფსიქოლოგიის პრაქტიკული დარგების ჩამოყალიბების პროცესში, ყურადღება მიაქციეს, რომ ყოველ მოცემულ მომენტში პიროვნების უნარიანობის ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი **ფუნქციური მდგომარეობა** საერთოდ და კერძოდ, **ფსიქიკური მდგომარეობა.** პიროვნების ისეთი მდგომარეობანი, როგორიცაა ხალისი და უხალისობა, შემართება და აპათია, მშვიდი მდგომარეობა და ემოციური დაძაბულობა, სიფხიზლე და ძილმორეულობა და სხვა განაპირობებენ ადამიანის შრომის ნაყოფიერებასაც და მის პიროვნულ ურთიერთობებსაც.

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული მდგომარეობანი სხვადასხვა სპექტრისა და ძალის შეიძლება იყოს. ისინი შეიძლება იყოს უფრო ძლიერი ან სუსტი, ხანგრძლივი ან ხანმოკლე; ზოგი ისეთი სწრაფწარმავალია, რომ ნაკლებ გავლენას ახდენს პიროვნების აქტი-

ვობაზე, ზოგი კი შედარებით ხანგრძლივად შეიძლება შემორჩეს პიროვნებას და ბევრ რამეში იჩინოს თავი. მთავარია. რომ ყველა ისინი ადამიანის ქმედუნარიანობასა და მისი შრომის ნაყოფიერებაზე დიდ გავლენას ახდენენ.

ჩვეულებრივი, ნორმალური ფსიქიკური მდგომარეობისაგან განსხვავებით, რაც გულისხმობს შრომისუნარიანობისა და ფუნქციური მზადყოფნის არსებობას, არჩევენ შედარებით უფრო გამოკვეთილი ფსიქიკური მდგომარეობის ფორმებს, რომლებიც ასევე დიდ (უმეტესად უარყოფით) გავლენას ახდენენ პიროვნების ქმედების წარმატებაზე; **ესენია: დაღლილობა, ფსიქიკური დაძაბულობა და სთრესი, მონოტონია, მოყირჭება და სხვა.**

შრომისუნარიანობისა და ჩვეული ენერგიით საქმიანობისათვის შესაბამისი მდგომარეობის საპირისპიროდ, შრომის ნაყოფიერების დაქვეითებების განმაპირობებელი ფსიქიკური ფაქტორებიდან ყველაზე აშკარად და გამოკვეთილად მოცემულ ფსიქიკურ მდგომარეობას წარმოადგენს **დაღლილობა და დაღლა.**

ყოველგვარი შრომისა და საქმიანობის პროცესში ადვილი შესამჩნევია, თუ როგორ იცვლება აქტივობისა და შრომისუნარიანობის დინამიკა სტაბილური მდგომარეობიდან ქმედუნარიანობის თანდათანობით დაქვეითებისაკენ. ასეთი ცვლილება უპირველეს ყოვლისა, დაღლილობის აღმოცენებისა და მისი განვითარების შედეგია. **დაღლილობა ხანგრძლივი და ინტენსიური მოქმედების პროცესში აღმოცენებული მთლიანი ფუნქციური მდგომარეობაა.** იგი მოიცავს როგორც ნერვული სისტემისა და კუნთური აპარატის ცვლილებებს, ისე მთლიანპიროვნული მექანიზმის ცვლილებებს. ამ უკანასკნელში მთავარია ფსიქიკური ასპექტები: აღქმისა და ყურადღების ინტენსიობის დონის დაქვეითება, მეხსიერებისა და აზროვნების პროცესების შედარებით დაბალი დონე, ძალისხმევის გაძლიერება, უარყოფითი ემოციების მომატება და სხვა. ყოველივე აღნიშნულს თან მოჰყვება შრომის ნაყოფიერების დაქვეითება, შეცდომები, საქმის გაძნელება და გახანგრძლივება, რაც ორგანიზმის შინაგანი ძალების გამოფიტვის ობიექტური მაჩვენებლებია.

**დაღლა დაღლილობის სუბიექტური განცდა, სუბიექტური გამოვლენაა.** იგი უძლურობისა და სისუსტის შეგრძნებას წარმოადგენს, რაც მთელი ორგანიზმის, ან სხეულის რომელიმე ნაწილის უნარიანობის დაქვეითების მაჩვენებელია. დაღლა ზოგჯერ ტკივილის აშკარა განცდის სახით გვეძლევა, ან დისკომფორტის, შფოთვის, შეწუ-

ხებულობის განცდებში ვლინდება, რასაც თან სდევს ინტერესის შენელება და საქმიანობის გაგრძელების სურვილის დაქვეითება. განსაკუთრებით შესამჩნევად დაღლა გამოიხატება მოძრაობების შესრულებაში: ისინი თანდათან ნელი და მოუქნელი ხდება, კლებულობს სიზუსტე და თანდათანობით აღიკვეთება რთული მოძრაობითი ჩვევები. დაღლილობა იწვევს ნებისყოფის შესუსტებას, გამძლეობის უნარისა და თვითკონტროლის დაქვეითებას; ხოლო მის ბოლო პერიოდში აღმოცენდება ძილმორეულობაც. როგორც ორგანიზმის დაცვითი ფუნქცია. ძილის მოთხოვნილება ზოგჯერ ისე ძლიერია, რომ ადამიანი ფეხზე მდგომი. ან მოსიარულეც კი იძინებს.

ამრიგად, დაღლილობა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მთლიანპიროვნული ფსიქიკური მდგომარეობაა, რომელიც სხვადასხვა დონით და სახით იჩენს თავს ცალკეულ შემთხვევაში, რადგანაც მისი ყველა კომპონენტი და თავისებურება არ შეიძლება ერთდროულად არსებობდეს. დაღლა, როგორც დაღლილობის განცდა, შედარებით მოგვიანებით აღმოცენდება ამიტომ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის პირველი დაფიქსირება დაღლილობის მიმართულებით უნდა ვეძიოთ ობიექტურ მონაცემებში, რაც მისი პროფილაქტიკის კარგი საშუალებაც იქნება. ამ მხრივ გახსენების ღირსია ძველი გამოთქმა რომ დასვენება უნდა მანამ, სანამ დაიღლებოდე (ე. ი. სანამ დაღლა, როგორც განცდა შეგვაწუხებდეს).

დაღლილობის განცდის გამოხატვა დაღლაში გასაგებს ხდის მის შეგუებით ხასიათს, როცა იგი სიგნალს იძლევა მოქმედების შეწყვეტისათვის და ამდენად დაცვით ფუნქციას ასრულებს. არიან ადამიანები, რომლებსაც დაღლის განცდები გვიან და ძნელად აღმოუცენდებათ; ასეთ შემთხვევაში გაძნელებულია ჯანმრთელ და მობილიზებულ მდგომარეობიდან ქმედუნარიანობის დაქვეითებისაკენ სვლის შემჩნევა და პროფილაქტიკა.

დაღლილობის სირთულე და მრავალფეროვნება აძნელებს მის კლასიფიკაციას. უფრო ხშირად დაღლილობის სახეების შესახებ ლაპარაკობენ იმ სფეროების მიხედვით, რომელთაც დაღლა გამოხატავს. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ შემდეგ სახეებს: ფიზიკური, კუნთური .სენსორული, გონებრივი და ემოციური დაღლილობანი.

უნდა აღინიშნოს დაღლილობის შინაგანი და გარეგანი თანმხლები ფაქტორების შესახებ, რომლებიც აჩქარებენ, ან აძლიერებენ დაღლილობას ცალკეული სახეების შიგნით. ზოგი ასეთი ფაქტორი შეიძლება თითონაც იწვევდეს უშუალოდ დაღლილობას. ასეთია,

მაგალითად, შრომის ცუდი ორგანიზაცია, ღამით მუშაობა, ხანგრძლივი და მოუხერხებელი მგზავრობა სამუშაოზე მისვლისას. დამატებითი დატვირთვა და სხვა. ზოგიერთი ფაქტორი კი (უმეტესად შინაგანი ფაქტორები) აჩქარებს დაღლილობის აღმოცენებას და ზრდის მის სიძლიერეს. ასეთი ფაქტორებია: ჯანმრთელობა, ასაკი, ინდივიდუალური თავისებურებანი, გავარჯიშება-შეჩვევა და სხვა.

დაღლილობის აღმოცენების დაჩქარებას და მისი სიძლიერის გაზრდას ხელს უწყობს, აგრეთვე, ფიზიკური გარემო და მისი ფაქტორები. კერძოდ, ხმაური, განათება, ტემპერატურა, ვიბრაცია, დღის დრო, სამუშაო სიგნალების სიძლიერე და სიხშირე, სამუშაოს მონოტონურობა და ა. შ.

ნორმალური, ჩვეული შრომისუნარიანობის შენარჩუნება, ან მისი სხვა მდგომარეობაში გადასვლა დაკავშირებულია ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობასთანაც, როგორიცაა **ფსიქიკური დაძაბულობა. ჩვეულებრივ, ფსიქიკური დაძაბულობა, რომლის უკიდურეს ფორმას სთრესი წარმოადგენს, ითვლება აქტივობის გართულებული პირობების შედეგად აღმოცენებულ მდგომარეობად.**

საერთოდ თუ გავიხსენებთ ემოციების როლს ქმედების აღძვრა-მიმდინარეობაში, ცხადი გახდება, რომ გარკვეული დოზით ფსიქიკური დაძაბულობა საჭიროა ყოველგვარი საქმიანობისათვის. იგი ჩვეულებრივი, ნორმალური შრომისუნარიანობის ხანგრძლივად შენარჩუნების ხელშემწყობია. ასეთი ზომიერი დაძაბულობა ამაღლებს აქტივობის უნარს, კარგ განწყობილებას და აუმჯობესებს ქმედების შედეგებს. ამ ნორმალური ფსიქიკური დაძაბულობის ამაღლება და გაძლიერება უკვე აღარ წარმოადგენს წარმატებული მოქმედების ატრიბუტს: იგი განსაკუთრებული, ექსტრემალური და სთრესული პირობების თანმხლებია.

ასეთი აწეული დაძაბულობა განსხვავებულ გავლენას ახდენს პიროვნებებზე, მათი ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. ასე, მაგალითად, ზოგს სრული დაძაბულობა, შებორკვა და იმპულსურობა ეუფლება, რაც გარეგნულადაც ჩანს (აქეთ-იქით ცეცება, ტუჩების კვნეტა და ა. შ.): ზოგი სულ მთლიანად პარალიზებული ხდება და უმოქმედობა ეუფლება: ზოგიც უფრო შეკავებულად იქცევა. მაგრამ აქტივობას მაინც წყვეტს. მხოლოდ თანდათანობით და გააზრებულად: მასაც ეუფლება თანდათანობით აპატია და მოცემული მდგომარეობიდან გასვლის სურვილი. მაგრამ ნაკლებად ემორ-

ჩილება ასეთ არახელსაყრელი სიტუაციების გავლენას. იგი ზოგჯერ პირიქით, უფრო მეტი ენერგიითა და წარმატებით აგრძელებს საქმიანობას, გარკვეული დროის მანძილზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ფსიქიკური დაძაბულობა, თუ ის ხანგრძლივად გაგრძელდა, ფიტავს პიროვნების ძალებს; დიდი ხანგრძლივობის, ან ძლიერი სთრესული ზემოქმედების შედეგად, ზოგჯერ ადამიანი ავადდება სთრესული ავადმყოფობით (მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადებანი). პიროვნული თვისებებიდან გა მომდინარე, ზოგი მიდრეკილია აგრესიულობისაკენ, შფოთავს, მოუმთნელია. ექსპრესიულად მეტყველებს და მოძრაობს, ფაციფუცობს, დრო არ ყოფნის, საბეზეც კი კუნთური დაძაბულობა ეტყობა. ზოგი პიროვნება კი მშვიდად ეგებება ყოველგვარ გამღიზიანებელ და სთრესულ პირობებს. აქედან გასაგებია ის როლი, რაც ეკისრება პიროვნების საცხოვრებო და სამოღვაწეო პირობების მოწესრიგებას, სთრესული მდგომარეობის აღკვეთას და ფსიქიკური დაძაბულობის შემცირებას.

ფსიქიკური დაძაბულობის ერთგვარად საპირისპიროს წარმოადგენს **მონოტონიის მდგომარეობა.** იგი დაღლილობის მსგავსი მოვლენაა, მაგრამ დაღლილობისაგან განსხვავებით, რაც ორგანიზმის ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენს ძლიერ, ან ხანგრძლივ აქტივობაზე, მონოტონიის მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების ერთფეროვნებით და ერთგვაროვნობით გამოიწვევა. შედარებით წყნარი, ხანგრძლივად შესასრულებელი, ერთი და იგივე მოქმედებების სტერეოტიპული განმეორება ადამიანში იწვევს აქტივობის დაცემას, მოდუნებას, ძილის მსგავს მდგომარეობას (ბურანში ყოფნას).

მონოტონიაც არაა ყველა ადამიანისათვის ერთნაირად დამახასიათებელი: ზოგი ადვილად ძლევს მას და აგრძელებს ნაყოფიერ საქმიანობას; ზოგი კი ვერ აღწევს თავს მის უარყოფით გავლენას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მონოტონიასთან ბრძოლის საშუალებები, რომლებშიც წამყვანი როლი ეკუთვნის დაინტერესებისა და საჭიროების გაცნობიერების ფაქტორებს, მოძრაობათა შეცვლას, შესრულებული საქმის შესახებ ინფორმაციის ხშირ მიწოდებას, დამატებითი გამღიზიანებლის, მაგალითად ფუნქციური მუსიკის ჩართვას და შრომის ფიზიკური გარემოს გადახალისებას.

ზემოთ განხილული სახეებისაგან განსხვავებით, ზოგჯერ ადგილი აქვს მოქმედების გაძნელებას და მისი შეწყვეტის ძლიერი სურვილის გაჩენას. ამ მოვლენას **მოყირჭებას ანუ სატურაციას უწოდებენ.**

ზოგჯერ თავისთავად ძალიან ცოცხალი და საინტერესო საქმეც შეიძლება მობეზრდეს ადამიანს: მთავარი აქ ინტერესის განცდის დაკარგვაა, პიროვნებაში ინტერესის ნაცვლად გაღიზიანება და მობეზრება ჩნდება, რის გამოც იგი ცდილობს ამ მოცემული მოქმედებისაგან გარიდებას.

# თავი XII

# ურთიერთობა და ურთიერთქმედება

## § 1. ადამიანთა სოციალური ურთიერთობა

ადამიანების ცალკეული მოქმედებანი და საერთოდ მისი მიზანშეწონილი აქტივობა არ შეიძლება გაგებული და ახსნილი იქნას სოციალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. ადამიანის მოქმედება ყოველთვის მიმდინარეობს სხვა ადამიანების გათვალისწინებით, მათი უშუალო, თუ პოტენციური გავლენით. ჩროგორ იზოლირებულ პირობებშიც არ უნდა მიმდინარეობდეს ქცევა, იგი მაინც სოციალურ-ფსიქოლოგიურ დაღს ატარებს; ამიტომაც კონკრეტული მოქმედების მოტივი და მიზანი მხოლოდ ინდივიდუალური, კონკრეტული ადამიანის მდგომარეობით და მოქმედების საგნის მოცემულობით ვერ გაირკვევა: ადამიანი სოციალური არსებაა და ეს სპეციფიკა ყოველგვარი ქმედების პროცესში გვეძლევა ურთიერთობის და ურთიერთზე ზეგავლენის. ანუ ურთიერთქმედების სახით.

სოციალური გარემოს შექმნა და საზოგადოების არსებობა განპირობებულია ადამიანთა არა მხოლოდ ფიზიკური და ბიოლოგიური ზემოქმედებით, არამედ სწორედ სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობებით. ადამიანის ქცევა და ცალკეული ქმედების ფორმები განსაზღვრულია სოციალური ურთიერთობებით. **ძირითადად განასხვავებენ ორგვარ ფორმას იმ ურთიერთდამოკიდებულებებიდან,** რომლებიც სოციალური ქმედების საფუძველია. **ესენია: სოციალური ურთიერთობა და სოციალური ურთიერთქმედება.** აქედან გამომდინარე ადამიანი მეორე ადამიანისათვის არაა ისეთივე უბრალო ფიზიკური გამღიზიანებელი, როგორც სხვა საგნები და მოვლენები; ქცევის მიმდინარეობაზე სხვა ადამიანის უბრალო თანაარსებობაც კი სპეციფიკურ გავლენას ახდენს, როგორც პიროვნებაზე.

მიუხედავად კაცობრიობის წინსვლისა ადამიანთა პირველყოფილი ცხოვრებიდან უმაღლეს დონემდე, სოციალური ურთიერთობის არსი უცვლელია. ესაა ის ძირითადი უნარი, რაც საშუალებას იძლევა ადამიანმა ყველა სიტუაციაში შეძლოს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან, მიუხედავად მათი სხვაობისა ასაკის, კულტურის. შეშეხედულებების თუ სხვა გარემოებათა მიხედვით.

**ურთიერთობა წარმოადგენს ადამიანთა სოციალურ-ფსიქოლო-**

**გრული ურთიერთკავშირის ფორმას.** იგი აღმოცენდა ადამიანთა ერთობლივი შრომის პროცესში და მისი საჭიროებისათვის; ეს ფაქტი გასაგებს ხდის მის განუყრელ კავშირს ქმედებასთან. ქმედება და ურთიერთობა ერთიანობაშია, მათი ერთიანობა ქმნის პიროვნების არსებობა-მოღვაწეობის ასპარეზს; **პიროვნება არსებობს მხოლოდ ქმედებასა და ურთიერთობაში.**

ურთიერთობა არის ადამიანთა სოციალური ერთობის საფუძველი, მისი საშუალებით ადამიანები ერთიანდებიან ჯგუფებში, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას, აგებინებენ ერთმანეთს თავიანთ განცდებსა და აზრებს. ყოველგვარი ქმედების და მით უმეტეს. შრომის ორგანიზაცია და ნაყოფიერად წარმართვა. შეუძლებელია ურთიერთკავშირის და სოციალური ურთიერთობის გარეშე.

ფსიქოლოგიურად ურთიერთობა, როგორც ადამიანური მოქმედების საფუძველი, ერთგვარ დამოუკიდებლობასაც იძენს. იგი ქმედების საფუძველი და მასში განხორციელებული მოვლენაა, მაგრამ ადამიანთა განვითარების მაღალ საფეხურზე, საზოგადოებრივად ორგანიზებულ გარემოში, ურთიერთობანი თავისთავადი სახითაც გვეძლევა. ამ შემთხვევაში მასზე, როგორც აქტიობის ცალკე ფორმაზე, გვიწევს მსჯელობა. მაგალითად, პედაგოგიური (ისევე, როგორც სხვა სახის) ქმედებანი საჭიროებს ურთიერთობათა მთელი რიგის მოწესრიგებას. სწორ ურთიერთობათა აღზრდა, ცოდნის მიღებასთან ერთად, შეადგენს განათლების ძირითად და მთავარ ამოცანას.

პიროვნების ფორმირების ამოცანა ითვალისწინებს ურთიერთობის, როგორც აუცილებელი პირობის ჩამოყალიბებას. სხვაგვარად სრულყოფილი პიროვნება არ არსებობს. მხოლოდ მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება ბავშვი პიროვნებად. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ **სხვებთან ურთიერთობაში ამყარებს (და შეიმეცნებს კიდეც) ადამიანი თავის თავს, აქ პოულობს საკუთარ თავს და ახდენს მის შეფასებას.** უმთავრესი შედეგი კი, რაც ამას მოყვება ისაა, რომ ადამიანს უყალიბდება ძირითადი სოციალური მოთხოვნილებანი და სოციალური დაცვის გრძნობა; რაც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ცდილობს ყოველთვის იმყოფებოდეს თბილ, სოციალურად მოწესრიგებულ გარემოში, გრძნობდეს ირგვლივ მყოფთა მეგობრულ და კეთილმოსურნე დამოკიდებულებას. უარყოფითი განცდები და საქციელი ხშირად იმითაა გამოწვეული, რომ ვერ გვიგებენ, მხარს არ გვიჭერენ. არ თანაგვიგრძნობენ და არ გვეხმა-

რებიან. ასეთი მხარდაჭერის გარეშე შრომასა და ცხოვრებაში წარმატებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. საერთო ენის გამონახვა და ნორმალური ურთიერთობა ერთნაირად საჭირო და აუცილებელია ოჯახშიც, სამსახურშიც და სხვა საზოგადოებრივ სფეროებშიც. ნორმალური ურთიერთობის გარეშე, ადამიანი ვერ გამოაელენს მის საკუთარ ბუნებრივ მონაცემებსაც კი, იგი წარუმატებლობის (შეჭების თუ მხარდაჭერის არ არსებობის) გამო იწყებს თავის თავში ეჭვის შეტანას, მას თანდათან ეუფლება საკუთარი სისუსტის გრძნობა, რაც შემდეგში შიშსა და გაავებაში შეიძლება გადაიზდეს.

სოციალური ურთიერთობის თავისთავადობა, მისი, როგორც დამოუკიდებელი აქტივობის, გამოვლენა იმითაცაა სპეციფიკური და განსხვავებული, რომ მასში არ არსებობს ზუსტი და ობიექტური შეფასების კრიტერიუმი. არ შეიძლება ზუსტად გათვლა, თუ რამდენად წარმატებული იქნება ესა თუ ის კონკრეტული ურთიერთობა. ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კია ამ ურთიერთობაში გარკვევა, თუ რა და როგორ მოდის ჩვენგან და რა სხვა ადამიანებისაგან. ვისი ბრალია წარუმატებლობა. უმეტეს შემთხვევაში, აქ თავს იჩენს ადამიანის საკუთარი პოზიციები და განწყობები, მისი პიროვნული თავისებურებანი. ზოგი ადამიანი ყოველთვის ცდილობს წარუმატებლობაში სხვა დაადანაშაულოს, სხვას გადააბრალოს თავისი წარუმატებლობის მიზეზები; ზოგი კი პირიქით—ყველაფერს საკუთარ თავზე იღებს, თვითკრიტიკულია ადამიანებთან და მთელ საზოგადოებასთან შეგუების პროცესში ყველას შეიძლება ქონდეს სიძნელეები და დაძაბულობანი, მაგრამ ეს მუდმივი არ უნდა იყოს და პიროვნულ თვისებად არ უნდა იქცეს.

**სოციალური ურთიერთობის მოთხოვნილება, სხვა ადამიანებთან კონტაქტი და საკუთარი თავის დამკვიდრება პიროვნების არსებობი საფუძველთა საფუძველია.** ასეთი ურთიერთობის გარეშე პრინციპულად შეუძლებელია არსებობდეს ადამიანი და მოქალაქე; უფრო მეტიც. იგი ფენომენოლოგიურადაც არსებობს და განცდის სახით გვეძლევა. მაგალითად, ცნობილია თუ როგორ მტკივნეულად განიცდის ადამიანი ურთიერთობის ნაწილობრივ შეზღუდვასაც კი: იგი თავს გრძნობს გამორიყულად და არასრულფასოვნად. ისიც ხომ ცნობილია, რომ არ არსებობს მარტოობაზე უმძიმესი სასჯელი; დასჯის უმაღლესი ზომა იზოლირება და ადამიანებიდან მოკვეთაა.

განცალკევებისა და მარტოობის ასეთი განცდა სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი ადამიანებში მათი ასაკის, სოციალური მდგო-

მარეობის, ცხოვრების პირობების და სხვა გარემოებათა გამო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ფსიქოლოგიური იზოლაცია უფრო მტკივნეულად განიცდება, ვიდრე ფიზიკური ანუ ტერიტორიული. უკანასკნელ შემთხვევაში რეალური მარტოობა შეიძლება პოტენციურმა ურთიერთობამ შეცვალოს: ადამიანი ფანტაზიის წყალობით „აგრძელებს ურთიერთობას“ წარმოსახულ პარტნიორთან. მას ამხნევებს ამ უკანასკნელისაგან მომდინარე და ამჟამად მხოლოდ ნაგულისხმევი კავშირი და თანაგრძნობა. ცნობილი ფაქტია, რომ ფსიქოლოგიური მარტოობა განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული სიყმაწვილისა და ჭაბუკობის ასაკში; აგრეთვე ადამიანის დეპრესიულ პირობებში ყოფნისას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მარტოობის მეორეგვარი გაგების, თუ მისი მეორე მხარის შესაზებ: განმარტოება არა თუ ყოველთვის მტკივნეულად განიცდება, არამედ ზოგჯერ იგი სასურველი და სასიამოვნოა. შეიძლება ითქვას, რომ რაღაც დოზით ფიზიკური და ფსიქოლოგიური განმარტოვება სხვა ადამიანებისაგან ისევე აუცილებელია, როგორც ურთიერთობა. მარტოობის სურვილი და საჭიროება ისეთივე ძველია, როგორც ურთიერთობის მოთხოვნილება. უძველესი დროიდან არსებობს განმარტოებისა და ტაბუს რიტუალები: ადამიანები გარკვეულ პერიოდებსა და სიტუაციაში განმარტოვების უფლებებს იყენებდნენ და ამის შესახებ ტაბუსაც ინარჩუნებდნენ: მოცემულ თემაზე მსჯელობა და გამოკითხვა არ შეიძლებოდა. ამის მაგალითს წარმოადგენს ჩვენს ისტორიაში არსებული განდეგილობისა და მშობიარეთა განცალკევების ფაქტები. პირველყოფილ, ჯოგური ცხოვრების პირობებშიც კი ქონდათ ცალკეულ ადამიანებს საკუთარი გამოყოფილი ადგილი, თუ „სამალავი“ ტყეში, განმარტოებისათვის. თანამედროვე პირობებში განმარტოებისათვის სპეციალური ზრუნვა გამოიხატება საკუთარი ბინით ან ოთახით, დასვენებით არა ხალხმრავალ ადგილებში. თვით განმარტოვებით და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მარტოობა ისეთივე აუცილებელია ადამიანური ყოფისათვის, როგორც სოციალური კონტაქტები სხვა ადამიანებთან. მაგრამ იგი ერთი მომენტია, ან ერთი მხარეა ამ უმთავრესი ადამიანური ურთიერთობისა. ამიტომ ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ მათ კავშირს: არ შეიძლება ურთიერთობის ფაქტის გაცალმხრიევება, მის გამო ადამიანში მარტოობისაკენ მისწრაფების სრულად უარყოფა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სხვადასხვა ისტორიულ და სოციალურ ვითარებაში, მარტოობის ტენდენცია

მატულობს, ან კლებულობს, როგორც ცალკეულ ადამიანთა ისე ჯგუფებსა და ერებს შორის. ამას სოციოლოგები სხვადასხვა ახსნას უძებნიან, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ცივილიზაციისა და კულტურის ზრდასთან ერთად, განმარტოვების ტენდენციაც იზრდება. სიმარტოვე, განსჯა და ფიქრი ადამიანების კაეშირის საფუძველია.

ფსიქოლოგიურად უფრო ანგარიშგასაწევია ადამიანებთან კონტაქტის, ან განმარტოებისაკენ მიდრეკილება, რომელიც ცალკეულ პირობებში არსებობს და სავარაუდოა, რომ მას საფუძვლად ედება პიროვნების გარკვეული ემოციურ-ინტელექტუალური თავისებურებანი და მიდრეკილებანი. მათგან შეიძლება გამოვყოთ სამი უფრო მთავარი: **გულღიაობა, გახსნილობის ხვადასხვა დონე და სხვისი გაგების უნარი.** მათ საფუძველზე გამოვლინდება პიროვნებაში ისეთი დამახასიათებელი ნიშნები, როგორიცაა საკუთარი თავის პატივისცემა, „მე"-თი კმაყოფილება ან უკმაყოფილება, სიმორცხვე, მორიდებულობა ან თავის გამოჩენისაკენ სწრაფვა, საკუთარ თავში ჩაკეტილობა ან სხვებისაკენ სწრაფვა. იმპულსურობა ან თვითკონტროლი და სხვა.

გულღია დამოკიდებულების და სხვისი გაგების უნარი **კეთილშობილობაში** ვლინდება. კეთილშობილობის საფუძველი მხოლოდ სიკეთის კეთება და სიყვარულია. იგი ადამიანის სულის, მთლიანი პიროვნების, გამოვლინებაა, მისი გონების, ნების და ემოციების ნაყოფია. პიროვნების გახსნილობას და სიკეთის კეთებას განსაკუთრებით ხელს უწყობს სიხარულისა და სიყვარულის ემოციები. უფრო მეტიც. ისინი საკუთარი ჯანმრთელობის ხელშემწყობიცაა. გახსნილობა და გულღიაობა თანშობილი უნარებია და ცხოვრების პირობების გავლენით კლებულობს; ცუდი აღზრდის გამო ბავშვებში მათ ადგილს გულჩახვეულობა იკავებს, ბავშვი თავიდან არაა გულჩახვეული: გულჩახვეულობა და გაუცხოვება ასაკისა და გარემოს შეცვლას მოყვება, ისევე როგორც პატივმოყვარეობისა და ამბიციების ზრდა ხდება ასაკთან ერთად.

ეს თავისებურებანი იცვლებიან ასაკისა და სხვა ფაქტორების გავლენით, მაგრამ მათ საერთოდ გარკვეული სიმტკიცე გააჩნიათ. ცნობილია, რომ ისინი, ვისაც ბავშვობაში არ ყავდათ ახლობელი (ფსიქოლოგიურად) ადამიანები და მეგობრები, არ თამაშობდნენ სა-პირისპირო სქესის ბავშვებთან და სხვა, ცხოვრებაში უფრო მძიმე საურთიერთობონი არიან, შორს იჭერენ თავს და გაურბიან კონტაქტებს. ასევე, თბილი და მზრუნველი ოჯახი, ბავშვებთან ემოციური სიახლოვე და გულგახსნილობა, შემდგომში მთელ ცხოვრე-

ბას და ადამიანებთან ურთიერთობას უადვილებენ მათ. ამავე დროს, ზედმეტი ზრუნვა და ალერსი, პირიქით, უარყოფით როლს თამაშობს ამ თვისებების ჩამოყალიბებაში.

საყოველთაოდ მიღებულია აზრი, რომ გულღია და გახსნილი დამოკიდებულება უფრო სასურველია ყველასათვის. მაგრამ ასეთი თვისებების არსებობა თავისთავად არ ნიშნავს პიროვნების სწორ შეცნობას: შეიძლება გარეგნულად გულღია ბავშვი, თუ მოზრდილი ადამიანი უდიდეს ტრამვას და მარტოობას ნიღბავდეს და უფრო თავისი დანაკლისის კომპენსაციას ახდენდეს ამით. ასეთი ზედაპირული გულღიაობა და სიხალისე ხშირად ახასიათებს მძიმე ოჯახურ პირობებში, ვთქვათ, დედინაცვალთან მყოფ ბავშვებს, სახლს გარეთ. საერთოდაც, გულგახსნილ ადამიანთან ურთიერთობა ყოველთვის ადვილი და სასიამოვნოა.

გულგახსნილობის საფუძველზე აღმოცენებული სუფთა სინდისი დიდი სიხარულია. მაგრამ თუ ადამიანმა ცოდვა ჩაიდინა, მონანიებაც მიიყვანს მას ისევ ამ სიხარულთან, რადგან ჩვენი ცოდვები გამოსყიდულია ქრისტე ღმერთის მიერ. სინდისის ქენჯნა, მონანიება და გამოსწორების სურვილი პიროვნების დიდმნიშვნელოვანი და ერთერთი წამყვანი უნარია. თუ სუფთა სიდიდისი გაქვს, დაპირისპირებას სძლიე და გულმოწყალება გაჩნდა შენში. ეს ზნეობის უმაღლესი საფეხურია. სახვისო სურვილებისა და მოთხოვნილებების ქონება, დახმარების სურვილი და სიკეთის კეთება ნორმალურ პიროვნებაში დიდ სიამოვნებას და კმაყოფილებას იწვევს: ადამიანისადმი კეთილგანწყობილება, თანაზიარობა, თანაგრძნობა, სათნოება და სიყვარული დიდი განძია პიროვნებაში. მათი არ არსებობა და ბიწიერება სიბნელისაკენ წაგვიყვანს, რამაც შეიძლება წუთიერი სიამოვნება მოგვიტანოს, მაგრამ შემდგომ სინანულში ჩაგვაგდოს.

ეს ორმაგი ტენდენცია, დევს ადამიანში და განაპირობებს შინაგან ბრძოლას კეთილს და ბოროტს შორის. ყველა ადამიანში ორი „მე" ზის და ხან ერთია უფრო მეტად ან მთლიანად წარმოდგენილი და ხან მეორე. სხვადასხვა პიროვნებაში მათი შეფარდება განსხვავებულია და ერთერთი ჭარბობს: ან ღმერთისეული, ან უარყოფითი— სატანური. სატანური რაღაც ოდენობით ყველა ადამიანშია, აბსოლუტურად კეთილი მხოლოდ ღმერთია: მაგრამ სატანური ერთნაირად არ გვეძლევა: იგი ხან ერთბაშად იფეთქებს, ხან კი ნელნელა ვლინდება პიროვნებათა ურთიერთობაში. საკუთარი თავის სრულყოფა, რწმენით აღვსება და შეგნებული დამოკიდებულება, სძლევს

სატანურ და ბნელ ძალებს, ან ამცირებს მაინც და რაც მთავარია, ჩადენილი შეცდომის თუ ცოდვის მიხვედრის უნარს გვაძლევს.

ადამიანში კეთილისა და ბოროტის ბრძოლა, ჩადენილი სიკეთე და ცოდვა სხვა ადამიანებთან მიმართებაში იჩენს თავს. ღმერთის მიერ ხდება სასჯელის მიზღვა ან პატიება. ღმერთისაგან პატიება კი ადამიანების საშუალებით ხდება მისაწვდომი, ჩვენი შეცდომების პატიება იმ ადამიანებში უნდა ვეძიოთ და ამოვიკითხოთ, ვის მიმართაც მიგვეძღვის ცოდვა. ეს იმაშიც შეგვიწყობს ხელს, რომ მსგავსი შეცდომა აღარ დაგვემართოს, რადგან ცოდვის განმეორება უფრო ძნელი საპატიებელია ღმერთის მიერ.

ჩვენი მსჯელობიდან ნათელი ხდება, რომ პიროვნული ურთიერთობანი რთული და მრავალმხრივია. ისინი იცვლება პიროვნების შინაგანი ბუნების მსგავსად და მათაც თავისი ისტორია აქვს: ისინი მხოლოდ პრაქტიკულ საქმიანობასა და ცხოვრებისეულ კონტექსტში შეიძლება იქნას სწორად ამოცნობილი.

ადამიანების ერთობა და პიროვნული ურთიერთობები პრაქტიკულ მოღვაწეობაში და ერთობლივ მოქმედებაში ანუ საქმიანობის პროცესში ჩნდება და ვითარდება. შემდგომში კი თავად უწყობს მათ ხელს, საქმის წარმატებას ემსახურება. მაგრამ არც „საქმის“ გაფეტიშება და უზენაეს მოვალეობად მიჩნევაა სწორი, ამით მისი სუბიექტური მხარეც დაიკარგება და უმთავრესიც—ადამიანებისათვის სამსახურის გაწევა. მთავარი ადამიანების საჭიროებანია და საქმეც ამის გამო გაჩნდა: მთავარია ვისთვის გვინდა მოცემული საქმიანობა, რატომ, რა ღირებულება აქვს მას. თუმცა არც გაუპიროვნებლობა ვარგა, შრომას დანაწილება და პირვნებების ურთიერთგაგება ჭირდება: ურთიერთობების მოწესრიგება თავისთავადაც საჭიროა და საქმიანობისათვისც.

სანამ ურთიერთობათა თავისებურებებს და გამოვლენის სხვადასხვაობას გაეცნობოდეთ, ჯერ ვნახოთ რა საშუალებანი გააჩნიათ ადამიანებს ამისათვის.

## § 2. ურთიერთობის საშუალებანი.

### მეტყველება

სოციალური ურთიერთობის ძირითადი და უმთავრესი საშუალება არის ენა და მეტყველება. ენის გამოყენებით ამყარებენ ადამიანები ერთმანეთთან გაცნობიერებულ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობებს. ენა კონკრეტული საზოგადოებისათვის, ერისათვის

წარმოადგენს გარკვეულ სიტყვიერ ნიშანთა სისტემას. იგი არსებობს ცალკეული პიროვნებისაგან დამოუკიდებლად, როგორც ერთიანი, ერის, თუ ეროვნების ყოფით და ისტორიით განპირობებული მოვლენა.

**ადამიანების მიერ ენის პრაქტიკული გამოყენების პროცესს წარმოადგენს მეტყველება; მეტყველება კონკრეტული, ცალკეული ადამიანის აქტივობაა, რომელიც ენის გამოყენებით ხორციელდება და საფუძვლად ედება ადამიანთა სოციალურ ურთიერთობას.** ენის საშუალებით ხდება შესაძლებელი დაგროვებული გამოცდილების გაზიარება და გადაცემა თაობებს შორის. ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილება არ იკარგება, იგი არსებობს სხვებისთვისაც, რომლებიც მიიღებენ მას მეტყველების საშუალებით. ოჯახში, სკოლაში და საერთოდ საზოგადოებაში, ბავშვი ითვისებს ცოდნასა და გამოცდილებას ენის საშუალებით.

მაგრამ ენა და მეტყველება მხოლოდ თაობათა შორის კავშირის საშუალება როდია, ისინი თვით ცალკეული ინდივიდის ქმედების ხელშემწყობია; ადამიანის პირადი გამოცდილებაც კი ენობრივადაა გაფორმებული. ეს კარგად ჩანს აზრების ჩამოყალიბების პროცესში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის მიერ მოქმედების კონკრეტულ სახეთა დაგეგმვა და შესრულება ინტელექტუალურ აქტივობას წარმოადგენს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი მასალის გამოყენებით ხდება. მეტყველების, როგორც ენის გამოყენების პროცესის, ფსიქოლოგიური დახასიათებისათვის აუცილებელია გაირკვეს, როგორ და რის საფუძველზე ახერხებს იგი, იყოს ადამიანთა ურთიერთობის ძირითადი იარაღი. ამ საკითხში გარკვევისათვის საჭიროა განვიხილოთ მეტყველების ფუნქციები.

**მეტყველების ძირითად ფუნქციას კომუნიკაცია წარმოადგენს;** იგი განაპირობებს სხვა ფუნქციების არსებობასაც, რომელთა ვარეშე ენა და მეტყველება ვერ იარსებებდა. მეტყველება ადამიანთა შორის ფსიქოლოგიურ, ცნობიერ კავშირს ამყარებს და ამით შესაძლებელს ხდის ადამიანთა საზოგადოების არსებობას.

მაგრამ იმისათვის, რომ მეტყველებამ ეს ფუნქცია შეასრულოს, აუცილებელია, პირველ რიგში, მან გამოხატოს და გამოავლინოს ცალკეული ინდივიდის განცდები. ჯერ უნდა გამოისახოს და გარეგნულად გადმოიცეს ეს განცდები და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გახდეს სხვებისათვის მისაწვდომი. **ამ ფუნქციას გამოსახვის, ანუ ექსპრესიის ფუნქციას უწოდებენ.** გამოსახვის ფუნქცია არაა უცხო ცხოველებისათვისაც; ისინიც, ისევე როგორც ადამიანი, გამოხატა-

ვენ თავიანთ მდგომარეობას და მოთხოვნილებებს სხვადასხვა გამოსახულებითი მოძრაობებით და ბგერებით. მაგალითად, ყვირილით, ჟესტ-მიმიკით, მთელი ორგანიზმის ან მისი ცალკეული ნაწილების მოძრაობით და სხვა. მაგრამ ამ გამოსახულებათა არსენალში შემავალი ბგერები არ წარმოადგენენ მეტყველებით გამოსახვას, რადგან აქ არ ხდება ენის გამოყენება, აქ ადგილი არა აქვს აღმნიშვნელობას.

**მეტყველებისათვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე ზემოქმედების ფუნქცია.** საჭიროა ინდივიდის მოცემულმა „აზრმა" და „მნიშვნელობამ" ზემოქმედება მოახდინოს სხვებზე, მოხდეს მისი „გაგება". ამის გარეშე ნამდვილი, მეტყველებითი ურთიერთობა ვერ განხორციელდება. აღმოჩნდა, რომ ცხოველებს გააჩნიათ არა მხოლოდ ბგერითი გამოსახულებები, არამედ მათი საშუალებით ზემოქმედების უნარიც. მაგალითად, კრუხის დაკაკანებაზე წიწილები გარბიან მასთან, ან მშიერი ხბოს ბღავილზე ძროხა მისკენ მოიწევს; მსგავსი ზეგავლენა ხდება ადამიანებზეც: ასეთია მაგალითად, ძაღლის ღრენაზე, ან ნადირის ხმაზე უნებური გაქცევითი რეაქცია. მაგრამ მეტყველებისათვის მთავარია ცნობიერი გამოსახვა და ზემოქმედება. ადამიანის უნებური წამოყვირება და ემოციური წამოძახილი ისევე, როგორც წამოწითლება თუ გაფითრება, ისეთივე რეაქციაა, როგორც ცხოველის ბგერებით შიმშილის, შიშის, გაბრაზების და სხვა ასეთის გამოხატვა. ორივე შემთხვევაში ხდება გამოხატვა და გამოსახვა და არა აღნიშვნა, რაც მხოლოდ მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი.

**მეტყველებისათვის სპეციფიკური და გაწმაზღვრელია აღმნიშვნელობითი, ანუ სიგნიფიკაციის ფუნქცია.** მეტყველება გულისხმობს ბგერითი გამოსახულების არა მხოლოდ ემოციურ მხარეს, არამედ ამ გამოსახულების მიერ აზრისა და მნიშვნელობის გადმოცემას. ბგერები, ამ შემთხვევაში უკვე სიტყვები, აღნიშნავენ, მონიშნეობენ მათი ბუნებისაგან სრულიად განსხვავებულ მნიშვნელობას. ისინი თავისთავად ბუნებრივ მნიშვნელობას კარგავენ, როგორც ექსპრესიის საშუალებანი და სხვა, ახალი აზრობრივი დინაარსების მატარებლად იქცევიან. **სიტყვაში მთავარია აზრი და არა მისი გამოსახულება;** იგი თავისი თვალსაჩინო ბუნებისაგან განსხვავებული მნიშვნელობის აღმნიშვნელად, ნიშნად, ანუ სიმბოლოდ იქცევა.

ენისა და მეტყველების სიგნიფიკატორული, აღმნიშვნელობითი ფუნქცია აქცევს ენას ურთიერთობის ძირითად საშუალებად; მეტყველება ცნობიერ, გააზრებულ ურთიერთდამოკიდებულებებს ამყა-

რებს ადამიანთა შორის, ამიტომაც არის იგი აზროვნებისაგან განუყრელი: სიტყვა აზრის გარეშე არ არსებობს და პირიქით—აზრები სიტყვების ბაზაზე ყალიბდებიან და გადმოიცემიან.

მეტყველებისათვის, როგორც ენის პრაქტიკული გამოყენების პროცესისათვის, მნიშვნელოვანია მისი ფსიქოლოგიური ასპექტები; კერძოდ კავშირი ადამიანის განცდების სხვადასხვა ნიუანსებთან. როგორც წესი, ეს ნიუანსები ინდივიდუალურია და კერძო ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარ აზრებსა და წარმოდგენებს აღძრავს. ამიტომაა გარკვეული სიძნელეები ადამიანთა ურთიერთგაგებში. საკუთარი აზრებისა და სათქმელის მოფიქრება და მოწესრიგება არ კმარა. საჭიროა პარტნიორის შემზადება და ჩვენს სიტუაციაში, თუ მდგომარეობაში მოყვანა. თუ კორდინაცია არ მოხდა ჩვენს და მას შორის, თუ ადგილი და დრო დარღვეულია და სხვადასხვა აზრებით ვიქენით დაკავებული. ურთიერთგაგება ვერ მოხდება.

ზოგჯერ გამოთქმის ტონი და ფორმა მეტს ნიშნავს, ადამიანთა კონკრეტული ურთიერთობისათვის, ვიდრე შინაარსი. ადამიანთა ცოცხალ ურთიერთობაში ეს ძალზე მნიშვნელოვანია: ზოგიერთი გაცილებით საწყენ და მიუღებელ აზრებს გამოთქვამს, მაგრამ, ისე, რომ ეს ნაკლებად აღიზიანებს პარტნიორს, ვიდრე სხვათა მიერ შედარებით უფრო მისაღები აზრის გამოთქმა, მაგრამ გამაღიზიანებელი ფორმით და ტონით.

აზრისა დაა მნიშვნელობის გადმოცემისას ურთიერთობის პროცესში, მნიშვნელოვანია ექსპრესიის ფიზიკური მახასიათებლებიც. კერძოდ, როგორიცაა ხმის ჟღერადობა და ტემბრი, ან ხმის სიმაღლე და სიძლიერე. სულ სხვადასხვა ეფექტი შეიძლება მივიღოთ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოვთქვამთ ერთსა და იგივე სიტყვას თუ წინადადებას: ხმამაღლა თუ ჩურჩულით, ან ზომიერად. ჩქარა თუ ნელა, ერთხელ და მტკიცედ, თუ რამდენჯერმე გამეორებით და ა. შ. მნიშვნელოვანია პარტნიორის მდგომარეობაც, იმის მიხედვით, როგორია ადამიანთა განწყობა, მათი მოლოდინი. სიტყვის მნიშვნელობის გაგების დიაპაზონიც დიდად განსხვავდება; იგი იცვლება აგრეთვე ადამიანის პროფესიული ინტერესებისა და მის მოთხოვნილებათა სიძლიერის გავლენით.

მეტყველების პროცესის ცალკეული გამოვლინებანი შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად გვეძლეოდეს მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესატყვისად. ეს სხვაობა შეიძლება გამოიხატებო-

დეს ფსიქოფიზიოლოგიურ მექანიზმშიც, აქვიურობის ხარისხშიც, გარეგანი გამომსახველობის მეტნაკლებობაშიც და რაც უფრო მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის რეალურად მოცემულ ფორმაშიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, **არჩევენ მეტყველების ოთხ ძირითად ფორმას; ზეპირი, წერითი, შინაგანი და ეგოცენტრული მეტყველება.**

ისტორიულ-გენეტიკური პირველადობისა და თავისი როლის მიხედვით, პირველ ადგილზე დგას ზეპირი მეტყველება. ზეპირი მეტყველება იმდენად გავრცელებული და თვალსაჩინოდ წარმოდგენილია, რომ მას ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში საერთოდ მეტყველებასთან აიგივებენ. ზეპირი მეტყველება მართლაც აღმოცენდა როგორც თავდაპირველი სახე და ურთიერთობის იარაღი, რომლის საშუალებითაც ადამიანებმა დახმარებისათვის მიმართეს ერთმანეთს.

**ზეპირი მეტყველება წარმოადგენს უშუალო, ცოცხალ კავშირს ადამიანებს შორის.** იგი ხორციელდება ბგერითი სიტყვების საფუძველზე, ერთ სიტუაციაში მყოფ ადამიანთა შორის: ამ დროს ადამიანები ერთ სივრცეში და ერთ დროში იმყოფებიან და მათი სენსორული (აღქმადი) განცდების პირობები ერთნაირია. ეს ფაქტორი განაპირობებს ზეპირი მეტყველების სიადვილეს. ზეპირი მეტყველება შეიძლება ორგვარად მიმდინარეობდეს: დიალოგისა და მონოლოგის სახით. **თავისი ბუნებით ზეპირი მეტყველება უფრო დიალოგურია,** იგი ადამიანთა ერთდროული მეტყველების ფორმით უფრო გამოხატავს თავის არსს. დიალოგი წარმოადგენს ორი (დია—ნიშნავს ორს), ან მეტი ადამიანის მეტყველებას ერთდროულად. მისი ტიპიური ფორმაა თეატრსა და მწერლობაში გამოყენებული დიალოგები. ყოფა-ცხოვრებაშიც ადამიანთა საუბარი და ურთიერთობა უმეტესად დიალოგს ემყარება. მეტყველების ეს ფორმა, როგორც ითქვა, სიტუაციურია, იგი დაკავშირებულია იმ უშუალო პირობებთან, რომელშიც მიმდინარეობს ადამიანთა საუბარი; იგი ხასიათდება კონტექსტუალობით: მოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრი მეტნაკლებად განპირობებულია თანამოსაუბრის მიერ გამოთქმული აზრებით. დიალოგური მეტყველება ხასიათდება შეკუმშულობით. შემოკლებით—ბევრი რამე, ერთ სიტუაციაში ყოფნის გამო, ისედაც გასაგებია თანამოსაუბრეებისათვის და აღარ საჭიროებს დაწვრილებით აღწერას. ამას ემატება დამატებითი, თანმხლები არამეტყველებითი საშუალებები (ჟესტ-მიმიკა, ემოციურობა და ა. შ.). საერთოდ კი, დიალოგური მეტყველება ნაკლებ მოწესრიგებულია და დალაგებულია, არაა გამართული სტილისტურ-გრამატიკულად.

**მონოლოგი წარმოადგენს ერთი ადამიანის მეტყველებას.** სხვები მასში არ ერევიან, ყოველ ფრაზაზე და აზრზე არ ახდენენ უშუალო რეაგირებას. იგი უფრო გაერცობილია, გაშლილია, არ ხდება წინადადებისა და სიტყვების გამოტოვება. მას შედარებით ნაკლებად ახლავს თან მითითებისა და ჟესტის გამოყენება. ყოველივე ამის გამო, მონოლოგური მეტყველება უფრო ორგანიზებულია, უფრო სრულყოფილია გრამატიკულად. იგი შეიძლება მიმდინარეობდეს ზეპირადაც და წერითი სახითაც.

მეტყველების ცალკე ფორმას წარმოადგენს **შინაგანი მეტყველება, რომელიც მიმდინარეობს შინაგანად, თავისთვის ფიქრის სახით.** იგი არაა სხვა ვინმეზე მიმართული. შინაგანი მეტყველება წარმოადგენს მზადებას, დაგეგმვა-მომზადებას თეორიული ან პრაქტიკული აქტივობისათვის: იგი საკუთარ თავთან საუბარი და განსჯაა, რაც შემდეგ თავს იჩენს საქმის ან მეტყველების სახით. ამიტომ იგი ძალზე შეკუმშული და სქემატურია, ბევრი რამ უბრალოდ იგულისხმება, გასაგებია ადამიანისათვის. ამის გამო შინაგანი მეტყველება მიმდინარეობს ფრაგმენტულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და აქ კიდევ უფრო უგულებელყოფილია ენობრივი ნორმები და მოთხოვნები, ვიდრე დიალოგის დროს.

**შედარებით უფრო რთულ და მაღალ ფორმას წარმოადგენს წერითი მეტყველება.** თავისი ბუნებით იგი შინაგან მეტყველებას წააგავს, მაგრამ მიმართულია გარეთ, სხვებისადმი და მისი ძირითადი დანიშნულება კომუნიკაცია უფროა, ვიდრე აზრების ჩამოყალიბება და მსჯელობა საკუთარ თავთან. მეორეს მხრივ, წერითი მეტყველება ერთნაირი წარმატებით ცვლის როგორც ზეპირ. ისე შინაგან მეტყველებას, განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგენს მათ. ზეპირ მეტყველებაში გამოყენებული აკუსტიკური ფორმები (ბგერები, ფონები), აქ შეცვლილა ვიზუალური, ანუ გრაფიკული ფორმით: ის, რისი მოსმენაც ხდებოდა, ახლა თვალით დასანახ ფორმაშია მოცემული. ამდენად, **წერითი მეტყველება ზეპირი მეტყველების მხედველობითი გამოსახვაა, მისი ჩაწერა და შენაცვლებაა.**

წერითი მეტყველება უფრო გამართული და გაერცობილია. იგი საჭიროებს ყველა დეტალის ზუსტად გადმოცემას, რადგან წამკითხველი სხვა სიტუაციაში იმყოფება; ახლა ვერც ცოცხალი და უშუალო სიტუაცია გვიშველის და ვერც დამატებითი, არაევრბალური საშუალებანი: ერთიც და მეორეც ისევ ზუსტ სიტყვიერ აღწერას საჭიროებს, ამავე დროს, ყველა სიტყვა და წინადადება სწორად უნდა

იქნას მოცემული. მცირე ენობრივმა შეცდომამ შეიძლება სულ გაუგებარი გახადოს, ან დაამახინჯოს ტექსტი. სამაგიეროდ წერითი მეტყველება ხასიათდება ისეთი დადებითი მომენტებით, როგორიცაა ენის და მისი საშუალებების თავისუფალი არჩევა, ჩვენი დაწერილის შედარება და შეჯერება და სხვა.

მეტყველების კულტურის მაღალი თუ დაბალი დონე უშუალოდ ვლინდება წერით მეტყველებაში; მეტყველების კულტურის აღზრდა ძირითადად სწორედ მისი საშუალებით მიმდინარეობს, რაც თავის ასახვას ზეპირ მეტყველებაშიც პოულობს.

ცალკე სახედ უნდა გამოიყოს **ეგოცენტრული მეტყველება**. იგი თავისი ფუნქციით შინაგანი მეტყველების მსგავსია, მაგრამ გამოვლენის ფორმით ზეპირ (მონოლოგურ) მეტყველებას გავს. მას ზოგჯერ განმარტავენ, როგორც შინაგან მეტყველებას პლუს ბგერა, ხმა. მართლაც ამ დროს ადამიანი თავისთვის ფიქრობს და მსჯელობს, მაგრამ ხმამაღლა გამოთქვამს. მეტყველების ეს ფორმა, როგორც წესი, ახასიათებს სკოლამდელი ასაკის ბავშვებს. თუმცა იგი სრულიად ნორმალურ და ჯანმრთელ მოზრდილ ადამიანებშიც გვხვდება.

ადამიანთა ურთიერთობის ძირითად საშუალებად მეტყველების აღიარება არავისათვის საეჭვო არ არის. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობა მეტყველებისაგან ნაწარმოები საშუალებებითაც შეიძლება; მხოლოდ, როცა ლაპარაკია არავერბალურ, არამეტყველებით საშუალებებზე, ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათი ძირი და ამოსავალი მეტყველებისაგან განყენება და ამ საფუძველზე აღმოცენებული ნიშნების ყავრცობაა.

ასეთი არაენობრივი ნიშნები, ისეთივე ნაწარმოებია მეტყველების რომელიმე სახისაგან, როგორც წერითი მეტყველება ზეპირისაგან. კერძოდ, ურთიერთობაში გვხვდება ისეთი არასიტყვიერი ნიშნები და სიგნალები, როგორიცაა საკუთარი სხეულის ნაწილების გამოყენებით მიღებული მოძრაობები: ჟესტი, მიმიკა, კიდურების მთლიანი მოძრაობები, თავის მოძრაობა, თითების კომბინაციები, თვალის ჩაკვრა და მოძრაობა, წარბის აჩეჩვა, შუბლის შეკვრა და სხვა. მეორეს მხრივ, გვაქვს მეცნიერული და ტექნიკური საშუალებები, დაწყებული მათემატიკური სიმბოლიკით და დამთავრებული კომპიუტერული ტექნიკით. მათვე ემატება ცალკეულ პროფესიებში გამოფენებული პირობითი ნიშნები (მაგალითად, ზღვაოსნობასა და ტრანსპორტზე, სამხედრო საქმეში, სპორტში და ა. შ.) და ყოფაცხოვრებასა და თამაშობებში გამოყენებული საშუალებანი.

## § 3. ურთიერთქმედება

ადამიანთა ურთიერთობა უმეტესად აქტივობის პროცესშია ჩართული და ქმედების ამა თუ იმ კონკრეტულ გამოვლენას განაპირობებს. ურთიერთობა ყოველთვის გარკვეული წესების მიხედვით რეგულირდება. ეს წესები შეიძლება მოცემული იყოს მორალური ნორმების, ან ოფიციალური ინსტრუქციებისა და დებულებების სახით. ასეა როლების გამწესრიგებელი ყველანაირი სამსახურები და ასეა არაოფიციალურ, მეგობრულ ურთიერთობებშიც, რომლებიც დაუწერელი კანონებით წარიმართება. ყველა ამ შემთხვევისათვის აუცილებლად ხორციელდება მეტყველების ორი მთავარი ფუნქია: ხდება ინფორმაციის გადაცემა და ადგილი აქვს ზემოქმედების მოხდენას.

ურთიერთობის პროცესში ადამიანები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რითაც განაპირობებენ ერთმანეთის წარმატებას ან წარუმატებლობას. **ურთიერთობის ეფექტი ვლინდება ურთიერთგაგებაში და ურთიერთხელშეწყობაში.** დიდმნიშვნელოვანია ადამიანში ურთიერთობის უნარი. ტაქტი და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების მანერა. ტაქტიანი ადამიანი კეთილგანწყობილებას ქმნის საკუთარი თავის მიმართ სხვებში. ურთიერთობა ურთიერთზე ზემოქმედების ისეთი გამოვლენაა, სადაც ადამიანები გავლენას ახდენენ ერთმანეთის განზრახვებსა და სურვილებზე, განცდებსა და ქმედებაზე.

ამრიგად, სოციალური ურთიერთობა მიმართულია ზემოქმედების მოსახდენად, იგი ჩართულია ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში და მონაწილეობას ღებულობს მოქმედების სოციალურ რეგულაციაში. **სოციალური ურთიერთქმედება გულისხმობს ადამიანთა ურთიერთგავლენას და ორმხრივ ზემოქმედებას;** თუ როგორ გავლენას ახდენს ერთი ადამიანი მეორეზე, ეს იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორი გავლენა განიცადა მან ამ მეორე ადამიანისაგან. უფრო მარტივი და ერთმნიშვნელოვანია ცალმხრივი გავლენა, რომელიც მოიცავს ადამიანთა ურთიერთქმედების უმარტივეს ფორმებს.

ცალმხრივი და ორმხრივი ურთიერთქმედების კვლევის შედეგები განხილული აქვს შ. ნადირაშვილს. მის მიერ წარმოებული ანალიზის გათვალისწინება შესაძლებლობას მოგვცემს გავერკვეთ ადამიანთა სოციალური ურთიერთობის საფუძველზე მიმდინარე ურთიერთქმედების **ფსიქოლოგიურ ბუნებაში.**

**მინიმალურ დონეზე არსებული ურთიერთქმედება აღინიშნება**

**ადამიანთა მხოლოდ უბრალო თანაარსებობის პირობებში,** როდესაც მათ არავითარი საერთო არა აქვთ საქმიანობის თვალსაზრისით: ისინი მხოლოდ თანაარსებობენ სივრცეში და არაფრით არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში. აღმოჩნდა, რომ ასეთ პირობებშიც კი ხდება ადამიანის აქტივობის ზრდა. მაგალითად, კუნთური აქტივობა, ან თვალისა და ხელის შეთანხმებული მოძრობის ეფექტურობა იზრდება, თუ ჩვენს გვერდით სხვა ადამიანი იმყოფება. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის საქმითაა დაკავებული და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს. ასეთი, უბრალო თანაარსებობა აუმჯობესებს ადამიანის შრომის ეფექტურობას, რაც გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ადამიანის ქმედების სიტუაციაში იმყოფება სხვა პირი. ასეთ ეფექტს ადგილი აქვს ქმედების ყოველგვარი ფორმის შემთხვევებში, გარდა სწავლისა: დადასტურებულია, რომ **სხვისი დასწრების შემთხვევაში სწავლის ეფექტი კლებულობს.** თანაარსებობის როლი განსაკუთრებით ვლინდება ადამიანების მიერ გაჰირვების და სიძნელის ატანაში.

**შემდგომ ფორმას,** რომელიც გამოხატავს ურთიერთქმედების ცალმხრივ გამოვლენას, **წარმოადგენს წაბაძვა.** წაბაძვა აუმჯობესებს და აადვილებს ინდივიდის მიერ ქცევის დაუფლების პროცესს, ადგილი აქვს თანხმლებ სწავლას და გამოცდილების შეძენას.

წაბაძვა არაცნობიერ და სხეულებრივ (ბიოლოგიურ), დონეზეც არსებობს. მაგალითად, დამთქნარება, გულისრევა, ავადმყოფობის ზოგიერთი გამოვლინება და სხვადასხვა ჩვევები. მაგრამ სოციალურად და ფსიქოლოგიურად წაბაძვისათვის დამახასიათებელია საერთო აქტივობის გაჩენა, ინდივიდები ერთმანეთს განიცდიან როგორც თანამოაქტივეს, ერთი ამოცანის შემსრულებლებს. ეს უკვე წარმოადგენს თანამშრომლობის ჩანასახს, სადაც ინდივიდები იწყებენ ნამდვილ სოციალურ ურთიერთობას და საფუძველი ეყრება ორმხრივ ურთიერთქმედებას. მაგრამ ნამდვილი თანამშრომლობის მიღწევამდე გაცილი უნდა იქნას ცალმხრივი ურთიერთობის კიდევ ერთი ფორმა—**კონფორმულობა,** რომელიც გულისხმობს არა სხვის მოქმედებათა განმეორებას, არამედ სხვა ადამიანთა აზრების განმეორებას. ადამინი ბაძავს სხვას მსჯელობისა და კამათის დროს ისე, რომ არ ითვალისწინებს რამდენად ჰეშმარიტი, ან სასარგებლოა მისთვის ეს. ესაა სოციალური წაბაძვის ფაქტი, რასაც კონფორმულობას უწოდებენ. ადამიანები სხვა ადამიანთა აზრის გაცნობით ზოგჯერ სრულიდ დაუსაბუთებელ მოსაზრებებს გამოთქვამენ. ან ემხრო-

ბიან მაინც. **კონფორმულობა გამოხატავს შემთანხმებლობის, დათმობის, დაჯერების თვისებას;** ადამიანი სხვების, ხშირად უმრავლესობის, გავლენით იმეორებს მათ აზრს და ბრმად მიჰყვება მას მაშინაც კი, როცა საქმის ვითარება განსხვავებულია და მას ამის გამოთქმის საშუალებაც აქვს. ასეთი ადამიანები მოკლებული არიან დამოუკიდებლობის უნარს; თუმცა უნდა ითქვას, რომ იშვიათად არსებობენ მკვეთრად გამოხატული კომფორმული და მკვეთრად გამოხატული დამოუკიდებელი ადამიანები; ისინი უმეტესად ამ ორ უკიდურესობას შორის იმყოფებიან.

**ცალმხრივი ურთიერთქმედების უველაზე მაღალ და მკვეთრად გამოხატულ ფორმას წარმოადგენს სოციალური განმტკიცება.** ყოველი ქცევა, თუ ის წარმატებით მთავრდება, განმტკიცებას განიცდის და შემდეგში იგი უფრო ადვილად აღმოცენდება და განხორციელდება. აქ წარმატებაში იგულისხმება სოციალური ასპექტიც: თუ რა დამოკიდებულებას იჩენენ ჩვენი ქმედების მიმართ სხვა ადამიანები. ისეთი ოდნავ შესამჩნევი თანხმობაც კი, როგორიცაა თავის დაქნევა, გაღიმება, ან სხვა ჟესტი, იწვევს სოციალურ განმტკიცებას. ასეთსავე ეფექტს ვიღებთ უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. გამოდის, რომ სხვა ადამიანების დადებითი თუ უარყოფითი დამოკიდებულება განსაზღვრავს მოცემული პიროვნების მოქმედების მიმართულებას და მანერას, აძლიერებს ან ასუსტებს მას.

ამრიგად, ცალმხრივი ურთიერთქმედება გაელენას ახდენს ადამიანის მოქმედების მიმართულებაზეც, მიმდინარეობაზეც და ეფექტურობაზეც; იგი საფუძვლად ედება ორმხრივი ურთიერთქმედების მაღალ ფორმებს.

ორმხრივი სოციალური ურთიერთობა საკუთრივ პიროვნების დონეს გულისხმობს, როდესაც შესაძლებელია ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებების სოციალური მართვა და რეგულირება. **ორმხრივ ურთიერთქმედებაში ერთი პიროვნება მეორეს განიხილავს როგორც თავის მსგავსს, რომელსაც მახავით აქვს დამოკიდებულება გარემოსთან და თითონ მასთან.** ამ დროს ხდება როგორც სხვაზე ზემოქმედება, ასევე თავისთავზე უკუზემოქმედების მიღება.

ამ ფორმებში ცალკეული პიროვნებების **ურთიერთქმედების ძირითად ფორმებად ითვლება თანამშრომლობა და შეჯიბრი.**

თანამშრომლობა შეიძლება მიმდინარეობდეს ერთ საქმიანობაში ჩართვის გამო. არსებითი მნიშვნელობისაა თვით ადამიანის მიერ თანამშრომლობის რეალობის განცდა: როცა ადამიანმა იცის, რომ

იგი თანამშრომლობს სხვასთან და ეს თანამშრომლობა ორივესთვის სასარგებლოა, იგი უკეთ ახორციელებს ამ თანამშრომლობას და ეფექტიც უკეთესია. ამ დროს გვაქვს სოლიდარობა, საერთო მიზნისადმი ერთგულება, ურთიერთპატივისცემა და დადებითი დამოკიდებულება, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს ერთობლივ საქმიანობას.

რეალურ, რთულ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში, თანამშრომლობა განმტკიცებულია პარტნიორთა აქტივობით, თუმცა ეს კონკრეტულად ყოველთვის არ ჩანს. თანამშრომლობაში შესვლა თავისთავად იწვევს იმ ქმედების განხორციელებას, რომელიც პარტნიორის ინტერესებს შეესაბამება. თანამშრომლობაში ჩაბმული ადამიანები ერთ სისტემად იქცევიან და ერთი გარკვეული მიზნის და ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებიან.

თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია დიდი საქმეების კეთება და საერთო სარგებლობის მილება. მაგრამ **თანამშრომლობა არ გამორიცხავს შეჯიბრს, როცა** ცალკეული ადამიანი ცდილობს განმტკიცოს თავისი და სხვისი ისეთი მოქმედებები, რომლებიც მას მეტ სარგებლობას მოუტანს; იგი ცდილობს შეასუსტოს ან სულაც აღკვეთოს პარტნიორის ისეთი რეაქციები, რომლებიც მას არ ასარგებლებენ. ხდება ისეთი ახალი რეაქციების გამონახვაც და განმტკიცება, რომლებიც მიმართულია პარტნიორის წინააღმდეგ. **შეჯიბრისა და კონკურენციის გარეშე ადამიანთა ქმედება ისევე ნაკლებად ეფექტურია, როგორც თანამშრომლობის გარეშე.**

შეჯიბრისა და კონკურენციის არსებობა განპირობებულია მოსაპოვებელი ობიექტების, თუ სხვა შედეგების რაოდენობის შეზღუდულობით. აქედან გამომდინარე, შეჯიბრის ტიპიურ ფორმად ითვლება ისეთი ქმედება, როდესაც პიროვნება ცდილობს რაც შეიძლება მეტი მიიღოს პარტნიორთა ხარჯზე; მაგრამ ეს არ გულისხმობს, ზნეობრივად გაუმართლებელი მოქმედების ჩადენას; ადამიანი უნდა იცავდეს შეჯიბრების წესებს და საზოგადოებაში არსებულ მორალურ და სამართლებრივ ნორმებს. ასეთია ჩვეულებრივი, ჯანსაღი კონკურენცია წარმოებისა და გასაღების სფეროში, ასეთივე მდგომარეობაა სპორტის უმეტეს სახეობებში, როგორიცაა ფეხბურთი, კრივი, ჭიდაობა, ჭადრაკი და სხვა. მაგრამ არის ისეთი სფეროები ადამიანთა საქმიანობაში, სადაც პარტნიორებს არა აქვთ საშუალება ერთმანეთის შესუსტებისა, სადაც შეჯიბრი მხოლოდ საკუთარი აქტივობის გაძლიერებას და გაუმჯობესებას მოითხოვს. ასეთია შემოქ-

მედების ყველა სახე, სწავლა, სპორტის ზოგიერთი სახეობა (მაგალითად, სირბილი, ხტომა, სიმძიმეების აწევა ტანვარჯიში და სხვა).

ადამიანთა კოლექტიური საქმიანობის დროს, სოციალური ურთიერთქმედების პროცესში. თანამშრომლობა და შეჯიბრი მჭიდროდ დაკავშირებულ ფორმებს წარმოადგენენ. შეჯიბრი ფსიქოლოგიურად ისეთივე ბუნებრივ ტენდენციას წარმოადგენს ურთიერთქმედებაში მყოფი ადამიანებისათვის, როგორც თანამშრომლობა. მაგრამ **შეჯიბრი უნდა თავსდებოდეს თანამშრომლობის ფარგლებში**, იგი ხელს არ უნდა უშლიდეს და არ უნდა არღვევდეს მთლიან ჯგუფს. როცა იგი ანტაგონისტურ სახეს იღებს და ველარ თავსდება თანამშრომლობით აქტივობაში, მაშინ იგი გადაიზრდება კონფლიქტში. **კონფლიქტის დროს შეუძლებელი ხდება ადამიანთა ნორმალური ურთიერთობა და თანამშრომლობა.** ამ დროს საჭიროა ცალკეული პიროვნებების მიერ დათმობა და შემწყნარებლობა, ურთიერთობის ნორმების დაცვა, რის გარეშეც კონფლიქტური სიტუაციდან გამოსვლა შეუძლებელია.

ადამიანთა ურთიერთობა და ურთიერთქმედება ცოდნისა და კულტურის მაღალ დონეს საჭიროებს; საჭიროა თვით შეჯიბრისა და კონფლიქტის კანონზომიერებათა ცოდნა და გათვალისწინება, რომელთა გარკვევა წარმოებისა და მართვის სოციოლოგიის მოვალეობაა. მაგრამ ფსიქოლოგიის ცოდნასაც მოითხოვს, რომ გამოინახოს კონფლიქტის აღკვეთის გზები, რათა იგი ბრძოლაში არ გადაიზარდოს.

ადამიანთა ორმხრივი ურთიერთქმედების პროცესში ქმედების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს ჯგუფის სიდიდე. ცალკეული საქმიანობისა და მოქმედებისათვის არსებობს ჯგუფის წევრთა ოპტიმალური რაოდენობა, რომლის შემდგომი გაზრდაც ეფექტს აღარ იძლევა, ამის მაგალითებია ბრიგადის, საამქროს, სასწავლო ჯგუფების, სპორტსმენთა გუნდების და სხვა ერთობლივი ჯგუფების რაოდენობა.

ურთიერთქმედების მოწესრიგებისათვის და ერთობლივი საქმიანობის ეფექტური წარმართვისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე **ფსიქოლოგიური შეთავსებადობა**. ფსიქოლოგიური შეთავსებადობა ვლინდება არა მხოლოდ ინტერესებისა და მიზნების ერთიანობაში და საქმისადმი დამოკიდებულებაში. არამედ ფსიქიკური თავისებურებების მსგავსებასა და ინდივიდთა შესაძლებლობების ერთიანობაშიც. სოციალურ-ფსიქოლოგიური შეთავსებადობის

მოწესრიგება წარმოადგენს კონფლიქტებისა და ცალკეულ ინდივიდთა დაძაბული ურთიერთობების თავიდან აცილების ერთერთ ძირითად ფაქტორს.

## § 4. ურთიერთგაგებისა და ურთიერთობის ფორმები

ადამიანთა ერთობლიობის შესახებ მსჯელობისას, ხშირად ელაპარაკობთ მასობრივ პროცესებზე, როგორც საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის გამოვლენაზე. ასეთია მსოფლმხედველობა, დამოკიდებულება პოზიცია, მიტინგი, ზეიმი, სპორტული შეჯიბრი, მოდა. პანიკა და სხვა. ამ საერთო და მასიურ განცდებში აუცილებლობით იგულისხმება ცალკეული ინდივიდების სუბიექტური განცდები. **საერთოობა და მასობრივობა აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ეს განცდები ერთდროულად მოიცავს ადამიანთა დიდ რაოდენობას** და ისინი ადამიანთა ურთიერთობის პროცესში აღმოცენდება.

სოციალური ურთიერთობა იწყება ადამიანის მიერ სხვა ადამიანის აღქმით, აღქმის საფუძველზე აღმოცენდება გააზრებისა და ურთიერთგაგების პროცესი. ადამიანთა შეხვედრის და ურთიერთაღქმის პირველი შთაბეჭდილებები დიდ გავლენას ახდენს მთელს შემდგომ ურთიერთობაზე, ისინი იწვევენ პირველ ემოციურ დამოკიდებულებებს და ამ ემოციების ტონი—დადებითი თუ უარყოფითი—მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მთელს შემდგომ ურთიერთობას. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ადვილად ვითარდება ურთიერთობა სიმპატიის არსებობის შემთხვევაში და რა ძნელი გადასალახავია პირველი ანტიპატია.

პიროვნების მიერ სხვა ადამიანის აღქმა და გაგება ყალიბდება საკუთარი განწყობების. შეხედულებების და გამოცდილების ბაზაზე, ერთობლივი ქმედების მიზნებისა და ამოცანების გაელენით; ისე როგორც მეცნიერულ ცოდნაში თავს იყრის შემეცნების შედეგები, ხოლო პრაქტიკული ქმედების შედეგები მატერიალურ საგნებშია განივთებული, ასევე გროვდება და ინახება ურთიერთობათა გამოცდილებაც. **ურთიერთობათა ისტორიული გამოცდილება დაგროვებულია ჩვენი ქცევის ეტალონებსა და სტერეოტიპებში.** ისინი ისეთივე მარეგულირებელ როლს თამაშობენ, როგორც პირობით ნიშანთა სისტემა გონებრივ ოპერაციებში. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება დისკომფორტულ პირობებში, როდესაც უცხო და უცნობ გარემოში ურთიერთობისას, ისევ ძველი ეტალონებით ვმოქმედებთ,

ან საერთოდ ეიბნევით და გამოსავალს ვეღარ ენახულობთ.

მეორეს მხრივ, სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო ცოდნისა და სტერეოტიპების ფლობა ძალზე ეკონომიურია. ისინი ისევე აადვილებს ურთიერთობას, როგორც სიმბოლოები მეცნიერულ აზროვნებას. საჭირო არჩევანის გაკეთება ამ დროს ნაკლებ დროსა და ენერგიას საჭიროებს.

მაგრამ ასეთ ეტალონებსა და ჩვევებს აქვთ უარყოფითი მხარეც. საქმე ისაა, რომ ჩვენ ზოგჯერ პარტნიორს მივაწერთ სინამდვილეში არარსებულ თვისებებს, რადგან უკვე გვაქვს მზა შეხედულებები. ან ხდება პირიქითაც, ჩვენი ქცევის კორექციას ვახდენთ სხვათა მონაცემებით, როგორც ამას ადგილი აქვს კონფორმულ ურთიერთქმედებაში. ეს უარყოფითი მხარე და მისგან გამომდინარე სიძნელეები, შეიძლება მოხსნილი იქნას დროთა განმავლობაში, რადგან ადამიანისათვის სხვა ადამიანის გაგება და პირველი შთაბეჭდილებები იცვლება, ივსება ახალი დეტალებით, იხვეწება და თანდათან მყარდება ნამდვილი ურთიერთგაგება.

ადამიანთა ურთიერთგაგებას ხელს უწყობს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ფაქტორები; კერძოდ: საერთო სიტუაციაში ყოფნა, ერთნაირი ფსიქიკური მდგომარეობა, სხვის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენის უნარი და სხვა ასეთი: ასევე უნდა მიეუთითოთ ადამიანის მოთხოვნილებებსა და განწყობაზე, მის სტერეოტიპებზე, ღირებულებით ორიენტაციაზე და მის „ავ". თუ „კეთილ" ბუნებაზე. ფაქტია, რომ ადამიანი სწორედ თავისი თვისებების გავლენით იქმნის აზრს სხვების შესახებ: იგი ხშირად ყველას თავისი თავიდან გამომდინარე ეტალონით ზომავს. ამას კარგად გამოხატავს ქართული ანდაზა: „ქურდს ყველა ქურდი გონიაო".

**ურთიერთგაგება დამოკიდებულია ე. წ. ემპატიაზე;** იმაზე, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს სხვისი ჩაწვდომა და ემოციური თანაგანცდა, თანაგრძნობა. ეს უნარი ბავშვობიდანვე ყალიბდება და მისი აღზრდა არა მხოლოდ ემოციური სფეროს მოწესრიგების, არამედ მთელი სოციალური ურთიერთობების საფუძველი ხდება.

ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ურთიერთობა და ურთიერთქმედება სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. ამის გამო **ლაპარაკობენ ურთიერთობის ტიპებისა და ფორმების, ანუ სახეების შესახებ.**

ურთიერთობის სახეებიდან, თავიანთი სოციალური მახასიათებლების მიხედვით, **მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან არაფორმალური, ანუ მეგობრული და ფორმალური, ანუ ოფიციალური**

ფორმები. პირველი მათგანი აღმოცენდება და არსებობს სიმპატიის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე. ურთიერთობის მეგობრული ფორმა ოჯახის, შინაურთა წრის და საერთოდ მცირე ჯგუფების შექმნის ძირითადი პირობაა. ხოლო როდესაც მეგობრული დამოკიდებულება შერწყმულია საქმიან ურთიერთობასთან. ვიღებთ მაღალი დონის, კარგად შეკრულ კოლექტივს, რომლისთვისაც უცხოა კონფლიქტები და შინაგანი ბრძოლა.

**ფორმალური, ანუ ოფიციალური ურთიერთობა წარიმართება წინასწარ დადგენილი წესების და რიტუალების შესატყვისად,** რაც უმეტესად გარედანაა მოტანილი. სხვანაირად მას როლურ (როლების) დამოკიდებულებასაც უწოდებენ: აქ განსაზღვრულია წინასწარ ვინ რა როლი და როგორ უნდა შეასრულოს; ყველა თავისი როლის შესატყვისად მოქმედებს. განსაკუთრებით რეგლამენტირებულია ეს ურთიერთობანი დიპლომატურ, სამხედრო, რელიგიურ და სხვა სამსახურებში. ურთიერთობის ეს ფორმა მართლაც წააგავს მსახიობების მიერ როლების თამაშს. რაც უფრო უკეთ ასრულებს ადამიანი თავის როლს და მოვალეობას, რაც მეტ უნარს და გულისხმიერებას გამოიჩენს, მით უფრო დაუახლოვდება მეგობრულ ურთიერთობას. ცნობილია, რომ ზოგჯერ ოფიციალური შეხვედრები და ურთიერთობა მეგობრულ ატმოსფეროში ტარდება; ეს კი დიდად რგებს საქმეს და აიოლებს პარტნიორთა ურთიერთობას, რადგან ყოველგვარი შებოჭილობა და დაძაბულობა იხსნება.

**ზოგჯერ განასხვავებენ აგრეთვე ღია და ფარულ ურთიერთობებს.** პირველში თითოეული პარტნიორი ადრესატი ცნობილია პირადად: მეორე შემთხვევაში კი ურთიერთობაში შედიან ერთმანეთისათვის უცნობი პირები. მაგალითად, მსახიობები და მაყურებლები, ფეხბურთელები და გულშემატკივრები, მომიტინგეები და სხვა. აქ ერთის მხრივ, ფართოვდება ურთიერთობის საზღვრები, მაგრამ მეორეს მხრივ, ანონიმურობა ვერ იძლევა მაღალ ხარისხს ურთიერთობაში. თანამედროვე პირობებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, ასეთმა მოვლენებმა „სახალხო მარტოობის" სახელი მიიღო. მართლაც და საოცარია: უამრავ ხალხში ხარ და მარტოობას განიცდი. ასეთი გრძნობის მაგალითად გამოდგება გრეთვე უცხო ქალაქში ყოფნისას შინ დაბრუნების სევდიანი სურვილი და ვიწრო, შინაური წრის მონატრება.

## § 5. პედაგოგიური ურთიერთობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები

ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთქმედების ერთერთ მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს პედაგოგიური ურთიერთობა: კერძოდ ურთიერთდამოკიდებულებანი მოსწავლეთა შორის და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის. ეს ურთიერთობანი მართვადია და წინასწარ შემუშავებული გეგმ-პროგრამითა და ხერხებით მიმდინარეობს, ამ პროცესებს თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერებანი გააჩნია, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ეფექტური მართვის განხორციელება. პედაგოგიური ურთიერთობის ნორმალურ წარმართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწავლა-აღზრდისა და პიროვნების ფორმირების საქმეში. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგიური ურთიერთობების ჩამოყალიბება საფუძვლად ედება სხვა სახის ურთიერთობათა და ურთიერთქმედების ჩამოყალიბებას.

**პედაგოგიური ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბების რთული და მრავალწახნაგოვანი პროცესია.** ამ პროცესისათვის ამოსავალია ერთობლივი ქმედების შინაარსი და მოთხოვნები, რასაც ადგილი აქვს მოსწავლისა და მასწავლებლის აქტივობაში.

პედაგოგიური ურთიერთობის მრავალწახნაგოვან პროცესში უნდა გამოვყოთ, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ზემოქმედებანი, რომელთა კანონზომიერებების ცოდნის გარეშე ვერც ჯგუფური მუშაობის ძირითადი მოთხოვნა განხორციელდება და ვერც ერთიანი, მაგრამ ამავე დროს, დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლეებისადმი: ამისათვის მთელი ჯგუფისა და კლასის თვისებების ცოდნა და მოსწავლეებთან ურთიერთობის ყოველი ნიუანსის გათვალისწინებაა საჭირო. განა ცოტაა შემთხვევები, როცა მასწავლებელი ფრიად განათლებულიცაა და მოსწავლეებსაც კარგად იცნობს, მაგრამ აღზრდის თვალსაზრისით ვერავითარ წარმატებებს ვერ აღწევს, რადგან გადამწყვეტ როლს თვით მასწავლებლის პიროვნება და მისი სოციალური ურთიერთობების უნარი თამაშობს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიმართულებით წარმატებაზე ბევრი პირადული თუ საერთო ინტერესები და პიროვნული თვისებები ახდენენ გავლენას, რომელთაგან **მთავარს მაინც პედაგოგის ტიპი წარმოადგენს.** დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მასწავლებლის დემოკრატიული ტიპი გაცილებით მაღალ შედეგებს აღწევს

აღზრდის საქმეში; რომ დემოკრატიული სტილის დამკვიდრების გარეშე სრულყოფილი მოქალაქის ჩამოყალიბება ძნელად თუ მოხდება, რადგან აუცილებელია თბილი, მოზომილი და ტაქტიანი, მაგრამ მომთხოვნი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი.

მასწავლებლის ტაქტზე, მიმართვის ფორმებსა და ქცევის მანერაზე ბევრადაა დამოკიდებული არა მხოლოდ მოსწავლეებთან ურთიერთობა, არამედ თვით მოსწავლეთა შორის არსებული ურთიერთობანიც. სწორი ურთიერთობის აღზრდა საჭიროებს ზემოქმედების მოხდენას გარემო პირობების მოწესრიგებაზე, **მოზარდს უველგან შესაფერისი ფსიქოლოგიური კლიმატი უნდა შევუქმნათ.** განსაკუთრებით კარგ შედეგებს იძლევა სოციალური განმტკიცების ფენომენი, რომელიც კარგად ერწყმის დემოკრატიულ სტილს აღზრდის პროცესში, რაც თანამშრომლობის გზით ზრდის მოსწავლეთა აქტივობას. ამით კი შესაძლებელი ხდება თავიდან ავიცილოთ დიქტატი და სუბიექტური შეფასებანი, რასაც კონფრონტაციამდე მივყავართ.

გამოჩენილი პედაგოგები არა ერთგზის აღნიშნავდნენ, რომ არაფერს არ შეუძლია შეცვალოს მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა და მისი უშუალო ადამიანური ურთიერთობები. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირითადი ამოცანები მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაიჭრას წარმატებით, თუ შევქმნით ურთიერთობის და ურთიერთქმედების სწორად გამართულ სისტემებს: „მოსწავლე-მასწავლებელი", „მოსწავლე-მოსწავლე" და „მასწავლებელი-მასწავლებელი", ერთიან სისტემაში შერწყმული უნდა იქნას მასწავლებლის პირადი მაგალითისა და ავტორიტეტის ძალა, მაგრამ ავტორიტეტი მხოლოდ პიროვნების უნართვისებებიდან უნდა მოდიოდეს და არა მისი ძალაუფლებიდან, თანამდებობრივი თუ სხვა პრივილეგიებიდან.

სწორი პედაგოგიური ურთიერთობა საფუძვლად ედება ურთიერთობათა გენეტიკურ და იერარქიულ განვითარებას, რომლის საბოლოო შედეგი მოცემულია მოქალაქეობრივი, კულტურული ურთიერთობის სახით. სწორად აღზრდილი ადამიანისათვის უმაღლეს მიზნებს მოქალაქეობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს. მხოლოდ ამ მაღალი დამოკიდებულებების საფუძველზე შეიძლება ადამიანმა განიცადოს როგორც თავისი, ისე სხვისი ცხოვრების მიზნისა და ქცევის სოციალური ღირებულება.

აღზრდის პროცესში, თანატოლებთან და მოზრდილ ადამიანებთან მუდმივი ურთიერთობის შედეგად, პირველი მარტივი ემოციური კონტაქტები თანდათან რთულდება და გადადის პიროვნულ

ურთიერთობებში. ესაა განვითარების ბუნებრივი გზა, **ბავშვის სოციალიზაცია განვითარების სხვა გზას არ იცნობს.** ამ განვითარების სწორი და წარმატებით გაელა სოციალურ ურთიერთობათა პედაგოგიურ მართვას საჭიროებს. მასწავლებელი დამოკიდებულებათა სამივე სისტემაში უნდა ხედავდეს პიროვნებათაშორის დამოკიდებულებათა კონკრეტულ გამოვლინებას: დაწყებული ემოციური, გაუცნობიერებელი დამოკიდებულებიდან, დამთავრებული უმაღლესი დონის თანამშრომლობით.

განვითარების ამ გრძელი გზის მართვა საჭიროებს ისეთ ფაქტორთა გამოყენებას, რომლებიც განაპირობებს პარტნიორების სწორ არჩევანს და შესაბამისი ჯგუფის ჩამოყალიბებას. ასეთი არჩევანი და არაფორმალურ ჯგუფში შესვლა ხშირად ფარულად მიმდინარეობს და მისი მიგნება და მართვა ადვილი როდია. მასწავლებელი მათი მიგნების გარეშე, ვერც შესაფერის ტაქტს გამონახავს და ვერც რაიმე ეფექტს მიაღწევს ურთიერთობათა ფორმირებაში, რადგან გასათვალისწინებელია არაფორმალური ჯგუფების დიდი სიმტკიცე და გამძლეობა. ამ ჯგუფების ჩართვა აღსაზრდელთა მთლიან კოლექტივში სათანადო ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნის გარეშე შეუძლებელია, პირველ რიგში, მთავარია შევძლოთ ისეთივე ძლიერი დაცეთი ფუნქციების ჩამოყალიბება, რაც არაფორმალურ. მეგობრულ ჯგუფებს გააჩნიათ: ამ ჯგუფებში შეღწევა და უშუალო ზემოქმედება ძნელია, ეს დიდ პედაგოგიურ ალღოსა და ფსიქოლოგიურ გამოცდილებას მოითხოვს.

# თ ა ვ ი XIII

# ადამიანთა ერთობა. ჯგუფები

## § 1. ინდივიდუალური და ერთობლივი ქმედება

ადამიანთა ურთიერთობა და ურთიერთქმედება მიმდინარეობს მათი ერთად არსებობისა და თანა აქტივობის პროცესში. მაგრამ თითოეულ ადამიანს ურთიერთობა აქვს არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთან, არამედ აგრეთვე ადამიანთა ერთობასთან, ჯგუფებთან. ასეთებია: ოჯახი, კლასი, კურსი, ბრიგადა, ამხანაგებისა თუ მეგობრების წრე, დროებითი ჯგუფები და სხვა. ამასთანავე, ყოველთვის გასათვალისწინებულია ჩვენი გარკვეული ჯგუფის (თუნდაც პოტენციურად არსებულის) წევრობა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სხვადასხვა ქმედებისა და საქმიანობის პროცესში ადამიანები ურთიერთობაში შედიან ერთმანეთთან და ურთიერთზე ზემოქმედებას ახდენენ მაშინაც კი, როცა ამას ცნობიერად არ განიცდიან. ადამიანები გავლენას ახდენენ. პირველ რიგში, ერთმანეთის ფსიქიკურ ფუნქციებსა და მდგომარეობაზე და ამ გზით მოქმედების შედეგებსა და მის ეფექტურობაზე. სწორედ ასეთი გავლენა ედება საფუძვლად ინდივიდუალური და ერთობლივი ქმედების დიფერენციაციას.

**ადამიანთა ქმედება ყოველთვის სოციალურ ხასიათს ატარებს** ხშირად იგი ინდივიდუალურადაც სრულდება, რის მაგალითად შემოქმედებითი აქტივობის გახსენებაც იკმარებდა. მაგრამ რაკი ადამიანი ყოველთვის ამა თუ იმ ჯგუფს მიეკუთვნება, მისი ქცევაც ყოველთვის შესაბამისადაა განპირობებული: ჯგუფის გავლენა პიროვნებაზე თავს იჩენს ქმედებაშიც, განცდებშიც, ფსიქიკურ მდგომარეობაშიც. მაგრამ ეს გავლენა და მისი ძალა ყოველთვის ერთნაირი როდია, იგი ყოველთვის პირდაპირ როდი ხორციელდება: ეს გავლენა ცვალებადობს ერთობლივი მოქმედების მიზნებისა და შინაარსის მიხედვით. რა თქმა უნდა, ამ გავლენის სიძლიერეზე მოქმედებს ჯგუფის სიდიდეც, პროფესიული მზაობის დონეც, საერთო ინტერესების არსებობაც. ჯგუფის შიგნით დამოკიდებულებათა სხვადასხვაობაც და თითოეული ადამიანის ინდივიდუალური თუ პიროვნული თავისებურებანიც.

როგორც უკვე ვნახეთ, როდესაც ადამიანები მხოლოდ ფიზიკურად თანაარსებობენ. მაშინაც კი გავლენას ახდენენ ერთმანეთის წარ-

მატებაზე: ეს ეფექტი კიდევ უფრო იზრდება ჯგუფში ყოფნისას, სადაც პასიური მაყურებლის თუ გულშემატკივრობის ჯანცდა მაინც გვაქვს. ასეთია, მაგალითად, სპორტსმენის ამ მსახიობის ქმედება მაყურებელთა თანდასწრებით.

**თანამშრომლობის პირობებში კი უკვე აშკარადაა წარმოდგენილი ერთობლივი, ანუ ჯგუფური ქმედება;** აქ უკვე ლაპარაკობენ არა სხვების თანდასწრებით ქმედებაზე, არამედ ჯგუფურ აქტივობაზე, რომელიც განპირობებულია ურთიერთ კავშირის აუცილებლობით. ამ შემთხვევაში, მთავარია არა ჯგუფის ცალკეულ წევრთა ინდივიდუალური წანმარტება და აქტივობა. არამედ მათი ერთობლივი ქმედებისა და ურთიერთქმედების ოპტიმალური გზების გამონახვა. სწორედ ახლა გამოდის წინა პლანზე საერთო მოთხოვნების მიხედვით მოქმედების კოორდინაციის საჭიროება და ურთიერთხელშეწყობა. რაც ურთიერთგაგებისა და ურთიერთობის პროცესებს ემყარება. აქვე ვლინდება თანამშრომლობის განუყრელი თანამგზავრი—შეჯიბრი, რაც აძლიერებს ცალკეული ინდივიდების და მთელი ჯგუფის ქმედების შედეგიანობას.

**ჯგუფური მოქმედების ეფექტურობის ერთერთ ძირითად პირობას შეთავსებადობა წარმოადგენს.** რაც განისაზღვრება ერთობლივი მიზნებით და ინტერესებით, მოცემული ქმედებისათვის მზადყოფნითა და კომპენტეტურობით: ამავე მიმართულებით უნდა აღინიშნოს ჯგუფში შემავალ ინდივიდთა რაოდენობაზეც. კერძოდ, იქ სადაც ერთობლივობის უმაღლესი დონე—მეგობრობა მიიღწევა, ეს რაოდენობა 7-ს არ აღემატება. ასეთივე ოპტიმალური რაოდენობა აქვს ყველა სახის სამუშაოს. სპორტულ, სასხდომო თუ სხვა ჯგუფებს. ფაქტია, რომ არსებობს გარკვეული კრიტიკული ზღვარი, რომლის შემდგომი გაზრდა ეფექტს, პირქით. ასუსტებს; ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს, იწყება ერთმანეთზე გადაბრალება და ერთმანეთის მოიმედეობა. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ერთერთი ყველაზე უფრო მოწესრიგებული სფერო ამ მიმართულებით სპორტული გუნდების დაკომპლექტების სფეროა.

უკვე აღნიშნულ და სხვა პირობების დაუცველობას მივყავართ ერთობლივი ქმედების შესუსტებამდე და იწყება დაძაბულობა და კონფრონტაცია, რაც საბოლოოდ კონფლიქტებსა და ურთიერთრბოლაში შეიძლება გადაიზარდოს.

ყოველივე ეს აუცილებელს ხდის ადამიანთა ერთობის შესახებ ცოდნის საჭიროებას. ადამიანთა ჯგუფებში ურთიერთობისა და

ურთიერთქმედების შესახებ მეცნიერული ცოდნა დაგვეხმარება პრაქტიკულად მოვაწესრიგოთ საზოგადოებრიეი ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა ასპექტები. ამავე დროს ეს ცოდნა დაგვეხმარება ცალკეული დარგების: განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სპორტის და ა. შ. მართვაში.

## § 2. ჯგუფები და მათი სახეები

საერთო ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ საგანთა ერთობლიობას ჯგუფს უწოდებენ. დაჯგუფების პრინციპი შეიძლება იყოს, სრულიად უმნიშვნელო გარეგნული ნიშან-თვისებიდან დაწყებული უძირითადესი თვისებით დამთავრებული. რის გამოც სულ სხვადასხვა დონისა და ხარისხის ერთობლიობას ვიღებთ. სოციალური ჯგუფები პრინციპულად განსხვავებულია ყველა სხვა ჯგუფებისაგან, რომლებიც მოკლებულია ცნობიერი ურთიერთობის რაიმე ნიშანს.

სოციალური ჯგუფი წარმოადგენს ურთიერთობასა და ურთი**ერთქმედებაში მყოფი ადამიანების ერთობას.** ჯგუფებს ახასიათებს ურთიერთობის რომელიმე სახე, დაწყებული უბრალო თანაარსებობიდან, ვიდრე სრულყოფილ თანამშრომლობამდე; ჯგუფი წარმოდგენილია როგორც ფაქტიურად არსებულ ადამიანთა კონკრეტული ერთობა.

მაგრამ, ზოგჯერ ჯგუფებში ხდება ადამიანთა არა ფაქტიური და რეალური გაერთიანება, არამედ რაიმე ნიშნის მიხედვით პირობითად მიკუთვნება. მეცნიერული კვლევა-ძიების დროს, ანდა საზოგადოების შესახებ მსჯელობისას ადამიანებს მიაკუთვნებენ სხვადასხვა ჯგუფებს ასაკის, სქესის, ეროვნების, პროფესიის და სხვა თვისების მიხედვით. ვინაიდან ასეთ ჯგუფებში ფაქტიურად არ არსებობს უშუალო დამოკიდებულებანი მათ წევრებს შორის, ამიტომ ასეთ ერთობას **პირობით ჯგუფს** უწოდებენ. მაგალითად, როდესაც ლაპარაკია სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ ყველა მათგანს ერთმანეთთან რეალური ურთიერთობა აქვთ.

პირობითი ჯგუფები შეიძლება მხოლოდ სტატისტიკური ერთობლიობის სახით არსებობდეს, როგორც შემეცნების შედეგი. ისინი რეალური ჯგუფების რაიმე ნიშან-თვისებათა აბსტრაქციის შედეგს წარმოადგენს.

ფსიქოლოგიაში პირობითი ჯგუფების შესწავლა არ ხდება; **ფსიქოლოგია, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგია, შეისწავლის ნამდვილად არსებულ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენს გარკვეულ**

დროსა და სივრცეში რეალურად არსებულ ადამიანთა ერთობას. რეალურ ჯგუფში ადამიანები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ობიექტური ურთიერთდამოკიდებულებითაც და პიროვნული ურთიერთობითაც. ასეთ რეალურ ჯგუფებს აქვთ კონკრეტული სიდიდეც, შინაგანი და გარეგანი ორგანიზაციაც, თავისი დანიშნულებაც და სხვა ასეთი. ამ ჯგუფებში შემავალ ადამიანთა რაოდენობა შეიძლება ნებისმიერი სიდიდისა იყოს, დაწყებული ორიდან.

რაოდენობის მიხედვით **არჩევენ ორგვარ ჯგუფს. ესენია მცირე ანუ მიკრო და დიდი ანუ მაკრო ჯგუფი.** მიკროჯგუფი უშუალო კონტაქტების მქონე ჯგუფია, რომლის წევრებიც იცნობენ ერთმანეთს და უშუალო ურთიერთობები აქვთ: ასეთი ჯგუფებია ორკაციანი ოჯახიდან დაწყებული რამდენიმე ათეულამდე (ოპტიმალურ რაოდენობად ითვლება 2—25 კაცი). მაკროჯგუფი კი ადამიანთა დიდი რაოდენობის შემცველია, რომლებსაც აერთიანებს რაიმე ერთი თვისება, ან საცხოვრებელი თუ სამსახურებრივი კავშირები. მაკროჯგუფებია: სოფელი, ქუჩა, უბანი, მთელი ქალაქი, ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები და ა. შ.

ჯგუფი შეიძლება აგრეთვე იყოს ორგვარი იმის მიხედვით, თუ როგორ შეიქმნა იგი. **გარეგანი, ანუ ოფიციალური გზით ჩამოყალიბებული ჯგუფი** წინასწარაა განსაზღვრული გარედან. მის მიერ, ვინც მას ქმნის: ამ დროს მხედველობაში არ მიიღება ჯგუფის წევრთა სურვილები და არჩევანი. ასეთია მიმღები კომისიის მიერ დაკომპლექტებული სტუდენტთა აკადემიური ჯგუფი, ჯარისკაცთა ათეული, თუ ოცეული და სხვა. ასეთი ჯგუფების შექმნა ძირითადად ხდება დებულებებითა და ინსტრუქციებით, ისინი იურიდიული სტატუსის მქონეა.

**არაოფიციალური, ანუ შინაგანი სტრუქტურით განსაზღვრული ჯგუფი** იქმნება ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე. აქ მთავარია ჯგუფის წევრთა სურვილი და არჩევანი; ასეთ ჯგუფში ცალკეული წევრები თავიანთი უნარ-თვისებების შესაბამისად იღებენ სხვადასხვა როლებს, უჭერებენ და მიჰყვებიან ერთმანეთს. ასეთია ოჯახი, მეგობრული წრე და შედარებით მცირე დროით შექმნილი ჯგუფები (მაგალითად ექსკურსიაზე).

ამ ამოსავალი განსხვავების საფუძველზე ჩამოყალიბებული ოფიციალური და არაოფიციალური ჯგუფები შემდგომში რეალურადაც არსებობენ. ოფიციალური ჯგუფისათვის მთავარია საქმიანი კონტაქტები. ეს ჯგუფები იქმნება სპეციალურად ამა თუ იმ საქმისათვის, ან სოციალური ორგანიზაციის რგოლია. არაოფიციალურ ჯგუ-

ფებში კი წინა პლანზე დგას სიმპატია, შეხედულებისა და რწმენის ერთიანობა, ავტორიტეტის აღიარება და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორები.

როგორც მსგავს შემთხვევებში, არა ერთგზის აღგვინიშნავს, ეს დაყოფა არ არის აბსოლუტური და უცვლელი: ორივე სახის ჯგუფი განიცდის ცვლილებას. ისინი გადადიან ერთმანეთში ან ავსებენ ერთმანეთს. ოფიციალური ჯგუფი ივსება შინაგანი დამოკიდებულებებით. ხდება მასში პიროვნული მიზიდულობებისა და სიმპატიის გაჩენა, რითაც იგი არაოფიციალურ, მეგობრულ სახეს იღებს. ასევე პირიქითაც, ცხოვრების პირობებში, საერთო ჭედებისა და პირადი ინტერესების შერწყმის გზით, არაოფიციალური ჯგუფი საქმიან ერთობად იქცევა.

ჯგუფების ფსიქოლოგიური ბუნების გახსნისა და კლასიფიკაციისათვის უფრო მნიშვნელოვანია მათი სხვაობა ჯგუფის ორგანიზაციის გათვალისწინებით, რომელთა მიხედვით გამოყოფენ შემდეგ სახეებს: კონგლომერატი, ასოციაცია, კოოპერაცია, კორპორაცია და კოლექტივი.

**კონგლომერატი, ანუ ნომინალური ჯგუფი არსებობს** ან როგორც საერთოდ არაორგანიზებული, ან შემთხვევითად და არასრულყოფილად ორგანიზებული ჯგუფი. ასეთია მასობრივ ღონისძიებებში მონაწილე ჯგუფები. იქნება ეს კინოთეატრი, სპორტული სანახაობა, ექსკურსია თუ სხვა ასეთი: სადაც შეკრებილი ხალხი შეიძლება სულაც არ იცნობდნენ ერთმანეთს. ამიტომაც აქ შეინიშნება ორმაგი ბუნება, ოფიციალურიც და არაოფიციალურიც: ოფიციალურად საოგადოების მიერ ეს თავშეყრა ნებადართულია, ხოლო მასში მონაწილეობა საკუთარი სურვილის მიხედვით ხდება.

**ასოციაცია ისეთი ჯგუფია,** რომელშიც ადამიანთა ურთიერთობა და ურთიერთდამოკიდებულება პირადი მიზნებით და სურვილით განისაზღვრება. ასეთია, მეზობლების, მეგობართა და მახლობელთა წრე, ან მცირე დროით შექმნილი სხვადასხვა სახის გაერთიანება. ჩვეულებრივ ასოციაცია თანდათანობით იძენს ორგანიზებულ ხასიათს და შინაგანი, ან გარეგანი გზით იღებს გარკვეულ სტრუქტურას. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ლიდერის გამოჩენა.

**კოოპერაცია რეალურად ორგანიზებული ჯგუფია,** სადაც ურთიერთობა და ურთიერთქმედება მთლიანად საქმიან ხასიათს ატარებს. ადამიანები კარგად იცნობენ ერთმანეთს, მოქმედებენ თანხმობით, დაინტერესებული არიან ურთიერთობებით ერთმანეთ-

თან საქმის გამო. ასეთ ჯგუფებში მაღალია საერთო წარმატებები, თანდათანობით იქმნება მაღალი ორგანიზებულობა; ასეთ ჯგუფს ყავს ლიდერები და აქტივისტები და შესაძლოა მასში ცალკეული ქვეჯგუფებიც შედიოდეს.

**კორპორაცია ისეთი ჯგუფია, რომელიც გაერთიანებულია თავისი შინაგანი მიზნებით.** მაგრამ არც თუ იშვიათად, ეს მიზნები უპირისპირდება სხვა ჯგუფებს, კონკურენციას უწევს მათ. ჯგუფის შიგნით არსებული ძლიერი სოლიდარობა ხელს უწყობს შინაგანი ერთობის ჩამოყალიბებას; თითოეული წევრი ამაყობს თავისი კორპორაციით და უველანაირად იღწვის მისი წარმატებებისათვის. ამ ჯგუფის მართვა, ერთის მხრივ, ადვილია შინაგანი სიმტკიცის საფუძველზე, მაგრამ მეორეს მხრივ, გაძნელებულია გარე ურთიერთობების გამო.

**კოლექტივი ისეთი ჯგუფია, რომელშიც ურთიერთობის საფუძვლადაა ქცეული პირადი და საზოგადოებრივი ღირებულებების შერწყმა.** კოლექტივში ქმედების მიზანი ცილდება მოცემულ ჯგუფს და დაკავშირებულია მთელი საზოგადოების ინტერესებთან. მთავარი განსხვავება სხვა ჯგუფებისაგან ისაა, რომ თითოეული კოლექტივი უფრო დიდი კოლექტივის ნაწილია. ამიტომ ითვლება კოლექტივი ადამიანთა ჯგუფების უველაზე მაღალ ფორმად და ამიტომაა უფრო ძნელი ნამდვილი კოლექტივების ჩამოყალიბება.

რეალური ჯგუფები შეიძლება აგრეთვე სხვადასხვაგვარი იყოს პროფესიული საქმიანობის მიხედვით: საწარმოო, სასოფლო, სამეცნიერო, სამხედრო, საყოფაცხოვრებო, მმართველობითი და ა. შ. ლაპარაკობენ აგრეთვე პროდუქტულ და არამწარმოებლურ ჯგუფებზე, სოციალურად ღირებულ და ასოციალურ (დამნაშავეობრივ) ჯგუფებზე, ანდა პოპულარულ, პრესტისულ, ეტალონურ, ჯგუფებზე და ა. შ.

## § 3. ჯგუფის შინაგანი თავისებურებანი

ადამიანთა რეალური ურთიერთკავშირი მცირე ჯგუფებში მყარდება, როგორც სპონტანურად, ე. ი. არაოფიციალური გზით, ისე ოფიციალურად. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ჯგუფის გარკვეული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. განსხვავება ისაა, რომ არაფორმალური ჯგუფის სტრუქტურა მხოლოდ სპონტანურ, არაოფიციალურ ქვეჯგუფებს მოიცავს, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე ერთიანდებიან. ფორმალური ოფიციალური ჯგუფის

სტრუქტურა კი ორივეს მოიცავს: ოფიციალურსაც და არაოფიციალურსაც, რითაც იგი იღებს ისეთი ორგანიზებული ჯგუფის სახეს, რომლის შიგნით არაფორმლური მეგობრული სტრუქტურებიც არსებობს.

ჯგუფებისათვის დამახასიათებელია შინაგანი სტრუქტურული შემადგენელი ნაწილების ქონება. როგორც სოციალური ფსიქოლოგიის მონაცემებიდან ირკვევა, ჯგუფის შიგნით ყველაზე მეტად გვხვდება ორკაციანი ჯგუფები; მათი რაოდენობა ქვეჯგუფების 2/3 აღწევს. 1/5-მდეა სამკაციანი ქვეჯგუფები, ხოლო 4-5 კაციანები 5—6%-ს ალარ აღემატება. თავისთავად არსებული დამოუკიდებელი მცირე ჯგუფის წევრთა ოპტიმალურ რაოდენობას შეადგენს 6-8 კაცი.

როგორც არაოფიციალურად, ისე ოფიციალურად შექმნილ ჯგუფებში, **ადამიანთა ურთიერთკავშირს ხაფუძვლად ედება სიმპათია და ანტიპათია.** მაგრამ ეს ფაქტორი ყოველთვის არ შეიმჩნევა არა თუ გარედან, არამედ თვით მისი წევრების მიერაც: ხშირად ურთიერთდამოკიდებულება წარიმართება წაბაძვის, შთაგონების, თანაგრძნობის (ემპათიის) და სხვა ცალმხრივი ურთიერთქმედების გაუცნობიერებელი მექანიზმების საფუძველზე.

არაფორმალური ჯგუფის სტრუქტურაში უმეტესად მხოლოდ ფსიქოლოგიური კანონზომიერებები მოქმედებს. აქ მთავარია პიროვნული უნარები და თვისებები, პირადი გავლენები, ამიტომაა, რომ ამ ჯგუფებში დიდი როლი ენიჭება ლიდერობას, რომელიმე პირის მაღალი სტატუსის აღიარებას. **ლიდერი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე განიმტკიცებს თავის პოზიციებს და გავლენას ახდენს ჯგუფის სხვა წევრებზე.** ასეთი შინაგანი გამოდიფერენცირება ძალზე დამახასიათებელია მოზარდებში, სადაც ფაქტიური ლიდერი ხშირად სხვა ვინმეა და არა ჯგუფხელი, ან სხვა ოფიციალურად დანიშნული („არჩეული") პირი. სკოლასა და კლასში ლიდერობას ხელს უწყობს ისეთი თვისებები, როგორიცაა სიდიდე და ძალა, სპორტული წარმატებები, დახმარებისა და თანადგომის უნარი და ა. შ. შემდგომში ეს თვისებები თანდათან ივსება ზნეობრივ-ინტელექტუალური მაჩვენებლებით.

ფორმალური ჯგუფის სტრუქტურის გამსაზღვრელია **როლის ფუნქციები.** აქ მთავარია როლური და თანამდებობრივი ვალდებულებანი და უფლებები; თითოეული წევრის პოზიცია ამოდის მისი ფუნქციიდან ჯგუფში და განსაზღვრულია ოფიციალური სტატუსით. საქმის წარმატებაც და ჯგუფის სიმტკიცეც იზრდება, როცა ადამიან-

თა არაოფიციალური დამოკიდებულებანი და საქმიანობა არ ეწინააღმდეგება დაკისრებულ როლსა და მოვალეობას. როდესაც მთლიანობაშია პირადი ინტერესები და საზოგადოებრივი ვალდებულებანი. ასეთი ჯგუფის ხელმძღვანელი არა მხოლოდ ოფიციალური პირია, არამედ ფაქტიური ლიდერიც, რომლის არაფორმალური ურთიერთობები დიდად რგებს და აადვილებს მის სტატუსს. ხოლო როდესაც ხელმძღვანელი არ არის მიღებული ჯგუფის წევრებისათვის შინაგანად, ე. ი. როცა იგი არ ფლობს პირადი თვისებებიდან და დამოკიდებულებიდან გამომდინარე ავტორიტეტს, იგი ფაქტიური ლიდერი ვერ გახდება, რის გამოც საქმეც ზიანდება და კოლექტივის წევრთა ურთიერთობებიც. ხელმძღვანელი კი მხოლოდ სკამის ავტორიტეტის ამარა რჩება. ასეთ შემთხვევებში კონფლიქტებსა და სისუსტეს ხელს უწყობს ოპოზიციის გაძლიერება და ახალი, ფაქტიური ლიდერების წარმოშობა.

ჯგუფის სტრუქტურული მთლიანობის განმსაზღვრელია მისი წევრების ერთიანი და კოორდინირებული ქცევა, რაც გარეგნულად გამოიხატება დისციპლინის დაცვაში, ქმედების რეჟიმის შენარჩუნებაში, დასვენების რეჟიმში და ა. შ. ერთობლივი და ერთგვაროვანი ქმედების საფუძველს ქმნის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მოქმედების კონკრეტული მიზანი, მოქმედებათა განაწილება თითოეულ წევრზე, უფლება-მოვალეობის შესაბამისად როლების დანაწილება, ურთიერთობის რეგულირება.

კონკრეტული ჯგუფების არსებობასა და მოქმედებაში თავს იჩენს ადამიანთა ურთიერთობისა და ურთიერთქმედებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ჯგუფის შიგნით ადამიანების ურთიერთობის ტიპებს. ასეთებია: **დარწმუნება და შთაგონება, კონფორმიზმი, ნეგატივიზმი, კოლექტივიზმი, კონფლიქტები.**

**დარწმუნება და დაჯერება გულისხმობს ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას ლოგიკურ-სიტყვიერი გზით.** ამ დროს ჯგუფის წევრებს უმტკიცებენ რაიმე აზრის სისწორესა და სამართლიანობას, მათგან თარხმობის მიღების მიზნით. აქ მთავარია გააზრებულად ჩვენი თვალსაზრისის მიღებინება. ხოლო როდესაც ეს არ ხერხდება, **გამოიყენება შთაგონება, რაც უკრიტიკო რწმენას ემყარება.** ამ დროს სათანადო მტკიცების გარეშე, ხდება სიტყვიერი ზემოქმედება, პირდაპირი შთაგმაგონებელი და ჰიპნოზური ფორმით, კატეგორიულად, უკომპრომისოდ, დამარწმუნებლად და ერთმნიშვნელოვნად. გასაგებია, რომ ასეთი ზემოქმედება დამოკიდებულია ცალკე-

ული ადამიანის შთაგონებადობაზე, რადგან ყველა ერთნაირად როდი ემორჩილება მას.

კონფორმულობა თავს იჩენს გარეგნულად თანხმობაში მაშინ, **როცა შინაგანად ადამიანი არაა მოცემული აზრისა.** ცნობილია, რომ საზოგადოებრივ და ყოფაცხოვრებით ურთიერთობებში ადამიანი ცვლის თავის შეფასებებს ჯგუფის შეხედულების გავლენით; მან იცის თავისი შეხედულების სისწორე, მაგრამ არ უნდა მისი დაცვა, რადგან ამას შეიძლება მისთვის არასასურველი და მძიმე შედეგები მოყვეს. სწორედ ამის გამო იქმნება კონფორმული და კონიუნქტურული დამოკიდებულებანი ადამიანში საზოგადოებაში გაბატონებული აზრებისა და არსებული ვითარების მიმართ. შემდგომში კონფორმიზმი ზოგიერთი ადამიანისათვის დამახასიათებელ პიროვნულ თვისებად იქცევა და აქტიურ, კრიტიკულ და შემოქმედებით უნარს აკარგვინებს.

**ნეგატივიზმი გამოვლინდება როგორც წინააღმდეგობა აზრისა და შეხედულებისადმი.** იგი წარმოადგენს კონფორმიზმის საპირისპიროს. მაგრამ ამავე დროს იგი არ არის ნამდვილი დამოუკიდებლობის მაჩვენებელი; იგი კონფორმიზმის მსგავსი მოვლენაა თავისი შედეგით: რაკი ადამიანი მიზნად ისახავს საერთო აზრისადმი დაპირისპირებას, გამოდის რომ იგი მაინც ჯგუფის მიხედვით (თუმცა მის საპირისპიროდ) მოქმედებს.

**კოლექტივიზმი, ანუ თვითგამორკვევა კოლექტივიზმისა და ჰუმანიზმის საფუძველზე.** ყველაზე უფრო მაღალი ფორმაა. მისთვის დამახასიათებელია არჩევითი დამოკიდებულება. ადამიანი ჯერ ღირებულების თვალსაზრისით აფასებს და შემდეგ იღებს, ან არ იღებს ზეგავლენას. მთავარი ამოსავალი მისთვის არის არა გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული თანხმობა ჯგუფისადმი, არამედ საერთო საზოგადოებრივი და ჰუმანური ღირებულებებიდან გამომდინარე ცნობიერი დამოკიდებულება, რის საფუძველზეც ადამიანი ახდენს არჩევანს. იღებს ან უკუაგდებს ჯგუფის აზრსა და შეხედულებას, ანდა ზოგ რამეს იღებს, ზოგს კი—უარყოფს. ამით პიროვნება ახდენს თვითგამორკვევას კოლექტივისაგან. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ზოგჯერ ცალკეული ადამიანი შეიძლება უფრო სწორი აღმოჩნდეს, ვიდრე მთლიანი ჯგუფი.

კონფლიქტური სიტუაცია, როგორადაც არ უნდა წარმოიშვას იგი, **განაპირობებს ჯგუფში კონფრონტაციას და ამცირებს ქმედების ეფექტურობას.** მისი დაძლევისათვის აუცილებელია გაირკვეს კონფლიქტის მიზეზები და გამოინახოს მათი დაძლევის გზები. ძალიან

ხშირად კონფლიქტს იწვევს მოცემული საქმიანობის მიზანდასახულობათა არასწორი გაგება, შეჯიბრის არაჯანსაღი ფორმა, ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური შეუთავსებადობა, უტაქტო შენიშვნები, პიროვნების სიტუაციური მდგომარეობანი და სხვა. ფსიქოლოგიურად განასხვავებენ და გამოყოფენ **კონსტრუქციულ კონფლიქტს** (ქამათს): რომელიც წარმოადგენს სერიოზულ მსჯელობას და კრიტიკას, რაც დადებით შედეგებს გვაძლევს, გვეხმარება ნაკლის დაძლევაში და კრიზისიდან გამოსვლაში. ხოლო ჩვეულებრივი, **დესტრუქციული კონფლიქტი** უფრო პირად შეურაცხყოფას და საყვედურებს შეიცავს და ხელს უშლის ქმედების ეფექტურობას. სწორედ ასეთი ამოსავალი დებულებანი უდევს საფუძვლად კონსტრუქციული ან დესტრუქციული ოპოზიციის არსებობას.

**ადამიანის ქმედებისა და ურთიერთობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეტალონური, სანიმუშო ჯგუფის არსებობას.** ყველა ადამიანს აქვს თავისი წარმოდგენა სამაგალითო ჯგუფის შესახებ, რომლის მიხედვითაც იყალიბებს თავის აზრებს და შეხედულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის როდი ხერხდება ადამიანის ეტალონების გამოვლენა რეალურ ცხოვრებაში, მთავარი ფსიქოლოგიური შედეგი მაინც ისაა, რომ ადამიანი ახდენს მოქმედების შეფასებას და მისი სასურველი მიმართულებით წარმართვას. ეს გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ, რომ ეტალონური, ანუ სანიმუშო ჯგუფები სამაგალითო და მიმზიდველია ადამიანისათვის და მათი წევრობა მიჩნეულია სასარგებლოდ და პრესტიჟულად. აქედან ნათელია, რომ **ეტალონურს ისეთ ჯგუფს უწოდებენ, რომლის ნორმებსა და ღირებულებებს ადამიანი იყენებს თავისი ქმედების არჩევისას.** ყველა ადამიანს გააჩნია ეტალონური ჯგუფების გარკვეული რაოდენობა, რომლებშიც იგი ფაქტიურად შედის, ან ცდილობს რომ შეიდეს.

მოზრდილი ადამიანისათვის ეტალონურ ჯგუფად შეიძლება იქცეს პროფესიული, საქმიანი და მეგობრული, ან სამსახურებრივად და სოციალურად ზემდგომთა წრე: სოციალურ-ეკონომიკური, თუ სხვა მაჩვენებლების გამო. იგი ესწრაფვის ამ ჯგუფებს. ასეთი ეტალონური ჯგუფებისაკენ სწრაფვა ხშირია სპორტსა და ხელოვნებაში: დამწყები სპორტსმენისათვის ეტალონურია საუკარელი გუნდი, ხოლო დამწყებ ხელოვანს ყავს თავისი სათაყვანებელ შემომქმედთა წრე. ბავშვისათვის პირველი ასეთი ჯგუფი ოჯახია, ან კლასი და მისი ქვეჯგუფი. მაგრამ თუ ოჯახში და კლასში ბავშვი მიღებული და და-

ფასებული არ არის, და ოჯახის წევრთა შორის (ან სკოლაში) ადგილი აქვს კონფლიქტების არსებობისას, ოჯახი და სკოლა კარგავენ მიმზიდველი ნიმუშის სახეს ბავშვისათვის და ისიც ოჯახისა და სკოლის გარეთ ეძებს თანატოლთა ეტალონურ ჯგუფს.

ცნობილია, რომ ხშირად ადამიანებისათვის ეტალონურ ჯგუფს წარმოადგენს მხატვრული ლიტერატურიდან, ან კინოფილმიდან აღებული მაგალითი, ან სულაც თავისი ფანტაზიით შექმნილი და წარმოსახული ჯგუფი. ზოგჯერ მიუწვდომელი ეტალონური ჯგუფებისაკენ სწრაფვა სამწუხარო შედეგებს იძლევა: ადამიანი იწყებს ისეთი როლების შესრულებას და ბაძავს სხვებს ისეთ საქმეში, რისთვისაც მას არც ცოდნა-განათლება ყოფნის და არც პიროვნული უნარები და თვისებები. ამას ხშირად ემატება გადაღლა, სთრესი, ნევროზი დასხვა ავადმყოფური სიმპტომები, რის გამო თავს იჩენს ირგვლივ მყოფა მიმართ აგრესიული და არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებანი.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ნორმალურ ვითარებაში უაღრესად დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს ეტალონური ჯგუფების არსებობა. ისინი ხელს უწყობენ ქცევის მორალური ნორმების ჩამოყალიბებას და წარმოადგენენ ცხოვრების შეცნობის წყაროს. ამასთანავე ეტალონი პიროვნების სარკეა, იგი იმის მაჩვენებელია, თუ როგორ ხდება თვითშეფასება და ქცევის რეგულაცია.

## § 4. პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი ჯგუფში. სოციომეტრია

რეალურად არსებულ ჯგუფებში ყოველთვის ელინდება ობიექტური, საზოგადოებრივი ღირებულების საფუძველზე აღმოცენებული კავშირები და დამოკიდებულებანი ადამიანთა შორის. ურთიერთობისა და ურთიერთქმედების ფორმები ჯგუფის შიგნით არსებულ დამოკიდებულებათა სახით არსებობს, რაც სუბიექტურ განცდებს გვაძლევს. ჯგუფში შემავალ ცალკეულ წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ასეთ ასახვას წარმოადგენს **პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი, რომელთა შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის ერთერთი მთავარი ამოცანაა.**

ადამიანის ქმედების სახეების განხილვისას ვნახეთ, თუ როგორაა ისინი განპირობებული გარედან ორ მხრივად, სადაც ძირითადი ჯანმსაზღვრელი სოციალური ფაქტორია. ადამიანი გარემომცველ პირობებთან ურთიერთობას ამყარებს როგორც პიროვნება, რაც თავის

მხრივ შეუძლებელია განხორციელდეს ადამიანთა გაერთიანებისა და ერთობლივი ქმედების გარეშე. **ამ ობიექტური, ცხოვრებისეული კავშირების სუბიექტურ ასახვას წარმოადგენს პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი.**

ადამიანი მოქმედებს თავისი მიზნებისა და ამოცანების შესატყვისად, მაგრამ ძალიან ხშირად პიროვნება მიდის შექმნილი პოზიციების დათმობაზე, ან ალამაზებს სოციალურად თაეის ქცევას: მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ქმედების მოტივაციაში მონაწილეობს შინაგანი, ზოგჯერ სუბიექტისათვისაც კი დაფარული მექანიზმი, ადამიანი ძირითადად მაინც ცნობიერად, ჯგუფის მოსაზრების გათვალისწინები თ,წარმართავს აქტივობას და დამოკიდებულებას სხვა ადამიანებთან.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფში არსებულ სოციალურ დამოკიდებულებათა საფუძველზე. ადამიანებს უმუშავდებათ სოციალური ღირებულებებისადმი სამსახურის მოთხოვნილება. ასეთი მისწრაფების არსებობის გარეშე ფუჭსიტყვაობად იქცევა ყოველგვარი მაღალფარდოვანი სიტყვები პატრიოტიზმისა და ზნეობის შესახებ. ასეთი მისწრაფების აღმოცენება მხოლოდ ობიექტურად, საზოგადოებრივი გარემოს გავლენით ვერ აიხსნება, იგი ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებათა დაღს ატარებს. სხვაგვარად ჩვენ არ გვეყოლებოდა თავისი საქმიანობითა და საქციელით გამორჩეული და თავდადებული ადამიანები. პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი ქმნიან იმ რეალურ მიზანს, რომელზედაც ორიენტირებულია თითოეული პიროვნება სწორედ ამის გამო ხდება შესაძლებელი ისეთი ქცევის შესრულება, რომელიც უშუალო მოთხოვნილებებს არშეესაბამება და ზოგჯერ ეწინააღმდეგება კიდეც.

**პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი განისაზღვრება იმ ჯგუფის სოციალური მდგომარეობით, რომელშიც იმყოფება ადამიანი, ან უნდა, რომ იმყოფებოდეს.** მაგრამ მათზე გავლენას ახდენს აგრეთვე ჯგუფში შემავალი თითოეული ადამიანი, ერი. ქვეყანა. ოჯახი, მატერიალური სიმდიდრე, ცოდნა და სხვა. სწორედ მათ გამო განიცდის ადამიანი მისწრაფებას ამ სოციალური ჯგუფის წევრობისაკენ, ან მასში გავლენის მოპოვებისათვის.

ადამიანი ყოველ კონკრეტულ მომენტში რომელიმე ჯგუფის წევრია და რაიმე როლს ასრულებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი რომელიმე ჯგუფის მუდმივი წევრია, ანუ წარმომადგენელია; ეს უქმნის მას გარკვეულ ტენდენციებს, პოზიციებსა და განწყობებს. ადა-

მიანი ყველა კონკრეტულ ვითარებასა და ჯგუფებში ამის შესატყვისად მოქმედებს. სხვაგვარად არ შეიძლება აიხსნას იმ ეტალონური და სანიმუშო ჯგუფის არსებობა, რომლის მიხედვითაც იგი იმუშავებს ქცევის ნორმებს და ზომავს თავის ყოველგვარ საქმიანობას.

პიროვნების აღზრდის პროცესში პირველი ასეთი ჯგუფი ოჯახია. იქ გამეფებული შეხედულებები და იდეალები პირველი ორიენტირის როლს ასრულებს ადამიანის მისწრაფებებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაში. ამიტომაც საჭიროა ოჯახში მშვიდ, უკომპლიქტო სიტუაციის შექმნაზე ზრუნვა: ოჯახი სხვა ფუნქციებთან ერთად აღზრდის ფუნქციასაც ასრულებს და ამ ფუნქციის შესრულება თვით ოჯახის, როგორც სოციალური ჯგუფის მოწესრიგებით უნდა იწყებოდეს. მაგრამ მთაეარი მაინც. სოციალური ჯგუფისა და მისი წევრებისადმი მიბაძვაა. ამ ჯგუფის ზემოქმედების გზით საკუთარი შეხედულების და მოთხოვნილებების დაძლევა და ჯგუფის მოთხოვნების მიხედვით მოქმედებაა. სხვა გზა. პიროვნების და მოქალაქის აღზრდისა, არ არსებობს.

სანამ ჯგუფის შიგნით ცალკეულ წევრთა ურთიერთდამოკიდებულებებზე გადავიდოდეთ, კიდევ ერთ საკითხს უნდა შევეხოთ: ესაა ადამიანის მიერ **წარმატება-მარცხის განცდა** და ამის გათვალისწინების უნარი. რაც უკუზეგავლენას ახდენს ადამიანზე და მასში მომავალი წარმატებისა თუ მარცხის ერთერთ ფაქტორად იქცევა. ზოგჯერ, ხშირი მარცხის გამო, ადამიანს უმუშავდება მოცემული მოვლენებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და ამის გამართლებასაც იწყებს: მიაჩნია, რომ იგი მაინც არაა საჭირო და ამისათვის თავის შეწუხება არც ღირს, რომ თითქოს არც უნდოდა ამ მოქმედების შესრულება ,თორემ ადვილად შეძლებდა მას.

ჩვენ აქამდე ვმსჯელობდით პიროვნებათაშორის დამოკიდებულებათა ამოსაეალ ფაქტორზე—ჯგუფის გავლენაზე მის ცალკეულ წევრზე, ე. ი. ჯგუფისა და ცალკეული ადამიანის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ახლა კი ვნახოთ როგორია თვით ცალკეულ ადამიანთა პიროვნული დამოკიდებულებანი ჯგუფის შიგნით და ამ დამოკიდებულებათა დადგენა უცხო და ჩვენთვის უცნობ ჯგუფებში.

აღნიშნული ვითარების გამო, **შეიქმნა სოციომეტრული გამოკვლევის** მეთოდი და შესაბამისად ცალკე დარგი—სოციომეტრია. იგი შეიქმნა როგორც სოციალური ფსიქოლოგიის ცალკე დარგი. მისი შემქმნელია ამერიკელი სოციალური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი ჯ. მორენი. ამოსაეალ წერტილად ადამიანთა ურთი-

ერთშორის დამოკიდებულებებში მიჩნეულია ემოციური დამოკიდებულებანი, კერძოდ **სიმპატია და ანტიპატია**, რომელთა საფუძველზე აღმოცენდება შემდგომ მთელი ის რთული და მრავალმხრივი პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი, რასაც ადგილი აქვს სოციალური ჯგუფის შიგნით.

სოციომეტრული კვლევის მეთოდი, რომელიც უმთავრესია პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების შესწავლის საქმეში და რომლის შევსება შემდგომ ხდება დაკვირვებისა და სხვა მეთოდების დახმარებით, **ემყარება არჩევის პრინციპს**: ადამიანებს თხოვენ გამოთქვან თავიანთი სურვილი, ვისთან ერთად უნდათ შრომა, ცხოვრება, ექსკურსიაზე წასვლა, გართობა და ა. შ. ასეთი სახის სოციომეტრული კრიტერიუმები მოცემულია გაშლილად, სიტუაციის სრული აღწერით და თავდება კითხვით, თუ ვის აირჩევს ადამიანი ამ სიტუაციაში. შესაძლოა პასუხებში აისახოს არა ერთი, არამედ რამდენიმე არჩევანიც იმის მითითებით, თუ ვინაა პირველი, მეორე და და ა. შ.

პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების გამორკვევა, სასურველ ადამიანთა არჩევის გზით, ემყარება არჩევის კრიტერიუმების არსებობას, თუ რის მიხედვით ირჩევს ადამიანი მეგობარს, ან პარტნიორს. ეს კრიტერიუმები შეიძლება იყოს ზოგადი და კერძო: პირველი გულისხმობს ხანგრძლივ და ახლო ურთიერთობას, მეორე კი— ხანმოკლე, რაიმე საქმისათვის გათვალისწინებულ არჩევანს. კონკრეტულ ვითარებაში პარტნიორთა არჩევანი დამოკიდებულია, როგორც ზოგად და ღრმა კრიტერიუმებზე, ისე თვით ამრჩევისა და ასარჩევის პირად თვისებებზე. არჩევანის სიმტკიცე და სიძლიერე განაპირობებს სხვადასხვა ტიპის ჯგუფებში ყოფნას: ეს კარგად ჩანს არაფორმალურ და მეგობრულ ჯგუფს მაგალითზე. საერთოდ კი, არაფორმალურ ჯგუფებში არსებული ძლიერი და მტკიცე ემოციური კავშირები, ნათელს ხდის სოციომეტრიის ამოსავალ დებულებათა სისწორეს.

უფრო თვალსაჩინოდ და ადვილად გამოსაყენებლად, ასეთი მონაცემები შეიძლება გამოისახოს გრაფიკულად; ცხრილების, ანუ მატრიცების და სოციოგრამის საშუალებით. **მატრიცა (ცხრილი) მოიცავს მიღებული შედეგების რაოდენობრივი მაჩვენებლების სოციომეტრული კრიტერიუმების შესაბამისად განლაგებას**. პიროვნებათა-

შორისი ურთიერთობის არჩევანის შემთხვევაში, ვერტიკალურად ჩამოიწერება ჯგუფის ყველა წევრი თავისი ნომრებით, ჰორიზონტალურ გრაფაში კი მხოლოდ მათი ნომერი იწერება, ვინც იქნა არჩეული. თითოეული გადაკვეთის უჯრედი მოიცავს ციფრებს, სადაც გამოხატულია, თუ ვის მიერ იქნა არჩეული. როდესაც ორი პიროვნების მიერ არჩევანი ერთმანეთს ემთხვევა, ასეთი ციფრები ითვლება ორმხრივი არჩევანის გამომსახველად; როცა ურთიერთარჩევა არ ხდება, ლაპარაკობენ ცალმხრივ არჩევაზე. ცხრილში წარმოდგენილი თითოეული ჯგუფის წევრის შესახებ ჩვენ შეგვიძლია დავითვალოთ, როგორც საერთო არჩევის, ისე ორმხრივი და ცალმხრივი არჩევის რაოდენობა.

სოციოგრამა წარმოადგენს პიროვნებათა შორისი დამოკიდებულებების **სოციომეტრული კვლევის შედეგების გრაფიკულ გამოსახვას**. იგი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს დამოკიდებულებათა მთელ სპექტრს სიმპატიის უკიდურესი ფორმებიდან ანტიპატიის უკიდურეს გამოვლინებამდე.

სოციოგრამა გაშლილად და თვალსაჩინოდაა მოცემული; იგი მიღებული კვლევის შედეგების ერთგვარი რუკაა, სადაც მოცემულია ფიგურები და ციფრები. ჩვეულებრივ, სოციოგრამა შედგება კონცენტრული წრეწირებით შემოსაზღვრული ოთხი ზონისაგან. ჯგუფის წევრთა გამოსახულება შეიძლება იყოს ნებისმიერი გეომეტრიული ფიგურები, ვთქვათ ვაჟები აღნიშნულია სამკუთხედებით, გოგონები—წრით. ცენტრალურ ზონაში მოხვდება ის პირები, რომლებიც ყველაზე მეტჯერ იქნენ არჩეული, ე. ი. მეტი სიმპატიით სარგებლობენ. უკიდურეს ბოლო ზონაში მოხვდებიან ისეთები, რომლებიც საერთოდ არ იქნენ არჩეული. მათ შორის კი მე-2 და მე-3 ზონებში შესაბამისად ისინი, ვინც ნახევარზე მეტჯერ აირჩიეს და ისინი, რომელთა არჩევანიც ნახევარზე ნაკლებია. განსხვავებულად გამოისახება ორმხრივი და ცალმხრივი არჩევანიც.

სოციოგრამა წარმოგვიდგენს ჯგუფის წევრთა კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების ზოგად სურათს და თვალსაჩინოდ გვიჩვენებს ამ დამოკიდებულებათა სტრუქტურას, ჯგუფის ორგანიზაციას, ლიდერის სტილს და ა. შ. სოციოგრამაში გამოისახება არა მხოლოდ რეალური არჩევანი, არამედ მოსალოდნელი არჩევანიც, უგულებელყოფაც და მომავალი უგულებელყოფაც. სოციოგრამაში შეიძლება აისახოს როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური მონაცემები; ორივე შემთხვევაში ძალაში რჩება პოპულარობის მაჩვენებელ კრიტერიუმთა ხარისხობრივი განლაგება.

უნდა აღნიშნოს სოციოგრამის ნაკლი, რომ იგი მხოლოდ მცირე ჯგუფებისათვის გამოიყენება. 15 წევრზე მეტის არსებობისას უბრალოდ შეუძლებელი ხდება კავშირების გარჩევა გამოსახულებაზე. ერთადერთი გამოსავალი ამ შემთხვევაში ცალკეულ ადამიანთა ქვეჯგუფებშია, მაგრამ მათი გამოყოფა ყოველთვის არ ხერხდება.

სოციომეტრული კელევის მონაცემებით აღმოჩნდა, რომ სხვადასხვა ადამიანის არჩევა ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით. მაგალითად, ერთთან გვირჩევნია სამსახურებრივი ურთიერთობა, მეორესთან—ოჯახური, მესამესთან—გართობა და ა. შ.

სოციომეტრულ მეთოდებთან ერთად ხდება სხვა მეთოდების გამოყენებაც, რომელთა მონაცემებით მოხდება მიღებული მასალის შევსებაც და შესწორებაც. ასეთი მეთოდებია დაკვირვება, ანკეტა, ანუ საუბარი წინასწარ დამუშავებული კითხვარით, სოციალურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი და სხვა. მხოლოდ კომპლექსური გზით, სხვადასხვა მეთოდების ურთიერთშეჯერებით, შეიძლება მივაღწიოთ რთული სტრუქტურების მქონე პიროვნებათაშორის დამოკიდებულებათა სწორ გაგებას.

## §. 5. სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფი

სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფები წარმოადგენენ მიკროჯგუფებს და ატარებენ ყველა, მათ დამახასიათებელ ძირითად თვისებებს. ამასთანავე ისინი თავისი სპეციფიკით ხასიათდებიან. რაშიც ვლინდება ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებანიც. მთავარი გასათვალისწინებელი ამ ჯგუფებისათვის ესაა შინაგანი ერთიანობა და ჯგუფური შეთავსებადობის მაღალი დონე.

სასწავლო საალმზრდელო ჯგუფში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას **ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური შეთავსებადობა,** რათა გაადვილდეს პედაგოგიური ამოცანების გადაჭრა. ფიზიოლოგიური შეთავსებადობა დამოკიდებულია ფიზიკურ ძალასა და გამძლეობაზე და უფრო აშკარად ვლინდება ფიზიკურ საქმიანობასა და სპორტულ ქცევებში. ფიზიკურად ძლიერი და სუსტი მოზარდების ერთად შრომა და მათდამი ერთნაირი მოთხოვნების წაყენება შრომაში და ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, ხშირად ხდება ფიზიოლოგიური შეუთავსებლობის საფუძველი. ასეთ პირობებში ზემოქმედების ეფექტი დაბლა იწევს.

მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორების გათვალისწინება არ კმარა, ერთნაირი ფიზიკური მონაცემების მქონე მოზარდთა გაერთიანებაც არ

იძლევა თავისთავად მაღალ შედეგს. გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა გავარჯიშების დონე, შესაბამის ჩვევათა სიმტკიცე, ძალისხმევის მოტივის არსებობა და სხვა ფსიქიკური ფაქტორები. საჭიროა არა მხოლოდ ძირითადი და ზოგადი თვისებების შესატყვისობა, არამედ მცირე ნიუანსების გამომხატველი ურთიერთგაგებისა და ურთიერთქმედების ფაქტების გათვალისწინებაც. ერთი ცნობილი ინგლისური ნდაზა ამბობს, რომ არ შეიძლება ისეთი გოგონა შეირთო, რომელსაც ოდნავ მაინც არ ელიმება შენთვის სასაცილო ანეგდოტზეო. ფიზიოლოგიურისაგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური შეთავსებადობისათვის მთავარია პიროვნული თვისებების, პირველ რიგში, ხასიათის, შეთავსებადობა; რაც აუცილებლობით არ გულისხმობს სხვადასხვა ადამიანის ხასიათის სრულ ერთნაირობას. დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე პიროვნებათა მიმართულებისა და ინტერესების ერთნაირობა. მათი გატაცებისა და ჰობის საერთოობა.

სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფში. მსგავსად სხვაგვარი ჯგუფებისა. პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებანი არ მოჩანს პირდაპირ გარეგნულად, მათ მოძებნა და მიგნება უნდა. სკოლაში თუ მის გარეთ, ყოველდღიურ ურთიერთობაში და მოზარდების ყოველ საქციელში უნდა აღმოვაჩინოთ ფსიქოლოგიური შეთავსებადობის დონე და ჯგუფის სტრუქტურული მთლიანობის საფუძველი, რისთვისაც აუცილებელია სოციალური და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მიერ მოპოვებული მონაცემების ცოდნა და გამოყენება.

მთავარია სწორად იქნას გაგებული ერთად ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველი. როგორც ცნობილი რუსი ფსიქოლოგი ლ. ვიგოტსკი აღნიშნავს, ადამიანთა განვითარებისა და ერთად ცხოვრებისათვის საჭიროა გარეგანი ერთობა და თანამშრომლობა გადავიდეს შინაგანში, ფსიქიკურში. ასეთი „გაშინაგნების" გზით მიმდინარეობს მოსწავლეთა გაერთიანება ჯგუფებში, მათ თანატოლებთან და მოზრდილებთან განუწყვეტელი ურთიერთობის პროცესში. ეს პროცესი მიმდინარეობს ქმედების ძირითად ფორმებში—თამაშში, სწავლასა და შრომაში. როგორც წინა თავში აღინიშნა, სწავლა უფრო ინდივიდუალური ბუნებისაა და თანამშრომლობა მის ეფექტს კი არ აძლიერებს, არამედ პირიქით, ასუსტებს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ **ურთიერთობის მოთხოვნილების რეალიზაციას მოსწავლეები უშუალოდ სწავლის პროცესში კი არ ახდენენ**, არამედ არასასწავლო დროის მონაკვეთებში.

მოსწავლეთა ერთობლივი ქმედების და ურთიერთობის ძირითადი ნაწილი სკოლაში და მის გარეთაც, რეგლამენტირებულია გარედან მოზრდილების მიერ. გარედან ასეთი კონტროლი წარმოადგენს ჯგუფების ჩამოყალიბებისა და მართვის საშუალებას, აქ რეალიზდება პედაგოგის დამოკიდებულება მოსწავლეთა ჯგუფისადმი. მაგრამ ამასთანავე, ფაქტია, რომ გარედან მართვის გარეშე, თავისი შეხედულებების მიხედვით, ბავშვები და მოზარდები ქმნიან არარეგლამენტირებულ ჯგუფებს. ასეთია თამაში, მხატვრული თუ სპორტული გაერთიანება, მეგობრული ჯგუფი და სხვა. ესაა გზა შემდგომში არაფორმალური ჯგუფების შექმნისა, სადაც უფრო ადვილია რეგლამენტირებული ჯგუფებისაგან თავის დაღწევა და დამოუკიდებლობის სურვილის რეალიზაცია. მაგრამ აქ არის ერთი საშიშროება: რადგან არაფორმალური გაერთიანებები უმეტესად მოზრდილების კონტროლს არ ექვემდებარება, ისინი ზოგჯერ სოციალურად არასწორ მიმართულებას იღებენ.

**სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფისათვის არსებითია ორიენტაცია არა ქმედების ეფექტურობასა და მიღებულ შედეგებზე, არამედ საზოგადოებაში არსებული გამოცდილებისა და ადამიანური ურთიერთობის ათვისებაზე.** სუბიექტურად ეს ობიექტური ვითარება მოცემულია დადებითი ემოციების სახით, რომელთა გამო ბავშვი ისწრაფვის მოცემულ ჯგუფში ჩართვისაკენ. ასეთი ჯგუფების შექმნისა და ერთობლივი ქმედების ორგანიზაციისათვის აუცილებელია, ერთ სიერცესა და ერთდროში ყოფნასთან ერთად, ფსიქოლოგიური პირობების უზრუნველყოფა. კერძოდ, ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ ერთიანი მიზნები და ინტერესები, გარკვეული უნდა იყოს თითოეული წევრის როლი და კავშირი სხვა წევრებთან, **უნდა არსებობდეს თანაგრძნობის და ემპატიის განცდა.**

ამ და სხვა არაფსიქოლოგიური ფაქტორების საფუძველზე სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს გამოცდილების ათვისებისა და ჯგუფის შიგნით ურთიერთდამოკიდებულებათა დადგენის პროცესში. ეს პროცესი მიმდინარეობს ოჯახში, საბავშვო ბაღსა და სკოლაში, შრომის დროს, ნაცნობთა და ნათესავთა კომპანიაში და ა. შ. დიდმნიშვნელოვანია თითოეული ამ ჯგუფის ადგილი საზოგადოებაში; შემდგომში ასეთ ჯგუფებში თავის მხრივ, იქმნება კიდევ უფრო მცირე ჯგუფები, როგორც ბავშვის უშუალო სოციალური მიკროსფერო.

ყოველ ასეთ ჯგუფში ჩართვას და ერთობლივ ქმედებას თავისი საფუძველი აქვს, რაშიც წამყვანი ადგილი უჭირავს არჩევანს. არსე-

ბობს არჩევის სხვადასხვა კრიტერიუმი, რომლებიც განსაზღვრავენ თანატოლებთან პიროვნებათაშორის დამოკიდებულებებს. ასაკობრივად დაბალ საფეხურზე პირველ ადგილზე დგას აკადემიური მოსწრება: მოსწავლეები ცდილობენ ახლოს იყვნენ იმასთან, ვინც კარგად სწავლობს; შემდეგში კი, თანდათანობით წინა პლანზე გამოდის პიროვნული თვისებები და დამოკიდებულებანი სხვებისადმი, სწავლისადმი, შრომისადმი და ა. შ. აგრეთვე ძალაში რჩება აკადემიურ წარმატებასთან დაკავშირებული ინტერესების ერთიანობა.

სოციომეტრული კვლევით დგინდება, რომ აკადემიურ წარმატებასთან დაკავშირებული კრიტერიუმით არჩევანი დაბალ ასაკში 30-40%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც სუსტი აკადემიური მოსწავლეების არჩევანი 1%-ზე ნაკლებია. აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არც თუ ხშირად ირჩევენ ერთმანეთს. დაბალ ასაკში არჩევანზე დიდ გავლენას ახდენს მასწავლებელიც და მშობელიც, მათი პირადი მაგალითი და მათი ავტორიტეტი ერთმანეთის შეფასების ეტალონს წარმოადგენს; მასწავლებლის მიერ აკადემიური წარმატების მიხედვით შეფასებას, იზიარებენ ბავშვებიც და ერთმანეთის არჩევანს შესაბამისი კრიტერიუმებით ახდენენ. მაღალ კლასებში კი ვითარება იცვლება: ახლა მთავარი ხდება ერთმანეთის უშუალო აღქმა: მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებაზე მოზრდილთა გავლენა კლებულობს და წინა პლანზე გამოდის თანატოლთა პირადული, უშუალო დამოკიდებულება. სხვა ფაქტორებთან ერთად, მაგრამ გაცილებით მეტად, ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებს წარმართავს თანატოლებთან ემოციური კონტაქტის მოთხოვნილება და მის საფუძველზე აღმოცენებული „საქმიანი" დამოკიდებულებანი.

სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფებში და მათ გარეთაც პიროვნებათაშორისი დამოკიდებულების ერთერთი საფუძველია განსხვავებანი სქესის მიხედვით: თავისი ან საპირისპირო სქესისადმი კუთვნილების შესაბამისად ყალიბდება წინასწარი მიდრეკილება და მოლოდინი, სადაც საზოგადოების მიერ დადგენილი ქმედების რეგლამენტაცია განაპირობებს ურთიერთაღქმასა და შეფასებას. მოზარდებს უყალიბდებათ თავისი სქესის როლისადმი შესატყვისი სოციალური ქცევის ფორმები, აღმოცენდება საპირისპირო სქესისადმი სპეციფიკური ინტერესი და სექსუალური ორიენტაცია. ამავე დროს ინდივიდი განიცდის თავის შესატყვისობას მოცემული სქესის როლისადმი. ზოგჯერ პირველი სიყვარული და ეროტიკული ფანტაზია (სამწუხა-

როდ, ზოგჯერ ნაადრევად სქესობრივი ცხოვრების დაწყებაც) ხდება პიროვნებათაშორის დამოკიდებულებათა ერთერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ყველაზე ხანგრძლივი ჯგუფი, რომელშიც მოსწავლე შეიძლება შედიოდეს, ძალზე დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად, **შეიძლება სამ სახედ დაიყოს: პირველი, ესაა თანატოლთა ფუნქციური (როლური) დამოკიდებულებანი,** რაც ვლინდება ერთობლივ მოქმედებაში და „საქმიან" ურთიერთობაში; მისი ტიპიური გამოვლენის ფორმებია თამაში და სხვა თავისუფალი „საქმიანობა", სადაც ჯგუფის წევრთა არჩევანია გადამწყვეტი. **მეორე, ემოციურ-შეფასებითი დამოკიდებულებანი,** რომლებიც დაკავშირებულია დადებით თუ ურყოფით, ან მოწონება-დაწუნების ემოციების არსებობასთან და ჯგუფში მოსწავლეთა ქცევის სოციალურ ნორმებთან. **მესამე, პიროვნულად გამართლებული (აზრიანი) დამოკიდებულებანი,** რომლებიც პასუხობენ კითხვებს: თუ რისთვისაა საჭირო ერთობლივი ქმედება და რამდენად სწორია და ღირებული ცალკეული წევრის საქციელი. ასაკობრივი და ფსიქიკური განვითარების დონეების მიხედვით ამ ძირითადი ფორმების თანაფარდობა სხვადასხვაგვარია, ისინი მოიცავენ ჯგუფის შიგნით არსებულ დამოკიდებულებათა ნაირსახეობას, ეს თანაფარდობა კონკრეტულად შეიძლება მონახული და გამოსახული იქნას სოციოგრამებში.

ყოველი სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფი, მიუხედავად კონკრეტული სტრუქტურისა, ყალიბდება აღზრდის ამოცანებიდან გამომდინარე. ამდენად **ეს ჯგუფი მართვადია** და არ არსებობს პედაგოგთა გარეშე. აქ მთავარია პედაგოგთა კოლექტივისა და აღსაზრდელთა ურთიერთობა, რაშიც წამყვანია ცოცხალი სიტყვა და პრაქტიკული, უშუალო ურთიერთობები.

მოსწავლეთა ჯგუფის შიგნით არსებული დამოკიდებულებანი არ ამოიწურება სისტემით „მოსწავლე-მოსწავლე", მასთან უშუალო კავშირშია „მოსწავლე-მასწავლებელი". ამ ერთიანობაში ნათლად ჩანს მასწავლებელთა კოლექტივის როლი მოსწავლეთა ჯგუფების ფორმირებისა და ფუნქციობის საქმეში. გამოკვლევებით დადგენილია, რომ მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებათა სტილი და მანერა განპირობებულია მასწავლებელთა შორის არსებული დამოკიდებულებებით.

სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფის ჩამოყალიბება და მისი ხელმძღვანელობა საჭიროებს, როგორც საერთოდ პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების ცოდნას, ისე კონკრეტულად მოსწავლეთა დამოკიდებულების კანონზომიერებათა ცოდნას. მხოლოდ ზოგადი და

ხმამაღალი ფრაზები საკლასო კოლექტივის შესახებ საქმეს არ შველის; ერთიანი აზრის მიღწევა და კოლექტივის მიერ რომელიმე მოსწავლის გაკიცხვა-შეჩვენება შედეგს არ მოიტანს, ცალკეული ბავშვის საქციელის მოსწავლეთა ჯგუფის წინაშე სამსჯავროზე გამოტანა უმეტეს შემთხვევაში არ იძლევა დადებით შედეგს. ამ დროს მხოლოდ ბავშვის პიროვნების შესახებ იქმნება აზრი და არა მისი კონკრეტული საქციელის ავკარგობაზე, რასაც სამწუხაროდ თან სდევს ე. წ. „განკიცხული", „განდევნილი" მოსწავლე და უმართებულო ცნება „ძნელად აღსაზრდელთა" შესახებ.

**მოსწავლეთა მყარი ჯგუფის შექმნა შეუძლებელია, თუ თვით მათი კრიტერიუმებით და შეფასებით არ ვიხელმძღვანელებთ.** მასწავლებელთა უმეტესობა მოსწავლეების შეფასებაში მხოლოდ სამი ძირითადი საზომიდან ამოდის; ესაა: აკადემიური მოსწრება, დისციპლინა და მოსწავლის გარეგანი იერსახე; მაშინ როდესაც მოსწავლეთა მიერ პიროვნების შეფასება მრავალ გამმას მოიცავს. მათთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად კეთილი, გულღია, გამმეტე, დამხმარე, ლოიალური, სამართლიანი და ობიექტურია ესა თუ ის პიროვნება. ამიტომაც ზოგჯერ ხდება მოსწავლეთა ჯგუფებზე და მათში არსებულ პიროვნებათაშორის დამოკიდებულებებზე მასწავლებლის გავლენის შესუსტება.

სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფთან ერთად, ან ხშირად თვით ამ ჯგუფშიც, არსებობს არაფორმალური ჯგუფები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა ქცევაზე და პიროვნებათაშორის ურთიერთობებზე. ეს ჯგუფები უარყოფითი ან დადებითი მიმართულებით ხასიათდება; მათი ამოცნობა და წარმართვა დადებითი მიმართულებით ხელს უწყობს მთლიანი საკლასო ჯგუფის ჩამოყალიბებას; იმისათვის, რომ ასეთი ქვეჯგუფები მთლიანი ჯგუფის ბირთვად იქცნენ, უნდა გაირკვეს მათი ღირებულება, სოციალური სტატუსი და გამოინახოს მათი ხელშემწყობის კონკრეტული გზები.

არაფორმალური ჯგუფები დიდი სიმტკიცით და შინაგანი ურთიერთმხარდაჭერით ხასიათდებიან. მაგრამ ასეთი ჯგუფი თავისთავად ვერ ამაღლდება კოლექტივის დონემდე. უფრო მეტიც, თუ სათანადო ყურადღება არ დაეთმო, ეს ჯგუფი შეიძლება თანამოაზრეთა ისეთ კომპანიად იქცეს, რომელიც ჩაიკეტება თავის შიგნით და დაუპირისპირდება სოციალურად ღირებულ ჯგუფებს. მასწავლებლისა და აღმზრდელის მუშაობა გულისხმობს ამ ჯგუფის მართვას. პედაგოგის ოსტატობაზეა დამოკიდებული არაფორმალური ჯგუფებისად-

მი დაპირისპირებისა და კონფლიქტების თავიდან აცილება. ეს მით უფრო საჭირო და აუცილებელია, თუ კონფლიქტი იღებს პიროვნებათაშორის კონფლიქტის სახეს და საფრთხეს უქმნის სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფის არსებობას.

## § 6. პედაგოგიური კოლექტივი

უკვე აღინიშნა, რომ მოსწავლეთა ჯგუფები არ არსებობენ პედაგოგ-მასწავლებლებისაგან განყენებულად, ისინი მთლიანი და ერთიანი სასწავლო-საალმზრდელო კოლექტივის ნაწილია: მეორე ნაწილია მასწავლებლების ჯგუფი, რომელსაც თავისი ორგანიზებულობისა და მიზანდასახულობის შესაბამისად, კოლექტივი უნდა ეწოდოს. მთლიან სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფში დიდმნიშვნელოვანია ორიენტირი: ისინი ვისაც აღზრდას ვუპირებთ და ისინიც, ვინც ზრდის; მაგრამ წარმმართველი მასწავლებელთა კოლექტივია: რომლის წარმატება სასწავლო და საალმზრდელო საქმიანობაში ბევრადაა დამოკიდებული მოსწავლეებთან ურთიერთდამოკიდებულებაზეც და თვით მოსწავლეთა შორის ურთიერთობის მართვაზეც.

**მასწავლებელთა კოლექტივი დაფუძნებული უნდა იყოს ცნობიერი თანამშრომლობის პრინციპზე, ურთიერთგაგებაზე და ურთიერთდახმარებაზე.** აუცილებელია პედაგოგთა შეთანხმებული და წინასწარ გააზრებული ქმედება. ერთი საერთო საქმისათვის თითოეულის მიერ გარკვეული ნაწილის კეთება და კონკრეტული როლის შესრულება. ცალკეულ მასწავლებელს უნდა ქონდეს ერთიანი მიზნიდან გამომდინარე განწყობა და კონცეფცია, ერთიანი ქმედების ტენდენცია.

ერთერთი მთავარი პირობაა აგრეთვე პიროვნული ურთიერთდადამოკიდებულება თვით მასწავლებელთა კოლექტივის შიგნით; საჭიროა ნამდვილი კოლეგიალობა. რომ მასწავლებელი ისევე უყურებდეს და ეპყრობოდეს კოლეგას, როგორც საკუთარ პერსონას და პირიქით; მან თანაბრად უნდა გაინაწილოს სხვების წარმატებაც და ნაკლიც. ამავე დროს, არ უნდა მოხდეს ლიდერის, ანუ პედაგოგიური კოლექტივის ხელმძღვანელობის იგნორირება. რადგან სასწავლო-საალმზრდელო ჯგუფში, აღმზრდელობით საქმიანობასთან ერთად, აუცილებელია ხელმძღვანელობა და ორგანიზაციული მუშაობა, თვითმმართველობისა და დემოკრატიის შერწყმა ხელმძღვანელობასთან და ლიდერობასთან.

რამდენადაც მოსწავლეებთან კონკრეტულ ურთიერთობას და საქმიანობას ცალკეული მასწავლებელი ეწევა, საჭირო ხდება მას-

წავლებელის იმ პიროვნულ თავისებურებათა გაცნობა და გათვალისწინება, რომლებსაც იგი პედკოლექტივში და განსაკუთრებით, მოსწავლეებთან ურთიერთობაში ავლენს. მასწავლებელი ამასთანავე არაა ნეიტრალური ფიგურა აღსაზრდელთა მეგობრული ურთიერთობის ფორმირებისათვისაც.

მასწავლებლის პიროვნება, მისი თვითაღზრდა, თავშეკავება და ტაქტი. პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალი უნდა იყოს; არავითარ შემთხვევაში **არ კმარა მხოლოდ საგნის ცოდნა და მეთოდიკური რეცეპტები.** ბავშვთა ჯგუფის გაძღოლა იწყება მასწავლებლის გარეგნული იერსახით და საქციელით, მისი ავტორიტეტი იზრდება მოსწავლეებისადმი თბილი და ფრთხილი, ყურადღებიანი, მაგრამ მომთხოვნი მოპყრობით; აგრეთვე თავისი პიროვნული უნარ-თვისებებით და ადგილიო კოლეგებს შორის.

პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების შესახებ ცოდნა არანაკლებ საჭიროა, ვიდრე საგნის შინაარსისა: მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვის შესაძლებლობათა დიაგნოსტირება და შესაფერისი ტაქტით ჩარევა. მთავარია ბავშვის საქციელზე მსჯელობისას, არ დავიწყოთ მისი პიროვნების შეფასება; გაკიცხვა და საყვედური მხოლოდ მოსწავლის საქციელის შეფასება უნდა იყოს და არა პიროვნებისა

სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფების ჩამოყალიბება და სწორი მართვა აუცილებლობით მოითხოვს მასწავლებელთა კოლექტივში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნას და პიროვნებათაშორისი დამოკიდებულებების სრულ მოწესრიგებას.

მასწავლებელთა კოლექტივის სწორი ორგანიზაციისათვის აუცილებელია 3 ძირითადი პირობის დაცვა. პირველი, ესაა მასწავლებლის **მიერ საკუთარი პიროვნული თვისებების გათვალისწინება მოსწავლეთა პოზიციებიდან.** სხვაობა ისაა, რომ მასწავლებლები ერთმანეთის შეფასებისას უმეტესად ამოდიან პროფესიული მონაცემებიდან, მოსწავლეები კი წინა პლანზე აყენებენ ზოგად პიროვნულ, საკაცობრიო ღირებულების თვისებებს და ისეთ საურთიერთობო უნარებს, როგორიცაა ტაქტის გრძნობა, სხვისი გაგების და თანაგრძნობის უნარი, გულღიაობა და გულწრფელობა და სხვა. მოსწავლისათვის მასწავლებელში მთავარია მისი პიროვნება და არა პროფესია. იგი ყოველთვის უნდა იყოს ეტალონი ბავშვებისათვის. მათი არაფორმალური და ნამდვილი ლიდერი. ნამდვილი ავტორიტეტი მასწავლებლის პიროვნული თვისებებიდან მოდის და არა მისი ძალაუფლებიდან, ანუ მისი როლიდან. ეს უკანასკნელი მხოლოდ შიშს

ქმნის და არა ნამდვილ ნდობას, რის გარეშეც ავტორიტეტი არ არსებობს.

**პედაგოგიური კოლექტივის მეორე აუცილებელი პირობაა სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ერთიანი, საერთო მიზნის არსებობა,** მათი შეთანხმებული ქმედება და ნამდვილი თანამშრომლობა აღზრდის პროცესის განხორციელებისათვის. ყველა მასწავლებლისათვის უნდა **არსებობდეს საერთო ამოსავალი—ბავშვი,** ყოველი საგნის სწავლებისას მთავარი ისაა, ვისაც ვასწავლით, არ შეიძლება დავიწყებული იქნას აღმზრდელობითი მუშაობის პრიმატი. მასწავლებელთა კოლექტივი მოსწავლის ირგვლივ უნდა შეიკრას და არა სასწავლო საგნებისა.

**მესამე აუცილებელი პირობა,** რომლის გარეშე შეუძლებელია პედკოლექტივის განმტკიცება და ნორმალური ფუნქციობა, ესაა **ცალკეული მასწავლებლის ისეთივე დამოკიდებულება სხვა მასწავლებლებისადმი, როგორც საკუთარი თავისადმი და პირიქით—საკუთარი თავისადმი ისეთივე მომთხოვნელობა, როგორც სხვებისადმი.** ესაა საფუძველი ჰუმანურობის, სამართლიანობის, ობიექტურობის, კეთილმოსურნე დამოკიდებულების და სხვა საკაცობრიო თვისებების წარმოჩენისთვის. ამის გარეშე ვერ აღმოცენდება პასუხისმგებლობის გრძნობა აღზრდის საქმეში არსებული ნაკლოვანებისა, თუ ჩავარდნებისათვის.

აღნიშნულ ძირითად და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ მასწავლებელთა კოლექტივის შექმნა და განმტკიცება, არამედ ერთიანი სასწავლო-სააღმზრდელო ჯგუფის სწორი ფუნქციობა და მართვა. ამისათვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს განათლების რეფორმის ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის პირობებში, უფრო მეტი დახმარება ჭირდება სასკოლო რეფორმის მიმდინარეობას, მისი დამამუხრუჭებელი მექანიზმების დაძლევას. ადამიანისაკენ შემობრუნება და ძირითად მიზნად ადამიანებზე ზრუნვის დასახვა, არ არის მხოლოდ ეკონომიკურ ღონისძიებათა სფერო. იგი, პირველ რიგში, სულიერ მხარეს გულისხმობს და აქედან გამომდინარე, სწავლა-აღზრდის სფეროსაც.

თანამედროვე მასწავლებელი და ყველა მოქალაქე უნდა იყოს აქტიური და შემომქმედი პიროვნება. შეეძლოს დემოკრატიის პირობებში ცხოვრება და შრომა. ამიტომაც ფსიქოლოგიის დღევანდელი

საზრუნავია სულის მატარებელი პიროვნების შესწავლა და მისი აღზრდა-ჩამოყალიბების პროცესის მართვა. გადაუდებელი ამოცანაა სკოლაში და საერთოდ აღზრდის სისტემაში, ფსიქოლოგიური სამსახურის გაძლიერება და მისი ახალი ფორმების დანერგვა.

ფსიქოლოგიამ უნდა უზრუნველყოს თითოეული აღმზრდელისა და მასწავლებლის შეიარაღება აუცილებელი ცოდნით სულიერი მოვლენებისა და მოქმედების შესახებ. დღევანდელ პირობებში, აღზრდის პროცესების გართულების გამო. შეუძლებელია აღზრდის პროცესის წარმართვა პიროვნების ისეთი თვისებების ცოდნის გარეშე, როგორმცაა მოთხოვნილებანი და ინტერესები, ნიჭი და უნარი, ხასიათი და ტემპერამენტი, პიროვნებათა შორის არსებული ურაიერთობები და ჯგუფების შიგნით არსებული კანონზომიერებანი.

მასწავლებლისათვის აუცილებელია სრულყოს თვითაღზრდის მექანიზმი. მოსწავლეებთან სწორი ურთიერთობის და დამოკიდებულების ცოდნა-ჩვევების შეძენა გადაუდებელი ამოცანაა პედაგოგიური კადრის მომზადების საქმეში.

პედაგოგიური კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის არაა საკმარისი სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ზოგადი ცოდნა, ან დიდი გამოცდილება. მრავალი წლის სტაჟის მქონე პედაგოგიც ხშირად ბევრ სიძნელეს აწყდება ამ მიმართულებით. სკოლის მუშაკებს ყოველდღიურად ჭირდებათ მრავალი ფსიქოლოგიური პრობლემის გადაწყვეტა. სკოლის კავშირის აღდგენა ცხოვრებასთან, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთობა, სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ეფექტანობის ამაღლება, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება და ბევრი სხვა პრობლემა ვერ მოგვარდება ფსიქოლოგიური ცოდნის გარეშე.

სოლის ყველა მუშაკს უნდა ახსოვდეს. რომ საგნის მასწავლებელი, პირველ რიგში აღმზრდელია, პიროვნებას ზრდის და ახალი ტიპის ადამიანს აყალიბებს. მთავარია რწმენისა და სულის ჩამოყალიბება. ცხადია, ეს სწავლების გარეშე არ მოხდება, მაგრამ ამისთვის მარტო ცოდნის მიღება არაა საკმარისი. საერთოდ კი, ჯერ მოსწავლე და სტუდენტი უნდა გეააქტიუროთ, გეერდში ამოვიყენოთ და ისე მივიყვანოთ ცოდნამდე და არა მზა ხახის ცოდნა მივუტანოთ მას გარედან. ფსიქოლოგიის ცოდნა ნათელს ხდის, რომ აღზრდა და კერძოდ, გარკვეული პოზიციებისა და პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ამავე დროს თითოეული სასწავლო საგნის წარმატებით ათვისების საფუძველია.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


თ ა ვ ი I. ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ი ს  ს ა გ ა ნ ი  3-37

§ 1. სული და ფსიქოლოგია 3
§ 2. ფსიქოლოგიის ამოცანები 8
§ 3. სული და სხეული 10
§ 4. სიცოცხლე და ფსიქიკა 16
§ 5. ფსიქიკა და ასახვა . . 19
§ 6. ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები 22
§ 7.ფსიქოლოგია და ცხოვრება 31

თ ა ვ ი II. მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს  ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი ა  38-69

§ 1. ფსიქიკა და ქმედება. 38
§ 2. განწყობა და ქმედება 42
§ 3. ჩვევა და ჩვეულება . . . . . 47
§ 4. თამაშის ფსიქოლოგიური თავისებურებანი 52
§ 5. სწავლის ფსიქოლოგიური დახასიათება . 56
§ 6. შრომის პროცესის ფსიქოლოგიური კომპონენტები . . . . . 61
§ 7. შემოქმედება როგორც ქმედების ფორმა 65

თ ა ვ ი III. ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა  70-80

§ 1. ცნობიერება და ყურადღება . 70
§ 2. ყურადღების ძირითადი თვისებები . . . 75
§ 3. ყურადღების სახეები და გამომწვევი ფაქტორები 78

თ ა ვ ი IV. შ ე გ რ ძ ნ ე ბ ა  და  ა ლ ქ მ ა  81-94

§ 1. საგნისა და თვისების განცდა . 81
§ 2. შეგრძნების სახეები ანუ მოდალობები . . 83
§ 3. შეგრძნების ძირითადი თვისებები და კანონზომიერებანი 87
§ 4. ალქმის თვისებები 90
§ 5. ალქმის სახეები 92

თ ა ვ ი V. მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა  95-111

§ 1. მეხსიერების ცნება . . 95
§ 2. მეხსიერების ძირითადი პროცესები 97

§ 3. მეხსიერების სახეები და ტიპები 99
§ 4. დასწრაფლის კანონზომიერებანი 103
§ 5. მოგონება და დავიწყება 108

თავი VI. აზროვნება 112-128

§ 1. აზროვნების ზოგადი დახასიათება 112
§ 2. აზროვნების სახეები 115
§ 3. ცნებითი აზროვნება 118
§ 4. აზროვნების ოპერაციები 123
§ 5. აზროვნება და მეტყველება 125

თავი VII. ფანტაზია ანუ წარმოსახვა 129-140

§ 1. წარმოსახვა და მისი წყაროები 129
§ 2. წარმოსახვის სახეები და ადამიანის მოქმედება 132
§ 3. სიზმარი და ოცნება 135

თავი VIII. გრძნობები და ემოციები 141-156

§ 1. გრძნობების ზოგადი დახასიათება 141
§ 2. გრძნობათა თვისებები 145
§ 3. მარტივი გრძნობები და ემოციები 148
§ 4. მაღალი გრძნობები 152

თავი IX ნებისყოფა 157-175

§ 1. ნებისყოფის ზოგადი დახასიათება 157
§ 2. იმპულსური და ნებისმიერი აქტივობა 159
§ 3. ნებისმიერი მოქმედების პერიოდები 163
§ 4. ნებელობითი თვისებები და მათი აღზრდა 169

თავი X. პიროვნება 176-199

§ 1. პიროვნების ცნება ფსიქოლოგიაში 176
§ 2. პიროვნების სტრუქტურა 181
§ 3. პიროვნების აქტივობის საფუძვლები 187
§ 4. პიროვნების თვითცნობიერება. ფსიქიკური ავტოპორტრეტი 192

თავი XI. პიროვნების ფსიქიკური თვისებები და მდგომარეობანი 200-233

§ 1. ფსიქიკური თვისებების და მდგომარეობის ცნება . . 200
§ 2. პიროვნების მიმართულობა 203
§ 3. ნიჭი და უნარი 209
§ 4. ტემპერამენტი 214
§ 5. ხასიათი . . . 220
§ 6. პიროვნების ფსიქიკური მდგომარეობანი 228

თავი XII. ურთიერთობა და ურთიერთქმედება 234-257
§ 1. ადამიანთა სოციალური ურთიერთობა 234
§ 2. ურთიერთობის საშუალებანი. მეტყველება 240
§ 3. ურთიერთქმედება . . . . 247
§ 4. ურთიერთგაგებისა და ურთიერთობის ფორმები 252
§ 5. პედაგოგიური ურთიერთობების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები 255

თავი XIII. ადამიანთა ერთობა. ჯგუფები 258-282
§ 1. ინდივიდუალური და ერთობლივი ქმედება 258
§ 2. ჯგუფები და მათი სახეები . 260
§ 3. ჯგუფის შინაგანი თავისებურებანი 263
§ 4. პიროვნებათა შორისი დამოკიდებულებანი. სოციომეტრია . 268
§ 5. სასწავლო-საალმზდელო ჯგუფი 273
§ 6. პედაგოგიური კოლექტივი 279

# ზოგიერთი შემჩნეული შეცდომების გასწორე

| გვ. | სტრიქონი ზემ. | სტრიქონი ქვემ. | ა რ ი ს | უნდა ი |
|---|---|---|---|---|
| 34 | — | მე—4 | მან დაადგინა, რომ ის | მან დაადგინა, |
| 36 | მე—12 | — | მინდეერობანი | მიმდინარეობანი |
| 44 | — | მე—4 | განწდობა | განწყობა |
| 49 | — | მე—15 | ფაქტის ასახვა და სულ | ფაქტის ასახვაა (ა |
| | — | მე—14 | შეკავე- | შეკავება. |
| | — | მე—13 | თარების გზით | (არ უნდა იკითხებო |
| | | მე—12 | თარების დასაწყისიდანვე, რათას | რათა |
| | — | მე—2 | არ ცდება | არ ცდება |
| 105 | მე—5 | — | იგი ეფრო. ესწავლობთ და- | მასალის გაგებასა და ზრებაზე. თუ მოსწავ მოცე მული გა- |
| 109 | მე—9 | — | ზრახვის შესაბამისად. | ფორმა, როგორც პირ ბის ისტორიული მეხს ბა. |
| 111 | — | მე—10 | რემინისცენციის | რემინისცენციის |
| 112 | 1 | — | თ ა ვ ი VII | თ ა ვ ი VI |
| 117 | მე—8 | — | ხდება ხატებისა | ხდება აღქმის ხატები |
| 123 | — | მე—12 | შეიძლიდ მოცემულს და | იგი ცილდება შეია |
| 129 | 1 | — | თ ა ვ ი VIII | თ ა ვ ი VII |
| 141 | 1 | — | თ ა ვ ი IX | თ ა ვ ი VIII |
| 157 | 1 | — | თ ა ვ ი IV | თ ა ვ ი IX |
| 160 | 1 | — | შნელება მოქმედების პროცესში | დება დაყოვნების გან |
| 165 | მე—15 | — | ბა ალტერნატივას | ბის ალტერნატივას |
| 177 | მე—8 | — | ლურ ურთიერთობებს,.. წევრობას | სრულყოფილი და გ თარებელი ადამიანიც |
| 197 | მე—9 | — | შერეული | შენეული |
| 198 | — | მე—14 | მიაღწევდა | მისაღწევად |
| 234 | მე—4 | — | მისი | მათი |
| 263 | — | მე—10 | პრესტისული | პრესტიჟული |
| 282 | — | მე—11 | სოლის | სკოლის |
| 283 | მე—8 | — | ფსიქოლოგიის საგანი და ამოცა- ნები | ფსიქოლოგიის შეთოდ დარგები |

რედაქციის გამგე რ. კიკნაძე

ტექნიკური რედაქტორი მ. ცაგარელი

სასტამბო ფორმათა რაოდენობა 18. ტირაჟი 1000

ფასი 0 ლარი

ნიადაგზე გაერთიანებულ კომპლექსს წარმოადგენენ, რომელსაც მხოლოდ მანამდე აქვს ღირებულება და აზრი, სანამ ეს გარკვეული მოთხოვნილება არსებობს და მისი დაკმაყოფილების საჭიროება გაინიცდება. ადამიანის ქცევის ამ ფორმას ჩვეულებრივი მეტყველება **თვითმომსახურების** სახელწოდებით აღნიშნავს". დ. უზნაძე ამ ტიპს მიაკუთვნებს აგრეთვე თავის მოვლის და სხვისი მოვლის ქცევებს და მათ მოხმარებასა და მომსახურების ქცევას შორის ათავსებს. სამივე ამ ფორმას ერთ მონათესავე ჯგუფს მიაკუთვნებს.

ქმედების აღნიშნულ ჯგუფს დ. უზნაძე მიაკუთვნებს აგრეთვე სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებულ **ინტელექტუალური** მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; კერძოდ იმ **ქცევებს, რომლებიც ცნობისმოყვარეობისა და ცოდნის წყურვილს ემსახურება.** აქაც ადამიანი ან თითონ აქტივობს, ან სხვათა აქტივობას იყენებს მოხმარების საბოლოო პროცესისათვის.

განხილული ქმედების სხვადასხვაგვარი გამოვლინებანი ძირითადად ერთი საერთო ნიშნით ხასიათდება: ისინი უშუალოდ არსებულ აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზეა მიმართული. მათი აზრი კონკრეტული ინდივიდის უშუალო მოთხოვნილების დაკმაყოფილებით განისაზღვრება და ერთხელობრივ, მომენტალურ აქტს წარმოადგენს. ისინი აქტუალური მოთხოვნილების იმპულსით აღიძოცენდებიან და მისი დაკმაყოფილებისთანავე წყვეტენ არსებობას.

საკუთრივ შრომის პროცესი კი გულისხმობს არა ინდივიდის მიერ უშუალო აქტუალური მოთხოვნილების საფუძველზე მოქმედებას, არამედ საზოგადოებრივი, ობიექტური ღირებულების შექმნის ამოცანებიდან ამოდის. შრომის პროცესს წინ უსწრებს მიზნის დასახვა, რომელიც გამომდინარეობს ამ ქმედების მნიშვნელობისა და ღირებულების განცდიდან. განსხვავებით ქმედების სხვა ფორმებისაგან აქ მიზანი მხოლოდ და მხოლოდ მოქმედების შედეგს წარმოადგენს და არა თვით მოქმედებას, მისი მიმდინარეობის პროცესს.

**ეაშასადამე, შრომა მიზანდასახული და შეგნებული მოქმედების სახით გვეძლევა. იგი საზოგადოებრივად ღირებული შედეგის მიღწევას გულისხმობს.** შრომის შედეგად უშუალო, ამჟამად აქტუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება კი არაა მთავარი, არამედ საერთოდ. შემდგომისათვის, სამომავლო საჭიროების განცდა. **შრომა წარმოადგენს ადამიანის ქმედების ისეთ ფორმას, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივად სასარგებლო პროდუქტის შესაქმნელად.**

შრომის პროცესში, ისე როგორც სხვა ქმედებებში, ჩართულია მთლიანი პიროვნება, მისი ყველა ძალები და ფსიქიკური პროცეს-